

29187

2



თ ა ვ ი I

ინგლისის მეფენი და დიდი საბჭო

§ 1.

ანგლო-საქსები ინგლისში.—ბრიტების გაუღეცა.—რა ხალხია ანგლო-საქსები.—როგორ გაქრისტიანდნენ ანგლო-საქსები.—როგორ მოეწეო საქრისტიანო ეკლესია ინგლისში.—არხივისკოპოსი კენტერბერიისა ანუ პრიმატი ინგლისის ეკლესიისა.—„მეათედი“

რუსეთის სახელმწიფოს დასაველეთით, კარგა მოშორებით, უძვეს ორი დიდი კუნძული¹⁾; ამ კუნძულებს სახელად ეწოდება ბრიტანიის კუნძულები. ერთი ამ კუნძულთაგანი მეტია, მეორე ნაკლები. აი ამ ორ კუნძულზე ძვეს შეერთებული სამეფო—დიდი ბრიტანია. ეს სამეფო შესდგება სამი სახელმწიფოსაგან—ინგლისისა, შოტლანდიისა და ირლანდიისაგან. სიძვეე ეს სახელმწიფოები შეადგენენ ერთ დიდ სამეფოს და ამიტომაც ნათ შეერთებული სამეფო ეწოდება. ინგლისი და შოტლანდია ძვეს იმ კუნძულზე, რომელიც მეტია; ზომით ეს კუნძული ოთხი ათას შვიდასი ოთხ-კუთხი მილია და სიდიდით უდრის ასტრახანის გუბერნიას. ირლანდია ძვეს მეორე უფრო პატარა კუნძულზე, რომელიც უდრის ათას ხუთას ოთხ კუთხ მილს. ამ სამივე სახელმწიფოს განავებს დედოფალი ვიქტორია²⁾. 1897 წელს ვიქტორიამ იღღესასწაულა თვისი დედო-

¹⁾ კუნძული ხმელეთის ნაწილია, რომელსაც ვარს წყალი არტყია.

²⁾ დედოფალი ვიქტორია წელს გარდაიცვალა.



ფლობის სამოცი წლის აღსრულება. ინგლისის დიპლომატიის გეგმების ქვეშ, გარდა ბრიტანიის კუნძულებისა, ბევრი სხვა ქვეყნებიცაა, მაგრამ ამ წიგნში ჩვენ უმთავრესად ლაპარაკი გვქნება თვით ინგლისზედ.

ჩვენ დაეიწყებთ ინგლისის ისტორიის მოთხრობას ძველი დროიდან, სახელდობ მეთერთმეტე საუკუნიდან. მეთერთმეტე საუკუნეში, ესე იგი რვაასი წლის წინათ, დიდი კუნძულის ნახევარზედ სამხრეთით სცხოვრობდა ორგვარი ხალხი: ანგლები და საქსები. ანგლები და საქსები ინგლისში მოვიდნენ ზღვის განაპირედგან ³⁾ ოთხასი წლის შემდეგ ქრისტეს დაბადებისა, დაესხნენ იქაურ ძირითად მცხოვრებლებს, ბრიტებს, სძლიეს, დაიპყრეს იგინი და დასახლდნენ მათ მიწა-წყალზედ. ამის შემდეგ ანგლო-საქსების ახალ-ახალი ბრბოები შეუწყვეტლად მიედინებოდნენ ინგლისისაკენ, იპყრობდნენ კუნძულის სხვა და სხვა მხარეებს და სახლდებოდნენ ზედ. ბრიტებს ანგლო-საქსები ფრიად სასტიკად ეპყრობოდნენ, შეუბრალებლად და დაუხოვავად ჟღერდნენ მათ. ბრიტები თავგამეტებით იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ვერას გახდნენ. განგლო ას ორმოცდა ათმა წელმა; ამ ხნის განმავლობაში ანგლო-საქსებმა სრულებით ამოკლიტეს ბრიტები. დიდი კუნძულის სამხრეთ ნაწილიდან ანგლო-საქსებმა შეადგინეს შვიდი სახელმწიფო. ინგლისში მოსვლამდის ანგლები და საქსები ცნობილი იყვნენ, როგორც შეკობრენი ანუ ზღვის ავაზაკნი.

ანგლო-საქსებს ქვეყანაზე ესე არა უყვარდათ-რა, როგორც „კურვა, მარცვა და ბრძოლა“. საქსები ჩასხდებოდნენ ხოლმე თავიანთ იაღქნიან-ნავეებში და უშიშრად გაუდგებოდნენ გზას ზღვაში, მიადგებოდნენ სადმე ხმელეთის ნაპირს, შეესიოდნენ და მუსრს აცლებდნენ იქაურ მცხოვრებლებს, მოიტაცებდნენ, რასაც კი იხელთებდნენ და გაუდგებოდნენ გზას ახლა სხვა

³⁾ ანგლო-საქსები სცოვრებდნენ გერმანიის იმ ნაწილში, რომელსაც ახლა ეწოდება შლეხვიგი.



კუთხის დასარბევად და სასაძარცვაად. ამნაირად მწიგნობრნი
 საქსები, ერთი იმ დროინდელი მწერალი იმ რას მოგვითხრობდა
 ამ ხალხზედ: „მათზე საშინელი მტერი მთელ ქვეყანაზე არ
 მოიძებნება; იგინი იმდენადვე მტაცებელნი არიან, რამდენა-
 დაც შეუბრალებელნი; ზღვა მათთვის სამხედრო სკოლაა, ხო-
 ლო ქარ-ტყვილი მათი ამხანაგი, იგინი არიან ზღვის მგლები,
 რომელნიც ხმელეთზედ ნაძარცვავეთ სცხოვრობენ“.

ინგლისში გადასახლების შემდეგ ანგლო-საქსები ისეთვე
 უახალბათ ღარჩნენ, როგორიც წინეთ იყვნენ. იგინი ჯერ
 ბრიტებს სძარცვავდნენ და ხოცავდნენ; ამათი ამოკლეთის შემ-
 დეგ კი ერთმანეთს დაერბინენ და ერთი-მეორის ძარცვა-მუს-
 ვრას შეუდგნენ. ეს ბრძოლა მათ შორის მით გათავდა, რომ
 შვიდი სახელმწიფო გაერთიანდა და შესდგა ერთი დიდი სა-
 ხელმწიფო—ინგლისი. ამ დროიდან აღრინდელი სამეფოები
 აღარ შეადგენდნენ ცალკე სამეფოებს; იგინი გადაკეთდნენ სა-
 გრაფოებად. მტორე სამეფოებისაგან, როგორიც იყო, მაგა-
 ლითად, კენტი, წარმოსდგნენ ცალკე საგრაფოები: მაგ., სამე-
 ფო კენტი გარდაკეთდა საგრაფო—კენტად. დიდი სამეფოები
 კი, ჯერ კიდევ იმ დროს, როცა თვითველ მათგანს თვისი მე-
 ფე ყვანდა, დაყოფილი იყვნენ ოლქებათ; გაერთების შემდეგ
 თვითველი ესეთი ოლქი აგრეთვე საგრაფო შეიქნა. ამ საგრა-
 ფოთა რიცხვი სულ ოცლა თორმეტი იყო.

ანგლო-საქსები, როცა იგინი პირველად ინგლისს შეესიო-
 ნენ, კერბ-თაყვანის მცემელნი იყვნენ. ბრიტებთან ბრძოლის
 დროს იგინი ანგრევდნენ ქრისტიანთა ეკლესიებს, სდევნი-
 დნენ და ხოცავდნენ მღვდლებს. ექვსასი წლის შემდეგ ქრის-
 ტეს დაბადებისა კენტის მეფემ შეერთო ფრანგთა პრინცესსა,
 სახელად ბერტა. ბერტა ქრისტიანი იყო; მან თან მოიყვანა
 კენტის სატახტო ქალაქში, რომელსაც ეწოდებოდა კენტერ-
 ბერი, ქრისტიანი მღვდელი. ამ დროს კენტერბერიში კიდევ
 მოიპოვებოდნენ ნანგრევები ბრიტთა მფლობელობის დროს
 არსებული საქრისტიანო საყდრისა. ეს საყდარი შეაკეთეს და



შეუდგნენ მასში კათოლიკურ წირვა-ლოცვის წესდებებს. (დროს რომის *) მღვდელ-მთავარმა, რომელსაც პაპი ეწოდება, ქრისტიანობის გასაერკვლებლად ინგლისში გაგზავნა ბერი, — ნეტარი ავგუსტინე და თან ორმოცი მღვდელი გააყოლა. კენტის მღვდმ, თვის მეუღლის პატივისცემისთვის მოწყალებით მიიღო ნეტარი ავგუსტინე, და ნება მისცა მას კენტელები გაექრისტიანებინა. კენტიდგან ქრისტიანობა სწრაფათ მოედო მთელ მხარეს. განვლო ასმა წელმა და ანგლო-საქსები ერთად ქრისტიანები გახდნენ.

ამის შემდეგ მთელი ეს ქვეყანა დაიყო ეპარქიებათ, თვითეულ ეპარქიას განაგებდა ეპისკოპოსი. კენტურბერიის არხიეპისკოპოსი იყო პირველი სამღვდლო პირი ინგლისისა ანუ პრიმასი ინგლისის ეკლესიისა. მას თვით პაპი ნიშნავდა. ეპარქიები დაყოფილი იყო მრევლებად; თვითეულ მრევლს ჰყავდა საკუთარი მღვდელი. ეკლესიის და სამღვდლოების შესანახად მრევლი იძლეოდა თვის შემოსავლის „მეთედს“.

§ 2.

ინგლისის დაპრობა ნორმანებისაგან და ვილჰელმ დამპყრობელი. — რა ხალხია ნორმანები. — მიწის გაცემა; პირობები მიწის გაცემისა. — სამხედრო ბევარი. — ლენები და მელენე ანუ ვასალი. — ლენის მემკვიდრეებზე გადაცემა. — მეფე — მზრუნველი მკორე-წლოვანი მემკვიდრეებისა. — ვასალის ვასალნი ანუ უნტროსი ვასალნი. — წიგნი საშინელი სამსჯავროსი. — ვასალთა რიცხვი. — უნტროს ვასალთა რიცხვი. — სამოციანთანი ჯარი. — რამდენად სახიფათო იყო ეს ჯარი მეფისათვის.

მეთერთმეტე საუკუნეში ანგლო-საქსებს სრულიად მოულოდნელი და მასთან საშინელი უბედურება ეწვიათ. გერცოგ ვილჰელმის მეთაურობით, რომელსაც შემდეგ ვილჰელმ დამპყრობელი უწოდეს, ანგლო-საქსებს თავს დაესხა ხალხი,

*) რომი იტალიის სტატო ქალაქია.

რომელსაც ნორმანებს ეძახდნენ. ვილჰელმმა ^{მეორე ინგლო-საქსები} ინგლო-საქსები და დაიპყრო მათი ქვეყანა. ახლა ჯერი ინგლისელებზე ანუ ანგლო-საქსებზე მისდგა: მანაძლის იგინი იყვნენ გამარჯვებულნი, ახლა კი მათზე სხვებმა გაიმარჯვეს და დამორჩილებულნი შეიქმნენ. მეტად მწარე ხვედრი ხელათ ანგლო-საქსებს. ანგლო-საქსებივით ნორმანებიც გერმანელთა ტომისა იყვნენ, მაგრამ იგინი დიდი ხნის გადასახლებულნი იყვნენ საფრანგეთში; აქ ნორმანები სრულებით გაფრანგდნენ, ენაც და ჩვეულებებიც ფრანგული შეითვისეს. ინგლისი და საფრანგეთი ძლიერ ახლო მდებარეობენ ერთი მეორისაგან: მათ ჰყოფს მხოლოდ ვიწრო სრუტე, რომლის სიგანე არ აღემატება სამოც ვერსს, ვილჰელმი გახდა ინგლისის მეფე. ანგლო-საქსებს ვილჰელმი ეპყრობოდა, როგორც ძლიულს, დამორჩილებულ ხალხს. ინგლისელებს, რასაკვირველია, სძულდათ მათზე გამარჯვებული ნორმანები და შეძლების დაგვარად სკდილობდნენ სამაგიერო გადაებადათ, შური ეძიათ. ამიტომაც ვილჰელმი ინგლისში თავს ისე გრძობდა, როგორც მოსიხლემეტერთა ქვეყანაში. ყოველ წამს მოსალოდნელი იყო, რომ ამბოხება იფეთქებდა. საჭირო იყო ვილჰელმს ამბოხების ჩასაქრობათ ჯარი ჰყოლოდა, თუ ვინცობაა თავს იჩინდა იგი ოდესმე. აი რა ქნა ვილჰელმმა რომ ეს ჯარი ჰყოლოდა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ვილჰელმმა ინგლისი დაიპყრო. ამიტომაც იგი ინგლისის მიწა-წყალს თავისს კერძო საკუთრებად სთვლიდა და ხშირად იმეორებდა—ინგლისი ჩემი მიწაა.

ხოლო საქმე იმაშია, რომ არა მცირედი ნაწილი ინგლისისა, სანამ მას ნორმანები დაიპყრობდნენ, ეკუთვნოდა ინგლისელების აზნაურებს, სამღვდელოებს, მონასტრებს და თავისუფალ მიწის მუშებს. ვილჰელმი სრულიად მოურიდებლად აკლდიდა ხელიდგან მიწას დამორჩილებულთ და ხმარობდა მას, როგორც სურდა. მან დიდძალი მიწა დაურიგა თავისს მეომრებს, რომლებიც მას ჯერ ინგლისის დაპყრობაში დაეხმარნენ და შემდეგ დაპყრობილ ქვეყნის მართვაში ხელს უწყობ-



დნენ. მაგალითად, თვის ძმას ვილჰელმმა მიხვალა, ეგვიპტის სახელმწიფოში ორასი მამული და იმდენივე—ინგლისის სხვა და სხვა ნაწილებში. დანარჩენ მეომართა შორის კი თვითუელს რამოდენიმე საკმაოდ მოზრდილი მიწის ნაკვეთი ხვდა. უღარიბესმა მეომარმა კი თვისი ხვედრი მიიღო, ამნაირად დარიგდ-დანიწილდა ინგლისის მიწა-წყალი. სადაც საუკეთესო მიწები იყო ნორმანებს ჩაუვარდა ხელში, რის გამოც ნორმანებმა სახელმწიფოში უმძლავრესი წოდების ადგილი დაიჭირეს. თუმცა მეფე ასე უხვად არიგებდა მიწებს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მიწა პატრონის მფლობელობაში უნდა ყოფილიყო მხოლოდ მის სიცოცხლეში. გარდა ამისა მიწის მიმღებმა ვალად ედო სამხედრო სამსახურის აღსრულება. მეფის პირველი მოწოდებისთანვე მეომარი ვალდებული იყო მეფის წინაშე შეიარაღებული გამოცხადებულიყო; თანახმად მეფის ბრძანებისა მას უნდა გაეღოსაჰქრა მეფის მტერთა წინააღმდეგ. მეომარს თან უნდა ხლებოდა ჯარის კაცთა მთელი რაზმი. ეს რაზმი მით უმრავლესი უნდა ყოფილიყო, რამდენათ მეტი მიწა ჰქონდა ბოძებული მეფისაგან მეომარს.

ბრძელები მიწა ირიცხებოდა მეფის ქონებად. თუ მეომარი არ აღასრულებდა პირობას, არ ეახლებოდა მეფეს სამხედრო სამსახურის გასაწევად, მეფეს სრული უფლება ჰქონდა მისთვის მიწა ჩანოფრთმია. ამ პირობით გაცემულ მიწას ეწოდებოდა სახელად „ლენი“, ხოლო ლენის პატრონს, ანუ მიმღებს—„მელენი“ ანუ „ვასალი“.

გარდა სამხედრო სამსახურისა, ვასალი სხვა მხრივაც უნდა დახმარებოდა მეფეს, თუ ეს საჭირო იყო; მაგალითად, იგი ვალდებული იყო ტყვედ წაყვანილი მეფე გამოესყიდნა მტრისაგან; როდესაც მეფე უმფროს ქალს დააქორწინებდა, ვასალი ამ შემთხვევისათვის საჭირო ხარჯში მას უნდა დახმარებოდა.

როგორც ვთქვით, გაცემული მიწა მეფის ქონებად ითვლებოდა. ამიტომაც ლენის პატრონის სიკვდილის შემდეგ, მიწა ისევ მეფის ხელში გადადიოდა, ხოლო მეფე დაუყოვნებ-



ლივ უკანვე უბრუნებდა მას ვასალის მემკვიდრეობის მემკვიდრეობად ამისა მეფე ლეოპოლდმა მემკვიდროსაგან ფულს. თუ მემკვიდრე მკირე წლოვანი იყო, მის მზრუნველად ითვლებოდა თვით მეფე და ლენის ავკარგსაც იგი განაგებდა; და თუ მემკვიდრედ რჩებოდა ქალიშვილი, მეფეს ნება ჰქონდა გავთხოვებია იგი; საქმოს ამორჩევაკ მეფესედე იყო დამოკიდებული და გასათხოვარს იგი არას ჰკითხავდა. ხშირად მეფე პირდაპირ მიჰყიდდა ხოლმე ახალგაზნა ქალს მას, ვინც მეტ სასყიდელს გაიღებდა. თუ ვასალი უმემკვიდროდ კვდებოდა, ლენი სავსებით მეფეს უბრუნდებოდა.

პირველად გადაქრით განსაზღვრული არ იყო ფულით გადასახადი, რომელიც ვასალს უნდა ეძლია მეფისათვის; ხოლო ვილჰელმის მეფობის ბოლო ხანებში და განსაკუთრებით მისი მემკვიდრეების დროს ეს გადასახადი გადაქრით განისაზღვრა; მაგალითად, როდესაც ლენი მემკვიდრეზე გადადიოდა, მემკვიდრეს მეფის სასარგებლოდ უნდა გადაეხანა ოთხას ერთი მანეთი ჩვენი ფულის კვალობაზედ.

ვასალს შეეძლო მეფის თანხმობით თვისი ლენის გაყიდვა; მხოლოდ მყიდველს მეფის სასარგებლოდ ფული უნდა გადაეხანა.

მეფისათვის საჭირო ჯარი რომ ჰყოლოდა, ვასალმაც თავისი მზრივ იწყო ლენის გაცემა იმავე პირობით, რა პირობითაც თვითონ ჰქონდა მიცემული მეფისაგან; ამ რიგად მეფის ვასალმა თავისი ვასალი გაიჩინა, რომელსაც ეწოდებოდა უნკროსი ვასალი; ესეთი ვასალი მუსლ-მოდრეკილი და თავშიშველი თავის უფროს ანუ უფალს შემდეგს ფიცს აძლევდა:

„ამიერიდგან მე ვაქნები თქვენი ვასალი და თქვენს სამახურს შეესწირავ ჩემს სიცოცხლეს და ქონებას. შეწევნითა ღვთისათა სიკვდილ-სიცოცხლით თქვენი ერთგული ვიქნები“.

რამდენიმე წლის შემდეგ თვისის გამეფებისა ვილჰელმმა მოისურვა გაცემა, თუ რამდენი მიწა გასცა მან სულ, ან რამდენი ჰქონდა თვითფულს მიწის მფლობელს მიცემული. ამის



გაგება საჭირო იყო ვილჰელმისათვის, რომ ^{ეკლესიის} განეხილერა, თუ რამდენი ჯარის კაცი უნდა ჰყოლოდა მისთვის თვითეულ ვასსალს, ან რაოდენი გადასახადი უნდა ექლია. ვილჰელმმა ამ ცნობების შეკრება რამოდენიმე უმაღლეს მოხელეს დაავალა; მთელი ექვსი წელიწადი დადიოდნენ ეს მოხელები ინგლისში, დაწვრილებით ეცნობებოდნენ თითოეულ საგრაფოს, ეკათხებოდნენ ფიც ქვეშ ადგილობრივ მცხოვრებლებს, ნორმანებს და ინგლისელებს, თუ ვის ვისგან რამდენი მიწა ჰქონდა მიღებული; და ყველა ეს ცნობები წიგნში შექპონდათ. ამ წიგნს ანგლო-საქსებმა უწოდეს „წიგნი საშინელის სამსჯავროისა“, რადგან მით ნორმანებს საუკუნოთ მიენიჭათ ის მიწები, რომლებიც ინგლისელებს წაერთვათ. აი ამ წიგნიდგან სჩანს, რომ მეფეს ჰყვანდა ექვსასი პირდაპირი ვასსალი. მათ შორის თითოეულ რომოცთაგანს მეფისაგან ჰქონდა მიღებული სხვა და სხვა საგრაფოებში რამდენიმე დიდი მამული. ამ დიდი მამულების მქონეთ ეწოდათ სახელი — „დიდი ვასსალისა“. ექვსას პირდაპირ ვასალთა შორის იყვნენ ეპისკოპოსები და მონასტრები; ხალხი ანგლო-საქსები კი თითქმის სრულებით არ ერივნენ იმათში. დიდ ვასსალთა რაზმს შეადგენდნენ ნორმანები და მათვე შეადგინეს ინგლისის უმაღლესი აზნაურობაც.

ზემოთ იყო ნათქვამი, რომ ვასსალს თავისად კიდევ ვასალი ჰყავდა. იმ დროს ასეთ უნცროს ვასსალთა რიცხვი აღიოდა რვა ათასამდე. მაგრამ ამ რიცხვმა მალე შესამჩნევად იმატა. უნცროს ვასალთა უმეტესობას ანგლო-საქსები შეადგენდნენ.

აღნიშნულ ექვსას ვასსალს მეფისათვის მზად უნდა ჰყოლოდა საწოცი ათასი ჯარის კაცი. ასეთი ლაშქარი იმ დროის კვალობაზე მეტად დიდი და მასთან ურიად საშიშო იყო დაპრობილთათვის, მაგრამ არა ნაკლებ სახიფათო იყო იგი თვით მეფისათვისაც. ძლიერი და მდიდარი ვასსალი მუდამ იმის მსურველი იყო, რომ მეფისაგან განთავისუფლებულიყო, — რა თქმა უნდა, მას არ სურდა მეფის ხელქვეითობა. თითოეულ ასეთ

ვასალს საკუთარი ჯარი ჰყვანდა, რადგან მის ჩემს მხარეში რამდენიმე უნცროსი ვასალი იმყოფებოდა. საკმაო იყო რამოდენიმე ასეთი ძლიერი ვასალი შეერთებულიყო და საკმაოდ ძლიერი ლაშქარიც მზად იყო. ვილჰელმმა ეს ძლიერ კარგად იცოდა. მას გათვალისწინებული ჰქონდა, თუ რამდენათ ძნელი იქნებოდა ვასალებთან დამორჩილება, რაკი ერთხელვე აღიშქრდებოდნენ იგინი მეფის წინააღმდეგ, ამიტომაც მან ისე მოაწყო საქმე, რომ თვითვე თვისი ვასალი მას ხელში ჰყოლოდა. აი როგორ მოაგვარა მან ეს.

53

ვილჰელმ დამპყრობელი და მისი მმართველობა.—მეფე და მისი ვასალი.—ფიცარი ერთგულებისა.—ანგლო-საქსონური სამსჯავროები.—სამეფო სამსჯავრო.—საგრაფოები.—შერიფები.—სამღვდელთა დამორჩილება.—მეფის სასულიერო ვასალი.—მეფის სიმდიდრე.—მეფის ტყე და მამულები.—ქადაგები.—მეფის სასახლე.—ვასალებთან კრებები.—ბრძოლა ვასალებთან და მეფის შორის.—ვილჰელმის სიმკაცრე.

ვილჰელმმა სავალდებულოდ გახადა თვითვე ვასალებს ფიცი დაედო არა ნარტო თავისი ბატონის, არამედ თვით მეფის ერთგულებისაც. იმას იმედი ჰქონდა, რომ ამ გზით უფრო მაგრამ ჩაიჭერდა ურჩს ვასალებს. გარდა ამისა იგი ერთსა და იმავე ვასალებს სხვა და სხვა საგრაფოებში აძლევდა მამულებს, რომ ამით ვასალებისათვის ჯარის მოკრება გაეძნელებია. ვილჰელმმა ვასალებთან მიანიჭა მსაჯულის უფლება; მათ შეეძლოთ მათ მამულზე მცხოვრებთა განსამართლება, მაგრამ მხოლოდ მცირეოდენ შემთხვევებში კი. მან შეუცვლელად დასტოვა ადგილობრივი წეს-რიგი მსჯავრ-დებისა, რომელშიაც შეეძლოთ მოაწილონ მათ ვასალებს, ვასალების ვასალებს და ყველა მიწის მფლობელს. მსჯავრის დების დროს ხელმძღვანელობდნენ ძველი ანგლო-საქსონურ და არა ნორმანული კანონებით; თავისი უფლების და გავლენის გასაძლიერებლად ვილჰელმმა დააწყო სა-



კუთარი სამეფო-სამსჯავრო, რომელიც ადგილობრივ სამსჯავროებზედ მალლა იდგა. ვინც ადგილობრივ სამსჯავროს დადგენილებით უკმაყოფილო იყო, მას შეეძლო მიეშართა საჩივრით სამეფო სამსჯავროსთვის. მრავალ უმთავრეს საქმეების გარჩევა მხოლოდ სამეფო სამსჯავროს შეეძლო, ასე რომ სამსაჯულო საქმეებში უმთავრესი უფლება მეფემ თვითონ მიითვისა, სხვას აქ მან წილი არ დაუღო.

წინეთ ინგლისი დაყოფილი იყო საგრაფოებათ. ვილჰელმს აქაც არა შეუცვლია რა; საგრაფოებში ნეტე ნიშნავდა თავისს მონადგილეს, რომელსაც ეწოდებოდა შერაფა. შერიფს საგრაფოში დიდი გავლენა და უფლება ჰქონდა; აქ მასზედ მალლა მხოლოდ თვით მეფე იდგა. შერიფი მეფისაგან ინიშნებოდა ერთი წლის ვადით, თუმცა, როცა უნდოდა მეფეს, მაშინ გადაყენებდა მას თანამდებობიდან. შერიფის მოვალეობას შეადგენდა — თვალ-ყური დაეჭირა, როცა საქროება იყო და მეფეს ჯარი სჭირდებოდა, ვასაღს საშხედრო ბევარი წესიერად აღესრულებინა, მეფის ხაზინაში გადასახადი თავ-თავის დროზედ შემოსულიყო და საგრაფოს მკარავრებლებთ წესისამებრ აღესრულებინათ უშაღლესი ბრძანება.

ვილჰელმმა დაიხელქვეითა აგრეთვე სამღვდელეობაც. ანგლო-საქსონთა მეფეების დროს ეპისკოპოსების და მონასტრების ხელში დიდძალი მამულები იყო. ვილჰელმმა ეს მამულები ჯერ ჩამოართვა მათ, შემდეგ უკანვე დაუბრუნა, ხოლო არა როგორც საკუთრება, არამედ, როგორც „ლენი“. ეპისკოპოსებს და მონასტრებს ვილჰელმი ისეთსავე ფიცს სთხოვდა, როგორც ვასაღს ერის კაცთაგან. ექვსას ვასაღთა შორის ას ორმოცდა ათზედ მეტი სამღვდლო პირი იყო. ამ რიგად ვილჰელმმა სამღვდელოებაც დაიმორჩილა; წინედ კი სამღვდელოება რომის პაპს ემორჩილებოდა.

გარდა ამისა ვილჰელმმა დაადგინა, რომ არც ერთი ვასაღი მის ნება-დაურთველად ეკლესიიდან არ განრისხული-



ყო⁵). მეფის დაუკითხავად სამღვდნოებების ყრუობის კარგად გასაგებების ვადაწყვეტა არ შეეძლო; ეგრევე მოწოდება ანუ პაპის ბრძანება გარეშე მისის ბრძანებისა საჯაროთ ვერ წაიკითხებოდა.

ვილჰელმს ძლიერ კარგად ესმოდა, რომ რამდენად უფრო შემძლებელი და მდიდარი შეიქნებოდა იგი პირადათ, იმდენათ უკეთესად დაიმორჩილებდა ქვეშევრდამთ. ამიტომაც ვილჰელმს საკუთარ სამდიდრეზედ ზრუნვა არ დაეწეებია. თუმცა იგი უზუად არიგებდა ნიწას, მაგრამ თვითონაც საკმაო მიწა-წყალი ირუუნა. მის ხელში იყო ათას მამულზედ მეტი; გარდა ამისა მის მფლობელობაში ფრიად დიდი სანადირო ადგილები, ტყე და ბაღები იყო. ამ ტყეებში ნადირობის უფლება მხოლოდ მეფეს ჰქონდა; ან და იმას, ვისაც მეფისაგან ნება ჰქონდა მიცემული. „ვილჰელმს ისე უყვარს მხეცები, როგორც მამასაო“, ამბობს მემატინე. მისი ბრძანებით თვალგება სთხრიდნენ იმას, ვინც ირებს, ტახს, ან სხვა ნადირს მოჰკლავდა. ასე გასინჯეთ, კურდღლის ხოცვაც კი აღკრძალა მეფემ. იმ ადგილების საქმეებს, რომლებიც სატახტო ქალაქის მახლობლად მდებარეობდნენ, თვით მეფე განაგებდა, დანარჩენები კი შერიფებს ებარათ.

გარდა ტყეებისა და მამულებისა მეფეს ეკუთვნოდა აგრეთვე თითქმის ყველა ქალაქები, რომელთა რიცხვი ოთხმოცამდე აღიოდა. ეს ქალაქები უმეტეს შემთხვევაში სოფლებს ჰგვანდნენ იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ქალაქს გარს ჯებირი ჰქონდა შემორტყმული ან და შიგ ციხესიმაგრე იყო აღმართული. როგორც სოფლის, ისე ქალაქის მცხოვრებლები მიწას მუშაობდნენ. წინეთ ქალაქები ადგილობრივ საქმეებს თითონვე განაგებდნენ. ეს უფლება ვილჰელმს მათთვის არ წაურ-

*) უპიკაპოსთ უფლება ჰქონდათ ეკლესიიდან ცოდვილი პირი განერისნათ. ვანრისხულს აკრძალული ჰქონდა საყდარში შესვლა, წირვა-ლოცვის მოხმენა, ზიარება და სხვ.



თმეცია. მხოლოდ მან მიუჩინა ნათ მოხელეები, რომლებმაც მოქალაქეებისაგან ხარკსა ჰკრებდნენ.

რა თქმა უნდა, ყველა სახელმწიფო საქმეებს მარტოდ-მარტო შეეფე ვერ გაუძღვებოდა. მისთვის საჭირო იყვნენ თანაშემწეები და მრჩეველნი. ესენი შეადგენდნენ მეფის სასახლეს. ასე, რომ სასახლე შესდგებოდა უმაღლეს მოხელეთა და მეფის მახლობელ ვასსალოთაგან. მთელი სასახლე შეიცავდა ორ ნაწილს: ხაზინას და უმაღლესს სამაჯავროს. პირველი ნაწილი განაგებდა ყოველგვარ საქმეს თულის შესახებ, ხოლო მეორის მოვალეობა იყო განეხილა საქმეები, რომელთა განსჯა-განსამართლება მეფეს ეკუთვნოდა. მეფე სასახლის კაცებს რჩევას ჰკითხავდა ხოლმე, თუმცა მისთვის ეს აუცილებლად სავალდებულო სრულიადაც არ იყო: ყურადღებას აქცევდა მათ რჩევას თუ არა, ეს მისი ნება იყო. წელიწადში სამჯერ: საშობაოდ, სააღდგომოდ და სული წმინდის მოყენის დღისთვის მეფე ნიობატიეებდა ყველა თავის ვასსალებს; ამ დროს სასახლეში სადღესასწაულოდ თავს მოიყრიდნენ ხოლმე ინგლისის მთელი დიდ-კაცობა და უმაღლესი სამღვდელიაება. ამ დღესასწაულობის დროს მეფეც გვირგვინით მორთული მათ შორის იმყოფებოდა. ამგვარი ყრილობები მეფესა და ვასსალოთა შორის არსებულ კავშირს აახლებდნენ.

ვასსალოთა მორჩილებაში ყოლა ადვილი საქმე არ იყო, თუმცა ვილჰელმი ძლიერი და მდიდარი მეფეც იყო. იმ ვასსალოთ, რომელნიც მასთან ერთად მოვიდნენ ინგლისში და ამ ქვეყნის დაპყრობაში დახმარება აღმოუჩინეს მას, სრულიადაც არ სურდათ მეფის მორჩილება. აგრეთვე უარს ამბობდნენ იგინი სამხედრო სამსახურზედაც და გადასახადზედ, რომელნიც მან ვასსალოთ ვალად დასდო. ამიტომაც იყო, რომ ჯერ კიდევ ინგლისი სრულად არ იყო დაპყრობილი, როცა მეფესა და ვასსალოთა შორის ჯერ განხეთქილება ჩამოვარდა და შემდეგ ბრძოლაც ატყდა. მაგრამ, როგორც ვთქვით, ვილჰელმი შემძლებელი, მდიდარი და მასთან მრისხანე და სასტიკი მეფე




ქართული
ლიბრერი

ბიბ

ემბრენ და შეჰფიცეს. მაგრამ მათილდასაც ჰყავდა მისი
 ნი და მისი უფლებების დამცველნი; ამიტომაც სტეფანემ თვი-
 სი შეფობა მათილდას წინააღმდეგ ბრძოლაში გაატარა. ამ
 არეულობის და ბრძოლის დროს ხალხი მეტად გაჭირვებულ
 მდგომარეობაში ჩავარდა; ათასნაირი განსაცდელი ადგა მას
 ვასსალთა უსამართლობის გამო, რომელნიც იმ ხანად თავ-თა-
 ვიანთ ციხეებში სცხოვრობდნენ. ამ ციხეებს გარს ერტყა სქე-
 ლი კოშკებიანი კედელი და წყლით ავსებული ღრმა თხრი-
 ლი. თხრილზედ გაკიდული იყო მოძრავი ხიდი. ამ ხიდს ჩა-
 მოუშვებდნენ მხოლოდ მაშინ, როცა სურდათ შესვლა ან გა-
 მოსვლა ციხიდან. ამგვარ ციხეებში დაშკვიდრებული ვასსალ-
 ნი მუდამ არბევდნენ, სძარცვავდნენ, ელცდნენ, ატყვევებ-
 დნენ და სტანჯავდნენ ახლო-მახლო მცხოვრებთ. ყოველგვარი
 უსამართლოება მათი ბელობა იყო: დატყვევებულთაგან ზოგს
 ფეხით ჩამოჰკიდებდნენ და ქვიდგან ცეცხლს მისცემდნენ,
 ზოგს ხელებს და ფეხებს ცეცხლში ჩააყოფინებდნენ, ზოგს
 თავზედ თოკს შემოაუჭერდნენ და მანამდის არ მოეშვებოდნენ,
 ვიდრე თავის ქალას არ გადუჭრიდნენ და ტყინს არ ამოასხ-
 მევინებდნენ; ზოგს გველ-ბაყაყებით ხავსე ციხეში ამოაყოფი-
 ნებდნენ თავს; ერთს ათავსებდნენ ვიწრო, წვეტიან ქვებით მო-
 ქედელ ყუთში; ამ ყუთში ჩამწყვდეული ოდნავ რომ განძრე-
 ულიყო, საშინელ ტანჯვას და ტკივილებს იგრძნობდა; მეორეს
 კისერზე გადააცვამდნენ უშველებელ ხის კუნძზე მიჭე-
 დილ რგალს; ეს კუნძი ისეთი მძიმე იყო, რომ მისი ადგილი-
 დგან დაძვრა სამს კაცს გაუძნელდებოდა. ასეთი კუნძი უნდა
 ეთრია საბრალო დასჯილს. სიმშლიისაგანაც ბევრი კაცისა
 მოეთხოვა სიკოცხლეს იმ საშინელ დროს. ეს დრო იყო,
 „დრო ძალ-მომრეობისა, დრო მუშტის უფლებებისა“.

ამ არევ-დარევას და ამბოხებას უმნიშვნელოდ არ ჩიუ-
 ლია არც შეფისათვის, არც ვასსალთათვის, არც სამღვდლო-
 ებისათვის და არც ინგლისის ხალხისათვის. სამოცდა ათმა





წელმა განხეთქილებაში განვლო, ამ ხნის განმავლობაში ფის გავლენა და ძალი მეტად შეიღახა და შემცირდა. ეს, რასაკვირველია, ასეც უნდა ყოფილიყო. მეფეები იძულებულნი იყვნენ დაეცვათ თავიანთი უფლებები; ამისათვის საჭირო იყო მტრების წინააღმდეგ მათ მომხრეები ჰყოლოდათ; ამიტომაც იგინი მუდამ ცდილობდნენ მიემხროთ ან უბრალო ხალხი, ან სამღვდელთა, ან და ვასსაღნი. რასაკვირველია, ამისათვის საჭირო იყო მეფეს ან დაეთმო, ან აღეთქვა ცოტა თუ ბევრი რამ ხან ერთისათვის, ხან მეორესათვის, ხან მესამისათვის და ხან კიდევ ყველასათვის.

ასე შემცირდა მეფის ძალი და მასთან ერთად იმატა ვასსაღთა ძლიერებამ და სიმდიდრებაც. რამდენაც ხანი გადიოდა, იმდენი უფრო მეტი ადგილ-მამული გადადიოდა ვასსაღთა ხელში. ჯერ კიდევ მეფე სტეფანემ ნება დართო ვასსაღთ ციხე-კოშკების აშენებისა. რა თქმა უნდა, ვასსაღნი ისარგებლებდნენ ამით. მათ ააშენეს მიუდგომელი ციხეები, გამაგრდნენ შიგ და მუტის გამბედაობით შეუდგნენ თავის დაცვას და ბრძოლას თვით მეფის ჯარის წინააღმდეგ.

ამ დროს განმავლობაში არა ერთხელ დაუდგია მეფეს აღთქმა, აღარ შეევიწროვებინა ვასსაღნი, არ აეღო მათგან ზედ-მეტი გადასახადი; მაგრამ, აიცილდნენ თუ არა თავიდან მეფეები ვასაჭირს, აღთქმასაც დავიწყებას მისცემდნენ ხოლმე. სამაგიეროთ ასეთ აღთქმას არ ივიწყებდნენ ვასსაღნი და ყოველი ხერხიანი შემთხვევით სარგებლობდნენ მოვეგონებინათ მეფისათვის პატიოსანი სიტყვა.

კიდევ უფრო მეტად, ვინემ ვასსაღნი, ამ დროს სამღვდელთა გადადიოდა. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ვიღოველი დამპყრობელის დროს სამღვდელთა დამოკიდებული იყო მეფისაგან. არეულობით და ამბოხებით სამღვდელთა მაც კარგად ისარგებლა და ეს დამოკიდებულება საგრძნობლად შეიმსუბუქა: ის ეწლია თვითონ ირჩევდა ეპისკოპოსებს, ჰქონდა საკუთარი სასულიერო სამსჯავრო, სადაც თვითვე ასამართლებდა სასული-



ერო პირებს, რა გინდ დიდი დამნაშავენი ყოფილანო, თუნდა კაცის მკვლელნიც; კანონებიც საქლდელოებას ეკლესიური ჰქონდა და არა ჩვეულებრივი; საეკლესიო კანონები კი გაცილებით მსუბუქი იყვნენ ჩვეულებრივზედ. თუ სასულიერო პირნი უკმაყოფილონი იყვნენ თავიანთ სამსჯავროს გადაწყვეტილებით, იგინი საჩივრით შეფეს კი არ მიმართავდნენ ხოლმე, როგორც ეს ვილჰელმ დამპყრობელის დროს ხდებოდა, არამედ რომის პაპს; პაპი კი შეფის დაუკითხავად ასამართლებდა მომჩივართ.

არა მცირედი სარგებლობა მოუტანა არეულობამ ინგლისის ხალხსაც. ურჩ ვასალოთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს მეფეები იძულებულნი იყვნენ შეემართათ ხოლმე თავიანთ ქვეშევრდომთათვის და დახმარება ეთხოვა მათთვის; ხალხს მეტად სძულდა ნორმანელი ვასალნი, რადგან უზომოდ შევიწროებული იყო მათგან, ამიტომაც იგი სიამოვნებით იკრიბებოდა მეფის დროშის ქვეშ. ხალხმა ხელახლად ივრძნო თავისი ძალი; მან დაინახა რამდენათ საჭირო იყო იგი მეფისათვის და რამდენად სასარგებლო მეფესთან ერთად მოქმედება. ანგლო-საქსებმა თანდათან სცნეს თავი ერთ ხალხათ. როდესაც ვილჰელმ დამპყრობელის შვილმა, გენრიმ პირველმა, ცოლიად შეირთო ანგლო-საქსელების ძველი მეფეების ნათესავი მატილდა, ინგლისელებმა ისეთნაირად დაუწყეს ცქერა ნორმანელ მეფეს, როგორც ნამდვილ ინგლისელს; თავიანთი მხრივ მეფეებიც აღარ არჩევდნენ ერთი მეორისაგან ანგლო-საქსებს და ნორმანელებს. ასი წლის ერთად ცხოვრებამ გამარჯვებულთა და დამარცხებულთა შორის განსხვავება მოსპო. ნორმანელთა და ანგლო-საქსებთა შორის ქორწინება გააშირდა; ეს ახლა აღარავისათვის საჩოთირო აღარ იყო. გამარჯვებული ნორმანები თავს ინგლისელებად რაცხდნენ. ვილჰელმის დროს სიტყვა ინგლისელი ლანძღვა იყო, ახლა კი საპატიო შეიქნა. „ჩვენ ინგლისელები ვართ“, კვებით გაიძაბოდნენ გამარჯვებულები.

ყველაზედ მეტი მოიგეს წარსული არეულ-დარეულობის

და შფოთის დროს მოქალაქეებმა. ამ დროის განმავლობაში ქალაქების და მათი მცხოვრებლების რიცხვმა ძლიერ იმატა. საქმე იმაშია, რომ ასეთ საშიშ დროს ყველა საიქედო თავშესაფარს ეძებდა, რომ თავიც და ქონებაც საფრთხეს გადაერჩინა. ამიტომაც ხალხი ქალაქებისკენ მიედინებოდა, აქ იკრიბებოდა და ქალაქის კედლებს შიგნით თავს განსაკდლისაგან უფრო დაფარულად მგრძნობდა, ვინემ სხვაგან. ამ რიგად ქალაქებს დიდძალი ხალხმა შეაფარა თავი; რასაკვირველია, მეფეები ცდილობდნენ ამ ხალხის ძალ-ღონე მათდა სასარგებლოთ ყოფილიყო მიმართული.

ამიტომაც იყო, რომ მეფეებმა ქალაქებს ძველი უფლებები შენარჩუნეს. მაგალითად, ქალაქებს ნება ჰქონდათ ყრილობა მოეზდინათ, სადაც იგინი ყველა ადგილობრივ საქმეებს არჩევდნენ და განაგებდნენ. ზოგიერთ ქალაქებს შერჩათ აგრეთვე მათი ადგილობრივი სასამართლოები, სადაც ხალხს ძველი ინგლისური კანონების და ჩვეულებების თანახმით ასამართლებდნენ. მოქალაქეები თვითონვე აწეს-რიგებდნენ და ანაწილებდნენ თავიანთ შორის მეფისაგან შემოღებულ გადასახადს. მეფეები ქალაქებს, თავისი სამეფო ბეჭდით დამოწმებულ ღრამატებს და ხარტიებს აძლევდნენ. ამ ღრამატებში ჩამოთვლილი იყო მოქალაქეთა უფლებები. ასეთი ღრამატა მიიღო, მაგალითად, ინგლისის უდიდესმა ქალაქმა ლონდონმა გენრიხ პირველისაგან. ამ ღრამატის მსგავსი იყო სხვა ღრამატებიც. ზოგიერთი ქალაქები პირდაპირ ყიდულობდნენ ხარტიებს. მეფეებიც ასეთ ხარტიებს დიდის სიამოვნებით ჰყიდდნენ, რადგან ერთის შირით ამ გზით კარგა ძალი ფული შემოსდიოდათ და მეორეც, მათ ყოველთვის შეეძლოთ ბოძებული ღრამატა ჩამოერთმიათ მოქალაქეთათვის, თუ ესენი რაიმე დანაშაულობას ჩაიდენდნენ. მიწა, რომელზედაც მდებარეობდა ქალაქი, მეფეს ეკუთვნოდა და ამიტომაც ქალაქი მეფის ქონებად ითვლებოდა. აი რა დიდმნიშვნელოვანი ცვლილები მოჰყვა შე-



დევად ვილჰელმ დამპყრობელის შემდეგ ატეხილ შტურმს და არეგ-დარეგას.

§ 5.

გენრიხ მეორე პლანტაგენეტი. — გენრიხის შეძლება და სიწილიდრე. — ბრძოლა გენრიხსა და ვასსალთა შორის. — ფარის ფული პირადი საშუალო ბევარის შავიერ. — ბრძანება ჯარის შესახებ. — ბრძოლა გენრიხსა და სამღვდელთა შორის. — თომა ბეკეტი. — ყრალობა კლარენდონში. — დიდი საბჭო. — მოსიარულე მსახურნი. — ნაფიცთა სასჯავრო. — გენრიხის აღსასრული.

არეულობას მხოლოდ მაშინ მოვლო ბოლო ინგლისში, როცა ტახტზედ ავიდა ვილჰელმ დამპყრობელის შვილის-შვილი, გენრიხ მეორე. გენრიხზედ უახლოესი ნათესავი მეფის სახლისა იყო კიდევ, მაგრამ არავის, გარდა გენრიხისა, სამეფო ტახტზედ ასვლის სურვილი არ გამოუშვლავნებია. გენრიხ მეორე, პლანტაგენეტად წოდებული, თვით ვილჰელმ დამპყრობელზედ უმდიდრესი და უზლიერესი იყო. ვილჰელმი ჰელობდა მხოლოდ ინგლისს და ნორმანდიას; გენრიხს კი გარდა ამისა მთელი იმ დროინდელი საფრანგეთის შესამდეც ეპყრა, ასე რომ გენრიხი საფრანგეთის მეფეზედაც ძლიერი იყო. რა გასაკვირველია, თუ ასეთმა ძლიერმა და მდიდარმა მეფემ ინგლისის ვასსალთა და სამღვდელთა დასამორჩილება მოინდომა.

ავიდა თუ არა გენრიხ მეორე ტახტზედ, ხელი მიჰყო ვასსალთა უფლებების შეზღუდვას და შევიწროებას. მან უკანვე დაიბრუნა არეულობის დროს ვასსალთაგან მიივიწყებული და მეფე სტეფანესაგან გაცემული რამოდენიმე მიწული. გარდა ამისა მან უბრძანა ვასსალთ დაენგრიათ თავიანთი ციხე-კოშკები, რომლებიც მათ ისე თავისუფლად ააგეს არეულობის დროს. ამბობენ, მეფის ბრძანებით სამას ციხეზედ მეტი დაანგრისა, მაგრამ მეფეს, ცოტა არ იყოს, მაინც ეშინოდა თავისი ვასსალებისა და მაინცა და მაინც მათი დიდი



ნღობა არა ჰქონდა. მეფე კდილობდა, რაც ^{გარდა ამისა} ^{მეფემ} ^{გამოსცა} ^{„ბრძანება} ^{ჯარის} ^{შესახებ“.} ნაკლებად ყოფილიყო დამოკიდებული თავის ვასალებზედ, ამიტომაც მან პირადი სამხედრო ბეგრის მაგიერ ფულით გადასახადი შემოიღო. თითოეულ ვასალს, რომელსაც არ ჰსურდა მეფის ჯარში სამსახური, შეეძლო ამის მაგიერ მეფის სასარგებლოდ გამოეღო ეგრედ წოდებული „ჯარის ფული“. ბეგრს ვასალთაგანს სამხედრო სამსახური მძიმე ტვირთად აწვა, რადგან ბრძოლის დროს იგინი ხშირად იძულებულნი ხდებოდნენ ინგლისი მიეტოვებინათ და მეფეს საფრანგეთში ან შოტლანდიაში გაჰყოლოდნენ საბრძოლველად. ამ გზით თავის დახსნის მსურველი ბეგრი აღმოჩნდა. იმ ფულით, რომელიც ამ რაგად შემოუვიდოდა მეფეს, შეეძლო ჯარი დაეჭირავებინა; ასეთი ჯარი მხოლოდ მის მორჩილებაში უნდა ყოფილიყო და ჯამაგირიც მხოლოდ მისგან მიეღო; ასე რომ მეფეს ამ ჯარის მოკრების დროს ვასალთაგანში მიქცევა აღარ ესაჭიროებოდა.

გარდა ამისა მეფემ გამოსცა „ბრძანება ჯარის შესახებ“. ამ ბრძანებაში ნათქვამი იყო: „თითოეული თავისუფალი კაცი ვალდებულია დაიცეს თავისი ქვეყანა და გამოცხადდეს შეიარაღებული მეფის პირველ მოწოდებისათნავე“. მაშასადამე, პლანტაგენეტი ფულსაც ბოქდა ჯარის დასაჭირავებელ და საჭიროების დროს სასამსახუროდ ხალხის მოწოდებაც შეეძლო.

ვასალთა დამორჩილებაზედ სამღვდელოების დამორჩილება უფრო ძნელი შეიქნა. იმ დროს კენტერბერის არხიეპისკოპოსად იყო თომა ბეკეტი. ბეკეტი მეფის მეგობარი იყო, მეფემ თვითონ დანიშნა იგი პრიმასად თვით სამღვდელოების სურვილის წინააღმდეგ. მეფეს იმედი ჰქონდა ბეკეტი ეკლესიის დამორჩილებაში დაქნებარებაო; ეკლესიის დახმარებით კი მეფე იმედოვნებდა ხალხსაც დაეიმორჩილებ და ყველასო, მაგრამ ასეთი იმედი არ გამართლდა. ბეკეტი ამბობდა „საყდარი სრფლებითაც არ უნდა ემორჩილებოდეს მეფესაო“. მან უარ

ჰყო საკლესიო მიწებზე მეფის სასარგებლოდ დასახადი. გარდა ამისა ბეკეტმა სასულიერო პირთ უბრძანა—
 ამიერიდგან სასულიერო სასამართლოში გასამართლებულიყ-
 ნენ ზოლმე, ზოლო სასულიერო მსაჯულებს დაევალო—სამარ-
 თალი ეწარმოებინათ თანახმათ საეკლესიო და არა საერო კა-
 ნონებისა; ბეკეტმა აღკრძალა აგრეთვე სასულიერო სასამარ-
 თლოს გადაწყვეტილება მეფესთან აღარაეის განესაიხივებინა,
 რომის პაპიც, რომელიც მუდამ იმის მსურველი იყო, რომ
 საყდარი ყველგან მისი მორჩილი ყოფილიყო და არა მეფისა,
 რა თქმა უნდა მხარს უჭერდა თომა ბეკეტს. ერთხელ ერთმა
 მღვდელმა ვასალი მოკლა. ეს მღვდელი სასულიერო სამსჯავ-
 რომ გასამართლა და გაამართლა კიდევ: მაშინ სამეფო სამ-
 საჯულომ მკვლელი სასამართლოში დაიბარა. ბეკეტმა მკვლელს
 საერო სასამართლოში გამოაცხადება აღუკრძალა და თავისს
 საარბიეპისკოპოსო სამსჯავროში დაიბარა იგი.

აქ მღვდელს მსუბუქი სასჯელი მიუსაჯეს. ახლა კი ცხა-
 დათ დაინახა მეფემ, თუ რანდენათ საშიშო და სახიფათო იყო
 მისთვის სასულიერო სასამართლო და ამიტომაც გადასწყვი-
 ტა მან აღედგინა ისევ ვილჰელმ დამპყრობელის ძველი კანო-
 ნები სამღვდელოების შესახებ; რადგან ამ კანონებს თავისთვის
 უფრო სასარგებლოდ სთვლიდა. მაგრამ როგორ უნდა მოე-
 ხერხებინა ეს მეფეს? ბრძანებით? კი, მაგრამ მეფე დარწმუნე-
 ბული იყო, რომ ბეკეტი მის ბრძანებას არ აღასრულებდა და
 პაპი ხომ კიდევ მოუწონებდა ბეკეტს ასეთ ურჩობას. დაე-
 ტანებინა ძალი ბეკეტისათვის? ეს შეუძლებელი იყო: ბეკეტი
 ხომ პირველი სამღვდლო პირი იყო ინგლისში; იგი იყო პრიმისი
 ინგლისის ეკლესიისა. ინგლისის ხალხი ღვთისმოყვარული და დი-
 დი პატივის მცემელი იყო არბიეპისკოპოსისა. მეფემ იცოდა,
 თუ რა თვალთ შეხედავდა ინგლისის ხალხი, რომ ასეთი პი-
 რისათვის ძალი დაეტანებია.

ასე უნაყოფოდ ჩაუარა გენრიხს პირველმა კრებამ. მაგ-
 რამ ამას არ შეუწინდა იგი. მალე მან ხელახლად შიახდინა



მეორე კრება თავისს სასახლე კლარენდონში დასწავლა. მეტეხუბე
 ძველი კანონების დამორჩილებაზედ სრული უარი განაცხადა. მეფე საშინლად განრისხდა; მან იქვე ყრილობაზე მრისხანე-
 ბით წარმოსთქვა: „მე სასტიკად და შეუბრალებლად მოვექ-
ცევი სამღვდელთა პირებს, თუ თქვენ ჩემს ნებას არ დაემორ-
ჩილეთო“. ეპისკოპოსებს შეეწინადათ მეფის მოქარისა. ზოგი-
 ერთნი გაიქცნენ კიდეც სასახლიდგან შიშისაგან თავზარ-და-
 ცემულნი. ზოგნი ვასალთა და ეპისკოპოსთაგანი წარს-
 ღდგნენ ბეკეტის წინაშე და სთხოვეს— შეებრალებინა მას სამ-
 ღვდელთა და დაეთმო მეფისათვის; ბეკეტმა პატივი დასდო
 მათ თხოვნას და სიტყვა მისცა, ამიერიდგან ძველ კანონებს
 შევესრულებო. ბეკეტისამებრ სხვა ეპისკოპოსებმაც დასდვეს
 ასეთი აღთქმა. შენდევ შეადგინეს მუხლები, რომლებშიაც ძვე-
 ლი კანონები სამღვდელთა შესახებ მკაფიოდ და გადაჭრით
 აღნიშნეს.

აი რა ნაირად მოეწყო მეტად ღირს-შესანიშნავი სა-
 ქმე; მეფემ პირველად მოუწოდა თავის ვასალთ, როგორც
 სამღვდელთა პირთაგან, ისე ერის კაცთაგან, მაგრამ საჭედივით
 და სადღესასწაულოთ, ან ფიცის ჩამოსართმევად კი არა, რო-
 გორც წინეთ ჰქონდათ ამის ჩვეულება, არამედ მისთვის, რომ
 შეპკითხებოდა მათ და თანახმობა მიეღოთ მათგან უმთავრეს
 კანონებზედ. ასეთი ყრილობები სასარგებლო შეიქმნენ მეფე-
 სათვის. ვასალთა თანხმობით მას შეეძლო გაეკეთებინა ის, რის
 გაკეთება მარტოდ-მარტო, მათდა დაუთანხმებლად, არ შეეძ-
 ლო; არც ვასალთათვის იყო უმნიშვნელო და უსარგებლო,
 რომ მეფე რჩევას და თანხმობას თხოულობდა მათგან. მათ
 შეეძლოთ მეფისათვის კარგი რამ რჩევა მიეცათ, ანდა მისგან
 რაიმე შელავათი მიეღოთ.

ამისათვის აი რა მოაგვარა გენრიხმა; მან მოუწოდა ეპი-
 სკოპოსებს და ვასალებს ვესტმინსტერში. ვესტმინსტერი იყო
 პატარა ქალაქი ლონდონის მახლობლად; აქ მეფეს მშვენიერი
 სასახლე ჰქონდა. შეიკრიბნენ ვასალები და ეპისკოპოსნი. მე-



ფემ უბრძანა მათ პირველ ოქტომბერს მასთან გამოცხადებულნიყენენ. მოიყარეს თავი მოწოდებულებმა; მოვიდა ბეკეტოც. მეფე გამოცხადდა კრებაზედ და სთქვა: „მე თქვენ მოგიწოდეთ იმისთვის, რომ თქვენის თანხმობით და რჩევით დიდ-მნიშვნელოვანი საქმეები გადავწყვიტო“. ამასთან აი როგორი წინადადება მისცა მათ: „სასულიერო სამსჯავრომ ასამართლოს სასულიერო პირები; ხოლო თუ მსაჯულები დაინახავენ, რომ ამ პირთ მძიმე დანაშაული რამ ნიუძღვის, გამოირიკონ იგინი სასულიერო წოდებიდან და მათი საქმე გადასცენ საერო სამსჯავროსო“. ბეკეტმა ამაზე უარი სთქვა. მან მეტად ცხარე სიტყვები წარმოსთქვა მეფის წინადადების წინააღმდეგ. ამ სიტყვებმა ეპისკოპოსები ზე ვასსალნი ისე შეაშფოთა, რომ არ იცოდნენ რა ექნათ. მაშინ მეფემ შესცვალა თავისა აზრი. ეხლა მისი წინადადება იმაში ჰდგომარეობდა, რომ ყრილობის დამსწრეთ განეცხადებინათ, თანახმა ვართ დავიცვათ ინგლისის ძველი კანონები, რომელნიც პირველი მეფეების დროს არსებობდნენო. ეპისკოპოსებმა ამ წინადადებას კი ველარ ჰყვეს უარი. მათ მოილაპარაკეს ერთმანეთ შორის და აგრეთვე თომა ბეკეტთან და განაცხადეს: „ჩვენ თანახმა ვართ დავიცვათ ძველი კანონები, მაგრამ ისეთნაირად კი, რომ არ შეილახოს ან არ დაირღვეს წმინდა ეკლესიის უფლებანიო“. მეფე მეტად უკმაყოფილო დარჩა ამ უკანასკნელ სიტყვებით; მან სხდომა მიუქართ მიატოვა.

ამ პირველი ცდის შემდეგ გენრიხი, როცა უნდოდა რომელიმე ახალი და დიდ-მნიშვნელოვანი კანონი შემოეღო, თვის ვასსალთ მოუწოდებდა ხოლიმე. აი ასეთ ყრილობას ეწოდა დიდი საბჭო. დიდი საბჭოს თანხმობით გენრიხმა შემოიღო ახალი სასამართლო. მთელი სამეფო მან რამდენიმე სასამართლო ოლქად დაჰყო. ათთუელ ოლქს მიუჩინა სამ-სამი მსაჯული. ეს მსაჯულები მოვალენი იყვნენ თავიანთ ოლქებში ვარნათ, რის გამოც ეწოდებოდათ მათ „მოსიარულე მსაჯულები“. მივიდოდა თუ არა მსაჯული თავის ოლქში, მოუწო-



დებდა ახლო-მახლო მცხოვრებ მიწათ-მფლობელებსა და ოდეს
 ვაცს თითოეულ პატარა ქალაქ-დაბებიდგან; ამ ადგილობრივ
 მცხოვრებთა შორის აირჩევედნენ ხოლმე თორმეტ კაცს; ეს თორმე-
 ტი კაცი ფარგებოდა საქმის გარჩევის, დაწინაშავის გასამართ-
 ლებას, ისმენდა რასაც ლაპარაკობდნენ ბრალდებულის წინაა-
 ლმდეგ ან სასარგებლოდ და მსჯავრსა სდებდნენ ბრალდებულის;
 დამწინაშავე იყო ის თუ არა. ეს თორმეტი არჩეული ფიცსა
 სდებდა სინიღისიერად ესამართლათ, ამიტომაც მათ „ნათიცი
 მსაჯულებს“ ეძახდნენ. ნათიცი მსაჯულობა სამსჯავროს დღესაც
 არსებობს ინგლისში. ინგლისელები ძირიელ დიდად აფხვებენ
 ამ სასამართლოს. ნათიცი მსაჯულები თავიანთ გადაწყვეტილე-
 ბაში არავის წინაშე პასუხის მგებლები არ არიან. იგინი სჯი-
 ან საქმეს სინიღისის და სიმართლის ქვეშ; მიუღდათ და
 თავიანთ მიხვედრილობის თანახმად. ასეთი მსაჯულებიაა-
 გან უფრო ადვილად მოხალოდნელია სამართლიანი მსჯავრი,
 ვინემ ისეთისაგან, რომელსაც მთავრობა წინაშეს და რომელსაც
 ამა თუ იმ შემთხვევაში შესაძლოა თანამდებობა ჩამოერთვის.

მართლ-მსაჯულებზე ზრუნვით გენრიხი ინგლისის ხალხის
 მიძხრობას ლაპობდა. მეფეს არც მოქალაქეები დავიწყებია. მათ
 ვულის-მოხაგებად მეფე ქალაქებს ხარტუებს ანუ ღრამატებს აძლე-
 და. გენრიხის მეფობამდის ხარტია შქანდა მიღებული ჩვიდმეტ
 ქალაქს, გენრიხმა კი რაცდა თოთხმეტ ქალაქს მისცა ხარტია.

ასეთნაირად მართავდა გენრიხი სამეფოს, მართალია, და-
 ვის თავი და საკუთარი სარგებლობა არ ავიწყებოდა მას,
 მაგრამ თუ საქიროება მოითხოვდა, მოპირდაპირეს დაუთმობდა
 ხოლმე გენრიხის მერვე მეფობდნენ ერთი-მეორის შემდეგ მრ-
 სი ორი ვაჟიშვილი. მათი მეფობის დროს საქმე სულ სხვანაი-
 რად დატრიალდა. გენრიხის შვილის ელიანეს მეფობაში კი
 ისეთი რამ მოხდა, რაც ინგლისელების უფლებმათა და თავი-
 სუფლების სათავედ შეიქნა. ინგლისელები ეხლაც აღიღიან მად-
 ლობით იხსენიებენ მაშინდელ წარსულს. ამ საქმე რაში იყო,

ინგლისელები ეხლაც აღიღიან მადლობით იხსენიებენ მაშინდელ წარსულს. ამ საქმე რაში იყო,



მეფე იოანე უმიწო. — რამდენ უსამართლობას ჩადიოდა იოანე, რამდენად ავიწროებდა ბაღს, რა ცუდად განაჯებდა სამეფოს. — როგორ დაემორჩილა იოანე პაპს. — როგორ იბრძოდა იგი ვასსალთა წინააღმდეგ. — ვასსალთა თაყურობა წმინდა პავლეს ეკლესიაში. — ვასსალთა კავშირი. — რას თხოულობდნენ ვასსაღნი და რა პასუხი მიიღეს მეფისაგან. — ვასსაღნი ბრძოლით სწვევდნენ საქმეს. — საშველობო პირობა ვასსალთა და მეფის შორის.

გენრიხის შვალი იოანე მეტად ცუდი კაცი იყო; ის იყო ერთი უსუსულო-გულო, თავისი თავის მოყვარული, გარყვნილი, მუხანათი და შეუბრალებელი მბრძანებელი. სხვასაც თუ ჰქონდა რაიმე უფლება, ეს მისთვის სრულიად წარმოუდგენელი იყო; მის ნებას რომ ვინმე გადასულიყო, ის ამის ვერ შეუტყობებოდა და ვერ აიტანდა. მან სრულიად უარ ჰყო და დაივიწყა მამის მაგალითი: ის აღარ იწვევდა სათათბიროდ ვასსაღთ და არც თანხმობას სთხოვდა მათ; პირიქით, ის მათ საშინლად ავიწროებდა, აცლიდა ხელიდგან ლენებს უმიწებოდ და უკანონოდ, სდევნიდა და აძევებდა მათ ინგლისიდგან. ბევრი ფრთად ცნობილი და დიდი კაცი, იოანესაგან ინგლისიდგან განდევნილი, იძულებული შეიქმნა უცხო ქვეყანაში ესეტიალნა და ემათხოვრნა. ვასსალთა შეიღებს, რომელნიც იძულებულნი იყვნენ მეფის კარზე ეცხოვრათ, როგორც მძევლებს, იოანე ხან ციხეში ამოაყოფინებდა თავს და შიმშილით სტანჯავდა, ხან ვინ იცის რა უსამართლობას სჩადიოდა მათ წინააღმდეგ; ზოგი მათგანი ჩამოაბრჩობინა კიდევ, რომ ამით შაინც მიეყენებინა სასჯელი მათი მამებისათვის. ბევრ ვასსალთა ცოლებს და ქალიშვილებს ახადა წამუსი იოანემ, რის გამო მას ბევრი უკანონო შვილი დარჩა. გარდაცვალებულ ვასსალთა მემკვიდრე ქალიშვილებს, რომელთა მხრუნველად თვითონ ითვლებოდა, იოანე ძალ-დატანებით მათხოვებდა ხოლმე, ვისაც უნდოდა, ის გაათხოვარის ცრემლ-



მუდარებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მისი თხოვნებში ის ჰყიდდა ახალგაზღვა ქალებს და ვინც მეტს ფულს გაიღებდა, გასათხოვარს იმას მიჰყიდდა.

იოანნე ურცხვად და უსინიღისოთ სწავრავდა ვასსალთ, გაცილებით მეტს ახდევინებდა მათ, ვინც ვალდებული იყვნენ იგინი კანონით და ზევულებით. დასჭირდებოდა თუ არა ფული, ვასსალნი მხად უნდა ყოფილაყვენენ, იმ წამხვე უნდა წარედგინათ მეფისათვის საჭარო ფული. ფული კი მულამ აკლდა იოანნეს, რადგან მას საფრანგეთთან ხანგრძლივი ომი ჰქონდა. საფრანგეთის მეფემ იოანნეს ხელიდგან გამოაცალა თითქმის ყველა მისი საფრანგეთში მდებარე სამფლობელოები. იოანნეს მაინცა და მაინც უნდოდა ჯეკანვე დაებრუნებინა დანაკარგი, რის გამოც მან რამდენჯერმე გაილაშქრა საფრანგეთის წინააღმდეგ, მაგრამ ამოდ: ვერაფერი მან უკან ვერ დაიბრუნა, რისთვისაც მას უმიწო უწოდეს. უწინდელი მეფეები ცდილობდნენ კარგი ურთიერთობა ჰქონოდათ მოქალაქეებთან; იოანნე კი მოქალაქეებს დიდ შეურაცხყოფას აყენებდა და მეტად სწავრავდა: იგი არღვევდა ქალაქების ხარტიებს თვისი სურვილისამებრ, უმატებდა მოქალაქეთა გადასახადება, ავიწროებდა მათ ვაჭრობას, ახდევინებდა თავისუფლათ ვაჭრობისათვის განსაკუთრებულ გადასახადს. ხალხიც დიდ გაჭირვებაში იყო მის ხელში: მას აუტანელ ტვირთად აწვა უზომო გადასახადები, ყოველ სამართალს მოკლებული სასამართლოები, ათასნაირი ჯარიმები და მეფის მოხელეების უსამართლოება. ჯარიმები მეფის ხაზინაში შეჰქონდათ, ამიტომ მეფის მოხელეები დიდს გულმოდგინებით ეძებდნენ შემთხვევას, რაც შეიძლება მეტი ჯარიმა აეღოთ.

რა თქმა უნდა, მეფე იოანნე ყველა მისს ქვეშევრდომს სძულდა—დიდკაცობასაც და უბრალო ხალხსაც. ყველა უსამართლოებას და ბოროტებას იოანნემ ისიც ზედ დაუმატა, რომ ადვა და რომის პაპს დაემორჩილა. პაპები დიდი ხნიდგან ცდილობდნენ ინგლისის ეკლესიის და მეფეების დამორჩილე-



ბას. იოანნეს დროს პაპათ გაპქრიახი, ნომქმედი, შეუღოვეკული და დიდების მოყვარე კაცი იყო. სხვა სახელმწიფოებში მას დიდი გავლენა ჰქონდა. პაპმა მოითხოვა, რომ იოანნეც მისი მორჩილი, მისკან დამოკიდებული ყოფილიყო. იოანნემ პირველად ყურძი არ ათხოვა ამას და გადაჭრით უარჰყო პაპის წინადადება, მაგრამ შემდეგ დაფიქრდა და გადასწყვიტა პაპს დამორჩილებოდა. შემდეგ ამისა მან მოუწოდა ვასსალით ერის კაცთა და სამღვდლოებიდგან და მათი თანდასწრებით განუცხადა პაპის მოციქულს: „მე ვსცნობ თავს პაპის ვასსალად და ინგლისს—მის ღვინად; მე ჩემი გვირგვინი და სახელმწიფო პაპისაგან მიმიღიაო“. შემდეგ მან ერთგულების ფიცი მისცა პაპს და ხელი მოაწერა ღრამატას, რომელშიაც მას ყოველწლიური ხარკი აღუთქვა. მაშინ ხალხში იწყეს ღაპარაკი: „ჩვენი მეფე ვასსალია პაპისა, მან პატივი ახადა შეფის და თავისსუფალი კაცის წოდებას. სირცხვილი ინგლისისათვის ხო“.

ასეთ აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ ინგლისელები თითქმის თუთხმეტი წელიწადი. ბოლოს მოთმინებიდგან განოსული ვასსალნი შეიკრიბნენ ლონდონში, შეიყარეს თავი წმ. პავლეს ეკლესიაში და შეუდგნენ დაფარულად რჩევა-თათბირს. ამ კრებას შეთაჰრობდა კენტერბერიის არხიეპიკოპოსი. კრებაზე მეფეს უჩიოდნენ შეურაცხყოფისათვის და ამბობდნენ, მეფეს ჩირადაც არ მიაჩნია ჩვენი უფლებები და უარს ჰყოფს მათ; გვაწიოკებს და გვარბევს თავისი უსამართლო გადასახადებით; მისგან ჩვენ ცოლებს და ქალიშვილებს პატივი ახდელი აქვთ; ჩვენ ფულებს უნაყოფო ჩნუბებზე ხარჯავსო და სხვ. ასეთი საჩივრები და საყვედურები ისმოდა ყოველი მხრიდგან. კენტერბერიის არხიეპისკოპოსმა ვასსალნი გენრიხ პირველის ღრამატას გააცნო; ამ ღრამატიდგან სჩანდა, რომ გენრიხ მეფეს ვასსალთათვის აღუთქმა მიეცა—თქვენ უფლებებს დავიცავო. გარდა ამისა არხიეპისკოპოსმა მოავგონა მათ, რომ ძველად ნორმანდიის მეფეები, გენრიხ მეორის დრომდის, ტახტზე ასე-



ლის ღროს ფიცსა სდებდნენ ინგლისის ძველ მასწავლებლებს და მასწავლებლებს ანგლიკანურ ეკლესიას. მასწავლებლები ვიქნებოთ და ახნაურობის და სამღვდლოების უფლებებს და თავისუფლებას დაეცაეთო. ვაჰალნი დაადგნენ იმ გადაწყვეტილებას, რომ იოჰანესაც დავალეზდა შეუღაზავა და წმინდათ დაეცა მათი უფლებანი. ამ მიზნით ისინი შევედმირდნენ და შევპიკეს ერთმანეთს: თუნდ იარალის ხმარება დაგვიკირდეს. მეფე მაინც იძულებული ვყოთ ჩვენი წინადადებები შეასრულოსო.

იოჰანე ამ ღროს ინგლისში არ იყო, ის მაშინ საფრანგეთს ეომებოდა, ამ ომში დამარცხებული და შერცხვენილი იოჰანე შეტად უკმაყოფილო დაბრუნდა ინგლისში. საშობაოდ შეიკრიბნენ ვასალნი ლონდონში, შეიარაღებულნი გამოცხადდნენ სასახლეში და წარუდგნენ მეფეს, თანაც წარუდგინეს მას ძველი ღრამბატაც და განუცხადეს, რაც ჰსურდათ. მეფე ერთიანად აერთო: „ბარემ თვით სამეფო მომთხოვეთო“, დაიღრიალა ბრაზმორეულმა იოჰანემ, მაგრამ უარის თქმა ვერ გადასწყვიტა და სთხოვა ვასალთ აღდგომამდის მოეცადნათ. მეფეს განზრახვა ჰქონდა ამ გზით საქმე გაეგრძელებინა. ვასალნი დასთანხმდნენ. იგდო თუ არა ხელთ დრო ნეფემ, ამისათვის მზადებას შეუდგა. დადვა აღდგომის დღესასწაულიც, ვასალნი ხელ-ახლად შეიკრიბნენ ლონდონის ახლოს და თან ჯარიც მოიყვანეს. გაუგზავნეს მეფეს მოციქულები და მოაგონეს—პასუხის ვადა უკვე მოვიდაო. იოჰანემ პირდაპირი პასუხის მაგიერ მათ წინადადება მისცა, ამ საქმის გარჩევა და გადაწყვეტა პაპის გადაეცეთო. ვასალნი უარზე დადგნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ პაპი მეფეს მხარს დაუჭერდა, რადგან ეს პაპისთვის ღიდად სასარგებლო იყო. ამიტომაც მათ ყოყმანს თავი დაანებეს, მეფის ციხეებს ჯარი მიაცენეს და რამოდენიმე მათგანი კიდევ დაიპყრეს. რადგან ხალხი ვასალთა მხარესუდ იყო, გზა და გზა მათ ჯარს ახალ-ახალი ჯარის კაცები ემატებოდნენ; ქალაქი ლონდონი შემოიხვეთ მიემარო, გაუღო მათ კარები და დახმარება აღმოუჩინა. მეფემ

სატახტო ქალაქიდგან მოკურცხლა და ერთ ზაღის კოდექსი ჩაიკეტა. მას მოპხრენი თითქმის აღარ შერჩენია; აღარავის შერ-
 ხა სურვილი მას გამოაჭქომაგებოდა, მისთვის ხელი გაეწოდა;
 ამავე დროს ვასსალთა ჯარი, რომელსაც სახელად უწოდეს—
 „მხედრობა ღვთისა და წმიდა ეკლესიისა“, თან და თან იზრ-
 დებოდა. რა უნდა ექნა იოანეს? მისმა დამქაშებმა მას ლრ-
 ჩიეს წასუღიყო და ვასსალებს მოლაპარაკებოდა. მეფე დათან-
 ხმდა და წინდაწინვე აცნობა ვასსალთ ეს მეფის მისვლის დრო
 დანიშნული იყო თუთხმეტ ივნისისთვის. ვასსალნი მდინარე
 ტემზის პირას დაბანაკდნენ. მეფე მკორე ამალით მოვიდა და
 ტემზის შვორე ნაპირზედ დაბინავდა. მდინარის წუაზედ კუნ-
 ძული იყო. ამ კუნძულზედ შეიყარნენ ვასსალთა მოციქულ-
 ნი და მეფის მოპხრენი მოსალაპარაკებლად. ვასსალთ უკვე
 მხად შქონდათ შორიგების პირობები; შეუდგენენ ამ პირობების
 მუხლების ცალ-ცალკე განხილვას. ერთი დღის განმავლობაში
 განიხილეს ყველა მუხლები, წარუდგინეს და წაიკეთახეს მე-
 ფეს. მეფემ მოისმინა და საშინლად განრისხდა. შორთო ყვი-
 რილი, უნდათ მეფობა წამართვანო; ბრახისაგან და შიშისაგან
 თავდავიწყებული, დაეშვა იგი იატაკზე, იწყო გორვა და ცოფი-
 ნივით ხის და ჩალის დრღნა, მაგრამ ამაოდ; მეტი ილაჯი არ
 იყო, თანხობა უნდა გამოეცხადებინა. ცოტა ხნის შემდეგ
 მეფე დამშვიდდა, და მოშმინდა და პირობას ხელი მოაწერა.
 ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, რომ მეფე სრულიადაც არ ჰფიქრო-
 ბდა ამ პირობის აღსრულებას.

[Faded text, likely bleed-through from the reverse side of the page]

§ 7.

თავისუფლებათა დიდი ხარტია.—დიდი ხარტიის უმთავრესი მუხლები: ა) განსამართლების შესახებ, ბ) გადასახადების შესახებ და გ) სამოქალაქო თავისუფლებათა შესახებ.—საბჭო წინააღმდეგობისა.—ბრძოლა დიდი ხარტიის გამო.—პაპის დახმარება.—ლიუდოვიკის მოწოდება.—იოანეს სიყვდილი.—შვილი მისი გენრიზი.—ლიუდოვიკის გაქცევა.

იმ პირობას, რომელზედაც იოანემ ხელი მოაწერა, სახელად „თავისუფლებათა დიდი ხარტია“ ეწოდებოდა. ერთი ასლი ამ ხარტიისა დღესაც ინახება ბრიტანიის მუზეუმში. დაწერილია იგი პერგამენტზე⁶⁾ და მეტად დაძველებულია. რადგონიღა ასე ძლიერ მეფეს ამ პირობისა, რა იყო მასში ასეთი?

აი რა იყო ნათქვამი მის პირველ მუხლში: „ჩვენ და ჩვენ შემკვიდრეთა მაგიერ ვანიჭებთ ჩვენი სამეფოს ყოველ თავისუფალ კაცს საუკუნოდ ქვემოთ აღნიშნულ უფლებებს, რომელნიც იქნება მათი და მათი შემკვიდრეების კუთვნილება და რომლებითაც ისარგებლებენ ივინი ჩვენგან და ჩვენი შემკვიდრეებისაგან“.

თვით ეს უფლებანი აი რაში მდგომარეობდნენ: „არც ერთი თავისუფალი კაცი არ უნდა იქმნეს დაქერილი, დაპატიმრებული, ანუ მის საკუთარ ქონებაზედ ხელაღებული, ან დატოვებული გარეშე კანონის მფარველობისა, თუ არ განსამართლების შემდეგ. ჩვენ მოვალენი ვართ თავისუფალი კაცი არც თვით ჩვენ განვასამართლოთ, არც სხვას ვისმეს მიესცეთ ნება მისი განსამართლებისა, თუ არ მის თანასწორს და არა სხვაფრივ, თუ არ თანახმად ჩვენი ქვეყნის კანონებისა“.

„ვერც ერთი გადასახადი ვერ იქნება შემოღებული თუ არ დიდი საბჭოს თანხმობით; ხოლო ამ საბჭოს მოწოდების დროს ჩვენ მოვალენი ვართ მოვიპატიოთ არხიებისკომონსი,

⁶⁾ პერგამენტი ტყავისაგან გაკეთებულ ქალღდს ჰქვიან.



ეროვნული

ებისკობასანი, მონასტერთა წინამძღოლნი, რჩეულნი ვასსალ-
ნი ჩვენი ბეჭდით აღნიშნულ ღრამატის საშუალებით; გარდა
ამისა ვალდებულნი ვართ მოვიპატიოთ შერიფთა საშუალე-
ბით ყველა ჩვენი ვასსალნი აღნიშნულ ადგილზე ორმოცი
დღით წინ მაინც კრების გახსნამდე; ყოველ მოწოდებით
ღრამატაში აღნიშნული უნდა იყოს მიზეზი მოწოდე-
ბისა“.

რადგან ქალაქებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს ვასსა-
ლებს მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ არც ისინი დაუ-
ვიწყნიათ ამ პირობაში.

„ქალაქ ლონდონს ნება ეძლევა წინანდებურად ისარგებ-
ლოს ძველი თავისუფლებით, როგორც ხმელეთზედ, ისე ზღვა-
ზედ. გარდა ამისა ჩვენ გვიბოძებია ყველა ჩვენი ქალაქებისა-
თვის, დაბებისათვის და ბოლანებისათვის მათი ძველი უფლე-
ბანი და ხარტიები“.

რა თქმა უნდა, აქვე განმტკიცებული იყო აგრეთვე სამ-
ღვდელთაობის უფლებანიც.

აი უმთავრესი მუხლები დიდი ხარტიისა.

ამ ხარტიაში განსაკუთრებით შესანიშნავი და საყურად-
ღებო ის არის, რომ თავისუფლება და უფლებანი ეძლეოდა
მთელ ინგლისის ხალხს, ყოველ თავისუფალ ინგლისელს და
არა მხოლოდ აზნაურობას, რომელმაც პირველად იწყო ამბო-
ხება და გაილაშქრა მეფის წინააღმდეგ. ვასსალნი მიხვდნენ,
რომ შეუძლებელი იყო მათი საქმის სასურველად წაყვანა თუ
ხალხს არ შეუერთდებოდნენ, მოქალაქეთა და მიწის მუშათ
არ დაუკავშირდებოდნენ. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ
წინეთ ვასსალნი მოქმედებდნენ განცალკევებულად; ქალაქები
და ხალხი კი მეფის მხარეზედ იყვნენ; ახლა კი ესენი პირვე-
ლად შეერთდნენ მეფის წინააღმდეგ და საქმეც სასურველად
წაიყვანეს.

14th/15th
century

ხარტიის დაწერა ადვილი იყო, მაგრამ მეფე რომ იძუ-

ლებული ეყრატ და ანსრულებინებიათ იგი, მე იყო; ვასსალნი ძლიერ კარგად იცნობდნენ თავიანთ მეფეს და ამიტომ მისი ნდობა სრულიად არა ჰქონდათ. ამიტომაც დიდი ხარტიის ძალით უნდა დაწესებულიყო საბჭო, ოცდაათნი ამორჩეული ვასსალისაგან და ლონღონის ქალაქის თავისაგან; ამ საბჭოს თვალყური უნდა ედევნა, რომ მეფეს დიდი ხარტია აღესრულებინა. თუ ვინიცობაა მეფე დაარღვევდა ხარტიას, საბჭოს უნდა მეფის ყურადღება მიექცია ამაზედ. თუ მეფე უყურადღებოდ დასტოვებდა საბჭოს მიერ გაფრთხილებას, საბჭოს უფლება ჰქონდა ჯარი შეეკრიბნა, გამოეცხადებინა მეფისათვის ბრძოლა და ამ ჯარით მისი ციხესიმაგრეები დაეჭირა, ხოლო იმ პირობით კი, რომ არც თვით მეფეს და არც მის ოჯახს არავითარი ვნება არ მისცემოდა. ამ საბჭოს სახელად ეწოდებოდა „საბჭო წინააღმდეგობისა“.

მოაწერა ხელი მეფემ ხარტიას და მეტად უკმაყოფილო, ნაღვლიანი და გაგულიანებული დაბრუნდა თავის კოშკში; მას არვისი ნახვა არ სურდა, იჯდა მარტოდ-მარტო, მღუმარე და მოჭეშული. მისთვის აუტანელი იყო იმაზედ-ფიქრი, რომ ვასსალთა სურვილისამებრ შემოიფარგლენ და შეპყირდენ მისი უფლებები. ის ეხლა იმაზედ-ლა ფიქრობდა და ბჭობდა, თუ როგორ ეძია შური და რა მოეგვარებინა მომავალში; იგი სრულიადაც არ აპირებდა დიდი ხარტიის აღსრულებას. ამის მაგივრად მან გადასწყვიტა პაპისთვის მიემართნა და შემწეობა ეთხოვნა მისთვის; მან გაგზავნა კიდევ მოციქულები რომში, იტალიის სატახტო ქალაქში და უბრძანა მათ მოეხსენებინათ პაპისთვის, რაც მოხდა ინგლისში.

„ნუ თუ ინგლისის ვასსალთა სურთ ტახტიდგან ჩამოაგდონ თავიანთი მეფე, რომელიც ჩემ მფარველობის ქვეშ იმყოფება? ვფიცავ ღმერთს, რომ ასეთი შეურაცხყოფა არ ჩაუვლით მათ უსასჯელოდ“, სთქვა პაპიმ. დიდ ხარტიას პაპიმ უწოდა „დაამსკორებელი, საზიზღარი და სამარცხვინო პირობა“. ვასსალნი კი თათრებზედ უარესები არიანო, განაცხადა პაპიმ.



პაპიმ იოანნეს დიდი ხარტიის აღსრულების და დაქირავებული ჯარი გაუგზავნა. მაგრამ ვასსალნი არ შეუშინდნენ პაპის მუქარას; მათ გადაწყვიტეს შაინცა და შაინც დაეცვათ ხარტია და თავიანთი უფლებები. მაგრამ ამასთან ისიც დაინახეს, რომ მეფის წინააღმდეგ გაშკალავებაც შეუძლებელი იყო, რადგან მეფემ დიდძალი ჯარის დაქირავება მოასწრო. ამიტომაც ვასალებმა ნაფრანგეთის წყევს მიმართეს და დახმარება სთხოვეს, საზაგივროდ მის ძეს — ლიუდოვიკს ინგლისის სამეფო გვირგვინი შესთავაზეს. ლიუდოვიკი დასთანხმდა და დიდის ლაშქრით შემოვიდა ინგლისში. დაიწყო ომი. გამარჯვება ვასალებისაკენ გადაიხარა; ვინ იცის რით ვათავდებოდა ომი, რომ უეცრად იოანნე არ მომკვდარიყო. იოანნეს დარჩა ათი წლის ვაჟი, გენრიბი. იოანნეს მომხრეებმა საჩქაროთ აკურთხეს იგი. კურთხევის დროს ბავშვმა — მეფემ დიდი ხარტიის აღსრულების ფიცი დასდო. ამასობაში ვასსალთა და ლიუდოვიკის შორისაც უკმაყოფილება ჩამოვარდა. ლიუდოვიკი უზვად ასახუტრებდა ლენინებით ინგლისში თავისი ფრანგებს, ინგლისელებს კი შედიდურად ექცევოდა. როდესაც გენრიბმა ფიცი დასდვა დიდ ხარტიის დავიკავო, ვასსალნი ლიუდოვიკს გაუდგნენ ვანზე და უსუსურ და მოგდებულ ბავშვისკენ გადავიდნენ. ლიუდოვიკი დამარცხდა და იძულებული შეიქმნა ინგლისი დაეტოვებინა. ამ რიგად მეფედ დაჯდა გენრიბ მესამე. სანამ იგი მცირე წლოვანი იყო, სამეფოს მართავდა სამეფო საბჭო, რომელიც უმადლეს მოხელეთაგან და რჩეულ ვასსალთაგან შესდგებოდა. ამავე დროს დიდი ხარტია აღსრულებაში მოჰყავდათ, მხოლოდ რამოდენიმე მუნლის გამოორიცხვით, ასე რომ დროს განმავლობაში ხალხი ხარტიას საკმაოდ მიეჩნია. სხვათა შორის, ვააუქმეს: „წინააღმდეგობის საბჭო“, რადგან ეგონათ იგი საჭირო აღარ იქნებოდა; მეფემ ხომ ფიცი დასდვა, დიდ ხარტიას აღსრულება; ამიტომაც ვითომ ძალ-დატანებაც აღარ უნდა ყოფილიყო საჭირო, ასე რომ

დასრულდა



ყველას იმედი ჰქონდა მშვიდობიანობა დამყარდებოდა მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა.

§ 8.

მეფე გენრიხ მესამე და ბრძოლა დიდი ხარტიის გულისთვის. — პეტრე-დეროშე. — უცხოელთა ბატონობა. — ვასსალთა ამბოხება. — ჰაპის მფლობელობა ინგლისში. — ომები საფრანგეთთან. — დიდი საბჭო. — ხარტიის განმტკიცება. — დიდი ხარტიის დარღვევა. — საბჭო ოცდა ოთხ ვასსალთაგან. — უცხოელების ჯანდევნა. — ვასსალთა ხელახლად ამბოხება. — პირველი მოწოდება საგრაფოებში და ქალაქებში ამორჩეულთა დიდ საბჭოში. — დასასრული სვიმონის მართველობისა. — მისი დამარცხება და სიკვდილი. — გენრიხის მმართველობის უკანასკნელი წლები.

როცა გენრიხი სრული წლოვანი შეიქნა, შეკრიბა დიდი საბჭო, გამართა სხდომა და განაცხადა: „ამიერიდგან მე ბაგში აღარა ვარ, მზრუნველნი აღარ მესაჭიროებიათ და გამგებელი თვით მე ვიქნებიო“. ამასთან მან დიდი ხარტია აღარ განამტკიცა. დაიწყო თუ არა მეფობა გენრიხმა, ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ მეფემ სრულიად დაივიწყა დიდი ხარტია. სამეფოს მართვა გენრიხმა თავისს საყვარელ ებისკოპოსს ფრანგს პეტრე-დეროშეს მიანდო.

პეტრე-დეროშემ ინგლისში მოიპატიჟა თავისს ქვეყნიდგან მთელი ბრბო, თითქმის ორი ათას კაცზედ მეტი. ეს უცხოელნი ინიშნებოდნენ ყველა უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობებზედ: შერიფებად, ციხეების უფროსებათ, ლენინების გამგებებათ და სხვ. გენრიხს იმედი ჰქონდა მათი დახმარებით ისევ ხელთ იგდებდა იმ უსაზღვრო უფლებებს, რომელიც ჰქონდათ ინგლისის ძველ მეფეებს. ამ უცხოელებისათვის სასასარგებლო და მეტად ხელსაყრელი იყო ინგლისელ ვასსალთა მეოხებით მეფის უფლებები არ შეზღუდულიყვნენ, რადგანაც იგინი იმას ღებულობდნენ მეფისაგან, რის მსურველნიც იყვნენ. ერთის სიტყვით მეფის უფლებათა შევიწროება



მათთვის საზარალო იყო. ამის მაყურებელნი ინგლისის ვასსალნი მეფის წინააღმდეგ აღდგენენ; ამას დიდი აღტაცებით მიეგება ხალხი, რომელიც დიდ განსაცდელში და მოთმინებაში იყო მეფის საყვარელ უცხოელთა უმსგავსოაბის და შევიწროების წყალობით. მეფე შეშინდა. მან საჩქაროთ შეჰყარა ოქსფორში დიდი საბჭო და მოუწოდა იქ ყველა მემამბოხე ვასსალთ. ვასსალნი არ გამოცხადდნენ, ხოლო მეფეს შეუთვალეს: „თუ პეტრე-დეროშე და სხვა უცხოელნი განდევნილი არ იქნებიან ინგლისიდან, ჩვენ სხვა მეფეს ამოვირჩევთ“. მეფემ მეორეჯერ და მესამეჯერ მოუწოდა ვასსალთ. მესამე მოწოდების შემდეგ ვასსალნი გამოცხადდნენ, მაგრამ თავიდან ფეხებამდინ შეიარაღებულნი კი. მეფე გაგულისებულნი და გაღიზიანებული იყო. ის ვასსალთ ბუქარით შეგვდა, — თუ არ დამემორჩილეთ, ადგილ-მამულებს წაგართმევთ და სასტიკად დაგსჯითო. ვასსალთ არ შეეშინდათ მეფის ბუქარისა; იგინი თავისას გაიძახოდნენ, მეფეს ინგლისიდან უცხოელების განდევნას და დიდი ხარტის დაცვას სთხოვდნენ. მეფემ კრება დაშალა და დაითხოვა, მაგრამ საქმეს არა ეშველარა. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფემ ისევ მოუწოდა „დიდ საბჭოს“. ამ კრებაზე კენტერბერის არხიეპისკოპოსმა სასტიკის კილოთი დაუწყო კიცხვა მეფეს უკანონოდ მმართველობისათვის; იგი ემუქრებოდა მეფეს ეკლესიიდან გაგრილხავ, თუ წინანდებურად განაგრძობ მოქმედებასო. ახლა კი თანხმობა არცა მეფემ; მან განაძევა პეტრე-დეროშე და მისი მომხრენი, შესურიგდა ვასსალთ და დაუბრუნა მათ წართმეული ღვინები. ჩამოვარდა მშვიდობიანობა, მაგრამ მოკლე ხნით: მალე საქმეები წინანდელზედ უფრო აიწიწი-დაიწიწნენ. მეფემ სრულიად დაივიწყა ყველა თავისი აღთქმანი და ხელ-ახლად შემოიკრიბა უცხოელები.

გარდა ამისა მეფე სრულებით დამორჩილა პაპს. მეფე თანნეს დროიდან ინგლისი ხომ პაპის ღვინად ითვლებოდა, ხოლო ინგლისის მეფე მის ვასსალად. პაპი ინგლისში მოური-



დებლად ბრძანებლობდა: ის თვითონ ნიშნავდა ექსტრემისტებს, არხივისკოპოსს და ებისკოპოსებს. ებისკოპოსებათ ინიშნებოდნენ იტალიელები და სხვა უცხოელები, რომლებიც მოდიოდნენ ინგლისში, ყოველნაირად ატყავებდნენ და ყველგანდნენ თავიანთ მრევლს და რამდენიმე წლის შემდეგ გამდიდრებული ბრუნდებოდნენ სამშობლოში. პაპიც აგროვებდა თავისთვის ფულს ინგლისში. ის იქ გზავნიდა თავის კაცებს, რომელნიც ათასნაირი ხრიკების საშუალებით სტუქუებდნენ ფულს სამღვდელთაგანაც და ხალხსაც. ასეთნაირი ხრიკები ხალხს ეამივით ეჯავრებოდა; ზოგჯერ ინგლისელები სცემდნენ და ხოცავდნენ კიდევ პაპის კაცებს და მის მოწერილობას ფეხით სთელავდნენ. ხალხის უკმაყოფილებას მეფე არავითარ ყურადღებას არ აქცევდა; პირიქით, გარდა იმისა, რომ იგი ნებას აძლევდა პაპს ხალხი გუყლიფა, თვითონაც აღუთქვა მას იმდენი ფული, რომ მისი მოკრება შეუძლებელი შეიქნა, თუმცა ძლიერ გულშოდგინეთ ცდილობდა თავისი სიტყვა აესრულებინა.

აუარებელ ფულს ხარჯავდა გენრიხი აგრეთვე ომებზე, რომელნიც მას საფრანგეთთან ჰქონდა; საფრანგეთში იგი იცავდა იმ ცოტაოდენ ადგილებს, რომლებიც იოანნე უმარსაგან დაიწა. ინგლისელებისათვის სრულიადაც საჭირო არ იყო არც ეს მიწები, არც მათი გულისათვის ომი და დავიდარაბა, თუმცა ამხვე დროს ამ ომის მოვლი ხარჯი აუტანელ და შემავიწროებელ ულლად აწვა ხალხს კისერზედ.

შობლოდ ერთი კარგი რამ მოაქცა ასეთ მდგომარეობას: რაკი ფული სჭირდებოდა მეფეს, იგი იძულებული იყო დიდი საბჭო მოეწოდებინა ხალხზე და მისთვის დახმარება ეთხოვნა. დიდმა საბჭომ ძლიერ კარგად იცოდა, თუ რა ცუდად მართავდა მეფე სახელმწიფოს, რა გაჭირვებაში იყო ხალხი მისი წყალობით. ამიტომაც საბჭო ცდილობდა შეემცირებია ბოროტება, შეეზღუდა მეფე, შეეკავებინა მისი მოქმედება, რომელიც ასე მავნებელი და საზარელი იყო მის ქვეშევრდომთათვის. ამ მი-

წინთ საბჭომ მიმართა ასეთს ხერხს: მეფე თხოულობდა ფულს, საბჭო ვთანხმებოდა მას, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მეფესაც თავის მხრივ შეესრულებინა საბჭოს წინადადება.

დიდი საბჭო მუდამ ჰკიცხავდა მეფეს და მის არა ერთ უკანონო განკარგულებას, თხოულობდა მისგან უკან წაედო ესა თუ ის დადგენილება, განქვევებინა სხვა და სხვა უცხოელი მეგობრები. ვასსალთა სიტყვები არ მოსწონდა მეფეს, გულისაზრდა, უარობდა, ხშირად ითხოვდა კრებას, მაგრამ მაშინ იგი რჩებოდა უფულოდ; ფული კი მისთვის მეტად საჭირო იყო; ბაზი ალექსულ ფულს სთხოვდა მას და ემუქრებოდა ეკლესიიდან გაგრიხაეო; დაჭირავებულ ჯარისათვის მას ჯამაგირი უნდა ეძლია, არა და უჯაროდ დარჩებოდა. მეფე ხელაზლა იწვევდა საბჭოს, ხელაზლა სთხოვდა ფულს და მხად იყო ყველაფერი დაეთმო მისთვის: უკან მიჰქონდა თავისი უკანონო განკარგულებანი, აძევებდა სამსახურიდგან მახლობელ პირებს და მათ მაგიერ მინისტრებად ნიშნავდა ვასსალთა მიერ დასახელებულთ. სხვათა შორის, მეფემ დიდი ხარტიაც განამტკიცა. ამ ნაირად ხელ-ნელა დიდმა საბჭომ მეფესთან ხელშეკრულობის ძალით მიითვისა უფლება, მეფისათვის ფული თვისის სურვილისა და ნებისამებრ ეძლია. ებლა მას უფლება მიეცა სახელმწიფო საქმეებში ჩარეულიყო, მეფისათვის რჩევა მიეცა, რომელიმე არა სასურველი პირის გაძევება მოეთხოვა მისგან და სხვ. ამნაირად დიდი საბჭოს მნიშვნელობამ იმატა, ხალხმა მას ფასი დასდო, რაკი დაინახა, რომ იგი მისი კანონიერი დამცველია მეფის და მის მახლობელთა უსამართლოებისაგან. აზლა ამ საბჭოს ხშირად უწოდებდნ „პარლამენტს“; თვით გენრიხიც ასე უწოდებდა მას თავის მოსაპატიებელ ღრამატებში.

მეფე მაინც თავისას არ იწლიდა და ყოველ ნაბიჯზედ ილტქვას და დაპირებას გადადიოდა. ჩაიგდებდა თუ არა ფულს ხელში, თავისებურად, ძველებურად შეუდგებოდა სამეფოს მართვას; ვასსალნი იძულებული შეიქმნენ როგორმე ბოლო მოეღოთ ამ ბოროტებისათვის და ისე მოეწყოთ საქმე, რომ მე-



ფეს უნდოდა თუ არა, მაინც დიდი ხარტისა მგანა მდინა; იგინი ღრმად დარწმუნებული იყვნენ, რომ მეფისაგან დიდი ხარტის მართო განმტკიცება სრულიადაც არ კმაროდა; საქმე ის იყო, რომ იგი დაცულ და აღსრულებული ყოფილი-მეფისაგან. მაგალითად, ათას ორას ორმოცდა ცამეტ წელს მან ასეთნაირად განამტკიცა ხარტია ვესტმინსტერის სასახლეში. აქ, თეთრ დარბაზში, თავმოყრილი იყვნენ ვასსაღნი და შემოსი-ლი სამღვდლოება. დარბაზი სავსე იყო ხალხით. გამოვიდა მე-ფე: კენტერბერის არხიეპისკოპოსმა ხარტია წაიკითხა. მეფემ, „როგორც ქრისტიანმა, ცხებულმა და მეუღლემ ფიცი დასდვა, ამიერიდგან აღმასრულებული ვიქნები დიდი ხარტი-საო. შემდეგ ამისა ეპისკოპოსებმა შეაჩვენეს ყველა, ვინც მო-მაველში ხარტას დაარღვევა. მიუხედავად ამისთანა ფიცისა, მუქარისა და წყევა-შეჩვენებისა მეფემ მაინც დაარღვია დიდი ხარტია. ახლა კი მოაგონდათ ვასსაღთ „წინააღმდეგობის საბ-ქო“, რომელიც გენრიხის მეფობის დასაწყისშივე მოისპო, და გადასწყვიტეს მისი განახლება, მხოლოდ ცვლილებებით კი. ათას ორას ორმოცდა რვა წელს მეფემ პარლამენტს მოუწო-და, რადგან ფული მეტად სჭიროდა. შეიკრიბა პარლამენტი, მაგრამ იგი უფრო სამხედრო ბანაკს წაგავდა, ვიდრე მშვი-დობიან ყრილობას: ვასსაღნი თავიდგან-ფეხებამდე შეიარაღე-ბულიყვნენ. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ მეფისათვის თავიან-თი წინადადებები წარედგინათ და, თუ იგი თანახმა არ შეიქნებოდა, მის წინააღმდეგ აღმდგარიყვნენ. ვასსაღთა შეთაურად იყო სიმონ მომფორელი. აი რა წინადადებით მიმართეს ვასსაღთ მეფეს: გარდა დიდი საბჭოისა უნდა შემოეღოთ მუდმივი საბჭო ოც-და ოთხ ვასსაღთაგან; თორმეტი მათგანი უნდა აერჩია ხოლ-მე მეფეს, დანარჩენი თორმეტი—ვასსაღთ; საბჭო უნდა შეკრები-ლიყო წელიწადში სამჯერ და ბჭობა ჰქონდა სახელმწიფო საქმეებზედ. გარდა ამისა, საბჭოს თავისს წევრთა შორის უნ-და ამოერჩია თუთხმეტი კაცი; ამ თუთხმეტ კაცს უნდა ემარ-თნა სახელმწიფო, ასე რომ გენრიხი, თუმცა ამის შემდეგ მე-

ფედ რჩებოდა, მაგრამ უუფლებოთ კი. გენერალ-სამშობების
 ეწინააღმდეგედა, ამიტომაც ყველაფერზედ დასთანხმდა. ოცდა ოთხი
 კაცი იქვე პარლამენტში ამოარჩიეს. უპირველესად ყოვლის ამ
 ოცდა ოთხმა კაცმა გადაწყვიტა უცხოელებს მეფის ტახტების
 უფროსობა ჩამოართმეოდა. უცხოელები არ დაემორჩილნენ
 მუდმივი საბჭოს გადაწყვეტილებას. მაშინ მეფის სახელით მუ-
 დმივმა საბჭომ იგინი შეამბოხებათ აღიარა; ამავე დროს მათ
 წინააღმდეგ გაილაშქრეს ვასალებმა; ახლა კი მათის მხრივ
 წინააღმდეგობა შეუძლებელი შეიქნა; უცხოელებმა დასტოვეს
 ტახტები, მიატოვეს ინგლისი და გაუდგნენ ზზას. ამის შემ-
 დგე, თუ კი რამ თანამდებობა ჰქონდათ უცხოელებს, ჩამოერ-
 თვათ. ხალხი გაბარებული იყო, რომ დაბოლოსაც თავი დააბ-
 წია უცხოელთა უღელს და ქებით იხსენიებდა სიმონ მომფო-
 რელს. მეფე კი ამასობაში იმის ფიქრში იყო, თუ რა გვარად
 დაეხწია თავი ამ მუდმივი საბჭოსაგან, რომელიც ვასალებმა
 მას თავზედ მოახვიეს ან და რანაირად მოეხერხებინა, რომ
 ისევ ხელთ ეგდო განუსაზღვრელი უფლებანი. ის და მისი მო-
 მხრენი პარლამენტს, რომელმაც საბჭო დააწესა, „უჭკუოს“
 უწოდებდნენ. მეფემ თხოვნით მიმართა საფრანგეთის მეფეს და
 პაპს. როდესაც ვასალები დარწმუნდნენ, რომ მეფე არავითარ
 შემთხვევაში სანდო არ არის. ხელ-ახლად ამხედრდნენ მის წი-
 ნააღმდეგ. ლონდონი და სხვა ქალაქებიც ამხედრებულებს მი-
 ემხრნენ. ამხედრებულთა და მეფის ჯარი დაუპირდაპირდნენ
 ერთი მეორეს ერთ გამაგრებულ მონასტრის ახლო, როცმოსაც
 სახელად ეწოდებოდა ლიუისი. სიმონის ჯარის კაცებს გულ-
 ზედ და ზურგზედ დაკრებული ჰქონდა თეთრი ჯვრები; შეუ-
 ბრალდებელ და სასტიკი ბრძოლის შემდეგ სიმონს სახელოვანი
 გამარჯვება დარჩა; თვით მეფე ტყვედ იქმნა წაყვანილი. ახლა
 კი ის-ღა დარჩა გენრის საფიქრებლად, თუ რა გვარად გაენ-
 თაისუფლებინა თავი; ის ეხლა ყველაფერზედ თანხმა იყო;
 ინგლისის მართველად მან სიმონი სცნა და დათანხმდა, რომ
 ყველა თანამდებობა ინგლისელების ხელში ყოფილიყო. მეფის



ძე, ვდუარდი, ვასსალებმა ძველად დაიტოვეს მადონის ხაზი
 დარაჯთა მხედველობის ქვეშ ჰყავდათ. სიმონის გამარჯვებამ
 ერთი მაშინდელი პოეტი აი რას ამბობს: „თავისუფლების მო-
 მლოდინე ინგლისმა თავისუფლად ამოისუნთქა; წინეთ ინგლი-
 სელებს ისე ექცეოდნენ, როგორც ძაღლებს; ახლა კი მათ
 თავი მალდა აიღეს; ვისაც ჰსურს ქვემარტი შეუე იქნეს, იგი
 ჯერ უნდა იყოს თავდაპირილი, მერე კარგად განაგებდეს თა-
 ვისს სახელმწიფოს; ხალხის საკეთილდღეოდ მას შეუძლიან
 გააკეთოს ყველაფერი, ხოლო საზარალოდ კი არაფერი; შეუე
 კი არ უნდა აოხრებდეს სამეფოს უსამართლოდ, არამედ მარ-
 თედეს მას კანონიერად; ღვე მთელმა ხალხმა შიღოს მონა-
 წილეობა სამეფოს მართვა-გამგეობაში, სახელმწიფო საქმეებში,
 რათა ქვეყნის მმართველებმა კარგათ იცოდნენ, თუ რა სურს
 უმეტესობას, რომელმაც ყველაზედ უკეთ იცის, რა არის
 მისთვის საჭირო და სასარგებლოა“, ამბობდნენ ეხლა ინგლი-
 სელები.

სიმონმა სწორედ ამ უმეტესობას მოუწოდა სახელმწიფო
 საქმეებში მონაწილეობის მისაღებათ.

ვაიმარჯვა თუ არა სიმონმა, იმ წამსვე დიდი საბჭო შეკ-
 რიბა; ეს საბჭო ყველა უწინდელ საბჭოებისაგან განსხვავდუ-
 ბოდა. წინეთ მხოლოდ აზნაურობა და სამღვდელოება ღებუ-
 ლობდა აქ მონაწილეობას; ახლა კი შერიფებს ებრძანათ თეი-
 თეულ საგრაფოს და ქალაქს ორ-ორი, თავიანთ შორის ამორ-
 ჩეული, კაცო განოგვზაუნათ საბჭოში, რათა მათაც სამღვდუ-
 სამღვდელოებასთან და აზნაურობასთან ერთად მონაწილეობა
 მიეღოთ სახელმწიფო საქმეებში.

მეფის წინააღმდეგ ბრძოლის დროს სიმონს მხარა უკერ-
 დნენ სამღვდელოება, საგრაფოს ნემამუღენი და მოქალაქენი;
 სხვილ მემამულე ვასსაღთა შორის კი სიმონს ბევრი ემტერე-
 ბოდა და შურის თვალით უყურებდა მას; ასეთებს, რა თქმა
 უნდა, არ სურდათ სიმონი გამგე-მმართველად ყოფილიყო.
 ამიტომაც იყო, რომ სიმონმა პარლამენტში მოუწოდა საგრა-



ფოებში და ქალაქებში ამორჩეულ კაცებს, პარლამენტში
 მადგენლებს. აქ ამით დახმარება უნდა გაეწიათ სიმონისათვის.
 გარდა ამისა სიმონი იმედოვნებდა, რომ მეფე ღიდ ხარტიას
 უკეთ აღასრულებდა, როცა ამ ხარტიის მომხრე—დამცველად
 იქნებოდა მთელი ხალხი თავისი ამორჩეულების ანუ წარმომად-
 გენლების საშუალებით და არა მარტო აზნაურობა და სამდ-
 დელოება. პარლამენტში პირობა შეჭკრა მეფესთან და ტახტის
 შემკვიდრე ედუარდთან. გენრიხმა და ედუარდმა ღიდი ხარტია
 ინგლისის ძირითად, ხელ-უხლებელ კანონად სცნეს და ფიცი
 დასდეს—ამიერიდგან აღარ დაერღვიათ იგი. გარდა ამისა მე-
 ფემ აღაქმა დასდეს—მომავალში მოხელეებათ უმაღლეს სა-
 ხელმწიფო თანამდებობაზედ უცხოელებს აღარ დაენიშნაყო. ეს
 პირობა წაეკითხა ხალხს ვესტმინსტერის სასახლის ღიდ ზალა-
 ში. ცხრა ეპისკოპოსმა, სათლებით ხელში, შეაჩვენეს ის, ვინც
 ამ პირობას დაარღვევდა. ასლი ამ პირობისა გაგზავნა საგრა-
 ფოების შერაფებს ბრძანებით, წელიწადში ორჯერ წაეკითხათ
 ხოლმე იგი ხალხისთვის. სამწუხაროდ, სიმონ მომფორკლი სა-
 მეფო საქმეებს სულ ერთი წელიწადი განაგებდა. მისი მტრების
 რიცხვი თანდათან მატულობდა, მეგობრების კი კლებულობ-
 და. საუბედუროთ თანაც ედუარდმა ტყვეობისაგან თავი იხს-
 ნა და ლაშქრის გროვებას შეუდგა. მისი ღროშის ქვეშ თავი
 მოიყარა უკმაყოფილოთა ბრბომ. ასტყდა ბრძოლა. სიმონი
 დამარცხდა და მოკლულ იქმნა. გენრიხ მესამემ ხელ-ახლად
 დაიკავა ტახტი და შვიდი წელიწადი კიდევ იმეფა. მხოლოდ
 ეხლა-ღა ჩავარდა მეფე გონს და დარწმუნდა, რომ კანონების
 დარღვევას და ქვეშევრდომთა დაზავრის ყოველთვის სასჯელი
 მოსდევს. გარდა ამისა ეხლა მეფეს, როგორც მოხუცს, მოსვე-
 ნება და მშვიდობიანობა სწყუროდა. მაგრამ სიმონსავით რომ
 პარლამენტში ქალაქების და საგრაფოების წარმომადგენლები
 მოეწოდებინა, ეს მეფემ მაინც არ ქნა და არა; ის უამისოთ
 უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს.

§ 9.

რა ცვლილება მოხდა ინჯლისში თრასი წლის განმავლობაში. — ხალი ხალხი და ახალი ენა. — გრაფები, ბარონები და რაინდები. — რა გვარად წარმოსდგა ერთი წოდება რაინდებისა წვრილი მემამულე ბარონების და რაინდების შეერთებით. — სიტყვა „ლორდი“. — ესკვირები. — როგორ იქმნა შემოდებული ბეგრის მაგიერ ფული. — მიწის მფლობელნი ღრამატის ძალით. — თავისუფალი წვრილი მემამულენი. — საბატონო გლეხები ინჯლისში.

ორასმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ნორმანებმა ინგლისი დაიპყრეს. ამ დროის განმავლობაში აქ დიდი ცვლილებები მოხდა. ვიღპელში რომ ამდგარიყო საფლავიდან, ვეღარც კი იცნობდა მისგან დაპყრობილ ქვეყანას. სადღა იყვნენ ეხლა ნორმანები? სად წავიდნენ შთამომავალნი იმ მამაკი მემომრებისა, რომელნიც ვიღპელმთან ერთად შემოვიდნენ ინგლისში და თავგამეტებით ექვეთნენ ანგლო-საქსებს? სად იყვნენ ახლა მედიდური განარჯვებულნი, ან დამარცხებული ხალხი, რომელიც, შემდეგ უნაყოფო ბრძოლისა და დაყინებული წინააღმდეგობისა, იძულებული შეიქნა უცხოელი მფლობელობის უღელში გაბმულიყო და ეთმინა დამორჩილებული ხალხის მწარე ბედი. ეხლა აღარსად სჩანდნენ აღარც გამარჯვებულნი და აღარც დამარცხებულნი, აღარ ჩნდნენ არც ნორმანები და არც ანგლო-საქსები. ორასი წელიწადი სუსოვრობდნენ ნორმანები და ანგლო-საქსები გვერდი-გვერდს, ერთსა და იმავე ქვეყანაში; ამ ხნის განმავლობაში ეს ორი ხალხი იხე აირია ერთმანერთში, რომ დაბოლოს დარჩა მხოლოდ ერთი ხალხი — ინგლისელები. მართალია ინგლისის აზნაურობა ეხლაც ფრანგულად ღაპარაკობდა, უბრალო ხალხი კი ანგლო-საქსურად, მაგრამ რაღა ფრანგული ენა იყო ეს ენა. ნამდვილ ფრანგებს ძლივს-ღა ესმოდა იგი, რადგან მრავლისაგან უნრავლესი ანგლო-საქსონური სიტყვები ერია შიგ; ფრანგული სიტყვები კი ძალზედ გადასხვაფერებულნი იყვნენ. ესევე დაემართა ანგლო-საქსონურ ენასაც და აი ამ ორი ენისგან წარმოსდგა ახალი

ენა—ინგლისური, თვით ის ენა, რომელზედაც უმეტესად ინგლისელები ლაპარაკობენ.

ზემოთ ჩვენ გვქონდა მოხსენებული, რომ ვასსალოთ ვილჰელმისაგან ებოძათ მიწა, მაგრამ თანაბრათ კი არა. უდიდეს მამულებს შემატრონე ვასსალოთ, რომელთა რიცხვი ვილჰელმის ღროს არ აღემატებოდა ოცს, ეწოდებოდათ გრაფები, დანარჩენებს კი—ბარონები. ბარონთა შორის იყვნენ ისეთები, რომელთაც რამოდენიმე მამული ზედათ, ზოგს მათგანს კი—მხოლოდ თითო. ჩვენ ვიცით აგრეთვე ისიც, რომ თავის მხრივ ვასსალნიც აძლევდნენ მიწებს თავიანთ ვასსალოთ. ამ უკანასკნელებს ეწოდებოდათ რაინდები. აღნიშნულ ორასი წლის განმავლობაში აი რა მოხდა:

ძლიერ ხშირად მეფის ხელ-მოკლევ ვასსალნი საჭიროების გამო დიდ შემამულევ ვასსალოთაგან ღებულობდნენ მიწებს და ამ გვარად შეიქნებოდნენ ხოლმე ვასსალოს ვასსალებად, ასე რომ ერთ და იმავე ღროს ესენი ბარონებიც იყვნენ და რაინდებიც; მეორე მხრით, ხანდისხან ვასსალის ვასსალოს ან რაინდს ერთგული სამსახურისათვის ანუ სიყოჩაღისათვის თვითონ მეფე აძლევდა მიწას, ამიტომაც ვასსალის ვასსალი იმავე ღროს მეფის ვასსალის ალაგას მოექცეოდა ხოლმე. ორასი წლის განმავლობაში ხელ-მოკლევ ბარონები და რაინდები ისე აირივნენ ერთმანერთში, რომ მათი გარჩევა შეუძლებელი შეიქმნა: ეხლა ერთსაცა და მეორესაც რაინდებს ეძახდნენ, ხოლო ბარონის სახელი შერჩათ მხოლოდ მსხვილ, დიდ-შემამულევ ვასსალოთ. გრაფები, ბარონები და რაინდები, ყველანი ინგლისის აზნაურობას ეკუთვნოდნენ, მაგრამ „ინგლისის დიდ-კაცობას“ შეადგენდნენ მხოლოდ გრაფები და ბარონები. მოწოდების ღროს მათ ეძახდნენ ლორდებს. სიტყვა ლორდი საბატოლო წოდება იყო, სხვა არაფერი. როგორც გრაფს და ბარონს, ისე რაინდს, კანონის ძალით შეეძლო მთელი თავისი ღენი ანუ ნაწილი ღენისა სხვისთვის გარდაეცა; ღენის განაწილება შეიძლებოდა აგრეთვე რამდენიმე მემკვიდრის შორის. ამიტო-



მაკ იყო, რომ ერთის მხრით სარაინდო მამულეობის მამულეობა ცხად
 ბოდნენ და წვრილ—მემამულე რაინდების რიცხვი მ-
 ტულობდა, ხოლო დიდ მემამულეებისა კი ჰკლებულობდა; მე-
 ორეს მხრით, სხვა წოდების პირნი იძენდნენ რაინდების მამულ-
 ლებს და ამ რიგად რაინდთა რაზმში გადადიოდნენ; ასე იქ-
 ცვოდნენ, მაგალითად, გამდიდრებულნი მოქალაქეები, თუმცა
 ზოგიერთნი რაინდებისაგან შეძენილ მამულების ახალი მებატ-
 რონენი ცდილობდნენ რაინდთა წოდებაში არ ჩაწერილიყუ-
 ნენ, რომ თავისუფალნი დარჩენილიყვნენ იმ მოვალეობის და
 გადასახადისაგან, რომელნიც რაინდებს ვალათ ედვათ. ისეთ
 პირებს, რომელნიც რაინდების მამულებს იძენდნენ, მაგრამ
 რაინდთა წოდებაში არ ეწერებოდნენ და, არც მათ მოვალეო-
 ბას ასრულებდნენ, ეწოდებოდათ ესკვაირები. მათი რიცხვი
 წლითა-წლობით იზრდებოდა. გრაფების, ბარონების და რაინ-
 დების მამულებში მიწას ამუშავებდნენ გლეხები, რომელნიც
 აქვე ამ მამულებზედ სცხოვრობდნენ. სანამ ინგლისს ნორმა-
 ნები დაიპყრობდნენ, გლეხები ანგლო-საქსების ყმები იყენენ;
 ყმებათ დარჩნენ იგინი ინგლისის დაპყრობის შემდეგაც, მხო-
 ლოდ იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთს ანგლო-საქსების მაგი-
 ერ ბატონებათ ნორმანები გაუხდნენ.

მთელი ინგლისი, გარდა ქალაქებისა, მამულებად დანა-
 წილდა; თითოეულ ასეთ მამულში იყო ბატონის სამოსახლო,
 რომელშიაც სცხოვრობდა ან თვით მებატონე, ან მისი მო-
 ურავი; ამ მამულშივე მდებარეობდნენ გლეხებით დასახლე-
 ბული სოფლები. მამული იყოფებოდა ორ ნაწილად, საბატო-
 ნოდ და საგლეხოდ. გლეხს ეძლეოდა მამულის განსაზღვრული
 ნაწილი; ზოგჯერ ეს ნაწილი მეტად მცირედი იყო. გლეხებს
 წილი ედვათ აგრეთვე საბალახო და სათიბ ადგილებშიაც;
 გარდა ამისა მათ უფლება ჰქონდათ ეძოვებინათ ნახირი ცარი-
 ელ ადგილებშიც, რომლებითაც მებატონეები და გლეხები
 ერთად სარგებლობდნენ. ყოველივე ეს გლეხს უსასყიდლოდ
 არ ეძლეოდა: მას კისერზედ აწვა შიშივე ბეგარა; ერთი, ხან ორი

და სამი დღეც კვირაში მას უნდა ემუშავნა ბატონის საარგებლოდ. გარდა ამისა საჩქარო მუშაობის დროს, — ხენა-თესვის, მკის და თიბვის დროს, გლეხი ბრძანებასათანავე უნდა ხლებოდა ბატონს გუთნით, ურძით და ხარებით. რა თქმა უნდა, გლეხი მიწას ვერც ვაჰყიდდა და ვერც გააჩუქებდა უბატონოთ; აგრეთვე ვერ ვაჰყიდდა იგი ვერც ცხენს და ვერც ხარს, ვერ გაათხოვებდა ქალს, თუ ბატონის ნება არ იყო. ამის ნება შეეძლო მას მხოლოდ ფულის საშუალებით ან მებატონისაგან, თუმცა ნშირად ფულიც ვერ შევლიდა მას.

ნორმანების შემოსევის შემდეგ ასეთი წეს-რიგი ნელ-ნელა შეიცვალა. გლეხებმა ბეგრის მაგიერ ფულით იწყეს მებატონის დაკმაყოფილება. ზოგიერთი გლეხი ცდილობდა სულაც დაეხწია თავი არა მარტო ბეგრისაგან, სხვა მრავალგვარ სამსახურისაგანაც და ამის მაგიერ ფული ეძლია მებატონისათვის. მებატონეები დიდის სიამოვნებით თანხმდებოდნენ ამანად, რადგან მათ ფული მეტად ესაჭიროებოდათ; თავიანთ მიწების დასამუშავებლად კი შეეძლოთ დაეჭირავებინათ ან მათ მამულზედვე ან მეზობელ მებატონის მამულზედ მოსახლე გლეხები, რომელთაც საკმაო მიწა არ ჰქონდათ. უკვე მეთოთხმეტე საუკუნეში ყოველ-გვარ სამსახურის მაგიერ გლეხები ფულს იხდიდნენ, მაგრამ უმეტესი ნაწილი გლეხებისა მაინც ჯერ კიდევ ყმებად იყვნენ, ე. ი. გლეხებს არ შეეძლოთ მიეტოვებინათ თავის ნებით მებატონისაგან მიცემული ნაკვეთი ადგილი, თუმცა აგრეთვე არც ბატონს ჰქონდა უფლება, ან გლეხი გაემეცებინა თავის მამულიდან, ან მისი შემკვიდრისათვის წაერთმია მამული, რომელიც მისი მამის ხელში იყო, თუ გლეხს რიგიანად შემოჰქონდა გარდასახადი. ზოგიერთმა გლეხებმა სრულებით გამოისყიდეს კიდევ თავი მებატონეებისაგან; ასეთი გლეხები მებატონეებს წლიურ გარდასახადს აძლევდნენ; მიწა კი მათ სრულს საკუთრებაში გადადიოდა. ამასთან გლეხს ეძლეოდა მებატონესაგან ღრამბა, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ მიწა გადადიოდა გლეხების ზ



მათი შემკვიდრების ხელში სამარადისოთ; აქვე იყო მოხსენებულ
 პირობები, რომელნიც უფლებას აძლევდნენ გლეხს მინაცემი
 მიწით ესარგებლნა. ასეთი ღრამატის ძალით მიწის მფლობელ-
 ნი შემდეგ მიწის წვრილ მესაკუთრეებათ ხდებოდნენ. გლეხს
 შეეძლო შეესყიდა მემატონისაგან მიცემულ მიწის ნახევარი,
 მესამედი ან მეოთხედი—თუ მოხერხება ჰქონდა, შეეძლო მთლა-
 დაც შეესყიდა ასეთი მიწა და თუნდა მახედ მეტიც. რიცხვი
 იმ პირებისა, რომელნიც „ღრამატის ძალით“ ხდებოდნენ მე-
 საკუთრეებათ, თანდათან მატულობდა. გარდა ამისა მემატო-
 ნებმა ხელი მიჰყვეს თავიანთ მამულებში საბატონო მიწების
 დანაწილებას. ეს მიწები ნაწილ-ნაწილად გადადიოდნენ წვრილ
 მესაკუთრეების ხელში, რომელნიც მემატონის სასარგებლოდ
 წლიურ გადასახადს იხდიდნენ. ამ გზით ორასი წლის განმავ-
 ლობაში ინგლისში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ხალხის ახალ-
 მა ნაწილმა, რომელსაც შეადგენდნენ წვრილი თავისუფალი
 მიწის მფლობელები, ანუ პატარ-პატარა ნაკვეთი მიწების მესაკუ-
 თრეები.





...მთავრობის მიერ დადგენილი წესების დაცვას უზრუნველყოს და
...მთავრობის მიერ დადგენილი წესების დაცვას უზრუნველყოს და
...მთავრობის მიერ დადგენილი წესების დაცვას უზრუნველყოს და

თ ა ვ ი II.

ინგლისი ედუარდ პირველის, ედუარდ მეორის და ედუარდ
მესამის დროს.

§ 1.

მეფე ედუარდ პირველი და პარლამენტი. — გენრიხის სიკვდილი და ედუ-
არდ პირველი. — ვალისის და ირლანდიის შემოერთება. — დიდი საბჭო ედუ-
არდის დროს. — მოწოდება მეფის მიერ დიდ საბჭოში საგრაფოებისაგან, ქალა-
ქებისაგან ანუ თემებისაგან ამორჩეულებისა. — ნიშნები ამ მოწოდებისა. — რას
აკეთებდნენ ამორჩეულები პარლამენტში. — უფლება გადასახადებზედ მსჯე-
ლობისა. — საჩივრები და თხოვნები; მათა შიშლები ლორდთა პალატა-
ში. — მოქალაქეების უარი არჩეულთა პარლამენტში გაგზავნის შესახებ.

ათას ორას სამოცდა თორმეტ წელს გარდნიცვალა მეფე
გენრიხ მესამე. მისი ძე და მემკვიდრე, ედუარდი, ამ დროს ინ-
გლისში არ იყო; ის შორეულ ომში იმყოფებოდა. გარდა-
იცვალა თუ არა მეფე, შეიკრიბა უმაღლესი აზნაურობა და
სამღვდელთა და იმ გარდაწყვეტილებას დაადგა, რომ სა-
მეფო გვირგვინი გადასცემოდა კანონიერ მემკვიდრეს, გენ-
რიხის ძეს, ედუარდ პირველს, რომელსაც გაუგზავნეს კი-
დეც მოციქულები მოსახსენებლად, რომ აზნაურობამ და სამ-
ღვდელთაებამ სცნეს იგი კანონიერ მემკვიდრეთ და ფიციც მი-
სცეს მას, როგორც ინგლისის მეფეს. ამ ნაირად, აზნაურობი-
სა და სამღვდელთაების ნებისამებრ, ედუარდმა მშვიდობიანად
დაიმკვიდრა თავისი მამის ტახტი.



ედუარდის მეფობამ განუწყვეტელ ომში ჩაგზავნა. ომები მეფისათვის მეტად საბედნიერონი იყვნენ. ბრიტანის სამხრეთ შხარეზედ დარჩენილი იყო პატარა სახელმწიფო ძველი ბრიტებისა, სახელად ვალლისი. ეს სახელმწიფო ედუარდმა სამარადისოთ შემოუერთა ინგლისს და თავისს კანონიერ მემკვიდრეს, აგრეთვე ედუარდის წოდებულს, უწოდა „პრინცი ვალლისისა ანუ უელსკისა“. გარდა ამისა, ედუარდს ორჯერ ჰქონდა ომი შოტლანდიასთან და აქაც გამარჯვებული დარჩა. შოტლანდია დიდი კუნძულის ჩრდილოეთ შხარეზედ ძვეს. შოტლანდია ცალკე სამეფო იყო და თავისი მეფე ჰყვანდა. ედუარდმა შოტლანდიის მეფეს თავი თვის ვასალად აღიარებინა.

ეს ომები ძვირად დაუჯდა ედუარდს, ხაზინა კი მან დაცარიელებული მიიღო მამისაგან. ავიდა თუ არა ტახტზედ, ედუარდი იძულებული შეიქმნა ფული ეშოვნა; მაგრამ იმდენი ფული, რამდენიც მას სჭირდებოდა, შეეძლო მიეღო მხოლოდ დიდი საბჭოსაგან, ჩვენ ხომ ვიცით უკვე, თუ რა დიდი უფლებები და ძალა მოიხვეჭა და მიითვისა დიდმა საბჭომ ედუარდის მამის, გენრიხის დროს; მაშინ საბჭო ხშირად იკრიბებოდა და ყველა სახელმწიფო საქმეებში ერეოდა; მან რამოდენიმეჯერ იძულებული გახდა მეფე არა სასურველი სახელმწიფო მოხელეები გაეძევებინა და იმათ მაგიერ საბჭოს სურვილისამებრ სხვანი დაენიშნა. დიდი საბჭო თხოულობდა მეფისაგან აგრეთვე ძველ უკანონო დადგენილებათა გაუქმებას და საბჭოს თანამობითვე ახალი კანონების შემოღებას.

უკანასკნელ სამოცდა ათი წლის განმავლობაში, თუ მუქარით, თუ ამბოხებით, დიდმა საბჭომ შეირჩინა და შეისისხლხორკა ეს უფლება. ასე რომ, როდესაც ედუარდი ტახტზედ ავიდა, ეს წესრიგი ჩვეულებრივი რამ იყო. ამიტომაც მეფემ ცხადად დაინახა, რომ ის დიდ საბჭოსაგან თავს ვეღარ გაინთავისუფლებდა, ამიტომაც იგი შეურიგდა ამას და ცდილობდა საბჭოს თანხმად ემართა სამეფო; ამასთანავე მეფემ საგრაფოე-



ბისაგან და ქალაქებისაგან ამორჩეულების მოწოდებას დაიწყო; ასე იქცეოდა ხოლმე ის, როცა განსაკუთრებული რამ გაჭირვება აღვა, როცა, მაგალითად, ომისათვის დიდძალი ფული სჭირდებოდა და სხვ. მაშინ იწვევდა იგი თავის ერთგულ საგრაფოებს და ქალაქებს საერთო განსაკუთრების წინააღმდეგ საერთო ძალით გასამკლავებლად“ და ბრძანებას სცემდა, გამოეგზავნათ დიდ საბჭოში ამორჩეულები იმის გასარკვევად და გადასაწყვეტად, თუ საიდგან და როგორ ეშვოვნათ ომისათვის საჭირო ფული. ათას ორას თანხმოცდა ხუთ წელს მეფე მეტად ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა; იმის საქმეები ცუდად წავიდა და ფულზედაც ქესატად იყო; ამიტომაც მან შეკრიბა დიდი საბჭო და თანაც მოიწვია ორ-ორი რაინდი თვითელ საგრაფოდგან და ორ-ორი მოქალაქე თითო ქალაქიდან. ამ მოწოდებაზედ ორას მოქალაქეზედ მეტი გამოცხადდა საბჭოში. ამ საბჭომ დიდი შემწეობა აღმოუჩინა მეფეს და მისცა მას კაი ძალი ფული სამხედრო ხარჯისათვის. ამის შემდეგ მეფე შუღამ იწვევდა ხოლმე საგრაფოებისაგან და ქალაქებისაგან ამორჩეულებს. მან დაინახა, რომ ეს ფრიად სასარგებლო იყო მისთვის, რადგან ამ გზით მეტი ფულიც შემოსდიოდა და უფრო ჩქარაც, ვინემ წინეთ; ხოლო ამის მიზეზი კი იმ რაში მდგომარეობდა: დიდ ხარტიაში ნათქვამი იყო, რომ მეფეს არ შეუძლიან რომელიმე გადასახადი შემოიღოს, თუ არ დიდი საბჭოს თანხმობით, სადაც მოწოდებულნი უნდა ყოფილიყვნენ მთელი სამეფოს ყველა ვასალნი; ნამდვილად კი კრებაზედ ესწრებოდნენ მხოლოდ მსხვილი მემამულე ვასალნი; წვრილი მემამულენი კი სრულიადაც ვერ მოდიოდნენ იქ დასასწრებლად, რადგან იმ დროს მისვლა-მოსვლა და ქალაქში ცხოვრება ძვირად ჯდებოდა; გარდა ამისა, წვრილი მებატონე ხშირად ვერ ახერხებდა მამულის დატოვებას, რადგან იგი თითონ განაგებდა მამულის საქმეებს. როცა მეფე დიდ საბჭოს ფულს სთხოვდა და საბჭო ამაზედ თანხმობას აცხადებდა, მეფეს ჩვეულებრივად ნება ეძლეოდა საგრაფოების ყველა მიწის

მესაკუთრეების შემოსავლიდგან რომელიმე ნაწილი მიეკრებოდა, მაგალითად, ერთი მეთუთხმეტელი, მეათედი, მეშვიდედი და სხვ. თუმცა ამ გვარად მეფეს უფლება ეძლეოდა ფული მოეზოკა, მაგრამ ეს ძლიერ ძნელი საქმე იყო; მიწის მფლობელნი მუდამ უჩიოდნენ გადასახადს და დიდის გაჭირვებით და ვაი-ვაგლახით იხდიდნენ მას; ერთი სიტყვით ფული ხეირიანად ვერ შემოდის. რასაკვირველია, უმჯობესი იყო მიწის მფლობელნი თვითონ გამოცხადებულიყვნენ დიდ საბჭოში და აქ განეცხადებინათ თანხმობა გადასახადზედ. მაგრამ ყველა მიწის მესაკუთრეების შეკრება მათი სიმრავლის გამო შეუძლებელი იყო; ამასთან მრავალრიცხოვან კრებაზედ საქმის გარჩევა და გადაწყვეტა კიდევ უფრო ძნელი. უმჯობესი და უადვილესი შეიქნა მოწოდება მემამულეთა შორის ამორჩეული პირებისა. ამ ამორჩეულებს მინდობილი ჰქონდათ ყველას მაგიერ ემოქმედნათ. არჩევნები ხდებოდა საგრაფოს ყრილობებზედ; ამ ყრილობებზედ დასწრება შეეძლოთ ყველა მიწის მფლობელთ, მაგრამ არჩევით კი რაინდები უნდა არჩეულიყვნენ. ეს არჩეული რაინდები თითქმის საგრაფოს ყველა მცხოვრებელის მაგიერობას ეწეოდნენ დიდ საბჭოში, ამიტომაც ეწოდებოდათ მათ საგრაფოების წარმომადგენელნი. მათ აგრეთვე პარლამენტის დეპუტატებს ან პარლამენტის წევრებს ეძახდნენ.

იგივე ფულის საჭიროება იყო მიზეზი, რომ მეფემ დიდ საბჭოში მოუწოდა ქალაქების წარმომადგენლებსაც. ბევრი მაშინდელი ქალაქთაგანი სოფელს კი აღარ წავაგდა, როგორც ვილჰელმ დამპყრობელის დროს; მათში ეხლა საკმაოდ განვითარებული იყო ვაჭრობა და ხელოსნობა; ვაჭრები და ხელოსნები, რომელნიც წინეთ არ არსებობდნენ, საგრძობლად გამრავლდნენ; პირველნიც და მეორენიც მეფისაგან ფულით იძენდნენ სხვა და სხვა შეღავათს; ვაჭრები, მაგალითად, მეფისაგან ყიდულობდნენ იმის უფლებას, რომ ქალაქში მათ გარდა ამა თუ იმ საქონლით ვაჭრობა არავის შესძლებოდა; ხელოსნები



იმისთვის იხდიდნენ ტულის მეფის სასარგებლოდ, ვარაუდობთ მათ გარდა არავის ჰქონოდა უფლება ზეინკლობისა, ან კიდევ სხვა რამ ხელობისა; ქალაქები ყოველ-წლიურ გადასახადს აძლევდნენ მეფეს. ამასთან, დიდი საბჭოს ნება-რთვით მეფეს შეეძლო გარდა ყოველ წლიურ კანონიერი გადასახადისა, ყოველთვის მოეკრაზნა ქალაქებიდგან მოულოდნელი ხარკიც. ხშირად მეფეები მოქალაქეებისაგან თხოულობდნენ ზედ-მეტ გადასახადს დიდი საბჭოს დაუკითხავად. მაშინ ასტყდებოდა ხოლმე შროძოლა. მოქალაქეები გაიძახოდნენ — თუ აგრეა, სრულიადაც არ ვიხდით გადასახადსო; მეფე კი იმავე დროს ხან ერთს მოქალაქეებს ართმევდა უფლებას, ხან მეორეს და ყოველ-მხრივ ავიწროებდა მათ, რის გამოც საწყალ მოქალაქეებს დიდი ზარალი მოსდიოდათ; ბოლოს მოქალაქენი ამჯობინებდნენ ხოლმე მეტი მიეკათ მეფისათვის, ოღონდ კი მასმათთვის წართმეული უფლებანი დაებრუნებინა; ერთის სიტყვით, იგინი ურიგდებოდნენ თავიანთ ბედს და ასრულებდნენ მეფის სურვილს; სამაგიეროთ მათაც ეძლეოდათ ესა თუ ის უფლება, რომელიც იმავე დროს, რასაკვირველია, მეფეს აკლდებოდა. რა თქმა უნდა, მეფემ კარგად იცოდა, რომ ცოტა რამ თვითონაც უნდა დაეთმო, არა და, შესაძლო იყო, მოქალაქეები სრულიად უარზედ დამდგარიყვნენ, მეფის წინააღმდეგ აღმდგარიყვნენ და იარაღისთვის მიეყოთ ხელი; ქალაქებსაც ჰყავდათ თავიანთი ჯარი, რომელსაც ქალაქის მილიცია ერქვა. ამიტომაც მეფემ უფრო სასარგებლოდ სცნო დიდ საბჭოში ქალაქის წარმომადგენლებისთვისაც მოეწოდებინა და აქ დაეთანხმებია იგინი გადასახად-ზედ. ეღუარდი თითოეულ დაბიდგან და ქალაქიდგან ეძახდა ორო-ორ არჩეულ კაცს, რომლებსაც დიდ საბჭოში უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

ამ გზით საბჭოში წილი დაიდევს მოქალაქეებში და გვერდით ამოუკახდნენ აზნაურობას და სამღვდლოებას. პირველ ხანებში ეს მეტად სასარგებლო იყო მეფისათვის; თავიანთი



ნებით მოქალაქენი უფრო მეტს იძლეოდნენ, ვინც მაღ-
 ტანებით, მოქალაქეებს, როგორც უჩვევ კაცებს, არ ეხერხე-
 ბოდათ დიდკაცობის გვერდით ჯდობა; მათ თითქმის ეშინო-
 დათ ბევრთ სჯადავისა და მოწინებით ემორჩილებოდნენ მე-
 ფეს და მისი სურვილის თანხმად იქცეოდნენ, იგინი ყოველ-
 თვის მხად იყვნენ დახმარება აღმოეჩინათ თავის მეფისთვის
 ფულით, რაცა ამას მეფე თხოულობდა. ამ სადათ ჩაცმულ,
 მორჩილ, მორიდებულ პირების მეფეს სრულიადაც არ ეშინო-
 და და, მართლაც, ხომ ინის ხელში იყვნენ იგინი; სურდა მოუ-
 წოდებდა, სურდა არ მოუწოდებდა იგი ამა თუ იმ ქალაქის
 წარმომადგენლებს; თუ ურჩობას გაუწევდნენ იგინი მეფეს,
 საბჭოს კარუძს ეღარ იხილაედნენ. ეღარდის დროს ქალაქე-
 შის რიცხვი ას სამოცამდის აღიოდა; მეფე კი მხოლოდ ასი
 ქალაქის და დაბის წარმომადგენლებს იწვევდა. ქალაქის წარმო-
 მადგენლებს ირჩევდნენ ვაჭრები და სახლის მებატრონენი ქა-
 ლაქის კრებაზედ ან ყრილობაზედ. ზოგერთ ქალაქებში ამორ-
 ჩეულები პირდაპირ ქალაქის საბჭოსაგან ინიშნებოდნენ, ორი-
 ნეტ შემთხვევაში ამორჩეულნი მთელი ქალაქის მცხოვრებთა მაგი-
 ყრობას ეწეოდნენ; ამიტომაც ეწოდათ მათ ქალაქთა წარმომ-
 დგენლები აგრეთვე ქალაქთა დეპუტატები და კიდევ — პარლა-
 მენტის წევრები. თუ აღვხედოთ მათს შემთხვევას ვინა
 ით ქალაქებს და საგრაფოებს უწოდებდნენ „თემებს“, რად-
 ვან თითოეული ქალაქის მცხოვრებნი და აგრეთვე საგრაფოე-
 ბთუ შეადგენდნენ განსაკუთრებულ თემს; ქალაქის მცხოვრებთ
 თავიანთი ქალაქის კრება მქონდათ, საგრაფოებს კი — საგრაფო
 ყრილობები, სადაც დამსწრენი მსჯელობდნენ თავიანთ საქმეე-
 ბზე და სხვა და სხვა კითხვებს სწვევდნენ. ეღარდმაც სწო-
 რედ ასეთ თემებისაგან ამორჩეულებს ანუ თემების წარმომად-
 გენლებს მოუწოდა დიდ საბჭოში.

ასეთნაირად ფულის ანგარიშმა მეფე აიძულა დიდ საბჭო-
 ში მოქალაქეების და საგრაფოების დეპუტატები მოეწოდებინა.
 ეს იყო ერთი მიზეზი, მაგრამ ამასთან ერთად აქ მოქმედებდა

მეორე მიზეზიც: დიდმა საბჭომ, რომელიც მხოლოდ აზნაურ-
 რომისა და სამღვდელთაგან შესდგებოდა, ისეთი ძილა მო-
 იკრიბა, რომ მეფეს მეტად უძნელდებოდა მის წინააღმდეგ
 გამკლავება. სამღვდელთა და აზნაურობა ხშირად უარხედ
 იდგა მეფისათვის ფული მიეცა, როცა მეფე მათი წინააღმდე-
 ბის თანხმა არ იყო; ამიტომაც მეფეს, ნებით თუ უნებურად,
 უნდა დაეთმო მათთვის; თუ არა—უფულოდ დარჩებოდა. მე-
 ფეს იმედი ჰქონდა, რომ თემების წარმომადგენლები მას დახ-
 მარებას გაუწყვედნენ დიდ საბჭოში და ამით იგი აღვირს
 ასდებდა ძლიერ და მედიდურ აზნაურობას. ეს მით
 უფრო მოსალოდნელი იყო, რომ აზნაურობასა და თემებს შო-
 რის ხშირად უკმაყოფილება და განხეთქილება სუფევდა: ძლი-
 ერი ვასსალნი ხშირად სჩაგრავდნენ და ავიწროებდნენ, რო-
 გორც თავიანთ ვასსალთ, ისე მოქალაქეებსაც; ამიტომაც მე-
 ფეს იმედი ჰქონდა, რომ ამორჩეულნი მას მხარს დაუჭერდნენ;
 იგი დაჯერებული იყო, რომ მათთან უფრო აღვილად შორი-
 გდებოდა და უფრო აღვილადაც იღებოდა ფულს; ერთი სი-
 ტყით, მეფეს იმედი ჰქონდა თემების წარმომადგენელნი მას
 მხარს დაუჭერდნენ აზნაურობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თვით
 ამ წარმომადგენლებისა კი მეფეს სრულიადაც არ ეშინოდა და,
 თუ იგი მათ ეძახდა, მხოლოდ მისთვის, რომ მათგან ფული
 მიეღო; თანაც მათი მოწოდება მეფეზედ იყო დამოკიდებული:
 სურდამოუწყვედა მათ მეფე, არა—ტ არ მოუწყვედა. ამ წარმომად-
 გენლებს არც სახელმწიფო საქმეების და არც ახალი კანონების
 შესახებ არას ჰკითხავდნენ; მათ ეკითხებოდნენ მხოლოდ მა-
 შინ, როცა ახალი გადასახადების შემოღება სურდათ. მაგრამ
 თემებს ის უფლება კი ჰქონდათ, რომ მეფისათვის საჩივრით
 მიემართნათ ამა თუ იმ მათთვის საზარალო ბოროტ-მოქმედე-
 ბაზედ და უწყობაზე; მათ უფლება ჰქონდათ აგრეთვე მეფი-
 სათვის თხოვნა ანუ პეტიცია მიეცათ. ძველიდან ამის შესა-
 ხებ არსებობდა ასეთი რიგი: პარლამენტის გახსნისათანავე მე-
 ფე ნიშნავდა რამდენიმე პირს მსაჯულთაგან და ლორდები-



დგან; ამით უნდა მივღოთ და განვიხილოთ თავიანთი სახიერების და თხოვნები პირდაპირ მეფისთვის მივცათ. სრულიად მეფის სურვილზედ და ქვეყნზედ იყო დამოკიდებული თემების თხოვნებზედ და სახიერებზედ ყურადღების მიქცევა, მათი ასრულება და შესრულებლობა. თემები თავიანთ სახიერებს და თხოვნებს ასეთი კრძალებისა და შორიდების კილოთი სწერდნენ: „მორჩილნი და საბრალო თემნი სთხოვენ და ევედრებიან თავიანთ მეფეს მოწყალებას ღვთის გულისათვის“. ერთი სიტყვით თემები ისე სწერდნენ, თითქოს მეფის მონა და მსახურნი ყოფილიყვნენ. საგრაფოები სიაშოვნებით გზავნიდნენ წარმომადგენლებს დიდ საბჭოში, რადგან იცოდნენ, რომ ეს მათთვის სასარგებლო იყო, მაგრამ მოქალაქეებს ჯერ კიდევ ვერ წარმოედგინათ, თუ რა სასარგებლოა უნდა მოჰყოლოდა ამას; მათ არა სჯეროდათ, რომ ერთ დროს მათი წარმომადგენლებიც ისეთსავე ძალას მოიკრებდნენ დიდ საბჭოში, როგორც ჰქონდა სამღვდელთა და აზნაურობას. ამიტომაც ქალაქებს მეტ ბარჯად მიანდათ თავიანთ ამორჩეულების დიდ საბჭოში გზავნა და ხშირად ყოველ ღონეს ხმარობდნენ განთავისუფლებულიყვნენ ამ მოვალეობისგან, მით უმეტეს, რომ მოქალაქეებს წარმომადგენლებისათვის უნდა ეძლიათ სამგზავრო და სხვა სახარჯო ფული; გარდა ამისა ის ქალაქები, რომელნიც პარლამენტში წარმომადგენლებს გზავნიდნენ, მეტ გადასახადს იხდიდნენ; ვინემ დანარჩენი ქალაქები. ამიტომაც ქალაქები ხშირად სთხოვდნენ მეფეს გაენთავისუფლებინა ივინი ამ მოვალეობისაგან; ხანდისხან ქალაქები პირდაპირ უარს ჰყოფდნენ მეფის ბრძანებას და დეპუტატებს სრულიადაც არ ირჩევდნენ.

ახლა ჩვენ უკვე ვიცით მიზეზი, რომლის გამოც მოუწოდა ელუარდმა პარლამენტში თავისს „ერთგულ თემებს“. პირველ ხანებში მართლაც მეფე მოგებული დაჩნდა: მას ეხლა წინანდელზედ მეტი შენოსლიოდა და თემები არასოდეს მეფეს დახმარებაზედ უარს არ ეუბნებოდნენ. მაგრამ რამოდენიმე ხნის



შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ მეფე მოსტყუვდა და დატოვებულ ბული იყო, რომ თემები მას დახმარებას გაუწევდნენ ვასსალოთა წინააღმდეგ; ამის მაგიერ თემები აზნაურობას და სამღვდელეობას მიემხრნენ. რაინდები შეუერთდნენ უმაღლეს აზნაურობას და სამღვდელეობას; ამით მოქალაქენიც მიემატნენ; მეფე კი მშრალზედ დარჩა.

§ 2.

ელჟარდ პირველის ბრძოლა პარლამენტის წინააღმდეგ, — ომი საფრანგეთთან და ფლანდრიათან. — პარლამენტი უარს ეუბნება მეფეს ფულზედ. — უკანონო გადასახადები. — ვასსალოთა აშშობება. — მეფის სიწინაულო და მისი გამგზავრება ფლანდრიაში. — პარლამენტი. — ახალი მუხლი დიდი ხარტიისა; განმტკიცება დიდი ხარტიისა ამ ახალი მუხლითურთ. — როგორ გარდაკეთდა დიდი საბჭო სამეფოს პარლამენტად. — მუდმივი სახელმწიფო საბჭო.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ელჟარდმა თითქმის მთელი თავისი მეფობა მუდმივ ომებში გაატარა. სანამ მეფეს შოტლანდიისთან და ვალიისთან ჰქონდა ომი, ხალხი მას სიამოვნებით ეხმარებოდა; პარლამენტიც მთლიად მცხოვრებლები: შემოსავლიდან მეფეს საბუნდრო ხარჯებისათვის ხან მეთედს, ხან მეთუთხეტედს, ხან მეშვიდედს და ხან ერთ მეხუთედსაც აძლევდა. თუმცა ხალხს მძიმე ტვირთად აწვა ამოდენა გადასახადი, მაგრამ, როგორც თვით მეფეს, ისე ინგლისის ხალხს სურდა, რომ მთელი კუნძული უნაკლულოდ ინგლისის ყოფილიყო. მაგრამ აი მეფემ ომი გამოაუცხადა საფრანგეთს და ფლანდრიის (ფლანდრია — სახელმწიფო იყო საფრანგეთის სამზღვარზედ) და პარლამენტს ფული მოსთხოვა, მაგრამ პარლამენტმა უარი უთხრა; მეფე მეტად განრისხდა და გადასწყვიტა მიიწვი და მიიწვი შეეგროვებია ფული.

მეფემ ჯერ სამღვდელეობას მიმართა და სთხოვა მას წლიური შემოსავლის ნახევარი, მაგრამ უარი მიიღო; ამან კიდევ უფრო განარისხა მეფე. სამღვდელეობამ მიზეზად ის დაასახე-



ლა, რომ სწორედ იმ ხანებში პაპიმ ბრძანება გამოაცხადა, რომ საძღვდელოებას ფული მისთვის ეძლია და არა მეფისათვის.

სამაგიეროთ მეფემ გამოაცხადა, რომ სამღვდელოება კანონს გარეშეაო; ეს იმას ნიშნავდა, რომ ვინც როგორ უნდა მოაყრობოდა სამღვდელოებას, კანონის წინაშე პასუხს არ აგებდა. სამღვდელოება დაემორჩილა მეფეს და თანხმობა განაცხადა გადასახადზედ, ოღონდ გადასახადი ნაკლები ყოფილიყო, ვინემ მეფე თხოულობდა. მეფეც დასთანხმდა. სამღვდელოებისაგან აღებული ფული მალე შემოეღო მეფეს. ახლა ჯერი აზნაურობაზედ მიდგა. მეფემ ბრძანება გასცა, ბარონები და რაინდები შეიარაღებული გამოაცხადებულიყვნენ მასთან, ან-და, ვინც პირადად გამოცხადებას არ ისურვებდა, მას ფული მიეცა მეფისათვის; გარდა ამისა მეფემ ახალი გადასახადი დაადო პურს და ოთხ-ფეხ საქონელს და გასატანი მატყლის ბაჟი ერთი ექვსად აქცია. ეხლა კი ყველა მიხვდა, რომ დიდი ხარტია მეფისაგან თითქმის სრულიად გაუქმებული შეიქნა: ის ახლა არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამ ხარტიას. ბარონები მსწრაფლ აღდგნენ მეფის წინააღმდეგ, შეუღდგნენ ჯარის გროვებას, რაინდები კი მათი ღროშის ქვეშ შემოკრბნენ. მათ მეთაურობდა ნორფოლკი. ბარონებმა თავი მოიყარეს სასახლის ერთ დარბაზში, სადაც ცოტა ხნის შემდეგ მეფეც გამოაცხადდა. ბარონმა ნორფოლკმა მეფეს შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მოწყალებო ხელმწიფე! ჩვენი ქვეყნის კანონების ძალით ჩვენ სრულფებითავე ვალდებულნი არა ვართ დაგებმართ და გამოგყვეთ ომში, როცა ეს ომი უცხოეთშია; ამიტომავე არც ერთი ჩვენგანი თქვენ დღეს არ გამოგყვებათ“.

— ვფიცავ ღმერთს, დაიყვირა განრისხებულმა მეფემ, რომ გამომყვებით, არა და ჩამოვახრჩობინებ თქვენ თავს.

— „ვფიცავ ღმერთს, არც გამოგყვებით და ვერცვინ ჩამომახრჩობს“ — მშვიდობიანად მიუგო ნორფოლკმა, — და მართლაც ასე მოხდა.

მეფემ ბრძანა ხელად შეეკრბნათ ფულით სავრათოებში



და ქალიაქებში; მიწის მესაჯუთრებები ვასსალოთა ბსწაკს შეკერ-
 თდნენ და ფულზედ სრული უარი განაცხადეს. მეფემ მალე დაინახა, რომ მარტოდ-მარტო დარჩა. იგი
 ხელ-მეორედ შეუდგა ბარლომენტის შეკრებას, მაგრამ, რადგან
 ომი ჯარის საჩქაროდ შეკრებას თხოულობდა, მეფემ ბარლომენტს
 აღარ მოუცადალ საჩქაროდ მოუწოდა ვასსალოთ, სამღვდელთა
 და მოქალიაქეთ თავის სასახლეში, რომელიც ვესტმინსტერში
 —ლონდონის ახლოს— მდებარეობდა. მოწოდებულთა წინაშე
 თვალ-ცრემლიანმა მეფემ თავისი დანაშაულობა სცნო და
 სთქვა: ბარლომენტის დაუთანხმებლად უფლება არ მქონდა
 ფული მომებოქაო და აღთქმა დასდვა, ამიერიდგან ამას აღარ
 ჩავიდნენ და თანაც სთხოვა თავისს ქვეშევრდომთ, დახმარებო-
 დნენ მას და მიეცათ საშუალება, ომი დაებოლითებინა. მეფის
 ცრემლებმა და სინანულმა კრებაზედ იმდენათ იმოქმედა, რომ
 სწამლდელიობა და ვასსალონი დასთანხმდნენ მეფეს ომი განეგრ-
 ძო და ფულითაც შემწეობა აღუთქვეს. შემდეგ ამისა მეფე
 ფლანდრიას გაემგზავრა, სამეფოს მართვა კი თავისს ძეს და
 მემკვიდრეს, ელუარდ მეორეს, და მუდმივ სახელმწიფო საბჭოს
 ჩააბარა. როდესაც მეფე გზას გაუდგა, შეიკრიბა ბარლომენტი
 და დაადგინა, მეფეს ხელ-ახლად განემტკიცებინა დიდი ხარ-
 ტია ახალი მუხლის დამატებით; ამ მუხლის ძალით მეფეს ნე-
 ბა არ მქონდა ახალი გადასახადი შემოეღო სამღვდელითების,
 ბწაურობის და თემების დაუთანხმებლად. როდესაც მეფე დაბრუნდა,
 ვასსალოებმა ფიცი მოსთხოვეს, რომ იგი დიდ ხარტიის ახლად დამატებულ მუხლს არ უღალატებ-
 და. მეფე ჯერ არაფრის გულისათვის არ დასთანხმდა, მაგრამ
 ამ დროს შოტლანდიაში ამბოხებამ იფეთქა და მეფეს ხელ-ახლი
 ჯარი დასჭირდა. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ვასსალო-
 ნი მას ომში არ გაჰყვებოდნენ და არც ფულს მისცემდნენ,
 თუ მათ სურვილს არ დააკმაყოფილებდა; გარდა ამისა უკა-
 ნონო გადასახადებმა თემებს ცხადად დაინახვეს, თუ რამდენად
 საჭირო იყო მათი თანხმობაც საჯილდებულო ყოფილიყო მე-

ფისათვის, როცა მას სურდა ახალი გარდასახვას დაეცა ხელი-
 ხისათვის, ინგლისელების სურვილი იყო მეფეს დიდი ხარტიის
 ახალი მუხლი ძალა-უნებურად მიეღო. გაიგეს თუ არა, მეფე
 წინააღმდეგია დიდი ხარტიისა, ამბობებამ იფეთქა როგორც
 ლონდონში, ისე სხვა ქალაქებში და საგრაფოებში. შეშინე-
 ბულმა მეფემ დიდი ხარტია ახალი მუხლითურთ განმტკიცა.
 ამ რიგად თემებმა ხელით, იგდეს ახალი კანონიერი უფ-
 ლება: ეს უფლება მასში მდგომარეობდა, რომ, თანაბრად სამ-
 ლედლოებისა და აზნაურობისა, ეხლა თემებსაც შეეძლოთ
 მსჯელობა გადასახადებზედ და აგრეთვე იმაზედაც, უნდა მის-
 ცემოდა მეფეს ფული, თუ არა. ჩვენ ხომ ვიცით უკვე, რომ
 მეფე წინადაც მოუწოდებდა ხოლმე პარლამენტში თემების
 წარმომადგენლებს, მაგრამ მაშინ ეს მის სურვილზედ იყო და-
 მოკიდებული; ახლა კი მეფე ვალდებული შეიქნა თემების
 ამორჩეულნიც, სურდა თუ არა, მაინც მოეწვია და თანხმობა
 მიეღო მათგან ახალ გადასახადზედ. ამის შემდეგ საგრაფოების
 და ქალაქების წარმომადგენლები პარლამენტის კანონიერი
 წევრნი გახდნენ; ამიერიდგან იგინი პარლამენტის სხდომაში
 მონაწილეობდნენ თავიანთ უფლებების ძალით და არა მეფის
 წყალობით. ამ დროიდან დიდი საბჭო იქცა ნამდვილ
 „პარლამენტად“. ამ რიგად ეღუარდი პირველი მეფე იყო,
 რომელიც სამეფოს მართავდა „პარლამენტის თანხმობად“ და
 სამეფო საქმეებს განაგებდა მუდმივი სახელმწიფო საბჭოს სა-
 მუშაოებით და არა თავისი მეგობრების დახმარებით, როგორც
 ამის გენრიხ მესამე ჩადიოდა. აქ საჭიროა გავიხსენოთ, თუ
 რა განსხვავება იყო მუდმივ სახელმწიფო საბჭოს და პარლა-
 მენტს შორის. ჩვენ ვიცით ვისგანაც შესდგებოდა, ან რას
 აკეთებდა პარლამენტი, როცა იკრიბებოდა იგი. მუდმივი სა-
 ხელმწიფო საბჭო კი ნიადაგ მეფესთან იმყოფებოდა და შეს-
 დგებოდა უმაღლეს მოხელეების ანუ მინისტრებისაგან და აგ-
 რეთვე ისეთ პირთაგან, რომელნიც მეფისათვის ფრიად სან-
 დონი იყვნენ. ამ საბჭოსთან მეფე თათბირობდა ყოველ სა-

ხელმწიფო საქმეებზედ და მას მიანდობდა ხელმწიფოს მართვა-გამგეობას, როცა თვითონ ომში მიდრიდა.

§ 3.

მეფე ელუარდ მეორე. — გვესტონი მეფის საყვარელი. — ეასსალთა ამბობება. — მეფის თანხმობა. — მუდმივი სახელმწიფო საბჭო. — ახალი კანონები. — ვასსალთა ხელ-ახალი აპზობება. — მეფის გამარჯვება. — პარლამენტის დიდ-მნიშვნელოვანი დადგენილება. — იზაბელლას გამგზავრება. — იზაბელლას ომი ელუარდთან. ელუარდის დატყვევება. — როგორ წაართვეს ელუარდს მეფობა. — პარლამენტის მოციქულები ელუარდის წინაშე. — მეფობაზედ უარის ყოფა ელუარდისაგან. — სიტყვა ეპისკოპოსის ორელტონისა.

მეფე ელუარდ პირველი გარდაიცვალა ათას სამას შვიდ წელს; მის მაგიერ ტახტზედ ავიდა ძე მისი ელუარდ მეორე, კაცი მხნადი და უხასიათო, მაგრამ სასტიკი და ბატონობის მოყვარული. მიიღო თუ არა მეფობა, მან ჯერ თვისი მამის მინისტრები დაითხოვა; შემდეგ გააუქმა მუდმივი სახელმწიფო საბჭო, რომლის დახმარებითაც მართავდა სამეფოს განსვენებული მეფე, და მთელი ქვეყნის მართვა თავისს მეგობარს ფრანგს პეტრე გვესტონს მიანდო. გვესტონი სახელმწიფოს მმართველად დანიშნა მეფემ მაშინ, როცა თვითონ საფრანგეთს გამგზავრა თავისს საცოლო იზაბელლას საწახავად. გვესტონი ამბარტავანი და სახელის მოყვარე კაცი იყო. მეფის ნდობით და მფარველობით გამედიდურებული გვესტონი არაფრად აგდებდა ინგლისის დიდეაცებს, რის გამოც გრაფებმა და ბარონებმა, რომელთაც სრულიადაც არ სურდათ გვესტონის ხელქვეით ყოფნა, საშინლად შეიძულეს იგი; შემდეგ, მოთმინებიდგან გამოსულნი, აღდგნენ კიდევ იგინი მეფის წინააღმდეგ. შეშინებული ელუარდი მოუთრგდა ვასსალთ და დააკმაყოფილა მათი სურვილი: განაძევა გვესტონი და თანხმა გახდა სამეფოს მართვაში, მსგავსად თვისი მამისა, წილი დაედო მუდმივ სახელმწიფო საბჭოსთვის; მაგრამ ეხლა ვალასაწყვეტი შეიქმნა ის კითხვა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ამ საბჭოში წევრებათ?



ამ კითხვის გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვასსალნი იმ გადაწყვეტილებას დაადგინენ, რომ საბჭოს წევრების ამორჩევა დამოკიდებული ყოფილიყო მათზედ, სამღვდლოების მონაწილეობით და არა მეფეზედ. აირჩიეს სახელმწიფო საბჭო. ამავე დროს შეიკრიბა პარლამენტიც. სახელმწიფო საბჭომ პარლამენტს წინადადება წარუდგინა იმის შესახებ, თუ რა და რა ზომების მიღება იყო საჭირო, რომ მეფის უფლებები მეფისავე ქვეშევრდომთა საკეთილდღეოდ შეეზღუდათ. პარლამენტმა განიხილა ეს წინადადება და მიიღო კიდევ საჭირო ზომები. ამ რაში მდგომარეობდნენ ეს ზომები: უპირველესად განმტკიცებულ იქმნა კანონი, რომლის ძალითაც შეუძლებელი იყო ახალი გადასახადის შემოღება პარლამენტის დაუთანხმებლად. გარდა ამისა მიღებულ იქმნენ შემდეგი მუხლები: ა) „მეფე ვალდებულია პარლამენტს მოუწოდოს ყოველ წლივ; ბ) პარლამენტის დაუთანხმებლად მეფეს არა ჰქონდეს უფლება საუფლისწულო მამულების გაბოძებისა, არც ომის დაწყებისა და არც საზღვარ გარედ წასვლისა; გ) მეფე ვალდებულია აღნიშნოს მინისტრები მხოლოდ პარლამენტის თანხმობით და ყველა მინისტრები მოვალენი არიან ფიცად დასდევან, რომ არ უმტყუნებენ დიდ ხარტიას; დ) ყოველგვარი საჩივარი სახელმწიფოს მოხელეებზედ უნდა განიხილოს პარლამენტმა“.

რა თქმა უნდა, ეს ზომები მეტად ავიწროებდნენ მეფის უფლებებს, მაგრამ სუსტი და მხდალი ედუარდი იმდენად შეშინებული იყო ამბოხების გამო, რომ ყველაფერზედ სთანხმდებოდა. ზემო აღნიშნული ზომები ყველა საგრაფოებში გამოაქვეყნეს. ამის შემდეგ ვასსალნი დამშვიდნენ და ამბოხება თითქმის ჩაქრა.

აიცილა თუ არა თავიდან საფრთხე, მეფემ ხელახლად მოუწოდა გვესტონს და იწყო მზადება ვასსალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მეფის დაუნდობლობით აღშფოთებული ვასსალნი შეიკრიბნენ ლონდონში, მოიყარეს თავი წმ. პავლეს ეკლესიაში და შეფიცეს ერთმანეთს, არ აეყარათ იარაღი, სა-

ნამ გვესტონს არ გააძევებდნენ ინგლისიდან დაჰსაყრებას არ
 აღადგენდნენ; შემდეგ ამისა ვასალონი გაიფანტნენ საგრა-
 ფობში ჯარის შესაკრებად. მეფესა და ვასალოთა შორის
 ხელო-ახლოდ გაიმართა ბრძოლა. ამ ბრძოლამ ათი წელი გასტა-
 ნა. ჯერ ვასალონი დარჩნენ გამარჯვებულნი. გვესტონი ტყვედ
 იქნა წაყვანილი. ვასალოებმა თავიანთ შორის ამოიჩიეს ოთ-
 ხი მსაჯული. ამ მსაჯულების გადაწყვეტილებით გვესტონს
 თავი მოჰკვეთეს. ძლიერმა მეფემ ვასალოთა სურვილისამებრ მიუ-
 დმივისახელმწიფო საბჭოს თანხმად იწყო სამეფოს მართვა, მაგრამ
 მცირე ხნის შემდეგ ხელო-ახლოდ ასტყდა ბრძოლა მეფესა და
 ვასალოთა შორის; ებლა კი გამარჯვება მეფეს დარჩა და ისარ-
 გებლა კიდევ მან ამ გამარჯვებით; წინააღმდეგობის მეთაუ-
 რები სრკელილით დასაჯა, მათი ქონება სახაზინოდ ჩარიცხა
 და იმ წამსვე თავისს მეგობრებს გაუნაწილა. სახელმწიფოს
 მართვა ისევ ერთ თავისს საზღვარ-გარეთელ მეგობართაგანს
 მიანდა. *გვესტონის მოკვლეობა — მისი იტოვი მისი და საბრძოლო*
გამარჯვების შემდეგ მეფემ მოუწოდა ბარლამენტს, რო-
მელიც მისს მომხრეებისგან შესდგებოდა. შეიარაღებულმა ბა-
რონებმა არა ერთხელ აიძულეს მეფე მათ ნებას დაჰყოლოდა
და მათი სურვილი დაეკმაყოფილებინა. ამის გამო მეფე ცდი-
ლობდა ბარონების ასეთ ძალ-მომრეობას ბოლო მოჰღებოდა;
ამიტომაც ბარლამენტმა, მეფის სურვილისამებრ დაადგინა:
„ბჭობა სახელმწიფო საქმეების შესახებ უნდა მოხდეს ხოლმე
თვით ბარლამენტში და არა მის გარეშე და მასთანვე აზნაუ-
რობის, სამღვდელთაგანის და თემთა დეპუტატების თანმობი-
თაო“. მეფე მხოლოდ იმაზედ-და ფიქრობდა, რომ მის წინაა-
ღმდეგ ამღვარ ვასალოთ მისთვის ძალა-უნებურად აღთქმა აღარ
ჩამოერთმიათ, ხოლო რაც აღეთქვა, ის მისთვის სავალდებუ-
ლო აღარ ყოფილიყო. მეფე აქ ვერ მიმხვდარიყო, რას ჩა-
დიოდა: ჯერ ერთი, რომ მან თვითონვე შემოიზღუდა თავი-
სი უფლებები; ამიერიდგან მას კანონის ძალით აღარ
შეეძლო სამეფოს მართვა თავის სურვილისამებრ; ახლა

ამისათვის საჭირო იყო ბარლამენტის თანხმობის გარეშე თანხმობა იყო საჭირო, როცა მას სურდა ახალი კანონების შემოღება. მეორე — წინედ მეფე თემებს ეძახდა მხოლოდ იმისთვის, რომ მათგან ფული მიეღო; ეხლა კი თემებს, სამღვდელოებისა და აზნაურობის თანაბრად, ნება მიეცათ სახელმწიფო საქმეებზედ და ახალ კანონზედ მსჯელობის და მათი დაფასებისა. დღევანდელ აუცილებლად საჭირო შეიქნა, როგორც აზნაურობის და სამღვდელოების, ისე თემების თანხმობაც. ასეთი რიგი დამყარდა მხოლოდ კაი ხნის შემდეგ, რადგან ელუარდის დროს ეს დადგენილება ვერ შევიდა ძალაში იმ არეულობის გამო, რომელმაც მალე იჩინა ისევ თავი.

მეფის სიხარული ხანგრძლივი არ გამოდგა. ვასალნი ხელახლა აღდგნენ მეფის წინააღმდეგ: ეხლა კი საქმე იქამდის მივიდა, რომ ელუარდს ტახტიც გამოეცალა ხელიდგან. აი როგორ მოხდა ეს.

ელუარდა და მის ცოლი ძმის — საფრანგეთის მეფის — შორის განხეთქილება ჩამოვარდა. გაჯავრებულმა მეფემ თავის ცოლს, იზაბელლას დაუწყო შეურაცხყოფით მოქცევა, შეუმცირა სადედოფლო ფული და განაძევა ინგლისიდგან მისი ამაღლა, რომელიც ფრანგებისაგან შესდგებოდა. შეურაცხყოფილმა დედოფალმა გულში გადასწყვიტა ქმრის შურის ძიება და ფარულად ეძებდა მარჯვე დროს, თვისი გულის წადილი აღესრულებია. იზაბელლამ ქმარს მუდარი დაუწყო, საფრანგეთში გამიშვი ნათესავების სანახავად და თანაც სიტყვა მისცა ქმარს ძმასთან მოგარიგებო. მეფე დასთანხმდა. დედოფალი გაემგზავრა და თან წაიყვანა ტახტის მემკვიდრე, თვისი ძე ელუარდი. ამის შემდეგ იგი უკან აღარ დაბრუნებულა. ბევრი ეხვეწა მეფე იზაბელლას თუ წერილებით, თუ მოციქულების პირით დაბრუნებულობო იგი, მაგრამ ამაოდ: დედოფალმა ქმართან ცხოვრებაზედ უარი განაცხადა. ხოლო საქმე ამითაც არ გადავებულა; დედოფალმა ძალიან კარგად იცოდა, თუ რამდენადა უკმაყოფილონი იყვნენ ინგლისელნი თავიანთ მეფისა,



ეროვნული

წიგნობა

იკოდა აგრეთვე, რომ ვასსალნი მზად იყვნენ ჩინაზღაპროდნენ მეფეს; ამიტომაც მან გადასწყვიტა ძლიერ ვასსალოთა დახმარებით ქმრის ტახტიდგან ჩამოგდება. რამოდენიმე ხნის შემდეგ იზაბელოა დაუკავშირდა უქმაყოფილო ვასსალოთ, მოაგროვა ჯარი და შევიდა ინგლისში. მალე მას შეუერთდნენ მრავალი უქმაყოფილო ინგლისელები; ვასსალნი და ეპისკოპოსნი მის ბანაკში გამოცხადდნენ; ქალაქები კი ფულოთ ეხმარებოდნენ მას. ედუარდმა დახმარება სთხოვა ქალაქ ლონდონს, მაგრამ უარი მიიღო. გაჭირვებაში ჩავარდნილმა მეფემ დასტოვა სატახტო ქალაქი და დასავლეთისკენ წავიდა. იმავე დროს დედოფალი თავის ძით ლონდონში შემოვიდა; აქ მას ხალხი აღტაცებით დაუხვდა. აქედგან იზაბელოა ქმარს გამოუდგა დასაქვრად. გზაზედ იზაბელოას ჯარი თანდათან შატულობდა. გაიგო რა ეს ედუარდმა, ირლანდიაში გაქცევა დააბირა, მაგრამ ედვარ მოასწროა: იგი შეგობრებითურთ ტყვედ იქნა წაყვანილი. იზაბელოამ ქმრის შეგობრები ჩამოახრჩობინა, ქმარი კი დააპატიმრა; შემდეგ მოუწოდა პარლამენტს, რომელსაც უნდა გამოერკვია, თუ რა გვარად დაემყარებინათ წესრიგი სახელმწიფოში, აზნაურობას და საზღვდელიობას შეუძლებლად ბიანდით წესრიგის დაცვა, სანამ ედუარდი მეფედ იყო; ამიტომაც გადასწყვიტეს მეფისთვის ტახტი ჩამოერთმიათ. შეადგინეს ლამაზა, რომელმაც ჩამოთვლილი იყო მეფის ყველა დანაშაული. ამ დანაშაულობათა გამო პარლამენტმა დაადგინა: მეფე ედუარდს ჩამოერთვას ტახტი და საშეფო გვირგვინი გადაეცეს მის მემკვიდრესო. ამაზედ შეიღმა განაცხადა— მაშინ დაუთანხმებლად გვირგვინს ვერ მივიღებო.

ამიტომაც პარლამენტმა პატიმარ მეფეს მოციქულები გაუგზავნა, რომელთა შორის იყვნენ: ეპისკოპოსნი, აზნაურები და თემების დებუტატები; მათ შეთაურობდა ეპისკოპოსი ორელტონი, მეფის მოსისხლე მტერი. მეფე ძაძით შემოსილი დახვდა მოციქულებს; დაინახა თუ არა თავისი მტერი ორელტონი, მას გული წაუვიდა. როცა მეფე გონზედ მოვიდა, წაუკითხეს



თვის. ელუარდ პირველი, მაგალითად, იწვევდა პარლამენტში ორმოცდა ერთ კაციდგან ას თერთმეტამდე; ელუარდ მესამე — ოცდა ოთხიდან ოთხმოც-და თექვსმეტამდე. ელუარდების დროს სულ ირიცხებოდა ოთხმოცდა თვრამეტი ბარონი, რომელნიც მხოლოდ ერთხელ იყვნენ მოწოდებულნი; ორმოცდა ათი — მხოლოდ ორჯერ. მეფე, რამდენიც უნდოდა, იმდენ ბარონს მოუწოდებდა; მეფეზედ თუა აგრეთვე დამოკიდებული მოსაწოდებელი ბარონების ამორჩევა. ეს უფლება მისთვის მეტად ხელსაყრელი იყო. მეფეს შეეძლო ამ გზით ისეთი პარლამენტი შეედგინა, რომელიც მის მოჩილებაში იქნებოდა. მოვიგონოთ, როგორი პარლამენტი შეკრიბა ელუარდ მეორემ, როცა მან ვასსალნი დაამარცხა.

იმ პირთ, რომელთაც მეფე იბატოებდა წერილით პარლამენტში, ჯერ კიდევ ელუარდ მეორის დროს ეწოდათ სამეფოს „პერები“, ამიტომაც ლორდათა პალატას ეწოდა კიდევ პერების პალატა. ეპისკოპოსებს და მონასტერთა წინამძღვრები უწოდებდნენ სასულიერო პერებს. უკვე ელუარდ მესამის შემდეგ, თუ ბარონი ერთხელ იყო მოწოდებული მეფისაგან, მას მეფე მეორეთაც მოუწოდებდა, მესამემედაც და ასე სიკვდილამდე. ამ დროიდან ბარონებიც მხოლოდ მათ ეწოდათ, რომელთაც მეფე იწვევდა პარლამენტში. დროის განმავლობაში როგორც პერის წოდება, ისე მისი ადგილი, მემკვიდრეობითი შეიქნა და მამიდგან შვილზედ გადადიოდა; ასე რომ, მეფეს უნდოდა თუ არა, პერის ძე, მამის სიკვდილის შემდეგ, პერად ხდებოდა და პარლამენტშიაც მამის ადგილს იჭერდა.

მაგრამ ამავე დროს მეფემ შეინარჩუნა უფლება პერის წოდების ახლად ბოძებისა; მას შეეძლო ღრამატით პერობა მიეცა, ვისთვისაც სურდა.

ელუარდ მესამის დროს პერებმა დიდი უფლება მოიპოვეს; თანხმად მათის სურვილისა შემდეგი კანონი გამოიკა:

„არცერთ პერს არ ჩამოერთვას ქონება ან დაპატიმრებული არ იქმნას იგი, თუ არ ისევ პერთა დადგენილების და“

ლით პარლამენტში“, ე. ი. ამ კანონის ძალით პარლამენტისა-
მართლება შეეძლოთ მხოლოდ პერებსვე პარლამენტში და არა
უბრალო მოსამართლეებს.

პერები ასამართლებდნენ აგრეთვე მეფის მინისტრებსაც.
პერების პალატას, როგორც ვიცით, ძლიერ დიდი უფ-
ლებები ჰქონდა: მისდა დაუთანხმებლად შეფეს არ ჰქონ-
და ნება ან ახალი გადასახადები შემოეღო, ან ახალი
კანონები გამოეცა, შეფეს პალატისათვის უნდა ეკითხა
რჩევა ყოველ მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმის შესახებ; მა-
სვე ეკითხებოდა აგრეთვე იგი, ვინ დაენიშნა მინისტრად, ან
თავისს მუდმივ სახელმწიფო საბჭოს წევრად.

§ 5.

სათემო პალატა და მისი უფლებები.—სათემო პალატის სპიკერი.—სპიკერის
ამორჩევა.—საჩივრები და პეტიციები.—საჩივრების მიმღები სათემო პალა-
ტაში.—მეფე ეღუბრდ მესამე თემებს ეკითხება რჩევას.—თემების პასუ-
ხი.—თემები ახალ უფლებებს იძენენ.

სათემო პალატა მთლად ამორჩეულ პირებისაგან შესდგე-
ბოდა. თავდაპირველად მას პერთა პალატაზედ ნაკლები უფ-
ლებები ჰქონდა. მისი უფლებები მაში მდგომარეობდნენ, რომ
მას შეეძლო მსჯელობა იმაზედ, თუ ვის როგორი და რამდენი
გადასახადი უნდა დასდებოდა; გარდა ამისა მას შეეძლო მე-
ფისათვის საჩივრები და პეტიციები მიეცა. ეს იყო და ეს. გა-
რეშე ამისა მას არავითარი უფლება არა ჰქონდა.

როდესაც პარლამენტი ორ პალატად გაიყო, სათემო პა-
ლატამ თვისი თავმჯდომარის არჩევა იწყო; ამ თავმჯდომარეს
ეწოდა სპიკერი. სპიკერს თემთა პალატის სახელით სიტყვა
უნდა წარმოეთქვა ლორდების და მეფის წინაშე.

აი ჩვეულებრივად როგორ იქცეოდა სპიკერი: ჯერ პა-
ლატა ირჩევდა მას; შემდეგ წარსდგებოდა იგი მეფის წინაშე
და ევედრებოდა მას ებრძანებინა, რომ პალატას სხვა სპიკერი
აერჩია და თანაც სჩიოდა: „მე სუსტი და ჯანმრთელობას მო-



განაგრძეს ბრძოლა ახალი უფლებებისათვის ვინააზეთ, რომ მათ კიდევ მოიპოვეს ეს უფლებები.

§ 6.

ვისგან შესდგებოდა პარლამენტი.—ამორჩევლები და პარლამენტის მოქმედება.—ვის ჰქონდა უფლება ამორჩეულიყო პარლამენტის წევრად საგრაფოებში და ქალაქებში.—ამორჩევლები.—მდიდრები პარლამენტში.—კანონები ნუშათა შესახებ.—ჟამი მეთოთხმეტე საუკუნეში.—მებატონეები ცდილობდნენ ძველი ბევარა დაიბრუნონ.—გლებთა ამბობება.

მთელი პალატა შესდგებოდა ამორჩეულთაგან; მაგრამ ყოველ ინგლისელს არ ჰქონდა ნება ამორჩეულიყო და პარლამენტის წევრად გამხდარიყო. ეს ძვირფასი უფლება მლიერ კოტას ჰქონდა. მაგალითად საგრაფოებს მხოლოდ „რაინდები“, ესე იგი აზნაურები, მებატონეები შეეძლოთ ამოერჩიათ, ხოლო არა აზნაური მებატონე და წვრილი შემამულეები მოკლებული იყვნენ ამ უფლებას; ივინი არჩევას ვერ ეღიროსებოდნენ. მათ შეეძლოთ მხოლოდ დასწრებოდნენ საგრაფოს ყრილობებზედ, სადაც ირჩევდნენ დეპუტატებს და აერჩიათ „რაინდები“. მებატონე გლებებს არამც თუ სათემო პალატის წევრად ყოფნის ნება არა ჰქონდათ, ივინი სხვისი ამორჩევის უფლებასაც მოკლებულნი იყვნენ.

ქალაქების მცხოვრებთა შორის კოტანი იყვნენ ისეთი მოქალაქენი, რომელთაც უფლება ჰქონდათ დეპუტატებათ, ანუ სათემო პალატის წევრებად არჩეულიყვნენ; პალატის წევრებად მდიდარი ვაჭრები და სახლის მებატონენი იყვნენ; მათ ირჩევდნენ მხოლოდ იგივე ვაჭრები და სახლის მებატონენი და არა ქალაქის ყველა მცხოვრებნი.

ამიტომაც იმ დროინდელი პარლამენტი შესდგებოდა მხოლოდ აზნაურ-მებატონეთაგან და მდიდარ მოქალაქეთაგან. წვრილი შემამულეების, გლეხების და ხელოსნების კი აქ ხსენებაც არ იყო. ცხადია, კაცი საკუთარ სარგებლობაზედ და კეთილ-დღეობაზედ მეტს ფიქრობს, ვინემ სხვის ავ-კარგზედ.

სამწუხაროდ, მეტად იშვიათი არიან ისეთი კაცები, რომლებ-
 თაც შეეძლოთ სხვების გულისთვის თავი დაივიწყონ და საყო-
 ველთაო სარგებლობას პირადი ანგარიშები ანაცვალონ. იშვი-
 ათნი იყვნენ ასეთი კაცები პარლამენტშიაც, პარლამენტის
 წევრნი, მდიდარი მებატონეები და ვაჭრები, როცა რომელი-
 მუ კითხვას არკვევდნენ ან რაიმე საქმეზედ მაჯულობდნენ, უპი-
 რველესად და უმთავრესად თავიანთ თავზედ ფიქრობდნენ და
 საკუთარი სარგებლობით ხელმძღვანელობდნენ. იგინი ცდილო-
 ბდნენ ისეთი კანონები გამოეცათ, რომელნიც ხელსაყრელნი
 იქნებოდნენ აზნაურობის და ვაჭრებისათვის. მათ სრულებით
 არ აფიქრებდა და არ აწუხებდა ის, რომ ასეთი კანონების
 წყალობით ხალხს სიცოცხლე განწარებული ჰქონდა; თვათონ
 ხალხს კი პარლამენტში თვისი წარმომადგენელი და გულ-შე-
 მატკივარი არაფერს ჰყავდა; არ იყო კაცი, რომ გლებთა, ხელო-
 სანთა, ლატაკ და საზოგადოდ შრომელ ხალხის სასარგებლოდ
 სიტყვა ეთქვა. მე თქვენ გაგაცნობთ იმ კანონებს მუშათა შე-
 სახებ, რომელნიც გამოსცეს ედუარდ მესამის მეფობის დროს.
 ამ კანონებიდგან თქვენ ცხადათ დაინახავთ, რომ სოფლის და-
 რიბი ხალხის დარდი არა ჰქონდათ პარლამენტის წევრებს აზ-
 ნაურ-მებატონეებს, თავიანთ სარგებლობას კი შუშა-აქროსა-
 ვით უფროთხილდებოდნენ. მაგრამ სანამ თვით ამ კანონებზედ
 ვილაპარაკებდეთ, გავიგოთ ის მიზეზები, რომლებმაც გამოი-
 წვიეს ეს კანონები.

მეთოთხმეტე საუკუნის ნახევარს ევროპას მოეღო „შავი
 ჭირი“, ანუ ჟამი. თუმცა ინგლისი კუნძულია ზ განცალკევე-
 ბული ევროპისაგან, ეს ჭირი ინგლისშიაც გადავიდა და ნა-
 ხევარი ხალხი გასწყვიტა: ოთხ მილიონ მცხოვრებთაგან ორი
 მილიონი ძლივს-ლა დარჩა. ქალაქებიც და სოფლებიც დაცა-
 რივდნენ; აღარ იყო აღარც მიწის დამმუშავებელი კაცი,
 არც მოსავლის მომწვევი. ნახირი უმწყემოდ დაეხეტებოდა
 ყანებში, სპობდა და აფუჭებდა ჭირნახულს, ხალხი კი შიმში-
 ლით იხოცებოდა. პურის ფასმა ძლიერ აიწია, მასთან დიდი



უფულობა ჩამოვარდა. ამ უბედურ დროს ცუდი ღლე დაუდგა მებატონეებს: ძლივს-ღა შრულობდნენ მიწის მუშას და იმასაც მაშინ, თუ წინანდელზედ ორჯერ მეტა ქირას გაიღებდნენ. საქმე-გაჭირვებულმა მებატონეებმა პეტრიციებით მიმართეს პარლამენტს და თვით შეფეს. პარლამენტშიაც აწორედ იგივე მდიდრები იყვნენ, რომლებსაც მუშები ყაპირობოდით; ამიტომაც პარლამენტმა მუშების შესახებ ახალი კანონები გამოსცა.

ამ კანონების ძალით მუშებს ნება არა ჰქონდათ მეტი ქირა მოეთხოვათ, ვინემ წარსულ წლებში იყო, ან უარი ეთქვათ ვინშენთვის დაქირავებაზედ: ვისაც სურვილი ჰქონდა მუშების დაქირავებისა, ყველას უნდა დასთანხმდებოდნენ იგინი. მუშას, რომელიც დადგენილ ქირაზედ მეტს ითხოვდა ან და უარს იტყოდა, ციხეში ამოაყოფინებდნენ თავს. მაგრამ საქმეს ამითაც არა ეწველა-რა: მუშის შოვნა მაინც მეტად ძნელი შეიქნა, რადგან მუშათა რიცხვი ძლიერ მცირე იყო. რომ ვეღარა გააწყეს-რა, მებატონეებმა ბევრის ხელ-ასლა შემოღება მოინდომეს, რომლის მაგიერ, კარგა ხანია, გლეხები ფულს იხდიდნენ. გლეხებს აღეკრძალა გასცლოდა მებატონეს, რომლის მამულზედაც მოსახლეობდა. გლეხები უარზედ იდგნენ, არ ემორჩილებოდნენ ასეთ განკარგულებას და ასობით გარბოდნენ აქეთ-იქით. ასეთ გლეხებს უწოდებდნენ გაქცეულებს, იქერდნენ და საატაკათ სჯიდნენ. ბევრ გლეხს ჩაშართვეს მიწის გამოსყიდვის ღრამატები და უკანონოდ სცნეს იგინი.

ვერც ერთმა ამ ზომამ ბეგარა ვეღარ დაუბრუნა მებატონეს. ის კი არა, გაჭვრებულმა და მოთმინებიდგან განოსულმა გლეხებმა ამბოხება მოახდინეს. ამ ამბოხებამ ეღუარდ მესამის სიკვდილის შემდეგ, მისი შვილი-შვილის, მკირე-წლოვან რჩიარდ შეროს დროს იფეთქა. ამაზედ ზენ შემდეგ გვექნება ლაპარაკი, აქ კი უნდა მოგიხროთ კიდევ ერთ ამბავზედ, რომელიც ეღუარდის დროს მოხდა.



§ 7.

როგორ განთავისუფლდნენ ინგლისელები პაპის ქვეშევრდომობისაგან.—
 დეონ ვიკლეფი.—პაპების ბატონობა ინგლისში და მათი ღაღები.—რო-
 გორ ავიწროებდნენ პაპები ხალხს.—პაპების გადასახლება საფრანგეთში.—
 ატი წლის ომი.—კანონები პაპების წინააღმდეგ.—განთავისუფლება პაპე-
 ბის ქვეშევრდომობისაგან.—ვიკლეფის გადაშტრება პაპის და სამღვდლო-
 ების წინააღმდეგ.—ვიკლეფის ქადაგებანი.—ვიკლეფის მოძღვრება.—დაბა-
 დების თარგმანი.—ვიკლეფის მოწოდებები ანუ ლოკალარდები.—ლარიზი
 მღვდლები.—სამღვდლოება სდევნის ვიკლეფს.—ვიკლეფის სიკვდილი.—სა-
 მი ედუარდის საუკუნე.

ედუარდ მესამის შეტობის ბოლოს ინგლისში მოხდა ერთი დიდად მნიშვნელოვანი ამბავი: ინგლისმა თავი დააბწია პაპის ბატონობას. თქვენ უთუოთ გეხსომებათ, რომ იოანე უმიწომ ინგლისი პაპის ლენად აქცია, თავისი თავი კი პაპის ვასალად აღიარა. ამის შემდეგ მთელი ას ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ინგლისი პაპის ლენად ითვლებოდა. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმაზედ, თუ რა მოუტირებლად, უნამუსოდ და თავუწახნილად ფარფაშობდა ინგლისში პაპი; ხარკი, შვეიწროება და უსამართლოება პაპის მხრით თანდათან მატულობდა. პაპები ინგლისს ისე უტყუროდნენ, როგორც საკუთარ მამულს და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი ფული მოეკრიბნათ. იქების კოპოსების და მღვდლების ადგილებს პაპები იმათ აძლევდნენ, ან ვინც მეტს სასუიდელოს იძლეოდა, ან და თავისს შეგობარ-ნათესავებს, რომელთაგანაც, რა თქმა უნდა, სამაგიეროს მოელოდნენ. პაპები რამდენიმე თანამდებობას აძლევდნენ ერთსა და იმავე პირს, რომელნიც არც კი მოდიოდნენ ინგლისში, თუმცა შემოსავალს კი ღებულობდნენ საეპისკოპოსოებისაგან, ან სამრევლოდგან. როცა ეპისკოპოსის ან მღვდლის ადგილი თავისუფლდებოდა, მთელი შემოსავალი პაპს მიჰქონდა, მინამ ახალი პირი არ დაინიშნებოდა. ვარდა ამისა პაპებს დიდძალი ფული შემოსდიოდათ კოდეების მიტევებისა-



თვის; მათვე შიშქონდათ ერთი მეთათელი სამღვდელთაგანის მოსაველისა. მთელი ას ორმოც-დაათი წლის განმავლობაში ანაირად ყვლეფავდნენ პაპები ინგლისელებს; მათ ბატონობას, თავ-გასულობას, უსამართლო გადასახადებს და ხარკებს მუდამ უჭიოდნენ ინგლისელები. ედუარდ მესამის მეფობაში მინც უკმაყოფილება უკიდურესობამდის მივიდა: ხალხი ზიზდით უცქეროდა პაპს და მის ბრძანებლობას. თვით ინგლისის სამღვდელთაგანა პაპის წინააღმდეგი იყო, რადგან მასაც ძალზედავიწროებდა პაპი. ამავე დროს პაპებმა სხვა კათოლიკეთა სახელმწიფოებში სრულიად დაპყრობეს ძველებური პატივის ცემა თავიანთ უსამზღვრო ვერცხლის მოყვარეობით, კერძო ინტერესების სამსახურით და საერო საქმეებზედ მზრუნველობით, რომელსაც მათ არავინ არ სთხოვდა. ამასთან ედუარდ მესამის დროს პაპი რომში აღარ სცხოვრობდა, სხვა და სხვა გარემოებათა გამო, რომლებზედაც ლაპარაკი ძლიერ შორს წაგიყვანდა, პაპი იძულებული შეიქნა საფრანგეთის ქალაქ ავინონში გადასახლებულიყო. საფრანგეთში კი პაპი დამოკიდებული შეიქნა საფრანგეთის მეფისაგან და მის ხურვილისამებრ იტყუოდა. ედუარდის დროს ინგლისსა და საფრანგეთს შორის ატყდა ომი, რომელიც ხან განოშვებით ასი წელი გაგრძელდა, რის გამოც ამ ომს სახელად „ასი წლის ომი“ ეწოდა. ამ ომის დროს პაპს საფრანგეთის მეფის მხარე ეჭირა. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ინგლისელებში პაპისადმი სიძულვილი.

ყოველივე ეს, რასაკვირველია, საკმაო იყო, რომ ინგლისელები პაპის წინააღმდეგ აღმდგარიყვნენ და აი პარლამენტმა და მეფემ გამოსცეს კიდევ კანონი, რომელშიაც ნათქვამი იყო:

„ვინც პაპისთან განასაჩივრებს ინგლისის სასამართლოს განაჩენს, მას ჩამოერთმევა მთელი ქონება და დაპატიმრებული იქნება“.

მეორე კანონში იყო ნათქვამი: „პაპს არ აქვს უფლება

„...საეკლესიო მართლმადიდებლობის წინააღმდეგ“

საეკლესიო თანამდებობაზედ დანიშნოს ვინმე: „ვინაიკოპოსები და მღვდლები უნდა ამოარჩიოს სამღვდლოებამო“.

ბოლოს ათას სამას სამოკ-და სამ წელს პარლამენტმა სრულიად უარ ჰყო პაპი. მან დაადგინა: „ამიერიდგან ინგლისი აღარ იქნება პაპის ღენი, ინგლისის მეფე—მისი ვასალი და ინგლისის ხალხი პაპის სალენო ხარკის გადამხდელიო“. ამისთან პარლამენტმა განაცხადა, რომ მას სრული უფლება აქვს ასეთი დადგენილება შოახდინოს, რადგან მეფე იოანნემ ინგლისი პაპის ღენად აზნაურობის და სამღვდლოების დაუთანხმებლად აღიარა, რის ნებაც მას არა ჰქონდაო. ეს დადგენილება მოხდა პარლამენტში აზნაურობის, სამღვდლოების და სათემო დებუტატების თანადასწრებით.

პარლამენტმა თავისს გადაწყვეტილებას შემდეგი მუქარა დასძინა: თუ ვინიკობაა პაპიმ შოითხოვა სალენო ხარკი, მან უნდა იცოდეს, რომ მისი წინააღმდეგი იქნებიან ყველა ლორდები, რაინდები და მოქალაქენიო.

განსაკუთრებით იცავდა პარლამენტის ასეთ დადგენილებას ერთი მღვდელი, პროფესორი ოკსფორდის უნივერსიტეტისა, დეონ ვიკლეფი. ვიკლეფმა მთელი წიგნი დასწერა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ პარლამენტი და მეფე ძლიერ კარგად მოიქნენ, რადგან მეფეები და სახელმწიფოები სრულიადაც არ უნდა ემორჩილებოდნენ პაპს; მას უნდა ემორჩილებოდნენ მხოლოდ სამღვდლოებამო.

სამღვდლოებამაც, როგორც აზნაურობა და მოქალაქეები, აღტაცებაში იყო, რომ პაპის ბატონობას ბოლო წოელო და დიდად მოსწონდა მას ვიკლეფის წიგნი. მაგრამ ვიკლეფმა მალე სხვანაირი წიგნების წერაც იწყო. ამ წიგნებში ვიკლეფი პაპს აღარ დასჯერდა და თვით სამღვდლოების ტუქსევს მიჰყო ხელი. აქ იგი დაუფარავად ჰკიცხავდა ეპისკოპოსებს, მღვდლებს და მონასტრების წინამძღოლებს უსამზღვრო განცხრომისათვის, მუქთა-შკამლობისა და პირად სიამოვნების სამსახურისათვის. სამღვდლო პირები ისე ცხოვრობენ, როგორც აზნაურები;

მთელ დღეს ნადირობაში და ქვიფში ატარებენ. სამწყვსაზე სრულიად არ ზრუნავენო, სწერდა ვიკლფფი; იგი ჰკიცხავდა სამღვდელოებას აგრეთვე საშინელ ვერცხლ-მოყვარეობისათვის, მუდამ გამდიდრებაზე ზრუნვისა, ნიუთიერ ბედნიერებაზედ ფიქრისა და საზიზღარი გარყვნილებისათვის. განსაკუთრებით ამხილებდა ვიკლფფი ბერებს, რომელნიც მთელ სიცოცხლეში არაფერს არ აკეთებდნენ და, ვინ იცის, რას არ ჩადიოდნენ. ოღონდ სიაშოვნებით ეცხოვრათ. თანაც ვიკლფფი ეწოდარებოდა სამღვდლოებას გასწორებულს, უარ ეყო სიმდიდრე დაებრუნებინა თავისი ქონება ხაზინისათვის და ეცხოვრა უბრალოდ, როგორც ცხოვრობდნენ პირველი ქრისტიანები. ვიკლფფი გარდა წერისა, ქადაგებდა კიდევ. მია ქადაგებას დიდის ყურადღებით ისმენდნენ ყველანი, როგორც აზნაურები, ისე მოქალაქენი და უბრალო ხალხიც. რადგან ყველაფერი, რასაც ვიკლფფი ლაპარაკობდა სამღვდლოებაზედ, სრული ქვემარტება იყო: სამღვდლოება მართლაც ძლიერ მდიდარი და თანაც ძალზედ გაფუჭებული და ბოლო მოღებული იყო.

ვიკლფფმა ხმა აღამაღლა აგრეთვე თვით კათოლიკური სარწმუნოების წინააღმდეგაც. პაპებმა და სასულიერო კრებებმა ისეთი რამ შეიტანეს ქრისტიანულ სარწმუნოებაში, რაც საღმრთო წერილში არ არისო, — ამბობდა ვიკლფფი. საჭიროა კი ჩვენ ვირწმუნოთ მხოლოდ ის, რასაც სამღვთო წერილი გვასწავლისო. ვიკლფფმა გადათარგმნა ინგლისურ ენაზედ დაბადება, რათა თითოეულ ინგლისელს შესძლებოდა სამღვთო წერილი მოესმინა და წაეკითხა. ვიკლფფი უარს ჰყოფდა აგრეთვე ხატების და წმინდანების თაყვანის ცემას. შეუძლებელია ფულით კაცმა ცოდვების შეწყნარება იყიდოსო; კაცს იხსნის მხოლოდ სიპართლით ცხოვრებაო, — ამბობდა იგი. ვიკლფფს ბევრი მოწაფეები ჰყავდა, რომლებსაც იგი გზავნიდა სხვა და სხვა ქალაქებში და სოფლებში, სადაც იგინი ავრცელებდნენ თავის მოძღვრის სწავლას. ასეთი სწავლისა და სასტიკი ქადაგებისათვის ვიკლფფი საშინლად შესძულდა სამღვდლოებას.

სამღვდელოებას ეწინააღმდეგება, რომ საუკუნოების განმავლობაში შეგროვილი სიმდიდრე ხელიდგან არ გამოსტოვდა. ვიკლფის მოწაფეებს სამღვდელოებამ უწოდა „ლოლოარდები“, ე. ი. ყბედები. ხალხმა კი მათ „ღარიბი მღვდლები“ დაარქვა, თუმცა ზოგი მათგანი სრულიადაც მღვდელი არ იყო. ფეხშიშველად, ფრიად ღარიბად ჩაცმული ლოლოარდები მორწმუნეთა მოწყალებით სცხოვრობდნენ; შემოსავლიან თანამდებობაზედ იგი-ნი უარს ამბობდნენ, გატაცებით ჭადაგებდნენ და ასწავლიდნენ ხალხს; ხალხი ცხადად ხედავდა იმათ წმიდანისებურ ცხოვრებას და სიამოვნებით ითვისებდა მათ სწავლას. ვიკლფის მოწაფეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა და მისი მოძღვრება სწრაფათ ვრცელდებოდა ხალხში; ამიტომაც სამღვდელოებამ გადასწყვიტა, როგორმე მოეშორებინა ასეთი საშიში მტერი. ამ დროს ვიკლფი ლონდონის ეპისკოპოსმა დაიბარა, რომ მსჯავრი დაედო მისი მოქმედებისათვის; ვიკლფთან ერთად სამსჯავროში გამოცხადდა ედუარდის ერთი ვაჟიშვილთაგანი, რომელიც მოხუცებული მამის მაგიერ მართავდა სახელმწიფოს. ეპისკოპოსმა ველარ გაბედა ვიკლფის გასაპართლება და გაანთავისუფლა იგი. მაშინ ვიკლფი დაიბარა თვით პაპიმ. ვიკლფმა პაპს წერილით შეატყობინა შენს მსჯავრს უარუყოფო. ერთი სიტყვით სამღვდელოება ველარას გახდა ვიკლფის წინააღმდეგ და ვერა აწო-რა მას; იგი სიკვდილამდის მღვდლად დარჩა და იცოცხლა კიდევ რამდენიმე წელი ედუარდის სიკვდილის შემდეგ. ვიკლფი გარდაიცვალა, მაგრამ მისი მოწაფეები გულ-მოდგინედ ჭადაგებდნენ და ავრცელებდნენ თავიანთ მოძღვრის სწავლას. რიცხვი მიაი სწავლის მომხრეებისა თანდათან მატულობდა.

სამივე ედუარდის მეფობა გაგრძელდა ას ხუთი წელი; ამ საუკუნეში, როგორც ჩვენ ზემოთაც ვხატკით, ინგლისში ფრიად დიდი ცვლილებები მოხდა. უმთავრესი მნიშვნელობა

თ ა ვ ი III.

ინგლისი რიჩარდ მეორის და ლანკასტერთა გუარის
მეფეების დროს.

§ 1.

მეფე რიჩარდ მეორე და გლეხთა ამბოხება.—რიჩარდ მეორე.—პარლამენტი მის დროს.—სათემო პალატა და მისი ახალი უფლებები.—პალატას უფლება ეძლევა მეფისაგან მიიღოს ანგარიში დანახარჯი ფულისა და იქონიის შეჯელობა ეველა კანონებზედ და სახელმწიფო საქმეებზედ.—გლეხების ამბოხება.—მიხეხები ამ ამბოხებისა.—გადასაბადი კაცის თავზედ.—ღვინ ბოლის ქადაგებანი კენტში.—საბალხა ლაშქარი.—უოტ ტეილორი.—ლონდონს ვალაშქება.—ლონდონის კოშკის დანგრევა.—მეფისაგან პირველი ნახვა გლეხებისა.—რას თხოულობენ გლეხები და რა პირობას აძლევს მათ მეფე.—მეფე მეორედ ნახულობს გლეხებს.—ტეილორის მოლაპარაკება მეფესთან.—ტეილორის სიკვდილი.—ბრძოლა და გლეხების დამარცხება.

ელჟარდ მესამე ღრმად მოხუცებული გარდაიკვალა. მისი უფროსი ვაჟი ნამახედ უწინ მოკვდა; ამას დარჩა შვილი რიჩარდი, რომელიც დაჯდა ინგლისის ტახტზედ. ამ დროს იგი სულ თორმეტი წლისა იყო და, რა თქმა უნდა, სამეფოს მართვას ვერ შესძლებდა. სახელმწიფოს მისი სახელით მისი ბიძა და მუდმივი სახელმწიფო საბჭო განაგებდა.

მკირე-წლოვან მეფის დროს პარლამენტი ფრიად გაძლიერდა და სათემო პალატამ ახალი უფლებები შეიძინა.

რიჩარდის მეფობის დასაწყისშივე სახელმწიფოს მმართველებს ფული დასჭირდათ. მათ ჯერ ლორდთა პალატას მი-

მართეს თხოვნით, მაგრამ ამ დროს ფულის საქმეში სათემო პალატას უკვე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ლორდთა პალატას, რადგან საგრაფოები და ქალაქები გამდიდრდნენ და მეფეს მეტ ფულს აძლევდნენ, ვინც ლორდები. ლორდებმა სთქვეს: „ჩვენ, სათემო პალატის დაუთანხმებლად არ შეგვიძლია ნება დავართოთ რომელიმე გადასახადსაო“. მაშინ სახელმწიფოს გამგეებმა სათემო პალატას მიმართეს თხოვნით. სათემო პალატამ ჯერ იმ ფულის ანგარიში მოითხოვა, რომელიც უკანასკნელად გადაეხდნათ სამხედრო საქმეებისათვის. „ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ მეფეს პარლამენტისათვის იმისი ანგარიში წარედგინა, თუ რაში დახარჯა მან ფული; მაგრამ ამ ერთ შემთხვევაში წარმოადგენთ ანგარიშს იმ პირობით, რომ მერმისისათვის არამც და არამც ეს მაგალითად მოსატანი არ უნდა დარჩესო“, სთქვეს პასუხად სახელმწიფოს მმართველებმა. ანგარიში მართლაც წარედგინა პარლამენტს. ამ სახით სათემო პალატას ნება მიეცა, თუმცა პირობით კი, მოეთხოვა იმის ანგარიში, თუ სად და რაში დახარჯა მეფემ ფული. უნდა ვსთქვათ, რომ ეს საქმე ძლიერ დიდმნიშვნელოვანი საქმე იყო. მანამდის მეფე თხოულობდა ფულს სამხედრო ხარჯისათვის, ღებულობდა ამ ფულს და ხარჯავდა, ვინ იცის როგორ და რაში: ზოგს ქეიფში ფლანგავდა, ზოგს ურიცხვად მეგობრებს და სხვ. ასე იქცეოდნენ მეფეები, რადგან ანგარიშს არავის არ აძლევდნენ. სათემო პალატა სამართლიანად ფიქრობდა, რომ მეფე უბრალოდ ვეღარ დახარჯავდა ფულებს, როცა იძულებული იქნებოდა პარლამენტისათვის ანგარიში მიეცა. გარდა ამისა მეფე რიჩარდი თანახმა შეიქმნა იმისა, რომ სათემო პალატას, მსგავსად ლორდთა პალატისა, მსჯელობის უფლება ჰქონოდა და თანხმობა განეცხადებინა ხოლმე ყველა კანონების და სახელმწიფო საქმეების შესახებ.

„მეფემ კეთილ ინება ისარგებლოს თემების რჩევით და სთხოვს მათ თანხმობას კანონების დადგენის, გადასახადების

შემოღების და სხვა სახელმწიფო სათვის სასარგებლო საქმეების შესახებო“— განაცხადა მეფე რიჩარდმა, ახალგაზღდა მეფემ თავისს მეფობის პირველ ხანებშივე მეტად შემაძრწუნებელი და საშიში მდგომარეობა გამოსცადა გლეხების ამბოხების გამო, ზევ ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმაზედ, თუ რა ვაჭირვებულ და უკიდურეს ყოფაში იყვნენ გლეხები, რა საშინლად და შეუბრალებლად აეწროებდნენ მათ მებატონეები, რა რიგად სძულდათ და ესარებოდათ გლეხებს გადასაადები და ბეგარა, რომლებიც მათ კოსტრზედ აწვით. ამივე დროს პარლამენტმა კიდევ შემოიღო ახალი გადასახადი კაცის თავზედ.

ეს გადასახადი ყველას ერთადაც უნდა ეხადნა: მდიდარსაც და ღარიბსაც, ვაჭარს და მოხელეს, მებატონეს და გლეხს. ეს გადასახადი მით უფრო შემაფიწროებელი შეიქნა, რომ იმის მოკრება იჯარით გასცეს. ამ გადასახადმა ხაღის ყოველგვარი მოთმინება დააკარგვინა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ამბოხებამ იფეთქა. ყველაზედ უწინ კენტის მცხოვრები გლეხები აჯანყდნენ. კენტის საგრაფოში ცხოვრობდა ერთი ღარიბი მღვდელი, სახელად დჟონ ბოლი. დჟონი დადიოდა და უქადაგებდა გლეხებს— გაილაშქრეთ მებატონეების წინააღმდეგ და დაიცივით თავი მათი უსამართლობისაგანო.

დჟონ ბოლის სიტყვებით გამხსენებელი გლეხები შეიარაღდნენ ფიწლებით, ნაჯახებით, ცულებით და მებატონეების წინააღმდეგ გაილაშქრეს. შემდეგ ამბოხებამ იფეთქა ესსეკშიც; ამას შეუერთდნენ სხვა საგრაფოების გლეხები და ქალაქების ღარიბი მცხოვრებლები. შესდგა ძლიერი ჯარი რამოდენიმე ათი ათასი კაცისაგან თავისს სარდლებით; ამათ შორის ყველაზედ შესანიშნავი იყო კენტელების მეთაური უოტ ტვილორი. ამიტომაც ამ ამბოხებას უოტ ტვილორის ამბოხება უწოდეს. ინგლისი ჯერ არ მოსწრებოდა ასეთ დიდ და საშიშს საბაღხო ლაშქარს. მებატონეები და ჩასუქებული ვაჭრები შიშის ზარმა აიტანა; მათ აღარ იცოდნენ რა ექნათ,



რადგან ამდენ მემბოხეთა წინააღმდეგ გამკლავება და მათი
 დამორჩილება შეუძლებლად მიიჩნდათ, ამიტომაც მათ ღმერთს
 მიანდევს თავი და იმის მაგიერ, რომ რამე ზომისათვის მიე-
 მართნათ, შეძრწუნებულნი უკდიდნენ აღსასრულის დღეს.
 გლეხებმა გადასწყვიტეს პირდაპირ ლონდონს წასულიყვნენ
 და მეფე რძარდისათვის მოვთხოვათ ყმობისაგან გაერთავისუ-
 ფლებინა იგინი. გზათ გლეხები დაუცემოდნენ ხოლმე მებატო-
 ნის სასახლეებს, ხოცადენენ მათ ბატონებს, სწვავდნენ და
 სძარცვავდნენ სახლებს, ცეცხლს აძლევენდენ იმ ღრამატებს,
 რომელშიაც ჩამოწერილი იყო გლეხების სამსახური და ბეგრები.
 გლეხებს ეგონათ ამით განთავისუფლდებოდნენ და ბატონ-ყმო-
 ბის უღელს თავს დაახწევდნენ. თუმცა გლეხები ანგრევდნენ
 და სძარცვავდნენ მებატონეების სასახლეებს, მაგრამ ტაცებით
 კი არას იტაცებდნენ: „ჩვენ ქურდები კი არა ვართ, ჩვენ მსა-
 ჯუღები ვართ; ჩვენ უნდა დავგმოთ უსამართლობაო!“ — გაი-
 ძახოდნენ იგინი. გზა და გზა ამ გლეხებს თანდათან ემატებო-
 და მომხრე ამბობებულნი ხალხი. ლონდონს რომ მიუახლოვდნენ,
 მათი რიცხვი სამოცი ათასამდე ავიდა; ცოტა ხნის შემდეგ კი
 ასი ათასამდე. გლეხების ლაშქარი მიადგა ლონდონს ორი
 მხრით, მაგრამ ქალაქის კარები დაკეტილი დახვდათ და ტეზის
 ხიდი რკინის ჯაჭვით შებოქილი; ქალაქში შესვლა შეუძლებე-
 ლი შეიქნა და ლაშქარი იძულებული გახდა ქალაქ გარედ
 დარჩენილიყო და აქ გაეტარებინა ღამე. ლონდონის ხელოს-
 ნები, წვრილი ვაჭრები და მთელი ღარიბი მცხოვრებლები ამ
 ქალაქისა მემბოხეთა მხარეზედ იყვნენ და ხმა-მალლა თხოუ-
 ლობდნენ, რომ მემბოხეთა ჯარი ქალაქში შემოეშვათ. გაი-
 გო რა მეფემ, რომ მემბოხენი ლონდონს მოსდგომიან, კაცი
 გაგზავნა გასაგებათ, „თუ რა სურდათ მათ“, ე. ი. მემბოხეებს.
 გლეხებმა შეუთვალეს მეფეს: „ჩვენ აღვსდექით, რათა ჩვენი
 კანონიერი მეფე მოლაღატეებისაგან დავიცვათ; ჩვენ გვინდა
 მოველაპარაკოთ ჩვენ მეფეს; ამიტომაც ვთხოვთ მას ნახვის
 ნება მოგვკეს და მოისმინოს ჩვენი საჩივარიო“.

რიჩარდმა გლეხებს პასუხად შეუთვალა, პარლამენტის და-
 უკითხავად ვერაფერს ვერ ვიქმო. ამის შემდეგ ათონდრონი
 მეორე დღეს, ამოანათა თუ არა მხემ, გლეხების ბრბოდ
 განვლო ხიდი და ლონდონში შევიდა. ჯარი რამოდენიმე ნა-
 წილად გაიყო. ერთი ნაწილი, რომელიც კენტელებისაგან შე-
 სდგებოდა, რიცხვით ოცი ათასამდის უოტ ტეილორის წინამ-
 დლოლობით ლონდონის კოშკისაკენ გაემართა. ეს უძველესი
 კოშკი ვილჰელმ დამპყრობელისაგან იყო აშენებული; აქ იყო
 მოთავსებული მეფის სასახლე, ციხეები, მეფის სამსახულო და
 ხაზინა. აი აქ, ამ კოშკში ჩაიკეტნ მეფე და მისი მახლობელ-
 ნი. გზაზედ გლეხების ბრბო დაეკა სასახლეს, რომელიც ლან-
 კასტერის გერცოგს (მეფის ბიძას), მაშინდელ სახელმწიფოს
 მმართველს, ეკუთვნოდა, მილიწ-მოლენა იგი, ნგრევით, ძარ-
 ცვით, წვით, მდიდარ მოქალაქეების ხოცვით განვლო დანარ-
 ჩენი გზა, სალამოს ჟამს კოშკამდის მიიღწია და ღამე კოშ-
 კის წინ, ბაღში გაატარა. ამავე დროს ჯარის სხვა ნაწილებმა
 ქალაქის სხვა და სხვა ადგილები მოიკვა და დაიკავა. შეამბო-
 ხეთა უმთავრესი ძალა, რომელიც ესეკეთაგან შესდგებოდა,
 ლონდონის მახლობლად ვრცელ ველზედ დაბანაკდა.

გათენდა. უოტ ტეილორმა მეფეს კაცი გაუგზავნა და
 შეუთვალა, გლეხებს შენი ნახვა ხურთ და უნდა მოხვიდე იმ
 მინდორში, სადაც ლაშქრის უმთავრესი ბანაკიაო. გლეხე-
 ბი ემუქრებოდნენ მეფეს, ავიღებთ და დავსწავთ კოშკს, თუ
 არ გამოხვალ, არ გენახავ და არ მოგველაპირაკებიაო. მეფე და
 მისი მრჩეველნი შიშით აღარ იყვნენ. ხმა გავარდა, გლეხებს
 უნდათ მეფე შეიპყრონ და მისი სახელით სხვა და სხვა ბრძა-
 ნებები გამოსცენო. ახალგაზდა მეფე უარზედ იდგა, მისი დაახლო-
 ვებულები კი ვვედრებოდნენ მას, წადი და თანხმობა განაცხა-
 დე, „არა და ცუდს საქმეს დაგმართებენ ჩვენც და ჩვენს
 შთამომავლობას და ინგლისს უდაბნოთ აქცევენო“. ბოლოს
 მეფე დათანხმდა და შეატყობინა გლეხებს, რომ ყველას თავი
 მოეყარა მინდორში, სადაც თვითონ უნდა გამოცხადებულიყო.



ამხელ ზოგი თანხმა შეიქმნა, მაგრამ უმეტესობა კოშკის შორდებოდა. გააღეს თუ არა კოშკის კარები, რომ შეფისათვის და მის ამალისთვის ვხა მიეცათ, იგრილა ბრბომ, შეცვივდა კოშკში და დაერია თავის მოსისხლე მტრებს, მეფის სახელგეში იმალებოდა მეფის ერთი მინისტრთაგანი, კენტერბერის არხიეპისკოპოსი, რომელიც ხალხს საშინლად ეჯავრებოდა, ბრბო თავს დაესხა მას, შეიპყრო და თავი მოაკვეთა; შემდეგ ამ თავს ქუჩა-ქუჩა ტარება დაუწყეს და თანაც იძახდა — „აი მოლაღატის თავიო“. შემდეგ დასაციხათ და დასაგმობათ ლონდონის ხილხელ გამოაკიდეს ეს თავი.

ამასობაში შეშინებული და ათრთოლებული მეფე ესეკელ გლეხებთან მოსალაპარაკებლად მივიდა.

ესეკელებმა ამორჩეულების პირით განუცხადეს მეფეს: „ჩვენ და ჩვენი შთამომავლობა და აგრეთვე ჩვენი მიწები უნდა განუთავისუფლოდეთ ამიერიდგან ისე, რომ არავინ ჩვენ ყმებად არა გვთელიდეს. გარდა ამისა ჩვენ ვთხოულობთ ყველა შეაპოხეს ეპატოოს ამბობებაში მონაწილეობა და არვინ არ იქნეს ამისთვის დასჯილიო“. მეფემ აღიქმა დასდვა, ყველას ეპატოებ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ გლეხები დაუყოვნებლივ თავთავიანთ სახლებში დაბრუნებულიყვნენ და იქ მოუცადნათ მეფის ღრამატებისათვის, მეფე ბატონ-ყმობის მოსპობაზედაც თანახმა შეიქმნა. იმავე დღესვე დაიწერა ღრამატა, რომელშიაც ნათქვამი იყო:

„შეწინითა ღვთისათა, რიჩარდი, მეფე ინგლისისა, ყველა თავის სარწმუნო ქვეშევრდომს, რომელსაც კი მისწოდებინან ეს წერილები, უგზოენის საღამს და უცხადებს თავისი საკუთარი წყალობის სახელით: ჩვენ ვანთავისუფლებთ ყველა ჩვენ უფლების ქვეშე მყოფთ და ჩვენგან დამოკიდებულ კაცებს და აგრეთვე ყველა მათ მსგავსებს, ამა და ამ საგრაფოს სამზღურებთა შორის მყოფთ; თითოეულ მათგანს თავისუფალ მყოფთ ყმური დამოკიდებულებისაგან; გვიპატოებია მათთვის აგრეთვე ყველა მათი დასაშაული და ღალატი და ყველაფერი

ის, რის გამოც მოკლებული შეიქმნენ იგინი კანონების შესრულებაში.⁴

ეს ღრამატა იმ დღეს იყო შედგენილი, რა დღესაც მეფემ გლეხები ინახულა. ამის შემდეგ რამდენიმე რაზმი ესეკლი გლეხებისა შინ დაბრუნდა. ამ რამდენიმე ათი ათასი კაცის დაბრუნებამ გლეხების ძალა შეასუსტა, ამავე დროს ლონდონის მდიდარი ვაჭრები გონს მოვიდნენ, მოილაპარაკეს ერთმანეთში და ჯარი შეკრიბეს. მეორე დღეს მეფე ისევ კენტელების რაზმების სანახავად წავიდა.

კენტელები, ლონდონის კომისის დანგრევის შემდეგ, ქალაქიდან გავიდნენ და დაიკავეს დიდი მინდორი, სადაც უქმე დღეებში ცხენებს ჰყიდდნენ. აქ ოცი ათასმა კაცმა მოიყარა თავი. ახლა მეფე გუშინდელზედ უფრო შეშინებული იყო. მან უკვე იცოდა, რაც მოუვიდა არხივისკობოს და სხვა მის მინისტრებს და დარწმუნებული იყო, რომ მასაც ისეთივე დღე მოელოდა. ღამე მან დედასთან გაატარა, დილას წირვა მოისმინა, ეზიარა და ისევ წავიდა გლეხთა ბრბოს სანახავად. კენტელებს უოტ ტეილორი მეთაურობდა. რიჩარდი თავისს ამალით კარგა მოშორებით გაჩერდა.

უოტ ტეილორი, მარტოდ-მარტო, უშიშრად გამოეცხადა მეფეს მოხალაპარაკებლად. ჯერ მან ჰკითხა მეფეს, თუ როდის მიიღებდნენ გლეხები გუშინ აღთქმულ ღრამატას. შემდეგ სთხოვა მას ღრამატებში ჩაეწერა, რომ სოფლის ყველა მცხოვრებს, მსგავსად მებატონეებისა, თავისუფლად ნადირობის და თევზობის უფლება მისცემოდა. მეფემ პირდაპირი პასუხი არ მისცა უოტს. კენტის ჯარი შინ უნდა დაბრუნდეს და იქ უცადოს აღთქმულ ღრამატასაო, უთხრა მას მეფემ. ამის შემდეგ მეფეს უნდოდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ტყვილად: უოტს არ უნდოდა გაეშვა იგი, სანამ გადაჭრილ პასუხს არ მიიღებდა; მან სტაცა მეფის ცხენს ხელი აღვირში და შეაჩერა. ეს დაინახა ლონდონის ქალაქის თავმა და გაეშურა მეფის განსათავისუფლებლად, მიუახლოვდა უოტს და ხანჯალი დაჰ-



კრა. უოტი ცხენიღვან ჩამოვარდა; ამისობაში მოსცვივდნენ
 რიჩარდის მხლებელნი და აჰკებ-დაჰკებეს ხალხის წინამძღოლი.
 ხალხს არ დაუნახავს უოტის ცხენიღვან ჩამოვარდნა, რადგან
 მას გარს შეფხის ამაღლა ერთკა. მკვლელებს უნდოდათ ხალხი-
 საგან უოტის სიკვდილი დაეფარათ, მაგრამ ხალხმა მალე გა-
 იგო, რომ ბისი საყვარელი მეთაური საზიზღრათ იქმნა მოკ-
 ლულო. მემამბოხეთა რაზმიღვან ხმა მოისმა: „მათ მოჰკლეს
 ჩვენი წინამძღოლი, მას ვავსწიოთ ჩვენც მათ ამოსაჟღეტათო“.
 გაისმა თუ არა ეს ხმა, ბრბომ იერიში მიიტანა შეფხზედ. რი-
 ჩარდი არ შეშინდა, მარტოდ-მარტო, უამალოთ, მიიჭრა იგი
 ხალხის ბრბოსთან და შეჰყვირა ხმა მალთა: „თქვენ არა
 გყვეთ წინამძღოლი გარდა მეფისა; მეფე განიჭებს თქვენ იმ
 უფლებებს, რომლებსაც თხოულობთო“. ამავე დროს მეფეს
 რთხმოცი ათასი მოქალაქე მოეშველა და საომრად ჩაირახმა.
 ისტყდა საშინელი ომი: გლეხები შეშინდნენ, შედრკენ, დაჰ-
 ყარეს თავიანთი ისრები და უკუიქცნენ. კარვად შეიარაღებუ-
 ლი მეფის ნომრები მიაწყდნენ უკუქცეულებს და დაუ-
 წყვეს უწყალოთ ჩეხვა. მეფე კი სახლისაკენ გაუდგა გზას. სა-
 ლამოზედ დამშვიდებული მეფე დედას უამბობდა: „ღვთის წყა-
 ლობით დავიბრუნე ჩემი სამკვიდრო და ინგლისის სამეფო
 გვირგვინი, რომელიც ის-ის იყო კინალამ დავკარგეო“. მეო-
 რე დღეს ფიცხელი ბრძანება გამოსცეს, რომ ვინც ლონდონ-
 ში არ იყო დაბარებული ან იქ ნაცხოვრები ერთ წელიწადს
 მაინც ქალაქიღვან გაძევებულიყო და შინ წასულიყო. ტეი-
 ლორია მკვლელს რაინდობა ებოძა. სადაც წინა დღეს კენ-
 ტრებერიძის არხიებისკობოსის თავი ეკიდა, ეხლა იქ ტეილო-
 რის თავი იყო საჩვენებლად გამოკიდებული. ამბობება მალე
 ჩააქრეს სამეფოს სხვა და სხვა კუთხეებში და მეფეც შეუდგა
 გლეხების შურის ძიებას.



§ 2.

რას შერებოდნენ მეფე და პარლამენტი ამბოხების შემდეგ.—მეფის მანიფესტი.—პარლამენტი. მეფის სიტყვა. —კამათი პარლამენტში.—პარლამენტის დადგენილება ყმების შესახებ.—როგორ დასაჯეს მეამბოხენი.—კიდევ არეულობა.—არეულობაში ნონაწილეობის მიმდებთა განსამართლება.—ამბოხების ბოლო.

გლეხები დამარცხდნენ და გაიფანტნენ, მეფეს მათი აწი აღარ ეშინოდა, ამიტომაც ხელახლად დაარღვია თავისი აღუთქმა. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მეფემ გლეხებს თავისუფლება აღუთქვა და მიზეზიც ეს იყო, რომ გლეხებმა ლონდონი დასტოვეს. დარწმუნდა რა მეფე, რომ გამარჯვება მას დარჩა, საყოველთაოდ გამოაცხადა: ყმები ძველებურად ვალდებული არიან გადასახადი აძლიონ მებატონეებს და აღსარულიან მათი ჩვეულებრივი სამსახურიო. ეს ბრძანება მეფისა ანუ მანიფესტი ყველა ქალაქებში და საგრაფოებში გამოაცხადეს. ამასთან ნაბრძანები იყო, რომ ვინც ამ მანიფესტს არ დაემორჩილებოდა, დაიჭერდნენ და ციხეში ჩასვამდნენ.

რა თქმა უნდა, გლეხებს სრულიადაც არ ექანნიკებოდათ ეს ბრძანება. დიდხანს არ გაუვლია, რომ მეფემ ახალი ბრძანება გამოცხადებულა: „უფლებების შესახებ ღრამატები აჩქარებულად და კანონის წინააღმდეგ იყვნენ ნაბოძები; მათ შეუძლიანთ ვნება მოუტანონ ჩვენს გვირგვინს, ჩვენი სამეფოს სამღვდელოებს და აზნაურობას, ეკკლესიას და საზოგადოდ მთელ სახელმწიფოს; ამიტომაც მეფე, თანხმად თავისი საბჭოსისა, აცხადებს, რომ მის მიერ ბოძებული უფლებები აღარაფერს წარმოადგენენ და მისი ღრამატები ამიერიდგან ჰკარგავენ ყოველივე ძალისა“. ამბოხების შემდეგ საჩქაროდ მოუწოდეს პარლამენტს, რომელსაც ყმების ბედ-ილბადი უნდა გადაეწყვიტა. პარლამენტში, მეფის სახელით, სამღვდელოების, აზნაურობის და თემების წარმომადგენლებს მინისტრმა განუცხადეს:

„თქვენ უკვე იცით, რომ ხელმწიფე იძულებული იყო საბატონო გლეხებისთვის თავისუფლების ღრამატები მიენიჭებინა; ხელმწიფემ იცოდა, როცა ღრამატებს აძლევდა გლეხებს, რომ მას ეს არ შეეძლო თანხმად კანონისა. იგი მხოლოდ მისთვის მოიქცა ასე, რომ რაც შეიძლება მაღე ჩაექრო ცეცხლი, რომელიც ცუდი კაცების წყალობით გაჩნდა; მას არ შეეძლო სხვაგვარ მოქცეულიყო, რადგან იმ დროს მისთვის მოუხერხებელი იყო თვისი უფლებებით ესარგებლნა. მაგრამ ინება თუ არა უფალმა ღმერთმა დაებრუნებინა მისთვის სამეფოს პატრონობა და ბოლო მოელო არეულობისათვის, მეფემ თავისი საბჭოს თანხმობით, განკარგულება მოახდინა, რომ მისი ღრამატები გაუქმებულიყვნენ. ესლა კი მეფეს უნდა გაიგოს სურვილი და შოისმინოს ინგლისის ეპისკოპოსების, აზნაურობის და თემების აზრი, ე. ი. თქვენი; ის გეკითხებათ თქვენ, კარგად მოიქცა თუ არა იგი, უკანვე რომ წაიღო თავისი ღრამატები; კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენ ამით? მეფე ვიცხადებთ თქვენ, რომ თუ საერთო თანხმობით მოისურვებთ განათავისუფლოთ და გაუშვათ თავიანთ ნებაზედ თქვენი ყმები, როგორც ზოგიერთ თქვენგანს სურს, იგი თანხმა იქნება მიიღოს თქვენი თხოვნა“.

ამ სიტყვამ ერთი ალიაქოთი ასტეხა პარლამენტში. მთელი ხუთი დღე გაგრძელდა დავა-კამათი ამ კითხვების გამო, მაგრამ თანხმობა არ მოხერხდა: ზოგს სურდა ყმები განეთავისუფლებინა, ზოგნი კა სრულიად წინააღმდეგი იყვნენ ამისი. ბოლოს, დიდი დაეიდარაბის შემდეგ, პარლამენტმა დაადგინა:

„მეფე კარგად მოქცეულა რომ ღრამატები ჩამოურთმევია ყმებისათვის; ყმების განთავისუფლება ყოველად შეუძლებელია, თუ თანხმა არ იქმნა ყველა, ვისაც ყმები ეკუთვნის; ბოლო მებატონენი კი, თუნდ ერთ დღესაც დაიხოცნენ ყველანი, მაინც არ იქმნებიან ამის თანახმანი. რადგან მეფემ შუქარების გამო გააბოძა უფლებები, ჩვენ ვესურს, რომ ყველაფერი, რაც მან ჩაიდინა ამ შემთხვევაში, დარღვეულ იქ-

ნეს პარლამენტის ნებით და პარლამენტისავე სპირიტუალურ ხელ-ახლა ჩამოერთვით გლეხებს უფლებები“.

რაც მოსალოდნელი იყო, ის მოხდა. პარლამენტის უმეტესობას შეადგენდნენ შემატონეები, რომლებიც უხვად სარგებლობდნენ გლეხების გადასახადით და მათი შრომა-სამსახურით. ასეთი პარლამენტი ისეც უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიტკა; სხვაფრივ მოქცევა მას არ შეეძლო, თუმცა ცხადზედ უცხადესი იყო, რომ მეფე ძლიერ ცუდად მოიტკა: მან უმეტესუნა თავისს სიტყვას, დაარღვია აღთქმა და საზაზღრად მოატყუა გლეხები. სანამ პარლამენტში თათბირობდნენ და დაობდნენ გლეხების განთავისუფლებაზედ, მეფე ორმოცი ათასი ჯარის კაცით ესეკისაკენ გაუდგა დამნაშავეთა დასასჯელად. ამავე დროს ლონდონში სამსჯავრო შესდგა არეულობაში მონაწილეთა განსასამართლებლად. მოსამართლეებმა გადაწყვიტეს ყველა დამნაშავე თავის მოკვეთით დასჯილიყვნენ.

ამასობაში კენტის და ესეკის გლეხებამდის ხმამ მიალწია, რომ მეფემ აღთქმა დაარღვია და დამნაშავეთ შეუბრალებლად და უსასტიკესად ეპყრობიანო. გლეხები საშინლად აღშფოთდნენ ამ ამბით; მათ ხელახლა იწყეს შეკრება. სჯობს დავიხსოვნეთ, სანამ თავისუფლებაზედ უარს ვიტყვოდეთო. — გადასწყვიტეს მათ და მეფეს მოციქულები გაუგზავნეს, რომლებსაც შეფისათვის უნდა მოეგონებინათ მისი პირობები. მეფე შეტად განარისხა გლეხების „თავებდობამ“, მან მრისხანეთ უპასუხა მოციქულებს: „თქვენ მუდამ ყმები იყავით და ყმებათვე დარჩებით მომავალშიაც; ამიერიდგან წინანდელზედ უარესი დღე დაგადგებათო“. თანაც თავისი ჯარი გაგზავნა ურჩთა დასაწყნარებლად. ამ დროს ათასზედ მეტი გლეხი გაქლიტეს.

„ეს ბოროტ-მოქმედნი თხოულობდნენ უფლებებს და იმ ღრამატებს, რომელნიც მათ მეფემ აღუთქვა; თუ მეფე თავის ნებისად ამის თანხმა არ იქმნებოდნ, სიკვდილს უპირებდნენ მასო“ — ამბობდნენ მსაჯულები. რამდენიმე ათასი გლეხი სიკვდილით დაისაჯა.



სისასტიკემ იქამდის მიიღწია, რომ ბოლომდე მანაურებმა, კი ხმა აღამაღლეს მის წინააღმდეგ. მაშინ მეფემ შესანდობადი ღრამატების გაბოძება იწყა.

ასე გათავდა ეს ანზობება, რომელსაც ამდენი სისხლის ღვრა და შესხერპული მოჰყვა. გლეხებმა ვერ მიიღწიეს თავიანთ სურვილს და ვერ განთავისუფლდნენ ყმურ დაზოკიდებულებისაგან, თუმცა მებატონეებმაც ველარ მოახერხეს ძველი ბეგრის აღდგენა და ხელახლად შემოაღება. განულო ხანსა, დრომ თავისი ქნა, ბატონ-ყმობა თანდათან შესუსტდა, ყმების რიცხვმა იკლო და სამაგეროდ ღრამატის ძალით მფლობელთა რიცხვმა, ე. ი. წვრილმა მიწის მფლობელმა იმატა.

გვეიდა ასი წელი და ბატონ-ყმობა ისე მოისპო, რომ მისი სახსენებელიც აღარ დარჩენილა.

§ 3.

მეფე რიჩარდის მმართველობა. — მეფის მახლობელი პირნი. — მიხეილ ლიაპოლი და რობერტ დე-ვერი. — პარლამენტის უკმაყოფილება. — მოლაპარაკება მეფესთან და შექარები მის წინააღმდეგ. — მეფე უთმობს პარლამენტს. — მიხეილ ლიაპოლია განსაძარბდება. — საბჭო თერთმეტი ლორდისაგან. — მეფის ქცევა. — ვასსალთა ამზობება და გამარჯვება. — როგორ შეიქმნნ მანისტრები პასუხას მცებულნი პარლამენტის წინაშე. — რადიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ პასუხის მცებლობას.

როდესაც რიჩარდი წამოიზარდა და სიკბაბუკეში შევიდა, ბიძების მორჩილებამხედ ხელი აიღო, თუმცა მათი დიდი მიყვარული ჰქონდა და დიდათაც ეშინოდა და თავის ნებაზედ იწყა მოქმედება. მან დაიახლოვა ორი კაცი: რობერტ დე-ვერი და მიხეილ ლიაპოლი, თუმცა ერთიც დამეორეც კანონებსაც არღვევდნენ და სახელმწიფო ფულებსაც ძალზედ ფლანგავდნენ. მათის მოქმედებით პარლამენტი მეტად უკმაყოფილო იყო; იბოვა თუ არა მოახერხებული დრო, ეს უკმაყოფილება მან კიდევ გამოხატა. რიჩარდს შოტლანდიასთან ომი ჰქონდა; ამ ომისთვის მას ფული დასჭირდა. მიხეილ ლიაპოლიმა შეუპოვ-



რად დაიწყო პარლამენტში ლიბარაკი ახალ გარდასახვების შემოღებაზედ. ამის პასუხად პარლამენტმა დაადგინა: „რადგან ჩვენ მეფის მეგობრის უკმაყოფილონი ვართ, მეფეს ფულს არ მივცემთ; ჩვენ ვსთხოვთ მის სამართალში მისცეს მიხეილ ლიაპოლი და საბჭოს მოხელეებიო“. ამ გადაწყვეტილების გადასაცემათ მეფესთან ბოძა მისი და ერთი ეპისკოპოსთაგანი წავიდნენ. როცა მეფემ გაიგო, რაშია იყო საქმე, მრისხანეთ დაიყვირა: „პარლამენტის დადგენილებით შხარეულსაც არ ვავადებ ჩემი სამშარეულოდგან, არა თუ ჩემს მინისტრებს; მე უჭბრძანებ პარლამენტს თავისს საქმეს შეუდგეს და ფული მომცეს; წინააღმდეგ შემთხვევაში მე უპარლამენტოდაც იოლად წავალ, საფრანგეთის მეფესა ვთხოვ დახმარებასაო“. მეფის მუჭარას არ შეუშინდა არც ბოძა მისი და არც ეპისკოსი. „თუ შენ სამეფო თანამად პარლამენტის რჩევისა არ განავგ, მის უფლება აქვს მეფობა ჩამრგართვას და ტახტზედ აიყვანოს ვინმე სხვა სამეფო გვარეულობიდგანაო“ — უთხრეს მათ მეფეს და თანაც მოაგონეს, თუ რა დღე დაადგა მეფე ელუარდ მეორეს, რომელიც პარლამენტმა უარჰყო. დაინახა რა რიჩარდმა, რომ საქმე სახუმროდ აღარ იყო, მოღობა, დასთმო თავისი მეგობარი მიხეილ ლიაპოლი და მისი განსამართლება პარლამენტს მიანდო.

მიხეილ ლიაპოლი ლორდთა პალატამ გაასამართლა და მძიმე დამნაშავედ სცნო იგი. ბრალდებული მიხეილი ციხეში ჩასვეს.

ამავე დროს პარლამენტმა სასულიერო და საერო პირებისაგან თერთმეტი კაცი ამოირჩია; მათ შეადგინეს საბჭო, რომელსაც უნდა განეგო სახელმწიფო. ასე რომ რიჩარდს მეფობა ჩამოერთვა და მხოლოდ მეფის სახელი-ლა დარჩა. მეფე ვერ შეურიგდა ასეთ დამცირებას და სამარცხვინო მდგომარეობას; მან თავისს ნებით ციხიდგან განათავისუფლა ლიაპოლი და იგი და დე-ვერი მოსალაპარაკებლად მოიხმო. მეფემ ამ საწლო და ერთგულ პირებთან ერთად გადასწყვიტა, ბოლო მოეღო.



„თერთმეტ ლორდთა საბჭოსათვის“. ამ საბჭოში სანაშენის უწყის ცესი მსაჯული მეფისკენ იყო; მან შეადგინა ღრამატა, რომელშიაც ნათქვამი იყო: „პარლამენტმა დაარღვია მეფის უფლებანი; მას არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა, რომ მეფის მოხელენი (მინისტრები) პასუხის გებაში ჩიცქმულიყვნენ; ჯერ ამისთანა საბჭეს არავინ მოსწრებულაო“.

რჩიარდი კი ამ ღროს ასე ოცნებობდა: როცა თერთმეტ ლორდთა საბჭოს ბოლოს მოუღებ, სამართალში მივცემ ყველა იმ ლორდებს, რომელთაც მე ჩემდა უნებურად დამითანხმეს, დამათმობინეს ის, რის დათმობაც არ მსურდა და მით მომიგონეს რჩიარდ მეორის გაჭირვებაო.

თერთმეტ ლორდთა საბჭომ მეფის ასეთი სურვილი მალე გაიგო. ლორდებმა შეჰკრიბეს ჯარი და ლონდონს მოადგნენ, ლონდონმა მეფეს არავითარი დახმარება არ აღმოაჩინა. დევერი, მიხეილ ლიაპოლი და შეთქმულების მონაწილენი გაიქცნენ. მაშინ ლორდ-მმართველები მეფის სასახლეში წაუიღნენ, მივიღნენ მეფესთან და მოსთხოვეს მას, შეთქმულების თანამოაზიარენი დაესაჯა. მეფემ შეატყო, რომ მისი აღარ გავიდოდა და თანხმობა ამჯობინა: მან ნება დართო მისი მეგობრები დაეპატიმრებინათ და პასუხის გებაში მიეცათ. ლორდთა პალატამ განასამართლა ხუთი უმთავრესი დამნაშავენი და მიუსაჯა მათ სიკვდილით დასჯა. ამათ გარდა შეთქმულების ბევრი სხვა მონაწილეც იქმნა მოკლული.

ამის შემდეგ რჩიარდი მეორეთ ეკურთხა, თითქო დანაშაულობის გამო მან უცეე დაჰკარგა გვირგვინი. პარლამენტმა დაადგინა, რომ „ამიერიდგან ყოველს ინგლისელს ფიცი მიელო, რომ იგი იქნება ერთგული პარლამენტისა და მორჩილი სახელმწიფო საბჭოში, რომელსაც ამოირჩევს პარლამენტი. ამ საბჭოში პირველი აღვლილი ეხლა მეფის ბიძამ, გლოსტერის გერცოგმა დაიჭირა.

ყველა ზემოხსენებულ ამბოხება-არეულობამ ერთი ფრიად სასარგებლო ნაყოფი მოიტანა, სახელდობრ ისა, რომ მეფის



მინისტრები პასუხის მკებელნი შეეჩვენნ პარლამენტის წინაშე. პარლამენტის მოვალეობა იყო თვალ-ყური დაეკირა, არსებულ კანონები არ დაერღვიათ და ინგლისელების უფლებები და თავისუფლება დაეცვა მას. მაგრამ მინისტრებს და მეფის მოთათბირეთ ხომ დიდი უფლებები ჰქონდათ; მათ ადვილად შეეძლოთ ბოროტ-მოქმედება, თუ ეი ეს მათთვის საჭირო იყო რომელიმე მოსაზრებით. მათ შეეძლოთ ყოველ დღე დაერღვიათ სახელმწიფოს უძირითადესი კანონები და ფეხქვეშ გაეთელათ თითოეული ინგლისელის უძვირფასესი უფლებები! მაშ როგორ მოქცეულიყვნენ, რომ მინისტრებს სწინებოდათ კანონის დარღვევისა? როგორ უნდა ეყოთ იგინი ვალდებულნი, რომ პატივის ცემით და კრძალვით მოპყრობოდნენ ხალხის უფლებებს და მის თავისუფლებას? ამ შიშის მისაღწევად არაფერი არ დარჩენოდათ გარდა იმისა, რომ მინისტრები პასუხის გებაში მიცემულიყვნენ ხალხე ყოველი უკანონო მოქმედებისათვის. ვინ უნდა ყოფილიყო მინისტრების პასუხში მიმცემი? რასაკვირველია, სათემო პალატა; ეს პალატა შესდგებოდა ხალხისაგან ამორჩეულ პირებთაგან და მას ეკუთვნოდა კიდევ მთელი ხალხის უფლებების დაცვა მინისტრების უკანონო მოქმედებისაგან. მინისტრების განაპართლება ეი უნდა მიენდოთ ღორდთა პალატისათვის, მით უმეტეს, რომ წინედაც ეს პალატა წარმოადგენდა უმაღლესს სამსჯავროს და არჩევდა საჩივრებს მინისტრების შესახებ. ასეთნაირად დამყარდა შემდეგი დიდად სასარგებლო წესები: სათემო პალატა ბრალსა სდებს მინისტრებს ღორდთა პალატის წინაშე და ეს ეი ასაპართლებს მათ. იმავე დროს მინისტრს შეუძლია თავი დაიკვას; თუ თვითონ არა სურს თავის დაცვა, შეუძლია მოიწვიოს დამცველი ანუ ვეჭილი, რომელმაც კარგათ იცის კანონები, ღორდთა პალატა მოუპმენს ორთავე მხარეს და დადგენს განაჩენს; ან აპართლებს მინისტრს, ან და ბრალსა სდებს მას და სჯის დანაშაულობის შესაფერად; შესაძლოა მინისტრი სიკვდილითაც დაისაჯოს.

§ 4.

როგორ ააღებინეს ხელი რიჩარდს მეფობაზედ.—როგორ თავის ნებაზედ მართავდა რიჩარდი სამეფოს.—გენოხი, ლანკასტერის გერცოგი.—გენოხის განდევნა. როგორ ვაილაშქრა გენოხმა მეფის წინააღმდეგ.—მეფის ტყვედ წაყვანა და მისი დაპატიმრება.—მეფის საქმე პარლამენტში.—პარლამენტი უარს ჰყავს რიჩარდის მეფობას.—როგორ სცნო პარლამენტმა ლანკასტერის გერცოგი გენოხი მეფედ.—კენტურბერის ეპისკოპოსის სიტყვა.

რიჩარდს ოც-და ორი წელიწადი შეუსრულდა. ერთხელ სახელმწიფო საბჭოში ყოფნის დროს, როცა სრულიად არავინ მოელოდა ამას, მიუბრუნდა იგი თავის ბიძას, გლოსტერის გერცოგს და ჰკითხა: „რამდენი წლის ვარ მეცხლა?“ — ოც-და ორისა, ხელმწიფევ“, მიუგო გერცოგმა.

„აბა, ნაშ მე უკვე იმ ხანში ვყოფილივარ, რომ თვითონ განვაგო ჩემი საქმე“. — განუცხადა რიჩარდმა განცვიფრებულ გერცოგს. „მე უფრო დიდხანს ვიყავ მზრუნველობის ქვეშ, ვინემ სხვა რომელიმე ჩემი სამეფოს ქვეშევრდომი. გმადლობ, ლორდო, წარსული სამსახურისათვის; ამიერიდგან ჩემთვის თქვენნი სამსახური სრულიად უსარგებლოა“.

მიჰყო თუ არა ხელი მეფობას, რიჩარდმა დაუყოვნებლივ გამოსცვალა მინისტრები და მსაჯულები და თანაც პარლამენტის დასამშვიდებლად აღთქმა დასდვა, კანონისამებრ ვიძეუებო. რამდენიმე წელმა მშვიდობიანად განვლო. რიჩარდს ყველა თავისი ძველი მზრუნველები ჰირივით ეჯავრებოდნენ და ნაპეტურ თავისი ბიძა, გლოსტერის გერცოგი. იგი გულში ინახავდა მათდამი შურს და მოხერხებულ დროს ეძებდა. რამდენიმე წლის მშვიდობიანად მეფობის შემდეგ რიჩარდმა იფიქრა, ეხლა კი შემწევს ძალა, რომ ჩემი მტრები დავსაჯო, და ბრძანება გასცა, შეეპყროთ გლოსტერის გერცოგი და მისი მეგობრები; იმავე დროს მან შეკრიბა პარლამენტი და ისიც მოახერხა, რომ ამ პარლამენტში დიდძალი მისი მო-

მხრე პირები ყოფილიყვნენ. დაჭერილი გლოსტერის^{გაგონებული} კო-
გი შეფემ ლორდთა პალატას გადასცა, მაგრამ პალატამ ველარ
მოასწრო გერცოგის განსამართლებმა, რადგან იგი იმხანად
მოქალკეს კიდევ ციხეში. გერცოგის მეგობრები ზოგი სამუ-
დამოდ ინგლისიდგან განაძევეს, ზოგი სიკვდილით დასაჯეს.
მთელი ინგლისი შიშმა მოიცო. შეფე ეხლა მხოლოდ თავი-
სიანების სურვილისამებრ განაგებდა სახელმწიფოს, მოქმედებ-
და კანონის წინააღმდეგ, აფრთხობდა პარლამენტს, და სხვა ძველ
მოწინააღმდეგებს სჯიდა მით, რომ დიდძალ ჯარიშებს ახდევინე-
და, მდიდრებს ძალით ართმევდა ფულებს; ამ ნაძალადევად წა-
ღებულ ფულს იგი „ნებაყოფლობით აღებული სესხს“ ეძახდა;
და თანაც განცხრომით და შეტად გარყვნილად ცხოვრებდა.

ინგლისელებმა დიდხანს ვერ იგუეს ასეთი შეფე და, რო-
გორც სამოკ-და ათი წლის წინეთ მისი პაპა ედუარდ მეორე,
რიჩარდიც ისე ჩამოაბრძანეს ტახტიდგან. ამ როგორ მოხდა
ეს საქმე. რიჩარდმა ათი წლით ინგლისიდგან განდევნა თავი-
სი ბიძაშვილი, ლანკასტერის გერცოგი, გენრიხი. განდევნილი
გენრიხი პარიზში წავიდა საცხოვრებლად თავის ნათესავ საფ-
რანგეთის მეფესთან. სანამ გენრიხი საფრანგეთში სცხოვრობ-
და, რიჩარდმა სულ ერთიანად ხელში ჩაიგდო მისი მამულები.
როცა ეს გენრიხმა გაიგო, გადასწყვიტა სამაგიერო გადაეხადა
რიჩარდისათვის და თავისი მამულები უკანვე დაებრუნებინა.
ის ეხლა მხოლოდ ხერხიან დროს მოელოდა. ასეთი დროც
მალე დადგა. გენრიხს ამბავი მიუვიდა, რიჩარდი ინგლისიდგან
დიდის ჯარით და ხაზინით ირლანდიაში წავიდა არეულობის
დასაწყნარებლად. გაიგო თუ არა ეს გენრიხმა, გამოსწია და
ინგლისში შემოვიდა. ისე მივიდა იგი თავის კოშკში, რომ
გზაზედ არაინი გადაღობებია. აქ მასთან თავი მოიყა-
რეს თავიანთი რაზმებით უკმაყოფილო ვასალებმა; მალე გენ-
რიხის ლაშქარი ოც-და ათას კაცამდე ავიდა. ლონდონი
გენრიხისაკენ გადმოვიდა; ლონდონს მიჰყვნენ სხვა ქალაქებიც.
რიჩარდი, ამ ამბის გაგებისათანავე ინგლისისაკენ გამო-



ერქარა, მაგრამ ცუდი ამინდის გამო გზაზედ შეწყვეტილხარ; რომ რიჩარდმა ინგლისში მოაღწია, გვიან-ღა იყო: მან დაინახა, რომ მთელი ხალხი მისი წინააღმდეგი იყო; ასე გაშინჯეთ, მისი ლაშქარიც კი აქეთ-იქით მიიფანტ-მოიფანტა, ასე რომ მას მცირე რაზმი-ღა შერჩა; ანტიტომაც რიჩარდი ზოგიერთ მეგობრებით გაიქცა ღამით და ერთ გაპაგრებულ ქალაქს შეეფარა. აქ მასთან გენრიხის მოციქული მოვიდა, დაამშვიდა მეფე და დაარწმუნა იგი კიდევ, რომ ვითომც გენრიხს სრულიადაც არ სურდა მისთვის ტახტი წაერთმია: მას უნდა მხოლოდ თავისი მამულები უკანვე დაიბრუნოსო და ურჩია რიჩარდს გენრიხის სანახავად წასულიყო. დაჯერებული გენრიხი დასთანხმდა და წავიდა კიდევ, მაგრამ გზაზედ შეიპყრეს იგი. შეპყრობილმა მეფემ მთელი ღამე ტირილში და ვაებაში გაატარა, დილის იგი გენრიხის ბანაკში მიიყვანეს.

„მე ვადაზედ აღრე დაგბრუნდი, უთხრა გენრიხმა რიჩარდს, მაგრამ გეტყვით რისთვის: თქვენი ქვეშევრდომნი სწივიან, რომ მთელი ოცი წლის განმავლობაში თქვენ მათ სასტიკად და შეუბრალებლად ექცევიან. მე კი შემძლიან, ღვთის შეწევნით, დაგებარათ ისე, რომ თქვენ უკეთესად განაგებდეთ სამეფოს“.

— ძვირფასო ძმავ, მორიდებით მიუგო რიჩარდმა გენრიხს, თუ თქვენ მაინცა და მაინც ეგა გსურთ, მე არაფერი არ მაქვს მაგის წინააღმდეგიო. ამის შემდეგ გენრიხი დატყვევებული მეფითურთ ლონდონს წავიდა. აქ რიჩარდი ლონდონის კოწეში ჩაამწყვდიეს და თავზედ დარაჯი დააყენეს. გენრიხმა მას ძალათი ხელი მოაწერინა ბრძანებაზედ, რომ ლონდონში პარლამენტი შეკრებილიყო. ახლა გენრიხი ხერხიანად შეუღდა საქმის ისეთაირად მოწყობას, რომ პარლამენტს რიჩარდისათვის ხელი აეღებინებინა შეფობაზედ და შესრულა კიდევ მან ეს გულის წადილი. პარლამენტმა რიჩარდის სახელით შეადგინა ღრამატა, რომელშიაც თვითონვე მეფე რიჩარდი აცხადებდა, რომ ის არ არის ღირსი გვირგვინის



ტარებისა, ამიტომაც უარს ამბობს გვირგვინზედ და ანთავი-სუფლებს ყველა თავისს ქვეშევრდომთ ფიცისაგან, რომელიც მათ მიუციით მისთვის. მეორე დღეს ეს ღრამატა პარლამენტში წაიკითხეს; პარლამენტის წევრებმა ტაშის ცენით მოისმინეს იგი. შემდეგ ამისა პარლამენტმა ამოირჩია ექვსი პირი: ორი სამღვდლოებიდგან, ორი აზნაურობიდგან და ორი მოქალაქეთაგან. ესენი და მათთან ლორდ-უხუცესი მსაჯული დასხდნენ ცარიელ სამეფო ტახტის წინ და შეადგინეს უმაღლესი სამსჯავრო, ჩამოთვალეს ნეფის ყველა დანაშაული და წაიკითხეს შემდეგი განაჩენი: „ყველა ამ დანაშაულთა გამო მეფე ტახტიდგან გადაყენებულიაო“. ამის შემდეგ ადგა გენრიხი და რიჩარდის გვირგვინი მოითხოვა, რადგან ეს გვირგვინი მას ეკუთვნოდა, როგორც ედუარდ მესამის შვილი-შვილს. პარლამენტიც დასთანხმდა და მეფედ აღიარა იგი. შემდეგ ადგა კენტერბერიის არხიებისკაპოსი, მივიდა გენრიხთან, მოჰკიდა ხელი და მიიყვანა ტახტთან. დაჯდა თუ არა გენრიხი ტახტზედ, ფიცის მიღებას შეუდგნენ. არხიებისკაპოსმა სიტყვა წარმოასთქვა:

— აშიერიდგან, — სთქვა მან, — სახელმწიფოს გამგე იქნება კაცი კეთილ-გონიერი და არა თავისს ნება და უფუნური ბაღლი, როგორც იყო ძველი მეფე; ის იქნება მსახური ხალხისა და არა თვისი ქეიფისაო.

მეორე დღეს, იმავე ექვსმა კაცმა ლონდონის კოშკში შეატყობინა რიჩარდს ყოველთაფერი, რაც მოხდა. ამის შემდეგ რიჩარდს დიდხანს აღარ უცოცხლია.

ამ რიგად პარლამენტმა ეს მეორეჯერ ჩამოართვა გვირგვინოსანს მეფობა და მეორეჯერ განიმტკიცა უფლება უღირს გვირგვინოსანთა მეფობის ჩამორთმევისა, მათი უარყოფისა, მათ მაგიერ უმჯობესის მოწოდებისა. ეს უფლება პარლამენტის კუთვნილებად სცნო, როგორც იმ მეფემ, რომელსაც პარლამენტმა ჩამოართვა მეფობა, ისე იმანაც, რომელიც პარლამენტმა სამეფო ტახტზედ დასვა.

§ 5.

ლანკასტერთა გვარეულობა ინგლისში.—სამი გენრიხი.—როგორ იცავდა მეფე ეკლესიას.—ლოლლარდების დევნა.—კანონი ერეტიკოსების დაწვის შესახებ.—სინდისის თავისუფლება, სარწმუნოების თავისუფლების აღიარება.

ლანკასტერის გერცოგმა, გენრიხმა, მეფობა გენრიხ მეოთხეს სახელით დაიწყო. ლანკასტერის გვარეულობიდან ინგლისს სულ სამი მეფე ჰყვანდა, სამივე გენრიხი—გენრიხ მეოთხე, გენრიხ მეხუთე და გენრიხ მეექვსე; მათმა მეფობამ სულ ორმოცდაათი წელი გასტანა. ეს მეფეები მუდამ შიშში და სადარდელოში იყვნენ, რომ ესენიც რიჩარდსავით არ ჩამოვბრძანებინათ ტახტიდან, რადგან მათ კანონიერი უფლება არა ჰქონდათ ინგლისის ტახტის მითვისებისა. ამიტომაც ცდილობდნენ იგინი სამღვდლოება და პარლამენტი მოეწიროთ. სამღვდლოების პირველსავე კრებაზედ გენრიხმა ეკლესიას მტრებისაგან დაცვა და მფარველობა აღუთქვა. ეკლესიის უსაშინელესი მტრები, ლოლლარდები, ჰქადაგებდნენ, რომ კათოლიკეთა ეკლესიის მოძღვრება სიცრუეა და მისი სამღვდლოება ვერცხლის მოყვარე, მდიდარი, გარყვნილი და ბოროტ-მომქმედიოა; ჭეშმარიტმა სამღვდლოებამ თავისი სიმდიდრე უნდა გასცეს და ისეთივე ღარიბი იყვეს, როგორც ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში იყო სამღვდლოებაო. სამღვდლოებამ მეფეს მიმართა და სთხოვა, სხვა ახალი კანონი გამოეცა ერეტიკოსების სასჯელის შესახებ; ერეტიკოსებს კი სამღვდლოება ეძახდა ისეთ კაცებს, რომელთაც სავსებით არა სწამდათ კათოლიკეთა ეკლესიის სწავლა-მოძღვრება და არ ასრულებდნენ მისს წეს-სწავლებებს; ამიტომაც ლოლლარდები ერეტიკოსთა შორის ირიცხებოდნენ.

პარლამენტის პირველ კრებაზედვე მეფემ განიმეორა აღთქმა, რომ იგი იქნებოდა მცველი ეკლესიისა; ამასთანავე მან სთხოვა პარლამენტს ეკლესიის დასაცველად კანონები გამოე-



ცა. პარლამენტმა, რომელიც სასულიერო ღირსებისაგან, მდიდარი მებატონეების და მოქალაქეთაგან შესდგებოდა, იქ-
ფის განზრახვა მოიწონეს. შემდეგ უოტ ტეილორის ამბოხები-
სა, მდიდრები, რომლებსაც წინეთ ლოლოლარდების მოქმედე-
ბა მოსწონდათ, მტრულის თვალით დაუწყეს მათ ყურება; მდიდ-
რები ფიქრობდნენ, რომ ამბოხება ლოლოლარდების ქადაგებამ
გამოიწვია. მართალია ლოლოლარდები იმას ქადაგებდნენ, რომ
ქონება მხოლოდ სამღვდელთათვის უნდა ჩამოერთვასო, მაგრამ
მებატონეების აზრით მათთვისაც სახიფათო იყო ასეთი ქადა-
გება. ამიტომაც პარლამენტმა ულმპარაკოთ დააკანონა ერე-
ტიკოსების დაწვა. ამ კანონის ძალით არავის ნება არა ჰქონ-
და ექადაგა თუ არ ებისკოპოსის ნება-რთუათ, ან დაბეჭდი-
ლიყო რომელიმე წიგნი ებისკოპოსის მიერ განუზილავად; ვინც
დაარღვევდა ამ კანონს, მას ციხე არ ასცდებოდა. სარწმუნოე-
ბის წინააღმდეგობაში ბრალდებული, თუ არ შეინანებდა, სა-
სულიერო სამსჯავროს შეეძლო სიკვდილით დაესაჯა; საგ-
რათოს შერიფი ვალდებული იყო ასეთი სასჯელი სასრულიეში
მრევვანა და ერეტიკოსი დაეწვა. ერეტიკოსის დასწვავი ცე-
ცხლი მალეობ ადგილზედ უნდა გაეჩაღეათათ, რომ თითფულს
დაენახა გაუსწორებელი ერეტიკოსის ტანჯვა, შეშინებულიყო
მით, არ გადასდგომოდა სარწმუნოებას და ერეტიკოსი არ გამ-
ხდარიყო. ასეთ სასტიკ კანონს ერეტიკოსების შესახებ ინგ-
ლისი ჯერ არ მოსწრებოდა, მაგრამ მაინც არავის მოაჩნდა იგი
უმართლო კანონად, არავის არ ჰგვრიდა ზიზღს, თუმცა უსა-
ზიზღრესი რამ კი იყო; იმ დროს ჯერ კიდევ ვერ შეეგნოთ
და შეეთვისებინათ ის აზრი, რომ თითფულ კაცს სრული უფ-
ლება აქვს აირჩიოს ის სარწმუნოება, რომელიც მისი აზრით
უფრო ჭეშმარიტია და აღიაროს იგი ყველას წინაშე. ცხად-
ლივ და თავისუფლად იმოქმედოს იმის თანხმად და ილაპარა-
კოს მასზედ. ერთის სიტყვით, იმ დროს კაცს არ ჰქონდა უძ-
ვირფასესი და უსაქირაუსი უფლება ცხოვრებაში, უფლება სარ-
წმუნოების თავისუფლად აღიარებისა და სინიღისის თავისუფ-



ლებისა. მაშინ დაჯერებულნი იყვნენა რომ კაცი სიკვდილები დასჯის და სდევნის შიშით იმას იწამებდა, რასაც მას ძალით აჩვენებდნენ. ბევრი სისხლი დაიღვირა და დიდმა დრომ განვლო, სანამ კაცი დარწმუნდებოდა, რომ მუქარით, წამებით და სდევნით შეიძლება შეაშინო მხოლოდ ესა თუ მბაღლი და სუსტი პირი, უარი ათქმევინო თავისს სარწმუნოებაზედ და ისიც მხოლოდ სიტყვით დაითანხმოთ იმაზედ, რაც მას სრულიადაც ქვეშარიტებად არ მიიჩნია.

გამოვიდა თუ არა სასტიკი კანონი ვრეტეკების დაწვის შესახებ, სამღვდლოება გატაცებით შეუღდა თავისი მტრების, ლოლლარდების დევნას. ვისზედაც კი მცირეოდენი იქვი ჰქონდა, სამღვდლოებამ ყველა სასულიერო სამსჯავროში დაიბარა. ამ სამსჯავროებში სამართალი სწარმოებდა ნაფაც მსაჯულთა დაუსწრებლად. ბრალდებული მოვალე იყო ყოველ კითხვაზედ პასუხი ევა. ბევრმა უარჰყო ვიკლეთის მოძღვრება, რომ თავი დაეხწია სიკვდილისათვის, ბევრმა კი წამებით სიკვდილი არჩია თავისს სარწმუნოების უარყოფას. ასეთი თავ-განწირულობის და უშიშრობის მაყურებელი ხალხი ამბობდა: „ამათი სწავლა-მოძღვრება უთუოდ ქვეშარიტი უნდა იყოს, როცა იგინი მზად არიან, ეწამონ და სიცოცხლე შესწირონ თავიანთ სარწმუნოებასაო“. თუმცა სამღვდლოებას არა დაუხოვავს-რა ლოლლარდების მოსასპობლად, მაგრამ ამოდ; უბრალო ხალხში ლოლლარდები მაინც ბლომად იყვნენ.

§ 6.

ლანკასტერთა გვარეულობის მმართველობა. — როგორი განწყობილება იყო პარლამენტსა და ლანკასტერის გვარეულობის შეფეთა შორის. — სათემო პალატის ძალა. — სახაზინო ფულის ანგარიში. — მსჯელობა სათემო პალატაში კანონების შესახებ. — სათემო პალატის თანშობის საქიროება ახალი კანონის გამოცემაზედ. — რა იყო უხერხული თხოვნების ანუ პეტციების წარდგენაში. — ბილლი. — როგორ იქცევა ხოლმე ბილლი კანონად. — მეფის ბრძანება. — რა განსხვავებაა კანონსა და მეფის ბრძანების შორის.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ ტახტი გენრიხმა პარლამენტისა-



გან მიიღო. ამიტომაც, ეს ტახტი რომ არ დაეკარგებინათ, გენ-
 რიხი ცდილობდა პარლამენტთან კარგი განწყობილება ჰქო-
 ნოდა; ის არ არღევდა პარლამენტის უფლებებს და მის დაუ-
 თანხმებლად არც ერთი სახელმწიფო საქმე არ მოჰყვანდა მას
 სისრულეში. ამ დროს პარლამენტში ძალის თანდათან სათემო
 პალატა იკრებდა. მავალითად; ეს პალატა მეფეს ფულს აძ-
 ლევდა, მაგრამ იმ პირობით, რომ მეფეს მისთვის წარედგინა
 მისი ანგარიში, თუ რაში დახარჯა მან ეს ფული. პირველად
 ასეთი პირობა შეუტაცხყოფათ მიიჩნია მეფემ და მედიდურად
 სთქვა: „მეფეები ანგარიშს არ იძლევიანო“. თუ ეგრეა, ფულს
 ვერ მიიღებო, მოახსენა მას პალატამ. ცოტაოდენი უკუპანის
 შემდეგ მეფე დასთანხმდა ანგარიში ეძღოა პალატისთვის. ამის
 შემდეგ სათემო პალატა მუდამ ლეზულობდა ხაზინიდან ანგა-
 რიშს. გენრიმ მცხეთის დროს სათემო პალატამ მოითხოვა აგ-
 რეთვე, რომ არც ერთი კანონი არ გამოცვლილიყო მისდა
 დაუკითხავად და დაუთანხმებლივ. საბუთად აქ პალატის ის
 მოსაზრება მოჰყვანდა, რომ უწინდელი მეფეები თანხმანი იყუ-
 ნენ ასეთი წესისა.

იმ დროიდან კანონიერი უფლება აქვთ ღოორდებს ითათ-
 ბირონ სახელმწიფო საქმეებზედ და იმ ზომებზედ, რომელნიც
 აქირონი იქნებიან გაპირებულ მდგომარეობის თავიდან ასა-
 ცილებლად. კანონიერათ უნდა ჩაითვალოს ასეთივე მოქმედე-
 ბა სათემო პალატის მხრივაც; მას შეუძლიან ბჭობა მეფის, და-
 უსწრებლად, სახელმწიფოს ამა თუ იმ საქმეზედ და საერთო
 ზომებზედ. ამასთან ღოორდებმა კი არ უნდა აუწყონ მეფეს
 სათემო პალატის დადგენილება, რომელიც მოიწონა აგრეთვე
 ღოორდთა პალატამაც და რომელიც შეეხებიან გადასახადებს,
 არამედ სათემო პალატის სპიკრმა, და ისიც მხოლოდ მაშინ,
 როცა გადასაწყვეტი კითხვა აწონილ-დაწონილი, გარკვეული
 და მიღებული იქნება როგორც ღოორდების, ისე სათემო პა-
 ლატისაგან.

ცხადია, ამ კანონის ძალით, სათემო პალატას გადასახა-

დების საქმეში პირველი ადგილი უჭირავს, მეორეც კათალიკოს-პალატას, ხოლო სახელმწიფო საქმეებში ორთავეს თანაბარი მნიშვნელობა აქვთ.

შემდეგ, გენრიხ მესუთის დროს, სათემო პალატამ შეფეს შემდეგი თხოვნა მიართვა: ძველის-ძველ დროიდან სათემო პალატის უფლებას შეადგენდა, არც ერთი კანონი მის დაუთანხმებლად არ გამოაცემულიყო. მას უფლება ჰქონდა არა მარტო შეამდგომლობისა, არამედ თავის თანხმობის განცხადებისა. ამიტომაც იგი თხოულობს, რომ ამიერიდან მის პეტრიციებს (თხოვნებს) არც არა მიუმატონ და არც არა მოაკლდონ რაღა“.

ამაზედ შეფემ ასეთი პასუხი მისცა სათემო პალატას: „არავითარ შემთხვევაში თქმებისათვის სავალდებულონი არ იქნებიან ის კანონები, რომელნიც სათემო პალატის დაუთანხმებლად გამოიცემიანო“.

მაგრამ ეს აღთქმა აღთქმად დარჩა. არა ერთხელ და ორჯერ შეიცვალა, ხან გავრცელებით და ხან შემოკლებით, თემების თხოვნა და საჩივრები. ხანისხან სათემო პალატა თხოულობდა სულ სხვა კანონს, ნამდვილად კი სულ სხვაგვარ კანონს შემოიღებდნენ ხოლმე.

ბოლოს გენრიხ შეექვსემ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღო საჩივრებს და თხოვნებს; მან თანხმობა განაცხადა, რომ სათემო პალატას პეტრიციის მაგივრად კანონის პროექტი ანუ დასამტკიცებელი კანონი წარედგინა ხოლმე პარლამენტში.

ასეთ პროექტს ანუ დასამტკიცებელ კანონს ეწოდებოდა ბილლი. ამ დროიდან შემოიღეს ჩვეულებად შემდეგი წესი: „სათემო პალატის რომელიმე წევრს შემოაქვს პალატაში ბილლი, ესე იგი კანონ-პროექტი; ამ ბილლს ჰკითხულობენ, არკვევენ, მსჯელობენ მასზედ; თვითველ წევრს პარლამენტისას ნება აქვს ილაპარაკოს როგორც ბილლის წინააღმდეგ, ისე სასარგებლოდ. საერთო თანხმობით შეიძლება ბილლი სრულიად უარყოფილ იქნეს, შეიძლება შეიცვალოს, შეიძლება

სავსებით მოწონებულ იქმნეს. როცა ბილლი ^{გაქცეული} ~~მოწონებულია~~ ან, როგორც იტყვიან ხალხე ამ შემთხვევაში „გასული“, სათემო პალატაში, იგი ღოორდთა პალატაში შეაქვთ; აქ ხელახლა კითხულობენ და მსჯავრსა სდებენ სათემო პალატისაგან მოწონებულ ბილლს; ღოორდთა პალატასაც ისე, როგორც სათემო პალატას, შეუძლიან ბილლი სრულიად უარპყოს, ან მოიწონოს, მიიღოს ან და შესცვალოს და შეცვლილი მოიწონოს. თუ ღოორდთა პალატამ ბილლი არ მოიწონა, მისი საქმე წასულია ხელიდგან, რადგან ეს იმის ნიშანია, რომ ბილლი „ვერ გავიდა“ და კანონად ვერ იქცევა იგი; თუ ბილლი შეუცვლელად გავიდა ღოორდთა პალატაში, მაშინ იგი წარედგინება მეფეს; თუ ღოორდთა პალატას სურს რამე ცვლილება შეიტანოს ბილლში, იგი შენიშვნებს უკეთებს მას და უბრუნებს უკანვე სათემო პალატას; ბილლი მეფეს არ წარედგინება, სანამ ორივე პალატა არ შეთანხმდებიან მის შესაებად. მეფეს შეუძლიან მოიწონოს ბილლი, შეუძლიან დაიწუნოს და უარპყოს იგი; მეფისაგან მოწონებული ბილლი კანონად იქცევა. თუ მეფეს არა სურს ბილლი მიიღოს, მაშინ იგი ამბობს: „მეფეს თათბირი ექნებაო“. თუ უარ ყოფილი ანუ გაუსვლელი ბილლი მეტად საჭირო და დიდ-მნიშვნელოვანია, სათემო პალატას შეუძლია მომავალში ხელახლად შეიტანოს იგი პარლამენტში. თავისს თავად ცხადაა, რომ პარლამენტში ბილლის შეტანის უფლება ღოორდთა პალატასაც აქვს, როცა ბილლი ღოორდთა პალატას შეაქვს, მაშინ ეს ბილლი ჯერ აქვე, ღოორდთა პალატაში უნდა გაირჩეს და შემდეგ გადატანილ იქმნეს სათემო პალატაში. მეფესაც აქვს ნება წარედგინოს ბილლი პარლამენტს.

კანონად გარდაქცეული, დაკანონებული ბილლი ჩაიწერება პარლამენტის წიგნებში; ასეთ კანონს მეფე, პარლამენტის დაუთანხმებლად, თავისს ნებით, ვერც შეცვლის, ვერც გააუქმებს, თუნდა ძლიერაც სურდეს ეს მეფეს, პარლამენტს შეუძლიან ამაზედ უარი უთხრას მას. ამასთან მეფესაც აქვს ძველი



დროიდან უერჩენილი უფლება: მას პარლამენტის დაქვეითებულ შეუძლია ვიდრე გამოსცეს და კიდევ გააუქმოს თვის პირადი ბრძანება. თუმცა ქვეშევრდომნი მოვალენი არიან აღასრულონ ასეთი ბრძანება, ისე, როგორც ნამდვილი კანონი, მაგრამ ამ ბრძანებას არ შეეკითხიან კანონი უწოდლოთ; იგი არ არის კანონი და არც პარლამენტის წიგნებში შეაქვთ იგი.

სვენ ქვემოთ გავიგებთ, თუ როგორი დავა ჩამოვარდა მეფისა და პარლამენტს შორის ასეთი ბრძანების გამო.

§ 7.

სიტყვის თავისუფლება პარლამენტში და პარლამენტის ძალა ლანკასტერთა გვარეულობის დროს. — რა არის სიტყვის თავისუფლება. — რამდენად საჭირო და აუცილებელია სიტყვის თავისუფლება. — გუასის საქმე. — პარლამენტის ძალა და უფლება. — მეფე — შეთაფრი პარლამენტისა. — დრო და ადგილი პარლამენტის კრებისა. — კანონი და მეფე. — ვისგან შესდგებოდა პარლამენტი. — ახალი კანონი ამომრჩეველთა შესახებ. — ამბობება კენტში და მისი მიზეზები. — რით დაბოლოვდა ამბობება.

მოიკრიბა თუ არა სათემო პალატამ ასეთი ძალა, იგი შეუდგა ერთ მეტად დიდ-მნიშვნელოვან უფლებების მოპოებას თავისს წევრთაათვის. სასწელდობბ, მან მოინდომა პალატის თითულს წევრს სრული უფლება ჰქონოდა თავისუფლად გამოეთქვა ის, რასაც ფიქრობდა პარლამენტში აღძრულ კითხვების შესახებ და შეეტანა პარლამენტშივე ყოველ-გვარი წინადადება, რომელიც მას სასარგებლოდ მიიჩნდა. სხვანაირად რომ ვსთქვათ, სათემო პალატას სურდა, მეფეს ნება არ ჰქონოდა პასუხის გებაში მიეცა პარლამენტის წევრები, თუნდაც რომ მათი სიტყვები მეფისთვის უსიამოვნო და მისი მინისტრების და შეგობრების საწინააღმდეგო ყოფილიყო, სათემო პალატამ ძლიერ კარგად იცოდა, თუ რამდენათ საჭირო იყო მისთვის სიტყვის ასეთი თავისუფლება. უამისოდ მას არ შეეძლო თავისუფლად მაჯელობა არც ვადასახადზედ, არც ახლად

შემოსაღებ კანონებზედ, არც სახელმწიფო ხარისხის მქონე სიტყვით სათემო პალატა ვერ შეასრულებდა უმთავრეს თავის მოვალეობას, — იგი ვერ დაიცავდა მოქალაქეთა თავისუფლებას, მათ უფლებებს და სახელმწიფო წესდებულებას; პალატის წევრნი მუდამ შიშში იყვნენ — მეფე, ან მისი მრჩეველნი და მინისტრები ნალაპარაკებით არ გაეჯავრებინათ; მათ უშიშროდ და თავისუფლად არ შეეძლოთ გაეკაცნათ მეფის და მისი მოხელეების ბოროტ-მოქმედებანი. მუქარით და სასტიკი სასჯელის საშუალებით მეფეს ადვილად შეეძლო მუდამ შიშში ჰყოლოდა პარლამენტის წევრნი და მათ სრულდებით მოეხსო მათთვის მართლის თქმის საშუალება. სათემო პალატას კარგად ახსოვდა, როგორ სასტიკად დასჯიდა ხოლმე მეფე პარლამენტის გამგებან ვევრთ. ჩვენ სამ გვახსოვს, რომ მეფე ედუარდ მესამემ კიდევ დააპატიმრა სპიკერი, რომელმაც მეფეს სათემო პალატის დადგენილება და სათხოვარი შეატყობინა. რიჩარდ მეორის დროს შემდეგი ამბავი მოხდა: მეფე ფულებს თხოულობდა; პასუხით სათემო პალატამ მეფეს პეტიცია მიართვა. ამ თხოვნაში პალატა მეფეს და მის სასახლეს ფულების ფლანგვას უჩიოდა. განრისხებულმა მეფემ ბრძანა, დაუყოვნებლივ დაესახელებინათ მისთვის ამ საჩივრის შემთხველი. აღმოჩნდა, რომ ეს იყო მღვდელი გეკსი, მეფემ გეკსი სამართალში მისცა და მოითხოვა, რომ სიკვდილით დაესაჯათ იგი. გეკსი გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს. მაგრამ, რადგან გეკსი სამღვდლო პირი იყო, მას გამოეჭომაგა კენტერბერის არხიეპისკოპოსი; გეკსის დასჯის დრო გადაიიღო; ამასობაში რიჩარდი გარდაიცვალა და ტანტზედ ავიდა რიჩარდ მეოთხე. გეკსმა ასალ მეფეს პეტიცია მიართვა, რომელშიაც იგი სთხოვდა მეფეს — გაეუქმებინა პარლამენტის ჩვეულები და უფლებების წინააღმდეგი დადგენილება. მეფე ლორდებს დაეკითხა და გეკსის თხოვნა დააკმაყოფილა. შემდეგ თვით სათემო პალატამ თავის სახელით მიმართა მეფეს პეტციით და სთხოვა, რომ იგივე დადგენილება გეკსის შე-



სახებ დარღვეულიყო და მომავალში სიტყვების უფლებები დაკუთლნი ყოფილიყო სათემო პალატაში, მეფე დასთანხმდა და აქაც განამტკიცა, რომ დადგენილება გეკის შესახებ გაუქმებულიყო.

ამაირად მოიბოვა სათემო პალატამ სიტყვის თავისუფლება.

ამგვარად ლანკასტერთა მეფობის დროს სათემო პალატამ შეიძინა თითქმის ყველა ის უფლებები, რომელნიც წინედ მარტო ლორთთა პალატას ჰქონდა; ასე რომ საარჩევნო პალატა უფლებებით სამეკვიდრო პალატას გაუთანსწორდა. ეხლა სათემო პალატას საწყაღს და მორჩილს თემებს აღარ უწოდებდნენ; ეხლა მას იხსენიებდნენ „დიდად ბრძენ, პატრიცემული, წინდახედული და ღირსეული თემების“ საბელოთ. ინგლისელებს ეხლა სათემო პალატაში შექმონდათ პეტრიკები და სთხოვდნენ „უმალღვსად პატრიცემულ სათემო პალატას, რათა შრომა მიეღო თავისს თავზედ“.

ასეთ პარლამენტს, რომელიც შესდგებოდა ორი თანაბარ უფლებათა მქონე პალატებისაგან, დიდი ძალა ჰქონდა. მან იქამდინ და იმდენად შევიწროვა მეფის უფლებები, რომ ხანდისხან თითქმის მარტო პარლამენტი მართავდა საბელმწიფოს. ასე მოხდა გენრიხ მეოთხის და გენრიხ მეექვსის მეფობის დროს; მაგალითად, პარლამენტმა გენრიხ მეოთხეს ოთხი თავისი უახლოესი კაცი დაათხოვნინა; ამასთანავე მეფემ სიტყვა დასდვა ესევე მოვექცევი თითაეულს, ვისზედაც უკმაყოფილო იქნება პარლამენტიო; ამის შემდეგ მეფემ თავისს საბელმწიფო საბჭოს წევრებათ ისეთი პირნი დანიშნა, რომლებზედაც პარლამენტმა მიუთითა და თანაც პირობა დასდვა—მხოლოდ მაშინ დავითხოვ ამ პირთ, როცა რაიმე დანაშაულს ჩაიდენნო. ესეც კია, რომ მეფემ შემდეგში უკანვე წაიღო თავისი აღთქმა.

გენრიხ მეექვსე სულ ცხრა თვისა იყო, როცა მეფობა მიიღო. ამიტომაც მის მაგიერ სამეფოს საბელმწიფო საბ-



ქო განაგებდა, ხოლო ამ საბჭოს წევრებს ლორღობდა პალატა
 ნიშნავდა. თუმცა ამ დროს პარლამენტს დიდი ძალია ჰქონდა,
 მაგრამ მისი თავი და ბოლო და მისი მეთაური წინანდებურად
 ისევე მეფე იყო. ის მოუწოდებდა პარლამენტს და დაითხოვდა
 ხოლმე კიდევ, როცა უნდა. თუმცა ედუარდ მესამის დროს
 დაადგინეს, რომ „პარლამენტი წელიწადში ორჯერ უნდა შე-
 კრებილიყო და, თუ საჭიროება მოითხოვდა, მეტჯერაც“, მაგ-
 რამ ეს დადგენილება ისე განმარტეს, ვითომც, როცა სა-
 ჭირო იყო, პარლამენტი უნდა შეეკრიბნა თვით მეფეს. პარ-
 ლამენტის კრების ადგილსაც მეფე ნიშნავდა, მაგრამ უფრო
 ხშირად პარლამენტი ვესტმინსტერში იკრიბებოდა. არგულო-
 ბის დროს, როცა მეფე ეწინააღმდეგებოდა პარლამენტის სურ-
 ვილს, მუქარის ნიშნად პარლამენტი დაშლის დაპირებდა სოლ-
 მუ, მაგრამ თავისთავად, მეფის მოუწოდებლივ, იგი არაოდეს
 არ იკრიბებოდა. არასოდეს არ მომხდარა აგრეთვე, რომ წი-
 ნააღმდეგ მეფისა სურვილია პარლამენტს დაშლაზედ უარი
 ეთქვას.

რადგან ინგლისში მეფეს არ შეეძლო პარლამენტის დაუ-
 თანხმებლად კანონი ან გამოცემა ან და გაფუჭებინა, ამიტომ
 მაც კანონის მკოდნე კაცები— „იურისტები“ ამტკიცებდნენ:
 „მეფე მთელ სახელმწიფოში ყველაზედ მალლა სდგას, მაგრამ
 თვით იგიც კანონის მოარჩილი უნდა იყოს, რადგან კანონი
 ჰქმნის მეფეს; იქ მეფე არ არსებობს, სადაც ნება და სურვი-
 ლი მეფობს და არა კანონი; კანონი უდიდესი სამემკვიდრო
 რამ არის მეფისათვის, რადგან თვით კანონი განაგებს მეფის
 და მის ქვეშევრდომთა მოქმედებას. კანონი რომ არ ყოფილი-
 ყო, არც მეფე და არც მისი მემკვიდრეობითი უფლება არ იქ-
 ნებოდა“.

ამ დროს პარლამენტი წინანდებურად მდიდრებისაგან შეს-
 დგებოდა. ლორღობა პალატაში იმ დროს იწყებებოდა ორ-
 მოცადგან ორმოც-და ათამდე ერის კაცი და ორმოც-და ათი სამ-
 ლედლო პირი. ყველა ესენი ლორღები იყვნენ. ქვედა, ანუ სათე-



მოპალიატას შეიძენ და სამოც-და ოთხმეტ საგრაფოებში არჩეული რაინდი და ორსიდგან—ორს ოც-და ექვსამდე მდიდარი მოქალიქე, სულ ჰარლამენტში იყო ოთხას კაცამდე. მათ შორის სამასი ამორჩეული იყო. როგორც წინედ ისე ეხლაც, პალიატის წევრების არჩევის უფლება ყველა ინგლისელს არ ჰქონდა. ის კი არა გენრიბ მეექვსის დროს ამომრჩევლების რიცხვმა ძლიერ იკლო; წინეთ არჩევის უფლება ყოველ თავისუფალ მიწის მფლობელს ჰქონდა, რა გინდ მცირელი ყოფილიყო ეს მიწა. გენრიბ მეექვსის დროს კი ახალი კანონი გამოსცეს. ამ კანონის ძალით ხმა არჩევნებში მხოლოდ იმას ჰქონდა, ვინც ას ოთხოც მანეთს სახელმწიფო გადასახადს იხდიდა. იმ დროს ას ოთხმოცოც მანეთი დიდი ფული იყო, ასე რომ მხოლოდ მდიდარ შემამულეებს შეეძლოთ ხაზინის სასარგებლოდ ამდენი ფული ეხადნათ. ამ კანონში პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ იგი გამოსცეს ბოგანო ხალხის წინააღმდეგ, რომლებიც ფიქრობენ, ვითომც იმის ხმსაც იმდენივე ძალა და მნიშვნელობა აქვს, რამდენიც აზნაურობას და სხვა საგრაფო შემამულეების ხმსო.

ლანკასტერების გვარეულობა ინგლისში ორმოც-და ათ წელიწადზედ მეტს მეფობდა, მაგრამ ხალხის სიყვარული ვერ მოიპოვა. ამ გვარეულობის მეფეები მხარს აძლევდნენ სამღვდულოებას, აზნაურობას და შეძლებულ მოქალიქეებს, ხალხზედ კი ძლიერ ცოტას ფიქრობდნენ.

როგორც ვიცით, სამღვდულოების გულის მოსაგებად მთავრობამ ლოლლარდებს დევნა დაუწყო. უბრალო, ღარიბ ხალხში ლოლლარდები ძლიერ ბევრი იყვნენ. მათმა დევნამ და ათასნაირმა სასჯელმა, ხალხი მეტად შეაფიწროვა და შეაწუხა. გარდა ამისა, ახალმა კანონმა არჩევნების შესახებ ხალხს ხელიდგან გამოაცალა მისთვის უსაჭიროესი უფლება, ჰარლამენტში გასაგზავნი დებუტატების არჩევისა. ამას დაუმოტეოთ ის ვარემოებაც, რომ გენრიბ პირველის, მეორის და მესამის დროს ინგლისს ესრედ წოდებული ასი წლის ომი



ქონდა. ამ ომს დასჭირდა აღურაცხელი ფურცლები, რომელთა
 სახელმწიფო ხაზინაში ხალხი იზდიდა. გენრიბ მეხუთის დროს
 ამ ომში გამარჯვება ინგლისელებს დარჩათ; მათ დიდძალი ადგი-
 ლები დაიპყრეს საფრანგეთში; მაგრამ გენრიბ მეექვსის დროს
 ბედი უკუღმა დატრიალდა ინგლისისათვის, გამარჯვება ფრან-
 გებს დარჩათ და ინგლისელები, ძუღლებულნი შეიქნენ სამარ-
 ცხეინო ზავი დაედოთ ფრანგებთან.

შემდეგ ასეთი საზარალო ომისა კენტში მეფის წინააღ-
 დეგ ხალხი აჯანყდა. ოცი ათას აჯანყებულთა ლაშქარმა ლონ-
 დონისკენ გაილაშქრა; გევონებოდა უოტ ტეილოსის დრო დად-
 გაო. შეამზობნეთ სახელმწიფო საბჭოში კენტის თემებისაგან
 საჩივარი შეიტანეს, რომელშიაც ივანი თხოულობდნენ: უვარ-
 ვის მინისტრების თანამდებობიდან გადაყენებას, სახელმწიფო
 შემოსავლის თადარიგიანად და ყაირათიანად ხარჯვას, ამომ-
 რჩეველთა და მოშვების წესდებულების გაუქმებას. მეფემ ამ
 თხოვნაზედ, უარი სიტყვა მოთმინებიდგან გამოსული ხალხი
 ლონდონს შეესია, დაიჭირა იგი და მიჰყო ხელი იქაურობის
 ნგრევას და ძარცვა გლეჯას. მდიდრებს და თვით მეფეს ში-
 შის ზარი დაეკათ. შეშინებულმა მეფემ სიტყვა მისცა ხალხს,
 ყველა თხოვნას დაეაკმაყოფილებ, ოღონდ შეამზობნენ შინ დაბ-
 რუნდებიანო. ხალხი ენდო მეფის სიტყვას და წაიხდ-წაწოვიდა.
 დაიშალნენ თუ არა აჯანყებულნი, იმ წამავე შეიპყრეს მათი
 მეთაური და მოკლეს. მეფეს კი არც ერთი პირობა არ შეუ-
 სრულებია. ასე დარჩა ყველაფერი შეუცვლელად.



თ ა ვ ი I V .

აღისდერი და თეთრი ვარდის ომი. — ამ ომის მიზეზები. — ომის ბოლო. — გენრიბ მეშვიდე ტიუდორი. — გენრიბის გაძლიერება. — პარლამენტის მორჩილება. — მიზეზები მეფის გაძლიერების და პარლამენტის მორჩილებისა: ა) თეთრ და აღისდერ ვარდის ომი ბ) უმაღლეს აზნაურობის ამოცლება, ვ) კანონები ლივრების შესახებ, დ) თოფი და თოფის წამალი. — ე) მეფის სიმდიდრე. — უკანონო გადასახადები. — ნაძალადევი სესხი. — როგორ იყვებოდა სახელმწიფო ხაზინა.

კენტელების ამბოხების შემდეგ ცხადი შეიქნა თუ რამდენად უკმაყოფილონი იყვნენ ინგლისელები მეფისა, და აი სწორედ ამ დროს გენრიბის ერთმა ნათესავთაგანმა, მეფე ედუარდ მესამის შვილის შვილმა, განიზრახა გენრიბის ტახტიდან ჩამოგდება იმ მიზნით, რომ თვითონ დაეკირა ეს ტახტი. მან თვისს უფლებების შესახებ პარლამენტში პეტიცია შეიტანა.

„მე ვარ შვილის შვილი მეფე ედუარდ მესამისა“, ამბობდა იგი ამ პეტიციაში; „არავითარ ფიცს ან პარლამენტის დადგენილებას არ შეუძლიან გააუქმოს ჩემი მემკვიდრეობითი უფლებები ინგლისის ტახტზედ. უნდა ვიმეფო მე და არ სხვა ვინმემო“.

პარლამენტს არ უნდოდა ტახტი წაერთმია გენრიბ მეექვსისთვის, მაგრამ იმაზედ კი თანხმა შეიქნა, რომ მისი მემკვიდრე რიჩარდი ყოფილიყო, თუმცა გენრიბს ყავდა შვილი, რომელიც, თანხმად ინგლისის წესდებულებისა, მამის შემდეგ უნდა გამეფებულიყო.

გენრიბი უარზედ დადგა. „პაპაჩემი და მამაჩემი მეფენი იყვნენ, მეც ავგერ ორმოცი წელიწადია, რაც სამეფო ტახტი

მიჭირავს; თქვენი წინაპარნი ერთგულობის და პატივების ფიქს აძლევდნენ მამაჩემს და პაპაჩემს: აგრეთვე ფიცი მივიღე თქვენგან მე. ნუ თუ საჭიროა ლაპარაკი მასზედ, მაქვს მე უფლება ინგლისის ტახტზედ ასვლისა თუ არაო, ამბობდა გენრიხი.

გენრიხმა გადასწყვიტა თავისს უფლების დაცვა. ასტყდა საშინელი ბრძოლა—ბრძოლა აღისფერი და თეთრი ვარდისა. ასეთი სახელი ეწოდა ამ ომს იმიტომ, რომ იორკის გვარეულობის მომხრეთ ნიშნათ ჰქონდა თეთრი ვარდი, ხოლო ლანკასტერისას—წითელი. ამ ბრძოლამ ოცდა ათი წელი გასტანა. ამ ხანში მოწინააღმდეგეთა შორის თორმეტი საშინელი შეტაკება მოხდა; ამ ბრძოლის დროს მთლათ ერთიანად ამოიჟლიტა ინგლისის უმაღლესი აზნაურობა. ოთხმოცამდე მარტო მეფის შთამომავლობის თავადი მოიკლა. ომს გადარჩენილთა შორის ზოგს თავი მოჰკვეთეს, ზოგი იღუმლიად მოიკლა. ინგლისის აზნაურობა მგუბრალეებლად ელფეტდა ერთმანეთს; ომი გათავდა შხოლოდ მაშინ, როცა ტახტზედ ავიდა გენრიხ მე-შვიდე, გვარად ტიუდორი. თითონ გენრიხ მეშვიდე ლანკასტერის სახლის შვილი იყო, მაგრამ მან ცოლად იორკის თავადის ქალი შეირთო და ამ ნაირად შეერთდა წითელი და თეთრი ვარდი. მოისპო ის მიზეზი, რისთვისაც ჩამოარდა ეს საშინელი განხეთქილება. უახლოესი შთამომავალინი ედუარდ მესამისა ყველა ომში დაიხოცნენ; გენრიხს მეფობაზედ მოცილოვ არავინ ჰყავდა, როდესაც გენრიხი ტახტზედ ავიდა, ბარლამენტმა დაადგინა: „ინგლისის სამეფო გვირგვინი ეხლაც და მომავალშიაც გენრიხის და მის შთამომავლობის ხამეშკვიდრო უნდა იქნესო“.

ტიუდორები ინგლისს ას ოცი წელიწადი განაგებდნენ. ავიდა თუ არა ტახტზედ გენრიხი, მაშინვე იმაზედ ფიქრს შეუდგა, თუ რა გვარად დაემკვიდრებინა ტახტი თავისათვის და თავის შთამომავლობისათვის და როგორ გაეფართოვებინა



თავისი უფლებები. ორივე მიზნის მისახვევად გერონს კარგდრო დაუდგა. ცხელი და მკაცრი მკურნალობა და მკაცრი დიეტა და ათი წლის შფოთმა, შინაგანმა მუღმივმა ბრძოლამ და განხეთქილებამ ყველას უზომოთ მოაბეზრა თავი. ინგლისელები დაიქანცნენ. აუტანელი შეიქნა მუდამ შიში და იმანხედ ფიქრი, რომ ან ქონებაზედ ავალემბინებდნენ ხელს, ან სიცოცხლეზედ. ყველას მშვიდობიანობა ხწყუროდა; ყველა დარწმუნებული იყო, რომ არეულ-დარეულობას, შფოთს და განხეთქილებას მხოლოდ მაშინ მოეღებოდა ბოლო, მხოლოდ მაშინ და მშვიდდებოდა ხალხი როცა მთვე ძლიერი იქნებოდა. განსაკუთრებით ძლიერ სურდათ მშვიდობიანობა მდიდრებს: მებატონეებს, ვაჭრებს და სახლის პატრონებს, რადგან ყველაზედ უფრო მათთვის იყო საზარალო ჩხუბი და ამბოხება. სათემო პალატა ამ დროს ხელს მდიდარი კაცებისაგან შესდგებოდა. ამიტომაც იყო, რომ სათემო პალატა დამოუკიდებელი, გამბედავი, ამპარტავანი თავის უფლებების შედგრად დამცველი ლანკასტერების დროს, დღეს სრულებით ხელს არ უშლიდა შეფეს სახელმწიფო საქმეები თავის სურვილზე განეგო, თორღმ მშვიდობიანობა და მყარებულიყო. ლორღთა პალატა კი ახლა წინანდებურად ძლიერი როდი იყო. აღისფერ და თეთრი ვარდის ბრძოლაში როგორც ესტქით, თითქმის სრულიად მოსპო ინგლისის უმაღლესი, დამოუკიდებელი აზნაურობა.

მეტი როდესაც გერონმა პირველად შეკრიბა ბარლამენტი, ძლივს იცოდა და ცხრა ლორღს მოუყარა თავი. ამ იცოდა და ცხრა კაცს შორის ბერს ახლად ჰქონდა ნაბოძები მეფისაგან ლორღის წოდება. რა თქმა უნდა, მეფისაგან ახლად დაჯილდოვებული ლორღები დიდის მორღილებით ეპყრობოდნენ მას და წინააღმდეგობის ნაცვლად დიდ მორღილებას უცხადებდნენ, რათა მეფის ყურადღება და ნაწყალება დაემსახურებინათ. თუ სადმე კიდევ იყვნენ ძველი გვარეულობის ლორღები, მათის დაქვეითების და დაძაბუნებისათვის მეფემ შემდეგ ზომას მიმართა: მან გამოსცა კანონი ლივრეების წინააღმდეგ. მდიდარ ლო-



ქართული ენის ენციკლოპედია

ქ

რდებს სასახლეში მრავალი მსახურნი და კარის მკაცრად, რომლებსაც ლორდ-ბატონებისაგან ეძლეოდათ განსაკუთრებული სახის ტანისამოსი. სახელად ასეთ ტანისამოსს ეძახდნენ ლივრეიას. ამ ლივრეიას საშუალებით ადვილად შეიძლება გეცნოთ, რომელი ლორდს ეკუთვნოდა ესა თუ ის მსახური. მრავალი ლივრეიანი მოსამსახურე სიმდიდრის ნიშანი იყო. ამიტომაც ლორდები, ვისაც კი სურდა, ყველას სიამოვნებით აძლევდნენ ლივრეიას. ამის გამო ლორდებს მუდამ ბლომათ ჰყავდათ ასეთი მოსამსახურენი და საჭიროების დროს მათგან შეადგენდნენ ხოლმე ლაშქარს.

გენრიხ მეშვიდემ ძლიერ კარგად იცოდა, რომ სხვათა შორის ლორდების ძლიერებას ეს ლივრეიანი ხალხი შეადგენდა. ამიტომაც მან გამოსცა რამოდენიმე კანონი, რომელნიც უკრძალავდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო, ლივრეების გაბოძებას, გენრიხ მეშვიდე სასტიკად სდევნიდა ამ კანონების დამრღვევებს: ამის მაგალითს წარმოადგენს შემდეგი შემთხვევა. ერთხელ ძლიერმა და მდიდარმა ოქსფორდის გრაფმა მეფისათვის მეჯლისი გამართა. ნიშნად განსაკუთრებული პატივისცემისა მეფეს გრაფის სასახლეში შესვლის დროს ორ-პირად ჩამწკრივებული ლივრეიანები დახვდნენ. მეფემ, რასაკვირველია, იმ წამსვე შენიშნა, რომ გრაფს კანონი დაურღვევია, მაგრამ არა თქვა რა, დრო მზიარულად გაატარა და მადლობით გამოესალმა მასპინძელს, მეორე დღეს მეფის ბრძანებით გრაფი სასამართლოში დაიბარეს. კინალამ გრაფმა მთელი ქონება ირ დაჰკარგა. ბოლოსმით ვადარჩა განსაცდელს, რომ დიდ ძალი ჯარიმა გადიხადა.

ვასალთა დამორჩილებაში მეტად შეუწყობ ხელი მეფეს თოფის წამალმა და სათოფისწამლე იარაღმა. თოფის წამალი ტიუდორების მეფობამდის, სახელდობრ მეთოთხმეტე საუკუნეში გამოიგონეს; სათოფისწამლე იარაღი, თოფი და ზარბაზანი კი — შემდეგ. ზარბაზანი ასი წლის ომის დასაწყისში იხმარეს პირველად, სახელდობრ ათას სამას ორმოცდა ექვს წელს, კრესის ბრძოლის დროს. თუმცა იმ დროინდელი ზარბაზანი დი-



დი არ იყო, მაგრამ მისგან გამონასროლი სუბსტანცია მიმის ხსენებას
 სატვერიდა კაცს განვლო ამ ომის შემდგომ ასმა წელსა
 და სათოთისწამლე იარაღმა სრულებით შესცვალა ომის წეს-რი-
 გი. წინედ რაინდები ხმალ-კაპარქით, ერთი მეორეზედ მისვ-
 ლით შეებრძოლებოდნენ ხოლმე ერთმანეთს და გამარჯვება რჩე-
 ბოდა უკეთესად შეიარაღებულს, უფრო მარდს და მამაცს, ულო-
 ნიერეს მკლავის მქონეს და უკეთესად იარაღის მხმარებელს.
 ახლავ კი პირად სიამამაცს და სიმარდეს დრო წაუუვიდა. ახლავ
 გამარჯვება მისი შეიქნა, ვისაც ხარბაზნები ჰქონდა, ხოლო
 ხარბაზანი კი იმდენათ ძვირად ჯდებოდა, რომ მარტო მეფეთათ-
 ვის იყო ხელმისაწვდენი. ხარბაზნის საშუალებით მეფემ ადვილად
 შესძლო უფრო ვასალოთა დამორჩილება. წინანდ ვასალოთ, თუ
 საჭიროება მოითხოვდა, ჩაიკეტებოდა თავის მიუდგომელ კო-
 შკში და არავისი შიში არ ჰქონდა; ესეთი ციხე-კოშკის აღე-
 ბა ადვილი საქმე არ იყო; მაგრამ ხარბაზნის ტყვიამ მტვერი-
 ვით აქცია ამ ციხე-კოშკის კედლები. ამიტომაც იყო, რომ
 ვასალოთ მეტად გაუჭირდათ წინანდებურად ძალით და ვაეკა-
 ცობით დაეცვათ თავიანთი უფლებანი. თეთრ და აღისფერ
 ვარდის ბრძოლის დროს მეფეები ძლიერ გამდიდრდნენ, რად-
 გან მათ ხელში ჩაიგდეს დიდ-ძალი მიწა-წყალი და სიმდიდრე
 იმ აზნაურებისა, რომლებიც ამ ბრძოლამ იმსხვერპლა. ამ
 ბრძოლის დროს მთელი ინგლისის მიწა-წყლის ერთი მეხუთე-
 დი მეფეებმა მიისაკუთრეს. გენრიხ მეშვიდე ტახტზედ ასვლის
 დროს იმდენად მდიდარი იყო, რომ დიდად არ ესაჭიროებოდა
 პარლამენტის დახმარება, ამიტომაც მეფე ცდილობდა პარლა-
 მენტი, რაც შეიძლება, იშვიათად შეკრებილიყო. თუმცა ორი-
 ვე პალატა მეფის მოძრჩილი და გამგონი იყო, მაგრამ მეფე
 მაინც ფრთხილად იყო, პარლამენტი არ შესცილებოდა მას
 სახელმწიფო საქმეების თვისნებაზედ მართვა-გამგეობაში. ამი-
 ტომაც გენრიხმა თავის მეფობის უკანასკნელი ცამეტი წელი ისე
 გაატარა, რომ პარლამენტი ერთჯერ მეტად არ შეუკრებია. სა-
 ჭიროების დროს მეფე ცდილობდა ფული უპარლამენტოდ მო-

ეპოვებია. მაგალითად ის პარლამენტის მაგიერ კეძი პირებს მი-
მართავდა ხოლმე და მათგან სესხედ ლებულობდა ფულს; სურდა თუ
არა ფულის პატრონს თვისი ფულის გასესხება, ამას შეჟე ყუ-
რიდღებას არ აქცევდა. ესეთ ნაძალადევ სესხს შეჟე ლებულო-
ბდა როგორც მდიდრისაგან, ისე ღარიბისაგან. ვინც ბევრს ხა-
რჯავს, მას ბევრიც აქვს; ვინც ცოტას ხარჯავს, ის ბევრს ინა-
ხავს, მაშ მდიდარმაც და ღარიბმაც უნდა იხადოს ფული მე-
ფის სასარგებლოდ, ამბობდნენ მინისტრები. ამ ნაძალადევ
ვალს „შეწირულებას“ ეძახდნენ. პარლამენტი სრულიადაც არ
წინააღმდეგებოდა. მეფის ესეთ ჟიკანონო ქცევას, ოღონდ
შფოთი და არეულობა არ განახლებულიყო.

გარდა ამისა გენრიხი ბევრ სხვა საშუალებებმაც ხმარა-
ბდა თავისს ხაზინის შესავსებათ. სხვათა შორის მან პარლამენ-
ტის თანხმობით მიითვისა მთელი სახელმწიფოს ბაჟები. მსაჯულ-
ლები მეფის გულის მოსაგებად დამნაშავეთ ახდევინებდნენ დიდ
ჯარიმებს, რომლებიც მეფისავე ხაზინაში შედიოდა, არეულო-
ბის დროს ვასხალებმა გადასახადის ძლევა შესწყვიტეს, მაგრამ
შემდეგ გენრიხი უარის უთქმელად ახდევინებდა მათ მათზედ
დარჩენილ გადასახადებს.

ალისფერი და თეთრი ვარდის ბრძოლა როგორც იყო გათავ-
და, მარამ ხალხი კიდევ კარგა ხანს ვერ მიეცა მშვიდობიან
ცხოვრებას. ბევრი უკმაყოფილო აზნაური მეფის წინააღმდეგ
შეთქმულებას ამზადებდა; ამზობება ხან იქ იფეთქავდა, ხან აქ.
გენრიხი ვაჟაციკებით ადევნებდა თვალ-ყურს და სასტიკათ
სდევნიდა უკმაყოფილოებს; მთელ სახელმწიფოში აუარებელი
ჯამუშები და მახეზღრები დაწანწალებდნენ. მემბოხე აზნაუ-
რებს იჭერდნენ და შეუბრალებლად სჯიდნენ; მათ ქონებას კი
სახელმწიფო ხაზინა ისაკუთრებდა. ამ რიგად გენრიხის ხელში
დიდმა სიმდიდრემ მოიყარა თავი. ანგარიშისანი და ყაბრათისანი
გენრიხი ერთ კაპეიკსაც არ ხარჯავდა უთადარიგოთ. თავისს
მემკვიდრეს მან ას მილიონ მანეთზე მეტი დაუტოვა.

დროს. თუ მიხედვითად დროისა, ეს ქვეყნის მთელი მთელი

§ 2.

გენრიონ მეშვიდე და პარლამენტი.—საიდუმლო საბჭო და მისი ძალა.—მისი ახალი უფლებები.—ვარსკვლავებიანი პალატა.—რისგანა აქებდნენ ვარსკვლავებიან პალატას თანამედროვენი და რით დაიმსახურა მან სახელმწიფო შთამომავლობის ზიზღი.

გენრიონი სხვა მეფეებზევით არ შედრტიტინებდა პარლამენტს, ფული მომეცია; ამიტომაც ის ან სრულიად არ ეძახდა პარლამენტს ან და ბევრს არ აღაპარაკებდა ხოლმე. ლანკასტერების დროს მინისტრებს და სახელმწიფო საბჭოს წევრებს პარლამენტი ნიშნავდა. ახლა კი ამის ხსენებაც აღარ იყო: გენრიონ მეშვიდე მინისტრებსაც თითონ ნიშნავდა და სახელმწიფო მუდმივ საბჭოს წევრებსაც. სახელმწიფო საბჭოს სახელად საიდუმლოდ საბჭო ეწოდა. საიდუმლო საბჭომ ამ დროს დიდი ძალა მოიკრიბა; გეფე ახლა მისი დახმარებით მართავდა სახელმწიფოს და მას ჰკითხავდა რჩევას სახელმწიფო საქმეების შესახებ. შემდეგ გენრიონის სამი წლის მეფობისა გამოვიდა კანონი, რომლის ძალითაც სახელმწიფო საბჭოს ახალი უფლებები მიენიჭა. აქ ნათქვამი იყო: „რადგან მთელ სახელმწიფოში ხალხი თავს იყრის ხოლმე აურ-ზაურით და შფოთვით, ხშირად შეთქმულება ხდება და ამავე დროს არ არსებობს მიუდგომელი და სამართლიანი სამჯაერო, მეფე საჭიროდ რაცხს, მიანდოს საიდუმლო საბჭოს ზოგიერთ წევრთ, რათა მსაჯულის დახმარებით მათ გაასამართლონ ზოგიერთი სისხლის სამართალში მიცემულნი და დასაჯონ იგინიო“.

ამ რწმუნებულთა შორის სამი მეფის მინისტრი და ორი ლორდი იყო. ამათი სასამართლოს ოთახის ჰერტი მოსურათებული იყო ვარსკვლავებით, ამიტომაც ამ სამსჯაეროს დაერქვა: „ვარსკვლავებიანი პალატა“.

გენრიონ მეშვიდეს დროს წესიერება მეტად შელახული იყო; მეფეს მუდამ საჩივრები მისდიოდა შერიფების და მოხე-

ლეთა თავგასულობაზედ. მდიდარი და გავლენიანი მამაკაცი აწი-
 რებდნენ და სიზარავდნენ ღარიბებს. ვარსკვლავებიანი პალატამ
 პირველად დიდი შრომა გასწია ქვეყნის დასამშვიდებლად, წყ-
 სიერების აღსადგენად და დაჩაგრულობა დასამარებლად. ამი-
 ტომაც იყო, რომ გენრიხ მეშვიდეს თანამედროვენი, რომელ-
 ნიც ქვეყანაზედ ყველაფერს მშვიდობიანობას ამჯობინებდნენ,
 დიდად აქებდნენ „ვარსკვლავებიანი პალატას.“ მთელ საქრი-
 სტიანობაში ეს საუკეთესო სამსჯავროა და იგი ამყარებს მშვი-
 დობიანობას ინგლისშიც, იმათნენ მაშინ. მხოლოდ შემდეგ,
 გენრიხის მემკვიდრეების დროს, მიხვდა ხალხი, თუ რა საში-
 ნელება რამ იყო ეს ვარსკვლავებიანი პალატა. საქმე იმაშია,
 რომ აქ მოსამართლეებათ ნეფის მინისტრები და მისი მრჩე-
 ვლნი იყვნენ; ამით ნიშნავდა თვით მეფე; განსამართლება
 სწარმოებდა ნაფიც მსაჯულთა დაუსწრებლად; ასე რომ ბრალ-
 დებულს მსჯავროს მხოლოდ მეფისაგან დანიშნული მსაჯულები
 სდებდნენ. ვარსკვლავებიანი პალატას ყოველთვის შეეძლო დაე-
 საჯა ის პირები, რომლებიც მეფეს ეჯავრებოდნენ, შეეძლოთ
 დაეპატიმრებიათ იგინი ან და უადგილ-მამულოთ, უსახლ-
 კაროთ და უქონებოთ დაეტოვებიათ იგინი, გარდა სიკვდი-
 ლით დასჯისა ყოველი გვარი სასჯელი შეეძლო მიესაჯა მას
 ბრალდებულისათვის. ვარსკვლავებიანი პალატის გადაწყვეტილე-
 ბის განსაჩივრება მუქდებელი იყო. ეს იყო მიზეზი, რომ შემდე-
 გში ინგლისელები ზიზლით იგონებდნენ ვარსკვლავიანი პალა-
 ტას, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია მეფეს მის მოპირდა,
 პირეთა დაჩაგრაში.

გენრიხი მეფობდა ათას ოთხას ოთხმოც და ხუთი წლი-
 ღვან ათას ხუთას ცხრა წლამდე, სულ ოცდა და ოთხი წელი.
 ტახტზედ ასვლის დროს იმდენი მტერი ჰყვანდა მას, რომ საე-
 ქვო იყო, მას სამეფო ტახტი შეერჩინა. სიკვდილის წინ კი
 გენრიხი მთელ ევროპაში ერთი უმდიდრესი და უქლიერესი
 მეფეთაგანი იყო. მან თავის მემკვიდრეს გენრიხ შერვეს დამშვიდე-
 ბული-სამეფო, სავსე ხაზინა და გაფართოვებული სამეფო უფლებ-



ბები დაუტოვა. გენრიხ მერვეზედ მერმე ვილჰელმ-კონიგს
ახლა კი გავითვალწინოთ ის, თუ როგორ სცხოვრობდა
ინგლისის ხალხი ლანკასტერების, თეთრი და ალის ფერი
ვარდის ბრძოლის ღ გენრიხ მეშვიდის დროს.

§ 3.

როგორ მოისპო ინგლისში ბატონ-ყმობა. მატყლის მრეწველობა ინ-
გლისში. საზღვარ-გარეთელი ხელახნების მოწოდება. მატყლისა და მატ-
ყლეულების გაზიდვა ინგლისიდან. რამდენათ საქირო შეიქნა მატყლი.
— ამის შედეგი.

გენრიხ მეშვიდის ტახტზედ ასეღის დროს ინგლისში ბა-
ტონ-ყმობა უკვე აღარ არსებობდა. ჩვენ ვიცით, რომ თვით
უოტ ტეილორის საშინელმა ამბოხებამ ვერ მოსპო ბატონ-
ყმობა, მაგრამ შემდეგში ცხოვრების პირობები ისე შეიცვალ-
ნენ, რომ ბატონ-ყმობა ნელ-ნელა, შეუმჩნეველად, თავის-თა-
ვად მოისპო. საქმე ის არის, რომ ბატონ-ყმობა ერთ დროს
თვით მებატონეებისათვის შეიქნა უსარგებლო და მახარალებე-
ლი. ამიტომაც იგივე მებატონეები, რომელნიც წინედ ყოველ
უკანონო და კანონიერ ზომებს ხმარობდნენ, გლეხები თა-
ვიანთ მიწა-წყალზედ დაერჩინათ, ეხლა მოხარულნი იყვნენ,
როცა გლეხები სტოვებდნენ მათ მიწას; ზოგიერთნი მათგანი
ძალითაც კი ერეკებოდნენ გლეხებს თავიანთ მამულებიდან
და ათას ნაირ ზომებს ხმარობდნენ მათ გასაძევებლად; სხვათა
შორის, ივინი, მაგალითად, აღარ აძლევდნენ მიწას გლეხ-
ების შემკვიდრებებს, თუმცა ამას წესი მოითხოვდა; დარჩენილ
გადასახადს უკლისად თხოულობდნენ გლეხებისაგან და ვინც
ვერ ახერხებდა ამის ასრულებას, იმათ შეუბრალებლად ერეკებო-
დნენ იმ ადგილებიდან, სადაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ.
მიზეზი კი ყოველივე ამისა იყო: უღონო იქნა
მეთუთხმეტე საუკუნეში ინგლისში დიდ-ძალი მაულის და
შალის კეთება იწყეს. ამის გამო, მატყლი წინანდელზედ უფ-

რო საჭირო შეიქნა. ინგლისში შებატონებულ დასავლეთურ-
დათ კარგი ჯიშის ცხვარი, რომელიც კარგ მატყლს იძლე-
ოდა. ეს მატყლი ინგლისიდან სამზღვარ გარეთ გაჰქონდათ.
საზოგადოდ ინგლისის მატყლი განთქმული იყო; ნიდერლან-
დის სამეფოში, სადაც აუარებელ შალეულობას აკეთებდნენ,
თითქმის მარტო ინგლისის მატყლსა ხმარობდნენ და ამ მა-
ტყლის მაგიერ ინგლისში სამზღვარგარეთიდან შალის საქო-
ნელი შემოჰქონდათ. ინგლისის მეფეებმა ჯერ კიდევ მეცამე-
ტე საუკუნეში საუმჯობესოდ დაინახეს, რომ ინგლისელებს სა-
მზღვარგარეთ გატანის მაგიერ ადგილობრივი მატყლი თვითონ-
ვე დაემუშავებით და დამზადებული გაეტანათ სხვა ქვეყნებ-
ში გასაყიდათ; ამიტომაც იგინი ხანისხან სრულიად აღკრძა-
ლადნენ ხოლმე მატყლის გარეთ გატანას და შალის ინგლი-
სში შემოტანას. მეფეებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ ზომით ხა-
ლხი იძულებული შეიქნებოდა ადგილობრივი მატყლისაგან
შალ-მაუღეულობა ეკეთებია და ამ შალეულობისაგან შეკერი-
ლი ტანსაცმელი ეტარებია, მაგრამ საქმეს ის იყო, რომ ინგლისე-
ლებმა არ იცოდნენ საუკეთესო შალის და მაუღის კეთება.

აღკრძალავდა თუ არა მეფე მატყლის სამზღვარ გარეთ გა-
ტანას, საჩივარი—საჩივარზედ შემოჰქონდათ შებატონებულ ბარ-
ლამენტში, ვიღუბებით, მატყლი გაუსაღებელი გვრჩება; დიდ
ზარალში ვართო. ბოლოს მეფეები მიხედნენ, რომ აღკრძალ-
ვით და ბრძანებით საქმეს არა ეშველება-რა; მათ ამჯობინეს
თვით ინგლისელებს ესწავლათ კარგი მაუღის და შალის ქსო-
ვა. ამიტომაც ელუარდ მესამემ პირველად ფლანდრიიდან უკ-
ხოელი ხელოსნები მოაყვანინა და აღუთქვა მათ მეფური მფა-
რველობა და მრავალ-გვარი შეღავათი. ესეთი ხელოსნები დი-
დის სიამოვნებით მოდიოდნენ ინგლისში, რადგან აქ დიდ
ხელფასს იღებდნენ და კარგათ სცხოვრობდნენ. ამ ხელოსნე-
ბისაგან ინგლისელებმა მალე შეისწავლეს ფრიად კარგი შალის
და მაუღის ქსოვა. მაშინ კი მატყლის მაგიერ ინგლისელებმა
მზა შალის გატანა იწყეს სამზღვარ გარეთ.



უცხოელ ხელოანების შემოსელომდის ინგლისსაგან სრულად არ გაჰქონდათ შალი ან მაუდი; ამით შემოსელოს შემდეგ კი პირველი ათი წლის განმავლობაშივე ყოველ წლივ ხუთი ათასი ნაჭერი შალ გაჰქონდათ სხვა ქვეყნებში, ხოლო გენრიხ მერვეს ტახტზედ ასვლის დროს — ოთხმოცი ათასი ნაჭერი. მატყლის საჭიროებამ იმატა; ახლა მულამ იშოვებოდა მისი მუშტარი; მებატონეებს ყოველთვის შეეძლოთ ინგლისშივე გაეყიდნათ მატყლი კარგ ფასში. ამიტომაც მებატონეებმა ახლა გაიჩინეს ცხვრის ფარები; ხვნა-თესვაზედ ხელი იიღეს და სახნა-ესათესები საძოვრებათ აქციეს; მეურნეობის მაგიერ ნახირის მოშენებას მიჰყვეს ხელი. ამას კი გაცილებით ნაკლები მუშა ხელი სჭირდება, ვინემ მიწის მუშაობას; ამიტომაც მებატონეებისათვის გლეხები ეხლა იმდენად საჭირონი ილარ იყვნენ, როგორც წინეთ. ეს იყო მიზეზი, რომ მებატონენი თანახმანი იყვნენ გლეხების განთავისუფლებაზედ. ეს ერთი; მეორე — ხელმოკლე გლეხებისათვის, ნამეტურ ისეთებისათვის, რომლებსაც მხოლოდ სამოსახლო და მცირე სამუშაო მიწის ნაკვეთის მეტი არა ჰქონდა-რა, შეუძლებელი შეიქნა მებატონეების მამულზედ დარჩენა, რადგან მათ ეხლა მებატონეებისაგან სამუშაო ილარ ეძლეოდათ. ამასთან ზოგიერთგან, გარდა იმისა რომ მებატონეებმა სახნავი მიწები საძოვრად აქციეს, დიდ-ძალი სათემო მიწები შემოიღობეს, სადაც წინეთ გლეხები ნახირს აძოვებდნენ. საძოვარ ადგილებს მოკლებული გლეხები უკიდურეს მდგომარეობაში ჩაცვივდნენ; მათ კიდევ უფრო გაუძნელდათ მებატონეების მამულებზედ ცხოვრება. მეთუთნმეტე საუკუნე ოქროს დრო იყო ინგლისის მუშისათვის, რადგან მატყლის წარმოება ბევრ მუშას თხოულობდა. გლეხებისაგან განთავისუფლებულ მიწებს მებატონეები თავისას უერთებდნენ და თვითონვე ეწეოდნენ აქ მეურნეობას, ან იჯარით იძლეოდნენ მას; საიჯარო ფულს ეძახდნენ ფირმას, ამიტომაც მოაჯარადრეებს ფერმერებს უწოდებდნენ.

ამ გვარად მოისპო ბატონ-ყმობა ინგლისში. გლეხების



ადგილები დაიჭირეს წერილმა თავისუფალმა მშენებლებმა ანუ ფერმერებმა. ამით ეწოდათ იომენები.

§ 4.

მეფე გენრიმ მერვე. გენრიმ მერვე და საიდუმლო საბჭო. ვისგან შესდგებოდა ეს საბჭო, ხალხის უკმაყოფილება და საჩივრები. ვარსკვლავებიანი პალატა და გენრიმ მერვე. ვარსკვლავებიანი პალატა და ჩაფიცნი. გენრიმ მერვე და პარლამენტი. მინისტრი უოლსი. უკანონო გადასახადები. უოლსის და პარლამენტის შეტაკება. უოლსის დამარცხება ნაძალადევი სესხის საქმეში. უოლსის სამაბურიდან გადადგომა. საქმე მეფის გაყრის გამო. უოლსის სიკვდილი.

გენრიმ მეშვიდე გარდაიცვალა ათას ხუთას ცხრა წელს. მან თავის მემკვიდრეს, გენრიმ მერვეს მდიდარი ხაზინა და ძლიერი სამეფო დაუტოვა. გენრიმ მერვემ მამახედ კიდევ უფრო გააფართოვა და გააძლიერა მეფის უფლებები; ხაზინა კი უწყალო ბრძოლაში და ფუფუნებაში გაფლანგა.

გენრიმ მერვეც თავისს საიდუმლო საბჭოს დახმარებით მართავდა სამეფოს. მის ღროს ამ საბჭომ კიდევ უფრო მეტი ძალა მოიკრიბა, ვინემ გენრიმ მეშვიდეს ღროს ჰქონდა. გენრიმ მერვეს ღროს საიდუმლო საბჭო შესდგებოდა ოცი პირისაგან, მათ შორის რამდენიმე მინისტრი იყო; დანარჩენნი—მეფის მახლობელი პირნი. რამდენიმე კაცი საიდუმლო საბჭოს წევრთაგანი მეფეს უნდა ხლებოდა ყველგან ინგლისშიაც და საზღვარგარეთაც. მინისტრებს და საიდუმლო საბჭოს წევრებსაც თვით მეფე ნიშნავდა; ამიტომაც ამ საბჭოში მისს მეგობარ-ამხანაგებს ეჭირათ ადგილები.

უკმაყოფილო ხალხი სჩიოდა პარლამენტის წინაშე, რომ საიდუმლო საბჭოში მდებალი წოდების პირებს უკავიათ ადგილები; ეს პირნი, რომ ადგილები არ დაჰკარგონ, ყველაფერში მეფის მორჩილნი არიანო, წინეთ კი ამ საბჭოს წევრებით უმაღლესი პირნი იყვნენ. გენრიმ ნომრითაჲთ ასეთ პასუხს აძლევდა: „ჩემი საბჭოს წევრების ამორჩევა ჩემი ქვეშევრდომე-



მის საქმე არ არის; ტყუილად ნუ ერევიათ რომელიც მათ სრულიად არ ეხებათო.“ ასე რომ მეფე არავითარ ყურადღებას არ აქცევდა უკმაყოფილოებს და წინანდებურად თვითონვე ნიშნავდა საბჭოს წევრთ. ესენი კი, მეფისაგან დავალებულნი, მისი წყალობით ამალღებულნი და ბატონვეშულნი, არაფერში არ ეწინააღმდეგებოდნენ მას, ყოველ ღონეს ხმარობდნენ მეფისათვის ესიაშოვნებინათ, მისი სიტყვა არ დაეგლოთ და მისი ბრძანება უკლისად აღესულებინათ.

დიდი ძალა და მნიშვნელობა მოიპოვა აგრეთვე ვარსკვლავიანმა პალატამ. სწორედ ამ დროს დაწესდა ისეთი რიგი, რომ თვითოველს წევრს საიდუმლო საბჭოსას შეეძლო იმავე დროს ვარსკვლავიანი პალატის წევრადაც ყოფილიყო; ზოგიერთ შემთხვევაში კი საიდუმლო საბჭოს ყველა წევრები მონაწილეობას ღებულობდნენ ვარსკვლავიან პალატაში სხდომის დროს. გარდა ამისა ამ დროს გამოიცა ახალი კანონი, რომელშიაც ნათქვამი იყო: „ყველა საქმეები მეფის ბრძანების აუსრულებლობის შესახებ უნდა განიხილოს ვარსკვლავიანმა პალატამო“. აქ საქმე იმაში იყო, რომ შეიძლებოდა თვითვეული სამსჯავრო საქმე სწორედ ასეთნაირ საქმეთ მიერნით. და ამ გვარად ვარსკვლავიან პალატას შეეძლო ყოველგვარი სისხლის სამართლის საქმე თითონ გაერჩია და გადაწყვიტა ისე, როგორც მას სურდა.

ჩვენ ვიცით, რომ ინგლისში ნაფიცთა სამსჯავრო არსებობდა. ნაფიცი მსაჯულები მსჯავრს სდებენ ბრალდებულს თავიანთი სინიღისის მიხედვით და პასუხის მგებელნი არიან მხოლოდ იმავე სინიღისის წინაშე, და ეს ასეც უნდა იყოს. მართლაც, თუ მეფეს და მის მინისტრებს და მრჩევლებს უფლება ექნებოდათ პასუხის გებაში მიეკათ ნაფიცი მსაჯულები, როდესაც არა სასიაშოვნო იქნებოდა მეფისათვის ამ მსაჯულების გადაწყვეტილება, მაშინ ესეთი მსაჯულები იძულებული იქნებოდნენ სამართლისათვის გვერდი ატეკათ, ოღონდ კი პასუხის გებისათვის თავი დაეხწიათ. გენრიხ მერვეს დროს

კი ვარსკლავიანმა პალატამ მიითვისა უფლება მისი გეგმაში მიეცა ნაფიცი მსაჯულები, თუ ამას საქიროდ დაინახედა; არა ერთხელ მოკლდათ ნაფიცი მსაჯულებს ბოდიში მოეხადათ ვარსკლავიან პალატის წინაშე. ზოგჯერ ამითაც არ თავდებოდა საქმე; ნაფიცი ვეჭილებს დიდ ჯარიმას ახლევინებდნენ და ხანისხან ცხენშიაც ამოაყობინებდნენ თავს.

რაც შეეხება პარლამენტს, აქ გენრიმ მერვე მამამისივით იქცეოდა: რაც შეიძლებოდა, იშვიათად იწვევდა იგი პარლამენტს. გენრიხის მეფობის პირველ ხანებში სამეფოს მართავდა მისი მეგობარი, ყოვლის შემძლებელი უოლსი. უოლსი ერთ და იმავე დროს გარეშე საქმეთა მინისტრიც იყო და საშინაო საქმეებსაც განაგებდა, როგორც მინისტრი; თანაც პაპს დანიშნული ჰყვანდა უოლსი თვის წარმომდგენლად ინგლისში; ასე რომ იგი იყო ინგლისის პირველი სასულიერო პირი. ერთი სიტყვით მეფის შემდეგ უოლსი იყო უძლიერესი პირი მთელ სამეფოში. უოლსი მთავრად იყო და თუ ასეთი უაღრესი ადგილი ექირა, ეს მხოლოდ მეფის წყალობით იყო. ამას კარგად გრძნობდა უოლსი და საჩაიეროდ არას ზოგავდა, რომ მეფისათვის ესიაშოვნებინა. მეფეც უხვად აჯილდოვებდა თავისს საყვარელ მინისტრს; სხვათა შორის მან უოლსი დანიშნა იორკის არხიებისკაპოზათ, ლინკოლნსკის ეპისკოპოზათ, დაუნიშნა მას დიდ-ძალი ჯამაგირი და მასთან ორი საეპისკოპოზოს შემოსავალი. და აი სწორედ ამ უძლიერეს მინისტრს გენრიხისას სძულდა პარლამენტი, რადგან მას ეშინოდა ამ პარლამენტისა. მან კარგად იცოდა, რომ ინგლისელებს არ უყვარდათ იგი მისი მედიდურ და ამპარტავნულ ქცევისათვის; განსაკუთრებით ეჯავრებოდა იგი აზნაურებს; ესენი ვერ შერიდებოდნენ მისს ბრძანებლობას; უოლსი შიშობდა, რომ პარლამენტს მის პარპაშისათვის ფრთები არ შეეკეცა და არ შეეზღუდა მისი უფლებები. ამიტომაც იგი ცდილობდა საქმე ისე მოეწყოა, რომ პა-



რლამენტი სრულიად არ შეკრებილიყო. იმ დროს ეს აღვიძებდა მოსახერხებელი იყო, რადგან მეფეს ფული არ სჭირდებოდა.

რვა წელიწადში ისე განვლო, რომ პარლამენტი არ შეკრებილა. უოლსი დაიმედებული იყო, რომ მომავალშიაც არ შეიკრიბებოდა იგი. უოლსი განსაკუთრებით ცდილობდა გენრიხი ომში არ ჩაბმულიყო, რომელიც, რა თქმა უნდა, დიდ ხარჯს მოითხოვდა. მაგრამ გენრიხს უკან დახვევა არ უყვარდა, რაკი ერთხელვე გადაწყვეტდა რაიმეს. თავისს საყვარელ მინისტრის სურვილის წინააღმდეგ მან ომი დაიწყო საფრანგეთთან. ამოდ ეშუადარებოდა უოლსი მეფეს, ნუ იწყებ მაგ ომსაო: დაიწყო თუ არა ომი, მეფეს ფული დასჭირდა. მეფის ჩვეულებრივმა შემოსავალმა აღარ იკმარა. საჭირო შეიქნა პარლამენტის მოწოდება. უოლსს ყველაფერზედ უფრო სწორედ ამისი ეშინოდა; ამიტომაც მან გადასწყვიტა საჭირო ფული როგორმე უპარლამენტოთ მოეკრიბა; მან ჯერ მოინდომა მეფის საბელით ფულის სესხება, რისთვისაც მოუწოდა ლონდონის უმდიდრეს მცხოვრებლებს და მოსთხოვა მათ ცნობები, თუ ვის რამდენი ქონება აქვს, რომ ამის მიხედვით გადაეწყვიტნა, ვისგან რამდენის აღება შეიძლებოდა. გარდა ამისა უოლსმა ყველა საგრაფოებში მოახლოვები დაგზავნა ასეთივე ნაძალადევი სესხის მოსაბოჭად. ამ რიგად უოლსმა უპარლამენტოთ შეაგროვა საჭირო ფული. მაგრამ ეს ფული მალე დაიხარჯა და პარლამენტის შეკრება აუცილებელი შეიქნა. ყოვლის შემძლებელი მინისტრი თვითონ გამოცხადდა სათემო პალატაში და მოითხოვა პალატა დათანხმებულიყო აუარებელ გადასახადზედ; მეფე და უოლსი თხოულობდნენ, რომ თვითეულ ინგლისელს მიეცა მეფისათვის ერთი მეზუთელი მთელი თავისი ქონებისა. ასეთი რამ ჯერ პარლამენტში არც თქმულიყო და არც გაგონილიყო. გაათავა მინისტრმა სიტყვა. პარლამენტში სამარის სიჩუმე ჩამოვარდა. ამოდ ეკითხებოდა მინისტრი ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს აზრს მეფის თხოვნის შესახებ. სათემო პალატამ ერთხმად უპასუხა უოლსს,



რომ სანამ თქვენ აქ ხართ, ამ კითხვაზედ მსჯელობა არ შეუძლებელიაო. უოლსი იძულებული შეიქნა პარლამენტი დაეტოვებინა. წავიდა თუ არა უოლსი, ასტყდა საშინელი დავა-კამათი, რომელმაც მთელი ოარი კვირე გასტანა; ბოლოს პარლამენტმა მეფეს სწორედ იმის ნახევარი მისცა, რამდენსაც თხოულობდა იგი. მაგრამ ეს ფულიც მალე შემოეღო მეფეს. ახლა პარლამენტის მოწოდებაზედ ფიქრსაც ველარა ბედავდა უოლსი. მან ისევ ნაძალადევ სესხს მიმართა, დაგზავნა საგრაფოებში მოხელეები, მაგრამ ამოდ: ამ ხელათ თითქმის ვერაფერი ვერ მოკრიბეს. „რა მოვლის ჩვენ თავისუფლებას, თუ ამ გადასახადზედ თანხმანი ვაქნებითო“, გაიძახოდნენ აზნაურები. „მეფეს არა აქვს უფლება ფულის მოკრებისა პარლამენტის დაუთანხმებლად“, „პარლამენტს ამ გადასახადზედ თანხმობა არ გამოუცხადებია, მაშასადამე იგი უკანონოა“ ქადაგებდნენ მღვდლები ეკლესიებში. ხალხი ამობოქრდა; „ჩვენ ფრანგები კი არა ვართ, ჩვენ ინგლისელები ვართო“, გაიძახოდა იგი; ზოგჯან მეფის მოხელეებმა სცადეს ფულის მოკრება, მაგრამ სიკვდილს ძლივს გადურჩნენ და უკანვე გაიქცნენ. ის იყო ხალხი აჯანყებას ამირებდა; შეიკრიბა დიდძალი ჯარი უკმაყოფილოთა; ეს ჯარი უმეტესად შესდგებოდა მუშებისაგან, რომლებსაც დამქირავებლები ასეთი სიტყვებით ისტუმრებდნენ: „მეფე იმდენს გადასახადს თხოულობს ჩვენგან, რომ აღარ შეგვიძლიან სამუშაოარი მოქცეთო“.

მეფეს ხალხის ამბოხების შეეშინდა, ამიტომაც მან დათმობა ამჯობინა და ბრძანება გასცა, უკანონო გადასახადი მოსპობილიაო. ამ ნაირად ისეთი მეფეც კი, როგორც იყო გენრიხი, დარწმუნდა, რომ გადასახადის შემოღება პარლამენტის დაუთანხმებლივ შეუძლებელი იყო.

მალე ყოვლის შემძლებელ უოლსს ცუდი დრო დაუდგა; იგი ვანრისხა თვით მისმა საყვარელმა მეფემ. აი როგორ მოხდა ეს. გენრიხ მერვემ ცოლად შეირთო პაპის ნებართვით თავის ძმის ნაცოლევი ეკატერინე ერავონიელი. გენრიხს ძლიერ უნ-



დოდა შემეკვიდრე—მე ჰყოლოდა, მაგრამ გვატერინას არც ერთი შეილი არ შერჩა, გარდა ერთი ქალის—მარიამისა და ისიც სუსტი და ავადმყოფი იყო. ამ უბედურებით შეშინებულმა მეფემ იფიქრა, ჩემი ქორწინება დაწყებული უნდა იყვეს ღეთისაგან, როგორც უკანონო რამეა და განიზრახა ცოლის განშორება; მეფის ასეთი განზრახვა უოლსს ძლიერ მოსწონდა, რადგან მას დედოფალი ეჯავრებოდა და მოხარული იყო, თუკი მას მეფე თავიდან მოიცილებდა; ამავე დროს იგი ცდილობდა, მეფეს საფრანგეთის პრინცესა შეერთო; უოლსი ფიქრობდა, რომ ამით ინგლისს და საფრანგეთს შორის კავშირი გაძლიერდებოდა. მაგრამ გენრიხი ამ დროს გატაცებული იყო სასახლის ქალის, ანნა ბოლენის, სიყვარულით; ლამაზმა, ჰევიანმა და კეკლუკმა ქალმა ისე გაიტაცა მეფე, რომ ერთხელ სრულიად მოულოდნელად მან განუცხადა მინისტრს, ანნა უნდა შევირთო. მაგრამ ის კი არაფერ იცოდა, რომ მეფეს მეუღლესთან გაყრა გადაწყვეტილი ჰქონდა და ან როგორ შეხედავდა ამას პაპი. უოლსი მუხლმოდრეკილი ევედრებოდა მეფეს, ხელი აეღო ასეთ გადაწყვეტილებაზე და საშინელი შეცდომილება არ ჩადინა, მაგრამ სულ ტყუილად: ცოტა ხნის შემდეგ, მეფის წყალობა რომ მაინც არ მოჰკლებოდა, უოლსი იძულებული შეიქმნა თითონვე ხელი მეფეწყო მეფის სურვილის აღსრულებისადვის. მეფემ ჯერ პაპს სთხოვა ნებართვა გაყრაზედ. პაპიმ არ იცოდა რა ექნა. მას ერთის მხრით უნდოდა გენრიხის გული მოეგო, მეორეს მხრით, ეშინოდა გერმანიის უძლიერეს იმპერატორია და ისპანიის მეფის კარლოს მეხუთესი, რომელიც ახლობელი ნათესავი იყო ინგლისის დედოფლისა. ამიტომაც პაპი ყოყმანობდა და პასუხს აგვიანებდა; გენრიხს კი ეგონა, რომ მას ხელს უშლიდა უოლსი. გაგულისებულმა მეფემ სასახლიდან გაძევა იგი. ანნა ბოლენმა კი მეფეს სიტყვა ჩამოართვა, იმ დღიდან თვალით აღარ ეხილნა ურჩი მინისტრი. სრულებით რომ მეფის წყალობა არ დაეკარგნა, უოლსიმ მთელი თავისი ქონება მეფეს გადასცა; ნიშ-

ნად წყალობისა მეფემ განდევნილს მინისტრს ანდრეას სარქიებისკოპოხო შეარჩინა. გავიდა ერთი წელი და უოლსს ახალი უბედურება ეწია. იგი სახელმწიფოს ლალატის გამო პასუხის გებაში მისცეს, შეიპყრეს და ლონდონის ციხეში წაიყვანეს; მაგრამ ლონდონამდე ვერც კი მიაღწია მან; გზაზედ ავად გახდა და გარდაიცვალა. სიკვდილის დროს უოლსი სამწარით იგონებდა მთელ თავის სიცოცხლეს, რომელიც მან თავისს მეფეს შესწირა.

— ისე გულმოდგინებით რომ ღვთისათვის წემსახურნა, როგორც ვემსახურებოდი ჩემს მეფეს, იგი არ დამავდებდა ასე უნუგეშოთ: ან მოხუცებულობაში; ასეთი ხვედრი სამართლიანი ჯილდოა ჩემთვის, რადგან მე მხოლოდ იმაზედ ვფიქრობდი, თუ როგორ მესიამოვნებინა მეფისათვის და არა იმაზედ, თუ როგორ ვემსახურნა ღვთისათვის, ამბობდა უოლსი.

ასე დაიღუპა უძლიერესი და ყოვლის შემძლე მინისტრი, მხოლოდ იმისთვის, რომ თავისს მეფეს ვერ ასიამოვნა.

§ 5.

როგორ გაეკარა მეფე გენრიზ მერვე თავისს მუუღლეს ეკატერინა არაგონელს. — თომა კრომველი. — განხეთქილება გენრიხსა და პაპის შორის. — როგორ გახდა გენრიზი ინგლისის ეკლესიის თავად. — რეფორმაციის დასაწყისი ინგლისში. — მეფე-ღვთოლის გაყრა. — რა უფლებები მართვისა მეფემ. როგორც ინგლისის ეკლესიის თავმა. — კანონი „უალტრეობის“ შესახებ. — სარწმუნოების შეხლები. — დაბადების თარგმნა ინგლისურ ენაზე.

მეფე გენრიხის და ეკატერინა არაგონელის გაყრას მოჰყვა ერთი მოულოდნელი ამბავი, რომელსაც ფრად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისისათვის, სახელდობრ ისა, რომ პაპს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოერთვა ინგლისის ეკლესიის მეთაურობა.

აი როგორ მოხდა ეს საქმე: თუმცა უოლსი გარდაიცვალა



ლა, მაგრამ მეფე-დედოფლის გაყრის საქმე გენრალი უზომოდ განრისხებული იყო პაპის ასეთი ქცევის, სწორედ ამ დროს უოლსის მდივნად ნამყოფი, თომა კრომველი, ურჩევდა მეფეს, არ ეცადნა პაპის პასუხისათვის, უარ ეყო მისი ბრძანებლობა, აღიარებინა თავისი თავი ინგლისის ეკლესიის თავად და საქმე ინგლისის სასულიერო სასწავლოში გადაეტანა, მეფეს მოეწონა თომას რჩევა, მალე თომა ძლიერ დაუახლოვდა მეფეს, დაიჭირა უოლსის ადგილი და შეიქნა მასავეით ყოვლის შემძლე მინისტრად. თომა მეტად გონიერი, ნიჭიერი და მოხერხებული კაცი იყო. კრომველის რჩევით მეფემ გადასწყვიტა პაპის ბრძანებლობისგან თავის დახწევა. შეიკრიბა სამღვდლოება. კენტურბერის არხიებისკაპოზმა კრებას ურჩია, უარ ეყო პაპი, როგორც თავი ინგლისის ეკლესიისა, და მის მაგიერ მეფე მოეწოდებია. ვერავინ პასუხი ვერ გასცა არხიებისკაპოზს.

—სიჩუმე თანხმობის ნიშანიოა, სთქვა არხიებისკაპოზმა.

—მაგ შემთხვევაში ჩვენ არაფერს ვატყვითო, მოისმა ვილაციის ხმა ხალხში, და კრებამ მიიღო არხიებისკაპოზის წინადადება.

შემდეგ მოწოდებულ იქნა პარლამენტი. ორივე პალატას იგივე კითხვა წარედგინა გადასაწყვეტად. პარლამენტმაც სცნო ინგლისის მეფე ინგლისის ეკლესიის თავად და გადასწყვიტა, რომ ამიერიდგან პაპს ხარკი აღარ გაჰგზავნოდა. მისივე დადგენილებისამებრ ეს ფულები ინგლისის ეკლესიის საჭიროებისათვის უნდა მოეხმარებიათ ინგლისში პაპი, როგორც სასულიერო, ისე სხვა წოდებათაც ძლიერ სძულდათ; ყველანი ზიზღით უყურებდნენ მისს უსამართლობას. ამიტომაც იყო, რომ ისეთი ძნელი კითხვა, ესე აღვილად, ერთხმად და სიამოვნებით გადასწყვიტეს, როგორც პარლამენტში, ისე სასულიერო კრებაზედ. ინგლისის საეკლესიო საქმეში ეს უარის ყოფა პაპისა პირველი და მასთან დიდი ცვლილება ანუ რეფორმა იყო. ამიტომ ამბობენ: „ამით ინგლისში რეფორმაცია დაიწყოვო“.

პაპი ყურადღებას არ აქცევდა ინგლისში არსებულ ამბებში ის ჰკიცხავდა მეფეს ანნასთან უკანონო კავშირის გამო, უკრძალავდა მეფეს, დედოფალთან გაყრის საქმე ინგლისის სამსჯავროებში არ წარედგინა გასარჩევად, არ შეერთო ანნა და თანაც ეშუქებოდა, თუ არ დამემორჩილები, ეკლესიიდან გავრისხავო. გენრიხმა ყურადღება არ მიაქცია პაპის მუქარებს, შეერთო ანნა ბოლენი და აღუკრძალა თავისს ქვეშევრდომთ, რომ, რა საქმის გამოც უნდა ყოფილიყო, პაპისთვის აღარ მიემართნათ.

ამის შემდეგ კენტებერიის არხიეპისკოპოსმა ბრძანა, მეფედედოფლის საქმე მის საკუთარ სასულიერო სამსჯავროში გარჩეულიყო. ამ სამსჯავრომ მეფისა და ეკატერინა არაგონელის ცოლქმრობა უკანონოდ სცნა და მარიამი, მათი ქალი, უკანონო შეილაღ; გაეიდა სამი კვირა ამის შემდეგ და არხიეპისკოპოსმა დედოფლად ანნა ბოლენი აკურთხა.

ამ გვარად გადაწყდა კითხვა მეფე-დედოფლის გაყრის შესახებ და ამასთანვე ინგლისიც განთავისუფლდა პაპის ბრძანებლობისაგან. პაპის აღგილი ახლა მეფემ დაიჭირა, მეფე შეიქნა თავი ინგლისის ეკლესიისა და ინგლისის სამღვდელობა დაემორჩილა მას. სამღვდელოებს არ შეეძლო მეფის ნება-დაურთველად კრება მოეხდინა; ხოლო კრების დადგენილებას მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, როცა მასზედ მეფე თანხმობას გამოაცხადებდა.

ახლა მეფის ხელში იყო ეპისკოპოსების და არხიეპისკოპოსების დანიშნაც და თანამდებობიდან გადაყენებაც. გენრიხ მერვემ, ერთხელ ერთ არხიეპისკოპოსს მისწერა: „თუ ღრჩობას და სულელურ მდიდურობას თავს არ დაანებებ, გაგაგდებ და შენ მაგიერ უფრო კეთილგონიერ და ღირსეულს მოუწოდებო“.

ახლა არც ეპისკოპოსებს და არც მღვდლებს უფლება აღარ ჰქონდათ ნება-დაურთველად ქადაგებისა. ხშირათ წინდაწინვე უბრძანებდნენ ხოლმე მღვდლებს, თუ რაზედ უნდა ელაპარაკნათ მათ თავიანთ ქადაგებებში. ხან და ხან სულაც შუა სიტ-



ყვეს უზაგნიდნენ მათ სათქმელად. შემდეგ უფლებადე ამის პარლამენტის თანხიობით გამოიცა ასეთი კანონი:

„მეფე არის ერთად-ერთი და უფლრესი მეთაური ინგლისის ეკკლესიისა“.

ამ კანონს ეწოდა „კანონი უაღრესობის შესახებ“.

ამ კანონის ძალით მეფეს ხელში გადავიდნენ პაპის ყველა უფლებანი.

ამავე დროს პარლამენტის თანხიობით და მეფის ხელმძღვანელობით შეადგინეს სარწმუნოების შვიდი მუხლი რომელიც განიხილა და მიიღო პარლამენტმა და სამღვდლოებამაც. შემდეგ ეს მუხლები სარწმუნოებისა ყველა საგრაფობაში გამოაცხადეს. ამ ახალ მუხლებს და კათოლიკური ეკკლესია ძველი სწავლის შორის ბევრი განსხვავება არ იყო. ძველი კათოლიკური ეკკლესიის სწავლით, ზიარების დროს პური და ხორცი გარდაიქმნებთან ქრისტეს ქეშმარიტ სისხლად და ხორცად და მხოლოდ სამღვდლო პირებს შეუძლიანთ სისლითაც და ხორცითაც ზიარება; ხოლო ერის კაცებს მარტო ხორცი. ზიარების საედუმლოს წინედ აუცილებელია საიდუმლო აღსარება; მიცვალებულის სულის მოსახსენებლად წირვა უნდა შესრულდეს; აუცილებელია წმინდანების და ხატების თაყვანის-ცემა; სსმღვდლო პირთ არ აქვთ ქორწინების ნება, რადგან მათი ფიქრი და გონება უნდა მიქცეულ იყოს ღვთის მსახურებაზედ და არა ამ სოფლიურ სიამოვნებაზედ. თვით აღნიშნულ ექვს მუხლში ყოვლივე ეს ხელ ახლა განმტკიცებულია; აგრეთვე ხელ შეუხებელი დარჩა კათოლიკური წირვა-ლოცვა და სამღვდლო-მოქმედო წეს-რიგა.

ამ დროსვე გადაითარგმნა ინგლისურ ენაზედ დაბადება; გადათარგმნილი დაბადება დიდის ამბით გადასცა გენრობ მერვემ კენტერბერიის არხიეპისკოპოსს ხალხში ვასავრცელებლად.

§ 6.

მონასტრების მოსპობა. — მონასტრები ინგლისში. — „წავი წიგნი“. — მცირე მონასტრების გაუქმება. — აზიზობა სრდილო საგრაფოებში. — დიდი მონასტრების გაუქმება. — რით იყო კარგი ან ცუდი მონასტრების დახურვა. — კრომველი და პარლამენტი. — ლორდთა პალატა კრომველის დროს. — სათემო პალატა. — სპიკერს ახლა მეფე ნიშნავს. — როგორ აღმოიფხრო ფეოდალური აზნაურობა. — ბილლი პალატის შესახებ. — აზნაურების სიკვდილით დასჯა. — როგორ დაეცა თამა კრომველი. — მისი სიკვდილით დასჯა. — გენრიბ შერვე და პარლამენტი. — რა დაუთმო გენრიბმა პარლამენტს. — უფლება პირადი შეუფლებლობისა. — რით არის ეს უფლება დიდმნიშვნელოვანი. — როგორ უნდა გვეამოღეს ეს უფლება. — გენრიბ შერვეს სიკვდილი.

შეიქნა თუ არა გენრიბ შერვე ინგლისის ეკკლესიის თავად, მან გადასწყვიტა, მონასტრების გაუქმება და მათი სიმდიდრე-ქონების მითვისება. ამ დროს მონასტრები ყოველგვარი გარყვნილობის და გაბრწყინილების ბუდეს წარმოადგენდნენ; ბერების უმეტესობა მხოლოდ იმაზედ და ფიქრობდა და ზრუნავდა, რომ რაც შეიძლება, უღარდებოდ, მხიარულად და განცხრომით გაეტარებინათ სიცოცხლე. საუკეთესო კაცებს ინგლისში უსახლვროთ სძულდათ და ეჯავრებოდათ ბერები მათი სიხარბის, გაუმამლორობის და ყოვლად უზნეო ცხოვრებისათვის; დიდი ხნიდგან ღიპარაკობდნენ ინგლისში მონასტრების გაუქმებაზედ, უქმი და ზარმაცი ბერების გაქვევების საჭიროებაზედ. გენრიბი და მისი ყოვლის შემძლებელი მინისტრი კრომველი იმ აზრისა იყვნენ, რომ დრო იყო ბოლო მოკლებოდა მონასტრებს; კრომველი დიდის გაცაცებით შეუდგა ამ აზრის განხორციელებას. მან დაგზავნა რამდენიმე მოხელე და დაავალა მათ, დაეთვალიერებინათ მონასტრები და შეესწავლათ ბერების ცხოვრება. რამოდენიმე ხნის განმავლობაში ამ მოხელეებმა დასწერეს მონასტრების შესახებ მოხსენება, რომელშიც ბერების ცხოვრება ჯოჯოხეთს მოგაგონებდათ; ამიტომაც ამ წიგნს უწოდეს „წავი წიგნი“. აქ ბერებს ბრალდებოდათ



ყოველგვარი უკიდურესი და საზიზღარი გარყვნილება ბო-
როტება. ეს წიგნი პარლამენტში წაიკითხეს. გაათავეს თუ არა
ამ წიგნის კითხვა, „ძირს მონასტრები და ბერებიო“, იგრი-
ლეს სათემო პალატის წევრებმა. მაგრამ პალატის ყველა წევ-
რი ერთი აზრისა როდი იყვნენ. ბევრნი აზნაურთაგანი ჩრდი-
ლოეთ საგრაფოებიდგან მონასტრების მომხრენი იყვნენ, რადგან
მონასტრებსა და მათ შორის ძლიერ კარგი დამოკიდულება
არსებობდა. მაგალითად, ამ აზნაურების შვილები მონასტრებ-
ში სწავლობდნენ. პარლამენტში გაცხარებული დავა-კამათი
ასტყდა მონასტრების შესახებ. ამ კამათმა ორი კვირა გასტა-
ნა. ბოლოს გადასწყიტეს იმ მონასტრების გაუქმება, რომლებ-
საც წლიური შემოსავალი ორი ათასს მანათზედ ნაკლები ჰქონ-
დათ. ხოლო უმდიდრესი მონასტრები კი ხელ უხლებელნი
დარჩნენ, მაგრამ დიდი ხნით კი არა. ჩრდილოეთ საგრაფო-
ებში ხალხი აჯანყდა. მიჰყვეს თუ არა ხელი მონასტრების გა-
უქმებას, აქაური ხალხი, უკმაყოფილო კრომველის მოქმედებით,
პაპის უარყოფით და სარწმუნოების ახალი მუხლებით ფეხზედ და-
დგა. ხალხს აზნაურობა მეთაურობდა. მთელი ჩრდილოეთის აზნაუ-
რობა შეაიარაღდა; უბრალო ხალხმა კი თავის მღვდლების გარშე-
მო თავი შოიყარა. მალე შეამზახეთა ლაშქარი ოცდაათი ათას კა-
ცამდე, დონდონისაჲნ გაემართა. შეამზახენი თხოულობდნენ,
მეფე პაპს შერიგებოდა და პაპი ისევ ეკკლესიის თავად გამ-
ხდარიყო, კრომველი კი გაეძევებიათ.

მეფემ ძლივს შეაგროვა ჯარი შვიდი ათას კაცამდე. ამი-
ტომაც მან შეამზახებთან მოლაპარაკება ამჯობინა და სიტყვა-
მისცა მათ, ყოველ სათხოვარს აგისრულებთ და ვინც დაუკონებ-
ლივ შინ დაბრუნდება, მის ყოველგვარ დანაშაულობა ებატოვე-
ბაო. დაიშალნენ თუ არა შეამზახენი, მეფემ სრულიად უბრა-
ლო საბაბის გამო დაარღვია აღთქმა; აზნაურებს კი ძვირად
დაუჯდა მათი გამბედაობა და მეფის აღთქმის ასე აღვილიად და-
ჯერება. ამზახების მეთაურნი და მრავალნი დიდებულნი პირ-

ნი საზღვდელიონი და ერის კაცნი სიკვდილით დასჯილნი იყვნენ. კი მთელ ქონებასზედ აღდგინეს ხელი და ციხეში ჩაადგეს.

ამ ამბობების შემდეგ დანარჩენი მონასტრებიც გააუქმეს. იმ დროს დაიხურა სულ სამი ათას ორას მონასტრამდის, რომელნიც წელიწადში თუთხმეტ მილიონ შემოსავალს იძლეოდნენ. ამ მონასტრების მამულები და ფული მეფის ხელში გადავიდა; მაგრამ თითონ ამით დიდად ვერ ისარგებლა მეფემ; ეს მამულები და ფული თავის მეგობრებს და კარის კაცებს უბოძა.

მონასტრების დახურვა სასარგებლოც იყო და მავნებელიც. უმეტესი ნაწილი მონასტრებისა მართლაც ზარმაცი, უქმად მჯდომი და გარყვნილი ხალხით იყო ავსილი; მათგან სივლახის და ხიავის მეტეს კაცი იქ ვერასფერსა სწავლობდა; თანაც ქვეყნის სიმდიდრე მათ ხელში იყრიდა თავს. ღვთისნიერ და მოაზრებულ ხალხს ეგონა, დიდ კეთილ საქმეს ჩადიოდა, როცა თავის ქონებას მონასტრებს სწირავდა ხოლმე. მეორეს მხრით მონასტრებში, ავთ იყო თუ კარგათ, ზოგიერთი ღატაკი თავშესაფარს პოულობდა. ამიტომაც მონასტრების დახურვის შემდეგ, იმდენი მათხოვარი გაჩნდა სოფლებში და ქალაქებში, რომ გენრის მერვემ არ იცოდა, რა ექნა მათთვის; ბოლოს მან გამოსცა კანონი გლახაკთა და ბოგანოთა ყურის ვდების შესახებ. ერთად ერთი კითხვა, რომელმაც დიდი დავა-კამათი გამოიწვია პარლამენტში და მეფის და კრომველის სურვილის წინააღმდეგ გადასწყდა, მონასტრების დახურვა იყო. საზოგადოთ კი კრომველის დროს პარლამენტი მეფის შორჩილი იყო ღ მეფის და კრომველის სურვილისამებრ იქცეოდა. ჩვენ ხომ ვიცით უკვე, რომ უოლსი პარლამენტს ძლიერ იშვიათად იწვევდა და ისიც დიდი გაჭირვების დროს. კრომველი კი პირ იქით იმ აზრისა იყო, რომ პარლამენტი შეკრებილიყო ხოლმე, გაერჩია და გადაეწყვიტა უმაჯორესი სახელმწიფო კითხვები. კრომველმა კარგად იცოდა, რომ მხოლოდ პარლამენტის დახმარებით შეიძლებოდა იმ დიდძალი შენელოვან ცვლი-



ლებათა შემოღება, რომელნიც მას შემოაქონდა. მაგრამ ამასთანავე კრომველმა ისე მოაწყო საქმე, რომ პარლამენტი სწორედ მეფის და მისი სურვილისამებრ იქცეოდა სხვა და სხვა კითხვების გადაწყვეტაში. ამისათვის უპირველესად ყოვლისა საჭირო იყო პარლამენტში ყოფილიყვნენ მეფის და მისი მინისტრების მორჩილი კაცები. ლორდთა პალატის მორჩილებაში ყოფილი იყო ძნელი, ნამეტურ მის შემდეგ, რაც მეფე შეიქნა თავი ეკლესიისა. მართლაც პერთა პალატა ხომ პერებისაგან შესდგებოდა, რომელთა შორის სამღვდელთა იყო ერთნი და ერის კაცნიც. პერის სახელწოდებას, ვისაც უნდოდა, იმას მისცემდა მეფე. აღისფერ და თეთრი ვარდის ბრძოლის შემდეგ ძველ პერებთაგანი თათქმის აღარავინ დარჩენილია. მეფემ პერობა უბოძა სამოც და ექვს კაცს. რა თქმა უნდა, მეფე პერობას თავისს მორჩილ და მასიამოვნებელ პირებს მისცემდა, მით უმეტეს, რომ გენრიხი დიდი პატივის და მორჩილობის მოყვარული კაცი იყო. პალატაში გარდა ერის კაცებისა სასულიერო წოდებიდგან იყვნენ არხიეპისკოპოზები და ეპისკოპოზები. სანამ ეკლესიის თავად ბაპი იყო, არხიეპისკოპოზები და ეპისკოპოზები მეფეს არ ემორჩილებოდნენ; ხოლო მას შემდეგ, რაც მეფემ ხელთ იგდო ინგლისის ეკლესიის მეთაურობა, სასულიერო წოდების უმადლესი პირნი მეფის მოხელენი შეიქნენ; მეფეც მათგან სრულს მორჩილებას თხოულობდა და ურჩებს თანამდებობიდან აძევებდა.

ამიტომაც ლორდთა პალატა იმდენად ემორჩილებოდა მეფეს, რამდენადაც ამას სურდა. უფრო ძნელი იყო სათემო პალატის დამორჩილება. პალატის წევრები ხომ არჩეულნი იყვნენ და არა მეფისაგან დანიშნულნი; ამიტომაც საქმე ისე უნდა მოხერხებულიყო, რომ აერჩიათ ისეთი პირნი, რომელნიც მეფის სურვილის წინააღმდეგ არ წავიდოდნენ. ამ მიზნის მისახვევად მეფის საიღუმლო საბჭომ შერიფებს უბრძანა, მეფისათვის სასურველი პირები ყოფილიყვნენ არჩეულნი; თანაც ასეთ პირებს თვითონ საიღუმლო საბჭო ასახელებდა. შერი-



ფები ყოველ ღონეს ხმარობდნენ მეფის გულგონებისა და მისი მინისტრებისათვის ესამოვნებინათ დასახელებული პირების ამორჩევით.

გენრიხ მერვემდინ სპიკერს პალატა ირჩევდა, ახლა კი სპიკერს თვით გენრიხი ნიშნავდა. „მას იმისთვის ვშერები, ამბობდა გენრიხი, რომ პალატამ დრო არ დაჰკარგოს სპიკერის ამორჩევაზედ ღაპარაკშიო“. ნამდვილად კი გენრიხი ესე იტყევოდა მხოლოდ იმისთვის, რომ საშუალება ჰქონოდა, სპიკერად აერჩია სასურველი პირი. ეს მეტად საჭირო იყო მეფისათვის, რადგან სპიკერს დიდი უფლებები ჰქონდა პარლამენტში; მას შეეძლო პალატის წევრისათვის სიტყვას თქმის ნება მიეცა, მას შეეძლო მოლაპარაკებასათვის სიტყვა გაეწვევებინებინა, ან და სულაც აღეკრძალა მისთვის ღაპარაკი.

გენრიხ მეფემ და მისმა ყოველის შემძლებელმა მინისტრმა სწორედ იაე დაიმორჩილეს პარლამენტი, რომ სრულებით თავიანთ ქეიფზედ განაგებდნენ სამეფოს. ასეთ მორჩილ პარლამენტის დახმარებით გენრიხმა სრულიად მოხპო, თუ კიდევ სადმე იყო ინგლისში, ძველი ფეოდალური აზნაურობის ნაშთი; მიუხედავად სიცოტავისა, გენრიხს მაინც სახიფათოდ მიაჩნდა სახელოვან აზნაურების არსებობა, რადგან იგინი ეწინააღმდეგებოდნენ მეფეს და ცხადათ ჰკიცხავდნენ მის ყოფა-ქცევას. ზოგიერთი მათგანი სრულიად არ რაცხდა კანონიერად მეფედ დედოფლის გაყრას და მეფეს ინგლისის ეკლესიის თავად. ამიტომაც მეფე მათ პასუხის გებაში აძლევდა ლორდთა პალატის სამსჯავროში სრულიად უდანაშაულოდ. როგორც უდანაშაულონი, იგინი, თანხმად ჩვეულებრივი კანონისა, რასაკვირველია, უნდა გამართლებინათ, მაგრამ ლორდთა პალატა ძლიერ კარგათ იცოდა, რაც სწადდა მეფეს; ამიტომაც შემოიღეს ხმარებაში საშუალება, რომლის წყალობითაც სრულიად უდანაშაულო აზნაურებს სიკვდილით სჯიდნენ. აი რაში მღგომარეობდა ეს საშუალება: ლორდთა პალატაში შეჰქონდათ ბილლი ბრალდებულის ღალატის შესახებ. პალატა მიიღებდა ამ ბილლს



და ბრალდებული სიკვდილით დაისჯებოდა. საშუალებით ბევრი ცნობილი და დიდებული პირი დაიღუპა ინგლისში. მეფე კი ლორდებს უხვად ასაზღაურებდა სიკვდილით დასჯილების მამულ-ქონებით. ანტიკომაც ლორდები არ ერიდებოდნენ ლორდებისავე დასჯას. პარლამენტმა დახმარება აღმოუჩინა მეფეს მეორე ცოლი, ლამაზი ანნა ბოლლეინიც, თავიდან მოეშორებინა. ანნა მალე მოსწყინდა მეფეს. მას ბრალი დასდევს მეფის დაღატაკი; ელისაბედი, ანნას ქალიშვილი, უკანონო შვილად ჩარიცხეს, ისე როგორც მარიამის ქალიშვილი. მეფემ მესამე ცოლად შეირთო ანნა სეიმური. დიდ ხანს არც ამას უცხოვრია მეფესთან; ანნა სეიმურისაგან მეფეს დარჩა ძე ედუარდი, ტახტის მემკვიდრე.

მეფის გულის მოსაგებად პარლამენტმა დაადგინა: „მეფის საიდუმლო საბჭოს თანხობით გამოცემული ბრძანება უნდა ისეთნაირადვე იქნეს აღსრულებული, თითქოს იგი დადგენილი იყოს თვით პარლამენტისაგანო“, ამ ნაირად მეფის პირად ბრძანებას მიეცა კანონის ძალა, თუმცა მართალია იქვე დამატებული იყო: „მხოლოდ მაშინ, როცა ეს ბრძანება სასულიერო საქმეებს ეხებაო“.

საქმე იმაშია, რომ ბევრს ინგლისელს არ სურდა გენრიხი ინგლისის ეკლესიის თავად ყოფილიყო; არ სურდათ აგრეთვე აღეარებინა მეფისაგან დადგენილი სარწმუნოების ექვსი ახალი მუხლი. გენრიხს კი სწილდა მის ქვეშევრდომთ მანცა და მაინც მიეჩნიათ იგი ეკლესიის თავად და მიეღოთ აგრეთვე სარწმუნოების ახალი მუხლნი. მეფის ასეთ სურვილის წინააღმდეგთ სასტიკი სასჯელი მოელოდა და ხშირად სიკვდილითაც სჯიდნენ ხოლმე მათ. მაგალითად, ერთ კეთილ მორწმუნეობით განთქმულ მონასტრის ბერებმა უარპყვეს მეფე, როგორც მეთაური ეკლესიისა და მისი გაყრა დედოფალთან უკანონოთ სცნეს; ამის გამო შვიდობათგანი, და მათ შორის წინამძღვარიც, ჩამოახრჩეს; დანარჩენები კი დააბატონრეს. იმავე



მიზნის გამო სიკვდილით დასაჯეს მეფის ერთი მინისტრი და ერთი ეპისკოპოსთაგანი.

ინგლისს, დიდი ხანია აღარ ჰყოლოდა ისეთი ძლიერი მეფე, როგორც იყო გენრიხი თავისი მეუობის ბოლოს; სამღვდლო და საერო უფლება ყველა მისს ხელში იყო; მისს პირად ბრძანებას და განკარგულებას კანონის ძალა ჰქონდა. ის ავალებდა თავისს ქვეშევრდომთ, რა უნდა სწამებოდათ, როგორ უნდა შეესრულებინათ ღვთის მსახურება; პარლამენტი იმისი მორჩილი, გამგონე და დიდ პატივის მცემელი იყო. ასწავლებდნენ თუ არა პარლამენტში მეფის სახელს, იმ წამსვე ფეხზედ წამოდგებოდნენ პარლამენტის წევრნი და თავყანს სცემდნენ ცალიერ სამეფო ტახტს. გენრიხისვე დროს პირველად შემოვიდა ხმარებაში მოწოდება— „თქვენო დიდებულებავ“, ყველა მინისტრები და დაახლოვებულნი ათაჲნაირად იძაბდებდნენ თავს მეფის წინაშე. მეფის მოწყალება რომ არ დაეკარგათ, ისე უნდა მოქცეულიყვნენ, როგორც მას სურდა; თითო კრომველსაც კი არ შერჩა ბოლომდის გენრიხის მოწყალება. მეფეს გული გაუფრილდა თავისს მეგობარზედ; კრომველი კი მხოლოდ მეფით იყო ძლიერი და დიდებული; გარდა მეფისა ყველას სძულდა იგი, როგორც აზნაურობის, ისე სამღვდლოებას და უბრალო ხალხს. აზნაურობა და სამღვდლოება დიდი ხნიდგან ცდილობდნენ კრომველის დაღუპვას და ბოლოს კარგი შემთხვევაც მიეცათ. დედოფლის სიკვდილის შემდეგ კრომველმა გენრიხს შერთო ნემცის პრინცესა, ანა კლევესისა. პირველ ნახვაზედვე ანა საშინლად არ მოეწონა მეფეს და არ უნდოდა ჯვარი დაეწერა მასზედ. მაგრამ კრომველმა მაინც თავისი ჰქნა. კრომველს იმედი ჰქონდა, რომ ამ ქორწინებას ინგლისის და ნემცების სახელმწიფოების შეერთება მოჰყვებოდა, საუბედუროთ ეს ასე არ მოხდა და მეფეს ანა ლა შერჩა, რომელიც მას ძლიერ ეჯავრებოდა. გამაგებულმა გენრიხმა უბრძანა გერკოგ ნორფოლკს კრომველი დაეპატიმრებია. ნორფოლკმა მეფის ბრძანება სწორედ მაშინ

მოიყვანა სისრულეში, როცა კრომველი საბრძოლო საბჭოებზე სხდომაზედ იყო, სხდომის დროს ნორფოლკი მოულოდნელად წამოდგა და უთხრა კრომველს: „მე თქვენ გატყვევებთ, მოწყალეო ხელმწიფე, მეუღის ბრძანებით, ღალატის გამო“. ამ სიტყვების გაგონებაზედ კრომველმა გოაცებით დაიძაბა: „აი ჯილდოა ჩემი შრომისთვის; ნუ თუ მე მოღალატე ვარო!“ ამ ამბავს დიდის სიხარულით მიეგებნენ საიდუმლო საბჭოს წევრნი. კრომველი იმ წამსვე დარწმუნდა, რომ მას აღარაინ დაზოგავდა და სამუდამოდ დაღუპულად ჩათვალია თავი, მაშინ კრომველმა ითხოვა: „დაუჭარბეთ, ნუ დამტანჯავთ ციხეში ყოფნით და, თუ გსურთ გამასამართლოთ, გამასამართლეთ ბარემო“. შენ გავასამართლებენ იმ უსასტიკესი კანონების თანხმად, რომელნიც თვითონ შენ შექმენიო“, უპასუხა მას ნორფოლკმა. კრომველი დასაჯეს „ღალატის ბილლის“ მიხედვით. მას თავი მოჰყვეთეს, მის დასაჯას ხალხი დიდის აღტაცებით და სიხარულის კივირით მიეგება. ასე დაიღუპა მეფის მეორე საყვარელი მინისტრიც; რადგან ვერც ის დარჩა მეფის ყოველ წამს მსიამოვნებელი, თუმცა კრომველზედ დაპარაკობდნენ: „მას თვისი მეფე ისე უყვარდა, როგორც ღმერთიო“.

ასეთი იყო გენრიხი. მის თვითნებობას საზღვარი არა ჰქონდა; მან დაიმორჩილა პარლამენტი, აზნაურობა, სამღვდელთა, მან დასაჯა სიკვდილით ყველა, ვინც მის სურვილს და ნებას გაძაღიდა; მიუხედავად ამისა, ამ უქლიერეს მეფეს აზრათაც არ მოსვლია პარლამენტის გაუქმება, ხანდისხან მთელი წელიწადი ისე გაივლიდა, რომ პარლამენტს არ შეკრებდნენ ხოლმე; როგორც მაგალითად უოლისის დროს; ხან მეფე პარლამენტის ნება დაურთველად ავროვებდა ფულს; მაგრამ არასოდეს მას მუჭარა არ გამოუთქვამს, პარლამენტს აღარ შეეკრებო. პირ იქით, გენრიხი, თუ შეატყობდა, რომ პარლამენტი არ დაუთმობდა, თითონ უთმობდა ხოლმე მას; ესე მოიქცა იგი, მაგალითად, როცა მონასტრებზედ იყო დაპარაკი. ამ გვარადვე იქცეოდა იგი გადასახადების შესახებაც. გენრიხმა



არა ერთხელ დაარღვია როგორც მთელი პარლამენტი, ისე პარლამენტის თვითეული წევრის უფლებები, მაგრამ წყატილობდა რა, რომ პარლამენტი შედგრად იცავს თავისს და თავისს წევრთა უფლებებს, იგი უთმობდა პარლამენტს და მისს უფლებებს კანონიერად სცნობდა ხოლმე. მაგალითად, გენრიხის მეფობის პირველ ხანებშივე ერთმა ადგილობრივმა მსახულმა პასუხის გებაში მისცა სათემო პალატის წევრი იმ ბილლების გამო, რომელნიც მან პარლამენტში შეიტანა. სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ სცნო. სათემო პალატა გამოექცა თავისს წევრს და ორივე პალატამ მეფის თანხმობით, დაადგინა: „არც ერთს ბრალდებას, გადაწყვეტილებას, ჯარიმას ანუ სასჯელს, რომელიც მიესაჯება რომელიმე წევრს ახლანდელ ან მომავალ პარლამენტისას იმ ბილლების და განცხადებების გამო, რომელნიც მათგან შეტანილი ან წარმოთქმული იქნებიან პარლამენტში, ძალა არ ექნებათო“.

ერთხელ გენრიხის მეფობის ბოლოს, პარლამენტმა პასუხის გებაში მისცა ქალაქ ლონდონის ერთი შერიფი, პარლამენტის წევრის დაპატიმრების გამო. პარლამენტმა შერიფს ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა. ეს გადაწყვეტილება მეფემ ძლიერ მოიწონა და თანაც დასძინა, რომ მის საიდუმლო საბჭოს არა ჰქონდა უფლება პარლამენტის წევრის დაპატიმრებისაო.

ამგვარად გენრიხმა საქმით განამტკიცა პარლამენტის დეპუტატის პირადათ შეუსებლობის უფლება. ეს უფლება ფრიად დიდმნიშვნელოვანი უფლებაა. მართლაც, თუ ეს უფლება არ აქვს პარლამენტის წევრს, მეფეს და მის მინისტრებს ყოველთვის შეუძლიანთ, თავიდან მოცილონ ასეთი წევრი, თუ იგი მათთვის არა სასურველია. ესთქვით, მეფეს და მის მინისტრებს პარლამენტის რომელიმე წევრი საფრთხილო კაცათ მიიჩნიათ; მას შეუძლია პარლამენტში მეფის წინააღმდეგ ილაპარაკოს, შეუძლია ამ ლაპარაკით სხვებიც გაიტაცოს. ეს რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა ასეთი წევრი პარლამენტიდან გაძევებული იქნას. მაგრამ რა ნაირად შეიძლება ეს? რასაკვირვე-



ლია ბევრ ნაირად შეიძლება ამის მოხერხებამ იმხელად აღვილი რაა, რომ პარლამენტის წევრს დასდევან ბრალი თამელიმე დანაშაულობაში, დაიჭირონ, დააპატიმრონ და დასტოვონ ასეთ მდგომარეობაში, სანამ პარლამენტი დაიშლებაოღეს. დაიშლება თუ არა პარლამენტი, შეუძლიათ გაანთავისუფლოთ პატიმარი და გამოაცხადოთ, რომ „დაპატიმრება შეცდომით მოხდა ან და არ აღმოჩნდა მის წინააღმდეგ საკმაო საბუთებიო“. ხოლო როდესაც „დებუტატის პიროვნება შეუხებელია“, მაშინ არც მეფეს და არც მის მინისტრებს ნება არა აქვსთ დაიჭირონ იგი.

მაგრამ პარლამენტის წევრსაც, რა თქმა უნდა, შეუძლია დანაშაულობა ჩადინოს. როგორ უნდა მოექცენ მას ამ შემთხვევაში? მართლა და, იმისათვის ხომ ვერ ეპატიება მას დანაშაული, რომ იგი პარლამენტის წევრია? რასაკვირველია არა, მაგრამ პარლამენტის წევრი რომ დაპატიმრებულ და პასუხის გებაში იქნეს მიცემული, ამისათვის საჭიროა თანხმობა თვითონ პალატისა.

კრომველის დასჯის შემდეგ გენრიხმა შეიღი წელი იტოვებდა. ვარდაიცვალა იგი ათას ხუთას ორმოცდა შეიღ წელს. თუმცა გენრიხს ექვსი ცოლი ჰყანდა, მაგრამ მხოლოდ სამი შეიღი დარჩა: მცირე წლოვანი ედუარდი და ქალიშვილები მარიამ და ელისაბედი.



თ ა შ ი V

ინგლისი დედოფალ ელისაბედის დროს.

§ 1.

მეფე ელუარდ მეექვსე.—პროტესტანტები და პროტესტანტული სარწმუნოება ინგლისში.—როგორ სდევნიდნენ კათოლიკებს.—ხალხის უკმაყოფილება ახალი სარწმუნოების გამო.—ედუარდის სიკვდილი.—დედოფალი მარიამ—მოხსიხლე.—კათოლიკური სარწმუნოების აღდგენა მარიაამის მიერ ინგლისში.—როგორ აღიარა მან ეკლესიის თავად ისევე პაპი.—პარლამენტი მარიაამის დროს.—ფილიპე მეორე ისპანელი.—ღვინა პროტესტანტებთან.—ხალხის სამძელვარე მარიაამისადმი.—მარიაამის სიკვდილი.

ედუარდ მეექვსე, გენრიხ მერვეს ძე, სულ ცხრა წლისა იყო, როდესაც ტახტზედ ავიდა. მისი მცირე წლოვანების დროს სახელმწიფოს, მეფის ბიძა გერცოვ სომერსეტი განაგებდა. სომერსეტი იძულებული იყო პარლამენტთან კარგ განწყობილებაში ყოფილიყო. ამიტომაც მან მაგალითად, გააუქმა პარლამენტის დადგენილება, რომლის გამო მეფის პირად ბრძანებას კანონის ძალა ეძლეოდა.

ედუარდ მეექვსემ სულ ექვსი წელი იმეფა, მაგრამ ეს ექვსი წელი არასოდეს არ დაავიწყდება ინლისელებს: ამ ხნის განმავლობაში სომერსეტმა მეფის სახელით რანოდენიმე ახალი და მნიშვნელოვანი საეკლესიო რეფორმა შემოიღო. გაიხსენოთ, რომ გენრიხ მერვე, რომელმაც ინგლისში რეფორმების შემოღებას მიჰყო ხელი და უარ ჰყო პაპი, როგორც ეკლესიის თავი, სრულიად არ შეხებია არც კათოლიკურ ეკლესი-



ის მოძღვრებას, არც ღვთის მსახურებას და არც მის წეს-რიგში მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნეში ვიკლევი და მისი მოწაფე ლოლლარდები ჰქადაგებდნენ: კათოლიკური ეკლესიის სწავლა და მრავალი მისი წესი სრულიად ფუჭიაო. ლოლლარდებს სდევნიდნენ, მაგრამ მოსპობით კი ვერ მოსპეს იგინი. მეთექვსმეტე საუკუნეში, ტიუდორების დროს ლოლლარდებს თანამოაზრენი ბევრნი ყავდათ. ესენიც სწორედ იმავე აზრისა იყვნენ კათოლიკური სარწმუნოების შესახებ, როგორც ლოლლარდები, მხოლოდ ამ დროს მათ ლოლლარდების მაგიერ პროტესტანტებს უწოდებდნენ. პროტესტანტებს ძლიერ მოსწონდათ გენრიხის შიერ პაპის უარის ყოფა და მონასტრების გაუქმება, მაგრამ იგინი გარდა ამისა საჭიროდ სთვლიდნენ თვითონ კათოლიკური სარწმუნოების და ღვთის მსახურების შეცვლააც.

პროტესტანტები ამბობდნენ: ეკლესია გვასწავლის იმას, რაც არ არის სამღვთო წერილში; ამიტომაც მისი სწავლა სიცრუეა; უნდა გვწამდეს ის, რაც სამღვთო წერილშია. ქრისტემ დაადგინა მხოლოდ ორი საიდუმლო, ნათელა და ზიარება, ასე რომ საიდუმლო ორია და არა შვიდი, როგორც კათოლიკური ეკლესია გვასწავლის. სამღვთო წერილებში სრულიადაც არ არის ნათქვამი, რომ პური და ღვინო ქრისტეს სისხლად და ხორცად იქცევა; ამიტომ პური და ღვინო პურად და ღვინოდ რჩება. იესო ქრისტემ თვისი მოწაფეები სერობას ღვინით და პურით აზიარა და ყოველი მორწმუნეც პურით და ღვინით უნდა ეზიაროსო. კათოლიკური ეკლესია კი იმ მოძღვრებას ადგა, რომ ერის კაცი მარტო პურით უნდა ეზიაროს, ხოლო სამღვდელო—პურითაც და ღვინითაც. პროტესტანტები ამბობდნენ; რომ კაცს მისი სარწმუნოება შველის და არა საეკლესიო წესების ასრულება და სხვისი ლოცვა-კურთხევა. ამიტომაც სრულიად საჭირო არ არის მარხვის შენახვა, მიცვალებულებისათვის ლოცვა, საიდუმლო აღსარება, ათასნაირი სამკაულ-მორთულობა წირვა-ლოცვის დროს. საღმრთო

წერილშიც არ არის წმინდანების ხსენება, ამიტომაც არის საჭირო მათი თაყვანისცემა და მათზედ ლოცვა. არ არის აგრეთვე საჭირო ხატების და სხვა სურათების თაყვანისცემა, რადგან ეს კერპთ-თაყვანისმცემლობაა, სხვა არაფერი. ქრისტიანობის პირველ საუკუნეში არაერთადი განსხვავება არ იყო ერისკაცსა და სამღვდელთა პირთა შორის; მაშინ ვისაც შეეძლო, ის ქადაგებდა ქრისტეს სწავლა-მოძღვრებას; სამღვდელოება არ იყო დაყოფილი ეპისკოპოსებად, მღვდლებად და დიაკვნებად; არ იყო აგრეთვე ეკკლესიის თავი, რომის პაპი; ეკკლესიის თავი არის ქრისტე და არა პაპი. სამღვდელოება ასეთწარად დაყოფილი არ უნდა იყოს; სრულიად საქმონი არიან მხოლოდ მღვდლები-ღვთაებრივი სიტყვის მქადაგებელნი; გარდა ამისა მღვდლები უნდა იყვნენ ამორჩეულნი ღირსეულ პირთა შორის და არა დანიშნულნი. ამ რას თხოულობდნენ და ქადაგებდნენ პროტესტანტები.

გერცოგ სამერსეტს ძლიერ მოსწონდა პროტესტანტების სწავლა; ის სიამოვნებით ისმენდა, რასაც ესაუბრებოდნენ მას პროტესტანტები; ბოლოს გერცოგმა გადასწყვიტა კათოლიკური სარწმუნოებისა და ლათინ-მსახურების მადიერ პროტესტანტულის შემოღება ინგლისში. ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან საქმეში გერცოგს ხელს უწყობდა კენტერბერის არსიეპისკოპოსი, კრანმერი, რომელიც თვითონ პროტესტანტი იყო.

ჯერ სამღვდელთა კრებამ და შენდევ პარლიამენტმა სარწმუნოების შვიდი მუხლი, რომლებიც გენრიხ მერვეს დროს იყვნენ დადგენილი—გააუქმა, შემოიღო პროტესტანტული სარწმუნოება და ახალი პროტესტანტული სიმბოლო სარწმუნოებისა და ახალი პროტესტანტული ეკკლესია დააფუძნა ინგლისში. ამ ეკკლესიას უწოდეს ანგლიკანური ეკკლესია. ანგლიკანურ პროტესტანტურ ეკკლესიას კათოლიკური სარწმუნოებისათვის მთლად უარი არ უყვია, თუმცა არც პროტესტანტული სარწმუნოება მიუღია სიყვებით. მან ზოგი-რამ კათოლიკური სარწმუნოებიდგან უცვლელი დასტოვა, ზოგი-რამ



კი პროტესტანტულიდგან შეითვისა, მაგალითად, ხელნაწილებად დასტოვა სწავლა, რომლის თანხმად პური და ღვინო ქრისტეს ჭეშმარიტ სისხლ-ხორცათ იქცევა; პროტესტანტები კი ამას უარსა ყოფდნენ; მან დაიკვა ეკლესიის თავი, მხოლოდ ასეთ თავად პაპის მაგიერ ინგლისის მეფე სცნო: მან დაარჩინა აგრეთვე ეპისკოპოზები, პროტესტანტებს კი ეპისკოპოზები საჭიროდ არ მიაჩნდათ; ამიტომაც ანგლიკანურ ეკლესიას სხვებზე ეპისკოპალური ეკლესია ეწოდება. მღვდლები, როგორც წინეთ უნდა დანიშნულიყვნენ ხოლომე და არა ამორჩეულიყვნენ; ამ შეხედულობისა იყვნენ პროტესტანტები; ანგლიკანურმა ეკლესიამ შემოინახა აგრეთვე სხვა მრავალი წესები კათოლიკური ეკლესიისა, მაგალითად, შეიღ საიდუმლოთა შორის მან მიიღო ორი, დანარჩენი ხუთი დასტოვა, როგორც სამღვდელ-მოქმედო წესი და არა როგორც საიდუმლონი.

მეფემ, როგორც ეკლესიის თავმა, ბრძანება გასცა, რომ მის ჭეშმევრდომთ ახალი სარწმუნოება აღედარბინათ. ახალი სარწმუნოების ქადაგება და გავრცელება მღვდლებს და სკოლის მასწავლებლებს დაავალეს. ახლა კათოლიკებს ეპყრობოდნენ როგორც ერეტიკებს: ისე სდევნიდნენ მათ, როგორც წინეთ ლოლდობდნენ. ეპისკოპოსთა შორის მხოლოდ ოთხს არ უღალატნია ძველი სარწმუნოებისათვის; ოთხივე ეს ეპისკოპოსნი ლონდონის კოშკში დააპატიმრეს. მაგრამ ინგლისში პროტესტანტების რიცხვი ჯერ კიდევ ძლიერ მცირედი იყო. ხალხის უმეტესი ნაწილი კათოლიკენი იყვნენ და შემდეგშია კათოლიკებად დარჩნენ; ამიტომაც ხალხი ეკლესიის საქმეში მომხდარ ცვლილებით და აგრეთვე კათოლიკების დევნით მეტად უკმაყოფილო იყო. შეამბოხებებს წარმოუდგენელ სისასტიკით სჯიდნენ და მეთაურებს კი სიკვდილით, ხოლო მათ ქონებას ხაზინა ისაკუთრებდა და მათი ოჯახის წევრნი კი მათხოვრებად მიდიოდნენ; ზოგს სამუდამოდ აპატიმრებდნენ და მთელ სიცოცხლეს ციხეში ატარებინებდნენ. აქ სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ იმ დროს არა მარტო ინგლისში, არამედ ევ-



როპის სხვა ყველა სახელმწიფოებშიაც შეუბრალდებელი და სა-
შინელი ბრძოლა იყო კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შო-
რის. ზოგ მეფეს კათოლიკების მხარე ეჭირა და პროტესტან-
ტებს სდევნიდა თავისსავე სახელმწიფოში, ზოგნი კი პრო-
ტესტანტების მომხრენი იყვნენ და კათოლიკეებს სდევნიდნენ.

ინგლისში პროტესტანტურმა სარწმუნოებამ ვერ გასტანა
დიდხანს. ედუარდ მეექვსე გარდაიცვალა ათას ხუთას სამს წ.
და მის ნაცვლად ტახტზედ ავიდა გენრი მერვეს ქალი — მა-
რიამი. მარიამი უკიდურესი კათოლიკე იყო; დაჯდა თუ არა
დედოფლათ მარიამი, მან იმ წამსვე ბრძანება გასცა, მის ქვე-
შევრდომთ ხელახლად კათოლიკური სარწმუნოება მიეღოთ.
კათოლიკური წირვა-ლოცვის მოსმენა, კათოლიკური ეკლეს-
იის წესების ხელახლად შემოღება და ასრულება ყველასათვის
სავალდებულო შეიქნა; ახალი ლოცვანის ხმარება აღკრძალეს,
კენტურბერის არსიევისკოპოზი დაატყუალეს. ინგლისში პრო-
ტესტანტური სარწმუნოების მოსპობის გარდა მარიამს სურდა
ინგლისის ეკლესია ისევ პაპისთვის დაენორჩილებინა, მოანს-
ტრები აღედგინა და მათთვის დაებრუნებინა მათი ქონება. მა-
რიამმა კარგად იცოდა, თუ რა ძნელი იყო ასეთი სურვილის
განხორციელება; ამიტომაც იგი ინგლისის გარეშე ეძიებდა
თანაგრძნობას და დახმარებას. ამ მიზნით მან განიზრახა ისპა-
ნიის მეფის, ფილიპე მეორის, ქმრად შერთვა. ფილიპე მთელ
ევროპაში უძლიერესი ხელმწიფე და მასთან უკიდურესი კა-
თოლიკე და პროტესტანტების თავგამოდებული მდევნელი
იყო. მას ეკუთვნოდა საუკეთესო ნაწილი იტალიისა, ისპანია
და მდიდარი ნიდერლანდი; მას ჰქონდა აგრეთვე უმდიდრესი
სამფლობელოები ამერიკაში; ასე რომ მაშინ ამბობდნენ: „ფი-
ლიპეს სახელმწიფოში მზე არ ჩადისო“, (როცა ევროპაში
დღეა, მაშინ ამერიკაში ღამეა). ინგლისში შეტად წინააღმდეგი
იყვნენ მარიამის სურვილისა, განსაკუთრებით პროტესტანტებს
არ სურდათ მარიამის და ფილიპეს შეუღლება. ბევრი ურჩიეს
მარიამს, ფილიპეს არ მისთხოვებოდა, მაგრამ ამაოდ; მან დაი-

თანხმა პარლამენტი და დაქორწინდა ფილიპეზედ. ქორწინების შემდეგ მარიამი პავს მოელაპარაკა; პავს ინგლისში თავისი კაცი წარგზავნა. დედოფალმა მარიამმა პარლამენტი შეკრიბა, შერიყვებს ნაბრძანები ჰქონდათ, „დებუტატებთან ნამდვილი კათოლიკური სარწმუნოების მიმდევარი“ პირნი გამოეგზავნათ. პავს კაცი პარლამენტში გამოაცხადდა; პარლამენტის წევრებმა მუხლი მოიდრკეს მის წინაშე და მოწინააღმდეგე შეინანეს თავიანთი დიდი ცოდვა—პავს უარის ყოფა. პავსაგან წარმოგზავნილმა კაცმა პავს სახელით სავსებით აპატივა მათ შეკოდება. ამნაირად პავს ისევ შეიქნა ინგლისის ეკლესიის თავად. შაგრამ ფილიპე კი, როგორც მარიამის მემკვიდრე, პარლამენტმა უარ-ჰყო. რაც შეეხება იმას, რომ ვითომც მონასტრები განეახლებიათ და უკანვე დაებრუნებიათ მათთვის გენრიხისაგან ჩამორთმეული მამულები, პარლამენტმა ამაზედ სრული უარი განაცხადა. სცნეს თუ არა ისევ პავს ინგლისის ეკლესიის თავად, ხელ-ახლად შემოიღეს კათოლიკური სარწმუნოება და მარიამიც შეუდგა პროტესტანტების დევნას. დასწვეს რამდენიმე ეპისკოპოზი, რომელთა შორის არხიეპისკოპოზი კრანმერი, ინგლისის ეკლესიის პრიმასიც მოჰყვა, თუმცა კრანმერი, თვით პავსაგან იყო დანიშნული და ნეტარი ავგუსტინეს და თამა ბეკეტის მოადგილედ ითვლებოდა. დედოფალს საშინლად სძულდა არხიეპისკოპოზი ჯერ იმისთვის, რომ იგი პროტესტანტი იყო, მეორედ მისთვის, რომ კრანმერმა იგი გენრიხის კანონიერ შვილად არ სცნო და ედუარდის დროს ცდილობდა, მისთვის ტახტის მემკვიდრეობა წაერთმია. კრანმერი არ იყო მტკიცე ხასიათის და სულ მაღალი კაცი. შეიტყო თუ არა, რაც მოელოდა, სულით დაეცა იგი; მას შიოლოდ დედოფლისაგან პატიების იმედი-ლა ჰქონდა, თუ რომ თვის სარწმუნოებას უარსა ჰყოფდა, და სწორედ ასეც მოიქცა. კრანმერი ვალუდგა თავის სარწმუნოებას, შაგრამ ამანაც ვერა უშველა—რა მას, როდესაც კრანმერი შიხვდა, რომ მას აღიარა ეშველებოდა—რა, მოიკრიბა მთელი თავისი გამბედაობა და ფე-

კაცობა, რომ ღირსეულად მომკვდარიყო. დადგინდასხული
 დღე. სახამ დასჯილდენ, არხიებისკოპოზი ეკლესიაში წაიყვანეს
 და მოსახოვეს, რომ ხალხის წინაშე უარ ეყო თავისი სარწ-
 მუნოება. ამის მაგივრად არხიებისკოპოზმა სთქვა:

„მე აქ უნდა წარმოვსთქვა ის, რაც ყველაფერზედ უფ-
 რო ქენჯნის ჩემს სინილისს. ყველაზედ უარესი, რაც კი რამ
 ჩამიდენია ჩემს სიკაცხლეში, ეს ჩემი უკანასკნელ დროის
 ნაწერებია ქვეშარიტების წინააღმდეგ. ყოველივე ეს მე დავ-
 წერე ჩემი სისუსტის გამო; დავსწერე მისთვის, რომ სიკვდი-
 ლის მეშინოდა და მინდოდა მეხსნა თავი განსაცდელისაგან.
 იმ დამ ხელმა დასწერა ეს და იგი უნდა დაიწვას პირველადო“.

მეტი აღარ აცალეს მას. პირველად არხიებისკოპოზმა ხე-
 ლი დასდო ცეცხლზედ და სთქვა: „აი დამნაშავე, ჯერ იგი
 უნდა დაიღუპოსო“ ისე დაიწვა. კრანშერი, რომ სიტყვაც არ
 ამოუღია.

კრანშერის სიკვდილმა ყველას ცხადად დაანახვა, რომ
 პროტესტანტებს აღარავინ შეიბრალებდა; მართლაც იმ დროს
 ორას ოთხმოცდა ოთხი კაცი დასწვეს, მათ შორის სამოცი
 ქალი და ბავშვი და სამი ათას მღვდელს მათი აღვილები ჩა-
 მოართვეს.

თუმცა დედოფალი ასე სასტიკად სდევნიდა, სტანჯავდა
 და სჯიდა პროტესტანტებს, მაგრამ მათი მოსპობა მაინც ვერ
 შესძლო. პირიქით, თვითეულ სარწმუნოებისათვის წამებულს
 ყოველთვის ახალ-ახალი მიმდევარნი და მიმბაძენი აღმოუჩნ-
 დებოდნენ ხოლმე. მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში,
 ორი ათასმა უკიდურესმა კათოლიკემ და პაპის მომხრემ პრო-
 ტესტანტობა მიიღო.

ბოლოს თვით ეპისკოპოსებიც დაიღალნენ და მოიქანც-
 ნენ; მათაც მოგებრდათ ეს საშინელი დევნა, ტანჯვა, წვა და
 გლეჯა პროტესტანტებისა. დარწმუნდა-რა ფილიბე, რომ ინგ-
 ლისში კათოლიკური სარწმუნოება ფეხს ვერ მოიკიდებდა,
 დასტოვა ეს ქვეყანა, თუმცა მარიაში ძლიერ ევედრებოდა მას



დარჩენილიყო. ერთად-ერთი მარიამი-ლა დარსა, — მარიამისა და მოსწყენოდა სისხლის ღვრა და პროტესტანტების ელცა.

ხალხი აღარ მალავდა პროტესტანტებისადმი სიბრალულს და თავისს დედოფალს, „მარიამ მოსისაღეს“ უწოდებდა. ამის თან მოჰყვა ახალი უბედურება—საშინელი შიმშილობა და ომი საფრანგეთთან. ეს ომი ინგლისელებისათვის შეტად საზარალო შეიქნა. ომის დაწყებისთანავე ფრანგებმა მათ კალე წაართვეს. ამან კიდევ უფრო გააძლიერა ხალხში მარიამისადმი სიძულვილი და ის იყო მოთმინებიდგან გამოსული ხალხი ამბოხებას აპირებდა, რომ მარიამი უეცრად გარდაიცვალა ზე ტახტზედ ავიდა ელისაბედი. ეს მოხდა ათას ხუთას ორმოცდა რვა წელს. ხალხი აღტაცებით მიეგება ინგლისის ახალ დედოფალს.

§ 2.

დედოფალი ელისაბედი.—კათოლიკები და პროტესტანტები ინგლისში.— ელისაბედის ღმობიერება სარწმუნოების საქმეში.—ელისაბედს ხელ-ახლა შემოაქვს ინგლისში პროტესტანტული სარწმუნოება.—კანონი „უაღრესობის“ შესახებ.—კანონი სარწმუნოების „ერთგვარობის“ შესახებ.—პროტესტანტული ეკლესიის წყობილება.—ინგლისი, ეს კათოლიკეთა მხარე, როგორ გარდაიქცა პროტესტანტთა მხარედ.—ამის მიზეზი.—დაბადება.

ელისაბედი ოცდახუთის წლის იყო, როცა ტახტზედ ავიდა. მისმა მეფობამ თითქმის ორმოც-და-ათი წელი გასტანა, სახელდობრ ათას ხუთას ორმოც-და თვრამეტი წლიდგან—ათას ექვსას ხუთ წლამდე. ელისაბედი დიდად გონიერი, ცბიერი და ხერხიანი ქალი იყო; მისთან იგი იყო მედიდური, ამბარტყანი, პატივის-მოყვარე და თავის ნების აღამიანი; გარდა ამისა მას ჰქონდა შესანიშნავი ღნარი კაცის ცნობის და ამორჩევისა. არასოდეს ინგლისში იმდენი შესანიშნავი მინისტრი არ ყოფილა, რამდენიც ელისაბედის დროს; ღირსეულნი პირნი, რასაკვირველია, ყოველ სახელმწიფოში მოიძებნებოდა, მაგრამ, რათ გინდათ, თუ რომ მათ ვხვას არ მისცემენ!



მეტად ცუდ ყოფაში იყო ინგლისი, რთველითადად ტახტზედ ავიდა. მთელი ინგლისის ხალხი გაყოფილი იყო კათოლიკებათ და პროტესტანტებათ. უკანასკნელ ათის წლის განმავლობაში ინგლისელები იძულებული იყვნენ ორჯერ გამოეცვალათ სარწმუნოება. ედუარდ მეექვსის ბრძანებით ყველა ინგლისელი პროტესტანტი უნდა გამხდარიყო, კათოლიკენი კი უნდა ედევნათ. გარდაცვალა ედუარდი და „მარიამ მოსისხლემ“ პროტესტანტებს დაუწყო დევნა; მან ბრძანება გასცა, რომ ყველანი კათოლიკენი გამხდარიყვნენ. კათოლიკებს და პროტესტანტებს საშინლად სძულდათ ერთმანეთი. შეუწყვეტელმა დევნამ ორივე მხარე ერთი შეორეხედ ააშხედრა. ელისაბედის უპირველესი საქმე ეკლესიის მოწყობა შეიქნა. თერთან ელისაბედი პროტესტანტური სარწმუნოებისა იყო, მაგრამ მით განირჩეოდა იგი თვისს თანამედროვეთაგან, რომ სარწმუნოების საქმეში თვის ქვეშევრდომთ თავისუფლებას აძლევდა. იგი იმ აზრისა იყო, რომ სარწმუნოების გამო ვისიმე დევნა უსამართლოებაა, რომ სარწმუნოება თვითეულის სინიღისს საქმეა; მაგრამ იმასაც კი ფიქრობდა იგი, რომ მთელ სახელმწიფოში მხოლოდ ერთი სარწმუნოება და ერთი ეკლესია უნდა ყოფილიყო; ასე ფიქრობდა ელისაბედი, ასევე ფიქრობდნენ ყველანი ელისაბედის დროს, რადგან მას შემდეგ, რაც ინგლისელები გაქრისტიანდნენ, ინგლისში მხოლოდ ერთი სარწმუნოება იყო და ამას ყველანი მიჩვეულნი იყვნენ. ორი სარწმუნოების არსებობა ერთ სახელმწიფოში შეუძლებლად მიიჩნდათ მაშინ არა მარტო ინგლისში, არამედ მთელ ევროპაშიც, და აზრათაც არავის მოხდიოდა, რომ ადვილად შესაძლოა პროტესტანტული და კათოლიკური სარწმუნოების ერთსა და იმავე საზოგადოებაში მოთავსება, რომ ერთის არსებობა მეორეს არას დაუშავებს.

— მე ისე უნდა მოვიქცე, როგორც მოიქცა მამაჩემიო, მუდამ იმეორებდა ელისაბედი და მართლაც მან უარყო პაპის მეთაურობა. ელისაბედის მეფობის პირველ წელსვე პარლამენ-

§ 3.

დევნა კათოლიკებისა. — რა იყო ამ დევნის მიზეზი. — კათოლიკების შეთქმულება და ხრიკები ელისაბედის წინააღმდეგ. — შოტლანდიის დედოფალი მარიამ სტიუარტი. — როგორ ცდილობდა იგი ინგლისის სამეფო ტახტი დაერჩინა. — კანონი ფიცის შესახებ. — პროტესტანტთა პარლამენტი. — მარიამ სტიუარტი ტყვეობის დროს. — კათოლიკეთა მღვდლები და მჭადაგებულნი ინგლისში. — სასტიკი კანონები მათ წინააღმდეგ. — მარიამ სტიუარტის სიკვდილით დასჯა. — რძი ფილიპე მეორე ისპანელთან. — „უძლველი არმადის“ დამარცხება. — მეორე რძი. — მეორე არმადის დაღუპვა.

ელისაბედს ბოლომდე არ შერჩენია ღმობიერება სარწმუნოების საქმეში. თავისს მეფობის მეორე ნახევარში იგი სასტიკად სდევნიდა კათოლიკებს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ელისაბედი იძულებული შეიქნა კათოლიკების წინააღმდეგ დაეფარა თავისი თავიც და თავისი ხალხიც. საქმე იმაშია, რომ კათოლიკები მეტად უკმაყოფილონი იყვნენ ელისაბედის მიერ ინგლისში პროტესტანტურ სარწმუნოების შემოღებით და პროტესტანტურ ეკლესიის დამყარებით. მართალია, ელისაბედი არ სდევნიდა კათოლიკებს მათი სარწმუნოებისათვის, მაგრამ იმას კი თხოულობდა, რომ კათოლიკებს ეკლესიის თავად ეცნოთ იგი და მისგან დამყარებული ეკლესია კანონიერად მიეჩინათ. ნამდვილი კათოლიკენი უარზედ იდგნენ. თავიანთი სარწმუნოების თანახმად, მათ ეკლესიის თავად პაპი მიიჩნდათ და არა დედოფალი. ამისთან მათ სინიდისი ნებას არ აძლევდა, გულში კათოლიკენი ყოფილიყვნენ და სიტყვით კი პროტესტანტობა დაეჩემებინათ. ამიტომაც კათოლიკენი მუდამ იმაზედ ოცნებობდნენ, თუ როგორ დაეღწიათ თავი ელისაბედისაგან და მის მაგიერ ინგლისის ტახტზედ დაესვათ შოტლანდიის დედოფალი, მარიამ სტიუარტი, სარწმუნოებით კათოლიკე. მარიამ სტიუარტი გენრიხ მერვეს მახლობელი ნათესავი იყო და ელისაბედის შემდეგ, მისი აზრით, ინგლისის ტახტი მას უნდა დაეშვიდრებინა. მარიამი კიდევაც უწოდებდა თავს ინგლისის

ტახტის მემკვიდრეთ და ელისაბედისა და პარლამენტის საგანგებო
თხოულობდა, რომ მათაც ეცნოთ იგი მემკვიდრეთ.

„მე იმდენათ სულელი არა ვარ, რომ ჩემი ხელით ჩემივე
სულარა შევიკეროვა“, უბასუხებდა მარიამს ელისაბედი. ელი-
საბედი ჯარზედ იდგა, მარიამი მემკვიდრეთ ეცნო, რადგან
ფშინოდა ვინმე კათოლიკეთაგანს არ მოეკლა იგი, რომ მით მა-
რიამისათვის ტახტი განთავისუფლებულიყო. ამასთან მას პრო-
ტესტანტების უკმაყოფილებასაც ეშინოდა. მარიამ მაინც თა-
ვისას არ იშლიდა. მან მეორედ სთხოვა პარლამენტს, ინგლისის
ტახტის მემკვიდრეობაზე მომანიჭეო. ელისაბედისათვის დიდი მნი-
შვნელობა ჰქონდა, რომ პარლამენტი მისკენ ყოფილიყო და
მარიამის წინააღმდეგ ემოქმედნა; ამისათვის საჭირო იყო პარლა-
მენტი შემდგარიყო პროტესტანტებისაგან. ამიტომაც, თანხმად
დედოფლის სურვილისა, გამოსცეს „კანონი ყიციის შესახებ“. ამ
კანონის ძალით თითოეული წევრი პარლამენტისა და აგრეთვე
ყოველი მოხელე ვალდებული იყო ფიცი დაედება, რომ იგაბაძის
წინააღმდეგია, რომ მას დედოფალი მიაჩნია ინგლისის ეკლეს-
იის თავად და კანონიერად სცნობს არსებულ ანგლიკანურ
ეკლესიას.

ამ გზით შესდგა პროტესტანტთა პარლამენტი, რომელიც
იკავდა ელისაბედს მარიამ სტიუარტის წინააღმდეგ.

შემთხვევამ მოიტანა, რომ მარიამ სტიუარტი შოტლან-
დიიდან გაქცეულიყო, რადგან მას წინააღმდეგენ შოტლან-
დიელი პროტესტანტები, მარიამი ინგლისში გაიქცა და დახ-
მარება სთხოვა ელისაბედს. დახმარების მაგიერ ელისაბედმა
დააპტერინა იგი და, როგორც თავისი ტყვე, ციხეში ჩაასმევი-
ნა. ელისაბედმა არ იცოდა, როგორ და რით დაეპოლოვებინა
ეს საქმე. მარიამის განთავისუფლებაც და ინგლისში ტყვედ
ყოლიც ელისაბედს მეტად სახიფათოდ მიაჩნდა. ინგლისის კა-
თოლიკე-აზნაურებმა რამდენჯერმე სცადეს მარიამი გაენთავი-
სუფლებიათ და ტახტზედ დაესვათ იგი. ამ მიზნის მისაღწევად
მათ რამდენჯერმე შეთქმულობა ჰქონდათ და არეულობაც მო-



ახდინეს; ასე გასინჯეთ, ფილიპე მეორე ისპანიაში დასაშინებელი მით
 უწოდეს ლაშქრითაურთ. მაგრამ ყოველივე ეს დროზედ გამო
 ამქლავნეს და ელისაბედი გადარჩა; შეთქმულნი სასტიკად და-
 საჯეს; პროტესტანტული პარლამენტი ელისაბედს ესარჩლე-
 ბოდა; ახლად გამოცემული კანონის ძალით, „ვინც ელისაბე-
 დის სიკოცხლენი ინგლისის ტახტის დაქერის სურვილს გამო-
 აცხადებდა, იგი ელისაბედის მემკვიდრეობის უფლებას დაჰკა-
 რგავდა. ცხადია, ეს კანონი მარიამ სტიუარტის წინააღმდეგ
 იყო მიმართული. გარდა ამისა პარლამენტმა მიიღო ბილლი
 შეამზობე პირების განდევნის შესახებ. ამზობების მეთიურნი
 სიკვდილით დაისაჯნენ. თუმცა მათ ვერ მოახერხეს მარიამის
 ტახტზედ დასმა, მაგრამ სამაგიეროთ სხვა ჯომებს მიმართეს,
 რომ ინგლისში კათოლიკური სარწმუნოება გაეძლიერებინათ.
 კათოლიკები კარგად ხედავდნენ, თუ როგორ დღითი-დღე
 კლებულობდა მათი სამღვდლოების რიცხვი. ამიტომაც კათო-
 ლიკებმა დააფუძნეს ინგლისის გარეშე სემინარია. ამ სემინა-
 რიას უნდა მოემზადებინა სამღვდლო პირნი. რამოდენიმე პი-
 რი, შემდეგ ამ სემინარიის დასრულებისა, მოვიდა კიდევ ინ-
 გლისში და კათოლიკურ სარწმუნოების ქადაგებას შეუდგა;
 მალე მათ გარშემო დიდძალი ხალხი მოგროვდა და ბევრმა
 კათოლიკური სარწმუნოება მიიღო. ელისაბედი ფიქრობდა,
 რომ ეს მქადაგებლები პაპისაგან იყვნენ გამოგზავნილნი; პაპი
 კი ელისაბედის პირადე მტერი იყო და მას ინგლისის დედო-
 ფლად არ სთვლიდნ; პაპიმ ინგლისელებს დედოფლისადმი ფი-
 ცი ახადა. პროტესტანტული პარლამენტი კიდევ უფრო ემტე-
 რებოდა მქადაგებლებს, ვინემ თვით დედოფალი. ამიტომაც
 მქადაგებლების წინააღმდეგ გამოსცეს სასტიკი კანონი, რომ-
 ლის ძალითაც კათოლიკეთა მღვდლებს ინგლისში მოსვლა
 აღეკრძალათ; ხოლო ის, ვინც ხელს მოუწყობდა მათ ინგლი-
 სში შემოსვლის დროს, ან სახლში მიიღებდა, იგი სახელმწი-
 ფო მოღალატედ ჩაითვლებოდა. სახელმწიფო მოღალატედ ჩა-
 ირიცხებოდნენ აგრეთვე იგინიც, ვინც დედოფლის ქვეშევრ-



დომთ კათოლიკურ სარწმუნოებას მიაღებინებდნენ. პროტესტანტურ სარწმუნოებას დასტოვებდა და კათოლიკურს მიიღებდა. ელისაბედს დიდის შეუბრალებლობით და სისასტიკით მოჰყავდა სისრულეში ეს კანონი. ელისაბედის მეფობის უკანასკნელ ოცი წლის განმავლობაში ორასი კათოლიკეთა მღვდელი სიკვდილით დასაჯეს; ამაზედ კიდევ მეტი ციხეებში დაიხოცა.

ასეთმა ზომებმა კათოლიკები უწინდელზედ უფრო გააბოროტა. მათ საშინლად შეიძულეს ელისაბედი და მისი მოკვლა გადასწყვიტეს. მკირე ხნის განმავლობაში გამომეღაენდა რამოდენიმე შეთქმულება დედოფლის წინააღმდეგ. ბარლამენტმა არ იცოდა, რა საშუალება ეხმარა კათოლიკების წინააღმდეგ. ბევრი ფიქრობდა, რომ მარიამიც მონაწილე იყო ამ შეთქმულებისა; ამიტომაც ბარლამენტმა შემდეგი კანონი გამოსცა:

„ვისი შეკადინებოთაც აღდგებიან დედოფლის წინააღმდეგ მისი ქვეშევრდომნი, იგი უფლებას ჰქარგავს, დედოფლის შემკვიდრე შეიქნეს“.

ამ დროს დაბატვირებული მარიამი ციხეში იტანჯებოდა. მან სრულიად დაჰკარგა გამარჯვების იმედი, დამორჩილდა თავის ბედს და დაუწყა ელისაბედს ევდრება: „მომეციო ნება წავიდე აქედგან, დავსტოვო ეს კუნძული, მიესცე თავი გამმარტოებას და მოგემზადო სიკვდილთან შესაყრელად. ოღონდ აღმისრულეთ თხოვნა და წერილობით პირობას მოგცემ ჩემი მხრით და ჩემ შემკვიდრეთა მაგიერ, რომ უარს ვამბობ ინგლისის ტახტზედო“.

ელისაბედი უარზედ იდგა, იმედ-დაკარგულმა მარიამმა ძალაუნებურად მიიღო მონაწილეობა შეთქმულებაში ელისაბედის წინააღმდეგ, მაგრამ ეს შეთქმულებაც გამომეღაენდა და დამტკიცდა ცხადათ, რომ მარიამი მონაწილე და თანამგრძნობი იყო ამ შეთქმულებისა. მარიამი პასუხისგებაში მისცეს, გაასამართლეს და გამოუტხადეს, რომ იგი არ არის ღირსი

ინგლისის ტახტის მემკვიდრეობისა და დაისჯება სიკვდილით. დიდხანს ყოყმანობდა ელისაბედი; მან ვერ გადასწყვიტა სასამართლომ გადაწყვეტილების სისრულეში მოკვანა და მარიამის სიკვდილით დასჯა, თუმცა პარლამენტიც და მინისტრებიც ამას თხოულობდნენ. შემდეგ ხანგრძლივის თხოვნისა დედოფალმა ხელი მოაწერა სიკვდილით დასჯელის ოქმზედ. მარიამი სიკვდილით დასაჯეს. ის მედიდურად და აულელვებლად ავიდა ეშაფოტზედ და მამაცურად შეხვდა სიკვდილს.

„გარდაეკით ჩემს მეგობრებს, რომ მე მოკვდი, როგორც ნამდვილი კათოლიკე“. ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

მარიამი მოკვდა, მაგრამ თვისი უფლებები, როგორც ინგლისის ტახტის მემკვიდრე, მან გადასცა ფილიპე მეორეს — „მარიამ მოსისხლეს“ ქმარს. ფილიპეს ელისაბედის დიდი ხნის ჯავრი სჭირდა, რადგანაც ელისაბედმა დახმარება გაუწია ამბოხებულ პროტესტანტებს ნიდერლანდის სამეფოში, რომელიც ფილიპეს ეკუთვნოდა. ფილიპე შეუბრალვებლად სდევნიდა პროტესტანტებს ნიდერლანდში; მოთმინებიდგან გამოსული ნიდერლანდელები აჯანყდნენ; მათ მიეშველა ელისაბედი ლაშქრით და ფულით. ფილიპეს სურდა, სამაგიერო გადაეხადა ელისაბედისათვის, მაგრამ ჯერ ყოყმანში იყო. როდესაც დედოფალმა უკიდურესი სიმკაცრე გამოიჩინა ინგლისის კათოლიკების მიმართ და მარიამ სტიუარტიც მოჰკლა, მაშინ კი გაბრაზებული ფილიპე დიდი ფლოტის შეკრებას შეუდგა.

ამ ფლოტს სახელად ეწოდა „დაუძლეველი არმია“. მაგრამ ინგლისელებმა სძლიეს ეს უძლეველი არმია და უკუაქციეს. გზაზედაც ქარტეხილმა გაფანტა და დაღუპა უკუქცეული გემები. ფილიპე ამან კიდევ უფრო გააბრაზა. ათას ხუთას ოთხმოც-და შვიდ წელს იმან მეორე არმია გაგზავნა, მაგრამ ისიც ზღვაში დაიღუპა. იმის მაგიერ, რომ ელისაბედი-სათვის სამაგიერო გადაეხადა, ფილიპემ დაღუპა მთელი თავისი ფლოტი და საუკეთესო მეზღვაურნი. ინგლისელ კათოლიკებს დახმარების მაგიერ ფილიპემ ვნება მოუტანა. ინგლი-

სის წინააღმდეგ გამოლაშქრებით მან ცხადად დაჟინებით ინგლისის მტერი იყო. მართალია, თვითეული კათოლიკე მობარული უნდა ყოფილიყო, რომ კათოლიკეთა მეფემ, რომელიც მთელ ევროპაში კათოლიკურ სარწმუნოებას იცავდა, გამოილაშქრა პროტესტანტთა მხარის და პროტესტანტთა დედოფლის, ელისაბედის წინააღმდეგ, მაგრამ ვერცერთი კათოლიკე, რაგინდ უკიდურესი ყოფილიყო იგი, თვის სამშობლოს მტერს, როგორც იყო ფილიპე, გამარჯვებას ვერ უსურვებდა, ვერ ისურვებდა, რომ სხვა უცხოელს დაემარცხებია ინგლისელები და მათი დედოფალი. ძნელია ერთსა და იმავე დროს სარწმუნოებისა და სამშობლოს სიყვარულიც; ორში ერთი უნდა ამოერჩიათ.

§ 4.

პროტესტანტურ ანგლიკანურ ეკლესიის დაცვა.—პროტესტანტთა სექტები.—პრესვიტერიანები.—დამოუკიდებელი.—პურიტანები.—დეენა პურიტანებისა.—მაღალი კლასისა.—ნება დაურთველად წიგნების ბეჭდვის აღკვეთა.—საიდუმლო სტაჰბები.

ელისაბედი იძულებული იყო დაფუძნებული ანგლიკანური ეკლესია დაეცო არა მარტო კათოლიკებისაგან, არამედ ნამდვილ პროტესტანტებისაგანაც. ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ანგლიკანურ ეკლესიას პროტესტანტების სწავლა საყსებით არ მიუღია და მასთან მან შეირჩინა ზოგიერთი რამ კათოლიკური ეკლესიის სწავლა-მოდერებიდგანაც. ამიტომაც ზოგიერთ პროტესტანტმა უარჰყო ეს ეკლესია და მის მიერ დადგენილი მუხლები სარწმუნოებისა. ზოგიერთ მათგანს არა სურდა ეპისკოპოზები ჰყოლოდათ, რადგან მათის აზრით ეპისკოპოსნი „ეშმაკის მსახურნი“ იყვნენ; მათ საქიროდ მიიჩნდათ მხოლოდ მღვდლები; მღვდლებს სხვებრ ერქვათ პრესვიტერები; ამიტომაც ასეთ პროტესტანტებს უწოდეს პრესვიტერიანები. პრესვიტერიანები ამასაც ჰქადაგებდნენ: უმაღლესი სასუ-



ლიერო უფლებები და ძალი უნდა ჰქონდეს სამღვდელთა კრებებს და არა დედოფალს; სამღვდელთა კრებები უფრო მაღლა სდგანან, ვინემ მეფენი, ამიტომაც მეფენი უნდა ასრულებდნენ ამ კრებების დადგენილებებსო, ამბობდნენ იგინი.

ინგლისში იყვნენ აგრეთვე ისეთი პრესვიტერიანებიც, რომელნიც სრულიად უარსა ჰყოფდნენ არსებულს, დაფუძნებულ ეკლესიას და ამბობდნენ: „ყველა საეკლესიო თემს შეუძლიან, ისეთი სარწმუნოება იქონიოს და ისე ილოცოს, როგორც მას სურსო. ასეთ პროტესტანტებს უწოდებდნენ „დამოუკიდებლებს“.

გარდა პრესვიტერიანებისა და დამოუკიდებლებისა ინგლისში სხვაგვარი პროტესტანტებიც იყვნენ. ყველა იმ პროტესტანტებს, რომლებიც უარსა ჰყოფდნენ არსებულ ეკლესიას და სარწმუნოების მუხილებს, ეძახდნენ პურიტანებს. პურიტანები იყვნენ მტკად ღვთისნიერნი და კეთილმოწმუნენი, თვითვეული პურიტანი ცხოვრობდა ფრიად ზომიერად და უჩინრად. საქმიანობა, ღატოლივლება კეთილმოქმედებისადმი და ზრუნვა სულის სისპეტაკეზედ, აი რა შეადგენდა პურიტანების ღირსებას. იგინი იმდენს ჰფიქრობდნენ ზეციურ ცხოვრებაზედ, თითქოს მისიერი სრულიად აღიარა ახაოვდათ-რა; მათ დიდ ცოდვად მიაჩნდათ ქეფით და კაყოფილებით დროს გატარება. ყოველგვარ გართობას: ცეკვას, თეატრს, სიმღერას, მორთულობას — ზიზღით უცქეროდნენ პურიტანები; იგინი იცვამდნენ სულ უბრალოდ, შავი ფერის ტანისამოსს, ასე რომ მათ ყოველთვის იცნობდით გარეგნობითაც.

პურიტანების რიცხვი ინგლისში თან-და-თან მატულობდა. ელისაბედმა კარგად იცოდა, თუ რამდენად საშიშროანი იყვნენ პურიტანები ინგლისის არსებულ ეკლესიისათვის; ამიტომაც მან ისეთივე სისასტიკით დაუწყო დევნა მათ, როგორითაც კათოლიკებს სდევნიდა. „საიდუმლო საბჭოს“ ელისაბედმა ფრიად დიდი ახალი უფლებები მიანიჭა. საიდუმლო საბჭოს ოცდათორმეტმა წევრმა თორმეტი ეპისკოპოსის მონაწილე-



ობით შეადგინეს „სასულიერო სამსჯავრო“, რომელსაც ეწოდება და „წალალი კომისია“. ამ კომისიას უნდა გაესამართლებინა, ვინც უარს ჰყოფდა არსებულ ანგლიკანურ ეკლესიას. გარდა ამისა კომისიას უნდა მოეძებნა ერეტიკოსები და ფიც ქვეშ ეკითხა მათთვის კოველიფე, რითაც საეჭვონი იყვნენ იგინი. სჯულის მოღალატეებს სასტიკად სჯიდნენ; თვით ელისაბედის მინისტრები მეტად უკმაყოფილონი იყვნენ ამ კომისიის მსჯავრის დებით.

დევამ და სასჯელმა მიზანს ვერ მიაღწია: პურიტანების რიცხვი შეუქრებლად იზრდებოდა; ამას თან მოჰყვა მრავალი წიგნაკები, რომელშიაც დასცინოდნენ და ჰკიცხავდნენ ელისაბედს. დედოფალმა ასეთი წიგნაკების ბეჭდვა აღკრძალა.

მაგრამ ამითაც ვერას გახდნენ; შემდეგ საჭიროდ სცნეს თვალყური ედევნებინათ, რომ სრულიად არ დაებეჭდათ ასეთი წიგნები. ამიტონაც დაადგინეს, წიგნები მხოლოდ ლონდონში და უნივერსიტეტის ქალოქებში ებეჭდათ. ხელთ-ნაწერი უნდა უთუოთ წარედგინათ გასასინჯავად არხივისკომოზების ან ეპისკოპოზებისათვის და მხოლოდ მათი ნებართვით დაებეჭდათ; მაგრამ ვერც ამ ზომამ უშველა რა საქმეს. თავი იჩინეს საიდუმლო სტამბებმა, სადაც აღკრძალული წიგნები იბეჭდებოდა. აღმოაჩენდნენ თუ არა ასეთ სტამბებს, იმ წამსვე ხურავდნენ მათ, მაგრამ მათ მაგიერ სხვას აარსებდნენ. ასეთი ზომებით იცავდა ელისაბედი არსებულ ეპისკოპალურ ეკლესიას და დადგენილ მუხლებს სარწმუნოებისას,

§ 5.

ელისაბედი და პარლამენტი.—როგორ იქცეოდა პარლამენტი ელისაბედის დროს.—ლორდთა პალატა.—ვისგან შესდგებოდა სათემო პალატა.—არა აღგილობრივი კაცების არჩევა პარლამენტის დეპუტატებათ.—დეპუტატები დაბეჭდიდნენ.—ბრძოლა პარლამენტსა და დედოფლის შორის „სიტყვის თავისუფლების გამო“ პარლამენტში.—როგორ დაიბრუნა ხელ ახლა სათემო პალატამ თავისი ძველი უფლებები.—როგორ მოიპოვა სათემო პალატამ ახალი უფლება არჩევნების შემოწმებისა.—რით არი დრიად დიდ-მნიშვნელოვანი ეს უფლება.—დავა პარლამენტსა და ელისაბედს შორის დედოფლის ქორწინებისა და ტახტის მემკვიდრის გამო.—რატომ ვერ გათხოვდა ელისაბედი.—დავა პარლამენტთან სავაჭრო შეღავათზედ.—სავაჭრო შეღავათი და მისი მავნებლობა ხალხისათვის.—გაუქმება სავაჭრო შეღავათებისა.

ელისაბედს უნდოდა ისეთივე გამგე-მართველი ყოფილიყო ინგლისისა, როგორიც იყო გენრიხ მერჯე. ის თხოულობდა, რომ მის პირად ბრძანებას კანონის ძალა ჰქონოდა; ხშირად იგი პარლამენტის დაუკითხავად ახალ გადასახალს ადებდა ხალხს. მაგალითად, მან უპარლამენტოდ დაადვა ბაეი ტუბილ ღვინოს და ფაქიზ მაუდს. საიდუმლო საბჭოს მან დიდი უფლებები მიანიჭა. ამ საბჭოში ახლა გაცილებით მეტი წევრი იყო, ვინემ წინეთ. პარლამენტს კი ელისაბედი ძლიერ იშვიათად მოუწოდებდა ხოლმე. მას ეშინოდა პარლამენტისა; იგი ხედავდა, რომ პარლამენტი, რომელიც ისე მორჩილი იყო გენრიხ მერჯის დროს, ახლა ხმა მალლა ლაპარაკობდა და თვისნებობას იჩენდა. ლორდთა პალატაში ახლა ახალი პერების შეილება ისხდნენ. იგინი ახლა აქ მეფის მოწყალეებით კი არ იყვნენ პერებათ და პარლამენტის წევრებათ, არამედ—როგორც პერების შეილები და მემკვიდრენი. ამიტომაც იგინი კარგათ გრძნობდნენ თავიანთ უფლებებს და ძალას.

ალარც სათემო პალატა იყო ისე დამჯერე, გამჯონე და მორჩილი, როგორც გენრიხის დროს. შემდეგ ალისვერ და თეთრი ვარდის ბრძოლისა დიდმა ხანმა განელო; შიში და

უბედურება დაეწიებას მისცეს და სათემო პარლამენტში
 ბით თხოულობდა, მისი უფლებები მოამაღალში აღარ დარღვე-
 ულიყვნენ. ამასთანავე ახლა სათემო პარლამენტის შედგენილება
 შეიცვალა. წინეთ დებუტატებათ უნდა ამოერჩიათ ადგილო-
 ბრივი მცხოვრები; მაგრამ ხშირად ადგილობრივ მცხოვრებთა
 შორის არ მოინახებოდა ხოლმე იმდენად ნიჭიერი და გამბედა-
 ვი კაცი, რომ სავარგისო ყოფილიყო პარლამენტში გასაგზავ-
 ნათ; ამ შემთხვევაში ქალაქები და საგრაფოები დებუტატებათ
 სხვა მხარეების მცხოვრებლებთაგანს ირჩევდნენ. ასეთი წესი
 არჩევნებისა უკანონო იყო; ამიტომაც შერიფებს მუდამ ბრძა-
 ნება მისდობდათ, რომ საგრაფოებს და მოქალაქეებს ადგილო-
 ბრივი მცხოვრები ამოერჩიათ. ელისაბედის დროს პარლამენ-
 ტმა მიიღო ბილლი, რომლის ძალითაც მცხოვრებლებს უფ-
 ლება ეძლეოდათ, არა ადგილობრივი მცხოვრებიც ამოერჩიათ
 დებუტატად.

ამ-ბილლის მომხრენი აი რას ამბობდნენ პარლამენტში:
 „დებუტატი ეკუთვნის მთელ მხარეს და არა ერთ რომელიმე
 კლასს; სასარგელო და ნიჭიერი კაცი ყველას შვეჭლია
 ამოირჩიოს“.

შემდეგ ომისა, რაც ეს ბილი გავიდა პარლამენტში, ესე
 იგი, რაც იგი კანონად იქცა, სათემო პარლამენტის დებუტატებათ
 უფრო სხვილ მემამულეებს ირჩევდნენ; როგორც მდიდრებს
 და გავლენის მქონე პირთ, მათ პარტიის ცემით ეპყრობოდნენ
 ადგილობრივი მცხოვრებნი და, რა თქმა უნდა, ესენიც ცდი-
 ლობდნენ პარლამენტში თავი გამოეჩინათ. ელისაბედი ცდი-
 ლობდა პარლამენტში დებუტატები მისგან ყოფილიყვნენ და-
 მოკიდებული. ამ მიზნით მან პარლამენტში დებუტატების გა-
 გზავნის უფლება საოც და ორ დაბას და ქალაქს მიანიჭა.
 ელისაბედი ჰფიქრობდა, ეს დებუტატები მუდამ მის ხელში
 იქნებოდნენ და დაეხმარებოდნენ სათემო პარლამენტში მისი სუ-
 რვილისამებრ გადაწყვეტილიყო ხოლმე საქმე, მაგრამ მწარედ
 მოსტყუვდა დედოფალი. პირველ ხანებში მართლაც ეს დაბე-



ბი და ქალაქები დედოფლისათვის სასურველ დეპუტატებს
 გზავნიდნენ პარლამენტში, მაგრამ მალე სხვა რიგ დატრიალ-
 და საქმე. უმეტესი ნაწილი ამ დაპებისა მახვილ მებატონეების
 მამულებზედ მდებარეობდა და მათი მცხოვრებლები სრულიად
 დამოკიდებულნი იყვნენ ამ მებატონეებისაგან და ამითი ბრძა-
 ნების თანხმად ირჩევდნენ პარლამენტის დეპუტატებს; ცხადია,
 ელისაბედს სულ სხვა იმედი ჰქონდა. სათემო პალატა ცდი-
 ლობდა დაებრუნებინა თვისი ძველი, ტიუდორებისაგან არა
 ერთხელ დარღვეული უფლებანი და თავისუფლებანი. პარ-
 ლამენტი ელისაბედს რამდენჯერმე შეედავა, მაგალითად, სიტ-
 ყვის თავისუფლების გამო. ელისაბედი ამ საგანზედ აი რას ამ-
 ბობდა: სიტყვის თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ პარ-
 ლამენტში გვიპასუხოს ან ჰო, ან არა, იმ კითხვებზედ, რომე-
 ლიც მას წარედგინებოა*.

როდესაც პარლამენტი ასტეხდა ელისაბედისათვის არა
 სსიაპოვნო კითხვებზედ კამათს, დედოფალი პირდაპირ ბრძა-
 ნებდა ხოლმე: „ნუ ერევით იმ საქმეში, რომელიც თქვენ
 არც გეხებათ და არც გაგეგებათ“.

ერთხელ, მაგალითად, პარლამენტში შეიტანეს ბილლი,
 რომელშიაც აღნიშნული აყო „მედილი კომისიის და სასუ-
 ლიერო სამსჯავროს“ გაუმჯობესობის აუცილებელი საჭირო-
 ება. დედოფალმა მოიწვია სპიკერი და მრისხანეთ უთხრა: „მე
 მუდამ ვუკრძალავ პალატას ისეთ საქმეებში ჩარევას, რომელ-
 ნიც მას სრულიად არ გაეგება. მე გავკვირვებული ვარ, რომ
 პალატა ამდენათ გაუგონარია; მიბრძანებია, ამიერიდგან ამ კი-
 თხაზედ არავინ კრინტი აღარ დაამტრასო“.

შეშინებულმა სპიკერმა ამ კითხვებზედ მსჯელობის ნება
 აღარ მისცა პალატას, და სათემო პალატაც დაემორჩილა დე-
 დოფლის ბრძანებას. მაგრამ სათემო პალატა ყოველთვის ასეთ
 მორჩილებას არ იჩენდა.

ერთხელ ერთმა დეპუტატმა პარლამენტში აკრძალულ
 კითხვაზედ ჩამოაგდო ლაპარაკი. ეს მოახსენეს დედოფალს.

დედოფალი საშინლად განრისხდა და ბრძანა, დაეჭირათ თამამი დეპუტატი. დეპუტატი დაიჭირეს. მაგრამ სათემო პალატა ახლა კი ვეღარ შეურიგდა დედოფლის ასეთს თვითნებობას. მან თხოვნით მიმართა დედოფალს, არ დაერღვია უხსოვრის დროიდგან არსებული უფლება პალატისა და არ აღეკრძალა მისთვის თავისუფლად ლაპარაკი, რა საგანზედაც უნდა ყოფილიყო. სათემო პალატამ მიუთითა დედოფალს იმ კანონზედ, რომლის ძალითაც აღკრძალულია დეპუტატის დაპატიმრება პალატის სხდომის დროს, თუ ამაზედ თანხმა არ არის თვით პალატა. აგრეთვე მოაგონა ელისაბედს, რომ პალატის წევრის დასჯა პალატაში უწყისო ყოფაქცევისათვის პალატისავე უფლებას შეადგენს, ამიტომაც, დეპუტატს რომ შეურაცხყოფა მიეყენებინა თავისი სიტყვით დედოფლისათვის, სათემო პალატა თითონვე აღუკრძალავდა მას ლაპარაკს მომავალნი, ან და სრულებით გააძევებდა პარლამენტიდგან. სათემო პალატამ თითონაც ძლიერ კარგათ იცის, რაზედ შეუძლია ლაპარაკი და რაზედ არაო. ელისაბედმა შეატყუო, რომ სათემო პალატა უკან აღარ დაიხვედა და დათმობა არჩია.

მეორეჯერ ერთ დეპუტატს ელისაბედმა პარლამენტში სიარული აღუკრძალა. სათემო პალატა, გაიგო თუ არა ნაწილად ახეთი განკარგულება, უხომით აღელდა და ისე სასტიკად გაკიცხა დედოფალი ასეთი უკანონო ქცევისათვის, რომ კეთილგონიერმა ელისაბედმა ხელად მოსპოო თავისი განკარგულება.

ელისაბედის დროს სათემო პალატა იმდენად ძლიერი იყო, რომ თავისს ძველ უფლებების დაცვაში გამარჯვება მას რჩებოდა; ამასთან მან კიდევ ერთი ფრთად მნიშვნელოვანი უფლება შეიძინა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ სათემო პალატის წევრნი ამორჩეულნი არიან. როდესაც ამორჩეულნი თავს შეიყრიან, ჩვეულებრივ ჯერ შეამოწმებენ ხოლმე, კანონიერად არიან ივინი არჩეულნი თუ არა, ე. ი. თვითთულ მათგანს აქვს უფლება ამორჩეულ იყოს თუ არა; წესიერად არიან იგი-

ნი არჩეულნი თუ არა. თუ აღმოჩნდა, რომ ეს თუ ის დეპუტატი ისეა არჩეული, რომ მას არ ჰქონდა ამის უფლება, ან მისი ამორჩევა უწესოდ არის მომხდარი, მაშინ გამოაცხადებენ, რომ იგი უკანონოდ აღურჩევიათ; ამის შემდეგ მას ნება არა აქვს დეპუტატის ადგილი დაიჭიროს პარლამენტში. ელისაბედის დრომდის იმის გარჩევა და გადაწყვეტა, თუ რამდენათ კანონიერად იყვნენ არჩეულნი დეპუტატები, დამოკიდებული იყო მეფეზედ. ამიტომაც მეფეს დიდი გავლენა ჰქონდა დეპუტატებზედ; მას ყოველთვის შეეძლო თავიდან მოეცილებინა არა სასურველი დეპუტატი; ამისთვის საკმაო იყო მას ასეთი დეპუტატის არჩევა უკანონოდ ეცნო. ელისაბედის დროს სათემო პალატამ ისე მოახერხა საქმე, რომ არჩევნების შემოაწმების ნება მიიღო; ასე რომ ახლა პალატას თვითონვე შეეძლო გაეჩვენებია უკანონოდ ამორჩეული დეპუტატი.

განსაკუთრებით გაცხარებული დავა ჰქონდა ელისაბედს პარლამენტთან დედოფლის ქორწინების, ტახტის მემკვიდრის და სვაჰრო შეღავათის გამო.

ტახტზედ ასვლისას ელისაბედი ქალწული იყო. პარლამენტი ძლიერ ბევრსა პტიქობდა იმაზედ, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ელისაბედის შემდეგ ტახტის მემკვიდრედ: ეს კითხვა პარლამენტს დიდ მნიშვნელოვან კითხვად მიაჩნდა; ამიტომაც პარლამენტს არ უნდოდა თვით დედოფალს გადაეწყვიტა იგი. ავიდა თუ არა ტაეტზედ ელისაბედი, პარლამენტმა სთხოვა მას, მემკვიდრე დაენიშნა და საქმრო ამოერჩია. დედოფალმა სთხოვა პარლამენტს, ამ სავანზედ ლაპარაკისათვის თავი დაენებებია. პარლამენტი დამორჩილდა დედოფლის ბრძანებას. განვლო ოთხმა წელიმა ისე, რომ ელისაბედმა არც საქმრო აირჩია და არც მემკვიდრე. პარლამენტმა ხელმოკრედ ნიშართა დედოფალს იმავე თხოვნით. ელისაბედი საშინლად გაჯავრდა და სრულიად უყურადღებოთ დასტოვა პარლამენტის თხოვნა; მაგრამ შემდეგ დასთანხმდა და სიტყვა დასდვა, საქმროს ავირ-



ჩვეო; შემკვიდრებულ ლაპარაკის ნება კი მაინც არ ღირს. მისინ ბარლამენტის ერთი წევრი აღგა და სთქვა:

„ბარლამენტს შეუძლიან ილაპარაკოს თავისუფლად იმ კითხვებზედ, რომელნიც შეეხებიან სახელმწიფოს კეთილდღეობას. დედოფალი არ უნდა გვიკრძალებდეს ჩვენ თავისუფლად ლაპარაკოა“.

ასტყუდა გაცხარებული კამათი ბარლამენტში. გამოცხადდა დედოფლის კაცო და მოითხოვა, ამ კითხვაზედ ლაპარაკი შეეწყვიტათ. ჩვენ შეგვიძლია ყოველგვარ კითხვაზედ თავისუფლად ვილაპარაკოთო, მიუგეს მის პალატის წევრებმა და განაგრძეს მსჯელობა. ელისაბედმა შეატყო, რომ ბრძანებით ვერას გახდებოდა და თხოვნით მიმართა ბარლამენტს, თავი დაენებებინა ამ კითხვითთვის. საქმე იმაშია, რომ ელისაბედს საჭმრო ვერ ამოერჩია: ვერ ამოერჩია ვერც კათოლიკეთა შორის, რადგან თვითონ პროტესტანტის სარწმუნოებისა იყო; თანაც მან თითონ შემოიღო ეს სარწმუნოება ინგლისში და ხელი შეუწყო მის გავრცელებას; ცხადია, უხერხულთ უნდა ყოფილიყო ამის შემდეგ დედოფლისთვის კათოლიკის ქმრად ყოლია; ვერ ამოირჩია მან აგრეთვე ვერც პროტესტანტი, რადგან იცოდა, რომ ამით კიდევ უფრო გადიმტერებდა კათოლიკებს და უფრო გაუძნეულდებოდა მას მათი მორჩილებაში ყოლია. სანამ ელისაბედი გასათხოვარი იყო, კათოლიკებს კიდევ იმედი ჰქონდათ, ელისაბედის შემდეგ ინგლისში მეფედ კათოლიკე იქნებოდა. გარდა ამისა ელისაბედს გრაფი ლენსტერი უყვარდა, მაგრამ დედოფალს არ შეეძლო თვის ქვეშევრდომს ცოლად გაჰყოლოდა. ეს იყო მიზეზი, რომ ელისაბედი ვერ გათხოვდა. ტახტის შემკვიდრე კი მან მხოლოდ სიკვდილის წინ დაასახელა.

კიდევ უფრო დიდი შფოთი და დავა ასტყუდა ელისაბედსა და ბარლამენტს შორის სავაქრო შეღავათების გამო. ელისაბედი, როგორც მისი წინაპრები, მხოლოდ ზოგიერთს და ისიც ან თვის დაახლოვებულ პირებს, ან სავაქრო ამხანაგობებს აძლევდა ზოგიერთი სავაქრო საგნების ყიდვა-გაყიდვის ნებას.

ხშირად ეს საგნები სწორედ ისეთები იყვნენ, რომელნიც აკლებლიდ საჭირონი არიან კაცისათვის.

არა ერთხელ მიაქცია პარლამენტმა ელისაბედის ყურადღება იმაზედ, თუ რამდენათ მავნებელი იყო ასეთი შეღავათი ვაჭრობისათვის. პალატის აზრით ასეთი შეღავათი სრულიად უკანონო იყო.

პალატას ეს კითხვა არც შეეხება და არც გაეგება—რო იმისა, ამბობდა ელისაბედი.

ერთჯერ პარლამენტში ამ შეღავათის შესახებ ერთმა დეპუტატმა შეგნიერი სიტყვა სთქვა. გიბედული დეპუტატი საიდუმლო საბჭოში დაიბარეს. აქ ისეთ წაირად მოექცნენ დეპუტატს, რომ თავიკი დაავიწყეს. ამის შემდეგ მთელი ორი კვირა პარლამენტში კაცს სიტყვა აღარ უთქვამს ოდნავ საყურადღებო კითხვების შესახებ. სულ უბრალო საქმეზედაც რომ ნდომოდით ლაპარაკი, დეპუტატი ჯერ პალატას ვედრებით მიმართავდა ხოლმე: „ნუ მიიღებთ ჩემს სიტყვას ცუდად“. პარლამენტში ერთმანერთს აფრთხილებდნენ სავაჭრო შეღავათზედ არავინ ილაპარაკოს, რომ დედოფალი არ გაჯავრდესო. მაგრამ ელისაბედის მეფობის ბოლოს მთელმა ინგლისის ხალხმა ხმა მალლა გამოაცხადა თავისს უკმაყოფილება და მოითხოვა სავაჭრო შეღავათის გაუქმება. სათემო პალატამ ხელახლა ასტეხა ლაპარაკი სავაჭრო შეღავათზედ. ახლა კი სცნო საჭიროდ ელისაბედმა, რომ უნდა დასთანხმებოდა პალატას, მაგრამ აქაც თავისებური ხერხიანობა იხმარა. მან განაცხადა, რომ სრულიად არ იცოდა, თუ მართლა ესოდენი ვნება მოჰქონდა სავაჭრო შეღავათს და მადლობა გამოუცხადა პარლამენტს საერთო კეთილ-დღეობაზედ ზრუნვისათვის და დაუყონებლივ გააუქმა ის შეღავათები, რომელნიც წინეთ მან თითონ მიანიჭა ზოგიერთებს.

§ 6.

ინგლისი ელისაბედის დროს.—ინგლისის სიმდიდრე.—მატყლის მრეწველობა.—ირლანდიელი პროტესტანტების გადასახლება ინგლისში.—ინგლისის საგარეო ვაჭრობა.—ქალაქი ლონდონი.—ვიწის მუშაობის და მენახირობის გაუმჯობესობა.—მცხოვრებთა რაოდენობა ინგლისში.

ელისაბედის დროის ინგლისს „მდიდარ ინგლისს“ ეძახიან და მართლაც მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ინგლისი ძლიერ გამდიდრდა. მატყლის მრეწველობა უწინდებურზედ უფრო განვითარდა და გაუმჯობესდა. ინგლისელები ელისაბედის დრომდისაც ბევრ მაუდს აკეთებდნენ, როგორც თავიანთის, ისე სამზღვარ გარეთ გასატანათ, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ მაუდის კარგად დამუშავება, მისი შედგენა და აგრეთვე საუკეთესო მაუდის კეთება. მათთვის საჭირო იყო ამ ხელობის შენაწავლა და შეისწავლეს კიდევ უცხოელი ხელოსნებისაგან. ელისაბედის დროს ინგლისში გაცილებით მეტი უცხოელი გადასახლდა, ვინემ ელუარდ მესამის დროს. უნეტესი ნაწილი ამ უცხოელთა შორის ნიდერლანდიელი პროტესტანტები იყვნენ. ეს პროტესტანტები იძულებულნი გახდნენ ფილიპ მეორის შეუბრალებელ დევნის გამო დაეტოვებინათ თავიანთი სამშობლო. ელისაბედი სიხარულით ღებულობდა პროტესტანტებს და ნებას აძლევდა მათ, ინგლისში დასახლებულიყვნენ. დედოფალმა სხვათა შორის მათ შალის და მაუდის ქსოვის ნებაც მისცა. ნიდერლანდიელები ამ საქმის საუცხოვო ხელოსნები იყვნენ. უცხოელი ხელოსნები მოდიოდნენ ინგლისში და სხვა და სხვა ქალაქებში სახლდებოდნენ. ქ. ნორვიჩში, რომელიც შალ-მაუდის ხელოსნობის შუა ადგილად ითვლებოდა, ოთხი ათასი უცხოელი დასახლდა; შემდეგ მათმა რიცხვმა თან-და-თან იმატა. აი ამ ხელოსნებისაგან ისწავლეს ინგლისელებმა საუცხოვო მაუდ-შალის კეთება და ღებვა. ხლა ინგლისს გაცილებით მეტი შალეულობა გაჰქონდა სამ-

ზღვარ გარეთ, ვინემ უწინ; განსაკუთრებით მტკიცეა მისი ქონდათ თვით ნიდერლანდში; სამაგიეროდ ინგლისიდგან მატყლის გატანა სრულიად აღკრძალეს, რადგან იგი ადგილობრივ წარმოებისათვის შეიქნა საჭირო. შალის წარმოება გავრცელდა როგორც ქალაქებში, ისე სოფლებშიაც. შალის მწარმოებლებს კარგი მოგება ჰქონდათ და კარგათაც სცხოვრობდნენ.

იმავე დროს ინგლისში სამზღვარ-გარეთის ვაჭრობამაც ძლიერ იმატა. მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს ინგლისელებს ძლიერ ეშინოდათ ზღვით შორს წასვლისა. ხმელთა-შუა ზღვაც კი ერთ საშინილ რამეთ მიაჩნდათ მათ და სამხრეთ ევროპის სახელმწიფოებშიაც ვერ გაებედნათ სავაჭროს წაღება. ჩვეულებრივად ინგლისში მოდიოდნენ უცხოელთა სავაჭრო გემები, მოჰქონდათ აბრეშუმუხულობა, ატლასი და ძვირფასი ქვები, სცვლიდნენ აქ ამ საქონლებს ხორბალში, შალში, ტყვიანში და კალაში, ბრუნდებოდნენ უკანვე, შეჰქედნდათ ეს საქონელი სხვა და სხვა სახელმწიფოებში და დადის მოგებით ყიდდენ მას. ელისაბედის დროს კი ინგლისელებს სრულიად აღარ ეშინოდათ ზღვით მოგზაურობისა. ეხლა ისინი თამამად მისცურადნენ შორეულ ქვეყნებისაკენ. იმ ხანად რამოდენიმე ინგლისელი ვაჭარი ზღვით შევიდა აფრიკის იმ ნაწილში, რომელსაც გვიანვითაჲ ჰქვიათ და იქაურ ველურ ხალხებთან ვაჭრობა გააჩაღა. ინგლისელი ვაჭრები ამ ველურებისაგან ჰყიდულობდნენ სპილოს ძვალს და ოქროს. შემდეგ ჰყიდდენ სხა ქვეყნებში ამ ძვირფასს სავაჭრო ნივთებს და დიდ-ძალ ფულს იგებდნენ. ახლა ინგლისელები თამამად მიჰქრი-მოჰქროდნენ ატლანტის ოკეანეზედ, ინგლისიდგან ამერიკაში და ამერიკიდგან ინგლისში; ამერიკაში, სადაც ახლა შეერთებული შტატებია, ინგლისელებმა დააარსეს ინგლისის პირველი ახალენი, სახელად ვირჯინია და იქაურ ადგილებზედ თამბაქოს მოყვანას შეუდგენ. ამავე დროს ინგლისელებმა თეთრი ზღვით ვაჭრობა გაშართეს რუსეთის სახელმწიფოსთან; ამ მიზნით დაარსებულ იქნა „რუსის სავაჭრო

კამპანია“. ათას ექვსას წელს დაარსდა ასეთივე კამპანია „დაბეჭდვით ინდოეთის სავაჭრო კამპანიის“ სახელით.

ელისაბედის დროს ქ. ლონდონი ევროპის პირველ ბაზრად გახდა. აქ მოიპოვებოდა ყოველგვარი საქონელი, მთელი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხებიდან მოტანილი. უწინ პირველ საბაზრო ადგილს წარმოადგენდა ნიდერლანდის ქალაქი ანტვერპენი, მაგრამ ეს ქალაქი ორჯერ ააოხრეს ჯარის კაცებმა, რომელნიც იქ ფილიპე მეორემ პროტესტანტების მოსასობლად გაგზავნა. მეორეთ აოხრების შემდეგ ანტვერპენიდან მრავალი ანტვერპენელი ინგლისში გაიქცა. ლონდონმა ანტვერპენის დიდი ხნის მოქიშვემ, ესლა პირველი ადგილი დაიჭირა და უმთავრესი სავაჭრო ადგილი შეიქცა მთელ ევროპაში. ვაჭრობის ზრდა-მატებისთანავე მდიდრდებოდნენ ინგლისის ვაჭრები, მდიდრდებოდნენ აგრეთვე მებატონეებიც, რომელნიც მისდევდნენ ცხვრის მოშენებას, რადგან იმ დროს მატყლი ადვილად და კარგ ფასში იყიდებოდა; უღარიბეს მიწის მუშასაც კი ჰყვანდა ორი სამი ცხვარი. მებატონეებს კი ხშირად ოცოცი ათასი ცხვარიც ჰყავდა. დიდი ცხვრის ფარა საარაკო მოგებას იძლეოდა იმ ხანად. მიწის მუშაობაც დიდ შემოსავალს იძლეოდა მაშინ, რადგან მიწას უკეთ აბატივებდნენ და უკეთ ამზადებდნენ. იმავე დროში მიჰყვეს ხელი აგრეთვე საუკეთესო ჯიშის საქონლის და ცხენის მოშენებას. ნიდერლანდიელებისაგან ისეთი ბოსტნეულობის მოყვანა ისწავლეს ინგლისელებმა, რომელიც წინედ სრულიად არ მოჰყვანდათ ინგლისში.

სიმდიდრესთან ერთად ინგლისის მცხოვრებთა რაცხვიც მატულობდა. ჩვენ ვიცით, რომ ჟანის შემდეგ მეთოთხმეტე საუკუნეში ინგლისში სულ ორი მილიონი მცხოვრები და დარჩა; ელისაბედის მეფობის დამლევს კი ეს რიცხვი ხუთ მილიონამდე ავიდა.

§ 7.

გლებები ელისაბედის დროს.—მათი სიღარიბე.—გლებების უნიწოთ დარჩენა.—მათხოვარნი და ბოგანინი ინგლისაში.—სასტრეკი კანონები მათ წინააღმდეგ.—გლახაკთა სამრეკლო საშრუნველთანი.—საეკლესიო სამრეკლონი.—კანონები ღარიბთა შესახებ.—გადასახადი ღარიბთა სასარგებლოთ.—ღარიბების ზედამხედველნი.—სათემო გადასახადი.

რამდენათაც უფრო მდიდრდებოდნენ ინგლისელი ვაჭრები, მექარბნენი, მრეწველნი, მებატონენი და მსხვილი ფერმერები, იმდენად მეტ სიღარიბეში ვარდებოდნენ მიწის წვრილი ნოიჯარადრენი. „ეცებს ცხვრები სქამენო“, ამბობდნენ იმ დროს ინგლისში. და მართლაც რამდენად ცხვრის ფარა მატულობდა, იმდენათ მატულობდა საძოვრის საჭიროება. საკმაო საძოვარი რომ ჰქონოდათ, მებატონეები სათემო მიწებს შენობობდნენ და ითვისებდნენ ხოლმე. გარდა ამისა ცხვრის მოშენებისათვის იმდენი მუშა არ იყო საჭირო, როგორც მიწის მუშაობისათვის. სხვაფრივადაც მებატონეებს წინანდებურად აღარ სჭირდებოდათ გლებები; ამიტომაც შეუბრალებლად ერეკებოდნენ მათ და მათ შემკვიდრებას მათი შამა-პაპის მიერ დაშუშავებული მიწებიდგან. აი რას სწერს ერთი მაშინდელი მწერალი:

„გლებებს ერეკებოდნენ მათი ადგილ-მამულიდგან, რაცა მებატონეს მსურდა რამდენიმე დღიური მიწის შემოლობა. მათ ან ატყუებდნენ, ან და ავიწროებდნენ იმდენათ, რომ იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ შამა-პაპის ოფლით მორწყული მამული. ქალი, კაცი, დიდი და პატარა, ობოლ-ოხერი და ქერივი, უბედური დედები თავიანთ ძუძუ-მწოვარი ზავშებით, თავიანთი ბარგი-ბარხანით ეთხოვებოდნენ სამშობლოს, სადაც შეურაცხყოფის, უსამართლოების და შევიწროების მეტი აღარა მოელოდათ რა. ეს ვაბოგანოებელი ხალხი, რის წაღებაც არ შეიძლებოდა მოძრავი ქონებიდგან, ნეთედის ფასად ჰყიდ-



და. რამდენიმე ხნის შემდეგ ყოველ საშუალებას მოკლებული, მოხეტიალე ხალხი იძულებული ხდებოდა ქურდობისათვის მიეყო ხელი, რასაც ბოლოს მოსდევდა სიკვდილით დასჯა ან ზ მათხოვრობა; მათხოვარს კი ციხე მოელოდა. ამასთანავე სამუშაოს შოვნაც შეუძლებელი იყო, რადგან ცხერის მოვლა გაცილებით ნაკლებ მუშას თხოულობდა; ვინც მიწის მუშაობა.

ინგლისი მათხოვარა და ბოგანო ხალხით აივსო. მცხოვრებლები მუდამ შიშში იყვნენ ამ მოხეტიალე ხალხისაგან. „ღვთის გულისათვის მოიღეთ მოწყალება, შეგვიბრალეთ“ და წინებით იმფორებდნენ შვიერ-მწყურვალნი, სიმშლიისაგან გამწარებულნი, დამახინჯებულნი და დასუსტებულნი. მათ თხოვნავედრებას აკმაყოფილებდნენ უფრო შიშის, ვიდრე სიბრალულის გამო, მათხოვართა და მოხეტიალეთა ბრბოები ხშირად შირა-გზახედ სკარცვამდნენ და ხოცავდნენ მოგზაურებს; ასე რომ მოგზაურობა მეტად სახიფათო შეაქნა. გლისაბედმა და პარლამენტმა ფრიად სასტიკი კანონები გამოსცეს მოხეტიალეთა წინააღმდეგ: ზოგს მათგანს სწვამდნენ, ზოგს აპატიმრებდნენ, ზოგს ახრჩობდნენ, მაგრამ ცხოვრების ყოველგვარს სახსარს მოკლებული ხალხი თავისას შერებოდა.

ბოლოს გლისაბედი მიხვდა, რომ სასტიკი კანონებით საქმეს არა ეშველებოდა-რა და უსასხრო, გალიტაკებულნი შვიერ-მწყურვალნი ხალხის მდგომარეობა ამით არ გაუმჯობესდებოდა. ამისთვის სხვა ზომები იყო საჭირო. იმის გამოსარკვევად, თუ რა ზომები უნდა მიეღოთ მათხოვართა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აირჩიეს კომისია. აი როგორ მოაწყვეს ეს საქმე: თვითეულ სოფელში ეკლესია იყო. ეკლესიის მრევლნი შეადგენდნენ ერთს სამრევლოს. რამდენი ეკლესია იყო, იმდენივე იყო სამრევლოც. ასევე იყო ქალაქებშიაც. გლისაბედის დროს ინგლისში ითვლებოდა სულ ათი ათასი სამრევლო. თვითეულ ეკლესიას თვისი მღვდელი ჰყვანდა. მღვდელი ასრულებდა წირვა-ლოცვას და სხვა და სხვა სამღვდლო წეს-რიგს; გარდა ამისა იგი თვალ-ყურს ადევნებდა, რომ შრე-



ვლი წირვა-ლოცვას არ დაჰკლებოდა. მღვდელმთავარსა და მღვდელთა შინაგანად შეადგენდა აგრეთვე ეკკლესიის შენობის შეკეთება და წესიერად დაცვა, საკლესიო ქონების დაცვა და საჭიროებისამებრ მოხმარება. მღვდელს თანაშემწეთ ჰყავდა მრევლთ-შორის ამორჩეული რრი მნათე. ეკკლესიისათვის საჭირო ფულს მრევლივე ჰკრებდნენ. მრევლს იმდენი ფული შემოჰქონდა, რამდენიც მას თვითონ სურდა. მღვდელს ნება არა ჰქონდა მრევლის დაუკითხავად მოეკრიბა საჭირო ფული. ამ გვარი კითხვების გადასაწყვეტად მღვდლები მოუწოდებდნენ ხოლმე მრევლთ საზოგადო კრებაზედ. ასეთი კრებები ინგლისში ჩვეულებათ ჰქონდათ, თვითელი სამრევლო წარმოადგენდა განკერძოებულ სათემოს, რომელიც თვისს საეკკლესიო საქმეს თითონვე განაგებდა. ელისაბედის დროს გამოსცეს კანონი, რომლის თანხმად თვითელი სამრევლოს თვალ-ყური უნდა ედევნა და ეზრუნა თვისს გლახაკთათვის. მოწყალების თხოვნა სასტიკად აღკრძალეს. ვისაც ცხოვრების სახსარი არ ჰქონდა, მას უნდა აუცილებლად მიემართნა იმ სამრევლოსათვის, სადაც დაბადებული იყო, ან და უკანასკნელი სამი წელი დაეყო. გლახისათვის შემწეობა უნდა აღმოეჩინათ მღვდლებს და მნათებს. მათ უნდა სკოლნობათ თავიანთ სამთველოს გლახაკნი, მათი ნამდვილი გაჭირვება და მდგომარეობა. საჭირო ფული უნდა შემოე, ირა თვით მრევლს. წელიწადში ერთხელ მღვდელი მოუწოდებდა მრევლთ და შეეკითხებოდა მათ, თუ ვის რამდენის გადახდა შეეძლო. თუ შეძლებული კაცი უარს იტყობდა შემოწირულებაზედ, მღვდელი და მნათე ვალდებულნი იყვნენ დაეთანხმებინათ იგი როგორმე.

მალე ცხადი შეიქნა, რომ ნებით შემოწირული ფული საკმარისი არ იყო. ამიტომაც გლახაკთ სასარგებლოთ შემოიღეს ყველა სახლის ბატონისათვის სავალდებულო გადასახადი, ამ გადასახადს ჰკრებდნენ მნათეები, მაგრამ რაკი მათთვის ძნელი იყო ამ მოვალეობის რიგინად შესრულება, მათ თანაშემწეებათ გლახაკთა განსაკუთრებული ზედამხედველნი დაუ-

ნიშნებს. დახმარება სხვა და სხვა გვარი იყო: ზოგს ფულით
 ეხმარებოდნენ, ზოგს სამუშაოების მიცემით, ზოგს სამოწყალო
 სახლში მოათავსებდნენ. გაზარმაკებულ მოხეტიალეებს სამუშაო
 სახლში მოათავსებდნენ და ძალიად ამუშავებდნენ. პირველად
 მრევლნი იხდიდნენ მხოლოდ სამრევლო ანუ სათემო გადასა-
 ხადს, მაგრამ მათ მალე ვალად დაადევს გზების და ხიდების
 წესიერად დაცვა-წყობა და სხვა. იმისთვის შემოირღეს ახალი
 სამრევლო გადასახადები, გზებისა და ხიდების შესაკეთებლად.
 ამ გვარად სამრევლოებისაგან წარმოსდნენ განსაკუთრებული
 თემები, რომელნიც ზრუნავდნენ თავიანთ ადგილობრივ საჭი-
 როებისათვის და თითონვე განაგებდნენ თავიანთ ადგილობ-
 რივ საქმეებს.

§ 8.

ელისაბედის უკანასკნელი დღენი. — ელისაბედის მემკვიდრეები. — მეფე იაკობ
 სტიუარტი. — ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის წყვეტება. — ირლან-
 დიის დაპყრობა. — კათოლიკური სარწმუნოება ირლანდიაში.

ელისაბედი გარდაიცვალა სამოკდა ცამეტის წლისა. სი-
 ცოცხლის უკანასკნელ დროს მას ბავშობა დასჩემდა: დედო-
 ფალი ერთ ადგილს იჯდა და პირზედ თით მიბჯენილი, თვა-
 ლებ ძირდაშვებული მდუმარებდა. მინისტრები იტყობდნენ, რომ
 ელისაბედის დღეები დათვლილი იყო, და სთხოვდნენ მას, და-
 ესახელებინა ვინმე თავისს მემკვიდრეთ, რომელიც ჯერ კიდევ
 არ დაენიშნა მას, თუმცა სათემო პალატა ძლიერ ბევრსა ზრუ-
 ნავდა ამაზედ. გერბი მერვის შთამამავლობიდან იმ დროს
 აღარავინ იყო ცოცხალი. ელისაბედი უკანასკნელი მეფე იყო
 სტიუარტების გვარეულობიდან. უახლოესი ნათესავი ამ გვა-
 რეულობისა იყო იმ ხანად შოტლანდიის მეფე, იაკობ პირვე-
 ლი, ძე უბედურ მარიამ სტიუარტისა. როდესაც მინისტრებმა
 ელისაბედს იაკობი დაუსახელეს, დედოფალმა თანხმობის ნიშ-
 ნად თავი დახარა. ამ რიგად ინგლისის მეფედ შეიქნა იაკობი.



ელისაბედმა იაკობს გადასცა არა მარტო ინგლისი, აბქ
 მედ ირლანდიაც, რომელიც გენრიხ მერვემ დაიპყრო. ელი-
 საბედის დროს ირლანდიაში ამბოხება მოხდა. ირლანდიელნი
 სარწმუნოებით კათოლიკენი იყვნენ და უსაზღვროთ სძულდათ
 ინგლისელები, როგორც დამზავრელნი და ყოველნაირად შე-
 მავიწროებელნი. ამიტომაც ინგლისელებმა უსასტიკესი ზომები
 მიიღეს ამბოხების მოსასპობლად და მოსპეს კიდევ. ამას მოჰ-
 ყვა ირლანდიაში ინგლისელი კანონების და ზნე-ჩვეულების
 შემოღება. ელისაბედს უნდოდა აგრეთვე შემოეღო ირლანდი-
 აში პროტესტანტური სარწმუნოება, მაგრამ ეს შეუძლებელი
 შეიქნა, რადგან ირლანდიელებს ინგლისურ ენაზედ ქადაგება
 არ ესმოდათ; ამიტომაც ირლანდიელები კათოლიკებად დარჩნენ.
 იაკობის ტახტზედ ასვლისას პირველად მოხდა სამი სა-
 ხელმწიფოს — ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის შეერთე-
 ბა და იაკობს ეწოდა „დიდი ბრიტანიის მეფე“.





თ ა ვ ი VI

ინგლისი სტიუარტთა ვეარეულობის დროს. იაკობ პირველი და კარლო პირველი სტიუარტები.

§ 1.

მეფე იაკობ პირველი სტიუარტი. — იაკობის შეხედულება თვის და ეპისკოპოზების უფლებებზედ. — მეფე და ეკლესია. — ათასის, პეტრია. — პირველი პარლამენტი იაკობის დროს ათას ექვსას ოთხ წელს. — პარლამენტი ათას ექვსას ათ წელს. — კითხვა გადასახადების შესახებ. — პარლამენტი ათას ექვსას თოთხმეტ წელს. — პარლამენტის სითამამე. — დემუტატების დატყვევება. — უპარლამენტო მართვა-გამგეობა. — გერცოგი ბუკინგემი.

იაკობ პირველი, ეს დიდი ბრიტანიის მეფე, ვერაფერი შვილი იყო გარეგანი შეხედულობით. მცირე ტანის, მრუდი ფეხებით, უშველებელი თავით, ბრუციანი — ერთი სიტყვით მეფე ნამდვილ მახინჯსა ჰგვანდა. მუდამ დაბამულ ტანსაცმელში გახვეულ მეფეს ისეთი საბრალო შეხედულობა ჰქონდა, რომ მნახველს უნებურად სიცილსა ჰგვრიდა. ლაპარაკი საშინლად უყვარდა, მაგრამ ენა დაბმული იყო და მეტათ ცუდად ლაპარაკობდა. თავის თავზედ და თვისს უფლებებზედ უდიდესი წარმოდგენა ჰქონდა, თუმცა მბდალი იყო კურდღლივით და მასთან თავდაუპყრელი ტრამახი; ყბელობა და გადაკვრა ძალზედ უყვარდა. ჯერ კიდევ, ვიდრე ინგლისის მეფედ გახდებოდა, მან დასწერა წიგნი, რომელშიაც აი რას ამბობდა: „მეფის უფლება უფლისაგან არს. ნამდვილ მეფეს თუ სურს, შეუძლიან აღასრულოს კანონი, თუმცა მეფე კანონზედ მალღობს. მეფე თუ კანონს ასრულებს, მხოლოდ იმიტომ, რომ



ეს მას თვითონ ჰსურს; გარდა ამისა ის ამით მაგალითს უჩვენებს თვისს ქვეშევრდომთ“.

შემდეგ ში მეფე არა ერთჯერ იმეორებდა: „შე მას ვუწოდებ მეამბოხეს, ვინც მსჯელობს იმაზედ, თუ რა უფლება აქვს მეფეს, რის გაკეთება შეუძლიან მას და რის არა“. ასევე მალა აყენებდა მეფე ეპისკოპოზებს უფლებებსაც, მისი შეხედულებით, მეფისა და ეპისკოპოზის უფლება განუყოფელი იყო. „თუ არ არსებობს ეპისკოპოსი, არ არსებობს არც მეფეო“, იტყოდა ხოლმე იაკობი. ამიტომაც გადისწყვიტა მან დაცვა უკვე დაარსებული ანგლიკანური ეკლესიისა პურიტანების და, განსაკუთრებით, პრესვიტერიანებისაგან, რომელნიც მეფეს ხიკედლისავეთ ეჯავრებოდნენ. ანგლიკანური ეკლესია სრულებით დამოკიდებული იყო მეფეზედ; მეფე შიძინდა მას თვისს მფარველად. მეფე მართლაც მფარველობდა ეკლესიას. ამიტომაც ეკლესიისათვის დიდად საჭირო და სასარგებლო იყო, რაც შეიძლება, მეტი უფლებები და ძალა პქონებოდა მეფეს. მეფე კანონზედ მალა სდგასო, პქადაგებდა ეკლესია. სამღვდლოების კრებამ დაადგინა: „მეფეს თვისი უფლებები უფლისაგან აქვს მინიჭებული და არა ხალხისაგანო“. გარდა ამისა ეკლესია ამტკიცებდა: არავითარ შემთხვევაში ნება არა აქვს ქვეშევრდომთ წინააღმდეგ მეფეს და ებრძოლონ მას იარაღით ხელში, თუნდ მათთვის აუცილებელი შეიქნეს მეფისაგან თავისს დაცვაო.

აეიდა თუ არა ტახტზედ იაკობი, პურიტანების ში ასმა მღვდელმა, ე. ი. ინგლისის სამღვდლოების ერთმა მეთავედმა, თხოვნა მიართვა მას. სასულიერო სამსჯავროების გაუმჯობესობა, სამღვდლო პირთა დანიშვნა მათ თანამდებობაზედ მეტის ყურადღებით და გარჩევით, გამოორიცხვა მღვდელ-მოქმედებათაგან ყველა კათოლიკური წესებისა: აი რა იყო მათი სათხოვარი!

მეფემ მიიღო ეს თხოვნა ანუ პეტიცია, მოუწოდა ანგლიკანების და პურიტანების ღვთისმეტყველთა კრებას და გადა-

სცა მათ გასარჩევათ ეს „ათასის* თხოვნა, როგორც ვხედავთ, რომელიც მას, თუმცა ნამდვილად იგი სელმოწერილი იყო მხოლოდ რეასი პირის მიერ; ამ კრების ხელმძღვანელი თვით მეფე იყო, პურიტანები ამტკიცებენ, რომ მათი თხოვნა სამართლიანია და აქვე რამოდენიმე შენიშვნაც წარმოსთქვეს. მეფე გაჯავრდა; კრება დაითხოვა და გამოამწვიდობების დროს შემდგომს მუქარით მიუბრუნდა კრებას: „თქვენ ან უნდა დამემორჩილოთ მე, ან და ჩემი სამეფოდგან გაგაბევეთო“. პურიტანებზედ ნაკლებად იაკობს არც კათოლიკები ეჯავრებოდათ ელიზაბედის დროის სასტიკი კანონები კათოლიკეთა წინააღმდეგ იაკობმა ძალაში დასტოვა და ელისაბედისავეთ შეუბრალებლად სდევნიდა მათ. თანაც იაკობმა პარლამენტს პირველად მოუწოდა ათას ექვსას ოთხ წელს. ეს პარლამენტი უკვე მტრულად ექცეოდა იაკობს. დეპუტატები მეტად უკმაყოფილონი იყვნენ იაკობის მუქარის გამო, რომლითაც მან კრებიდან პურიტანები გამოისტუმრა; გარდა ამისა დეპუტატები ვერ შერიგებოდნენ იაკობის სურვილს, რომ მას მთელი სამეფო თვისს ნებაზედ განეგო. პარლამენტმა წინდაწინვე გამოუცხადა მეფეს: „ჩვენ ერთადერთი რამ გვსურს—სახელდობრ—მწვიდობა და თანხმობა, მაგრამ ამისთან ვსთხოვთ თქვენ დიდებულებას, მოისპობს ბოროტმოქმედება, რომელიც არსებობს საეკლესიო და საერო მმართველობაში“.

ამისთანავე აი რა უთხრა პარლამენტმა მეფეს: „თუ თქვენი დიდებულება ვისმე დაურწმუნებია, რომ ინგლისის მეფეებს სრული და უცილობელი უფლება აქვთ სარწმუნოების საქმის გამგეობისა და სასულიერო კანონების გამოცემისა, მწარედ მოტყუებულხართ. ინგლისის მეფეებს შეუძლიანთ კანონების გამოცემა მხოლოდ პარლამენტის თანხმობითაო“.

მეტის-მეტი მრისხანებით მოისმინა იაკობმა ეს სიტყვები. მან მუქარით მიმართა პარლამენტს და დაითხოვა კიდევ იგი. მაგრამ მეფეს ფული დასჭირდა. ფლანგავმა იაკობმა რამოდენიმე



წლის განმავლობაში გააორკეცა ვალი, რომელიც დასტოვებული საბედმა თუთხმეტი წლის ომის შემდეგ. მეფეს არ სურდა პარლამენტის მოწოდება; ამიტომაც მან თვისი ნებით დააღწა ბაგი შემოსატან-გასატან საქონელს, მაგრამ არც ამით ეშველა საქმეს, რადგან საკმაოდ შემოსავალს არ იძლეოდა ეს ბაგი; ასე რომ იაკობი იძულებული შეიქნა პარლამენტი შეეკრება. პარლამენტი შეეკრება მან ათას ექვსას ათ წელს. იაკობმა სასტიკად აუკრძალა პარლამენტს დაპარაკი მისგანვე შემოდებულ გადასახადებზედ. პარლამენტმა ყურადღება არ მიაქცია ამ ბრძანებას, დეპუტატებმა მეფეს თამამად გამოუცხადეს: „თქვენ რიდებულეებავ! თქვენ პარლამენტის დაუკითხავად და ისიც სრული მშვიდობიანობის დროს, გაცილებით მეტი გადასახადი შემოიღეთ, ვიდრე თქვენმა წინაპრებმა ომიანობის დროს. გთხოვთ მოსპოთ გადასახადები, რომელნიც პარლამენტის უნებურათ შემოიღეთ. გთხოვთ აგრეთვე გამოიციეს კანონი, რომლის ძალითაც ორივე პარლამენტის ნება-დაურთველიად შემოდებული გარდასახადი არა სავალდებულოდ ჩაითვალოს“.

გარდა ამისა პარლამენტი სთხოვდა მეფეს, სწამ გადასახადების შესახებ რაიმე გადასწყდებოდნეს, გამრევით მალაღი კომისიის უფლებათა შემზღუდველი კანონები. მალაღი კომისია, ვინც მას სურდა, იმას მისცემდა სამართალში, ვისაც უნდოდა იმას დასდებდა ბრალს სარწმუნოების უარყოფაში. იაკობმა პარლამენტისა არამც თუ არა გაიგონა-რო, დაითხოვა კიდევ იგი. განელო ოთხმა წელიწადი; მეფისათვის ფული კიდევ საჭირო შეიქმნა. მეფემ ხელახლად მოუწოდა პარლამენტს. ამ პარლამენტში თითქმის არცერთი მეფისათვის სასურველი კაცი არ მოხვედრილა. არჩეულნი სულ ახალი პირები იყვნენ. ეს პარლამენტი ორ წინა პარლამენტზედ უფრო თამამად მოქმედებდა. „თუ უკანონო გადასახადებს არ მოსპობთ და ყურადღებას არ მიაქცევთ ქვეშევრდომთა საჭიფრებს, გროშ კაპეიკსაც ვერ მიიღებთო“, განუცხადა პარლამენტმა მეფეს. გაშმაგებულმა, ბრახ-მორყულმა მეფემ საჩქაროდ დაითხოვა პარ-

ლაშქარი და თანაც მოწინააღმდეგეთა ოთხი ^{გარდა} დაა-
ტყვევა. ამით იაკობმა უსაშინელესი უსამართლოება ჩაიდინა
პარლამენტის წინაშე. თვით უძლიერესი გენრიც მერვე და დი-
დების მოყვარე ელისაბედი ყოველთვის იმ აზრისა იყვნენ,
რომ მეფეს არ აქვს უფლება დეპუტატების დატყვევებისა, რა-
დგან დეპუტატის პიროვნება ხელ-უხლებელია. გარდა ამისა
დეპუტატებს შეეძლოთ სრულიად თავისუფლად ელაპარაკნათ
პარლამენტში სახელმწიფოსათვის სასარგებლო საქმეებზედ.
მართალია, ელისაბედს და გენრიცს არა ერთხელ დაუტყვევე-
ბიათ პარლამენტის ესა თუ ის წევრი, არა ერთხელ აღუკრძა-
ლათ მათთვის რომელიმე საგანზედ ლაპარაკი, მაგრამ არასო-
დეს მათ ნება არ მიუციათ თავიანთთვის რანდენიმე დეპუტატი
ერთად დაეპატიმრებინათ. პირიქით, შეატყობდნენ თუ არა
იგინი, რომ პარლამენტი მედგრად იცავდა თავის წევრთ, მა-
შინვე დაუთმობდნენ ხოლმე პარლამენტს, იაკობმა კი გადააწყვი-
ტა, სამეფო უპარლამენტოდ განეგო.

შვიდი წლის განმავლობაში წარმოუდგენელი თვითნებო-
ბა სუფევდა ინგლისში. საიდუმლო საბჭომაც კი, რომელიც
ტიუდორების გვარეულობის მეფეებს დიდათ ეხმარებოდა, და-
პყარვა თავისი მნიშვნელობა და ძალა. მეფე მხოლოდ ორ თა-
ვის მეგობართან თათბირობდა სახელმწიფო საქმეების შესახებ,
და მათაც თავისს სამეცადინო ოთახში, ანუ „კაბინეტში“ და-
იბარებდა ხოლმე; ამიტომაც სიტყვა „კაბინეტი“ ამის შემდეგ
ნიშნავს მეფის უახლოეს პრჩვევლთ. მეფე სრულიად უკანო-
ნო ახალ-ახალ გადასახადებს ადებდა ხალხს. მან განაახლა ყვე-
ლასაგან დაეიწყებული ძველი ჩვეულება „ნებაყოფილ საჩუ-
ქრებისა“. მოწის მესაკუთრეებს ბარათებით სთხოვდნენ მეფი-
სათვის ფულს. შერიგები და მსაჯულები ძლიერ ცდილობდნენ,
ფული შეეკრიბათ, მაგრამ ამოდ. მეფე კი ფულებს უანგარი-
შოთ ფლანგავდა, მეფე, თუ ფულით, თუ ნივთებით, უხვად ასა-
ჩუქრებდა ამხანაგ-მეგობრებს. მეფის მახლობელთა შორის გან-
საკუთრებით განირჩევიდა გერცოგი ბუკინგენი. ბუკინგემი

იყო უბრალო გვარისა, ლამაზი და პატივის მოყვარე კაცები მეფეს პირველიდგანვე ძლიერ მოეწონა იგი, დაიხსლოვა, მისცა გერცოგობა და არ აკლებდა თვისს უხვ მოწყალებას. სხვებს კი ჭირივით სძულდა იგი.

§ 2

იაკობ პირველი და სამსჯავრო. — რა უფლება უნდა ჰქონდეთ მსაჯულებს. — მსაჯულების გამოუცვლელიობა და დამოუკიდებლობა.

იაკობის თვით-ნებობამ და მისმა ბრძანებლობამ პარლამენტის და თვით საიდუმლო საბჭოს დაუკითხავად მოქმედებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისელებს შორის. მეფე იაკობი ამასაც არ დასჯერდა; მან ინგლისის სამსჯავროების დამორჩილებაც განიზრახა: მას სწაღდა სამეფო სამსჯავროებს ისე ეწარმოებინათ საქმეები, როგორც თითონ მას სურდა. იმ დროს ინგლისში საქმეთა წარმოება ვერ იყო ისეთაირად დაყენებული სასამართლოებში, რომ მსაჯულს შესძლებოდა მიუდგომლად და სინიღისიერად აღესრულებინა თავისი მოვალეობანი. ყველამ იცის, რომ ზშირად მსაჯულის ხელშია ბრალდებულის მთელი ქონება, თავისუფლება, პატივი და, ხანდისხან, სიცოცხლეც.

თვითეულ საქმეში იფიქროსა საყოველთაო კანონები. ეს კანონები ყველისათვის სავალდებულონი არიან. ვინც მათ დაარღვევს, ის დაისჯება. კანონებში ნათქვამია, თუ როგორ უნდა დაისაჯოს დამნაშავე. მსაჯულნი მოვალენი არიან გადასწყვიტონ, დამნაშავეა ბრალდებული თუ არა? თუ დამნაშავეა რა სასჯელის ღირსია იგი? თუ საქმის გარჩევაში მონაწილეობენ ნათიცი, მაშინ მათ უნდა გადასწყვიტონ სინიღისისამებრ, არის თუ არა ბრალდებული დამნაშავე, მაგრამ წარმოებით კი საქმეს მსაჯულები აწარმოებენ ნათიცთა თანადასწრებით; მსაჯულებმა უნდა ჩამოართვან ჩვენება მოწმეებს, ბრალდებულს და სხვ. ნათიცთა განაჩენი ბევრადაა დამოკიდებული იმაზედ, თუ როგორ აწარმოებენ საქმეს მსაჯულები. ზშირად მსაჯუ-

ლებმა უნდა გამოარკვიონ მეტად რთული და მძიმე საკითხები. ასეთ შემთხვევაში ფრიად ძნელია იმისი თქმა, თუ ვისკენ არის სიმართლმადიდებელი, ვის ეკუთვნის კანონით სადაო საგანი; ხანისხან კანონი, საკმაოდ მკაფიოდ და გასაგებათ არ არის გამოთქმული. ამ შემთხვევაში მსაჯულმა უნდა ახსნას, გაარკვიოს იგი და შეინდევ დაამყაროს მასზედ თვისი დადგენილება. შეიძლება სახელმწიფოში ძლიერ კარგი კანონები იყოს, მაგრამ რა გამოვიდა, თუ მსაჯული კარგ კანონებს ავად გაიგებს და უკუღმართად ახსნის. ვისთვის რა სასარგებლოა, თუ თვით კანონები კარგია, მაგრამ მისი აღმასრულებელი ბოროტი ვინმეა. საქირობ კარგ კანონებთან ერთად არსებობდეს „სწრაფი, მართალი და მოწყალე“ სამართალი. მხოლოდ მაშინ შეუძლიან თვითთვის მოსვენებით ცხოვრება, მაშინ მიეგება თვითთვის სათანადო, არ დაისჯება უბრალო და არ გამართლდება ბრალიანი. გარდა იმისა საქირობა, რომ მსაჯულმა კარგად იცოდეს კანონები, აუცილებლად საქირობის მხოლოდ იმაზედ ფიქრობდეს, რომ სამართლიანად გაარჩიოს საქმე, არავისი უშინოდეს, არ საქარობდეს ვისიმე გული მოიგოს, ვინმეს ასიამოვნოს თვისი განაჩენით, თვისი მსჯავრით. ამისათვის აუცილებელია მსაჯულებათ ნიშნავდნენ განათლებულს, საქმის და კანონის მკოდნე პირებს; გარდა ამისა მსაჯულებს არ უნდა ეშინოდეთ იმ მოსაზრების, თუ ვის ებება მათი სამართლიანი განაჩენი, ვის დასდევს მათ მსჯავრი; დიდს, პატარას, მდიდარს, ღარიბს, მღვდელს, ერს, მეფეს თუ მის მოხელეს. მაგრამთვე საქირობა, არავის უფლება არ ჰქონდეს მსაჯულებს უბრძანოს: „ასე გადასწყვიტე საქმე და არა ისეო“, გამართლის მათ მიერ დამნაშავედ ცნობილი, ან დამნაშავედ სცნოს მათგან გამართლებული. მსაჯულებს შეუძლიანთ მიუდგომელი და კანონიერი განაჩენი დაადგინონ, როცა იგინი დარწმუნებულნი არიან, რომ ვერვინ ავნებს მათ, ვერვინ დაითხოვს თანამდებობიდან, ან სხვა გვარად ვერავინ დასჯის სინართლისა და მიუდგომლობისათვის; ამიტომაც საქირობა არ-



ვის უფლება არ ჰქონდეს, მსაჯული გამოცვალოს ნებ-
ზედ. არც თვით ხელმწიფეს და არც მის მინისტრებს; ერთი სიტ-
ყვით, საჭიროა, რომ მსაჯულები იყვნენ უცვლელნი, ანუ
მათი გამოცვლა შეუძლებელი უნდა იყოს, სანამ მათ არ გაა-
სამართლებენ თანხმად კანონისა და არ იცნობენ მათ დამნა-
შავედ.

იაკობ პირველმა თავის მეთობის პირველ წლებშივე გა-
შოასცვალა უმთავრესი მსაჯული, სერი ედუარდ კოკი, თუმცა
კოკი საკმაოდ პირფერი და მხალისი კაცი იყო და არა ერთ-
ხელ გადაუდგა სინილის მეთის გულის მოსაგებად. იმ დროს
ინგლისში, თუ რამ სადამო საქმე იყო მეფესა და მის ქვეშევრ-
დომთ შორის, სამსჯავროს უნდა გაერჩია. თი ამის მაგალითი.
იაკობ პირველმა ბაჟი დაადგა თავის ნებით საზღვარ-გარეთი-
დან შემოსატან საქონელს. ვილჰელმ ვაჟართაგანმა უარი განა-
ცხადა ასეთი ბაჟის გადახდაზედ. ეს ბაჟი სრულიად უკანო-
ნთა, რადგან იგი მეფემ პარლამენტის დაუკითხავად შემოიღო
და ასეთი უფლება კი მას არ ჰქონდაო, იძახდა ეს ვაჟარი.
თი ასეთ შემთხვევაში სამსჯავროს უნდა გადაეწყვიტა, თუ
ეინ იყო მართალი, მეფე თუ მისი მოპირდაპირე. თუ სამსჯავ-
რო დაადგენდა, რომ მართლაც მეფეს არ ჰქონდა უფლება ასეთი
ბაჟის დადებისა, მაშინ სიმართლე ვაჟარს დარჩებოდა. ამით
კი მეფის ყველა ქვეშევრდომთ ეძლეოდა საბუთი და უფლე-
ბა, ამ ბაჟზედ უარი ეთქვათ და მეფეც იძულებული იყო მო-
ესპო იგი.

სამსჯავრომ სცნო, რომ მეფეს უფლება ჰქონდა ამ ბაჟის
უპარლამენტოდ შემოღებისა. ამის საბუთად სამსჯავროს ის
მოჰყავდა, რომ ასეთნაირადვე იქცეოდნენ ინგლისის მეფეები
წინედაც, მაგალითად, გენრიხ მერვე და ელსაბედი. სამსჯავ-
რომ დაადგინა აგრეთვე, რომ იაკობს უფლება ჰქონდა ნება-
ყოფლობითი შეწირულებანი მოეთხოვა, რადგან წინეთ მე-
ფეები, აღის ფერ და თეთრი ეარდის ომის შემდეგ, ასე იქ-
ცეოდნენ, მიუხედავად ამისა მსაჯულები სრულს უარზედ და-



ქართული

დგნენ, როცა მეფემ განიზრახა ისეთი უფლებებისა
რომელიც ინგლისის მეფე მეფეებს არ ჰქონიათ. აი ამის მა-
გალითი: ავიდა თუ არა ტახტზედ იაკობი, უმთავრეს მსაჯულს
აუწყა: „აწი მე უნდა გადავწყვიტო, რა არის სამართლიანი და
რა უსამართლო; მე მსმენია, რომ ამისთანა კითხვების გადასა-
წყვეტად საჭიროა გონება; გონება კი მე მსაჯულზედ ნაკლებ-
ბი არ მაქვსო“. რადგან ინგლისში ასეთ კითხვების გადაწყვე-
ტნი იყვნენ მსაჯულები და არა მეფე, არც მთავარ მსა-
ჯული და არც მსაჯულები მეფეს არ დაეთანხმნენ. მაშინ
იაკობმა მოისურვა, რომ მსაჯულები იმგვარ საქმეების გარჩე-
ვაში, რომელნიც შეეხებოდნენ მის უფლებებს, განაზენის და-
დგენამდის მას შეჰკითხვოდნენ, ვაეგოთ მისი აზრი და საქმე
მისი სურვილის თანახმად გადაეწყვიტათ. „კანონის ძალით მე
სრულებითაც ვალდებული არა ვარ თქვენ შეგვეკითხოთ და
არც შეგვეკითხებითო“—მიუგო მეფეს მთავარ-მსაჯულმა, ელუ-
არდ კოკმა,—„მე ისე მოვიქცევი, როგორც ვალია მსაჯული-
საო“. მეფემ ვეღარ მოითმინა ასეთი პასუხი და კოკი თანამ-
დგეობიდან დაითხოვა. შემდეგ მეფემ კიდევ რამდენიმე მსა-
ჯული გააძევა თანამდგეობიდან. ამით მან ყველას ცხადად
დაანახვა, რომ შინცა და შინც თავისი უნდოდა გაეტანა და
სამსჯავრო დაემორჩილებინა. ბოლოს მსაჯულად დანიშნა მან იმ
დროის დიდი მეცნიერი, ქკულით და ნიჭით შესანიშნავი კაცი,
ლორდი ბეკონი. მაგრამ, საუბედუროდ, ბეკონი იყო უპატი-
ოსნო, უზნეო, წვრილმანი პატივის მოყვარე და დიდი მე-
ქრთამე.

ქ

დასრულდა ქართული ენის განმარტება და გამოქვეყნდა. ეს წიგნი
მეცნიერებსა და მოსწავლეებს უკიდურესად სასარგებლოა. მისი
დასრულებაში მონაწილეობდა მრავალი მოსწავლე და მასწავლებელი.
ეს წიგნი გამოვიდა 1860 წელს. მისი დასრულებაში მონაწილეობდა
მრავალი მოსწავლე და მასწავლებელი. ეს წიგნი გამოვიდა 1860
წელს. მისი დასრულებაში მონაწილეობდა მრავალი მოსწავლე
და მასწავლებელი. ეს წიგნი გამოვიდა 1860 წელს. მისი დასრუ-
ლებაში მონაწილეობდა მრავალი მოსწავლე და მასწავლებელი.

§ 3.

შეგობრობა ისპანიას და იაკობს შორის.—პარლამენტი ათას ექვსას ოცდა ერთ წელს.—პარლამენტი ბრალს სდებს და ასამართლებს ბეკონს.—პარლამენტის პეტრეცია ისპანიასთან ომის შესახებ.—პარლამენტის განცხადება თვისი უფლებების შესახებ.—იაკობის მრისხანება.—ომი ისპანიასთან.—იაკობ პირველის სიკვდილი.—მეფე კარლს პირველი.—როგორი წარმო-
დგენა ჰქონდა კარლოს თავის უფლებებზედ.

ელისაბედის დროიდან ისპანია ინგლისის მოსისხლე მტერი იყო, ინგლისელების უკმაყოფილებას ისიც ზედ დაერთო, რომ იაკობმა თავისი შვილის, ტახტის მემკვიდრის, საცოლოდ ისპანიელი, კათოლიკური სარწმუნოებისა, პრინცესა აიზაბა ხალხს ჯერ კიდევ ახსოვდა მარიამ მოსისხლე; ახსოვდა, როგორ სდევნიდა იგი პროტესტანტებს; ამასთან ამ დროს თითქმის ყველა ინგლისელები პროტესტანტები იყვნენ. იგინი შიშობდნენ კათოლიკე-დედოფალს ტახტის მემკვიდრე თავის სჯულზედ არ გადაეყვანა, იმ ხანად მთელ ევროპაში კათოლიკეთა და პროტესტანტთა შორის გაცხარებული ბრძოლა იყო. ინგლისის ხალხს სურდა დახმარება აღმოეჩინა პროტესტანტებისათვის. მეფე ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა; ამის მაგივრად იგი სცდილობდა ისპანიას დაახლოვებოდა; ამის გამო ხალხში უკმაყოფილებამ იმატა. შეიღმა წელმა ისე განვლო, რომ პარლამენტი არ შეკრებილა. ბოლოს უკმაყოფილება იქამდინ მივიდა და პარლამენტის შეკრების საქარობაზედ ისე დაეინებით ლაპარაკობდნენ, რომ იაკობი იძულებული შეიქნა ხალხისათვის დაეთმო. ათას ექვსას ოცდა ერთ წელს მან ხელ-ახლა შეკრიბა პარლამენტი. სათემო პალატამ ერთხნად განუცხადა მეფეს: „შადა ვართ პროტესტანტებს ქონებით და ფულით დახმარება აღმოუჩინოთ“. მეფემ ფული თვითონ აიღო პარლამენტისაგან, იარალი კი ისპანიას გადასცა. მეფის ასეთმა საქციელმა უკიდურესად შეურაცხყო და ააღელვა პარლამენტი. როგორ უნდა მოქცეულიყო პარლა-

მენტი? რა უნდა მოგვევარებინა მას, რომ მეფე მასწავლებელი ხალხის წინააღმდეგ ვერ წასულიყო. აქ პარლამენტმა გაიხსენა თავისი ძველი უფლება, რომელიც ყველამ დავიწყებას მისცა ტიუდორების მეფობის დროს. სათემო პალატამ ბრძანება გასცა, მთავარ-მსახური ბეკონი, მეფის უმთავრესი მრჩეველი, დაეჭირათ და პასუხის გებაში მიეცათ ლორდთა პალატის წინაშე; აქ ცხადად დამტკიცდა, რომ იგი მართლა დებულობდა ქრთამს. ბეკონი თვითონაც არ ჰყოფდა უარს ამას. მან წერილობით აღიარა თავი დამნაშავედ და ლორდთა პალატას პატიება სთხოვა. ლორდთა პალატამ ბეკონს მიუსაჯა დიდი ჯარიმა და დაპატიმრება. მეფე ამ დროს ისპანიელებს ეხმარებოდა. ახლა პარლამენტმა მეფეს პეტიცია წარუდგინა, რომელშიაც იგი ისპანიასთან ომის დაწყებას სთხოვდა მეფეს; გარდა ამისა პარლამენტი თხოულობდა მეფეს თავის შვილისათვის ცოლად პროტესტანტის სარწმუნოების ბრინცესა მოეყვანა. ეს პეტიცია წარუდგინა მეფეს რამდენიმე არჩეულმა დებუტატმა. მეფე გაბრაზდა, როგორ გაბედა პარლამენტმა ამ საქმეში გარევა.

„მოართვით სკამები მოციქულებს, მოვისმინოთ ერთი რა სწავლიანთ მათო“ — სთქვა დაცინვით მეფემ.

მეფემ პეტიცია არ მიიღო და თანაც სასტიკათ აღკრძალა, რომ მის საქციელ-მოქმედებაზედ პარლამენტს სჯა აღარ ჰქონოდა. დებუტატებს კი დაემუქრა, ციხეში ჩაგვსამთო. პარლამენტს სრულიადაც არ შეშინებია მეფის მუქარისა:

— პარლამენტის უფლებანი და თავისუფლება თვითნებულ ინგლისელის უცილობელ კუთვნილებას შეადგენენ; ეს კუთვნილება დაბადებიდგან თან დაყოლილი აქვს მას. რთული და მტად საჭირო საქმეები, რომელნიც შეეხებიან მეფეს, სახელმწიფოს, ინგლისის ეკლესიის დაცვას, ახალი კანონების გამოცემა, ბოროტ-მოქმედების მოსპობა — აი კითხვები, რომლებზედაც პარლამენტს სრული უფლება აქვს მსჯელობა იქონიოს. ხოლო ასეთი მსჯელობისათვის აუცილებელი საჭიროა

თითველ დებუტატს სრული უფლება ჰქონდა დაეცა თავისი სიტყვების თავისი აზრი და შეხედულებაო. ამბობდნენ პარლამენტში. იაკობის წრის ხანებას, საზღვარი არ ჰქონდა; მან მოითხოვა პარლამენტის დღიური, რომელშიაც შექონდათ პარლამენტში ნალაპარაკები და პარლამენტის დადგენილებანი და ამოხია ის ფურცლები, სადაც მოთავსებული იყო ამ სხდომის ოქმი. გავიდა რამოდენიმე დღე; მეფემ სრულიად დაითხოვა პარლამენტი და კიდევ დაატერინა რამდენიმე დებუტატი. ისპანიასთან მეგობრობაზედ მეფემ დიხაც არ აიღო ხელი, თუმცა ტახტის შემკვიდრის და ისპანიის პრინცესის ქორწინების საქმე კარგად ვერ მიდიოდა, ხოლო ბოლოს იაკობმა ხალხის დამშვიდება არჩია, ისპანიაზედ გული აიყარა და ომი გამოუცხადა მას. შეიკრიბა ახალი პარლამენტი, ამ პარლამენტმა ომისათვის საჭირო ფული მეფეს სთხოვნებით მისცა, მაგრამ თანაც სათემო პალატამ ლორღთა პალატის წინაშე უმთავრესი ხაზინადარი მექრთამეობის გამო პასუხის გებაში მისცა. ეს ხაზინადარი ინგლისში ცნობილი იყო, როგორც ვერცხლის მოყვარე კაცი. პარლამენტის დასამშვიდებლად მეფემ თანხმობა გამოაცხადა მისი მეგობარი ვახტანგისათვის. ამ რიგად იაკობი ორჯერ იძულებული ძყვეს დათანხმებულიყო, რომ პარლამენტს ჰქონდა ძველებური უფლება მინისტრების ბრალდების და გასამართლებისა. ამ გვარად იაკობმა მეორეჯერ განამტკიცა პარლამენტის ძველი უფლება. დაიწყეს თუ არა ინგლისელებმა ომი ისპანიასთან, იაკობი ვარდაიცვალა და მის მთავრ ტახტზედ ავიდა მისი შემკვიდრე — კარლო. პარლამენტი აღტაცებით მიგება კარლოსს, რადგან დიდი იმედი ჰქონდა იმისი, ახალ მეფეს და მის მამის მშორის დიდი განსხვავება იყო. კარლოსს ნამდვილი მეფური შეხედულება ჰქონდა. არც თვისი შინაგანი თვისებებით წაჰგავდა, კარლო თვის შეძავს, მხალს და ყბედ მამას. კარლოსს ძრიელ სურდა სამეფოს რიგაიანად მართვა-გამგეობა, მაგრამ საუბედუროთ შეფის უფლებებზედ ამასაც ისეთივე შეხედულება ჰქონდა, რო-

გორც მის მამას—იაკობს: მამასავით დარწმუნებით იყო იგიც, რომ მეფეს უფლებები უფლისაგან აქვს მინიჭებული, რომ მეფე კანონზედ მალლა სდგას, რომ სრულიადაც სჯულდებული არ არის მისთვის, ამ კანონების აღსრულება და მას ქვეშევრდომთა უფლებები მის ხელშია.

პარლამენტი მალე დარწმუნდა, რომ სულ ტყუილად ჰქონდა ახალი მეფის იმედი.

§ 4.

კარლო პირველი.—უკანონო გადასახადები.—პარლამენტის მოწოდება.—დეონ ელიოტ.—მისი სიტყვა იმის შესახებ, თუ ვინ არის პასუხის მგებელი პარლამენტის წინაშე: მეფე თუ მისი მინისტრები.—პარლამენტი გერცოგ ბუკინგემს პასუხის გეზაში აძლევს.—მეფის და გერცოგის ყოფაქცევა.—მეფის ბუქარები.—ელიოტის სიტყვები.—უკანონო გადასახადები.—ხალხი უარზე გადაიბადოს ფული პარლამენტის დაუდგენლად.—ომი საფრანგეთთან.—პარლამენტი ათას ექვსას ოცდა რვა წელს.—როგორ არიგებს და ემუქრება მეფე პარლამენტს.—პეტრია უფლებების შესახებ.—სათემო პალატა ხელ-ახლა აძლევს ბუკინგემს პასუხის გეზაში.—ბუკინგემის სიკვდილი.—არბივის კოპოსი ლოთი დასაეკლესიო ცკობები.—პარლამენტის დადგენილებანი.—ათას ექვსას ოცდა რვა წელს შეკრებილ პარლამენტის დათხოვნა მეფისაგან. პურიტანების გადასახლება ახალ ქვეყანაში. თურთმეტი წელი უპარლამენტოდ. კიდევ უკანონო გადასახადები. ხალხის უკმაყოფილება. სანავოსნო გადასახადი. სამსჯავრომ ეს გადასახადი კანონიერად სცნო. დეონ გემპდენის უარი ამ გადასახადზე.—მსჯავრი გემპდენის მოქმედებზედ. სამსჯავროს გადაწყვეტილება. ამბობება შოტლანდიაში.

კარლომ მეფობა თავის მამასავით დაიწყო, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იგი პარლამენტს. თავის მახლობლებს და მრჩევლებს კი დიდ უფლებებს და ნებას აძლევდა. პარლამენტმაც დაჰკარგა მეფის ნდობა და მხოლოდ ერთის წლის ვადით მისცა მას უფლება ზოგიერთ გადასახადებისა, თუმცა ტრუდორების დროიდან მეფეს ასეთი უფლება ეძლეოდა პარლამენტისგან მთელი მეფობის განმავლობაში. მეფემ შეურაცხყოფად მიიღო პარლამენტის ასეთი მოქცევა, უარყო ეს მცი-



რედი მოწყალება, დაითხოვა პარლამენტი და თვისი ნებეზი ხალხს სწორედ ის გადასახადები დაადვა, რომლებზედაც მას უარო უთხრა პარლამენტმა; მაგრამ ფული კიდევ მალე დასჭირდა მეფეს. ისპანიასთან ომი ძრიელ ცუდად წავადა და რაც ხაზინაში ფული იყო ამ ომს დასჭირდა. მეტი გზა არ იყო, მეფეს პარლამენტი უნდა შეეკრიბა. ამ პარლამენტში თავი იჩინა ვინმე დეონ ელიოტმა. დეონი, გონიერი, განათლებული, კეთილშობილი ხასიათის და მამაცი კაცი იყო. გაიხსნა თუ არა პარლამენტი, დეონ ელიოტმა მრისხანებით და სასტიკის კილოთი მოითხოვა, გამოეკვლიათ, თუ რა მიზეზის გამო გათავდა ასე უბედურად ომი ისპანიასთან.

„მე ვატყობ, რომ აქ სახეში ჰყავს პარლამენტს ლორდი პუგინგემი, მაგრამ იცოდეთ, რომ არვის არ მიეცემ ნებას ჩემს შახურებს ანგარიში მოსთხოვოს, მით უმეტეს მათ, რომელნიც მებძარებიან უმთავრეს საქმეებშიო“, — სთქვა მეფემ პასუხად. მეფეს თითქოს არ ახსოვდა, რომ ასეთი უფლება პარლამენტს მინიჭებული ჰქონდა თვით მისი მამის თანხმობით. ელიოტს სრულიადაც არ შეშინებია მეფის მწყრალი პასუხის. „არც ერთ საქმეში მეფე დამნაშავე არ არის, მაშისადაც არც პასუხი მოეთხოვება მას. თუ სამეფოს ცუდად განაგებენ, კანონებს არღვევენ, უსამართლობას და ძალადობას სჩადიან, აქ დამნაშავენი არიან მინისტრები, რომლებსაც სისრულეში მოჰყავთ მეფის უკანონო განკარგულებანი და არა თვით მეფე; ამიტომაც პასუხის გებაში უნდა მიეცეს მეფის უმთავრესი მრჩეველი გერცოგი ბუკინგემი და ლორდთა პალატამ უნდა გაასამართლოს იგიო“, — სთქვა ელიოტმა.

სანამ მეფე ხალხის სამართლიან უკმაყოფილებას და საჩივრს არ მიაქცევს ყურადღებას, ნუ მიეცემთ მეფეს ფულსაო, დაადგინა პარლამენტმა.

მეფემ სასახლეში მოიხმო დეპუტატები და უბრძანა მათ, ყოვლის უარის უთქმელად და უპირობოთ მომეციეთ ფულიო:

„თქვენ მხოლოდ მსჯელობის და მსჯავრის უფლებას გეძლეო“
— დასძინა მან.

მეფემ დებუტატები შემდეგის მუქარით გაისტუმრა:
„მსურს დაეითხოვ, მსურს არ დაეითხოვ პარლამენტს; თუ
დაეინახე, რომ პარლამენტი ურიგოდ იქცევა, იცოდეთ, იმ
წამსვე დაეითხოვ. წადით და ეს კარგად დაიმახსოვნეთ“.

პარლამენტი სრულიადაც არ შეშინებულა ასეთის მუქა-
რით: სათემო პალატამ ერთხმად დაადგინა, ბუკინგემი პასუხის
გებაში მიეცათ. ეს ბრალდება წარედგინა ლორდთა პალატას
სწორედ ბუკინგემის იქვე ყოფნის დროს. დაცინვის სახით
წლისმინა ბუკინგემმა ეს ბრალდება. ის ღრმად დარწმუნებული
იყო, რომ პარლამენტი მას ვერას ავნებდა. დეონ ელილიოტი
საშინლად ააღილეა ბუკინგემის ასეთმა უნამუსო საქციელმა.
ლორდთა პალატადგან დაბრუნების შემდეგ მან შემდეგი ცხა-
რე სიტყვა წარმოასთქვა სათემო პალატაში.

„ბუკინგემმა გაფლანგა ჩვენი ქონება, მან დასკარა სა-
ხელმწიფო ხაზინა და ამის შემდეგ გვეუბნებიან, ნურას ილა-
პარაკებთ, ნუ ეძრებთ, რაინა საქმეა. მისი ფუფუნებით და
განცხრომით ცხოვრება, მისი საუცხოვო შენობები, მისი ზო-
მას გადასული ხარჯები, ნუ თუ ყოველივე ეს არ ამტკიცებს
ბუკინგენისაგან ხაზინის გაფლანგვას! თქვენ კარგად იცნობთ
იმ ვაცსა და კარგად იცით, თუ რის ღირსია იგი; მე გადმომი-
ციე იგი თქვენთვის და თქვენი საქმეა, როგორ გადაწყვეტი-
ლებას დაადგებით მის შესახებ. გახსოვდეთ კი ყველას—რაინ-
დებო, მოქალაქეო და ვაქრებო, რომ ბუკინგემია მიზეზი
ჩვენი ყოველგვარი უბედურობისა. მისი მიზეზით გვეწვიო ჩვენ
უბედურება და შეუსწრებელია ამ უბედურებას ბოლო მოე-
ლოს, სანამ მისი მიზეზი არ მოისპობა“.

ამ სიტყვაზედ პასუხის ნაგეერ, მეფე თვითონ გამოაცხა-
და ლორდთა პალატაში და სთქვა: გერცოგი სრულიად დამ-
ნაშავე არ არის, რადგან იგი მხოლოდ აღმასრულებელია ჩემი



მეფურის ბრძანებისაო. შემდეგ ელლიოტი და ჰუტატი მეფემ დააპატიმრებინა.

პარლამენტი იმ წამსვე შესწყვიტა მსჯელობა და დაადგინა, აღარ განეხილებინა იგი, სანამ დებუტატებს არ გაანთავისუფლებდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ დებუტატები განათავისუფლეს და თან მეფემ ეს ურჩი პარლამენტის დაითხოვა, მაგრამ ფული ისევ წინდებულად საქირო იყო.

მეფემ ისევ ნაძალადვე სესხს მიმართა. ხალხმა ერთხმად უარი განაცხადა. კაპიტსაც არ გადავიხდით პარლამენტის ნება-დაურთველადო, გაიძახოდა იგი. სულ ტყუილად არწმუნებდნენ მას მსაჯულები, ნება-ყოფლობით შეწირულება კანონიერია, რადგან უწინდელი მეფეებიც მიმართავდნენ ხალხს ასეთ ღონისძიებასო.

პარლამენტი, უპარლამენტოდ გადასახადის შეკრება შეუძლებელიაო, გაიძახოდნენ დაჟინებით. ორი ძროხის მეტი რომ არა გაგვანდეს რა, ერთს სიამოვნებით გავყიდით და ხაზინაში ფულს შევიტანთ, ოღონდ პარლამენტი იყოს ამის თანხმად, ამბობდნენ ფერმერები.

შეაგროვეს ცოტაოდენი ფული და ისიც დიდის გაჭირვებით; ტყუილად ჰქადაგებდნენ მღვდლები და ებისკოპოსები, მეფე სრულიადაც არ არის ვალდებული პარლამენტის თანხმობას მოუტადოს, როცა მსურს ახალი გადასახადი შემოიღოსო; ამოდ ემოქრებოდნენ იგინი ხალხს, საიქიოს საუკუნო სატანჯველი მოგელის. თუ მეფეს ურჩობას გაუწევო; არავინ არ აქცევდა ყურადღებას სამღვდლოების მუქარას და ქადაგებას. ფერმერები ქალაქებიდან მეფის მოხელეებს ერეკებოდნენ. შვიდი წევრი ცხადათ ეწინააღმდეგებოდა უკანონო გადასახადების შემოღებას. ლორდი მთავარ-მსაჯული მეფემ თანამდებობიდან გადააყენა, რადგან იგი ნაძალადვე სესხს უკანონოდ სთვლიდა. ორასი ნემამულე აზნაური დააპატიმრეს, მაგრამ საქმეს არა ეშველა-რა: აზნაურები შინც უარზედ იდ-

გენს; ბოლოს მეფემ თვის საიდუმლო საბჭოში მიმართა მათ და ჰკითხა: „რა მიზეზია, რომ ფული არ შემოგაქვთ?“ „მედილი სიამოვნებით მივცემდი ფულს მეფეს, რომ არ მეშინოდეს წყევის, რომელიც დიდ ხარტიაშია მოყვანილიო“, — უპასუხა ერთმა აზნაურმა. ამ სიტყვებისათვის აზნაური დიდი ხნით დააბატიმრეს. უკმაყოფილება თანდათან მატულობდა. გერცოგ ბუკინგემს ეგონა, ბრძოლის ველზედ გამარჯვება მიიღო უშველიდა მას; ამიტომაც მან შეიღი ათასი ჯარის კაცთ გაილაშქრა საფრანგეთის წინააღმდეგ, იქაური პარლამენტანტების დასახმარებლად, მაგრამ ეს გალაშქრება მით დაბოლოვდა, რომ ორი ათასი ინგლისელი მოკლა და დანარჩენები შინ დაბრუნდნენ. უიმისოდაც დავალიანებული მეფე ბუკინგემის ასეთმა ქცევამ უფრო დაავალიანა, მეფე იძულებული შეიქნა ათას ექვსას ოცდა რვა წელს პარლამენტი შეეკრიბნა. ამ პარლამენტში ბევრი ისეთი პირი მოაპყვა, რომლებმაც წინანდელ პარლამენტში სახელი გაითქვეს. სათემო პალატამ გადასწყვიტა, სიტყვაც არ ეთქვა ფულების შესახებ, სანამ არ აღადგენდნენ მის უფლებებს. მეფეს კი აი რა ჰქონდა ნათქვამი საპარლამენტო სიტყვაში: „პარლამენტმა უნდა იღასრულოს თავისი მოვალეობა და დახმარება გაუწიოს მეფეს, როცა იგი შევიწროებულ მდგომარეობაშია; ღმერთმა ნუ ქნას და, ვინიციობაა, პარლამენტმა მეფეს დახმარებაზედ უარი უთხრას, მაშინ მეფე მიმართავს სხვა საშუალებებს, რომელნიც მისთვის ღმერთს მიუნიჭებია; სასურველია ეს სიტყვები პარლამენტმა მუქარად არ მიიჩნიოს, რადგან მეფისათვის დიდი დამცირებაა, როცა იგი ვუქრება ისეთ პირებს, რომელნიც მისა თანასწორნი არ არიან. მან პარლამენტს მოაუწოდა თვისი მოწყალების და არა გაქირვების გამო“. არავითარი ყურადღება პარლამენტმა ამ სიტყვებისათვის არ მიუქცევია. უპირველესად ყოვლისა მან შეადგინა „პეტროლია თვისი უფლებების შესახებ“.

— ჩვენ უნდა აღვადგინოთ ჩვენი ძველი უფლებები, ჩვე-



ნი წინაპრების კანონები და მივსცეთ მათ ისეთი მათა, მომავალში ვერავინ შესძლოს მათი დარღვევაო, — ამბობდნენ სათემო პალატის წევრნი.

პეტიციაში უფლების შესახებ პალატამ შემდეგი მუხლები შეიტანა:

ა) გარეშე პარლამენტის დადგენილებისა ამიერიდგან აღარ იქნეს შემოღებული არც ერთი გადასახადი.

ბ) შეუძლებელია ვინმე დაპატიმრებულ იქნეს ან დასჯილი, ან ქონებაზედ ხელ-აღებული, თუ არ კანონიერი მსჯავრის ძალით.

გ) აღკრძალული იქმნეს ამიერიდგან მშვიდობიანობის დროს სამხედრო კანონების ხმარება და სხვ..

14 ეს პეტიცია შემდეგი სიტყვებით თავდებოდა: „ყოველივე ამას ლორდები და თემი თქვენ დიდებულებას სთხოვენ, როგორც თავიანთ უძველეს უფლებებს და თავისუფლებას. კეთილ ინებეთ, თქვენო დიდებულებავ, რათა მოწყალებით გამოცხადებულ იქმნეს თქვენი ნება და სურვილი, რომ ყველა თქვენი მოხელენი და მინისტრები თანახმად სახელმწიფოს კანონებისა ასრულებდნენ თავიანთ თანამდებობას. ამას მოითხოვს თქვენი დიდებულების ღირსება და თქვენი სამეფოს კეთილდღეობა“. სანამ მეფის პასუხს მიიღებდნენ, დეონ ელიოტმა წინადადება მისცა პარლამენტს, მეფეს მეორე პეტიცია მივსცეთ და დავანახოთ მას, რომ სახელმწიფო საქმეები მეტად ცუდად მიდიან და მოვთხოვოთ ბუკინგემის თანამდებობიდან გადაყენებაო. ბუკინგემის სახელის ხსენებაზე წამოდგა სპიკერი, შეაწყვეტინა სიტყვა ელიოტს და განაცხადა:

მე მივიღე მისი დიდებულებისაგან ბრძანება, შევაჩერო ის, ვინც ცუდად მოიხსენიებს მინისტრებსო.

ამ სიტყვების შემდეგ სამარისებურმა სიჩუმემ მოიცვა პარლამენტი, ელიოტიც გაჩუმდა და დაჯდა.

ძნელი წარმოსადგენია იმაზედ უფრო საგრძნობელი სუ-



ეროვნული

პარლამენტი

რათი, როგორსაც წარმოადგენდა იმ წამში ვაკანსიის, — ვკითხულობთ ერთ მაშინდელ წერილში. ზოგი სტიროდა, ზოგი იმუქრებოდა; ზოგი აუცილებელ დაღუპვას უქადდა თავის ქვეყანას, ზოგნი ჰკიცხავდნენ თავიანთ ამხანაგებს, რომელთაც კრებლები ვერ შეეკვივებინათ; ზოგს აღშფოთებისაგან სიტყვა ვერ ეთქვა. ბოლოს ერთმა წვერთაგანმა დაიძახა: „ერთადერთი მიზეზი ყოველი ჩვენი უბედურებისა — გერცოგი ბუკინგემია“.

პეტრიკას დასძინეს ბრალდებანი გერცოგის წინააღმდეგ და მეფეს მიართვეს. მეფემ მიიღო ეს პეტრიკა, რადგან იმედი ჰქონდა, რომ მით თავის საყვარელ გერცოგს განსაცდელისაგან დაიხსნიდა; სამაგიეროდ პარლამენტმა მეფეს ფული მისცა; თანაც რამოდენიმე კაცი ამოირჩია, რათა მეფისათვის მეორე პეტრიკა მიეცათ. მეფემ ძლიერ გულ-კვივით მიიღო დეპუტატები. ბუკინგემი იმ დროს იქვე იყო. მოისმინა რა მან პარლამენტის ბრალდება, მუხლი მოიყარა მეფის წინაშე და ლაპარაკი დააპირა.

„არა, ეორჯ, უთხრა მეფემ გერცოგს, ჩვენ ერთად უნდა დავიღუპოთ, თუ კი ეს აუცილებელია“.

ამ ხანად ბუკინგემი გადარჩა, მაგრამ მალე იგი პირადი შურას ძიების გამო ერთი აფიკრისაგან მოკლულ იქმნა. ამის გამგონი მეფე დაეცა სარეცელზედ და მორთო მწარედ ტირილი. ხალხი კი დიდად გაახარა ამ ამბავმა.

თუმცა ბუკინგემი მოჰკლეს, მაგრამ საქმე მაინც ცუდად მიდიოდა. „გერცოგი მოკვდა, მაგრამ მაინც თვითნებობა და უწესოება სუფევს ჩვენშიო, ამბობდა ელლიოტი. სხვა უბედურებას ზედ დაერთო ბრძოლა სარწმუნოებისათვის. კარლომ ლონდონის ეპისკოპოსად ლოოდნი დანიშნა და მას მიანდო საეკლესიო საქმეების მართვა. ლოოდს მსურდა ანგლიკანური და კათოლიკური ეკლესიები ერთი მეორისათვის დაეახლოვებინა. ანტიომაკ მას თანდათან პროტესტანტულ სარწმუნოების სიმვოლოში კათოლიკური სარწმუნოების მუხ-



ღებნი შექმნიდა. ამავე დროს ანგლიკანურმა ეკლესიამ ექვტი შესძლო თავისი დამოუკიდებლობის შერჩენა: იგი მეფისადმი მორჩილად მოაჩივრებდას იხნდა და მეფეს მხარს უჭერდა ყველა მის მისწრაფებაში, ღოღადი და სხვა ეპისკოპოსნი გამუდმებით ჰქადაგებდნენ, რომ თვით ქვეშევრდომნი, მათი პიროვნება და მთელი მათი ქონება მეფეს ეკუთვნისო. ათას ექვსას ოცდაცხრა წელს პარლამენტმა სავალდებულოდ სცნო მხოლოდ თვით პარლამენტისაგან მიღებული მუხლები სარწმუნოებისა. მეფემ დროებით პარლამენტი დაითხოვა, რომ მით ბოლო მოეღო სარწმუნოების გამო ატეხილ დავა-კამათისათვის. აუწყეს თუ არა ეს პარლამენტს, საშინელი არეულობა ასტყდა. დეპუტატებმა იძულებული ჰყვეს სპიკერი ხსდომა გაეგრძელებინა. დეონ ილლიოტი ადვა და ცხარე სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, თუ რამდენად პასუხის მგებელი არიან მინისტრები ხალხის წინაშე. ნათქვამი შემდეგის სიტყვებით დაბოლოვა მან: „ვინც პარლამენტს ლუპავს, მას თვით პარლამენტი დალუპავსო“. პარლამენტის დარბაზის კარები დაკეტეს; ეტყობოდა, რომ არაფერი ჩქარობდა მეფის ბრძანება აღესრულებინა და წასულიყო ღორღთა პალატაში მეფის განკარგულების მოსასმენად. იმავე დროს სათემო პალატამ დადგინა: „ყველა, ვინც ახალ რამეს შენაიღებს არსებულ ეკლესიის ღვთის მსახურების საქმეში, ან ცვლილებას შეიტანს მის მომღვრებაში და ვინც შემოიღებს ახალ გადასახადებს პარლამენტის დაუთანხმებლად, ის ჩაითლება სახელმწიფოს მტრად, ხოლო ვინც ხელს შეუწყობს ასეთ უკანონო მოქმედებებს, ის იქნება სახელმწიფოს და თავისუფლების მოღალატეო“.

მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობისა პარლამენტი დამოღლოს წაინც იძულებული შეიქნა მეფისათვის დაეთმო და დაშლილიყო. რამდენიმე დეპუტატი დააპატიმრეს, მათ შორის ელლიოტიც; იგი მალე გარდაიცვალა ციხეში. ამის შემდეგ პურიტანებმა ამერიკაში გადასახლება იწყეს. აქ უკვე არსებობდა პურიტანების ერთი ახალშენი. გადასახლებულთა შორის



ბევრი ვაჭრებიც ერივნენ; იყვნენ აგრეთვე მღვდლები და მღვდლები. ერთი წლის განმავლობაში გადასახლებულთა რიცხვი სამი ათასამდე ავიდა. პარლამენტის დათხოვნის დროს მეფემ გამოაუცხადა თავისს ქვეშევრდომთ: ჩვენ რამოდენიმეჯერ მოაუწოდეთ ხალხის წარმომადგენლებს და საკმაოდ დავამტკიცეთ პარლამენტისადმი ჩვენი სიყვარული, მაგრამ წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა, უკანასკნელი აყალ-მაყალის და უწყსოვებების გამო, ჩვენ იძულებულნი ვართ მეგობართოდ სხვა გვარ მართვა-გამგეობის წეს-რჩეს. ჩვენ ჩავთვლით ჩვენის უფლებების მოცილედ მას, ვინც ეცდება და პარლამენტის გახსნის დროს დანიშნავსა*.

განვლო თერთმეტმა წელმა ისე, რომ პარლამენტი არ შეკრებილა. მეფეს სრულიადაც არ სურდა პარლამენტის მოსზობა. ის შაოლიოდ ხალხის დამშვიდებას ელოდა, რომ მერმე წინანდებურად მოეწოდებინა პარლამენტი; მანამდის კი მეფე დიდ ხარჯს გაჟრბოდა და, რაც შეიძლება, ცდილობდა სამეფოს საზინის გამდიდრებას. ჯერ კიდევ იაკობმა შემოავლო ლონდონს საზღვარი და აღკრძალა, გარეშე ამ საზღვრისა არავინ დისახლებულიყო. ლონდონის ზრდისთანვე, რისაკვირველია, ბევრი ამ საზღვრებს გარეშედაც სახლობდა. კარლომ ბრძანება გასცა, ან დაენგრიათ ამ საზღვარსგარეთ აშენებული სახლები, ან და მათ პატრონებს დიდძალი ფული უნდა მიეცა მეფისათვის. კარლომ თვით სამსჯავროც ფულის მოსაზოვებელ იარაღთ აქცია. ერთი რომ, იგი მსაჯულის თანამდებობას ჰყიდდა დიდძალ ფულიად, ხოგჯერ ათი-ათას მანეთადაც. როგორც ვიცით, ვარსკვლავიანი პალატა ფიცის გამტეხთ, მემამზობეთ და შეგქმულებს ასამართლებდა. ამ პალატას შეეძლო ყოველგვარი სასჯელი მიესაჯა დამნაშავისათვის, გარდა სიკვდილით დასჯისა. მეფეს ყველაზედ უფრო ის უხაროდა, როცა პალატა დამნაშავეს ჯარიმას მიუსაჯავდა. გარდა ყოველივე ამისა მეფემ ახლად შემოიღო ბაეები პარლამენტის დაუკითხავად და ნაძალადევის სენხის შესახებ ბრძანება გასცა. ურ-



ჩემს მეფე აპატიმრებდა და ჯარიმას ახდევინებდა. ერთი სიტყვით, მეფე ისე იქცეოდა, თითქოს სრულებით დავიწყებული ჰქონდა; რომ მან „მიიღო პეტიცია უფლებათა შესახებ“ და აღთქმა მისცა დეპუტატებს, ჩემს მეფურ სიტყვას აღვასრულებო. ხალხის უკმაყოფილება დღითიდღე მატულობდა, თუმცა მეფეს არწმუნებდნენ, ხალხი კმაყოფილია და არასოდეს არ დაგვირდება პარლამენტის მოწოდებაო. ამის მოლაპარაკე ბრმა კარის კაცნი ვერა ხედავდნენ, რომ ხალხი, ის იყო, ამბოხებას აპირებდა. ინგლისელები ათასობით სტოვებდნენ სამშობლოს. აზნაურობის უმეტეს ნაწილს სასახლიდან თავი შორს ეჭირა. მეფე ძლიერ არხეინად იყო. მას ეგონა—ინგლისელები სრულიად დავიმორჩილეო. მას დარდიც არ ჰქონდა იმის, თუ რა აწუხებდა, რა ვარაში ჰქონდა ხალხს, რა გრძობები აღელვებდა მას. მიუხედავად იმისა, რომ მეფე დიდი ანგარიშის და ხელ-ნაჭერილი კაცი იყო, ბოლოს მაინც შემოაკლდა ფული და იძულებული გახდა შემოსავლის წყარო მოეძებნა. მან გადასწყვიტა ძველი გადასახადის შემოღება, რომელსაც უწოდებდნენ „სანავოსნო გადასახადს“.

ძველ დროს ზღვის პირას მდებარე ქალაქები ვაღდებულნი იყვნენ, საქიროების დროს მზად ჰყოლოდათ მეზღვაურნი და ხომალდები, ხოლო შენახვა ამ მეზღვაურთა და ხომალდებისა ვალად ედგათ განაპირა საგრაფოებს. კარლო პირველმა კი მოითხოვა და ისიც მაშინ, როცა ომის ხსენებაც არ იყო, რომ ასეთი გადასახადი ყველა საგრაფოებს ეძლიათ მისთვის. ცხადია, მეფის ასეთი მოთხოვა სრულიად უკანონო იყო: მან მოისურვა ეს გადასახადი „უმადლეს სამსჯავროს“ კანონიერად ეცნო. ამ სამსჯავროს შეადგენდნენ თორმეტ მსაჯულნი, დეონ ფრიჩის თავმჯდომარეობით. ფრიჩი მეტად პირმოთნე კაცი იყო. ზოგი მსაჯულთაგანი მუქარით შეაშინეს, ზოგი აღთქმით მოიშრეს და თორმეტ მსაჯულში ათმა დაადგინა: როცა სამეფო განსაცდელშია, ან როცა მას უბედურება მოეწლის, მის დიდებულებას სრული უფლება აქვს, თვის ქვე-

შევრდომთ მოსთხოვოს იმდენი გემი, მეზღვაურნი და ხარჯი რამდენიც საჭიროა; ხოლო ვინც ამაზედ უარს იტყვის, მას ძალით აასრულებინებენ მეფის გადაწყვეტილებას. რაც შეეხება იმას, თუ როდის მოელოს სამეფოს ასეთი განსაცდელი, ან როდის არის საჭირო ამგვარი გადასახადების შემოღება, ეს მეფის საქმეაო. ყველა მსაჯულებმა ამ დადგენილებაზედ ხელი მოაწერეს. შემდეგ წერიფებს ბრძანება მისცეს, რომ სანაოსნო გადასახადები ყველა საგრაფოებისათვის დაედეთ. ხალხი ამ ბრძანებას უარის უთქმელად დაემორჩილა, მხოლოდ ერთმა ნებატონემ, დეონ გემზდენმა, განაცხადა უარი. ბევრი უმტკაცეს გემზდენს, მეფეს აქვს ასეთი გადასახადის შეკრების უფლებაო, მაგრამ ამოდ: ის დაჟინებით ერთსა და იმავე პასუხს იმეორებდა: ვუ გადასახადი უკანონოა და მე სრულიადაც ვაღიარებუი არა ვარ გადავიხადო იგიო. ბოლოს გემზდენის საქმე მისივე სურვილისამებრ გადასცეს „უმაღლეს სამსჯავროს“, რომელიც თორმეტი მსაჯულისაგან შემდგებოდა. მსაჯულებმა გადასახადი კანონიერად სცნეს და დაადგინეს: გემზდენი ვაღიარებუი შემოიტანოს გადასახადიო. ამ რიგად გაიმარჯვა მეფემ, მაგრამ ასეთი გამარჯვება დამარცხებაზედ უარესი იყო, რადგან ყველამ ცხადად დაინახა, რომ ინგლისელების უფლებას მალე პოლო მოეღებოდა, თუ ისეთი მსაჯულები იქნებოდნენ სიმართლის დამცველნი, რომელნიც მზათ იყვნენ მეფის გულის მოსაგებათ, შავი გაითვთრებიათ და თეთრი გააშავებიათ. თუმცა მეფე სრულიად მოუროიდებლად ჰკრეფდა გადასახადს, მაგრამ ფულზედ მაინც ხელ-მოკლედ იყო. ამავე დროს შოტლანდიაში ამბოხებამ იფეთქა. ლოოდს ჰაურდა ინგლისში ანგლიკანური ეკლესია დამეყარებინა; შოტლანდიელ პროტესტანტთა შორის კი უმეტესობა პრესვიტარიანები იყვნენ. ფულის საჭიროებამ მეფე აიძულა პარლამენტი შეეკრიბა. მას ამელი ჰქონდა, შოტლანდიის ამბოხებით შეშინებული პარლამენტი ადვილად დაემორჩილებოდა მას, მაგრამ პარლამენტს ამ ამბოხების დარდიც არ



ჰქონდა; მისა სადარდელი ის იყო, რასაც თვითმეტყველება სწამებდა ინგლისში. უპირველესად პარლამენტმა მოითხოვა, რომ მეფეს ყოველგვარი ბოროტება მოესპო. ტყუილად ჰპირდებოდა მეფე პარლამენტს, საწაფოსნო გადასახადს მოესპობო. სამმა კვირემ დაევა-კამათში განვლო და ბოლოს გაგულისებულმა მეფემ პარლამენტი დაითხოვა. ეს პარლამენტი სულ სამი კვირა გაგრძელდა, ამიტომაც მას „მოკლე პარლამენტი“ ეწოდა.

§ 5.

გრძელი პარლამენტი.—დაუსრულებელი პეტციები პარლამენტში.—მოხუცი პიმი და მისი ახრი შეფეხედ, პარლამენტზედ და სათემო პალატაზედ.—რა ზომებს მიმართა გრძელმა პარლამენტმა.—სტრაფფორდის სიკვდილით დასჯა.—მეფის თანხმობა.—მეფის საჭიკრები.—ამბოხება ირლანდიაში.—პარლამენტის პეტიცია შეღისადმი.—დაევა პარლამენტში პეტაციების გამო—ორი პარტია პარლამენტში კავალერები და მრგვალ-თავიანები.—განხეთქილება ამ ორ პარტიათა შორის.—პარლამენტი მეფეს მტყველებს სთხოვს.—მეფე უარზეა.—მეფის სურვილი ხეთის დეპუტატის დაპატიმრებისა.—მეფე ამას ვერ ახერხებს.—მეფის შრისხანება.—მზადება ბრძოლისათვის.—ლორდთა პალატას ჰსურს მეფესთან შორიგება, სათემო პალატას კი ბრძოლა.—უკანასკნელი ცდა მეფესთან შორიგებისა.—პარლამენტი ბრძოლას იწყებს მეფესთან.—ჯერ პარლამენტი მარცხდება.—კემშირი შოტლანდიისთან.—პარლამენტის გამარჯვება—ოლივიერ კრომველი.—დაბალი შაამომავლობის აფიცრები და პურიტანები კრომველის ჯარში.—ახალი ჯარი და მისი აფიცრები.—პარლამენტი და ჯარი.—დაევა პარლამენტსა და ჯარის შორის სარწმუნოების თავისუფლად აღიარების გამო.—როგორ იქცეოდა ამ დროს კარლო.—პარლამენტს ჰსურს დაითხოვოს პურიტანების ჯარი და მის ნაცვლად მოჰკრიბოს პრესვიტერიანების ჯარი.—ჯარი ამაზედ უარს აწმობს და სარწმუნოების თავისუფლად აღიარების უფლებას თხოულობს.—ოფიცრთა საბჭო.—ოფიცრთა პეტიცია პარლამენტისადმი.—თურთმეტი წევრის გაშვება.—ოფიცრთა საბჭო ცდილობს მეფესთან შორიგებას.—მეფის გაქცევა შოტლანდიაში.—ჯარის კაცთა ფიცი.—ოთხმოცი დეპუტატის დაპატიმრება.—მეფის განსამართლება.—მეფის სიკვდილით დასჯა.

მეფემ პარლამენტი დაითხოვა, მაგრამ ხელ-ცარიელი კი დარჩა. შოტლანდიელები ამასობაში სამხლევარზედ გადმოვიდნენ. შემინებულმა მეფემ აღარ იცოდა რა ექნა. გრაფი სტრაფ-

ფორდი — ახალი მეგობარი შეთვისა, უჩრევლა მასკულარული და ყოყმანობისათვის თავი დაენებებინა და ემოქმედნა ბირ-ლა-ბირ და გაბედულად. შოტლანდიელები შოლტის ცემით უნდა გადასრეკო სამსუნდარს იქით და ნეაზზობე ინგლისელებს, როგორც მავალითად გემპლონია, წყებობით უნდა სცემოკო, ეუზნებო- და შეფეს სტრაფფორდი.

კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ შეშინებულმა მეფემ ხელ-ახლად მოუწოდა პარლამენტს. ამ პარლამენტს ეწოდა „გრძე-ლი პარლამენტი“. შეიკრიბა თუ არა პარლამენტი, ყველასა-თვის ცხადი შეიქნა, რომ ნეფესა და მის შორის საშინელი ბრძოლა ასტყდებოდა. პარლამენტის თითველმა წევრმა ური-ცხვი საჩივრები და პეტიციაები მოიტანა თან თავისს საგრაფო და დაბებიდგან. ამ პეტიციაების გასაარწევად შეადგინეს ორმო-ცი კომისია. სათემო პალატას იმ დროს მეთაურობდა სამოცი წლის მოხუცი — ბიმი. ბიმი თავისი გამბედაობისა და თამამი ლაპარაკისათვის ცნობელ ციხეშიაც იჯდა და წინა პარლამენ-ტის დროს დიდი სახელი გაითქვა. მისი აზრით პარლამენტი შეფეზელ მალლა უნდა მდგარიყო თავისი უფლებებით, ხოლო უმთავრესი ძალა სათემო პალატას ეკუთვნოდა. მართალია იმ დროს ეს ასე არ იყო, მაგრამ ბიმი იტყობდა, რომ მომავალ-ში აგრე უნდა ყოფილიყო პარლამენტი დიდია ვატაცებით შეუდგა თავის საქმეებს. ყველა უკანონო ზომები ერთ დღეს გააუქმა მან. ვარსკვლავიანი პალატა და მდილი კომისია ერ-თხმად მოსპო. პარლამენტმა ერთჯერ კიდევ განამტკიცა, რომ შეუძლებელია ბაჟი დაედვას რომელიმე საქონელს, თუ არ პარლამენტის თანხმობითაო. გარდა ამისა პარლამენტმა მიიღო სამწლიური ბილლი, რომლის თანხმაც მეფე ვალდებული იყო ყოველ სამ წელიწადში შეეკრიბა პარლამენტი. ეპისკო-პოსები პარლამენტიდგან სრულიად გააძევეს. პირველად მეფე არაფერზედ თანხმა არ იყო, მაგრამ შემდეგ, შოტლანდიში მომხდარ მოძრაობით შეშინებულმა, თანხმობა არჩია. სათემო პალატამ სტარაფფორტს ბრალი დასდგა სახელმწიფოს დღია-



ტში. სტაფეორტს სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილებაზე. მეფე
 ძალა-უნებურად ხელი მოაწერა ამ გარდაწყვეტილებას. შემ-
 დგე ამისა მოსალოდნელი იყო, რომ მშვილობა დამყარდებო-
 და და მეფესა და პარლამენტს შორის თანხმობა ჩამოვარდე-
 ბოდა. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარად დატრიალდა. მეფე სჩი-
 ოდა, პარლამენტმა ხელიდგან გამოიტაცა სხვა და სხვა უფ-
 ლებები და სრულებით არა ვარ ვალდებული აღვასრულო
 აღთქმული და შემთხვევით უკანვე წავიღო ის, რაც ძალით გა-
 მოსტაცენა; თავისს მხრივ მან ფიცი დასდვა, რომ ყოველ შემ-
 თხვევაში დაიცავდა პროტესტანტურ ხარწმუნოებას და ინგ-
 ლისელების უფლებებს. რადგანაც მანამდის პარლამენტს თვით
 მეფე დაითხოვდა ხოლმე, ამიტომაც სათემო პალატამ დაად-
 გინა: „არვის უფლება არ აქვს, დღევანდელი პარლამენტი
 დაითხოვოს; ის დაიშლება მხოლოდ თავისი ნებით“. მეფე
 ამ დადგენილებაზე თანხმა შეიქნა, თუმცა სიტყვიერად თანხ-
 მობა არ გამოუცხადებია მას; ამავე დროს ის თვარულად ეძიე-
 ბდა საფრანგეთის მეფის დახმარებას; თანაც იგი შოტლანდიას
 შეუპოვდა; ამასთანავე მეფე ხელს უწყობდა ამბოხებას, რომელ-
 მაც იმ დროს ირლანდიაში იფეთქა. ირლანდიაში იქაური კა-
 თოლიკები ინგლისის პროტესტანტების წინააღმდეგ აღზდგნენ
 და შეუბრალდებლად სდევნიდნენ ინგლისელებს. რამოდენიმე
 დღეში ორმოცდა ათი ათასი ინგლისელი მოსპეს. ამის შესახებ
 მეფე მშვილობიანად ლაპარაკობდა: „მე იმედი მაქვს, რომ
 უბედურება, რომელიც დღეს ირლანდიაში ხდება, ბევრს ჭკუ-
 აზურდ მოიყვანს და ინგლისში ახალ-ახალ სისულელებებს აწ-
 აღგილი აღარ ექნებაო. მეფეს ჰსურდა ამბოხებით ესარგებლ-
 ნა, შეეკრიბა ჯარი და მისი საშუალებით დაემორჩილებინა
 პარლამენტი. მეფის ასეთმა სურვილმა მოთმინებიდგან გამოი-
 ყვანა სათემო პალატის რამდენიმე წევრი. მათ წინადადება
 მისცეს პარლამენტს, მეფეს ახალი პეტიცია მიესცეო. ამ პე-
 ტიციაში აღნიშნული იყო მეფის ყოველგვარი ბოროტ-მოქ-
 მედება და უსამართლობა, პარლამენტის სამახსოვრო ქვეყნის

წინაშე, დაბრკოლებები, რომელნიც გადალახა განსაკუთრებით კარგად, რომელიც მომავალში მოელოდა მის.

ამ პეტრიციამ დიდი დავა-კამათი გამოიწვია პარლამენტში; ამ დრომდის პარლამენტში სრული თანხმობა არსებობდა. ახლა პარლამენტის ყველა წევრები ორ დასათ გაიყო, ლორდების უმეტესი ნაწილი და ზოგიერთი წევრები სათემო პალატისა სრულიად წინააღმდეგნი იყვნენ ახალი პეტრიციის. მათის აზრით პარლამენტის საქმე უკვე გათავებული იყო, ბოროტ-მოქმედებანი მოსპობილნი, მეფისაგან აღთქმა მიღებული, რომ იგი მომავალში იმეფებდა თანახმად სახელმწიფო კანონებისა. პარლამენტს უფლება არა აქვს ამაზე მეტი რამ მოითხოვოს, რადგან ეს ვითარება მეფის უფლებების დარღვევა იქნებოდა. სათემო პალატის უმეტესი ნაწილი და ზოგიერთი ლორდი კი ამის წინააღმდეგ ლაპარაკობდა.

— ვინ გვითავდებებს, რომ მეფე არ უმტყუნებს თავისს სიტყვას? მაგისთანა აღთქმა ჩვენ მეფე კარლომდისინაც გესმენია. თვისონ კარლო არ იყო, რომ მიიღო „პეტრია უფლებათა შესახებ“, მაგრამ ათი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოუწოდებია პარლამენტსათვის. ვინ გვითავდებებს, რომ მეფე ჩვეულებისამებრ არ დაივიწყებს თავისს სიტყვებს. არა, ახლა საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ მეფეს არ შეეძლოს პარლამენტის უფლებების დარღვევა“.

გაცხარებული დავის შემდეგ თერთმეტი ხმის უმეტესობით მიიღეს ახალი პეტრია და შიართვეს მეფეს. ნეფემ დადგინების სახით მოისმინა ეს პეტრია; ხალხი კი აღტაცებით მიეგება მას. ლონდონის მცხოვრებლები აქა-იქ თავს იყრიდნენ და ფიცსა სდებდნენ: ვიცოცხლოთ პარლამენტისათვის და მისთვისვე დავიბოცნეთო.

ერთხელ მეფის მომხრეებმა ამ ხალხის ბრბოს უწოდეს „მრგვალ თავიანები“, რადგან უბრალო ხალხი ჩვეულებრივად თავს ირგვლივ იკრეჭდა, ამიტომაც თავს შართლაც მრგვალი სახე ჰქონდა. ხალხმა კი მეფის მომხრე აზნაურებს უწოდეს



„კავალერები“; ასეთი სახელწოდება შერჩება მხოლოდ იმ ამ ორ პარტიის.

გავიდა ხანი, პარლამენტი დამშვიდდა, ჩაუფიქრდა თავისი ქცევის და თვითონვე შეეშინდა თავისი ცხარე, გამწვავებულ ღვა-კანათისა. უფრო ჩაკვირებულ პარლამენტის წევრთ ის მიაწნდათ საშისროთ და სახიფათოთ, რომ პარლამენტის ორ პარტიის შორის ასე გამწვავდა დამოკიდებულება; საქმე იქამდის მივიდა, რომ პარლამენტმა მცველებიც კი მოსახზოვა მეფეს.

უცხა ვხდებ, მე თვითონ დავიცავ პარლამენტის წევრებს, როგორც ჩემს შეილებსო, სთქვა კარლომ, მაგრამ შემდეგ სრულიად მოულოდნელად ლორდთა პალატაში გამოცხადდა პროკურორი და ბრალი დასდო ლალატში სათემო პალატის ხუთს წევრს, სხვათა შორის პიმს და გემპდონს. სათემო პალატაში პოლიციის ოფიცერი მოვიდა და მოითხოვა გადაეკათ მისთვის ბრალდებული წევრები. სათემო პალატამ უარი სთქვა ამზედ. ჯერ ჩვენ თვითონ უნდა განვიხილოთ, თუ რამდენად კანონიერია მეფის სურვილით, მიუგვს ოფიცერს; ამასთანავე მეფეს ხელშეორიდ მცველები სახზოვს.

მე მათ ხვალ მივცემ პასუხსო, სთქვა მეფემ, როცა პალატის აზრი გაიგო.

მეორე დღეს მეფემ სამასი ერთგული აზნაური იახლა და პარლამენტში წავიდა. „უფალო სპიკრო, ნება მიბოძეთ ერთ წამს თქვენი ადგილი დავიჭირო“ — უთხრა მან სპიკერს.

გადაავლო რა თვალი პარლამენტის წევრებს, მეფემ შენიშნა, რომ ხუთი მათგანი უკვე წასულიყვნენ და ცოტა არ იყოს შეკრთა.

„ბატონებო — დაიწყო მეფემ, — მეტად ვწუხვარ, რომ ასეთ შემთხვევაში მომიხდა აქ მოსვლა. გუშინ მე აქ ჩემი ოფიცრები გამოგზავნე რამოდენიმე წევრის დასაჭერად; რომელნიც დამნაშავენი არიან ლალატში. მეგონა, რომ თქვენ ჩემს ბრძანებას დავმორჩილებოდით, მაგრამ, როგორცა სჩანს, მე



შემცდარვარ; თქვენ არ უნდა დაჰფაროთ პარლამენტის მსურს გავიგო, არის თქვენს შორის დამნაშავე, თუ არა? პასუხის მაგიერ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა პარლამენტში.

„მე მათ მივაგნებ და ჩავიგდებ კიდევ ხელში,— განაგრძო მეფემ მუქარით“.

— აქ არის პიში? იკითხა მან ცოტა ხნის შემდეგ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

— სად არის პარლამენტის ხუთი წევრი?— ჰკითხა მეფემ სპიკერს.

— თქვენო დიდებულებავ, მე არაფრის თქმა არ შემძლიან, თუ არ პალატის ნება-რთვით, მიუგო მუხლ-მოყრით სპიკერმა.

— კარგი, ძლიერ კარგი, — განრისხებით დაიყვირა მეფემ, არაფერია, მე სხვებზედ უარესი თვალი არა მაქვს.

სანამ მეფე პარლამენტის წევრთ ათვალიერებდა, კაცს კრინტი არ დაუძრავს.

— ვხედავ ჩიტები გაფრენილან, მაგრამ იმედია დამეხმარებით და დამიბრუნებთ მათ; წინააღმდეგ შემთხვევაში ისევ მე დავბრუნდები მათ საძებნელად, სთქვა მეფემ და განრისხებული გამოვიდა პალატადგან. შერიფებმა სასტიკი ბრძანება მიიღეს დაებატირებინათ ხუთი დეპუტატი, რომელნიც ლონდონში იმალეზოდნენ, მაგრამ შერიფებმა მეფის ბრძანება არ აღასრულეს, ცხადი შეიქმნა, რომ შორიგება შეუძლებელი იყო და ორივე მხარე შეუდგნენ ბრძოლისათვის მზადებას. მეფემ ჩრდილოეთისაკენ კაცები აფრინა ჯარის შესაკრებად, თუმცა ეს დიდი უკანონობა იყო მისი მხრივ, რადგან მეფეს უფლება არ ჰქონდა საომრად გვეშვერდომებს მოწოდებისა, თუ არ ონი ომის ან ამბოხების დროს. მეფეს არც ჯარი ჰყავდა საკმაო, არც იარაღი და ფული გააჩნდა. თავის მხრივ პარლამენტიც შეუდგა ომისათვის მზადებას.

ლორდთა პალატას არ უნდოდა მეფის წინააღმდეგ ია-



რალით ბრძოლა, ამიტომაც იგი ურჩევდა სათემო პალატებზე მეფეს შერიგებოდა. ამის პასუხად სათემო პალატამ სთქვა: სათემო პალატა ბედნიერებად ჩასთვლის თუ თქვენი დახმარებაც ექნება, რომ ქვეყანა განსაცდელისაგან დაიხსნას; მაგრამ, ვინიცოცხაა ღორღთა პალატაც გადუდგეს და არ შეუერთდეს მას, ის მინც თავისას იზამს და შეასრულებს თავის მოვალეობას ქვეყნის წინაშე. შესძლებს თუ არა სათემო პალატა ქვეყნის დაცვას, ყოველ შემთხვევაში მინც მეტად სამწუხარო იქნება, თუ შთამომავლობას სწაფუძველი ექნება, სთქვას: ამ გაჭირვებულ ყოფაში მხოლოდ სათემო პალატა ცდილა სახელმწიფოს დაცვასაო.

მილიციამ ძლიერ მალე წიყარა თავი. ლონდონის მცხოვრებლებმა საჭირო ფული შეაგროვეს. პარლამენტმა ერთხელ კიდევ სცადა მეფეს შერიგებოდა. მან წინადადება მისცა მეფეს: მიეცეს პარლამენტს უფლება მინისტრების დანიშვნისა და დათხოვნისა, მეფის შვილების აღმზრდელების ამორჩევისა, სამოქალაქო, სამხედრო და საეკლესიო საქმეების ზედამხედველობისაო.

მე ხომ მაშინ აჩრდილი ვიქნები მეფისა და არა მეფეო, სთქვა პასუხად კარლო პირველმა.

ასტყდა ბრძოლა პარლამენტსა და მეფეს შორის. ოცდათორმეტმა პერმა და სათემო პალატის სამოცმა დეპუტატმა პარლამენტი დასტოვა და მეფეს მიემხრო. მეფემ ლონდონი დასტოვა და იორკისკენ გასწია. რადგან მეფე სარძოლველად მომზადებული არ იყო, პარლამენტს ეგონა ერთ შეტაკების შემდეგ გამარჯვება მას დარჩებოდა, მით უმეტეს რომ მეფის ხომხრეებს ჩხუბი არ სურდათ; მაგრამ რაკი გაიმართა თუ არა ბრძოლა, მეფის ყველა მომხრეები და კათოლიკეები შეერთდნენ; პარლამენტის ლაშქარი რამდენჯერმე ზედი-ზედ დამარცხდა; ხალხის მომხრე პარტია საფიქრებელში ჩავარდა და ხალხისი მოა-

კლდა. მისმა მხედრულმა გატაცებამ იკლო და მორიგებმა ცხმა აამაღლეს მორიგება უნდა მოხდესო; ლონღონის ქალები პარლამენტის წინ იკრიბებოდნენ და ჰყვიროდნენ: „მორიგება, მორიგებაო“. სწორეთ ამ დროს ამხედრებულმა მეთაურებმა შოტლანდიასთან შეკავშირება გადასწყვიტეს. სათემო პალატის წევრები ეკკლესიაში შეიკრიბნენ და შემდეგი ფიცი დასდევს:

„ვფიცავთ ჩვენს და ჩვენის შეილები სახელს, რომ ძმები ვიქნებით; ვფიცავთ, რომ მოვსპობთ ჰაპის ბატონობას, ებისკოპოზებს და სხვა ამისთანა უბედურებას; ვფიცავთ, დავიცავთ პარლამენტის უფლებებს და შეღავათებს, დავიცავთ ხალხის თავისუფლებასო“.

შოტლანდიასთან შეკავშირებამ დიდი სარგებლობა მოიტანა; შეკრიბეს ახალი ლაშქარი. გამარჯვების სასწორი ხალხის მომხრეებისკენ გადიხარა. ერთი აფიცერის, ოლივერ კრომველის მეთაურობით, მათ რამდენჯერმე გაიმარჯვეს მეფის ლაშქარზედ. კრომველი მალე მიხვდა, რომ ომში გაუწვრთნელ ხელოსნების ბრბოს არ შეეძლო გამკლავება აზნაურების წინააღმდეგ, რადგან აზნაურები ძველადგანვე მიწვეულნი იყვნენ ბრძოლას და გამარჯვებას. კრომველის აზრით ასეთ მეთაურთ ვერ-ვინ გაემკლავებოდა, თუ არ კეთილ მორწმუნე და ღვთის ნიერი კაცები, რომელნიც ყოველ წამს მზად არიან შესწირონ სულიც და ხორციც თავიანთ სარწმუნოებას და საქმეს; ამიტომაც უწინარეს ყოვლისა კრომველმა შეჰკრიბა ათასი კეთილ-მორწმუნე და ღვთისნიერი კაცი და მათგან შეადგინა ერთი სამხედრო რაზმი; ამ რაზმში უსასტიკესად იყო აღკრძალულია ლოთობა, ყოველგვარი უკეთურება, ფიცი და სხვა. უბრალო ფიცისათვის ანუ უკადრისი სიტყვისათვის დაშნაშავეს ჯარიმა უნდა გადაეხადა. აი ასეთები უნდა მეთაურნიო, თავმოწონებით ამბობდა კრომველი.

იმ დროს ლაშქრის უფროსებათ დიდგვარეულობის პირებს ნიშნავდნენ ჩვეულებრივად. კრომველი კი ამბობდა; უმე-



თაურთათ ყოფნას ისა სჯობია, რომ უბრალო კაცთ მეთხოველებს ლაშქარსო; მე მოხარული ვიქნებოდი, რომ ჩემს ლაშქარში აზნაურები ყოფილიყვნენ, მაგრამ სად არიან იგინი, რატომ არსად სჩანანო. ამიტომაც კრომველი ლაშქრის უფროსებთ უბრალო პირებს ნიშნავდა; გარდა ამისა კრომველი ლაშქარში დებულობდა პურიტანებს, თვითონ კრომველი პრესვიტერიანი იყო და მასთან სარწმუნოების აღიარების საქმეში სრული თავისუფლების მომხრე. ის წინააღმდეგი იყო უარყოფის და ზიზღის, რომლითაც აღესილნი იყვნენ პრესვიტერიანები პურიტანების მიმართ. მისთვის საჭირო იყო რიგიანი და კეთილ-მოქმედი კაცები და რადგან ასეთი პირების აღმოჩენა მხოლოდ პრესვიტერიანელთა შორის ძნელი იყო, ამიტომაც იგი ჯარში ყველა პურიტანებს დებულობდა. „როცა მეომრებს ვირჩევთ, არაერთგვაროვანი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ იმის, თუ რას ფიქრობენ იგინი, და რა აქვთ გულში; ხაკმაოა, რომ იგინი პატიოსანი და სანდონი იყვნენო“, ამბობდა კრომველი. კრომველს სურდა, რაც შეიძლება მალე გათავებულიყო ბრძოლა, როგორც პარლამენტის წევრი, ამასვე ამბობდა იგი პარლამენტშიაც. — თუ ჩვენ ბრძოლის დაბოლოება სადღე-ხელით ვადავდევით, მთელი ხალხი შეგვიძულდება და საქმე იმით ვათავდებთ, რომ პარლამენტის სახელის ხსენებაც შესძავდებაო, ამბობდა იგი. მაგრამ ძველი უფროსების მეთაურობით გადაჭრით მოქმედება შეუძლებელი იყო. მაგათ გამარჯვების ეშინოდათ, იმეორებდა კრომველი. აზნაურებს არ სურდათ მფხვის სრულიად მოსაპოება; ნათ სურდათ მხოლოდ შეეშინებინათ მფხვ და იძულებული გაეხადათ იგი, ემეფათ თანახმა კანონისა; ამიტომაც კრომველი უმტკიცებდა პარლამენტს, შეუძლებელია გავიმარჯვოთ, თუ სხვა გვარად არ მოვაწყუთ ჯარი და ძველი აფიცრები არ დავცვალებთო. აფიცრები უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ პარლამენტის წევრნი, ახე რომ ჯარი პარლამენტის ხელში იყო. კრომველის შეცდინებთ პარლამენტმა დააკანონა ბილლი, რომლითაც პარ-



ქართული

ბეჭ

ლაშენ ტის წევრს აღეკრძალა სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობაში ყოფნა: ამ რიგად გაწყდა კავშირი, რომელიც არსებობდა პარლამენტს ჯარს შორის, როცა ჯარის უფროსებად პარლამენტის წევრნი იყვნენ. ახალი ჯარის შესადგენათ საჭირო შეიქნა ოცი ათასი პატროსანი და მარწმუნე კაცი და სამხედრო აფიცრების შესაფერი რიცხვი, ჯარის კაცებათ მიღიოდნენ ფერმერები, წვრილი ვაჭრები და ხელოსნები. აფიცრები კი ყველა წოდებიდგან იყვნენ, ბოლო უმეტესობა ეკუთვნოდა წვრილ ახნაურობას. ერივნენ აგრეთვე დაბალი წოდების აფიცრებიც. კრომველი კი, იმისდა მიუხედავათ, რომ პარლამენტის წევრი იყო, მაინც დარჩა სარდლოდ, რადგან იგი უნიჭიერესი წინამძღოლი იყო და უიმიოთ ბრძოლის გაგრძელება შეუძლებლად მიაჩნდათ; გარდა ამისა მას ჯარის კაცები თითქმის აღმერთებდნენ, სწამდათ თვითთელი მისი სიტყვა და მზათ იყვნენ იმის გულისათვის ცეცხლში ჩამდგარიყვნენ. თავისს მხრივ კრომველსაც ძლიერ უყვარდა თავისი ჯარი და ყოველთვის იცავდა მას პარლამენტში. ამ ჯარმა მეფე საშინლად დაამარცხა. დამარცხებული მეფე შოტლანდიაში გაიქცა. მოსალოდნელი იყო, დამარცხებული მეფე პარლამენტის პირობებს მიიღებდა, მომავალში კანონიერად იმეფებდა და მშვიდობიანობა დამყარდებოდა, მაგრამ ასეთი მოლოდინი არ გამართლდა. საქმე აი რაში იყო: უმეტესი ნაწილი პარლამენტის წევრებისა პრესვიტერიანებისაგან შესდგებოდა; ამით სურდათ ინგლისში პრესვიტერიანობა გავრცელებულიყო, ერეტიკოსები ანუ არა პრესვიტერიანები კი დევნილიყვნენ. ჯარი თითქმის მთლათ შესდგებოდა დამოუკიდებლებისგან, რომელნიც სრულიათ უარს ჰყოფდნენ ყოველგვარ არსებულ ეკლესიას და დადგენილს სარწმუნოების სწავლას. იგინი სარწმუნოების ილიარებაში სრულით თავისუფლების მომხრენი იყვნენ. ძლივემოხილი ჯარის კაცები ამბობდნენ: ჩვენ ვესურს პარლამენტმა სკნოს, რომ თითველს უფლება აქვს სრულიათ თავისუფლათ აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც მას მოსწონს და ირწმუნოს ღმერთი ისე,



როგორც ამხილებს მას სინიდიდისიო. კრომველიმ მათსავე მოაბრუნა პარლამენტთან, რომ ამათი სურვილი დაეკმაყოფილებინა მას; თუმცა პარლამენტში იყვნენ დამოუკიდებულნიც, მაგრამ როგორც ვსთქვით, უმეტესება პარლამენტის წევრთაგანი იყვნენ პრესვიტერიანები, რომელნიც, დამოუკიდებლებს ძლიერ ეწინააღმდეგობოდნენ. ეს იყო მიზეზი ჯარსა და პარლამენტ შორის არსებული განხეთქილებისა.

ამასობაში მეფე კარლო პირველი პარლამენტმა ხელში ჩაიგდო. დამარტყების შემდეგ კარლო ორპირობას დაადგა: მას პრესვიტერიანებთანაც ჰქონდა მოლაპარაკება და დამოუკიდებლებთანაც, პარლამენტთანაც და ჯართანაც; ერთსაც ამღევდა სიტყვას და მეორესაც, თუმცა არც ერთს აღთქმას არ უსრულებდა. კავალერები და თვით დედოფალი თვალცრემლიანი ევედრებოდნენ მას, შერიგებოდა პარლამენტს და პრესვიტერიანებს, მაგრამ მეფე უარზედ იყო.

— „მე ჯერ კიდევ არ დამიკარგავს იმედი, პრესვიტერიანები ანუ“ დამოუკიდებელი მოვიძებო, ნოვსპო ჩემი მოწინააღმდეგენი და შევიქნე ნამდვილი მეფეო, სწორდა იგი.

რადგან მეფე ახლა პარლამენტის ხელში იყო, მას ჯარი აღარ ესაჭიროებოდა; ამიტომაც პარლამენტმა დაადგინა ჯარის დათხოვა. მაგრამ რადგან საჭირო იყო ირლანდიაში ამბოხების ჩაქრობა, იმავე დროს პარლამენტმა გადასწყვიტა ახალი ჯარის შეკრება; ამ ახალ ჯარში აფიცრებათ პრესვიტერიანები უნდა ყოფილიყვნენ. ჯარის კაცებმა განაცხადეს: ჩვენ არ დავიშლებით, სანამ არ მოგვეცემა სრული უფლება ჩვენის სარწმუნოების თავისუფლათ აღიარებისა და არც გვსურს ნოვსპოდნით ჩვენ საყვარელს აფიცრებსო; აფიცრებმა კი ამბოხება გადასწყვიტეს, თუ, ვინიცობაა, მათ ჯარს მოაშორებდნენ. პარლამენტმა ამას არა ვითარი უურადლება არ მიაქცია და ბრძანება გასცა, პრესვიტერიანების ჯარი შეეგროვებინათ; ამავე დროს ძველი ჯარიც არ იშლებოდა. ეს ჯარი, როგორც ვიცით, ახალგაზდა ფერმერებისაგან, ზწვრილი ვაჭრებისაგან შესდგებოდა. მათ გადა-

სწყვიტეს დიადი საქმისათვის, იარალით ხელში, მარტოა ჯანგჯანგ-
 მოთ: მათ სურდათ დაეცვათ თავიანთი უფლებები სარ-
 წმუნოების თავისუფლად აღიარებისა. ბევრმა თავიც-
 შესწირა ამ სასიქადულო საქმეს. ჯარმა თვის შორის ამო-
 ირჩია აფიცრები. ამ აფიცრების საბჭომ დაადგინა: „არამცა და
 არამც არ დაეიშალნეთო“. ცხადი შეიქნა, რომ ჯარი პარლა-
 მენტს აღარ ემორჩილებოდა. აფიცერთა საბჭომ პარლამენტში
 პეტრეცია შეიტანა; ამ პეტრეციაში აფიცრები თხოულობდნენ
 სარწმუნოების თავისუფლად აღიარებას უფლებას. გარდა ამისა
 ჯარი თხოულობდა, რომ პარლამენტიდგან დაეთხოვათ თერ-
 თმეტი წვერი. ამ წვერებზედ ჯარს ეჭვი ჰქონდა, რომ იგინი
 მის და პარლამენტს შორის უკმაყოფილებას სთესდნენ, ასე-
 თი სურვილი უსამართლო იყო და პარლამენტს არ შეეძლო
 მისი ასრულება. მართლა, განა შესაძლებელია პარლამენტისა-
 თვის ჯარს ბრძანება მიეცა და პარლამენტი სამხედრო ძალის
 დამორჩილებოდა! მაგრამ პარლამეტმა ჯარის გულის მოსაგე-
 ბათ მართლაც განაძევა დასახელებული თერთმეტი წვერი და
 რამოდენიმე წვერს ჯარის საჩივრის გარჩევა მიანდო. აფიცრ-
 თა საბჭოს სურდა, როგორმე უპარლამენტოთ შორიგებოდა
 მფეფს. აფიცრებს ეგონათ, რომ დამარცხების შემდეგ მფეფ თან-
 ხმა იქნებოდა, სახელმწიფო კანონებისამებრ განეგო და მათ-
 თვის სარწმუნოების თავისუფლათ აღიარების უფლება მიენი-
 ქებინა. ამ მიზნით მათ მფეფს წარუდგინეს შორიგების პირო-
 ბები. ეს პირობები მეტად ხელ-საყრდენი იყვნენ მეფისათვის,
 მაგრამ მფეფ მაინც ხრიკებს თავს არ ანებებდა. მას ჯერ კი-
 დევ თავი დამარცხებულად არ მიიჩნდა და ეგონა, იგი უფრო
 საჭირო იყო ჯარისათვის, ვიდრე ჯარი მისთვის.

— „თქვენ უჩემოთ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიანთ,
 თქვენ დაილუპებით, თუ ჩემგან დახმარება არ გექნებათო, ეფუ-
 ბნებოდა იგი აფიცრებს. ჯარის კაცები გაშმაგებულნი იყვნენ
 მეფის ტყუილების და ყოყმანის გამო; ზოგიერთნი იმისაც კი
 დაპარაკობდნენ, რომ მფეფ სრულიადაც არ ირის საჭიროო;



მაგრამ ამის წინააღმდეგი იყო კრომველი; მას სურდა მეფის მოსპობა; მას მხოლოდ ის უნდოდა, რომ მეფე პატივის-მცემელი ყოფილიყო ხალხის უფლებებისა. ამიტომაც ცდილობდა იგი, როგორმე მორიგებოდა მეფეს და იმედიც ჰქონდა, რომ ამას მიაღწევდა. ამ დროს მოულოდნელიდ ხმა გაერკელდა, მეფე გაიქცაო და მართლაც გაიქცა იგი; მას უნდოდა ახალი ამბოხება მოეხდინა. ჯართან, პარლამენტთან და შოტლანდიასთან მეფეს საიდუმლო კავშირი შეეკრა და ნება მიეცა შოტლანდიელებისათვის, ინგლისელებს დასცემოდნენ. გაიგეს თუ არა ინგლისელებმა, შოტლანდიელი საზღვარზედ გადმოსულანო, იმუშასვე ინგლისში რამდენიმე ადგილას ამბოხებამ იფეთქა. იმავე დროს მეფისაკენ გადავიდა პარლამენტის რამდენიმე წევრი. მაშინ კრომველი დარწმუნდა, რომ მეფესთან საქმის დაჭერა აღარა ღირდა.

„დადგა დრო, როცა პარლამენტმა უნდა შეეველიოს სახელმწიფოს და მარტო მან განაგოს იგიო, ამბობდა კრომველი.“

მეფის გაგქცევამ ჯარი საშინლათ ააღელვა. ჯარის კაცებმა, სანამ შოტლანდიელების წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ, შემდეგი ფიცი დასდევს:— „თუ ჩვენ გავიმარჯოთ, ვფიცავთ, მოუწოდოთ კარლოს სტიუარტს, ამ სისხლის მსმელს“, სამსჯავროში და მოვსახოვოთ მას პასუხი მისგან დაღვრილი სისხლის შესახებ და აგრეთვე შესახებ იმ უბედურობისა, რომელშიაც ჩააგდო მან თავისი ხალხიო.“

ჯარმა გაიმარჯვა; მან სძლია კავალერები და შოტლანდიელები.

სწორეთ იმ დროს, როცა კრომველი იმარჯვებდა მეფეზედ, პარლამენტმა ბრალი დასდვა მას, როგორც მოღალატეს და ხელახლათ შეუდგა მეფესთან მოლაპარაკებას. მეფე ჩვეულებრივით ყოყმანობდა; მას იმედი ჰქონდა, რომ დახმარებას მიიღებდა ირლანდიელებისაგან. პარლამენტში კი ამ დროს პეტტიციები მოდიოდა გამარჯვებული ჯარის სხვა და სხვა რაზმებისაგან, მეფე პასუხის გებაში მისცესო. ამის პასუხათ პარ-

ლამენტმა მეფესთან მორიგება გადასწყვიტა. მაშინ მათგან კრებ-
მა შეიპყრეს დებუტატები—პრესვიტერიანები და დაპატიმრეს
იგინი. ვერც ამან შეარყია პარლამენტი. მან ხელმეორეთ და-
დგინა მეფესთან მორიგება. მეორე დილას აფიცრებმა კიდევ
ორმოცი წვერი დაპატიმრეს. ოთხმოცი წვერის დაპატიმრების
შემდეგ დამოუკიდებლობა პალატის უმეტესობა შეადგინეს
და მეფის პასუხის გებაში მიცემა გადასწყვიტეს. სათემო პალა-
ტამ ამოირჩია ორივე პალატის წვერთა შორის ასორმოც-და
ათი კაცი, რომელთაც შეადგინეს არა ჩვეულებრივი საბჭო.
ამ საბჭოს მიანდევს „მეფედ ყოფილის“ საქმე. ღორდთა პალა-
ტამ მოინდომა ამ სამსჯავროს წინააღმდეგობა, მაგრამ სათე-
მო პალატამ ღორდებს ასე უპასუხა:

—„ღუთის შემდეგ ხალხია წყარო ყოველ გვარი უფლე-
ბისა; სათემო პალატა არის ხალხისაგან ამორჩეული და სათე-
მო პალატის წევრი ამ ხალხის წარმომადგენელი არიან; ამი-
ტომაც ყოველ მათ დადგენილებას კანონის ძალა აქვს და მას
უნდა დაემორჩილოს ხალხი, თუნდა ამის თანხმა არ იყოს მე-
ფე და ღორდთა პალატა“.

კარლო პირველი სამსჯავროში გამოცხადდა. მან აქ განა-
ცხადა: ამ სამსჯავროს სრულებით არ აქვს უფლება ინგლისის
მეფე გაასამართლოს და თავის დაცვაზედ უარი განაცხადა.
სამსჯავროში მეფეს ვაჟკაცურათ და ღირსებით ეჭირა თავი. საქმე
ხუთი დღე გაგრძელდა. ბოლოს მეფეს განაჩენი წაუკითხეს:
მას მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, როგორც „მკვლელს და მამუ-
ლის მტერს“.

ეს ურიტები ხალხის თანა დასწრებით, ათას ექვსას ოთხმოც
და რვა წელს ოც და ათ იანვარს, ერთი მოქნვეით მოჰკვეთეს
თავი ზეგარდმოცხებულ კარლო პირველს.

ამისთვის დროს მიიღეს...
ესაშუალებდა სიუნიკის...
კნობისი...
მისთვის...
მისთვის...
მისთვის...

—ჯარს სძულს ეს პარლამენტი, რადგან იგი ცხადია დაეს დებუტატების ანგარებას და ზოგიერთი მათგანის უნეცხოვრებას; ხედავს, როგორ უსამართლოდ იქცევიან იგინი, როგორ იდვილიად არღვევენ კანონს კერძო სარგებლობისთვის, როგორ უჭმად ხიან ბევრი მათგანი, როგორ ცდილობენ ყველანი შეინარჩუნონ და დააცვან თავიანთი ბატონობა; საქირია ახალ არჩეულებს დაუთმონ მათ ადგილები, რადგან ასეთ პირებს არ შეუძლიათ, ქვეყანას უბატრონონ.

პარლამენტის დებუტატებმა კი დაადგინეს, რომ მომავალ პარლამენტშიაც იგინი დარჩებოდნენ წევრებათ და ისიც ხელახლა აურჩევლად.

ბოლოს კრომველმა ამ პარლამენტის ძალით გაძევება გადასწყვიტა. მან იახლა ჯარის კაცები, მივიდა პარლამენტში, ჯარის კაცები კარებთან დასტოვა, თითონ შევიდა შიგ და დაჯდა თავის ადგილზედ. პარლამენტი ამ დროს იმაზედ ბჭობდა, თუ როგორ უნდა არჩეულიყვნენ პარლამენტის ახალი წევრები. კრომველმა ჯერ ყური დაუგდო ლაპარაკს.

—მე მზევდი ისეთი საქმისათვის, რომლის გამო გული მისქდება, წასურბულა კრომველმა ერთ მის ახლო მჯდომს.

განვლო რამოდენიმე წუთმა.

—დადგა დრო, უთხრა მეორე წევრს კრომველმა.

—ფრთხილად, ეგ მეტად სახიფათო თამაშია, უბასუხა წევრმა კრომველს.

კრომველმა ცოტა კიდევ მოიცადა. გათავდა არჩევებზედ ლაპარაკი. ის იყო კენჭის ყრას აპირებდნენ. ამ დროს წამოდგა კრომველი და სასტიკი კიცხვით და ლანძღვით მიმართა დებუტატებს, რომ იგინი სრულიად არას აკეთებენ და მხოლოდ უსამართლობას სჩადიან.

—თქვენი დღეები დათვლილია, დადგა თქვენი განკითხვის დრო; თვით ღმერთმა იწყება ბოლო მოგვლასთ, დაასრულა კრომველმა სიტყვა.

აღშუოთებული დებუტატები თავიანთი ადგილებიდან

წამოსკვიდნენ: ივინი გაცხარებით იცავდნენ თანამოქალაქთა თვითკრომველს სდებდნენ ბრალს.

— კარგი, კარგი, კმარა, გეყოფათ, ბოლოთს ცემით აპყვიროდა კრომველი: მალე მოვუღებ ბოლოს თქვენ ყბედობას.

ამ სიტყვებმა საშინელი აღიაქოთი გამოიწვია პარლამენტში.

— თქვენ არა ხართ ღირსი, აქ იჯდეთ: საქირთა თქვენი მაგიერობა აქ სხვებმა გასწიონ, თქვენი ადგილები სხვებმა დაიჭირონ; თქვენ სრულიადაც არ შეადგენთ პარლამენტს, სთქვა კრომველმა და ანიშნა ჯარის კაცებს შემოსულიყვნენ. იმ წამსვე პარლამენტში შემოვიდა ოცდა ათი ჯარის კაცი და სათფშო პალატის წევრები პარლამენტიდგან გარეკა. შემდეგ კრომველმა პარლამენტიდგან სახელმწიფო საბჭოში გასწია და საბჭოს წევრებს უბრძანა დაშლილიყვნენ.

— ჩვენ ვიცით, როგორ მოექცეით თქვენ დღეს პარლამენტს, მაგრამ სკდებრით თუ ფიქრობთ, რომ პარლამენტი მართლა დათხოვნილია; არვის პარლამენტის დათხოვნა არ შეუძლია, თუ არ თვით პარლამენტს.

როცა ამ რიგათ მოისპო პარლამენტიც, შეფეც და სახელმწიფო საბჭოც, კრომველმა ხელთ იგდო თელი მართვა-გამგების საქმე; ის შეიქნა თელი სახელმწიფოს მმართველი. მიუხედავად ამისა, კრომველს ინგლისის ძველი კანონების თანხმად უნდოდა მოეწყო მმართველობის საქმე; მართალია მან გააძევა გრძელი პარლამენტი, მაგრამ დაუყოვნებლივ ახალი პარლამენტი შექრბა. ეს პირველი პარლამენტი იყო, რომელსაც კრომველმა მოუწოდა. მოტლანდიელების და ირლანდიის დებუტატები პირველად მოპყვენ პარლამენტში და ინგლისელი დებუტატების გვერდით დაიჭირეს სადებუტატო ადგილები.

კრომველის ეს ახალი პარლამენტი თავისუფალად არჩეულ პარლამენტს წარმოადგენდა, რადგან ამომრჩეველები, ვინც სურდათ, იმას ირჩევდნენ. ამ პარლამენტში ბევრი მოპყვა პრესვიტერიანებიც, რომელნიც გაძევებული იყვნენ „გრძელი პარლამენტიდგან“. ახალი პარლამენტმა კრომველს წინადადება მის-

ცა, პროტექტორად*) დარჩენილიყო. ამ წინადადებაზედ კრომველი თანახმა შეიქნა, მაგრამ პარლამენტსა და კრომველ შორის განხეთქილება ჩამოვარდა. კრომველი ვერ შეუძრივდა პარლამენტს, რადგან მისი აზრით ამ პარლამენტს ბატონობის დიდი სურვილი ჰქონდა. ახალი პარლამენტი მართლაც ცდილობდა თელი უმადლესი მართველობის საქმე ხელში ჩაეგდო; მას სურდა, გარდა კანონების გამოცემის და გადასახადების შემოღებისა, სახელმწიფოს ახალი თავიც მის გამგეობაში ჰყოფილიყო, და მას დამორჩილებოდა. ამის პასუხად კრომველი ასე ამბობდა: ინგლისელებისათვის და მათი თავისუფლებისათვის მეტად სახიფათო და საშიშია, თუ კანონის გამოცემის და მისი აღსრულების უფლება ორივე ერთი კაცის ანუ ერთი დაწესებულების ხელში იქნა, პარლამენტი იყოს იგი, განდ მეფეც; ესე იგი, მვენებელი და სახიფათოა კანონმდებლობითი და აღსრულებლობითი უფლებების შეერთება; ეს ორგვარი უფლება განცალკევებული, ერთი მეორისაგან განკერძოვებულნი უნდა იყოს; პირველი უნდა ეკუთვნოდეს პარლამენტს, მეორე სახელმწიფოს თავს. კანონები უნდა გამოსცეს პარლამენტმა; ამ კანონების თანხმად ხალხს უნდა განაგებდეს სახელმწიფოს თავი.

ამ ორგვარი უფლების მქონაი, პარლამენტი და სახელმწიფოს თავი, ერთი მეორეს თვალ-ყურს უნდა ადევნებდნენ, ერთმანერთს აკავებდნენ. დაე, ჰქონდეს პარლამენტს უფლება უარი უთხრას ფულზედ სახელმწიფოს თავს, თუ ხედავს იგი, რომ თავი ბოროტ-მოქმედებს ამ საშუალებით და უსარგებლოთ ფლანგავს ხალხის ქონებას, ხალხის ნაჭირნახულებს; მაგრამ, საჭიროა, თავის რიგზედ სახელმწიფოს თავსაც ქონდეს უფლება, დაითხოვოს პარლამენტი და ახალი შეჰკრიბოს.

გავისხენოთ, რომ ინგლისის ისტორიის დასაწყისიდან მეფესა და პარლამენტს შორის ბრძოლა არსებობდა; ამ ბრძოლის მიზანი სწორედ ის იყო, რომ ეს ორი ძალი: კანონმდებ-

*) პროტექტორი—მფარველი

ბელი და აღმასრულებელი ერთი მეორისაგან დამოუკიდებელი გაეხადათ და ისე მოეწყობათ საქმე, რომ იგინი ერთი მეორის შემკავებელი ყოფილიყვნენ. ასე რაჟმ კრომველის წადილი ახალს არას შეიცავდა; ის მხოლოდ დარწმუნდა, როცა სახელმწიფოს გამგე შეიქნა, რომ ინგლისელების სურვილი ამ ორი ძალის ერთი მეორისაგან განცელკევების შესახებ სრულიად სამართლიანი იყო.

მართლაც, როცა კანონების გამოცემის უფლება მთავრობის ერთ ნაწილს აქვს მინიჭებული; ამ კანონების აღსრულება კი—მეორეს, მხოლოდ მაშინაა შესაძლო სახელმწიფოში მშვიდობიანობა დამყარდეს, თითოეულმა მოსვენებით იცხოვროს და მუდამ შიშში არ იყოს, რომ სრულიად მოულოდნელად, უმიზეზოთ და უდანაშაულოთ დაიჭერენ მას, დააბატიმრებენ, დასჯიან, ხელს ააღებინებენ ცხოვრებ-ქონებაზე და სხვა. რა საკვირველია, მთავრობის ამ ორ ნაწილს შორის აღსაზვრული კავშირი უნდა არსებობდეს, მაგრამ მაინც თითოეული მათგანი დამოუკიდებელი უნდა იყოს ერთი მეორისაგან. ვთქვათ, როგორც კანონმდებლობის, ისე კანონის აღმასრულებლობის უფლება, პარლამენტის ხელშია, ან და მეფის ხელში; მაშინ ხომ პარლამენტი, ან მეფე, ისეთ კანონებს გამოსცემენ, რომელნიც ან მარტო ერთისათვის, ან მარტო მეორისათვისაა სასარგებლო და თითონვე იქნება კიდევ ამ კანონების აღმასრულებელი. კიდევ სჭირს და კიდევ კერაესო, რომ იტყვიან, სწორედ ამ გვარ შემთხვევაზედაა ზედ გამოჭრილი. მაშინ პარლამენტი ან მეფე ისე იმოქმედებენ, როგორც მათთვის ხელსაყრელია და მათი შემკავებელი კი არფინ იქნება.

ზემოთ ჩვენ გვქონდა ლაპარაკი იმაზედ, რომ სასამართლო სრულიად განცალკევებული უნდა იყოს; იგი არ უნდა იყოს დამოკიდებული არც კანონმდებელ და არც აღმასრულებელ დაწესებულებაზედ. ყოველი სახელმწიფოს მთავრობა სამ უმთავრეს ნაწილს ანუ მხარეს შეიცავს: ერთი ნაწილის

უფლები კანონმდებლობაა; მეორის უფლებას შეადგენს ამ კანონის თანხმად მოქმედება, მისი აღსრულება; მესამე ამ კანონის თანხმად ჰქმნის სამართალს; სხვებ რომ ესთქვაო, ყოველ სახელმწიფოში არიან კანონმდებელი, კანონის აღმასრულებელი და მოსამართლენი, ანუ კიდევ სხვებ — კანონმდებელი, კანონის აღმასრულებელი და მსჯავრის-მდებელი დაწესებულებანი. საქირთა, ეს სამი მხარე მართვა-გამგეოაისა, სამი სხვა და სხვა გვარი თანამდებობის აღმასრულებელი, სამ ნაირი დაწესებულება, ერთი მეორისგან დამოუკიდებლათ არსებობონენ, თავისუფლად მოქმედებდნენ იმ პირობით, რომ იგინი იმავე დროს ერთი მეორეს საზღვრავდნენ, ერთმანერთის შემკავებელი იყვნენ.

კრომველის პირველი პარლამენტი ლამოდა, თელი მართვა-გამგეობის საქმე, ყველა ზემო აღნიშნული უფლებები ხელში ჩაეგდო და უცილებელად გამკარგულბელი ყოფილიყო. კრომველი კი იმ აზრისა იყო, რომ სწორედ ესევე საქმე თვით განგებამ მას მიანდო, ამიტომაც არ სურდა, სხვისთვის დაეთმო იგი. რამოდენიმე შეტაკების შემდეგ კრომველმა დაითხოვა პარლამენტი და თითონ დატოვა ქვეყნის მმართველად როგორც მმართველი, კრომველი ისეთივე გამოდგა, როგორც იყო იაკობ პირველი და კარლო პირველი, არც მეტი, არც ნაკლები. იაკობ და კარლოსავით, კრომველიც პარლამენტის დაუკოთხავად აკრებინებდა გადასახადს.

ამასობაში ხალხმა ისევ მეფე გაიხსენა. ახლა ხალხი სულ სხვას ფიქრობდა დასჯილ მეფეზედ. იგი მეფეს იგონებდა, როგორც წამებულს; მან უკვე დაივიწყა მეფის უსამართლოება, მისგან შეიწროება, მისი ცუდი მმართველობა. ინგლისელებმა დაინახეს, რომ ვაის გაეყარნენ და უის შეეყარნენ. თუმცა მეფე აღარ იყო, მაგრამ ამით საქმე არ გაუმჯობესებულა, რადგან მეფის მაგიერ ახლა ჯარი უფროსობდა და ძალ-მომრეობდა. აქა-იქ ამბობებამ იჩინა თავი და მეფის შეილის დაბრუნებაზედ იწყეს ლაპარაკი. კრომველი უსასტიკეს ზომებს ხმა-

რობდა შეინახოების წინააღმდეგ და უღმობელის მისი ქვეყნით ამწვიდებდა მათ. ამწვიდობიანობის დასაცველად მან მთელი სახელმწიფო ათ სამხედრო ოლქათ დაჰყო; თითოეულ ასეთ ოლქს სამხედრო უფროსი განაგებებდა. უფროსს დავალებული ჰქონდა, ყველა ბაჰისტების და კათოლიკების საეჭვო პირები დაეპატიმრებია.

მაგრამ კრომველმა კარგათ იცოდა, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობა მართლ შიშის და ძალ-მოპირეობის საშუალებით შეუძლებელი იყო და ამიტომაც სურდა, ძველი კანონების თანხმად განეგო სახელმწიფო ამ მიხნით მან ხელ ახლა მოუწოდა პარლამენტს; მაგრამ რაღა პარლამენტი იყო იგი, ზოცა პარლამენტის წევრების თავისუფლად არჩევა შეუალებელი შეიქნა. სამოცი წევრი შოტლანდიიდგან და ირლანდიიდგან თითქმის ყველა თითონ კრომველმა დანიშნა. კავალერებს და კათოლიკებს, რომელნიც მეფისათვის იბრძოდნენ, ხმის უფლება წაერთვათ.

ამ პარლამენტმა კრომველს მეფობა მიიწოდა. პარლამენტი ამ შემთხვევაში ასე სჯიდა: უკეთესია ბარემ კრომელი იყოს მეფედ, ვინემ პროტექტორად; სხვა არა იყოს რა, მეფეები ძველი დროიდგან ემორჩილებოდნენ ჩენი ქვეყნის უმთავრეს კანონებს, მათი უფლებანი განსაზღვრული და შემოზღუდულნი იყვნენ ამ კანონების ძალით; პროტექტორის უფლებების შემოსაფარგლად კი არავითარი კანონიერი ზომები პარლამენტს ხელთ არ ჰქონდა. ინგლისელები ახლა ცხადად ხედავდნენ, თუ რა უბედურებაა, როცა ვისიმე უფლებებს კანონიერი საზღვარი არ უძვეს, მთელი ერთი თვე გაგრძელდა ზოლაპარაკება ამ კითხვის შესახებ პარლამენტსა და კრომველს შორის; ბოლოს კრომველმა მეფობაზედ უარი განაცხადა.

ჯარს არ უნდოდა, ვინმე გამეფებულიყო და კრომველიც ისევ პროტექტორად დარჩა. კრომველი ვერც ამ პარლამენტს შეეწყა. ერთხელ პარლამენტმა კრომველს რაღაც სურვილი არ შეუსრულა. გაჯავრებული კრომველი ჩაჯდა

ეტლში, იახლა თან რამოდენიმე კაცი და გასწია პარლამენტისაკენ; მივიდა რა პარლამენტში, ბრძანება გასცა — ორივე პალატა შეკრებილიყო.

შეიკრიბნენ დეპუტატი. კრომველმა მეტად მრისხანე სიტყვა წარმოხატვა.

— დამითხოვია ეს პარლამენტიო, დააბოლოვა კრომველმა სიტყვა. დაიშალა თუ არა პარლამენტი, კრომველი ახალის შეკრებას შეუდგა; მაგრამ სანამ პარლამენტი შესდგებოდა, იგი გარდაიცვალა კიდევ (სამს ენკენასთვის, ათას შვიდას ოთხმოც და თერამეტ წელს). თავის შემკვიდრედ კრომველმა უფროსი შვილი, რიჩარდი დანიშნა; რიჩარდი სუსტი და უმნიშვნელო კაცი იყო; იმისთანა არეულობის დროს მას ქვეყნის მართვა-პატრონობა არ შეეძლო.

ახალმა პარლამენტმა თავისი უკმაყოფილება ჯარის მიმართ ხმა-მაღლა გამოაცხადა.

— ამ ჯარმა არა თუ მტრები დაიმორჩილა, არამედ ისინიც, ვინც მას მოუწოდა. მან მოტლანდიასთან და ირლანდიასთან ერთად, ამზობებული ინგლისიც დაიპყრო, მოსპო მსაჯულები და გააქარწყლა კანონებიო.

პარლამენტმა დაადგინა: აფიცრები, რომელნიც ფიცს არ დასდებენ, რომ არ დაარღვევენ და არ შესწყვეტენ პარლამენტის თავისუფალ კრებებს, დათხოვნილ იქმნენ სამაანურიდგანო. თავის რიგზე აფიცრებმა რიჩარდს კრების დაშლა მოსთხოვეს. რიჩარდი იძულებული იყო აფიცრებს დამორჩილებოდა. მალე ჯარმა თვით რიჩარდიც უარჰყო.

ამავე დროს თვით ჯარში განხეთქილება ჩამოვარდა. გენერლები პირველობისათვის მეტოქეობდნენ. მათ შორის ერთიც არ იყო ისეთი, რომ დანარჩენები დაემორჩილებია და მეთაური გამხდარიყო. ერთი მათგანი, მოკი, სხვებს ვერ შეეწყო და მონდომებული იყო, კარლო მეორე მოეწვია; მან საუმჯობესოდ დაინახა ასე მოქცეულიყო, ვინც სხვა გენერლებს დამორჩილებოდა. ამ მიზნით მან, კარლო მეორესთან

მოლაპარაკება გამართა, თანაც შოტლანდიიდან ჯარით ლონდონს მივიდა, დაამარცხა იქ მყოფი ჯარი და თვით ქალაქიც აიღო. დანარჩენი ჯარის რაზმებიც ვერ გაუმაგრდა მონკს, რადგან იგინი ინგლისის სხვა და სხვა კუთხეებში იყვნენ გაფანტულნი. მონკმა ხანგრძლივი პარლამენტის ნაშთებიდან შეადგინა ახალი პარლამენტი; ამ დროს კარლო მეორემ მანიფესტი გამოსცა. ამ მანიფესტში კარლო ხალხს საყოველთაო პატიებას და სარწმუნოების თავისუფლად აღიარების უფლებას პპირდებოდა. პარლამენტმა თითქმის ერთხმად გადასწყვიტა მეფის დაბრუნება. ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება კარლოს ინგლისში შემოსვლის დროს. როცა ლონდონში შემოვიდა ახალგაზრდა მეფე და დაინახა, რომ ხალხი ფრიალ გახარებული იყო, სთქვა:

— მე ალბათ დამნაშავე ვარ, რომ უფრო ადრე არ დავბრუნდი; დღეს ერთი კაცი არ მინახავს ისეთი, რომელსაც არ ვთქვას, რომ იგი ყოველთვის მსურველი იყო, მე დავბრუნებულიყავიო.

მხოლოდ კრომელის ჯარი მოქუშული სდუმდა, როცა მეფემ გვერდით ჩაუარა მას. ამ მდუმარებამ კარლო შეაშფოთა. ძველი ჯარი დათხოვნილ იქმნა. ჯარია კაცები წავიდნენ და წინანდებურ ცხოვრებას მიჰყვეს ხელი: ზოგი ისევ ფერმერი შეიქნა, ზოგი ვაჭარი და სხ. თავისი შრომის მოყვარეობით, უბრალო ცხოვრებით და ზნეობით იგინი დიდად განირჩეოდნენ თავიანთ მეზობლებისაგან.

კარლო პირველის პარლამენტი ისეთი პირებისგან შესდგებოდა, რომელნიც მეფის დიდი ერთგულნი იყვნენ, მაგრამ იმავე დროს მათ შესისხლე-ხოცვებული ჰქონდათ ძველი ინგლისის კანონები და საშინლად სძულდათ თვითნებობა.

სათემო პალიატამ უპირველესად ყოველისა გამოსცა ბილლი ყოველი დანაშაულის პატიების და დაეიწყებისა, რომელიც ვინმე ჩაიდინა უკანასკნელი არეულობის და ამბოხების დროს. კარლო მეორეს ძლიერ სწყუროდა მამის მკვლელების



ბიბლია

შურის ძიება; ამაში მას პარლამენტიც სრულიად ნაზღაურებდა. რაცდა რვა მსახურს, რომლებმაც მეფე კარლო პირველი გაასამართლეს, პასუხის გებაში მისცეს და ცამეტი მათგანი სიკვდილით დასაჯეს. შემდეგ პარლამენტი იმის გამოკვევას შეუდგა, თუ როგორის წეს-რიგით უნდა მოეწყოთ მეფის მიერ მართვა-გამგეობის საქმე. პარლამენტს სურდა ის წესები შემოეღო, რომელნიც ძველ ინგლისში არსებობდნენ სტიუარტების და ტიუდორების დრომდე. კინტიც არვის დაუძრავს იმის შესახებ, რომ აღედგინათ ვარსკვლავიანი ჰალატა და უმაღლესი კომისსია, რომელნიც გაუქმებულ იქნენ ბრუტონობის დროს. აღარც სანაოსნო გადასახადი უხსენებია ვინმეს; აღარაეისათვისა საექვო და სადავო არ იყო, რომ მართო პარლამენტის უფლებას შეადგენდა სახელმწიფო ხარჯისათვის ფულის გაღება.

ჩვენ ვიცით, რომ მეფეს უფლება ჰქონდა, აზნაურების მამულების მზრუნველად ყოფილიყო და მათი მემკვიდრე ქაღები გაეთხოვებია. ეს უფლება ამბოხების დროს მოსპეს და შემდეგ მეფის დაბრუნებისა აღარ აღუდგენიათ იგი. ნაცვლად ამისა მეფეს დაუნიშნეს სახელმწიფო შემოსავლიდგან წლიურად თორშეტი მილლიონი მინეთი. მებატონეებისათვის ასეთი წესი მეტად ხელსაყრელი იყო, რადგან იგინი ამით სამუდამოდ განთავისუფლდნენ ისეთი გადასახადებისგან, რომლებსაც ხშირად სრულიად მოულოდნელად მოსთხოვდა ხოლმე მათ მეფე, რიგორც ღენების პატრონებს.

თავის მანიფესტში მეფე ხალხს სარწმუნოების თავისუფლად აღიარების უფლებას შეჰპირდა, მაგრამ ეს შეპირება მან ვერც შეასრულა და არც შეეძლო შეესრულებინა. პარლამენტი, რომელმაც კარლოს მოუწოდა ინგლისში, თითქმის მართო პრესვიტერიანებისაგან შესდგებოდა; იგი, რა თქმა უნდა, მზათ იყო, პრესვიტერიანთა ეკლესია დაემკვიდრებია, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან პრესვიტერიანები ინგლისში კო-

ტანი იყვნენ და მცხოვრებლების უმეტეს ნაწილს ნაწილობრივ ანგლიკანური ეკლესიის მომხრენი შეადგენდნენ.

გამეფდა თუ არა კარლო მეორე, ანგლიკანთა მღვდლები თავიანთ მრევლებში დაბრუნდნენ; ეპისკოპოსებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს ლორდთა პალატაში. პრესვიტერიანთაგან შემდგარმა პარლამენტმა ვერც კი მოასწრო სარწმუნოების შესახებ კითხვა გადაეწყვიტა, რომ დათხოვნილი იქმნა. დაინიშნა ახალი არჩევნები. ახალ პარლამენტში ბევრი მეფისა და ანგლიკანური ეკლესიის ერთგული ახალგაზდა კაცი მოჰყვა. ახალმა პარლამენტმა ინგლისში ანგლიკანური ეკლესია აღადგინა; ხელახლა გამოსცეს კანონი ერთ-სახეობის შესახებ; ხელახლა საველდებულოდ განადგურა წირვა-ლოცვის დროს ლოცვანის წიგნის კითხვა. მღვდლებს დაავალეს ფიცი, დაეხლოთ, რომ იგინი აღიარებდნენ სარწმუნოების ყველა მუხლებს, რომელნიც ამ წიგნში იყვნენ მოყვანილი. ბევრმა მღვდელმა უარი სთქვა ამაზედ, რის გამოც იგინი სამრევლოებიდან გაძევებულ იქნენ. ყველას, ვინც ანგლიკანური ეკლესია არ იწამა, დევნა დაუწყეს და სასტიკად სჯიდნენ. ანგლიკანური ეკლესია შეფეს ისე უცქეროდა, როგორც თავის მცველს; ამიტომაც თავის რიგზედ თითონაც იკავდა და მხარს უჭერდა მეფეს. სამღვდლოებმა ეკლესიებში ჰქადაგებდა, რომ არაფერ შემთხვევაში მეფის წინააღმდეგობა არ შეიძლებაო.

§ 2.

მეფე კარლო მეორე.—როგორი შეხედულების იყო მეფე კარლო მეორე მეფობაზედ და პარლამენტზედ.—კარლო მეორე და მუდმივი ჯარი. კავშირი და პირთბა კარლო მეორეს და მეფე ლუდოვიკ მეთოთხმეტეს შორის.—მეფე კარლოს ბრძანება სჯულის თავისუფლად აღიარების შესახებ.—სამშობლო პარტია და მასი ბრძოლა შვეიცთან.—როგორ მოიპოვა პარლამენტმა ხელ ახლა უფლება შეფისათვის თვალ-ყური ედევნა.—როგორ და რაში ხარჯავდა იგი ფულს.—გრაფი დენვის საქმე.—მინისტრები პასუხის მგებელნი ხდებიან პარლამენტის წინაშე ცუდი მართვა-გამგეობის გამო.—პარლამენტის დადგენილება იმას შესახებ, ა) რომ მეფეს არ აქვს უფლება დაჰმანაწიე მინისტრების პატიებისა. ბ) რომ მეფეს არ აქვს უფლება კანონები გააუქმოს.—კანონი „ფიცის“ შესახებ.—პარლამენტს სურს მეფე კარლო მეორეს, როგორც კათოლიკს, ტახტი წაართვას.—ტორიები და ვიგები პარლამენტში.

კარლო მეორე დიდხანს იყო გაძევებული; ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი რამ ნახა, ბევრა გაიგონა, ბევრი გამოსცადა, მაგრამ ამ გამოცდილებას მისთვის ბევრი არა შეუძენია რა და იმ უბედურებას, რომელიც მას ეწია, მისთვის ქკუა არ უსწავლდება. კარლო იყო ახალგაზდა, ლამაზი, ნიჭიერი და საკმაოდ კკუიანი, მაგრამ ხარმაცი, დაუდევარი, თავ-ქირიანი და უხნეო კაცი. მთელი თვისი ცხოვრება მან განცხრომაში, ქეიფში და გართობაში გაატარა და, ერთჯერ რა არის, სინდისის ქენჯნა არ უგრძენია.

მე ვერ წარმომიდგენია, რომ ღმერთმა საუკუნო სატანჯველი მიუსაჯოს კაცს მხოლოდ იმისთვის, რომ იგი ამ ქვეყნად ცოტაოდენს წაიქეიფებსო, ამბობდა ხოლმე კარლო.

კარლოს არ სწამდა ადამიანის კეთაღმოდგაწეობა და ყოველ კაცს ზიხლით უყურებდა. მეფობაზე, მეფის უფლებაზედ მის ისეთივე შეხედულება ჰქონდა, როგორც მამასა და პაპს მისს.

მართალია ის აღარ ფიქრობდა, ვითომც მეფეს თვისი

უფლებები მამა-ზეციერისაგან ჰქონაღეს მინიჭებული, მაგრამ შემდეგ სიტყვებს კი მაინც ხშირად იმეორებდა:

—მე ვერ ჩავთვლი ჩემ თავს მეფედ, სანამ პარლამენტი არ დაიშლის ჩემს საქმეებში ჩარევას, სანამ იგი ხელს არ აიღებს ჩემი ანგარიშების ჩხრეკა-შემოწმებაზე და ჩემი მინისტრების თვალ-ყურის დევნებაზე; შემხოლოდ მეფის აზრდელი ვიქნები და არა მეფე, სანამ ჩემ ქვეშევრდომთ უფლება და საშუალება ექნებათ, სიტყვა შემომიბრუნონ და ჩემი მინისტრები პასუხის გებაში მისცენო. ცხადია, მეფეს სურდა, თავის ნებაზედ ემართა სამეფო და პარლამენტისგან დამოუკიდებელი ყოფილიყო. მთელი თავისი მეფობის დროს კარლო ანაჲ ელტოდა; მაგრამ ისე კი, რომ სამხლარს არ გადადიოდა, სიფრთხილით იტყუოდა და როდესაც აუცილებლად საჭირო იყო, მოპირდაპირებს უთმობდა. კარლოს აზრით, მამა მისი იმიტომ დაიღუპა, რომ მუდმივი ჯარი არ ჰყავდა; იმიტომაც იგი მულამ იმაზედ ოცნებობდა, რომ ასეთი ჯარი ჰყოლოდა, მაგრამ ამ სურვილის განხორციელება თითქმის შეუძლებელი იყო მეფისათვის. ინგლისის ხალხს, რომელსაც მუდმივა ჯარმა იმდენი უბედურება შეჰყარა, სძაგდა ასეთი ჯარი; „კავალერებს“ „მრგვალ-თავიანებზედ“ უცრო ეჯავრებოდა იგი. ჯარმა დაამარცხა ივინი და ჯარისავე შიშს ქვეშ იმყოფებოდნენ შემდეგშიაც; ერთი სიტყვით კავალერებს საფუძველი ჰქონდათ, ჯარის შინჯობდათ. მაგრამ მეფეს იმის დარდი არ ჰქონდა, მის ქვეშევრდომებს რა სძულდათ და რა უყვარდათ. იგდო თუ არა ხელთ მარჯვე დრო, კარლომ იმ წამსვე შეადგინა თავისთვის ჯარის კაცების ერთი რაზმი. აი როგორ მოახერხა ეს მან. ლონდონში აჯანყება მოხდა. მეფემ ხელად შეჰკრიბა ჯარის კაცები და აჯანყებას ბოლო მოუღო; გავიდა დრო; მეფემ დათხოვნის მაგიერ ამ ჯარის კაცებისგან შეადგინა რაზმი, რომელსაც მეფის გვარდია უწოდა. ამ რაზმში ხუთი ათასი ცხენოსანი და ქვეითი კაცი იყო. შემდეგ მათი რიცხვი ყოველ წლივ თანდა თან მატულობდა. კარლომ ძლიერ კარგად იცოდა, რომ

რამოდენიმე ათასი ჯარის კაცით ჰარლამენტს ვერ მოსპობდა და ინგლისელებს ვერ დაიპორჩილებდა; ამიტომაც იგი თავის სამეფოს გარეშე ეძიებდა დახმარებას. იმ დროს მთელ ევროპაში უძლიერესი სახელმწიფო საფრანგეთი იყო. მაშინდელი საფრანგეთის მეფე, ლიუდოვიკ მეოთხმეტე, თვის სამეფოში თვისი მპყრობელი ხელმწიფე იყო; მასთან იგი იყო უკიდურესი კათოლიკე და პროტესტანტების მოსისხლე მტერი და მდევნელი. თი ამ მეფესთან დასდო საიღუმლო პირობა კარლო მეორემ. ამ პირობის ძალით კარლო ეკლდებული იყო, ლიუდოვიკს დახმარებოდა პოლლანდიასთან და ისპანიასთან ბრძოლაში; გარდა ამისა მას ინგლისში კათოლიკური სარწმუნოება უნდა შემოეღო და თავი კათოლიკეთ აღეარებია; სამაგიეროდ ლიუდოვიკმა კარლოს სიტყვა მისცა, ყოველ წლიურად ფულთი შეგვეწვი და შენ თავისუფლების მოყვარე ქვეშევრდომთა წინააღმდეგ დახმარებას გაგიწევო. ეს პირობა ყოვლად საპარკზვინია და წარმოუდგენელი პირობა იყო. მეფე დაეპირა და პირობა მისცა ინგლისის მტერს, უცხოელ ხელმწიფეს, თვის ერთგულ ქვეშევრდომთა საწინააღმდეგოთ და საალატოდ; მეფემ ფარულად აღთქმა დასდვა, ინგლისში, სადაც დიდი ხნიდან დამყარებული იყო პროტესტანტური სარწმუნოება, კათოლიკურ სარწმუნოებას შემოვიღებო, თუმცა თითონევე აღადგინა ანგლიკანური ეკლესია, როცა ტახტზედ ავიდა და კათოლიკებს სდევნიდა და აძევებდა.

მართალი რომ ვსთქვათ, ყოველგვარ სარწმუნოებას კარლო ერთნაირი გულ-გრილობით უყურებდა და თუ კათოლიკური სარწმუნოება უფრო მოსწონდა, ვინემ პროტესტანტური, მხოლოდ იმისთვის, რომ კათოლიკეთა ქვეყანაში მეფობის მყარ ნიადაგზე დამკვიდრება უადვილესად მიიჩნდა. გარდა ამისა, კარლოს ძმა, იორკის გერცოგი—იაკობი უკიდურესი კათოლიკე იყო და მეფეს ურჩევდა, ინგლისში კათოლიკური სარწმუნოება შემოეღო. კარლომ ვერ შესძლო სავსებით შეესრულებია პირობა, რომელიც მან საფრანგეთის მეფეს მისცა;

მან ვერ გაბედა, ნაცხადევით თავი კათოლიკეთ აღმარებია და ინგლისში კათოლიკური სარწმუნოება შემოეღო, მაგრამ რამდენათაც შესაძლო იყო, იგი ცდილობდა, სიტყვა აღესრულებოდა. კარლომ მაგალითად დახმარება აღმოუჩინა ლიუდოვიკ მეთოთხმეტეს, როცა ლიუდოვიკს პოლანდიასთან ომი ჰქონდა, თუმცა ინგლისის ხალხს პოლანდიის მხარე ეჭირა და სრულიადაც არ სურდა, საფრანგეთის მეფეს დახმარებოდა.

კარლომ ვერ მოახერხა კათოლიკური სარწმუნოების შემოღება ინგლისში, სამაგიეროდ მან გამოსცა ბრძანება სჯულის თავისუფლიად აღიარების შესახებ. ამ ბრძანებით უქმდებოდა ყველა სასტიკი კანონები, რომელნიც გამოსცა პარლამენტმა კათოლიკების და პურიტანების წინააღმდეგ. ინგლისელებმა მალე დაინახეს, რა კაციც იყო მათ მიერ მოწოდებული მეფე და რა სწადა მის: მალე მოეღო ბოლო ინგლისელების სიხარულს და შიშმა და უკმაყოფილებამ მოიკო ქვეყანა. მაშინ პარლამენტშიაც და პარლამენტს გარეშეც შესდგა ახალი პირობა, რომელმაც თავის თავს „სამშობლო პარტია“ უწოდა. ამ „სამშობლო პარტიის“ კაცებმა მეფის წინააღმდეგ ბრძოლა ასტეხეს. კარლო მეორის დროს სადაო აღარ იყო, რომ გადასახადების შემოღება მარტო პარლამენტის უფლებას შეადგენდა; ეს უფლება რევოლიუციის შემდეგ სავსებით პარლამენტმა მიითვისა. კარლო მეორემ და მისმა უახლოესმა მრჩეველებმა ძლიერ კარგათ იცოდნენ, რა ბედი ეწია „სახლავოსნო გადასახადს“; მათ ახსოვდათ კარლო პირველის მწარე ხვედრი და ძლიერ ეშინოდათ უკანონო გადასახადების შემოღება; კარლო მეორის დროს არ არსებობდა არც კანონის წინააღმდეგი ბაეები, არც ნებაყოფილებითი საჩუქრები და არც ნაძალადევი სესხი, სამაგიეროდ ხშირად მეფე პარლამენტს ფულსა სთხოვდა ერთი საჭიროებისათვის და სულ სხვა რამეზედ კი ხარჯავდა. ერთი სიტყვით იგი უნამუსოდ იტყუებდა პარლამენტს. მაგალითად, კარლო მეორემ სთხოვა პარლამენტს ფული ვითომდა იმისთვის, რომ პოლანდიას საფ-

რანგეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებოდა; პარლამენტის დიდის ხალისით მისცა მეფეს ფული; მეფე ჰოლანდიის მადგირ ამ ფულით საფრანგეთს დაეხმარა.

გარდა ამისა მეფე უსინიღისოთ ფლანგავდა სახელმწიფო ფულებს: ქეიფს და ნადიმებს, მეგობრების დასაჩუქრებას და სხვა ამ გვარ უმსგავსო შექცევას დასასრული არ ჰქონდა.

პარლამენტმა განიძრახა, როგორმე მეფე იძულებული გაეხადა, რომ მას ფული პარლამენტის დადგენილებისამებრ დაეხარჯა და არა ისე, როგორც თითონ სურდა. მეტი გზა არ იყო, პარლამენტს უნდა აღედგინა თვისი ძველი უფლება, რომლის ძალითაც მას ნება ეძლეოდა, მეფისათვის თვალ-ყური ედევნა, როგორ და რაში ხარჯავდა იგი სახელმწიფო ფულს. გაეიხსენოთ, რომ ეს უფლება პარლამენტმა ჯერ კიდევ ტიუდორების დრომდე შეიძინა, მაგრამ აღისფერ და თეთრი ვარდის ბრძოლის შემდეგ დაკვიწყებას მისცეს იგი: კარლოს დროს პარლამენტმა ეს უფლება განაახლა. ახლა ფულის მიცემის დროს პარლამენტი ეუბნებოდა მეფეს: აი ფული, მაგრამ იცოდნე, რომ იგი ამა და ამ საქმეს უნდა მოხმარდესო. თანაც ბილლში მოხსენებული იყო: „ის ფული, რომელიც ამ კანონის ძალით შეიკრიბება, არავის უნდა მიეცეს ისე, თუ მოწერილობა არ იქნა, რომელშიაც აღნიშნული უნდა იყოს, რა საქმეობას უნდა მოხმარდეს ეს ფულით. სათემო პალიატა მართლაც ყოველთვის თვალ-ყურს ადევნებდა, დანიშნულები-სამებრ იხარჯებოდა მისგან მიცემული ფული, თუ არა.

კარლო მეორის და ლიუდოვიკ მეთოთხმეტის შორის არსებული საიდუმლო ხელშეკრულება მალე გამოამჟღავნა. მწელიად წარმოსადგენია, რამდენათ შეაწუხა და აღაშფოთა ამ ამბავმა ინგლისის ხალხი. აუცილებელი შეიქნა იმ მინისტრების დასჯა, რომელნიც თანხმანი იყვნენ ამ პირობაზედ ხელი მოეწერათ და სამშობლო გაეცათ. მთავარ მინისტრად იმ დროს გრაფი დენბი იყო. დენბი არ სცნობდა თავს დამნაშავედ არც სამშობლოს დალატში და არც კანონის დარღვევაში. „პირობა

ლოუდოვიკთან დასდო თავით მეფემ და მეფემ მიიღო ფულიც. მართალია მე პირობაზედ ხელი მოვაწერე მეფის ბრძანებით, მაგრამ მე ხომ ვალდებული ვარ მის ბრძანებას ვემორჩილებოდე; ასე რომ მე აქ არაფერ შუაში ვარო, იმართლებდა თავს დენბი. ინგლისელებმა კი ამ საქმეს სულ სხვანაირად შეხედეს. რევოლუციის და მეფე კარლო პირველის სიკვდილის დასჯის შემდეგ ინგლისელებმა ცხადად დაინახეს, რამდენათ მართალი იყო დეონ ელიოტი, როცა ამბობდა: „მეფე არასოდეს არ არის დამნაშავეო“. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომც მეფის ყოველგვარი მოქმედება სასმრთლიანია, სრულიადაც არა; მეფის შეუძლია ათასნაირი უსამართლოება ზაიდინოს და დიდი დანაშაული მიუძღოდეს ხილხის წინაშე. თუ მეფე სახელმწიფოა კანონების წინააღმდეგ მოქმედებს, თუ იგი თავის ხალხს დილატობს, ან სხვა რამ უკანონობას სჩადის, ვინ იტყვიო; რომ მას ბრალი არა აქვსო. მაგრამ ყოველ შემთხვევაში საჭიროა მეფეს არაფერში ბრალი არ ედებოდეს; ის არაფერში პასუხის გებელი არ უნდა იყოს, რადგან, შეიძლება, მეფის პასუხის გებაში მიცემას, მის დასჯას არეულობა ნიშნავს. ამიტომაც უმჯობესია საქმე ასეთნაირად მოეწყოს: დაე, მეფე ნუ იქნება ნურაფერში პასუხის გებელი და დამნაშავედ ცნობილი; მის მაგიერ, ხალხი რომ უზრუნველ-ყოფილი იქნეს მეფის უსამართლოებისა და უმზგავსო ქცევისაგან, მისმა მინისტრებმა ავიან პასუხი; მაშინ მინისტრები იძულებულნი იქნებიან, აღარ დაემორჩილონ მეფის უკანონო ბრძანებას, და, თუ სხვებ არ შეუძლიანთ ხალხის წინაშე პასუხის გებას თავი დააღწიონ, თანამედრობიდან გადადგენ.

აი სწორედ ამ მოსაზრებით მისცა სათემო პალატამ დენბი პასუხის გებაში ლორდთა პალატის წინაშე.

თითონ დენბის არც ერთი კანონი არ დაურღვევია, არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია, ამიტომაც მის საპასუხო არ ჰქონდა რა. მაგრამ სათემო პალატამ დაადგინა, რომ მინისტრის ყოველი მოქმედება უნდა იყოს არა მარტო კანონიერი,



არამედ სინდისიერი, სამართლიანი და მთელი სახელმწიფოსათვის თვის სასარგებლო; მინისტრი პასუხის მგებელია, თუ მისი მოქმედება უპატიოსნოა, უსამართლო და სახელმწიფოსათვის მავნებელიაო. ლორდთა პალატა დენბის განსამართლებას შეუდგა.

მინისტრი რომ განსაცდელისაგან დაეხსნა, მეფემ პარლამენტი დაითხოვა, მაგრამ ხელახლა შეკრებილმა პარლამენტმა დაწყებული საქმე განაგრძო. როცა პარლამენტი გაიხსნა, მეფემ განაცხადა: მე დენბის ვაპტიე, მხოლოდ სამსახურიდგან კი დაეითხვევო. მეფეს ეგონა ამით პარლამენტი დაკმაყოფილდებოდა და დენბის საქმეს აღარ გასდევდა, მაგრამ მეფე შეცდა: არავითარი უფლება არ გქონდა, დენბისათვის გვაპტიე ბიო, განუცხადა მეფეს ლორდთა პალატამ და საქმე განაგრძო.

ლორდთა პალატა სრულიად სამართლიანად სჯიდა. მართლაც, მის უფლებას შეადგენდა მინისტრების განსამართლება, მაგრამ რაღათ ეღირებოდა ეს უფლება, ან რა მნიშვნელობა ექნებოდა მას, თუ მეფე ბრალდებულ მინისტრს ბრალდებისაგან განათავისუფლებდა და აპატიებდა.

პარლამენტმა, გარდა იმისა, რომ უარჰყო მეფის ასეთი უფლება, ისიც დაადგინა, რომ პარლამენტის ის წევრი, რომელიც თანახმა იქნება, რომ მეფეს ასეთი უფლება აქვს, უნდა ჩაითვალოს ბოღალატედ და პარლამენტის უფლებების და შეღავათების დამრღვეველად.

როდესაც მეფემ ბრძანება გამოსცა სჯულის თავისუფლად აღიარების შესახებ, „სამშობლო პარტიამ“ ის აზრი გამოასთქვა პარლამენტში, რომ მეფეს არ ჰქონდა უფლება ასეთი ბრძანება გამოეცაო.

— არავითარი კანონის გაუქმება მეფეს არ შეუძლია, თუ არ ორივე პარლამენტის თანხმობით, თუ მეფეს ნება ექნება პარლამენტისაგან გამოცემული კანონები გააუქმოს, მაშინ რაღათ უნდა პარლამენტს კანონების გამოცემის უფლება. ეს უფლება მაშინ არარობათ იქცევა. ან რა საარგებლობა უნდა მოუტანოს ხალხს პარლამენტისაგან გამოცემულმა კანონებმა, თუ

მათ მაშინ გააუქმებს მეფე, როცა უნდა. ასე მსჯელობდა „სამშობლო პარტია“.

ამის პასუხად მეფის მომხრენი ამბობდნენ:

არცინ უარს არა ჰყოფს, რომ მეფეს აქვს უფლება დასასჯელ დასაწავებს სასჯელი აპატიოს, მაშასადამე მას იმის უფლებაც აქვს, რომ რამოდენიმე პირს ნება მისცეს ზოგიერთი კანონის დარღვევისა.

პარლამენტიში უმეტესობას „სამშობლო პარტია“ შეადგენდა. პარლამენტი მტკიცედ ადგა თავის აზრს; ის ამტკიცებდა, რომ მეფის ბრძანება „სარწმუნოების თავისუფლად აღიარების“ შესახებ უკანონო იყო და თხოულობდა, მეფეს ეს ბრძანება უკანვე წაეღო, არა და ფულს ვერ მიიღებდა; ფული კი მეფეს მეტად სჭირდებოდა. რა კი ველირას გახდა, კარლომ დამთბა არჩია და თავისი ბრძანება გააუქმა.

მაგრამ პარლამენტი ამასაც არ დასჯერდა; მან კიდევ გამოასცა კანონი „ფიცის დების“ შესახებ. ამ კანონის ძალით, ვისაც სურდა რომელიმე თანამდებობა მიეღო, უნდა ფიცი დაედო, რომ იგი ანლიკანური ეკკლესიის თავად მეფესა სცნობს; თანაც უნდა წარედგინა მოწმობა, რომ იგი ზიარებულა ანლიკანური ეკკლესიის წეს-რიგისამებრ. ამ კანონის მიღების შემდეგ სამხედრო სამოქალაქო დაწესებულებათა ბევრმა მოხელემ დაანება თავი თანამდებობას; აქედგან ინგლისელებმა ცხადად დაინახეს, თუ რამდენი კათოლიკები იყვნენ ჯარში და მოხელეთა შორის.

„სამშობლო პარტია“ მომავალზედაც ზრუნავდა. რადგან კარლო უშვილო იყო, მის შემკვიდრეთ მისი ძმა იაკობი, იორკის გერცოგი, ითვლებოდა. იაკობი სარწმუნოებით კათოლიკი იყო და კათოლიკურ ეკკლესიის დიდი მომხრე. ინგლისის ხალხს ძლიერ კარგათ ანსოვდათ კათოლიკი მარიამ მოსისხლეს დრო; იგა ძრწუნვით და შიშით იგონებდა, როგორ სდევნიდნენ ამ დედოფლის დროს პროტესტანტებს, ამიტომაც მის ძლიერ ეშინოდა, მეფეთ კათოლიკი არ დამჯდარიყო.

„სამშობლო პარტიამ“ პარლამენტში წინადადება შეიტანა, რომ იაკობი კათოლიკეა და არ შეუძლია ინგლისის ტახტის მემკვიდრე გახდესო. ამ კითხვამ დიდი აჟრ-ზაჟური დაღვა-კამათი გამოიწვია პარლამენტში. ინგლისში მანამდის ერთი მაგალითიც არ იყო იმის, რომ მეფეს ტახტი წართმეოდეს სარწმუნოების გამო; პირ იქით; მართამი კათოლიკი იყო, მაგრამ ტახტა მაინც ისე დაიჭირა, როგორც კანონრმა მემკვიდრემ, თუმცა იმ დროს ინგლისში უკვე პროტესტანტური სასარწმუნოება არსებობდა. მთელი სათემო ბალატა ორ პარტიად გაიყო. ერთი პარტია იმ აზრისა იყო, რომ კათოლიკე პროტესტანტების ქვეყანაში მეფედ არ უნდა ყოფილიყო და იაკობს, როგორც კათოლიკს, ტახტი უნდა წართმეოდა; მეორე პარტიას კი ამის გაგონებაც არ სურდა: „არაფერს ქვეყანაზედ მეფის მემკვიდრეობითი უფლების დარღვევა არ შეუძლიაო“, ამბობდნენ მეორე პარტიის წევრნი. „გამომრიცხველთ“, ესე იგი მათ, რომელთაც სურდათ იაკობის მემკვიდრეობისგან გამოორიცხვა უწოდებდნენ ვიგებს, მეფის უფლებების დამცველთ კი „ტორიებს“

„ტორი“ — ირლანდიული სიტყვაა. ირლანდიაში „ტორიებს“ უწოდებდნენ იმ კათოლიკებს, რომლებმაც ავაზაკობა დაიწყეს, იმ მიზნით, რომ შური ეძიათ პროტესტანტებისა, რომელნიც კათოლიკებს სდევნებდნენ და სტანჯავდნენ. ამ სახელწოდებით „გამომრიცხველთ“ უნდოდათ დაემტკიცებიათ, რომ მათი მოწინააღმდეგენი, როგორც ირლანდიელები, კათოლიკე-მემკვიდრის მომხრენი არიან. თავის რიგზედ „ტორიები“ „გამომრიცხველებს“ „ვიგებს“ უწოდებდნენ. „ვიგებს“ შოტლანდიაში ბრესვიტერიანთა ავაზაკების ბრბოებს ეძახდნენ. „ტორიები“ „გამომრიცხველებს“ ამ სახელს იმ მიზნით უწოდებდნენ, რომ მათ გულის სიღრმეში ეითომ დამარხული ჰქონდათ ანგლიკანური ეკლესიის მტრობა. ამის შემდეგ ეს ორი სიტყვა „ტორი“ და „ვიგი“ ხმარებაში შემოვიდა. „ტორიები“ ეწოდათ მათ, ვინც იცავდა: მეფეს და მის უფლებებს და

არსებულ წეს-წყობილებას ანუ არსებულ სახელმწიფო წეს-რიგს; «ვიგები კი მათ,—ვინც რეფორმის მომხრე იყო, ესე იგი ისეთ პირებს, რომელნიც ცდილობდნენ არსებულ წეს-წყობილება შეეცვალათ, თუნდ ამისთვის საჭირო ყოფილიყო მფხვის უფლებების დარღვევა და შემტობება. სიტყვა «კავალერების» მაგიერ ხმარებაში შემოვიდა «ტორი» და «მრგვალ-თავიანების» მაგიერ «ვიგი».

თუმცა სათემო პალატაში გავიდა ბილლი განმარტივების შესახებ, მაგრამ ლორდთა პალატამ უარ ჰყო იგი. ამ რიგათ ტახტის მემკვიდრეთ იაკობი დარჩა. ამას შემდეგ ვიგებს მთავრობამ დღენა დაუწყო. იმ ქალაქებს, რომელნიც ვიგების მომხრენი იყვნენ და მათ შორის ქალაქ ლონდონს ძველი სარტიები წაერთვათ. ამ ნაირად ვიგებმა მემკვიდრეობის საქმეში თავისას ვერ მოაღწიეს. სამაგიეროდ მათ ბარლამენტში გაიყვანეს ერთი კანონი, რომელსაც სახელად ეწოდება «პაბებს კორპუს აქტი» ქართულად ეს სიტყვები ნიშნავენ: «იქონიე ხეული» ანუ «გქონდეს სხეული». ამ აქტს ინგლისელები უწოდებენ თავის «მესამე დიდ ხარტიას». ეს კანონი იმდენათ დიდ მნიშვნელოვანი კანონია, მან იმდენი სარგებლობა მოაუტანა ინგლისელებს, რომ ღირს და საჭიროცაა, ცოტა შევიწროდეთ და დაწვრილებით ვილაპარაკოთ მახედ. ეს კანონი დღემდის არსებობს ინგლისში და, უეჭველია, ინგლისელები არასოდეს მან უარს არ ჰყოფენ,

რადგან ეს კანონი უკვე იმდენი სარგებლობა მოაუტანა ინგლისელებს, რომ ღირს და საჭიროცაა, ცოტა შევიწროდეთ და დაწვრილებით ვილაპარაკოთ მახედ. ეს კანონი დღემდის არსებობს ინგლისში და, უეჭველია, ინგლისელები არასოდეს მან უარს არ ჰყოფენ,

§ 3.

„ჰაბეას კორპუსი“ [Habeas corpus]. განუკითხავად დაპატიმრება. — ნიშნები „ჰაბეას კორპუსის“ ბრძანებისა. — ეის შეუძლია მოითხოვოს ბრძანება თან-მანხად „ჰაბეას კორპუსისა“. — საჩივარი უკანონო დაპატიმრების გამო და ზარალის ძიება. —

„დიდ ხარტიაში“ ნათქვამია:

თუ არ კანონიერი განაჩენის ძალით და თანხმად არსებული კანონებისა, შეუძლებელია ვისიმე დაპატიმრება, საკუთრების წართმევა, სამშობლოდგან განდევნა და სხვა გვარათ დასჯა. ჩვენ ხომ ვიცით უკვე, რომ ინგლისელებმა „დიდი ხარტია“ ძალით წაართვეს იოანე უმეწა-წყლოს. თელმა მეცამეტე, მეთოთხმეტე, მეთუთხმეტე, მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევარმა ისე განვლო, თითქო დიდი ხარტია არც კი არსებობდა: მეფე, მისი მინისტრები და მოხელეები, სხიდუნლო საბჭო, არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, ამ ხარტიას. ხშირად სრულიად უდანაშაულო კაცებს დაპატიმრებდნენ. დაპატიმრებულები თელი წლობით საპრობილეში ელოდებოდნენ სამართალს, მაგრამ ამაოდ: სამართალი არსად იყო. მით უფრო აუტანელი იყო ასეთი მდგომარეობა, რომ დაპატიმრებულმა არ იცოდა დაპატიმრების მიზეზი; არ იცოდა, რად მოსწყვიტეს იგი საზოგადოებას, ნათესავებს, ოჯახს, რად წაართვეს თავისუფლება, როდესაც არ ჩაუღენია მას არც მკვლელობა, არც ქურდობა, არც ავაზაკობა, ან სხვა რამ უკანონობა. ხშირად ამის მიზეზი მხოლოდ ის იყო, რომ დაპატიმრებულს მთავრობა იქვის თვლით უყურებდა, ვითომც იგი სახელმწიფოს მოღალატე უნდა ყოფილიყო. საკმაო იყო ამ გვარი, სრულიად უსაფუძვლო, იჭვი, რომ კაცი ციხეში ჩაეკლათ. განსაკუთრებით ბევრი იყო ასეთი შემთხვევები სტიუარტების დროს. სრულიად უსამართლოდ, უსაფუძვლოდ და მოულოდნელად დაპატიმრებდნენ ხოლმე კაცს და ციხეში ამოაყოფინებდნენ თავს. პარლამენტი დიდ ხანს ფიქრობდა

იმზედ, თუ როგორ აეცილებია ხალხისათვის მართლმადიდებლურება და უსამართლოება, მაგრამ ვერას გამხდარიყო.

ერთის მხრით შეუძლებელია იყო მთავრობას წართმეოდა ამა თუ იმ პირის დატყვევების უფლება, რადგან უამისოდ ნამდვილი დამნაშავეის დაპატიმრებაც მოუხერხებელია; დამნაშავეის თავისუფლად სიარული კი მავნებებელია, რადგან მას აღვილად შეუძლია სამართალს გაექცეს და სათანადო სასჯელს თავი ააკილოს. ერთი სიტყვით, ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა მთავრობას უფლება ჰქონდეს განსამართლებამდის დააკავოს საექვო პირები; მაგრამ აი საქმე რაშია: თუ მთავრობას საექვო პირის დატყვის უფლება აქვს, მას ან შეცდომით, ან განძრახ შეუძლია უდანაშაულოც, სულ უბრალო კაციც დააკავოს. ასეთ შემთხვევაში მთავრობას შეუძლია სთქვას: „მე ვგონებ, ეს კაცი დამნაშავეა; მე დავაპატიმრე ავი იმ მიზნით, რომ მართლ-მსაჯულებას არ გაქცეოდაო“. ასეთი პირის განსამართლება კი მთავრობას შეუძლია სხვა და სხვა მიზეზების გამო ერთი ვადიდგან მეორემდე, მეორედგან მესამემდე გადადვას. საბრალო პატიმარი კი ამ დროს უნდა იტანჯოს ოთხ კედელს შუა, უმწეოდ და უიმედოთ. მაშასადამე საჭიროა საქმე ისე მოიწყოს, რომ, თუ ვინცობაა, შემთხვევით, ან უსაფუძვლო იტვის გამოა ვინმე დაპატიმრებული, მას საშუალება ჰქონდეს, რაც შეიძლება, მალე დაამტკიცოს თავისი უდანაშაულობა და საპრობილედგან განთავისუფლდეს. აი სწორედ ამ მიზნით გამოსცეს კანონი „ჰაბეას კორპუს“.

„ჰაბეას კორპუს“ ლათინური სიტყვებია და ნიშნავს იმას, რომ თითოეული კაცის პიროვნება ხელშეუხებელი უნდა იყოს.*) ეს კანონი ამბობს: იმ კაცს, რომელიც დაიჭირეს (ან და მის მაგიერ სხვა ვინმეს უფლება აქვს, მოითხოვოს, რომ დაუყოვნებლივ წარუდგინონ იგი მსაჯულს. მსაჯულმა განკარგულება უნდა მოახდინოს, რომ დაკავებული მას წარუდგინონ, ესე იგი უნდა გასცეს ბრძანება: „ჰაბეას კორპუს“. შემდეგ მსაჯუ-

*) Habeas—გქონდეს, იქონივ. Corpus—სხული.



ლი ვალდებულია გამოიძიოს და პასუხი მისცოს, რად დაატყვევოს ეს კაცი; ბოლოს მანვე უნდა დაადგინოს, როგორ მოექცენ დაკავებულს.

თუ ერთი იმის ნიშნად, თუ როგორ იწერება ბრძანება, „ჭაბვის კორპუსი“. ექიკტორია, წყალობითა ღმერთისათა შეერთებული სამეფოს დიდი ბრიტანიისა და ირლანდიისა დედოფალი და მთავრული სარწმუნოებისა. ზედამხედველს ჩვენი სატუსალოოსას ამა და ამ ადგილს მყოფს და შეერიფს ამა და საგრაფოოსას ჩვენი სალომი; გიბრძანებთ თქვენ, რათა სხეული პატიმრისა, რომელიც იმყოფება თქვენი მხედველობის ქვეშ ჩვენ სატუსალოოში, წარმოადგინოთ ჩვენ სამსჯავროში ვენმოსტერს ამა და ამ რიცხვს და ამასთანავე გვაცნობოთ დღე და მიზეზი მისი დაპატიმრებისა, რა საზელითაც უნდა იყოს იგი ცნობილი და აღნიშნული, რათა აღსრულებაში მოყვანილ იქნეს ყოველივე ის, რასაც მის შესახებ დაადგენს ჩვენი სამსჯავრო*.

სატუსალოს ზედამხედველნი ვალდებულინი არიან დაპატიმრებულნი სამამართლოში წარადგინონ. სამსჯავროს შეუძლია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს პატიმარი, თუ დაინახავს, რომ იგი უსამართლოდ დაკავებულია და მის წინააღმდეგ საკმაო საბუთი არ მოიპოვება. თუ სამსჯავრო დარწმუნდა, რომ პატიმარი საექვოა, მაშინ იგი ბრძანებას იძლევა, რომ ეს პატიმარი უახლოეს ვადაში ხელახლა წარმოადგინონ მას; თუ პატიმარს მცირეოდენ ბრალსა სდებენ, სამსჯავროს შეუძლია თავდებით გაანთავისუფლოს იგი.

სამსჯავრო ვალდებულია გამოსცეს ბრძანება: „ჭაბვის კორპუსი“, ვინც უნდა მოათხოვოს იგი: გინდ თვით დაპატიმრებულმა, მისმა ნათესავებმა და მეგობრებმა, გინდ ვარეშე კაცებმაც; ერთი სიტყვით ვინც დარწმუნებულია, რომ დაპატიმრება უკანონოდ მოახდინეს.

თელი ათი წელი იბრძოდა „სამშობლო პარტია“, რომ პარლამენტში გაეყვანა კანონი „ჭაბვის კორპუსის“ ბრძანების შესახებ. ბოლოს როგორც იქნა ათას ექვას სამოცდა ცხრა-

მეტ წელს ორივე პალატამ მიიღო კანონი და დააქვეყნა იგი. ამ კანონის საშუალებით ინგლისელებმა მიადწინეს იმას, რომ უდანაშაულო და უსამართლოდ დაპატიმრებული კაცი ადვილად გაინთავისუფლებს თავს საპრობილედგან. მაგრამ ინგლისელები ამასაც არ დასჯერდნენ. გარდა ამისა ინგლისელებს სურდათ, რომ მთავრობა ვალდებული ყოფილიყო, რაც შეიძლება სიფრთხილით და წინდახედულით ემოქმედნა და, თუნდ ცოტა ბნითაც ყოფილიყო, არცინ დაეპატიმრებია უბრალო იქვის გამო ან უმიზეზოთ. ინგლისელებმა ამის საშუალებაც გამოსძებნეს.

თუ სამსჯავრომ სენო, რომ დაპატიმრებული უდანაშაულოთ ზის ციხეში და ამიტომაც განათავისუფლა იგი, უმიზეზოთ დასჯილს უფლება აქვს საჩივარი განაცხადოს მათზედ, ვინც ხელი მოაწერა ბრძანებაზედ, რომლის ძალითაც დაპატიმრეს იგი; მას შეუძლია აგრეთვე უჩილოს პოლიციელს, რომელმაც დაპატიმრა იგი, სატყუადოს ზედამხედველს, რომელსაც დატყუილი ჰყავდა იგი ციხეში. სასამართლომ უთუოდ უნდა მიიღოს ეს საჩივარი და კანონისბმებრ გაარჩიოს ვერც ერთი დამნაშავე სასჯელს ვერ გაეძცევა, ვერც ერთი სახელმწიფოს მოხელე ვერ გაიმართლებს თავს მით რომ სთქვას: უფროსის ბრძანებას ვასრულებდით, რადგან ინგლისში ყოველი მოხელე თითონვე პასუხის მცებელი თვის მოქმედებაში; ვთქვათ, უკანონო ბრძანება მიიღო მან უფროსისაგან, მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ უთუოდ უნდა შესრულდეს ასეთი ბრძანება: მოხელე სულაც არაა ვალდებული უფროსის უკანონო ბრძანება სისრულეში მოიყვანოს და თუ ის დაემორჩილა ამგვარ ბრძანებას, თითონვე უნდა აგოს პასუხი; შესაძლოა უბრალოთ შეურაცყოფილს არ სურს შეურაცხმყოფელის დასჯა, ან რა საჭიროა მისთვის სხვისი დასჯა; მისთვის უმჯობესია ის ზარალი აღადგინოს, რომელიც მის დაპატიმრების და ციხეში ყოფნის დროს მოუვიდა. თუ ის ვაჭარია, ვაჭრული საქმეები ჩაეფუშებოდა მას; თუ მსახურია, ადგილს

დაპყრობა, თუ უბრალო მუშა, სამუშევროს, მაშინ უდრებდა შიშლით დაპყრობულს შეუძლია საჩივარი მიართვას სამსჯავროს, რომ შეურაცხყოფელმა სასჯელის მიღების მაგიერ ზარალის აღდგენით უზღოს მას და მით დააკმაყოფილოს იგი. სასამართლო ვალდებულია მიიღოს, გაარჩიოს და მიუსაჯოს მომჩივანს იმდენი, რამდენიც მას საჭიროთ და სამართლიანად მიაჩნია.

რა კი მთავრობამ და მისმა მოხელეებმა იციან, რომ უკანონო და უსაფუძვლო დაპყრობებისათვის პასუხის გებაში მიეცემიან, დიდის სიფრთხილით მოიქცევიან და უბრალოთ და იქვის გამო ველარავის დააპყრობებენ.

აი რა მოახერხეს ინგლისელებმა, რომ თითოეული კაცის თავისუფლება, პატივი, ქონება და კეთილ-დღეობა დაეცათ. მათი ძალ-მომრეობისაგან და თვითნებობისაგან, ვისაც ხელში აქვს ძაღლი.

§ 4.

კარლო მეორის სიკვდილი.— მეფე იაკობ მეორე.— მისი აღთქმა.— იაკობის პირველი პარლამენტი.— იაკობის მეჭარა. როგორ დაუთმო მას პარლამენტმა.— გერცოგ მონმუტის აჯანყება.— დეფთრიზის მოგზაურობა მსჯავროს-დებითვის; როგორ სასტიკად სჯადა იგი ბრალდებულებს.— მეფის სამი სურვილი: „ჰაბეას კორპუს“-ის მოსპობა, მუდმივი ჯარის ყოლა და ინგლისში კათოლიკური სარწმუნოების შემოღება.— ყველა თანამდებობაზედ კათოლიკების დანიშვნა.— მეფე და პარლამენტი.— იაკობისაგან პარლამენტის დათხოვნა.— დაეა მეფის შიერ დანაშაულის პატიების შესახებ.— უკმაყოფილება ინგლისში.— განცხადება სარწმუნოების თავისუფლად აღიარების შესახებ.— ახალი სასულიერო კომისია.— მეფე ბრძანებას აძლევს ეპისკოპოსებს, რომ მათ ეს განცხადება ეკლესიებში წაეკითხათ ხალხისათვის.

მეფე კარლო მეორე გარდაიცვალა ათას ექვსას ოთხმოც და ხუთ წელს. სიკვდილის წინ მან ცხადათ მიიღო კათოლიკური სარწმუნოება. იმის სიკვდილის შემდეგ ინგლისის ტახტზედ ავიდა იაკობ მეორე. იაკობმა ხალხს აღუთქვა, ინგლისის კანონებს არ დაეარღვევ და ანგლიკანურ ეკლესიას და-

ვიცავო. ხალხი ამ აღთქმას აღტაცებით მიეგება. მეც მისეთმა მეფემ მოგვცა სიტყვა, რომელსაც ჯერ თვისი აღთქმა არ დაურღვევიაო, გაიძახოდნენ ინგლისელები. საქარო იყო მეფეს პარლამენტი შეეკრიბა. ამ პარლამენტს უნდა მიეცა მეფისათვის ნება, ხარკი მოეხოჭა. „ნიშნა და კრძალვით მოუწოდა მეფემ პირველ პარლამენტს, მაგრამ მას საფრანგეთის შეფის ეშინოდა და არა პარლამენტის. „დაამწვიდეთ თქვენი ხელმწიფე, მე მიყვარს იგი და დიდ პატივსა ვცემ მას; მის დაუხმარებლად მე არაფრის გაკეთება არ შემძლია; იმედია შეურაცხყოფათ არ მიიღებს ჩემგან, თუ მისდა დაუკითხავად განკარგულება მოვახდინე. მომავალში ყოველჯერ მას ვკითხავ რჩევას; მხოლოდ ახლა კი აუცილებლად საქარო იყო ასე მოგვეცეულიყო, რადგან შესაძლია იყო თუნდ ერთი კვირით დაგვიანებასაც დიდი უბედურება მოჰყოლოდაო“, ასე ემუდარებოდა იაკობ მეორე საფრანგეთის ელჩს.

დადგა პარლამენტის შეკრების დრო. სატახტო ქალაქში (ლონდონში) სათემო პალატის იმდენი წევრნი მოვიდნენ, რომ ძლივს ეტეოდნენ. სათემო პალატის დეპუტატები ღოჯრდთა პალატაში მიიწვიეს; აქ მათ მეფის სიტყვა უნდა მოესმინათ. მეფემ სიტყვა წარმოსთქვა. მან აღთქმა დასდგა, ჩემი ქვეყნის კანონების აღმასრულებელი ვიქნები და ინგლიკანურ ეკლესიას დავიცავო, მაგრამ ბოლოს ნათქვამს აი რა დასძინა:

—მე როგორც ვხედავ, სათემო პალატას განძრახვა აქვს ფული დრო გამოშვებით მაძლიოს; იმას ჰგონია, რომ ამით იბზლებულს გამხდის, უფრო ხშირად მოუწოდო მას, მაგრამ ეს ძლიერ შემცდარი აზრია; მე გაფრთხილებთ თქვენ, რომ არავის ნებას არ მივცემ ასე მომექცეს. თუ გსურთ, რომ ხშირად მოგიწოდოთ, თავი კარგათ დაიჭირეთო.

მეფეს ამით უნდოდა ეთქვა: თუ სათემო პალატა იმდენ ფულს არ მომცემს, რამდენიც მე მსურს, ძალათ წავიღებო. მაგრამ სათემო პალატა თითქმის სულ ტორიებისაგან შესდგე-

ბოდა და მეფის სიტყვას დიდის სიხარულით დასთანაგრძობით მიეგება.

სათემო პალატამ მეფეს მის სიკაცხლეში იმდენივე შემოსავალი დაუნიშნა, რამდენსაც მისი ძმა ღებულობდა. ამასთან პალატამ სთხოვა მეფეს, რაც შეიძლება მტკიცედ დაეცო ყველა სასტიკი კანონები, რომელნიც არსებობდნენ ინგლისში კათოლიკების და პურიტანების წინააღმდეგ. მეფე საშინლად გაჯაფრდა ამის გაგონებაზედ. შეწინებულმა პალატამ თვისი დადგენილება უკანვე წაიღო და თანაც განაცხადა: პალატას სრული ნდობა და იმედი აქვს, რომ მეფე თავის აღთქმას აღასრულებს და დაიცავს სარწმუნოებას, რაც ზენთვის ყველაფერზედ უძვირფასესიაო. მეფემ სათემო პალატას დამატებითი გადასახადების შემოღება სთხოვა, რომ განსვენებული ძმის ვალები გაესტუმრებია. პალატა ამხელდაც თანაბმა გახდა. როცა პარლამენტში ამ საყურადღებო კითხვებზედ თათბირობდნენ, შოტლანდიაში ამბოხებამ იფეთქა. ამავე დროს ინგლისში შემოვიდა კარლოსს უკანონო შვილი, გერცოგი მონმუტი და თავი მეფედ აღიარა.

მან კარგათ იცოდა, რომ ინგლისელებს იაკობი არ უყვარდათ და იმედი ჰქონდა, მეფეს ჩამოვაგდებ და ტახტს მე დავიჭერო. იაკობმა პარლამენტი დაითხოვა და ყოველი ღონე იხნარა, ეს აჯანყება ჩაექრო. მონმუტს ბედმა არ გაუღიმა; ის რომ მოელოდა, ისე არ შეხვდნენ მას ინგლისელები. ჩამოდენიმიჯერ დაპარცხებული მონმუტი ბოლოს ტყვედ წაიყვანეს და სიკვდილით დასაჯეს. იაკობმა გადასწყვიტა სამაგალითოდ დაესაჯა თვისი ქვეშევრდომნი, რომ მათ სამუდამოთ დაჰკარგოდათ აჯანყების ხალისი; ამ მიზნით მეფემ სამხრეთ საგრაფოებში, სადაც ამბოხება მოხდა, გაგზავნა თვისი მსაჯული ჯეფრიზა და დაავალა მას, დამნაშავენი გაესაპართლებია. დღეს ძნელი დასაჯერებელია, რომ სულ ორასი წლის წინედ ინგლისში შესაძლებელი იყო, ისეთი კაცო მთავარმსაჯულათ დაენიშნათ, როგორიც იყო ჯეფრიზა. ეს იყო ერთი შმაგი,

მხეცური ქცევის, გულქვა, შურის მაძიებელი, აგვის, უზრდებელი და მიმდგომი კაცი. მან იმდენი კაცი გაისტუმრა საიქიას, იმდენი ჩამოახრჩობინა, იმდენი სიკვდილით დასაჯა, რომ მის სამსახულოთ მოგზაურობას „სისხლის მსჯავრი“ უწოდეს. სო-
პერსტირში მაგალითად, სადაც ამბოხების ბუდე იყო, ჯეფ-
ფრიზამ სულ რამოდენიმე დღეში ორას ოცდა-ცამეტ პატიმარ-
თა შორის ზოგი დააწვევინა და ზოგი სხვა გვარი საშინელი
ტანჯვით მოაკვლევინა. ყოველ მოვლანზედ, ყოველ მოსახვე-
ზედ ბორკილიან სხეულებს მიაქან-მოაქანებდა ქარი; ზოგჯერ
თავი იყო გამოკიდული, ზოგჯერ ფეხები; ხალხი უზომო ში-
შმა მოიცვა.

ჯეფფრიზა მსჯავრის დების დროს საზიზღრად იტყეოდა:
ხარხარებდა, უშვერის სიტყვებით ლანძღავდა მოწმეებს და
ბრალდებულებს, დასცინოდა იმ უბედურებს, რომელნიც მას
ხელში ჩაუკარდნენ. საბრალო დასჯილები, რომლებსაც ვინ
იცის რა სისაძაგლეს და ბოროტებას არ აბრალდებდნენ, უმე-
ტეს შემთხვევაში პატიოსანი და ღვთისნიერი ხალხი იყო. ახ-
ლობლები ამ უსამართლოდ დასჯილებს ისე უყურებდნენ, რო-
გორც სარწმუნოებისათვის წამებულებს. ვარდა სიკვდილით
დასჯილებისა, რვაას ორმოცდა ათი კაცი დაატყვევეს და ამე-
რიკის ახალ-შენებში გაჰყიდეს, როგორც მონები.

ამ საშინელი მოგზაურობის შემდეგ ჯეფფრიზა ღონ-
ღონში დაბრუნდა. მეფემ ეს მოსისხლე მსაჯული დიდის პა-
ტივით და დიდებით მიიღო და ნიშნად მადლობისა, მისი მხე-
ცური და უსამართლო მოქმედებისათვის ლორდ-კანცლერობა
უბოძა. ღონღონის გაზეთებში მეფის ბრძანებით გამოაცხადეს,
რომ ეს განსაკუთრებული პატივი და დიდება მიენიჭა ჯეფ-
ფრიზას დიდი და ერთგული სამსახურისათვის, რომელიც მან
მეფეს გაუწიაო.

ამბოხება ჩააქრეს. გამარჯვება იაკობს დარჩა. ზოგი მო-
წინააღმდეგეთაგანი მეფემ სრულიად მოსპო, ზოგი კი ისე დაა-
შინა, რომ ხმაბაღლა ვერ აცხადებდნენ თავიანთ უკმაყოფილებას.

ახლა კი იპოვა დრო იაკობმა თვისი დიდი ხნის განძრახ-
ვა განებორციელება. უპირველესად ყოვლისა შეეფეს სურს
გაეუქმებია „მაშენს კორპუს“. შეეფემ რასაკვირველია, ძლიერ
კარგათ იცოდა, რად უღირდა თითოეულ ინგლისელს ეს სასი-
ქადულო კანონი; ტორი იყო იგი, თუ ფიგრი, მდიდარი თუ
ღარიბი, ყველას თავისუფლებას და უფლებებს იცავდა ეს კანონი.

შეფის მეორე საწადელი—მუდმივი ჯარი იყო. აჯანყების
დროს ჯარის კაცთა რიცხვი ექვსი ათასიდგან ოცი ათასამდე
ავიდა. ჯერ არც ერთ ინგლისის მეფეს ასეთი ძლიერი ჯარი
არ ჰყოლოდა, მაგრამ იაკობისთვის არც ეს იყო საკმარისი;
აჯანყების შემდეგ იმის მაგივრად, რომ ჯარი დაეთხოვნა, მე-
ფემ მოინდომა ჯარისთვის მოემატებია, თუმცა ძლიერ კარგათ
იცოდა მან, რა ძნელი იყო ამის ასრულება: ინგლისელებს ერ-
თავად სძულდათ მუდმივი ჯარი და კარგად ახსოვდათ, რა
დღე დააყენა მათ ასეთმა ჯარმა კრონველის დროს. ტორიებს
ვრგებხედ უფრო სძულდათ მუდმივი ჯარი.

შეფის მესამე სურვილი იმაში მდგომარეობდა, რომ ინ-
გლისში კათოლიკური სარწმუნოება შემოეღო.

ჩვენ ხომ ვიცით, რომ ინგლისელებს საშინლად სძულ-
დათ კათოლიკები და კათოლიკური სარწმუნოება. მათ ცხა-
დათ ახსოვდათ შარიამ კათოლის მიერ დევნა; ახსოვდათ კა-
თოლიკების შეთქმულება ელისაბედის წინააღმდეგ. ახსოვდათ
ფილიპე მეორის უძლეველი არმადის თავდასხმა; ერთი სიტ-
ყვით კათოლიკებს ინგლასში უყურებდნენ როგორც მოსის-
ხლე მტრებს. მაგრამ იაკობს ინგლისის ხალხის სურვილის და-
რდი არ ჰქონდა: ის ყურადღებას არ აქცევდა იმას, თუ რა
სძულდა და რა უყვარდათ, რა სურდათ და რა არა ინგლისე-
ლებს; მას ყველაფერი შესაძლოთ მიაჩნდა; მას იმედი ჰქონდა,
რომ აქაც ადვილად მიაღწევდა გულის საწადელს, რადგან
ყოველ თანამედრობაზედ მოხველევს იგი ნიშნავდა: ამის ნება
და უფლება იმის ხელში იყო. ნებადართვის უფლება მას იმი-
სთვის უნდოდა, რომ გაეუქმებია კათოლიკების წინააღმდეგი

კანონები, ხოლო თანამდებობის პირთა დანიშვნის უფლება საშუალებას აძლევდა მას, ყველგან კათოლიკები დაენიშნა. იაკობმა პარლამენტი შეჰკრიბა, ცხრა ნოემბერს ორივე პალატა შეიკრიბა. მეფემ სათემო პალატის წევრებს სიტყვა უთხრა, ეს სიტყვა მან თითონ შეადგინა. მეფემ თვის ქვეშევრდომებს აჯანყების გათავება მიულოცა და სთქვა:

— ვგონებ ყველასათვის ცხადია, რომ მკირე იმედი უნდა გვექონდეს მილიციის; ამიტომაც მე საჭიროთ დაინახე ჯარს მოუმატო. ჯარის შენახვა ახლა ორჯერ უფრო ძვირად დაჯდება, ვინემ უწინ, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ თემები ამ საჭიროებისათვის ფულს არ დაგვიკავებენ. მე სამსახურში რამოდენიმე აფიცერი მივიღე, რომელთაც დადგენილი ფიცი არ მიუღიათ, მაგრამ იგინი მე საიმედო კაცებათ მიმაჩნია. საზოგადოთ მე გადავწყვიტე, არ გავეყარო ჩემ მსახურებს, რომელთაც ჩემი ნდობა დაუშახურიათო. ერთი სიტყვით, მეფემ აღთქმა დასდვა, მომავალში „ფიცის დების კანონს“ აღარ აფასრულებო.

შოისმინეს დებუტატებმა მეფის სიტყვა და ძლიერ დადვრგ მიღნი და მღუმარენი დაბრუნდნენ უკან პალატაში. დებუტატები კარგა ხანი მღუმარებდნენ, სანამ მეფის სიტყვაზედ ლაპარაკს დაიწყებდნენ. ბოლოს სიჩუმე მუდმივი ჯარის მოწინააღმდეგეებმა დაარღვიეს.

— მუდმივ ჯარზედ ნახევარი მილიონის დახარჯვას გვიჯობს მილიციის გაუმჯობესობაზედ ერთი მილიონი დავხარჯოთ, ჯარის კაცი სრულიად მოცილებულია ყოველგვარ სასარგებლო შრომას; თვით ერას აკეთებს და სხვისი შრომის, ნაყოფით იკვებება, თუმცა იმავე დროს სწორედ იგი იმის ბატონია, ვისი ხარჯითაც საზრდოობსო, ამბობდნენ ჯარის მოწინააღმდეგენი

ღიდი ხნის დავა-კამათის შემდეგ გადაწყვიტეს მეფისათვის ფულის მიცემა, მაგრამ იმავე დროს დაადგინეს პარლამენტში ბილლის შეტანა იმის შესახებ, რომ მილიცია გაეუმჯობესებიათ.

პარლამენტის ასეთმა დადგენილებამ შეფუძნა მათი გააქვრა; მან პარლამენტის დათხოვნაც კი განიძრახა. მეორე მხარეს პარლამენტი ისევ შეიკრიბა ხელახლა, ასტეხა იმაზედ ლაპარაკი, თუ რაზედ უნდა ჰქონოდათ ჯერ მსჯელობა: ფულზედ თუ ფიცის დების კანონზედ, რომელიც შეფუძნა უკვე დაარღვია.

ტორიები ამტკიცებდნენ:— „ჯერ ფულზედ უნდა ვილაპარაკოთ, რადგან მეფის სიტყვაში პირველად ფულზედ ლაპარაკია.“ ვიგები კი ამის წინააღმდეგ ამბობდნენ: „სანამ ყველა საჩივრები დაკმაყოფილებულნი არ იქნებიან, შეუძლებელია ფული მიეცეს მეფესაო.“ ერთი ხმის უმეტესობით კითხვა ვიგების სურვილისამებრ გადაწყდა და დადგენილ იქნა, რომ ჯერ ფიცის დების შესახებ ელაპარაკნათ.

ამ რიგათ სათემო პალატამ საქმე მეფის სურვილის წინააღმდეგ გადასწყვიტა, თუმცა ამ პალატაზედ შეფუძნა ლაპარაკობდა: „თორმეტ წევრში თერთმეტი ჩემი დანიშნულიაო.“ ამას იმიტომ ლაპარაკობდა მეფე, რომ არჩევნების დროს ზოგი ამომარჩეველთაგანი მოისყიდეს, ზოგი მოატყუეს და ზოგი მუქარით შეაშინეს. ხანგრძლივი კამათის შემდეგ სათემო პალატამ დაადგინა მეფეს პეტიცია მიეცეს და მოახსენდეს, რომ მას არ აქვს ნება მამსახურში კათოლიკე-აფიკრები იყოლიოსო.

სათემო პალატა სთხოვდა მეფეს გაეფანტა ხალხის იქვი და დაემშვიდებია იგი. ლორდათა პალატამ ამ პეტიციაზედ ხელი არ მოაწერა, მაგრამ დეპუტატები ამან ვერ შეაჩერა: მათ გადაწყვიტეს პეტიცია მაინც მიერთმათ მეფისათვის. მეორედ ღღეს დეპუტატები მეფის სასახლეში მივიდნენ და პეტიცია მისცეს მეფეს. იაკობმა თუმცა მოისმინა თხოვნა (პეტიცია), მაგრამ საშინლად განრისხდა და დეპუტატებს სასტიკი შენიშვნა მისცა.

— მე ძლიერ მაკვირვებს და ძლიერ უკმაყოფილოცა ვარ, რომ პალატამ ასე ცოტა ყურადღება მიაქცია ჩემ რჩევას. მაგრამ სულ ერთია: თქვენ რაც უნდა ჩაიდინოთ, მე მაინც ჩემ-

სას ვიქ და რაცა ვსთქვი კიდევ აღვასრულებო სთქვა მეფემ.

პეტრიაში კი ისეთი არა ყოფილა რა ნათქვამი, რომ მეფეს თავი შეურაცყოფილად ეცნო. პირ იქით, პეტრია დიდის მოწიწებით იყო დაწერილი, რადგან დებუტატების უმეტესობა მეფის ერთგული და მორჩილი იყო. დებუტატები უკმაყოფილო, მღუპარე და მოქუშულნი დაბრუნდნენ პალატაში. მათ უყვარდათ და მიაჩნდათ მეფე და არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ და რა გადაწყვეტილებას დასდგომდნენ მეფის სიტყვის შესახებ. ბოლოს ადგა ერთი დებუტატთგანი, — ჯონ კოკი და თამამად განაცხადა:

— ჩვენ ინგლისელები ვართ და ჩვენს მოვალეობას არ ვუღალატებთ მარტო იმის გამო, რომ მეფემ რამოდენიმე შედიდური სიტყვა სთქვა.

პალატამ ეს სიტყვები დიდის უკმაყოფილებით მოხსმინა; დებუტატების უმეტესობა მეფის ერთგული იყო და კოკის სიტყვები მეფის შეურაცხყოფათ მიიჩნიეს. „ოქმში შეიტანეთ მაგის სიტყვები, ტოუერში მაგ“, ასტყდა ყვირილი ყოველი მხრით და კოკი საპარლამენტოში გაგზავნეს.

მეფეს და მის მინისტრებს იმედი მიეცათ, რომ ამ შემთხვევის შემდეგ სათემო პალატა უფრო დამთმობი და მორჩილი იქნებოდა, მაგრამ ერთიც და მეორენიც გვარიანათ შეცდნენ: ის კი არა და ლორდთა პალატამაც ხელი მიჰყო მეფის კიცხვას. ერთმა ლორდმა წინადადება შეიტანა, რომ დღედაღნიშნათ მეფის სიტყვის გასაჩრევად. მეორე ახალგაზრდა ლორდი წამოდგა და თამამად სთქვა:

— სათემო პალატას ლაპარაკის ეშინია. აქ რაღაც ხიფათზედ და იქვიანობაზედ ჩმახვენ. რის იჭვიანობა, რის ხიფათი; უბედურება, რომელზედაც ვლაპარაკობთ, თვალწინ გვიდგია: მუდმივი ჯარი უკვე არსებობს; აფიცრებთ ამ ჯარში პაპისტები არიან, მაგრამ რა საჭიროა ეს ჯარი, როცა ამბოხებას ვერ ვხედავთ. ერთად ერთი საჭიროება, რომლისთვისაც ინახვენ

ჯარს, ისაა, რომ მისი საშუალებით და დახმარებით დასთქ-
ლონ ჩვენი კანონები, განამტკიცონ და დაამკვიდრონ თავიანთი
უსაზღვრო ძალა და უფლებები, რომელნიც სრულიად სამარ-
თლიანად სძაგთ და ეჯაგრებათ ინგლისელებსო.

გაიგო თუ არა შეფხვ, როგორ იწყეს დაპარაკი ლორდუ-
მა, თითონ გამოცხადდა პალატში. მას იმედი ჰქონდა, რომ
მის წინაშე ლორდები ასე თამამად დაპარაკს ვეღარ გაზედამ-
დნენ და მის სიტყვის გარჩევას თავს დაანებებდნენ. ლორდუ-
მა ამას უურადღებდა არ შიამოკნეს და გადასწყვიტეს, მეორე
დღეს მეფის სიტყვაზე შკობა ჰქონოდათ. ამ დღეს მეფე მარ-
ლაც გამოცხადდა პარლამენტში. ლორდთა პალატის ცერემონი-
ანსებისტერი (მოთადარიგე) სათემო პალატაში წავიდა და წვე-
რებს მოუწოდა ლორდთა პალატაში.

როცა სათემო პალატის წევრები ლორდთა პალატაში შე-
ვიდნენ, კანკლერმა გამოაცხადა, რომ მეფეს სურს პარლამენ-
ტი გადასდვასო. ყველა ის წევრი, რომელნიც მეფის წინააღ-
მდეგი იყვნენ, სახელმწიფო საშახურიდგან დაითხოვეს. მეფემ
გადასწყვიტა პარლამენტი აღარ შეეკრიბა, რადგან კარგათ
იკოდა, რომ ვერ დაითანხმებდა მას, მან არჩია პარლამენტის
დაუკითხავად, თავის ნებით განებორციელებია რაც სწაღდა.
მეფე ამტკიცებდა, რომ მას აქვს „ახსნის უფლება“, ვაე იგი
მას შეუძლია თავის ქვეშევრდომთ უფლება მისცეს, რომ მათ
არ აღასრულონ ზოგიერთი კანონები. მეფემ მართლაც გააუქ-
მა ფიცის დების კანონი, ესე იგი ნება მისცა თვის ქვეშევ-
რდომთ არ აღესრულებიათ ეს კანონი, თუ მათ ამის სურვი-
ლი ჰქონდათ, გარდა ამისა მეფის ნებართვით კათოლიკებს
ყოველგვარი თანამდებობის დაჭერის უფლება მიეცათ:

მეფეს სურდა, რომ მთავარ-მსაჯულს განემტკიცებია „ახ-
სნის უფლება“, და მით ეს უფლება თვის კუთვნილებად ექცია,
მაგრამ მთავარ-მსაჯულმა გადაჭრით სთქვა, რომ მეფეს არ
ჰქონდა უფლება კათოლიკებისათვის ნება მიეცა, რომ მათ
ყოველგვარი თანამდებობა დაეჭირათ. მეფე მსაჯულს დაემუ-

ქრა შენ აღვიღზე ხელს ავალდებინებო, მაგრამ მსახურს ამ მოქარამ ვერ შეაშინა.

— რაც შეეხება ჩემს აღვიღს, მე ამაზედ სრულიად არ ვზრუნავ; მე სახელმწიფო სამსახურში უკვე დაებერდი და დავჩაანაყდი; მე მხოლოდ ის მანუათებს და მაწუხებს, რომ თქვენ დიდებულებას ისეთ კაცათ მივიჩნევარ, ვითომც მე შემძლოს იმის თქმა, რის თქმაც უფიცს და უპატიოსნოს შეუძლიაო, მიუგო მთავარ-მსაჯულმა მეფეს.

ამ სიტყვებისათვის მეფემ მთავარ-მსაჯულს თანამდებობაზე ხელი ააღებინა.

ძველად მეფეს უფლება ჰქონდა თვის ქვეშევრდომთათვის დანაშაული ეპატიებინა, თუნდ იგინი სასამართლოსაგან დამნაშავედ ცნობილნი ყოფილიყვნენ; მას ამაზედ არვინ შეედავებოდა; მეფეს შეეძლო აგრეთვე პარლამენტისაგან გამოცემული კანონი გაეუქმებია; მაგრამ, მას შემდეგ, რაც მეფის უფლებები პარლამენტის ხელში გადავიდნენ, მან ამის უფლებაც დაჰკარგა; მას ახლა შეეძლო კანონის გაუქმება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამაზედ თანხმა იყო პარლამენტი. ჰქონდა თუ არა მეფეს „ახსნის უფლება“, ამაზედ არც არვინ ბევრს ფიქრობდა, არც ლაპარაკობდა; მხოლოდ თითონ იაკობმა აღძრა ამ საგანზედ ლაპარაკი; მას უნდოდა ამ უფლების ძალით კათოლიკების წინააღმდეგი კანონები გაეუქმებია; ინგლისელი პროტესტანტები კი ამ კანონს დიდათ იფასებდნენ, რადგან მათ კათოლიკები საშინლად სძაგდათ და ინგლისის მოსისხლე მტრებად წიანდათ იგინი.

იაკობმა თითონ დაანახვა ხალხს იმის მაგალითი, თუ რამდენათ საშიშო იყო, როცა მეფეს „ახსნის უფლება ხელით ჰქონდა. ამიტომაც არა მართო სამსჯელო, საიდუმლო საბჭოც კი წინააღმდეგი იყო, რომ „ახსნის უფლება“, ანუ კანონების გაუქმების ნება მეფის ხელიში ყოფილიყო. მეფე გულის ხმას უნდა ჩაეარდილიყო, რადგან ხედავდა, რომ მისი სურვილი და მოქმედება არვის მოსწონდა, მაგრამ იგი მაინც თავისას არ



იწლიდა: მან საიდუმლო საბჭოს წევრებს, რომელნიც მეფის
 ეწინააღმდეგებოდნენ, გაძევება დაუწყო და კათოლიკებს
 მღვდლებათ და ეპისკოპოზებათ ნიწნავდა. კათოლიკური წი-
 რვა-ლოცვა ინგლისში დიდი ხნიდგან აღკრძალული იყო; ია-
 კობმა ამის ნებაც მისცა კათოლიკებს. ყოველივე ეს ხალხს
 მეტად აჯავრებდა. რამოდენიმე ადგილას აჯანყდა კიდევ იგი.
 სხვათა შორის ლონდონშიაც აჯანყდა ხალხი. ლონდონელე-
 ბის შესაშინებლად იაკობმა, ცამეტი ათასი ჯარის კაცი დააბი-
 ნავა ლონდონის ახლო.

საფრანგეთის ელჩი სწერდა თავის მეფეს: „ხალხი ყველ-
 გან მეტად უკმაყოფილოა, მაგრამ თავს იკავებს, რომ უარესი
 რამ არ ეწიოს; მეფე იაკობი თავის სიხარულს აღარ ფარავს
 და იმედი აქვს, რომ თავისას გაიტანს. მას ლაპარაკი ჰქონდა
 ჩემთან და მარწმუნებდა, არაფრისათვის მოწინააღმდეგეთ არ
 დაუთმობო“. და მართლაც მეფე ვერაფერმა ვერ შეაჩერა: მან თა-
 ვისი ნებით, პარლამენტის დაუკითხავად გამოსცა „განცხადე-
 ბა სარწმუნოების თავისუფლად აღიარების“ შესახებ. ამ გან-
 ცხადებაში მეფე ამბობდა: შე ყველაფერზედ უფრო ისა მსურს,
 რომ ყველა ჩვენი ქვეშევრდომნი ხელახლა კათოლიკებად იქ-
 ცენ, მაგრამ რა კი ეს შეუძლებელია, ამიტომაც მე გადავ-
 სწყვიტე, მფარველობა გავუწიო კათოლიკებს, რომელთაც
 ინგლიკანური ეკლესია არ სწავთ და აი ამ მიზნით ვაუქმებ
 კათოლიკების და პურიტანების წინააღმდეგ არსებულ კანო-
 ნებს და ნებას ვაძლევ მათ თავისუფლად და დაუფარავად ას-
 რულებდნენ თავიანთ წირვა-ლოცვას, და თანაც ვაუქმებ ფი-
 ცის დების კანონსაო.

დღეს, რასაკვირველია, ინგლისში არავინ იმის წინააღ-
 მდეგი არ არის, რომ თითველმა ის სარწმუნოება აღიაროს,
 რომელიც მას მოსწონს; ეხლა ინგლისში ფიცის-დების კანონი
 უკვე გაუქმებულია და სარწმუნოების საქმეში სრული თავი-
 სუფლებია: კათოლიკესაც და პურიტანსაც სრულიად თავისუ-
 ფლად შეუძლიანთ წირვა-ლოცვა შესარულონ. ინგლისელე-

ბისათვის დღეს წარმოუდგენელია ვისიმე შევიწროება სარწმუნოების გამო. მაგრამ შეჩვიდმეტე საუკუნის დამლევს იგინი ჯერ კიდევ ვერ მიმხდარიყვნენ, რომ სარწმუნოების და სინდისის თავისუფლება კაცის თანდაყოლილს უფლებას შეადგენს. მათ არ ესმოდათ, რომ კაცს ძალით იმ სარწმუნოებას ვერ აღიარებდებ, რომელიც არა სწამს; ეს მით უფრო ძნელი გასაგები იყო იმ დროს ინგლისელებისათვის, რომ კათოლიკების და პურიტანებისადმი სიძულვილით სრულიად დაბრძვებულნი იყვნენ; კათოლიკები მათ კიდევ უფრო სძულდათ და ეჯავრებოდათ, ვინემ პურიტანები; იგინი მხათ იყვნენ ყოველნაირი შევიწროება და უსამართლოება მიეყენებიათ კათოლიკებისათვის.

მეფის განცხადებამ „სარწმუნოების თავისუფლად აღიარების“ შესახებ, ყველა უზომოთ აღაშფოთა. ყველა კარგათ ხედავდა, რომ მეფე მხოლოდ კათოლიკების და არა ყველა სარწმუნოების მადიარებელთა სასარგებლოთ ზრუნავდა; ყველა ატყობდა, რომ მეფეს სურდა ყველა სათანამდებო ადგილები კათოლიკებისათვის მიეცა და პროტესტანტები მშრალზედ დაეტოვებია. თანაც მეფის განცხადება სრულიად უკანონო იყო: მას არავითარი უფლება არ ჰქონდა პარლამენტისაგან გამოცემული კანონები გაეუქმებია; და მართლაც თუ კი მეფეს ამის უფლება ექნებოდა, კანონების გამოცემა პარლამენტისაგან სწორედ ჩხირ-კედელიაობა იქნებოდა.

გაიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ განსვენებულმა მეფემ კარლო მეორემ, თვისი ძმის იაკობის თხოვნით გამოსცა „განცხადება სარწმუნოების თავისუფლად აღიარების“ შესახებ და მაშინაც მეფის ასეთმა მოქმედებამ ისე საშინლად ააღელვა ხალხი, რომ მეფე იძულებული გახდა უკანვე წაეღო იგი. უკანვე მიმაქვს ჩემი განცხადებაო, განუცხადა მეფემ პარლამენტს და თანაც აღთქმა დასდვა ორივე პალატის წინაშე, რომ ჩემს დღეში მაგას აღარ ჩავიდნო.

ძლივს რამოდენიმე წელში განვლო ამის შემდეგ და ია-

კობში სწორედ ისეთივე განცხადება გამოსცა: თანაც მეფის კათოლიკებს ჩააბარა რაც კი რამ სახეირო თანამდებობა იყო სახელმწიფოში: ლორდებათ, მეფის მოადგილეთ, მსაჯულებათ, ელჩებათ სხვა და სხვა ქვეყნებში, მთავარ-სარდლებათ, ციხეების უფროსებათ, მღვდლებათ, ეპისკოპოსებათ, მარტოდ მარტო კათოლიკები ინიშნებოდნენ. ვარდა ამისა იაკობმა აღადგინა სასულიერო კომისისია, რომელიც გრძელმა პარლამენტმა სამუდამოდ მოსპო, ამ კომისისის წევრებათაც მეფემ კათოლიკები დანიშნა. ეს კომისისია უმაღლეს სასულიერო სამსჯავროს წარმოადგენდა, ასე რომ მეფის განკარგულების შემდეგ პროტესტანტების მღვდლების მსაჯულებათ კათოლიკები უნდა ყოფილიყვნენ. რა მიუდგომელ მსჯავრს დასდებდნენ კათოლიკები პროტესტანტებს, ეს ხომ ადვილი წარმოსადგენია. თელ ხალხს რომ გაეგო, თუ რა სწაღდა მეფეს, იაკობმა ბრძანება მისცა ეპისკოპოსებს, მისი „განცხადება სარწმუნოების შესახებ“, ყველა ეკლესიებში დაეგზავნათ მღვდლებისათვის რომ იმათ ორ მომავალ კვირა დღეს წირვის დროს წაეკითხათ იგი ხალხისათვის. ყველა მოუთმენლად მოელოდა, თუ როგორ მოიქცეოდნენ ეპისკოპოსები: დამორჩილდებოდნენ იგინი მეფეს და უბრძანებდნენ მღვდლებს ამ უკანონო საბუთის წაკითხვას, თუ უარს განაცხადებდნენ მეფის ბრძანების ასრულებაზედ.

§ 5.

მეფე და ანგლიკანური სამღვდლოება: სამღვდლოების ქადაგება იმაზედ, რომ ხალხს წინააღმდეგობა არ გაეწია მეფისათვის.—ეპისკოპოსების პეტიცია მეფისადმი.—ეპისკოპოსების განსამართლება.—ეპისკოპოსების გამართლება.—ხალხის სიხარული.—იაკობის შრისხანება.—ვილჰელმ რარინელი და მარიაში.—იაკობის ძიხ დაზადება.—ვილჰელმისა და მარიაშის მოწოდება ინგლისში ტორიებისა და ვიგებისაგან.

მეფის „განცხადებამ სარწმუნოების თავისუფლების შესახებ“, თელ ინგლისის სამღვდლოებას თავზარი დასცა. ანგლი-

კანური სამღვდელთა მეფეს ისე უყურებდა, თუ როგორც ქვეყნის დამცველს და მფარველს. რევოლუციის დროს გაქცეულ მეფეს შრავალი მღვდელი უკან გაყვა; დაბრუნდნენ თუ არა ინგლისში სტიუარტები, გაქცეული მღვდლებიც დაბრუნდნენ; ერთი სიტყვით მეფეებსა და სამღვდელოების შორის ისეთი მჭიდრო კავშირი არსებობდა, რომ ვინ იფიქრებდა თუ ეს კავშირი გაწყდებოდა. სამღვდელოებასაც თვის რიგზედ ყველაფერში მეფის მხარე ეჭირა და მის ერთგულებაში იყო. მღვდლები მუდამ იმას ქადაგებდნენ: „მეფე ყველა კანონებზედ მაღლა სდგას, მეფის ძალა და უფლებანი უფლისაგან არიან; მეფის წინააღმდეგობა დიდი უკანონობაა, რადგან თვით უფალმა აღგვიკრძალა იგი; რა უბედურებაც უნდა გვეწიოს მეფისაგან, უნდა მოთმინებით ავიტანოთ, სანამ მამა-ზეციერი სხვა მეფეს მოგვიფიქრებდესო.“ როცა მღვდლები ასე ქადაგებდნენ, რა თქმა უნდა მათ აზრათაც არ მოსდიოდათ, რომ მეფე, რომელსაც იგინი ასე ერთგულად ემსახურებოდნენ როგორც ჰერში, ისე ლინში, ერთ მშვენიერ დღეს მათ წინააღმდეგ ვაილაშქრებდა; მათ ვერ წარმოედგინათ, რომ იაკობი განიზრახავდა ანგლიკანური ეკლესიის მოსპობას, რომელიც თვით მეფეებმა შექმნეს და იცავდნენ კიდევ. ერთი სიტყვით მოხდა ის, რაც შეუძლებლად მიაჩნდათ: მეფემ გადასწყვიტა ანგლიკანური ეკლესია მოესპო და მის მაგიერ კათოლიკური ეკლესია დაემყარებია. ეს კიდევ არაფერი: მეფეს სურდა, რომ ამ საქმეში მას ანგლიკანური სამღვდელთა დახმარებოდა.

ეპისკოპოსების აღმფრთხილებას სამზღვარი აღარ ჰქონდა, როცა მეფის ბრძანება მიიღეს, მღვდლებს დაევალებათ, წირვის დროს ხალხს წაუკითხონ „განცხადება სარწმუნოების თავისუფლად აღიარების შესახებო.“ ლონდონის სამღვდელოებამ კრება მოახდინა იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, არ შეესრულებიათ მეფის ბრძანება? კი, მაგრამ, განა სამღვდელოება არ ქადაგებდა მანამდის მეფის წინააღმდეგობა მომავლდინებელი ცოდვით! დამორჩილებოდა მეფეს? ამით ხომ ბოლო

მოვლებოდა მის არსებობას! ხანგრძლივი თანაბრის შეხედვით ლონდონის სამღვდლოებამ გადასწყვიტა განცხადება არ წაკითხა და მეფისათვის პეტიცია მიერთშია. პეტიციაში სამღვდლოება არწმუნებდა მეფეს სულით და გულით შენი ერთგული ვართ და ნუ გვწანებთ ურჩობასო. რაც შეეხება „განცხადების“ წაკითხვას, ამას ვერ ვიქმთ, რადგან ეს განცხადება სრულიად უკანონოაო. ამ პეტციას არსიებისკოპოსმა და ექვსმა ეპისკოპოსმა მოაწერა ხელი. ხელის მომწერნი თითონ მივიდნენ სასახლეში, რომ მეფისათვის პეტიცია მიერთშიათ. მეფე ძლიერ მხიარულათ შეხვდა მათ და მიიღო პეტიცია. როდესაც წაკითხა პეტიცია და გაიგო რაში იყო საქმე, მრისხანებით მიმართა მთხოვნელებს და უთხრა:

— ყოველივე ეს ჩემთვის მოულოდნელია. მე სწორედ არ მოველოდი ამას თქვენგან. ეს ამბოხების ნიშანია. მე მაინც და მაინც მსურს განცხადება წაკითხულ იქნეს. მე მივალწევ იმას, რომ შემორჩილებოდეთ. განცხადება უსათუოდ წაკითხულ უნდა იქნეს. თქვენ ამბოხების მკადაგებელნი ხართ. მე არ დავიფიწყებ მათ, ვინც ამ პეტიციაზე ხელი მოაწერო.

და მართლაც მეფეს არ დავიწყებია ივინი. არსიებისკოპოსიც და ეპისკოპოსებიც მან პასუხის გებაში მისცა და თანაც ბრძანება გასცა, დაეპატიმრებიათ ივინი და განსამართლებამდის საპყრობილეში პყოლოდათ, მოსამართლეები თითონ მეფემ დანიშნა. ყველა ეს მოსამართლენი მეფის შიხა — მორჩილნი იყვნენ. ნათეცებათ განგებ ხანტა და გაუბედავი კაცები იქნენ არჩეულნი. მოსალოდნელი იყო, რომ ასეთი მოსამართლენი დამნაშავედ სცნობდნენ ბრალდებულებს. მეფესაც, რასაკვირველია, ასე ეგონა.

მაგრამ, წარმოიდგინეთ, ამ მოსამართლეებმაც კი გაამართლეს ეპისკოპოსები.

ხალხი შიშით და მოუთმენლათ ელოდა განაჩენს. როდესაც ხმა გაისმა, ბრალდებულნი გაამართლესო, ხალხი უსახლვრო სიხარულს და აღტაცებას მიეცა. ეკლესიები მლოცვე-

ღებით აღივსენ. თელ ლონდონში ზარები გუგუნვდნენ. ხალხი აღტაცებით შესძახოდა ნაფიცებს:

—გმადლობთ მილორდებო, დიდად გმადლობთ: ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის შემწე; თქვენ ისე მოიქეცით, როგორც შეფერის პატიოსან კაცებს; თქვენ დღეს ყველა ჩვენგანს უშველეთო.

ამ დროს შეფე ლონდონის ახლო ბანაკად იყო. აქ მოიბრძინა შიკრიკმა და შეფეს განუცხადა, ეპისკოპოსები გაამართლესო.

—მით უარესი მათთვის, მით უარესი, დაიძაბა შეფემ და დაუყოვნებლივ გასწია ლონდონისაკენ.

გამოსცილდა თუ არა შეფე ბანაკს, ჯარის კაცებმა „ურაო“ იგრიადეს.

—რა მოხდა, რა ამბავია, რას მოასწავებს ეს ყვირილიო, ჰკითხა შეფემ თანამხლებელს,

არაფერი, თქვენო დიდებულებავ, ჯარის კაცები გახარებული არიან, იმის გამო რომ სიშართლე ეპისკოპოსებს დარჩათო.

—შენი აზრით ევ არაფერია! ნით უარესი მათთვის, გაიმგორა შეფემ. სამღვდლოებაათან ერთად შეფეს ტორიებმაც უღალატეს, მათაც შეიძულეს იაკობი: ის ხომ მათ საყვარელ ეკლესიას სდევნიდა მის მაგიერ, რომ დაეცვა იგი; მას ხომ დარდიც არ ჰქონდა მათი, ტორიების, თვისი ერთგული ჯეშევრდომების! მან არ გააძევა იგინი ყველა სახელმწიფო თანამდებობიდან და მათ მაგიერ კათოლიკები არ მოიწვია! ამიტომაც ტორიები მოუთმენლად ელოდნენ იაკობის შეფობის დასასრულს და მის ქალის, მარიამის ტახტზედ ასვლას. ერთი რომ მარიამი პროტესტანტის სარწმუნოების იყო; მეორე—ის იყო ვილჰელმ ორანელის, ჰოლლანდიის მმართველის ცოლი. ვილჰელმი კი თელ ევროპაში ცნობილი იყო, როგორც ნომხრე და დაშცველი პროტესტანტული სარწმუნოებისა. იაკობი იმ დროს უკვე მოხუცი იყო—მას დიდი ხნის სიცოცხლე აღარ

დარჩენოდა; მაგრამ სავალალო ის შეიქნა, რომ იაკობს სიბრძნე-
ლიად მოულოდნელად მემკვიდრე დაეხდა. ამ უბედური ბავ-
შის დაბადებამ ვიგებიც და ტორიებიც დააფრთხო. ბავშვის
აღმზრდელები კათოლიკები იქნებოდნენ და, ცხადია, იგინი
კათოლიკურ სარწმუნოებაზედ აღზრდიდნენ მას. საშიშო იყო
რომ იგიც მამასავით არ მოქცეულიყო.

ერთი სიტყვით საქმის ასეთნაირ მდგომარეობას ბოლო
არ უქნდა. ამასთან არაფერ ნამდვილად არ იცოდა, ახლად და-
ბადებულნი მართლა იაკობის შვილი იყო, თუ არა. პროტეს-
ტანტების აზრით ის იყო იაკობის ნაშვილები და თუ კა-
თოლიკები ამბობდნენ, რომ იგი ნამდვილად იაკობის შვილია,
ამას შოლოდ იმისთვის შერებოდნენ, რომ მარიამს ტახტი დაჰ-
კარგოდა და ინგლისში ხელახლა კათოლიკური სარწმუნოება
შემოეღოთ. ინგლისელები ამას ვერასეხით ვერ შერებოდნენ.
ამიტომაც ტორიებმა გადასწყვიტეს, უკუვედოთ ის აზრი, ვი-
თომაც ქვეშევრდომნი არასოდეს მეფის წინააღმდეგ არ უნდა
წასულიყვნენ და მეფის ბრძანება უნდა უფთხოთ აღესრულებ-
ნათ. ახლა მათ უარჰყვეს ასეთი შეხედულობა, შეუერთდნენ
თავიანთ მოსახლეს შტრებს ვიგებს და მათთან ერთად გადა-
სწყვიტეს იაკობი ტახტიდგან ჩამოეგდოთ და ჰოლანდიდგან
მარიამი და ვილჰელმი მოეწოდებნათ.

§ 6

როგორ მოუწოდეს ინგლისელებმა ვილჰელმს. — ვილჰელმის მხალეა ინ-
გლისში წასაბეღელად. — მეფე ლუდოვიკი იაკობს აფრთხილებს. — იაკობი
უარს ჰყოფს ლუდოვიკის დახმარებას. — ვილჰელმის ინგლისში შემოსულა.
— იაკობის ვაქცევა. — პარლამენტის დადგენილება. — უფლებათა დეკლარა-
ცია. — ამბოხება ირლანდიაში.

ვილჰელმთან მოსალაპარაკებლად ჰოლანდიაში ერთი ლო-
რდი ვიგი წავიდა და დაწვრილებით უცმბო ვილჰელმს ყველა-
ფერი, რაც ინგლისში ხდებოდა; თანაც სთხოვა ვილჰელმს,
ინგლისს დასცემოდა ჯარით და იაკობის წინააღმდეგ ინგლი-

სის ხალხი აფჯანყებია. როცა ვილჰელმმა გაიგო, რამდენად იყო საქმე, ერთ თვის მეგობარს უთხრა: „ან ახლავე, ან არასოდეს“. სწორედ იმ დღეს, როცა ეპისკოპოსები გაამართლეს, ვილჰელმს წერილობითი მოწოდება მოუვიდა, ჯარით ინგლისში შემოსულიყო. ამ მოწოდებაზედ ბევრ დადებულ ინგლისელს ჰქონდა ხელი მოწერილი. ვილჰელმი ინგლისში შემოსასვლელად მზადებას შეუდგა. ეს მალე საფრანგეთის მეფემ, ლიუდოვიკმა, გაიგო. ლიუდოვიკს არ უნდოდა ისეთი ერთგული და მორჩილი თანაშენწე დაეკარგა, როგორც იაკობი იყო. ამიტომაც მან იაკობი გააფრთხილა და დახმარება აღუთქვა ვილჰელმის წინააღმდეგ. იაკობს არაფრისთვის არ სჯეროდა, რომ ვილჰელმი მისი უფლებების დარღვევას გაბედავდა და მისი ტახტის მითვისებას მოინდომებდა. ამიტომაც მან ლიუდოვიკს დახმარება უარპყო და ძველებურის დაუდევრობით და უტიფრობით არღვევდა და სთელავდა თვის ქვეშევრდომთა უფლებას და ინგლისის კანონებს. ლიუდოვიკი თავისას არ იშლიდა, მაინც აფრთხილებდა იაკობს და დაჟინებით აწვდიდა დახმარებას. იაკობს ჯავრი მოსდიოდა, რომ ლიუდოვიკი მის საქმეში ერეოდა და მედიდურად გაიძახოდა: „გაკონილა ოდესმე ისეთაირად შეურაცხყოფილი მეფე, როგორც მე ვარ? ბაღლი ვარ მე თუ სულელი, რომ ჩემ საქმეებზედ ჩემ მაგიერ სხვები ფიქრობენ და თავებს იმტვრევენ? ან და რა ამისთანა ვითომდა მცირე თავადი მე მნახეს, რომ სხვის დაუხმარებლად და ძლიერის მფარველის უყურადღებოთ ცხოვრება არ შემეძლოს? რა აუცილებელი საჭიროებაა ისეთი დახმარება მივიღო, რომელიც არვისთვის არ მითხოვნია და მით თავი შევირცხვინო მთელი ევროპის წინაშე?!“ ვილჰელმი კი ამ დროს იმაზედ ფიქრობდა, ვაი თუ ლიუდოვიკმა ხელი შემეშალოს და საწადელს ვეღარ მივაღწიოვო. „ჩემი ტანჯვა და მწუხარება აუტანელია; ლამის არი ქკუაზედ შევიშალოვო“, სწერდა ვილჰელმი.

იაკობი მხოლოდ მაშინ დატყუებდა, რომ ლიუდოვიკი

მართალს ამბობდა, როცა ვილჰელმი ინგლისში შემოვიქცა. ახლა კი მიხვდა იაკობი, რომ ლიუდოვიკის დახმარების უარყოფა მისი მხრით დიდი სისულელე იყო. ვილჰელმის ინგლისში შემოსვლამ იმდენათ შეაშინა იაკობი, რომ იგი მზათ იყო თვის ქვეშევრდომებს შერიგებოდა; ამ ძიხნით მან მანიფესტი გამოხატა; აქ მეფე აღთქმას სდებდა, ინგლისის ეკკლესიას დავიკავ; სათემო პალიტაში კათოლიკებს აღარ გავატარებ და გაძევებულ პროტესტანტებს თავიანთ ადგილებს დავუბრუნებო; მაგრამ გვიან-ღა იყო: შერიგების დრო უკვე წავიდა; იაკობმა ყოველგვარი ნდობა დაჰკარგა; ის ახლა ყველას სძულდა—უმალღეს აზნაურობასაც, მოქალაქეებსაც, რომლებსაც მან ხარტიები წაართვა და ხალხსაც.

იაკობი მიხვდა, რომ მარტოდ-მარტო დარჩა და არავინ მისთვის საიმედო აღარ იყო; იმედ დაკარგული მეფე ადგა და ერთ ბნელ ღამეში იდუმლათ მთელი ოჯახობით საფრანგეთს გაიქცა. გაქცეული მეფე ლიუდოვიკმა ისე მიიღო, როგორც ინგლისის მეფე, დააბინავა იგი ერთ თავის სასახლეში და მეცადინეობას შეუდგა, რომ იაკობს ინგლისის ტახტი არ დაჰკარგოდა; ვილჰელმს ძლიერ გაეხარდა, რომ იაკობი გაიქცა და თვისი ნებით დაუთმო მას ადგილი.

გაიქცა თუ არა მეფე, პარლამენტი შეიკრიბა. პარლამენტს უნდა გადაეწყვიტა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ.

ზანგრძლივი დავა-კამათის შემდეგ პარლამენტმა დაადგინა: მეფე იაკობს უნდოდა ბოროტ-მოქმედი კაცების დახმარებით სამეფოს ყველა კანონები გაექარწყლებია; ამით მან უარპყო სამეფოს მართვა და ტახტი გაანთავისუფლო.

შემდეგ პარლამენტმა ინგლისის ტახტი ვილჰელმს და მარტამს, იაკობის ქალიშვილს მიაწოდა, მაგრამ განსაზღვრული პირობით კი. ეს პირობები ჩამოთვლილი იყო ესრედ წოდებულ „უფლებათა დეკლარაციაში“, რომელიც პარლამენტმა შეადგინა. ამ დეკლარაციაში აღნიშნული იყო იაკობის უკანონო მართველობა, მის მიერ სამეფო ტახტის უარის ყოფა

და პარლამენტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ინგლისის ხალხის ძველი უფლებები და თავისუფლება აღდგენილი უნდა ყოფილიყვნენ. დეკლარაციის ძალით სამუდამოდ უნდა მოსპობილიყო სასულიერო კომისისია; დეკლარაცია მეფეს უკრძალავდა პარლამენტის დაუკითხავად, მარტო თვისი ნებით, ჯარის შეგროვებას, კანონების გაუქმებას და გადასახადების შემოღებას; დეკლარაციაში განმტკიცებული იყო თითოეული ინგლისელის ძველის ძველი უფლება, რომლის ძალითაც ყველას თავისუფლად, უშიშრად და დაუსჯელად შეეძლო მეფისათვის თხოვნა მიეცა; განმტკიცებული იყო აგრეთვე ის უფლება, რომ თათულის მართებლობის ძალდაუტანებლად, თავისუფლად, თვისი სურვილისა და ნებისამებრ შეეძლო დებუტატების ამორჩევა; რომ დებუტატებს თავისუფლად და უშიშრად შეეძლოთ სჯა ყოველგვარ კითხვაზედ, რომელიც პარლამენტში აღიძროდა; დეკლარაციაში ნათქვამი იყო აგრეთვე ისიც, თუ როგორ უნდა მოწყობილიყო სამსჯავრო. დასასრულ დეკლარაცია აცხადებდა, რომ ინგლისის მეფე-დედოფალი ვილჰელმი და მარიამიაო. ეს დეკლარაცია დიდის აზრით სასახლის ერთ საუკეთესო დარბაზში ვილჰელმს და მარიამს მიართვეს. ვილჰელმი და მარიამი ტახტზედ ისხდნენ; ერთის მხრით მარჯვენ, პერები იდგნენ, მეორე მხრით—სათემო პალატის დებუტატები და მათ უკან—დიდძალი ხალხი. ლორდთა პალატის მდივანმა დეკლარაცია ხმა მალლა წაიკითხა. ერთმა ლორდთაგანმა ყველა წოდებათა სახელით ვილჰელმს და მარიამს სამეფო გვირგვინი მიართვა.

ვილჰელმა თვისი და თვისი ცოლის მაგიერ თანხმობა განაცხადა და სთქვა: მე მტკიცედ და სიწმინდით დავიკავ ინგლისელების თავისუფლებას და ყველა მის უფლებებს, რომელნიც ინგლისს შეუნარჩუნებიაო. შოტლანდიამაც დიდის სიხარულით აღიარა მეფედ ვილჰელმი, მით უმეტეს, რომ იაკობმა შოტლანდიელებიც გამოიყვანა მოთმინებიდგან თვისი უმსგავსოებით და ყოველ სამზღვარს გადასული თვითნებობით.



შოტლანდიაშიც წარუდგინა მეფეს „დეკლარაცია“ მეფემ მიიღო იგი და აღთქმა დასდო, ამასაც ავასრულებო. ამ დეკლარაციაში შოტლანდიელები თხოულობდნენ, რომ მეფეს შოტლანდიაში ებისკოპოსები მოესპო და პრესვიტორიანთა სარწმუნოება აღედგინა. ვილჰელმა ეს თხოვნა აღასრულა, მაგრამ იმავე დროს ისიც მოახერხა, რომ „სარწმუნოების თავისუფლად აღიარების“ ვანონი გამოსცა. „სანამდისაც მე მეფედ ვიქნები, სინდისის სრული თავისუფლება უნდა არსებობდეს; ჩვენ გვეოხნია, რომ ძალდატანება არც ერთი სარწმუნოებისათვის არ უნდა იყოს კარგი; ჩვენ არ გვსურს, რომ ჩვენი ძალა ეანჭმებ სხვისი შურის საძიებლად გამოიყენოსო“.

მხოლოდ ირლანდიაში უარპყო ვილჰელმი, რადგან ირლანდიის მცხოვრებლები კათოლიკური სარწმუნოების მაღიარებელნი იყვნენ და ინგლისელებს ისე უყურებდნენ, როგორც თავიანთ დამპავერებლებს და შეშავიწროებელთ; ასე რომ ამ დროს ირლანდიაში ამზობებაც კი მოხდა. სწორედ იმ ხანად იქ გაჩნდა იაკობი საფრანგეთის ჯარით. ასტყდა ბრძოლა იაკობსა და ვილჰელმს შორის. რადგან იმ ხანებში ვილჰელმი საფრანგეთს ეომებოდა, დროზედ ვერ მიიღო ისეთი ზომები, რომ ამზობება ჩაეჭრო.

ათას ექვსას ორმოც წელს მივიდა ვილჰელმი ირლანდიაში ჯარით, დაამარცხა ირლანდიელები და დაიმორჩალა იგინი. ამ რიგად ვილჰელმი გახდა ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის მეფედ.

სტიუარტები ინგლისიდგან სამუდამოთ განდევნილ იქმნენ. ინგლისელები ათას ექვსას ოთხმოცდა მერვე წლის „სახელოვან რევოლიუციას“ ეძახიან ამ რევოლიუციას და თავი მოაქვთ მით; და მართლაც ამ რევოლიუციის საშუალებით, სიძულ დაუნთხველად, ინგლისში ფრიალ დიდი ცვლილებები მოხდა.

ამიერიდგან სამუდამოთ დამტკიცდა, რომ ინგლისის ხალხს უფლება აქვს უღირს მეფეს მეფობაზედ ხელი აღებინოს და



მის მაგიერ სხვას მოუწოდოს; ხალხს უფლება აქვს შესცვა-
ლოს კანონი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ და ტახტი, ვი-
საც სურს, იმას გადასცეს; ყოველივე ეს შეუძლია მოახდი-
ნოს ხალხმა თვისი კანონიერი წარმომადგენლების, ესე იგი პარ-
ლამენტის საშუალებით.

ამერიდგან ლაპარაკი კი შეუძლებელი შეიქნა იმაზედ,
რომ შეუეს უფლებები ვითომც ღეთისგან ჰქონდა მინიჭებული.
არც ერთ მეფეს ნება აღარ ჰქონდა გაცხადებია, რომ გარდა
იმ უფლებებისა, რომელნიც პარლამენტს მიუნიჭებია ჩემთვის,
კიდევ სხვა უფლებებიც მაქვსო.

გარდა ამისა „უფლებათა დეკლარაციაში“, გაცილებით
უფრო ცხადათ იყო განსაზღვრული, ვინემ უწინ, რა და რა
უფლებები ჰქონდა პარლამენტს და რა უფლებები ეკუთვნო-
და მეფეს.

ათას ექვსას ოთხმოცდა შერეე წლის რევოლუციით გა-
თავდა ბრძოლა მეფესა და პარლამენტს შორის.

გამარჯვება პარლამენტს დარჩა,—მეფემ პარლამენტისაგან
შიიღო თვისი მეფური უფლებები.

[Faint, mostly illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page.]

თ ა ვ ი VIII.

ინგლისი ვილჰელმ მესამის, ანნას, გიორგი მეორის და ვიორჯი მესამის დროს.

§ 1.

მეფე ვილჰელმ მესამე. — იაკობ მეორე და ვილჰელმი. — როგორ სძულდათ ინგლისელებს ვილჰელმი. — ამის მიზეზები. — ვილჰელმის პიროვნება. სამღვდელთა და ტარიების დამოკიდებულება ვილჰელმთან. — ვიგების ქცევა. — ბილლი ვველადრის პატიებისა. — ვილჰელმი და პარლამენტი. — ვილჰელმის ბრძოლა პარლამენტთან. გადასახადები მუდმივი ჯარის გამო. — დროებითი ჯარი.

გამეფების პირველი დღიდანვე ვილჰელმისათვის იმდენათ აუტანელი შეიქნა ინგლისში ცხოვრება, რომ მან რამოდენიმეჯერ განიზრახა ინგლისის სამუდამოთ მიტოვება. მას უნდოდა ინგლისში დაეტოვებია თავისი მუდღე, მარიამი, თითონ კი თავის ძვირფას ჰოლანდიაში წასულიყო. გამეფებისთანავე ვილჰელმი იძულებული შეიქნა საბუფო ტახტი დაეცვა იაკობისაგან. იაკობი თავის მფარველობის ქვეშ მხილო იმ დროინდელმა უძლიერესმა თვით მპყრობელმა მეფე, ლიუდოვიკ მეთოთხმეტემ. ლიუდოვიკს არ სურდა ვილჰელმი ინგლისის მეფედ ყოფილიყო, ამიტომაც იგი ცდილობდა ვილჰელმისათვის ტახტი წაერთმია. ვილჰელმი მუდამ იმის შიშში იყო, რომ აღრე თუ გვიან იაკობი ფრანგების ჯარით მის წინააღმდეგ გამოილაშქრებდა. იაკობი ყოველ საზიზღარ საშვალეებას ხმარობდა, რომ თავისი შოხისხლე მტრისაგან თავი ეხსნა. ვილჰელმი ავით

თუ კარგათ, ამას კიდევ ვაუქმებდა; მაგრამ მისი უმეტესობა
 ის იყო, რომ თვით ინგლისელებს არ ჰქონდათ მისი წოდება
 და სიყვარული, რასაც ცხადათ ხედავდა. ვიღჭელში ინგლი-
 სელებმა ხომ თვითონ პოიწვიეს და თვითონვე გააძევეს.
 მაგრამ ისინი მაინც ვერ შერიგებოდნენ იმ აზრს, რომ ვიღჭე-
 ლში უცხოელი იყო და უცხოელათ დარჩა ინგლისელები-
 სათვის მთელი თვისი. თუთხმეტი წლის მეფობის განმავლობა-
 ში. არც თვით ვიღჭელმს უყვარდა ინგლისი და ინგლისელები.
 მას საშინლათ ენატრებოდა თავისი სამშობლო ჰოლანდია, და
 მაშინ ვრძობდა ბედნიერათ თავს, როცა იქითკენ გამგზავრება
 მოვლოდა. ვიღჭელმის მეგობრები ყველა ჰოლანდიელები იყ-
 ნენ. გარეგანი შეხედულოებით ვიღჭელში მეტად მოუკარბებელი
 სახის კაცი იყო. ის იყო ჩუმი, მუდამ დადვრემილი, აღერსი-
 ნობას მოკლებული და მოურიდებელი ქცევის. დაახლოვებით
 ვინც იცნობდა ვიღჭელმს, მხოლოდ იმან იცოდა, თუ რა
 მოხერხებულად მოქმედობდა იგი იმ შემავიწროებელ და გასა-
 ჭირ პირობებში, რომლებშიაც იგი იმყოფებოდა. ვიღჭელმს
 სხვა ღირსებათა შორის მეტად მაგარი ხასიათი ჰქონდა. ამა-
 თან აგი იყო გონიერი, შორს გამჭვრეტი და მოქმედი, მეტად
 პატივის მოყვარე, მაგრამ ძლიერ გულ-კეთილი, კეთილ-შობი-
 ლი, პატიოსანი და სანდო კაცი. ის არ არღვევდა ინგლისის
 ხალხის უფლებებს. მისი გამბედაობა და სულგრძელობა მისს
 ნტრებსაც კი აკვირებდა. მაგრამ მხოლოდ მეფის ასობობლე-
 ბმა იცოდნენ, რომ მას ამდენი ღირსებები ჰქონდა. ინგლისე-
 ლებს არ სურდათ რაიმე ებატებიან ვიღჭელმისათვის. განსა-
 კუთრებით არ უყვარდათ ვიღჭელში ტორიებს და სამღვდე-
 ლოებს. მიადგათ თუ არა კარს განსაკუდელი, ტორიებში და
 ებები იმ წამსვე შეუერთდნენ ძველ მტრებს და მათთან ერთად
 გააძევეს ინგლისიდან იაკობი. მაგრამ როდესაც განსა-
 დელი თავიდან აიცილეს ტორიებმა და სამღვდელოებამ,
 ცხადათ დაინახეს, რომ დიდათ შეკლდნენ: მათ დაინახეს, რომ
 კანონიერი მეფე გაძევებულია და ტახტზედ კი მოექცა კაცი, რო-

მელსაც არაფითარი უფლება არ ჰქონდა მეფედ გამხდარიყენ
 სამღვდელთაგან თავდაპირველადვე გამოიჩინა თვისი უს-
 მზღვრო სიძულვილი ვილჰელმისადმი. კენტერბერის არხივის-
 კოპოსში უარი სთქვა ვილჰელმის და მარიამის კურთხევაზედ.
 როდესაც მეფისათვის ფიცი უნდა მიეცათ, რამოდენიმე ეპის-
 კოპოსი და ოთხასი მღვდელი შეთანხმდნენ, თავიანთი თანა-
 მღებობისათვის თავი დაენებებიათ, ოღონდ მეფისათვის კი
 ფიცი არ მიეცათ. სამღვდელთაგან ყოველი ღონის ძიებას ხმარო-
 ბდა, იაკობი დაბრუნებულყო ინგლისში. ვილჰელმა ეს ძლი-
 ერ კარგად იცოდა. ასეთნაირადვე უყურებდნენ ვილჰელმს
 ტორიებიც. მათ შინა ჰგეროდათ მათივე მოქმედება. იგინი
 წინააღმდეგ თავიანთ კანონიერ მეფეს. მათის წყალობით
 დღეს ეს მეფე განდევნილი თვითი სამეფოდგან, სამოწყალოდ
 სცხოვრობდა საფრანგეთის მეფის კარზედ. ტორიებმა უკვე
 დაივიწყეს, რა დღე ადგათ მათ იაკობისაგან და კიდევ რა
 უბედურება მოელოდათ მაგრამ ახლა მაინც დიდის სიამოვნე-
 ბით დააბრუნებდნენ იგინი იაკობს უკანვე. ვილჰელმს ტორი-
 ები უყურებდნენ, როგორც ტაბუის უსამართლოდ მიმთვისე-
 ბელს. იმ დროს ინგლისში ტორიები ძლიერ ბევრი იყო; ყვე-
 ლა მებატონები და თითქმის თელი სოფლებები ტორიები
 იყვნენ, ამასთანავე ვიგებიც ისე იქცევოდნენ თითქოს სურდათ,
 დარწმუნებულყვენ, რომ იგინი ძლიერ შეუდნენ, როცა და-
 ხმარება გაუწიეს მათ, ტორიებს, მეფის წინააღმდეგ ბრძოლა-
 ში. ვიგები სულითა და გულით მონდომილი იყვნენ იმის საზა-
 გიერო მიეგათ ტორიებისათვის, რაც დამართეს მათ ტორი-
 ებმა იაკობის დროს. ვიგები ვილჰელმს თვის მეფეთ სთვლი-
 დნენ და ეკონათ, რომ ის მხარს დაუჭერდა მათ ტორიების
 წინააღმდეგ, მაგრამ ძლიერ მოსტყუდნენ.

ვილჰელმისათვის ვიგები და ტორიები ერთი იყო. „მე
 იმედი მაქვს, ბარლამენტი მალე დაამტკიცებს ყველაფრის
 პატივების ბილლს,“ სთქვა მან ბარლამენტში. სათემო პალიატა
 იმ დროს შესდგებოდა თითქმის მხოლოდ ვიგებისაგან; ვიგებს

კი ასეთი ბილლის გაგონებაც არ სურდათ; განვლო შეიღებულ
 თვემ და ბილლის შესახებ არაფერი ისმოდა. ამაოდ ევედრე-
 ბოდა ვილჰელმი პარლამენტს დაევიწყებია ძველი უკმაყოფილე-
 ბა და განხეთქილება და შეერთებული ძალით შესდგომოდა საერ-
 თო საქმის სამსახურს. ბილოს გაქირვებულმა მეფემ დაითხოვა
 შურის მაძიებელი პარლამენტი და ახალი არჩევნები დანიშნა.
 შურის მაძიებელმა ვიგებმა თავის ამ გვარი საქციელით ისე
 აამხედრეს ბევრი თავიანთ წინააღმდეგ, რომ ახალ არჩევნებზედ
 ტორიებმა გაიმარჯვეს. ახალ სათემო პარლამენტში ვიგების
 რიცხვს ტორიების რიცხვი აღემატა. ახლა „ყველაფერის პა-
 ტიების ბილლი“, თითონ შეიტანა ვილჰელმა პალატაში. ბილ-
 ლი ერთხმით მიიღო პალატამ.

ვიგების უკმაყოფილებას საშლვარი არა ჰქონდა. მათ კი-
 დევ უფრო ის აჯავრებდათ, რომ ვილჰელმი ბევრ საბატოო
 თანამდებობას ტორიებს აძლევდა. ვიგები კი იმედობდნენ,
 რომ ვილჰელმი მარტო მათ შიანდობდა ყველა სახელმწიფო
 თანამდებობებს, როგორც თავის უერთგულეს და სარწმუნო
 ქვეშევრდომებს, მაგრამ იმედი გაუტრუვედათ: ვილჰელმი არ
 არჩევდა ვიგებს ტორიებისაგან. ვიგებს დიდ შეურაცხყოფად
 მიაჩნდათ ვილჰელმის ასეთი ქცევა და არც ფარავდნენ თავის
 უკმაყოფილებას. ვილჰელმი სწორედ ორ ცეცხლ შუა იყო:
 ორივე ერთი მეორის მოწინააღმდეგე დასი მას მტრულის თვა-
 ლით უყურებდა. ინგლისელების უნდობლობა და სიძულვილი
 ვილჰელმისადმი უფრო ცხადათ სჩანდა პარლამენტში. პარლა-
 მენტი მალე ნიხვდა, თუ რა პატივის და ბატონობის მოყვარე კა-
 ცი იყო ვილჰელმი, ამიტომაც ეშინოდა მას, რომ მცდვს ხვლთ
 არ ეგდო დიდი უფლებები. თელი თავისი შეუობის განმავლო-
 ბაში ვილჰელმს პარლამენტთან ბრძოლა ჰქონდა. ხანდის-ხან
 ეს ბრძოლა საშინლად გამწვავდებოდა ხოლმე. გამარჯვება კი
 ყოველთვის პარლამენტს რჩებოდა და ვილჰელმი იძულებული
 იყო, პარლამენტისათვის დაეთმო ხოლმე. პირველი შეტაკება
 პარლამენტთან ვილჰელმს მოუხდა ვადსახადების გამო. პარ-

ლამენტმა ვილჰელმს დაუნიშნა ზოგიერთი შემოსავალი ომის წლის ვადით, მაშინ როდესაც ეს შემოსავალი სტიუარტების დროიდან ეძლეოდათ მეფეებს თელ მათ სიცოცხლეში. ვილჰელმა დიდ შეურაცხყოფათ მიიღო ეს. „ინგლისის აზნაურნო, თქვენ ენდობოდით იაკობს, თქვენი სარწმუნოების და კანონების მტერს; მე კი, თუმცა ეს კანონებიც და სჯულიც დაეცევა, არ მენდობითო“, ეუბნებოდა იგი აზნაურებს, მაგრამ ამოა იყო ყოველივე ლაპარაკი. პარლამენტის წევრები ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ მათი უწინდელი სიუხვე იყო მიზეზი, რომ სტიუარტები ცუდად მართავდნენ სახელმწიფოს. სტიუარტების გვარეულობის მეფეები შემოსავლით უზრუნველყოფილნი იყვნენ თელ სიცოცხლეში; ამიტომაც მათთვის პარლამენტი საჭირო არ იყო და შეეძლოთ რაიმოდენიმე წლის განმავლობაში ერთჯერაც არ შეეკრიბათ იგი.

პალატამ მეფეს ასეთი პასუხი მისცა:

— „თქვენმა დიდებულებამ დაიხსნა ჩვენი თაობა უბედურებისაგან. ახლა მიიღეთ თემთაგან მოძღვნილი ის პირობები, რა პირობანიც მათთვის არის სასურველი; მაშინ თქვენ შეიქნებით მხსნელი მომავალი თაობისაკო“. ვილჰელმა არ თანხმდებოდა, ჯიუტობდა, მაგრამ ამ ჯიუტობამ უარება საქმე დამართა მას; პარლამენტმა ოთხი წელიწადი ერთ წლიამდე შეამოკლო; ამის შემდეგ მეფე იძულებული შეიქნა ყოველ წელიწადს შეეკრიბა პარლამენტი, რომ ფული მიეღო. პარლამენტის ყოველ წელიწადს შეეკრიბა საჭირო შეიქნა აგრეთვე ახალი კანონების გამო, რომელიც ჯარს შეეხებოდა. ინგლისელებს ქვეყანაზედ არაფრის ეშინოდათ ისე, როგორც მუდმივი ჯარის; მათ ყოველ გვარ ჭირზედ უფრო სძულდათ და ეჯავრებოდათ მუდმივი ჯარი. ასეთი ჯარი მათ აგონებდათ პირველი რევოლუციის და კრომველის დროს. ვილჰელმის მეფობის პირველ ხანებში ინგლისს საშინელი ომი ჰქონდა საღრანგეთთან; ვარდა ამისა საჭირო შეიქნა მოტლანდიაში ანბოისების ჭაქრობა. ამიტომ პარლამენტს ძალია უნებურად უნდა მიეცა ჯარი

მეფისათვის. ეს ჯარი შესდგებოდა ითხმოცდამეტი ათასი მამაკაცი და გამოკდილი კაცისაგან. მაგრამ რა კი ომი გათავდა, საქიროა შეიქნა იმის გადაწყვეტა, თუ როგორ მოქცეოდა ბარლამენტი ამოდენა ჯარს? ბარლამანტი იგივე ბევრი მოწინააღმდეგე იყო მუღმივი ჯარისა; ასეთები ცდილობდნენ შეეშინებინათ ბარლამენტი: ჯარი საშიშარი რამ ძალაა, ჯარის კაცებმა გირეკა სათემო პალატა კრომველის დროს; ჯარის კაცები ინლისის თავისუფლებას განსაცდელში ჩაადგებენ; საქიროა, დავითხოვით მუღმივი ჯარია, იმეორებდნენ ივინი ბარლამენტში; მაგრამ ბარლამენტის წევრთა შორის იყვნენ აგრეთვე მუღმივი ჯარის მომხრენიც. ესენი ამბობდნენ: სხვა არა იყოს რა, ჩვენს ძლიერ მტერს—საფრანგენს მშვენიერა ჯარი ჰყავს; საფრანგეთის მეფე, თვისი ძლიერი ჯარით დაგვესხმის თავზე და ავგაოხრებს, სანამ ჩვენ საქაოა ჯარს შევკრებდეთ და საომრათ დავამხადებთო. თითონ ვიღძვლებიც ნომხრე იყო მუღმივი ჯარის; ბარლამენტის გახსნის დროს მან შემდეგი სიტყვები სთქვა: „ჩვენი დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოებთან ისეთია, რომ ინგლისისათვის აუცილებელია საქიროა მუღმივი ჯარია.“ დიდხანს ვასტანა ბარლამენტში ამ კითხვაზედ კამათმა: ბოლოს ერთმა ვიგმა—მინისტრთაგანმა—სთქვა: „მე მძულს და მეჯავრება მუღმივი ჯარი; მე შეშინია იმისა; მე ვურჩევ ბარლამენტს არ იყოლიოს ასეთი ჯარი; მაგრამ, ვგონებ, არაფერ არ უნდა იქნეს დროებითი ჯარის წინააღმდეგი. ბარლამენტმა ყოველ წლივ გადასწვიტოს ხოლმე, არის საქიროა ჯარი თუ არა; თუ არის, რამდენი ჯარის კაცისაგან უნდა შესდგებოდეს იგი; ბარლამენტმავე განსაზღვროს ჯარისა თვის საქიროა ხარჯების რაოდენობა. გამოსცეს საშენდრო კანონები, რომელთა საშუალებით შესაძლოა იქნეს ჯარის მოარჩილება იგი ყოლა. ასეთი ჯარი უნდა გაქრეს, როგორც კვამლი, თუ ლორღთა და სათემო პალატა დაინახვენ, რომ იგი საქიროა აღარ არის. ამგვარი ჯარი არც სახიფათოა და საქიროც არის, რადგან ქვეყნის სრულიად უჯაროთ დატოვება საშიშარიცაა.“ ამის შემდეგ ბარლამენტმა გადა-

სწყვიტა საპუდამოა ჯარის დატოვება ერთი წლითა ეს ჯარის შესდგებოდა ათი ათასი კაცისაგან.

§ 2.

კანონი არეულობის შესახებ.—ინგლისის ჯარის კაცების უფლება და მოვალეობანი.—იქაური ჯარის კაცები მოვალენი არიან ემორჩილებოდნენ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო კანონებს.—სამხედრო და სამოქალაქო სამსჯავრონი.—ჯარის კაცნი და მათი უფროსები.—როგორ ემორჩილებიან ჯარის კაცები უფროსებს.

პარლამენტმა გადასწყვიტა მუდმივი ჯარის დატოვება. ახლა საჭირო იყო იმის დადგენა, თუ როგორ კანონებს უნდა დამორჩილებოდა ეს ჯარი, როგორ უნდა დაკუთლიყო წესრიგი ჯარში, როგორ უნდა მოეწყობა საქმე, რომ ჯარი მტრისათვის ყოფილიყო საშიშარი და არა თვით ინგლისელებისათვის, არ ჩაეგდო მას ხელში მართვა-გამგეობის უფლება როგორც კრომველის დროს მოხდა. პარლამენტმა გამოსცა ახალი კანონი, რომელსაც სახელათ ეწოდა „კანონი ამბოხების შესახებ“. იმ რა იყო ნათქვამი ამ კანონში: „არაიენ არ უნდა დაისაჯოს სიკვდილით, ან სხვებზე როგორმე, თუ არ ჩვეულებრივი სამოქალაქო სამსჯავროს დადგენილებით, თანახმად სახელმწიფოს უკვე დადგენილი და ცნობილი კანონებისა და არა მხოლოდ სამხედრო დებულების მიხედვით. მიუხედავად ამისა საჭიროა სასტიკი წესრიგი, რომ ჯარის კაცები მორჩილებაში იყვნენ. ჯარის კაცები, რომელნიც მოახდენდნენ არეულობას ან სხვას წააქვებენ, ან გაეკცვიან მისი დიდებულების სამსახურს, დაისჯებიან უფრო სწრაფად და სასტიკად, ვინც ამას კანონი თხოულობს“. ინგლისში ჯარის კაცები დაქირავებულნი არიან. ვინც ჩაიწერება ჯარის კაცად და ემორჩილება სამხედრო კანონებს, მას, რასაკვირველია, ჯარის კაცის უფლება და მოვალეობა აქვს, მაგრამ ამასთან იგი რჩება ისეთივე მოქალაქეთ, როგორც იყო ჯარის კაცად ჩაიწერამდის; მას ისეთივე უფლებები აქვს, როგორც აქვს თითოეულ

მოქალაქეს. თანახმად ინგლისის კანონებისა; ჯარის კაცი, თუმცა იგი წევრია საპულამო ჯარისა, მაინც იმავე დროს ჩვეულებრივი მოქალაქეცაა. შემო აღნიშნულ კანონში ანათქვამია: ეს კანონი სრულიადაც არ უნდა გვესმოდეს ისე, ვითომც ჯარის კაცი ან აფიცერი არ უნდა ემორჩილებოდეს ჩვეულებრივ კანონებს. ჯარის კაცობა ამა თუ იმ კაცს უმატებს გარდა იმ მოვალეობისა, რაც მას აქვს, ახალ მოვალეობას-ყოველგვარი დანაშაულობისათვის ჯარის კაცს ასამართლებს ჩვეულებრივი სამოქალაქო სამსჯავრო და არა სამხედრო, თუ უთანხმოება ჩამოვარდება სამხედრო და სამოქალაქო სამსჯავროს შორის, საქმე უნდა გასაედეს ისე, როგორც გადასწყვეტს სამოქალაქო სამსჯავრო. თუ ჯარის კაცს გაამართლებს ან გამტყუნებს ჩვეულებრივი სამოქალაქო სამსჯავრო, სამხედრო სამსჯავროს არა აქვს ნება, ხელახლა განიხილოს საქმე; ხოლო თუ დანაშავე გამართლებული ან გამტყუნებულია სამხედრო სამსჯავროსაგან, სამოქალაქო სამსჯავროს შეუძლია განახენი შესცვალოს. როდესაც ჯარის კაცი პასუხის გებაშია მიცემული რომელიმე დანაშაულობისათვის, მას არ შეუძლია თავი გამართლოს მით, რომ მან ვითომ დანაშაული ჩაიდინა უფროსის ბრძანებით; მას არ შეუძლია სთქვას: „მე არ ვარ დანაშავე; მე აღვასრულე ის, რაც მიბრძანა უფროსმა“. შენ ხარ სწორეთ დანაშავე, რადგან ეგეთი ბრძანება უკანონოა და არ უნდა აგესრულებია იგიო, ეტყვიან ამის მთქმელს“. ჯარის კაცი ვალდებულია დაემორჩილოს უფროსის ბრძანებას მხოლოდ მაშინ, როცა ეს ბრძანება სამართლიანია, ხოლო, თუ ბრძანება უკანონოა, ჯარის კაცი არ უნდა დაემორჩილოს, თუნდ მთავარ-სარდალსაც. მან თითონ უნდა გასაჯოს, კანონიერია ბრძანება თუ არა. მართალია, ამის გამო ჯარის კაცი, შეიძლება, ხშირათ ცუდს მდგომარეობაში ჩავარდეს; არ დაემორჩილები სამხედრო უფროსს, არ აასრულებ მის ბრძანებას, შესაძლოა, სამხედრო სამართალში მიგცენ; შესაძლოა დაგვხრიტონ კიდევც; დაემორჩილები და, ვაი თუ სამო-



ქალაქო სამართალში მიგვცენ, რად აასრულე უკანონო ბრძანებაო და, ვინ იცის, იქნებ ჩამოგახჩინონ კიდევ. აი თუ გნებავთ ამის მაგალითი: აშშ-ბოზების დროს აფიცური ბრძანებას აძლევს ჯარის კაცებს, შეაშბოხებებს ტყვია დაუშინეთო; რადგან მას ჰგონია, რომ უაპისოდ შეუძლებელია ბოლო მოეღოს აშშ-ბოზებას. ჯარის კაცი მოვალენი არიან დაემორჩილონ უფროსს და აღასრულონ მისი ბრძანება. ახლა წარმოიდგინეთ, რომ აშშ-ბოზების დროს აფიცური უბრძანებს ჯარის კაცებს შეიპყრონ და გაუსამართლებლად დახვრიტონ აჯანყებული ხალხის მეთაურნი; რომელიც ჯერ არავის პასუხის გებაში არ მიუცია და მხოლოდ იქვი აქვთ, რომ იგი უნდა აღშფოთებდეს ხალხს. ამ შემთხვევაში როგორც აფიცური, ისე მისი ბრძანების აღმასრულებელი ჯარის კაცები დამნაშავენი არიან, როგორც მკვლელობის ჩამდენნი და თუ ეს დანაშაული დამტკიცდა, მათ ყველას ჩამოხრჩობა მოეღოს. ყოველ შემთხვევაში უფროსმა უნდა კარგათ გასაჯოს, აქვს თუ არა მას ნება ასეთი ბრძანება გასცეს, ჯარის კაცმა კი უნდა გაარკვიოს, უნდა აასრულოს თუ არა მან ბრძანება. ხშირათ ძნელი გადასაწყვეტია, როგორ სჯობს მოქცევა; მაგრამ ინგლისელების აზრით ასეთ ნაირი წეს-რიგი მაინც სჯობია ისეთს, როცა ჯარისკაცი უნდა თუ არა, იძულებულია, დაემორჩილოს თავისი უფროსის ბრძანებას. როდესაც ჯარის კაცი ვალიდებულია, აღასრულოს უფროსის ყოველ ნაირ ბრძანება, მიშინ მას შეუძლია პოლკოვნიკი მოკლას და თქვას: მე დანაშაული არა ვარ, რადგან ასე მქონდა ნაბრძანები ჩემი კაპიტანისაგან; აბა როგორ გადავიდოდი მისს ბრძანებასო. ბევრი დანაშაულობისათვის ჯარის კაცს ასამართლებს სამხედრო სამსჯავრო, მაგრამ ჩვეულებრივი სამოქალაქო სამსჯავროს საქმეა, გადასწყვიტოს, სამოქალაქო თუ სამხედრო კანონის მიხედვით უნდა განსამართლდეს ჯარის კაცი.

§ 3.

მეფის უფლებები გადადიან პარლამენტის ხელში.— მეფის და პარლამენტის უფლებები.— პარლამენტის შეკრების ვადა.— პარლამენტის წევრების მოსუილება.— სამი წლის ვადიანი ბილლო.— ტარიების პარლამენტი.— ვილქელმ მესამე და მინისტრები.— მინისტრების დანიშვნა სხვა და სხვა დასებისაგან.— მინისტრი ერთი დასიდგან.— გიკებისაგან შემდგარი პირველი სამინისტრო ინგლიაში.— ამოუროდგან მეფე აღარ არის პასუხის მგებელი; პასუხის მგებელი არიან მინისტრები.— კანონი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ.— მსაჯულების გამოუცვლელიობა.— იაკობ მეორის სიკვდილი.— ლოუდოვიკი თანახმაა იაკობ მესამე იყოს ინგლისის მეფედ.— ინგლისელების ბრისხანება.— ომი საფრანგეთთან.— ვილქელმის სიკვდილი.

მას შემდეგ რაც პარლამენტმა მეფეს წლიურათ დაუნიშნა ფული და ჯარი, მეფეს ძალა უნებურად ყოველ წელს უნდა დაენიშნა პარლამენტის კრება. ახლა მეფეს აღარ შეეძლო ძველი მეფეებივით, რამოდენიმე წლის განმავლობაში სრულიად არ მოეწოდებია პარლამენტი. პარლამენტი ახლა თელ სახელმწიფოში უმთავრესი ძალის და უფლებების მქონი შეიქნა; მართალია მეფეს ჯერ კიდევ წინანდებური უფლებები ჰქონდა, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ახლა მას მხოლოდ პარლამენტის სურვილისამებრ შეეძლო მოქმედება. მაგალითად მეფეს ახლაც ჰქონდა ომის გამოცხადების უფლება, მაგრამ თუ პარლამენტი საჭირო ჯარს და ფულს არ მისცემდა, მეფეს არ შეეძლო ომი დაეწყო და განეგრძო. თუმცა ასე იყო მებლუღული მეფის მოქმედება, მაგრამ მას მაინც კიდევ დიდი გავლენა ჰქონდა პარლამენტზედ. მაგალითად, ვილქელმის მეფობამდის ერთხელ და სამუდამოთ განსაზღვრული არ იყო, თუ რამდენი ხმით იყო ამორჩეული ესა თუ ის პარლამენტის დეპუტატი, რამდენ ხანს შეეძლო მას დარჩენა პარლამენტის წევრათ; ეს სრულიად დამოკიდებული იყო მეფეზედ. მეფეს შეეძლო პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა მაშინ, როცა ეს საჭიროთ ან სასურველათ მიაჩნდა მას, მაგრამ

მას შეეძლო აგრეთვე ერთი და იგივე დებუტატად არჩეული პარლამენტის წევრათ სიკვდილამდე, მით უმეტეს თუ ეს დებუტატი მისთვის სასურველი ვინმე იყო. ინგლისის ძველი მეფეები ჩვეულებრივად დაითხოვდნენ ხოლმე ისეთ სათემო პალატას, რომელიც არ ემორჩილებოდა მათ, მაგრამ თუ პალატა მეფის სურვილის თანახმად იქცეოდა, მაშინ მეფე ათი, თუთხმეტი წლობით სტოვებდა ერთსა და იმავე დებუტატს თავის ადგილზედ, კარლო მეორის დროს შავალითად სათემო პალატა თელი თვრამეტი წლის განმავლობაში ერთ და იმავე დებუტატების თანდასწრებით მოქმედებდა. ასეთი რიგი მგტად მკენებელი იყო სახელმწიფო საქმეებისათვის. პარლამენტის ზოგიერთ წევრს მეტათ ეწინოდა არჩევნების, რადგან იმედი არ ჰქონდა, რომ ხელ-ახლა არჩევდნენ მას; წევრად ყოფნა კი ძლიერ სასარგებლო იყო. წევრები, რა თქმა უნდა, ცდილობდნენ მეფისთვის ესაიამოვნებიათ, რომ მას ახალი არჩევნები არ დაენიშნა; მეფე კი მხოლოდ მაშინ იყო კმაყოფილი, როცა დებუტატები მისი მორჩილი იყვნენ, მისი სურვილისამებრ მოქმედებდნენ. ამ გზით მეფეს საშუალება ჰქონდა პარლამენტი ემართნა ისე, როგორც მას სურდა. გარდა ამისა პარლამენტის წევრს სრულიად არ ეწინოდა იმის, რომ ამომრჩეველნი ანგარიშს მოსთხოვდნენ მას, რას აკეთებდა იგი, ან რას ლაპარაკობდა დებუტატად ყოფნის დროს. ვინ იცის რამდენი დრო გაივლიდა ახალ არჩევნებამდე, რომელიც მეფეზედ იყო დამოკიდებული. მოსალოდნელი იყო, არჩევნები ათი ან თუთხმეტი წლის შემდეგ მოხდებოდა და მანამდის დებუტატები ისე იქცეოდნენ, როგორც მათ მოუხდებოდათ: ბევრი მათგანი უსირცხვოდ მიჰყიდდნენ ხოლმე მეფეს თავიანთ ხმებს: კარლო მეორის დროს პარლამენტის წევრების მოსყიდვა ჩვეულებრივი რამ იყო; ხშირად ვილჰელმიც მიმართავდა ხოლმე ამ საშუალებას. #არვის ეზიზლება ეს საშუალება ისე, როგორც მე, მაგრამ ისეთ კაცებთან მაქვს საქმე, რომ შეუძლებელია მათთან ერთად მოქმედება, თუ არ ამ საზიზლარი საშუალების

დახმარებით, — ი, სწერდა ვილჰელმი. ყველაფერზე უარესი აქ კიდევ ის იყო, რომ ხალხსა და იმ დებუტატებს შორის, რომელნიც თუთხმეტი წელიწადი პარლამენტში ისხდნენ ხოლმე, ყოველგვარი კავშირი სწყდებოდა: თუთხმეტი ან ოცი წლის განმავლობაში იზრდებოდა ახალი თაობა, ახალი საკითრებები და შეხედულებით; მას ის აღარ სურდა, რაც სურდათ მამებს, რომლებსაც ვილცი აერჩიათ დებუტატად ოცი წლის წინვე. ოცი წლის წინვე ამორჩეული დებუტატი იშვიათად თუ გამოდგებოდა ახალ თაობის ნამდვილ წარმომადგენლად.

ვილჰელმის შეფოების პირველ წელს, სათემო პალატაში შეიტანეს „სამი წლის ვადიანი ბილლი“. ამ ბილლში ნათქვამი იყო, რომ ნომინალში დებუტატები უნდა არჩეულიყვნენ მხოლოდ სამი წლით; სამი წლის შემდეგ მეფეს უნდა დაეთხოვა სათემო პალატა და დაენიშნა ახალი არჩევნები; ვიგებიც და ტორიებიც ამ ბილლის მომხრენი იყვნენ; ამიტომაც დაუბრკოლებლად მიიღო იგი ორივე პალატამ. მაგრამ ვილჰელმს მძიმე მოაწერა მახელ ხელი. რამოდენიმეჯერ შეიტანეს იგივე ბილლი პალატაში, რამოდენიმეჯერ ერთხმად მიიღო იგი ორივე პალატამ, მაგრამ ვილჰელმი შაინც უარზედ იდგა; ვილჰელმს ეგონა, რომ ეს ბილლი შეზღუდავდა მის სამეფო უფლებებს; პარლამენტის დათხოვის ნება მას ხომ უფიქსირდაც ჰქონდა და როცა უნდოდა მაშინ დაითხოვდა არა სასურველ, ურჩ პარლამენტს; მაშ რაღად უნდოდა მას ისეთი კანონი, რომლის ძალითაც იგი ვალდებული იქნებოდა უთუოდ დაეთხოვა აღნიშნულ დროზე პარლამენტი, რომელთანაც მას ძლიერ კარგი დამოკიდებულება ჰქონდა; დიდხანს უარობდა ასეთნაირად ვილჰელმი, მაგრამ ბოლოს ძალიან უნებურად დასთანხმდა და ხელი მოაწერა მისთვის არა სასიამოვნო ბილლს.

ვილჰელმი კარგად გრძნობდა, რომ თავის საუბედუროდ მოაწერა ხელი მან ამ ბილლს. ათას შვიდას წელს გავიდა პარლამენტის კანონიერი ვადა. მეფემ პარლამენტი დაითხოვა

და ახალი არჩევნები დანიშნა. მეფის საუბედურათ ტორიები-საგან ბევრი აირჩიეს დეპუტატებათ. პარლამენტში ახლა უფ-ტესობას ტორიები შეადგენდნენ; ამიტომაც სათემო პალატა მეტად მტრულად ექცეოდა მეფეს; ასე რომ ვილჰელმს წინან-დელზედ უფრო უჭირდა პარლამენტთან კარგ განწყობილება-ში ყოფილიყო, თუმც ეს აუცილებლათ საქირო იყო მეფისა-თვის, რადგან მეფის უფლებები ახლა პარლამენტის ხელში იყო. მკითხველი ალბათ მოიგონებს, როგორ იყო საქმე კარ-ლოს დროს. ესთქვათ ინგლისის ხალხს მშვიდობიანობა სურ-და, მეფეს კი ომი სწადდა და იბრძოდა კიდევ; ხალხს ფრანგებიც ეზარებოდა და ფრანგების მეფეც და ჰოლანდიასთან შეკავში-რება სურდა, რომ საფრანგეთს გამკლავებოდა; კარლო კი საფრანგეთის მეფეს უკავშირდებოდა და ჯამაგირს ლებულობ-და მისგან. იაკობის დროს ასეთი რამეები წარმოუდგენელი იყო. პირ იქით, ვილჰელმს მაგალითად საქიროდ მიაჩნდა ომი საფრანგეთთან სხვა სახელმწიფოების დახმარებით. ინგლისის ხალხს კი სრულიადაც არ სურდა ომი, რადგან ომის გამო ბევრი ზარალი მიეცა ეაქარ ხალხს; სოფლებებს ხომ სიცოც-ხლე გაუმწიარა გადასახადებმა; პარლამენტიც, რასაკვირველია, წინააღმდეგი იყო ომის; ვილჰელმმა მოითხოვა ჯარის მომატე-ბა; პარლამენტმა კი ათი ათასიდგან შვიდი ათასამდე შეამცი-რა ჯარი. ბევრი ითავცემა ვილჰელმა; ბევრი იმუქრა, მაგრამ ვერას გახდა. არც არავინ გაიზიარა მისი მწუხარება, არც არ-ვინ მისს მუქარას შეუშინდა; დარჩა მეფე შვიდი ათასი კაცის ამარა. ესეთი ჯარით, რა თქმა უნდა, მეფე ვერ დაიწყებდა ომს რომელიც ვილჰელმის რწმენით ასე დიდათ ეჭირებოდა ინ-გლისს. ვილჰელმი ბევრსა ცდილობდა, რომ მისს და პარლა-მენტს შორის ატეხილი ბრძოლა ასე სასტიკი არ ყოფილიყო. პირველ ხანებში ის არ არჩევდა ვიგებს და ტორიებს ერთი მეორისაგან. მინისტრებს ნიშნავდა იგი როგორც ერთი ისე მეორე პარტიისაგან, რადგან პარლამენტში ვიგებიც იყვნენ და ტორიებიც. ვილჰელმს ეგონა, ამით პარლამენტს მოიმხრო-

ბდა, მაგრამ შეეცადა: მინისტრებს ერთმანეთ შორის დაყალიბებული მოსაზრებით, მუდამ ხელს უშლიდნენ ერთმანეთს; პარლამენტში ვიგები მხარს უჭერდნენ ვიგების მინისტრებს, ტორიები ტორიებისას; ტორიების მინისტრების მოქმედებას ჰკიცხავდნენ ვიგები, ვიგების წინადადებას უარსა ჰყოფდნენ ტორიები; ცხადია, ასეთ პირობებში საქმე წესიერად ვერ წავიღოდა; როდესაც ამ გზით ვერას ვახდა ვილჰელმი, მან ამჯობინა მინისტრების არჩევა მხოლოდ ერთი პარტიისაგან. თუმცა ეს ზომა ოდნავ უკეთესი იყო პირველზედ, მაგრამ ვერც ამან უშველა საქმეს. თუ მინისტრებათ ტორიები იყვნენ და პარლამენტში უმეტესობას ვიგები შეადგენდნენ, მაშინ ვიგები ყველაფერში ეწინააღმდეგებოდნენ ტორიებს; პირიქით თუ მინისტრებათ იყვნენ ვიგები და პარლამენტში კი ტორიები აღემატებოდნენ ვიგებს, მაშინ სათემო პალატა საქვეყნოთ ჰკიცხავდა ვიგების მინისტრებს ოდნავ უკმაყოფილონი მათი მოქმედებით, არაფერში მათი თანახმა არ იყვნენ. ბოლოს ერთმა კაცმა, რომელიც კარლო მეორის დროს მინისტრათ იყო, ურჩია ვილჰელმს იმ პარტიიდგან აერჩია ხოლმე მინისტრები, რომელსაც უფრო მეტი მომხრე და მეტი ძალა ჰქონდა სათემო პალატაში, ვიგები ყოფილიყვნენ იგინი, გინდ ტორიები. იმ დროს პარლამენტში ვიგები მეტი იყვნენ ტორიებზედ, ამიტომაც ვილჰელმმა მინისტრებათ ვიგები დანიშნა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ყველა მინისტრები ეკუთვნოდნენ მხოლოდ ერთ პარტიას, სახელდობრ ვიგებს, რომელნიც იმ დროს უძლიერეს პარტიას შეადგენდნენ პარლამენტში, ინგლისში იმ დროს „ვიგების სამინისტრო“ იყო, იტყვიან. როდესაც მეფემ იმ პარტიიდგან იწყო მინისტრების დანიშნა, რომელსაც პარლამენტში მეტი ძალა ჰქონდა, პარლამენტი მინისტრების საშუალებით სახელმწიფოს მმართველი შეიქნა, რადგან პარლამენტი მინისტრებს უჭერდა მხარს; მეფეს კი ნება არ ჰქონდა მინისტრების დაუკითხავად გაეკეთებია რამე, რადგან ყველაფერში პასუხის მგებელნი მინისტრები იყვნენ, მეფის ქალაქს



მხოლოდ მაშინ ჰქონდა ძალა, როცა იგი ხელმოწერილი იყო რომელიმე მინისტრისაგან; მეფე ვალდებული იყო ყოველი საქმის შესახებ რჩევა ეკითხა მინისტრებისათვის; მინისტრები კი პასუხის მგებლნი იყვნენ, თავიანთ რჩევაში და მოქმედებაში პარლამენტის წინაშე.

ამ ნაირი წესი დაადგინეს ვილჰელმის მეფობის უკანასკნელ ხანებში, სახელდობრ, როცა გამოიცა კანონი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ. ასეთი კანონის გამოცემა საჭირო შეიქმნა შემდეგი შემთხვევის გამო. ვილჰელმი და მარიამი უშვილონი იყვნენ. როდესაც ვილჰელმს და მარიამს სანეფო გვირგვინი მიიწოდეს, მაშინ დაადგინეს, რომ, თუ ვინცობაა, მთ შვილი არ ეყოლებოდათ, ტახტზედ უნდა ასულიყო მარიამის და, იაკობის მეორე ქალიშვილი ანნა და ანნას შემდეგ მისი შვილი. პროტესტანტები და ვიგები მოსვენებით იყვნენ, რადგან ინგლისის ტახტს მემკვიდრე ჰყავდა, და სტიუარტების დაბრუნება ინგლისში საჭირო აღარ იყო. მაგრამ ანნას ძე უფროდ გარდაიქვალა. ამ შემთხვევამ ვიგები და პროტესტანტები ძლიერ შეაწყება და შეაშფოთა. ნუ თუ ისევ სტიუარტებს უნდა მოუწოდოთ და ისევ კათოლიკებს მიუცეთ ინგლისის ტახტიო, ჰუიქობდნენ ივინი. არაფრისათვის ვიგებს ამ აზრის შერაცხვა არ შეეძლოთ. მათის რჩევით პარლამენტმა გამოაცხა ახალი კანონი ტახტის მემკვიდრეობის შესახებ. ამ კანონის ძალით როგორც იაკობს ისე მის შთამომავს მოესპო უფლება ინგლისის ტახტის დაჭერისა და გადაეცა ეს უფლება გიორგი განხოვერელს, რომელიც დედით იაკობის შთამომავალი იყო. გარდა ამისა, თანახმათ ამ კანონისა, ინგლისის მეფე აუცილებლათ უნდა იყოს პროტესტანტული სარწმუნოებისა; მეფეს არ შეეძლო ინგლისიდან წასულიყო პარლამენტის ნება დაურთველათ და საზღვარგარეთლებს აღკრძალული ჰქონდათ ხოლმე თანამდებობაზედ ყოფნა. იმავე კანონში იყო აღნიშნული შემდეგი: მეფე გამგე-მმართველობს მინისტრების საშუალებით, ყველა მისი დადგენილება უნდა იყოს ხელმოწერილი რომე-

ლიმე მინისტრისაგან. მინისტრებს ირჩევს და ნიშნავს თვით
 მეფე; მეფევე სცვლის მათ. სათათბიროთ მეფე იწვევს მინისტ-
 რებს თვის „კაბინეტში“ ე. ი. სამეცადინო ოთახში, ამიტო-
 მაც მინისტრების კრებას ეწოდება „კაბინეტი“. როცა დად-
 გინდა, რომ მეფეს უნდა ემოკმედნა მინისტრების საშუალო-
 ბით, საიდუმლო საბჭომ დაჰკარგა წინანდელი მნიშვნელობა;
 მეფისათვის საჭირო იყო სკოდნოდა, რას ჰფიქრობდნენ და
 სწილდათ მინისტრებს, რადგან უამათოდ მას არაფრის გაკეთე-
 ბის ნება არ ჰქონდა, ასე რომ საიდუმლო საბჭოსთან მას მლი-
 ფრ ცოტა საქმე ლა ჰქონდა. მინისტრებს თათბირის დროს
 მეფე თვითონ ესწრებოდა და თავმჯდომარობდა კიდევ მათ
 სხდომაზედ.

იმ კანონში, რომელიც „ტახტის მემკვიდრეობის“ შესა-
 ხებ გამოიცა, არც სასამართლოები იყვნენ დავიწყებულინი.
 ინგლისელებს კარგათ ახსოვდათ, როგორ გჷცვოდნენ მსაჯუ-
 ლებს, როგორ ატოებინებდნენ თანამდებობას, თუ მათდა სა-
 სარგებლოთ და სასიამოვნოთ არ სჭირდნენ სამართალს. ესეთ
 თვითნებობას რომ ადგილი არ ჰქონოდა მომავალში, აღნი-
 შნულ კანონში ნათქვამი იყო შემდეგა: „პარლამენტის დაუ-
 დგენლათ არც ერთ მსაჯულს არ უნდა ჩამოერთვას უფლე-
 ბაო“. შემდეგ ამ კანონის გამოცემისა იაკობ მეორეს დიდხანს
 აღარ უტოცხლია. სიკვდილის დროს საფრანგეთის მეფემ ლიუ-
 დოვიკმა აღუთქვა: შენს შვილს იაკობ შესამეს ინგლისის მესა-
 მეთ ესცნობ და დაუებმარები კიდევ ინგლისის ტახტი დაიქი-
 როსო. გარდაიცვალა თუ არა იაკობ მეორე, მისი შვილი ია-
 კობ შესამე ლიუდოვიკმა მეფედ აღიარა. ამ ნაირმა წარმოუ-
 დგენელმა თავხედობამ ინგლისის ერთი ვიგებიც და ტორიებიც
 საშინლათ შეურაცყო და აღაშფოთა. მართლაც უცხოელმა
 ხელმწიფემ გაზედა და განკარგულება მოახდინა ინგლისის ტა-
 ხტის შესახებ. ამ ნაირი შეურაცყოფა ინგლისელებმა, რასა-
 კვირველია, ვერ აიტანეს; თელმა ინგლისის ხალხმა ერთხმით
 მოითხოვა ომი საფრანგეთთან. „ომი, ომი საფრანგეთთან, სამ-



კვდრო-სასიცოცხლო“-ო! გაიძაბოდა ხალხი; ვიღაცელმა ცოცხლად უხაროდა ეს ამბავი. დიდი ხანია სურდა მას საფრანგეთთან ომი დაეწყო, მაგრამ ხელს უშლიდა მას ტორიების პარლამენტი მით, რომ საჭირო ფულს არ აძლევდა. ახლა ვიღაცელმა დაითხოვა პარლამენტი და ახალი არჩევნები დანიშნა; ამ არჩევნებზედ ვიგები უფრო მეტი აირჩიეს ვინემ ტორიები, რადგან ვიგები ომის მომხრენი იყვნენ. ახალმა სათემო პალატამ შეფხვს მისცა საჭირო ფული და შეფხვც შეუდგა ომისათვის შუადებას, მაგრამ მას აღარ დასცალდა ომი დაეწყო: ათას შვიდას ორ წელს ვიღაცელში გარდაიცვალა. მის შემდეგ ივიდა ტახტზედ პრინცესა ანნა, რომლის დროსაც დაიწყო კიდევ უდიდესი ომი საფრანგეთთან, რომელიც თელი ათი წელი გაგრძელდა.

§ 4

დედოფალი ანნა.—ათის წლის ომი.—ინგლისისაგან გიბრალტარის მითვისება.—როგორ სძაგდა ანნას გიორგი განწოვერელი.—ანნას სურვილი სტიუარტების დაბრუნებისა.—ტორიების მინისტრთა შეთქმულება.—ტორიების და ვიგების რაცხვი ინგლისში.—ანნას მოულოდნელი სიკვდილი.—გიორგი პირველი.

ანნას მეფობამ მთლიან ომში განულო. ამ ომში ანნას ეხმარებოდნენ საფრანგეთის წინააღმდეგ სხვა ევროპის სახელმწიფოებიც. ეს ომი მეტად სასარგებლოა შეიქნა ინგლისელებისათვის. ინგლისელებმა თავისი სახელოვანი და ნიჭიერი სარდლის ამალბოროს მეთაურობით რამოდენიმეჯერ საშინლათ დაამარცხეს ფრანგები. ინგლისმა დაირჩინა მიწები ხმელთა შუა ზღვის ნაპირზედ, გიბრალტარის სრუტესთან. გიბრალტარის სრუტე ხმელთა შუა ზღვის კარებია; ვისაც ის ეკუთვნის იგი ფლობს მთელ ხმელთა შუა ზღვასაც. გარდა ამისა ლიუდოვიკმა გიორგი განწოვერელი ინგლისის ტახტის მემკვიდრეთ სცნო და იაკობ შესაშე საფრანგეთიდგან გააძევა. ანნას თვალით დასანახავათ ეჯავრებოდა გიორგი განწოვერელი, თუმცა პარლა-

შენტის ძალ-დატანებით მან ინგლისის ტახტის მემკვიდრეთს ცნო იგი. მას ინგლისის ერთად ერთ კანონიერ მემკვიდრეთს მიაჩნდა თვისი უმცროსი ძმა იაკობ მესამე და ძლიერაც სურდა ტახტი მას დარჩენოდა. მაგრამ ამ სურვილს დედოფალი საიდუმლოთ ინახავდა და ვერ ბედავდა ვინმესთვის გაეზიარებია იგი. ანნას ნეფობის უკანასკნელ ხანებში მინისტრებათ ტორიები იყვნენ. იგინი ადვილათ მიუხედავად დედოფალის დაფარულ სურვილს, მით უმეტეს, რომ მათაც ეგეთივე სურვილი ჰქონდათ: ტორიები სულით და გულით მსურველნი იყვნენ, რომ ინგლისში სტიუარტები დაბრუნებულიყვნენ, ამიტომაც ტორიების მინისტრები მუყაითად შეუდგნენ შიდადებს, რომ იაკობ მესამე დაებრუნებიათ და ინგლისის ტახტზედ აეყვანათ.

ტორიებს დაავიწყდათ, რა დღე ადგათ მათ იაკობის დროს. მათ იმედი ჰქონდათ, რომ რა კი სტიუარტები დაბრუნდებოდნენ ინგლისში, იგინი გაბატონდებოდნენ და მიწასთან გაასწორებდნენ თავიანთ მოსისხლე მტრებს—ვიგებს.

ერთი შეზღვევით ყოველიფერი ხელს უწყობდა მათ: გიორგი განწვევრელს არვინ იცნობდა და არც არვის უყვარდა იგი ინგლისში, თვით გიორგიც სრულიად გულ-გრილად უცქერდა ინგლისს, სცხოვრობდა თავისთვის თავის სახელმწიფოში და ძლიერ ცოტას ფიქრობდა ინგლისის ტახტზედ; ერთი სატყვეთ გიორგი მაინცა და მაინც არ გამოეყიდებოდა ინგლისის სამეფო ტახტს, რადგან დიდათ არ აფასებდა მას. პალატა თითქმის თელად ტორიებისაგან შესდგებოდა, ინგლისის მცხოვრებთა უმეტესობა აგრეთვე ტორიები იყვნენ; მინისტრების ანგარიშით ინგლისში ერთ ვიგზედ ოთხი ტორი მოდიოდა და მართლაც, ყველა ეპისკოპოსები და მღვდლები უკიდურესი ტორიები იყვნენ; აგრეთვე თითქმის ყველა მებატონეები. მხოლოდ უმაღლეს აზნაურებს და პერებს შორის იყვნებ მეთი ვიგები ვინემ ტორიები.

ტორიები იმ დროს ინგლისში ყველაზედ უფრო განა-



თლებულები იყვნენ, ამიტომაც მათ შეეძლოთ შეგვეგოთ და
 დაეფასებიათ, რას ქადაგებდნენ ვიგები. მებატონეები კი უმე-
 ტეს შემთხვევაში გაუთლელნი და გაუწვრთნელნი იყვნენ:
 ცხოვრობდნენ თავიანთ მამულებში, ნადირობდნენ, ქეიფობ-
 დნენ, სვამდნენ ლუდს, თითქმის არაფერს არ კითხულობდნენ:
 ეურნალ-გაზეთები მხოლოდ ქალაქებში იყო გავრცელებული:
 მებატონეებმა მხოლოდ ის იცოდნენ, რასაც ასწავლიდნენ მათ
 სოფლის მღვდლები, მღვდლებისაგან მათ ის ჰქონდა გავონი-
 ლი რაც საჭირო იყო: დაბრუნება კანონიერი მეფეების—სტიუ-
 არტების, რომელნიც განგებისაგან იყვნენ მოვლენილნი ინ-
 გლისის მეფეებთან; კანონიერი მეფის წინააღმდეგობა დიდი
 ცოდვაა, ღვთისაგან მოვლინებული მეფისაგან ყველაფერი
 მოთმინებით უნდა ავიტანოთო. აი, რა ესმოდათ მებატონე-
 ებს მღვდლებისაგან. გარდა ამისა მღვდლები იმას ზანჯინებ-
 დნენ მებატონეებს, რომ საჭიროა დავიცვათ ანგლიკანური
 ეკლესია და ესდევნოთ ყველა, ვისაც ეს ეკლესია არ სწამ-
 თო, ამის წინააღმდეგ ვიგები ლაპარაკობდნენ: მეფეს უფლება
 მინიჭებული აქვს ხალხისაგან და არა ღვთისაგან; მეფეს თვისი
 უფლებები აქვს, ხალხს თვიაი; ხალხი პატივს უნდა სცემდეს
 მეფის უფლებებს, მაგრამ მეფეც ვალდებულია პატივი სცეს
 და შეუბღალავათ დაიცვას ხალხის უფლებები; საჭიროა ხალხს
 სრული უფლება ჰქონდეს, სრულიად თავისუფლად, თანახმად
 თვისი სინიღისისა აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც მას
 სურს და საუკეთესოდ მიიჩნია, რასაც მღვდლები ჰქადაგებდნენ
 ჩვეულებრივად ძლიერ აღვილი ვასაგები რამ იყო, ხოლო რა-
 საც ამბობდნენ ვიგები ხალხისათვის სრულიათ უცნობი, ახალი
 და გაუგებარი იყო. წვრილი მემამულეები და ფერმერები ყვე-
 ლაფერში ემორჩილებოდნენ მებატონეებს, რადგან მათზედ
 იყვნენ დამოკიდებულნი. ასე რომ თითქმის ინგლისის ყველა
 სოფლებში მცხოვრებნი იმ დროს ტორიები იყვნენ.

ინგლისი იმ ხანად სამიწად-მოქმედო ქვეყანა იყო. სოფ-
 ლის მცხოვრებლები რამოდენიმეჯერ აღემატოდნენ ქალაქის

მცხოვრებლებს. ვიგები ბევრი იყო მხოლოდ საქართველოში, მრავალწელთა და ვაჭართა შორის. შედარებით თელი სახელმწიფოს მცხოვრებელთა შორის უმცირესობას შეადგენდნენ. ამიტომაც ეგონათ ტორიებს, რომ სტიუარტების დაბრუნება ინგლისში აღდგილი შესაძლებელი იყო. მათის ფიქრით მოყვდა თუ არა იაკობი ინგლისში, მცხოვრებლები აღტაცებით მიეგებებოდნენ მას, ანა გაჰოაცხადებდა პარლამენტში, რომ იაკობია მისი შემკვადრე, ტორიების პარლამენტი გააუქმებდა კანონს „ტახტის შემკვიდრეობის შესახებ“, რომელიც ვილჰელმის დროს ვიგების პარლამენტმა გამოსცა და მშვიდობიანად დაეპატრონებოდა მამა-პაპეულ ტახტს. მხოლოდ ანას მოულოდნელმა სიკვდილმა იხსნა ინგლისი სტიუარტების ნეორეთ დაბრუნებისაგან. უეჭველია იაკობ მესამე ისეთივე გამგე-მმართველი იქნებოდა ინგლისისა, როგორც იყვნენ მისი მამა და ბაბუა; და მაშინ ხომ დაილუჯებოდა ყოველივე ის, რაც მისცა ინგლისელებს „სასიქადულო რევოლიუციამ ათას ექვსას ოთხმოცდა რვა წელს“.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ანა უეცრად გარდაიცვალა და იაკობმა ინგლისში მოსვლა ვეღარ შეასწრო. კანონი „ტახტის შემკვიდრეობის“ შესახებ შეუცვლელი დარჩა, რასაკვირველია ვიგებსაც არ ეძინათ ამ დროს: მათ იმდენი ქნეს, რომ გიორგი დაუყოვნებლივ იქნა მოწოდებული ინგლისის მეფეთ. ამ რიგით ინგლისის მეფედ გახდა გიორგი განზოვერელი, რომელიც მეფობდა გიორგი პირველის სახელით. სანამ გიორგიზედ ვილაპარაკებდეთ, საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ აქ ერთი შეხანიშნავი ამბავი, რომელიც ამ დროს ინგლისში მოხდა, ინგლისი ერთხელ და სამუდამოთ შეუერთდა შოტლანდიას; ამის გამო გამოიცა „შვერთების აქტი“, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ ორივე საწელო იქნება შვერთებული და ეწოდება სახელათ დიდი ბრიტანია, დიდი ბრიტანიის შვერთებულ საწელოს ექნება ერთი საერთო პარლამენტი, რომლის სათემო პალიატაში გაიგზავნება ორმოცდა ოთხი შოტლანდიელი დე-

პუტატი და ლორდთა პალატაში თექვსმეტ მოსტანდელი პერი.

§ 5.

გიორგი პირველი და გიორგი მეორე. — უცხოელი მეფეები. — ინგლისს განაგებდნენ მინისტრები. — ვიგებოს ორმოცდა ათის წლის ბატონობა. — ლობერტ ვალპოლი პირველი მინისტრი. — მისი პიროვნება. — მისი მმართველობა. — ინგლისის სიმდიდრე. — მრეწველობის და ვაჭრობის განვითარება. — ვალპოლის დაცემა. — ამის მიზეზები. — რა ძლიერ უყვარდა ვალპოლს ბრძანებლობა. — ვალპოლის მოპირდაპირეები. — რა ბრალსა სდებდნენ ვალპოლს შტრები. — საპარლამენტო მოსყიდვები. — ამომრჩევლების და დეპუტატების მოსყიდვა. — მოსყიდვის ადგილებელი საჭიროება ვალპოლისა და ვიგებისათვის. — ვალპოლის ბრძოლა მოპირდაპირეებთან. — ვალპოლის მნიშვნელობა პარლამენტისათვის.

ანნას სიკვდილის შემდეგ ინგლისს თელი ორმოცდა ათი წლის განმავლობაში განაგებდნენ ჯერ გიორგი პირველი და შემდეგ გიორგი მეორე, ორივე ეს მეფეები უცხოელნი იყვნენ ინგლისისათვის. გიორგი პირველს ინგლისური ენის სრულიად არა გაეგებოდა რა, გიორგი მეორე კი ძლიერ ამტკრევდი ინგლისურს; არც ერთს და არც მეორეს ინგლისი არ უყვარდა და არც ზრუნავდნენ მისხედ. გიორგი პირველი უმეტესად განწოვერში ცხოვრობდა ეინემ ინგლისში. როცა ანნას სიკვდილის შემდეგ გიორგი ინგლისში მიემგზავრებოდა, ერთმა ჯარის კაცმა კითხა მას: „როგორ იმეფებ ინგლისში“? მე მაგაზედ სრულიადაც არ ვფიქრობ და არც შემეხება მე ეს საქმე, დაე მინისტრებმა განაგონ სახელმწიფო, იგინი არიან ჩემ მაგიერ პასუხის მგებელნი და მაშ მმართველნიც იგინი იყვნენო, სთქვა გიორგიმ. სწორეთ ასეც იქცეოდა იგი: მან ქვეყნის გამგეობა სრულიად მინისტრებს მიანდო. ინგლისელები მეტად უკმაყოფილონი იყვნენ გიორგი პირველის ასეთი ქცევით: მათ სწყინდათ, რომ მეფე არას ფიქრობდა მათზედ და არ ზრუნავდა მათ აეკარგხედ. მიგრამ ეს უკმაყოფილება სრულიად უადგილო იყო კი, რადგან ინგლისელებისათვის მეფის ასეთი სა-

ქციელი დიდათ საბედნიერო და სასარგებლო მომოსადად და ხუთი წლის განმავლობაში ინგლისელებმა სრულიად შეითვისეს ის აზრი, რომ მეფე მხოლოდ მეფობს და არა განაგებს, განაგებენ კი მინისტრები პარლამენტის დახმარებით. რადგან გიორგი პირველს სრულიად არ გაეგებოდა ინგლისური და გიორგი მეორეს ოდნავ ესმოდა, ამიტომაც არც ერთი მათგანი მინისტრების საბჭოში სხვა და სხვა საქმეების განხილვის და გადაწყვეტის დროს არ ესწრებოდნენ. განვლო ორმოცდაათმა წელმა და ამ ხნის განმავლობაში მინისტრები მეფის დაუსწრებლად თათბირობდნენ სახელმწიფო საქმეებზედ, ასე რომ ასეთი რიგი ამ ხანში ჩვეულებათ იქცა. გიორგი პირველი და მეორეც მხოლოდ იმაზედ ფიქრობდნენ, რომ თუ რა თანხმობით და მშვიდობიანათ ეცხოვრათ პარლამენტთან, ამიტომაც იგინი ყველაფერში ეთანხმებოდნენ და უთმობდნენ პარლამენტს.

ამ ნაირათ ნელ ნელა ჩვეულებათ იქცა, რომ მეფე პარლამენტის სურვილისამებრ უნდა მოქცეულიყო, მინისტრებათ ორივე გიორგი ნიშნავდნენ ვიგებს, რადგან ვაგები მათ მომხრეთ და მეგობრებათ მიაჩნდათ; ტორიებს კი ისე უყურებდნენ როგორც მტრებს. ტორიები წინააღმდეგნი იყვნენ მათი გამეფებისა და სცდილობდნენ ინგლისში ისევ სტიჟარტები დაბრუნებულიყვნენ და ინგლისის სამეფო ტახტი დაექირათ. ვიგების მინისტრები, რა თქმა უნდა მონდომილნი იყვნენ პარლამენტის დეპუტატებათ ვიგები ყოფილიყვნენ არჩეულნი და იმ დროინდელი პარლამენტი თითქმის მარტო ვიგებისაგან შესდგებოდა. სამხედრო, სასულიერო და სამოქალაქო თანამდებობებზედ ვიგებს ნიშნავდნენ, ასე რომ ტორიები ძლიერ დაჯაბნებულნი იყვნენ და ერთი სიტყვით, თელი ორმოცდაექვს წელს ინგლისს განაგებდნენ ვიგები და ინგლისმაც კარგათ გააგო და შეითვისა ის, რასაც ვიგები ქადაგებდნენ. ინგლისელებს სრულიად აღარ ახსოვდათ, რომ ერთ დროს შეეძლო მეფეს კანონების დარღვევა და გამგეობა არა თუ უპარლამენტ-



ტოთ, არანედ პარლამენტის წინააღმდეგაც დაიწყო დაიწყო
 დით, რომ ოდესღაც პარლამენტის წევრთ უფლებებს ხშირად
 ართმევდნენ ნეფეები; მათ ხალა ველარც კი წარმოედგინათ,
 თუ როგორ შეიძლება ადკრძალვა სიტყვებისა და წერი-
 ლების დაბეჭდვისა, ან წიგნის გამოცემისა რა შინაარსისაც
 უნდა ყოფილიყვნენ იგანი. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელო-
 ბა ჰქონდა ინგლისელებისათვის. შემდეგ მეფეებს ძლიერ სურ-
 დათ დაებრუნებიათ წარსული დრო: მათ უნდოდათ მათ ნე-
 ბაზედ მოეწყობათ მართვა-გამგეობა, პარლამენტის დამორჩილე-
 ბა, დებუტატების უფლებათა დარღვევა, მაგრამ ამოდ: რაც
 ხალხმა შეისისხლხორცა, იმის უკან დაბრუნება შეუძლებელი
 შეიქნა; მეფეების მეცადინეობამ ფუქად ჩაიარა, ინგლისე-
 ლები უკვე ძლიერ მაგრათ ჩასტიდებოდნენ თავიანთ უფლებებს:
 მათთვის წარმოადგენაც კი შეუძლებელი იყო, როგორ შეი-
 ძლებოდა ცხოვრება, თუ ყველა ეს უფლებები არ ექნებოდათ
 მათ; ამიტომაც უმცირესს თვის უფლებასაც კი თავგანწირ-
 ვით და შედგრათ იცავდნენ. ვიგების მინისტრთა შორის, რო-
 მელნიც განაგებდნენ ინგლისს ვიორგი პირველის და მეორის
 დროს იყო ერთი შესანიშნავი მინისტრი რობერტ ვალპოლი,
 ვალპოლი შთამომავლობით აზნაური, მეტად გონიერი და
 მაგარი ხასიათის ეკი იყო. იგი კარგათ იცნობდა ინგლისის
 ხალხსაც, ვიგებსაც და ტორიებსაც; კარგად იცოდა ინგლი-
 სის კანონები და დიდ პატივსა სცემდა ინგლისის ხალხის უფ-
 ლებებს; მას ჰქონდა უნარი უკის ცნობისა და ამორჩევისა,
 შეგვიძლია ვთქვათ, რომ ვალპოლი თელი ოცი წლის განმავ-
 ლობაში მარტოდ მარტო განაგებდა ინგლისს. იგი იყო პირ-
 ველი მინისტრებთა შორის და ყველაფერს თვის ქეიფზედ აკე-
 თებდა. თითონ ირჩევდა ხალხე დანარჩენ მინისტრებს, რო-
 მელნიც ყველაფერში მას ემორჩილებოდნენ, თუ რომელიმე
 მათგანი მისი მორჩილი არ იყო, მათ თავი უნდა დაენებებიათ
 მინისტრობისათვის, ამ რიგათ ოცი წლის განმავლობაში დამ-
 ყარდა ისეთი ჩვეულება: ერთი მინისტრთაგანი იყო პირველი,

მინისტრთა მოთავე, მთავარ მინისტრი, სამინისტროს მთელი კაბინეტის მოთავე; ყველა დანარჩენ მინისტრებს უნდა ემოქმედნათ თანახმად მთავარი მინისტრებისა, თუმცა პარლამენტის წინაშე ყველანი ერთად პასუხის მგებელნი იყვნენ. ის ოცი წელი, როცა ვალბოლი მართავდა ინგლისს, შეტად ზედნიერი დრო იყო ინგლისის ცხოვრებაში. შემდეგ შეუწყვეტელი ომი-სა, რომელიც ჰქონდათ ინგლისელებს ანას და ვალბოლის დროს, სრული მშვიდობიანობა დამყარდა ინგლისში; ვალბოლის ომი ძლიერ ეჯავრებოდა. ჰარაფერი ისე მივნიბელი არ არი ინგლისისათვის, როგორც ომი; სანამ ომი გვაქვს, ზარალში ვართ, როცა ომს ვათავეთ ვერაფერს მოგებას ვბოულობთ", ამბობდა ვალბოლი. იმპერატორ ვალბოლი ყოფილწინათ სკდნილობდა ომი აეცილებია თავიდგან. თერამეტმა წელმა უომოთ განვლო. ამ მშვიდობიანი ხნის განმავლობაში ვაჭრობა და მრეწველობა განვითარდა, ინგლისელების რიცხვი ორჯერ შეტი გახდა, ინგლისის სიმდიდრემ დიდათ იმატა, სხვა და სხვა ქვეყნებში მრავალი ინგლისის ახალშენები დაეფუძნდა, ასე რომ ინგლისი ახლა მარტო ევროპის სახელმწიფო კი აღარ იყო; მას ახლა თვალ-უწვდენელი სამფლობელოები ჰქონდა ინდიაში, ჩრდილო ამერიკაში და ავსტრალიაში. გარდა ამისა ინგლისმა დაისაკუთრა მრავალი კუნძულები.

ამასთანავე ვალბოლი არ ავიწროებდა ხალხს, არ არღვევდა მის უფლებებს და სახელმწიფოს კანონებს; იცავდა წესრიგს და მშვიდობიანობას ძალდაუტანებლათ, კანონების და ურღვევლად და სამართლიანი საშუალებით. დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხის ნდომას, მის სურვილს და თაყვანსა სცემდა მის ნებას.

თაყვანსა სცემდა ვალბოლი მაშინაც კი, როცა პარლამენტიც და კანონიც მისკენ იყო. აი ამის მაგალითი: ვალბოლი მოინდონა წვრილ-წვრილი საზოგადო გადასახადებას მაგიერ ერთი საყოველთაო სააკციზო გადასახადების შემოღება. ბილლი სააკციზო გადასახადის შესახებ და მის დიდი უმეტე-

სობით გაეიდა როგორც ლორდთა პალატაში, ისე სათქმო პარლამენტშიც, მაგრამ ინგლისის ხალხმა უარი სთქვა ამ გადასახადზედ. გაზეთებში, ყრილობებზედ, ყველგან სასტიკად ჰკიცხავდნენ ამ გადასახადს. დაინახა თუ არა ვალპოლმა ეს, უკანვე წაიღო ბილლი, და თანაც შემდეგი შესანიშნავი სიტყვები სთქვა:

—თავისუფალ სახელმწიფოში არც კი უნდა ვიფიქროთ ისეთ გადასახადზედ, რომლის მოგროვებისათვის საჭიროა მიემართოთ ხმაღს და შუბებსაო.

თუმცა ვალპოლი შესანიშნავი მინისტრი იყო, თუმცა ინგლისი მისი მმართველობის დროს კეთილ-დღეობაში იყო, მაგრამ მაინც არ ხედა მას სიკვდილამდის პირველ მინისტრთა დარჩენა. ოცი წლის მინისტრობის შემდეგ იგი სამუდამოთ დაეცა და უკანასკნელი წელი თვისი სიცოცხლისა გაატარა თვისს კოშკში და მოკვდა მოწყვეტილი საქმეს და საზოგადოებას. ვალპოლი თითონვე იყო იმის მიზეზი, რომ ბოლომდის არ შერჩა მას ადგილი. მრავალ საუცხოვო თვისებათა გარეშე მას ჰქონდა ორი უდიდესი ნაკლი: სიხარბე და უფროსობის საყვარული; იმდენათ ძლიერი და უსაზღვრო იყო მასში ეს თვისებები, რომ მას არ შეეძლო თანასწორის ატანა; და მოუკიდებელი და თავისი აზრის მინისტრები მას თვალით დასანახავად ეჯავრებოდა; მას არ სურდა ვინმე შეცილებოდა უფროსობაში; თუ შენიშნავდა, რომ რომელიმე მინისტრი ნიჭიერი და გონიერი კაცი იყო, იმ წამსვე თავიდგან მოიცილებდა; მინისტრებათ მას ჰყავდა სრულიად უმნიშვნელო პირნი, რომელნიც მას ყოველი უარის უთქმელად ემორჩილებოდნენ. ვიგებთა შორის ბევრი ცნობილი და ნიჭიერი კაცი იყო. ვალპოლს მათგან თავი შორს ეჭირა ყოველთვის. და აი სწორეთ ეს ვიგები შეიქნენ მისი მოსისხლე მტრები. პარლამენტში იგინი შეურიგდნენ ვალპოლის მოწინააღმდეგეებს—ტორიებს. ვალპოლის მტრების რაცხვი თან და თან მატულობდა და მათ შორის შესანიშნავი პირებიც იყვნენ. ვალპოლი მარ-



მეფე გიორგი პირველმა და გიორგი მეორემ თავიანთი უფლებები გადასცეს ვიგებს და მათ მიხედვეს ინგლისის ოთხთვამ, მაგრამ ათას ექვსას ოთხმოცდა რვა წლის რევოლუციის შემდეგ უპარლამენტოდ და პარლანენტის წინააღმდეგ ქვეყნის მართვა-გამგეობა შეუძლებელი იყო. საჭიროა შეიქნა პარლამენტის წევრთა უმეტესობა მინისტრებისკენ ყოფილიყო, რადგან წინააღმდეგ შტამხვევაში მინისტრებს არაფრის გმკეთება არ შეეძლოთ. მაშასადამე ვალბოლოსა და ვიგებს მეტად ესაჭიროებოდათ პარლამენტის მომარეობა; საჭიროა იყო პარლამენტში მეტი ვიგები ყოფილიყვნენ ვინემ ტორიები და, რაც შეიძლება; მეტი ხმა ჰქონოდათ. მაგრამ ჩვენ ხომ ვიკით უკვე, რომ შეთვრამეტე საუკუნის დამლევს ინგლისში ვიგების რიცხვი ოთხჯერ ნაკლები იყო ვინემ ტორიებისა და თითქმის ტორიებისაგან შესდგებოდა თელი ინგლისის სოფლათ მცხოვრები ხალხი.

სათემა პალატა შესდგებოდა საგრაფოებში ანუ სოფლის ცხოვრებთა შორის და დაბა-ქალაქებში არსებული დეპუტატებისაგან. საგრაფოებში ამომრჩეველთა შორის უმეტესობას შეადგენდნენ წვრილი მემამულეები და ფერმერები, რომელნიც მსხვილ მემამულე ტორიებისაგან იყვნენ დამოკიდებულნი; ასეთი ამომრჩეველები იმას ირჩევდნენ, ვისხედაც მსხვილი მემამულეები მიუთითებდნენ; მებატონეებისათვის სასურველად დეპუტატები კი ტორიები იყვნენ. ასეთსავე მდგომარეობაში იყვნენ ამომრჩეველები დაბებშიაც. ბევრი დაბა მებატონეების მიწაზედ იყო, ასე რომ მებატონეები ასეთ დაბებს თავიანთად სთვლიდნენ. დაბებშიაც, როგორც სოფლებში, წვრილი ვაჭრები და ხელოსნები იმ მებატონეების მორჩილებაში იყვნენ, რომლებს მამულზედ ცხოვრობდნენ და სწორეთ მათთვის სასურველ და მათგან დასახელებულ პირებს ირჩევდნენ. მხოლოთ დიდი ქალაქები გზავნიდნენ პარლამენტში ვიგებს, მაგრამ ამათი რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო საგრაფოების და დაბების დეპუტატებზედ; ცხადია ასეთ პირობებში ვიგები

ვერასოდეს ვერ გაიმარჯვებდნენ, რომ ისეთი საზიარებლო, მაგრამ საიმედო საშუალებებისათვის არ მიემართნათ, როგორც არის ამომრჩევლების მოსყიდვა. ვიგები იბრძოდნენ ტორიების წინააღმდეგ ფულით, რადგან მათ სხვა საშუალება არ ჰქონდათ. მაგრამ არც მართო ამომრჩევლების მოსყიდვა იყო საკმაოდ ვალბოლისათვის. მისთვის საჭირო იყო აგრეთვე, რომ დეპუტატების უმეტესობა მისკენ ყოფილიყო, ამიტომაც იგი დეპუტატების ხმებსაც ყიდულობდა. ეს ხომ დიდი უპინდისობა და უზნეობაა, მაგრამ ვალბოლს სხვაფრთვ მოქცევა არ შეეძლო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ვიგები დაჰკარგავდნენ ძალას, რომელიც იმათ ეხლა ხელში ჰქონდათ, დაჰკარგავდნენ იმას, რაც მათთვის ყველაფერზე უფრო ფასეული უწმიდესი იყო, რისთვისაც იბრძოდნენ ივინი სტიუარტების დროიდან, რასაც მიალწიეს მათ, როცა გააძევეს იაკობი და მოუწოდეს ვილჰელმს და მათ ადგილს დაიჭერდნენ მათი მოსახლე მტრები ტორიები; ტორიების უმეტესობას კი ძლიერ სურდა სტიუარტები დაბრუნებულიყვნენ: თვით სტიუარტებიც, იაკობ მესამე და მისი შვილი კარლო, ედუარდი მუდამ მზათ იყვნენ, ინგლისში დაბრუნებულიყვნენ და წინაპრების ტახტი დაებრუნებიათ.

სტიუარტები ორჯერ შემოესივნენ ინგლისს. პირველჯერ ამბოხება აღვილიათ ჩააქრეს. ვიგებმა ამ ამბოხების შემდეგ წინანდელზედ მეტი ძალა მოიკრიბეს, რადგან სწორეთ ამ ამბოხების შემდეგ გამოსცა პარლამენტმა „კანონი შვიდი წლის ვადის“ შესახებ. საქმე იმაშია, რომ ერთი წლის შემდეგ, რაც ამბოხება მოხდა, ვადა გაუდიოდა გიორგი მეფის პირველ პარლამენტს; ამიტომაც სათემო პალატა უნდა დაეთხოვნათ და ახალი არჩევნები დაენიშნათ; მეფე და მინისტრები კარგათ ხედავდნენ, რომ არფულოპის დროს ახალი არჩევნების დანიშვნა მეტად სახიფათო იყო. ამიტომაც მინისტრებმა პარლამენტში შეიტანეს ბილლი. ამ ბილლის თანხმად პარლამენტის სამ წლიანი ვადა შეიდ-წლიანათ უნდა ექციათ. ვიგები-

სათვის ეს მეტად სასარგებლო იყო, რადგან ათხ წელს დეე დარჩებოდნენ დებუტატებათ. პარლამენტში ვიგები უწყესობას შეადგენდნენ, ამიტომაც ეს ბილლი პარლამენტმა დაუბრკოლებლად მიიღო. ეს კანონი ინგლისში დღემდის დაცულია და დებუტატებს ირჩევენ შვიდი წლით. სტიუარტების მეორეთ შემოსევა უფრო სახიფათო შეიქნა ინგლისისათვის, ვინემ პირველი იყო. სულ ასი ვერსის სიშორეზედ-ღა იყო ლონდონიდგან იაკობ სტიუარტის შეიღის-შვილი, კარლო-ედუარდი. და ვიგებმა ძლივს-ძლივობით გააძევეს იგი ინგლისიდან. ერთად ერთი საშუალება, რომელიც ხელა ჰქონდათ ვიგებს სტიუარტების წინააღმდეგ—იყო მოსყიდვა. მხოლოდ ამ საშუალებით შეიძლებოდა დაცვა იმისა, რაც მისცა ინგლისის ერს ათას ექვსას ოთხმოცდა რვა წლის რევოლუციამ ამიტომაც რობერტ ვალპოლი ხრულიად არ ფარავდა, რომ იგი ქრთამს იძლეოდა, ხმებს ყიდულობდა, ზოგს თანამდებობას აძლეოდა, ზოგს საჩუქარს და სხვა. მაგრამ, რა გინდ დიდი საპატიო მიზეზები ყოფილიყო, მოსყიდვა მაინც სამარცხენო და საზიზღარ საშუალებათ რჩებოდა და ვალპოლის მტრები სრულიად სამართლიანად ჰკიცხაუდნენ მის მოქმედებას. დიდხანს იბრძოლა ვალპოლი მარტოდ მარტო მტრების წინააღმდეგ; ყველა მისი ამხანაგები—დანარჩენი მინისტრები სრულიად უმნიშვნელო და სუსტი კაცები იყვნენ. თელი თვისი მმართველობის დროს ვალპოლი ომის წინააღმდეგი იყო. თავის საუბედუროთ იგი მაინც თანახმა შეიქნა, რომ ისპანიას ომი გამოცხადებოდა; ამით მას უნდოდა, თვისი ამხანაგების და ვაჟრების გული მოეგო; ამათ კი იმედი ჰქონდათ, რომ ომი მათ დიდ სარგებლობას მოუტანდა. თუმცა, როგორც ვთქვით, ვალპოლი ომის წინააღმდეგი იყო და დიდ მანებელ საქმეთ მიანდა იგი, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც თანხმა შეიქნა იგი და ისპანიასთან ომი დაიწყო; ეს ომი ინგლისელებისათვის მართლია დიდი მანებელი შეიქნა; მის გამო ინგლისის საზღვაო ვაჭრობამ ძალზედ დაიქვეითა. ვინც წინეთ ომის მომხრე იყო,

ახლა ხმა აამაღლა მისს წინააღმდეგ; ყველაფერში ბრალს ვალ-
პოლს სდებდნენ. მისმა მოწინააღმდეგეებმა ახლა უფრო აამა-
ღლეს ხმა პარლამენტში; შეერთებული ციკები და ტორიები
ხმა მადლა ჰყვიროდნენ: „ვალპოლია ყველა ჩვენი უბედურე-
ბის მიზეზი, ძირს ვალპოლია“. ვალპოლი სულით არ დაეცა
და მხნეთ იბრძოდა შობირდაპირეების წინააღმდეგ. მაგრამ ათას
შვიდას ორმოცდა პირველ წელს ახალი არჩევნები მოხდა და
ახალ პარლამენტში მოჰყვა ვალპოლის მრავალი მოწინააღმდე-
გე. ახლა კი ვალპოლმა გაეცა ამჯობინა, ახალიმა პარლამენ-
ტმა პეტრია მიაართვა მეფეს. ამ პეტრიაში პარლამენტი თხო-
ულობდა მეფისაგან ვალპოლის გაძევებას, რადგან ვითომ ინ-
გლისის ყოველ გვარი უბედურება ვალპოლის ცუდი მმართველობიდან
შომდინარეობდა.

ვალპოლმა თანამდებობას თავი დაანება და თვის მამულ-
ში წავიდა საცხოვრებლად.

ვალპოლი მინისტრთა შორის პირველი იყო, რომელიც
აღმაღლდა იქამდის, რომ მთავარ მინისტრი შეიქნა, „კაბინე-
ტის“ მეთაური გახდა, სხვა მინისტრებს ხელმძღვანელობდა და
ინგლისს განაგებდა. ვალპოლს პირველად ხელა აგრეთვე თა-
ნამდებობიდან გადადგომა, იმიტომ კი არა, რომ მას რაიმე
დანაშაულობა ჩაედინოს, ან კანონი დაერღვიოს; სათემო პა-
ლატამ ვერაფერში ვერ დასდვა მას ბრალი ლორდთა პალატის
წინაშე; ვერ დასდვა მას ბრალი აგრეთვე „პალატის ბილლის“
ძალით, მაგრამ მინც იძულებული შეიქნა იგი წასულიყო მსოლოდ
იმის გამო, რომ სათემო პალატა მისი წინააღმდეგი იყო, თუმ-
ცა იმავე ღროს მეფე მისკენ იყო და სრულიად არ სურდა
ვალპოლის დათხოვნა. გიორგი მეორეს ტირილი მოერია, რა-
ცა მასთან გამოსათხოვად მივიდა ვალპოლი; მაგრამ მეფეს მე-
ტი აღარა დარჩენოდა რა, რომ გაეშვა საყვარელი, ერთგული
და ნამდვილი მისი ინტერესების დამცველი მინისტრი-მეგობა-
რი. ამ შემთხვევამ ცხადად დამტკიცა მეფის უბედურება ლ პარ-

ლაშენტი სკოლის შემძლებლობა; მეფის უფლებებში პარტიკულარების ხელში გადავიდა.

ვალპოლი წავიდა; დანარჩენი მინისტრები კი თავიანთ ადგილებზედ დარჩნენ; ვალპოლის ადგილი დაიჭირეს ვიგების სხვა მეთაურებმა, რომელნიც რამოდენიმე წლის განმავლობაში გაცხარებულნი იბრძოდნენ მის წინააღმდეგ და ხალხს არწმუნებდნენ, წავი თუ არა ვალპოლი, მოსყიდვაც მოისპობა და დიდად სასარგებლო ცვლილებები მოხდებოდა. მაგრამ ყველაფერი ძველებურათ დარჩა, მოსყიდვა კი წინანდელზედ უფრო გაურცელდა; მოსყიდვის მოსპობა ასე ადვილი არ იყო: ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ თვით სათემო პალატაც და არჩევნებიც კიდ წინააღმდეგ იყო დაფუძნებული.

§ 6.

მიწის წვრილი მესაკუთრეების მოსპობა.—კანონი „უკანონო მფლობელობის“ შესახებ და მისი შედეგები.—სათემო მიწების შემოღობვა.—მხველი მამულები და კანონი მემკვიდრეობის შესახებ.—ფერმერები.—წვრილი ამომრჩევლების მოსპობა.—„დამყაყებელი დაბები“.—„ჯაბის ადგილები.“—დიდი ქალაქების უღებუტატებოთ ყოფნა.—ამომრჩევლების მოსყიდვა.—მიდიდარი კაცები პარლამენტში.—მიწის მესაკუთრეები პარლამენტში.—პურის კანონები.—კანონები ნადირობის შესახებ.—სათემო მიწების მესაკუთრეება პარლამენტის დახმარებით.—ადგილობრივი მმართველობა.—მებატონეები.—მმართველი კლასი.

ჩვენ ვიცით, რომ სათემო პალატა შესდგებოდა საგრაფოებში, ანუ სოფლებში, დაბებში და ქალაქებში ამორჩეული წარმომადგენლებისაგან. საგრაფოებში დებუტატების ამორჩევა შეეძლო ყველა მენამულეს და იუმენს, რომელსაც საკუთარი მიწისაგან შემოსდიოდა წლიურათ არა ნაკლები ორმოცი შილინგისა (ოცი მანეთისა). ინგლისში ბევრი იყო მიწის მცირე ნაჭრების, ანუ იუმენების, მესაკუთრეები, ამიტომაც ბევრი იყო აგრეთვე ამომრჩევლებიც. ჩვენ უკვე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი იმაზედ, თუ როგორ იღობავდნენ ტიუ-

დორების დროს მებატონეები საკუთარ და სათემოებში ადგენდნენ საძოვრათ, როგორ ატოვებინებდნენ იუმენებს მათ მიწებს და როგორ მიდიოდნენ ესენი სამუშევრის საძებრათ. მიუხედავად ამისა მენვილმეტე საუკუნის დამლევს ინგლისში ას ორმოც და ათი ათასი მიწის წვრილი მფლობელი ითვლებოდა; მაგრამ გაორგი მეორის მეფობის ბოლოს ივინი თითქმის სრულიად მოისპვენ ინგლისში. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს თელი მიწა-წყალი მსხვილი შემამულეების ანუ ლენდ-ლორდების ხელში გადავიდა. იუმენების მოსპობას ბევრათ შეუწყვეს ხელი თვით ლენდ-ლორდებმა.

კარლო მეორის სტიუარტის დროს ლენდ-ლორდებმა პარლამენტში გაიყვანეს მათთვის მეტად გამოსადეგი ბილლი „უკანონო მფლობელობის“ შესახებ, ამ კანონში ნათქვამი იყო: „ვინც მიწას ფლობს, მაგრამ არა აქვს ამის გასამართლებელი წერილობითი საბუთი, მას შეუძლია ისარგებლოს ამ მიწით მხოლოდ მანამდის, სანამ ეს სასურველი იქნება ლენდ-ლორდებისთვისო. ინგლისში კი ბევრი ისეთი იუმენები იყვნენ, რომელთაც არავითარი წერილობითი საბუთი არ ჰქონდა. უტყუარ საბუთად მათ ის მიაჩნდათ, რომ მათი მამა-პაპები ჩვეულების თანხმად ფლობდნენ თავიანთ მიწებს და ყოველ წლივ განსაზღვრულ ღალას აძლევდნენ ლენდ-ლორდებს. ეს მიწები მემკვიდრეობით გადადიოდა მამისაგან შვილზედ და მათი მებატონეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ აქვერვინ შეეცილებოდა. ახლა კი სრულიად მოულოდნელად მოსთხოვეს მათ წერილობითი საბუთები! აბა საიდგან ექნებოდათ საბრალლო იუმენებს ის, რაც თავის დღეში არ ჰქონიათ, ამით ისარგებლეს ლენდ-ლორდებმა და შეუდგნენ იუმენების დაწიოკებას, სდევნას და წათი მიწების მისკუთრებას! ზოგი იუმენები თავის ნებით სტოვებდნენ თავიანთ მიწებს, რადგან სიმცირის გამო თითოეული ნაჭერი ამ მიწებისა ზარალის მეტს აღარას აძლევდა თავიანთ მებატონეებს.

მენვილმეტე საუკუნეში მიწის მუშაობა ძლიერ გაუმჯო-

ბესდა; ძველებურად მიწის მუშაობა საზარადრო შვიქნა; ახად
წესით მუშაობისათვის კი ფული იყო საჭირო; იუმენები ფულ-
ზედ ძლიერ ხელ მოკლეთ იყენენ; ამასთანავე მებატონეები
თავისებურად ისაკუთრებდნენ მათ მიწებს. ორმოცდა ათი
წლის განმავლობაში—ათას შვიდას ათი წლიდან ათას შვიდას
სამოც წლამდე—მსხვილმა მემამულეებმა ათას ას ოცდა შვიდი
ათასი დენგეტინა სათემო შიწა მითვისეს. ეს სწორეთ ყოველ
სამზღვარ გადასული უნამუსო ძარცვა იყო მებატონეების
შიერ. იუმენებს, რასაკვირველია, შეეძლო თავიანთი უფლ-
ბები დაეცვათ, შეეძლოთ სამსჯავროში საჩივრით მიქცეული-
ყვნენ და მოეთხოვათ, მებატონეებს ჩამორთმეოდათ სათემო
შიწები, რომელნიც მათ სრულიადაც არ ეკუთვნოდნენ, მაგ-
რამ უსამუალობის გამო მათ ჩივილიც ვერ მოეხერხებიათ და იძუ-
ლებული იყვნენ თავიანთ ბვედრს დამორჩილებოდნენ.

როდესაც იუმენებს სათემო მიწები ჩამოერთვათ, მათ აღა-
რა დარჩენილათ რა იმის მეტი, რომ თავიანთი საკუთარი მი-
წებიც გაეყიდნათ და ან ქალაქში გადასახლებულიყვნენ, ან
და მებატონეებს და ფერმერებს დაქირავებოდნენ.

იუმენების მიწებს ყიდულობდნენ ან თვით მებატონეები,
ან გამდიდრებული მოქალაქეები, ვაქრები და მრეწველები,
რომელნიც შემდეგ მებატონეებთან ხდებოდნენ. იმ დროს ან-
გლისში მიწის მუშაობა უფრო კეთილშობილურ საქმეთ ით-
ვლებოდა, ვინც ვაქრობა ან ხელოსნობა; ამიტომაც მებატო-
ნეები მექარხნებზედ და ხელოსნებზედ მაღლა იდგნენ საზოგა-
დოების თვალში.

თითეული გამდიდრებული ვაქრისა და მექარხნისათვის სა-
ნატრელი იყო მებატონეთ განდობა, ყველასაგან პატივცემულ
წოდების რაზმში ჩადგომა. ამიტომაც გამდიდრებული მოქ-
ლაქეები სიხარულით ყიდულობდნენ თავისუფალ მიწებს. ამ
დროს აღმოჩნდნენ განსაკუთრებული წვრილი მიწების მკიდ-
ველები, რომელნიც თითონ ყიდულობდნენ მიწებს წვრალ
ნაკვეთებათ და შემდეგ ამ ნაკვეთებს შეერთებულათ ჰყიდნენ.

მსხვილმა მემამულეებმა ისე მოაწყვეს საქმე, რომ მათი მამუ-
 ლები არ დანაწილებულიყვნენ; მამის სიკვდილის შემდეგ მა-
 მული თელად გადადიოდა უფროსი ვაჟის ხელში იმ პირობით,
 რომ ვაჟი თავის რიგზედ ისევე მოქცეულიყო. ამ რიგით თე-
 ლი ინგლისის მიწები მეთვრამეტე საუკუნეში დაიყო. ზზარმა-
 ზარ მამულებათ და მებატონეების ხელში გადავიდა; წვრილი
 მემამულეები კი სრულიად მოისპენ. მებატონეები ახლა თავი-
 ანთ მიწებს მსხვილ ნაჭრებათ ფერმერებს აძლევდნენ იჯარით.
 წინეთ ფერმერებს მიწა ესღეოდათ გრძელის ვადით, ასე რომ
 ხანის-ხან იჯარით აღებული მიწა ფერმერს ჰქონდა თელ
 თავის სიცოცხლეში. ახლა კი ლენდ-ლორდი ერთი წლის
 ვადით აძლევდა მიწას ლ, როცა უნდოდა, მაშინ გააძევებდა თავის
 მამულიდგან ფერმერს; მხოლოდ ეს კი იყო, რომ მებატონეს
 ნახევარი წლით წინ უნდა შეეტყობინებია ფერმერისათვის,
 რომ მას გაძევება მოელოდა. იუმენების მოსპობისთანავე მოი-
 სპენ აგრეთვე პრავალი ამომრჩეველთაგანიც. ახლა სათემო პალა-
 ტაში დებუტატებს მსხვილი მემამულეები-და ირჩევდნენ. რა
 თქმა უნდა, მებატონეები თავიანთ წოდების კაცს აირჩევდნენ
 დებუტატებათ; ამასთანავე ანნას მეფობის დროს გამოიკა კა-
 ნონი, რომლის ძალითაც სათემო პალატის დებუტატათ შე-
 აძლებოდა არჩეულიყო მხოლოდ ის, ვისაც წლიური შემოსა-
 ვალი ექვსი ათასი მანეთი ჰქონდა; ასე, რომ თანახმად ამ კა-
 ნონისა, სათემო პალატის წევრობა შეეძლოთ მხოლოდ მდიდარ
 მებატონეებს. საგრაფოებს გარდა სათემო პალატაში დებუტა-
 ტებს გზავნიდნენ დაბები და ქალაქები. მკითხველს მოაგონდება,
 რომ მეთექვსმეტე საუკუნეში ტიუდორების გვარეულობის მე-
 ფეებმა ზოგიერთ პატარა სოფლებს დებუტატების ამორჩევის
 და მათი პარლამენტში გაგზავნის ნება მისცეს. ბევრი ასეთი სოფ-
 ლები მეთვრამეტე საუკუნეში სრულიად დაეცა; ეხლა ივინი
 გავრანებულ ადგილებს წარმოადგენდნენ, სადაც სულ რა-
 მოდენიმე ქოხი და თითო-ორიოდა ამომრჩეველები იყო. ხშირათ
 სოფელში ერთი სახლის მეტი აღარა იყო რა; ზოგი

წყლისაგან იყო წალკეილი და მხოლოდ მისი სახელია ტარჩენილიყო; ზოგიერთის მაგიერ მებატონეების უზარმაზარ ბაღები იყო გაქიმული. ამომრჩევლების აქ სასხენებელიც აღარ იყო. ასეთ ადგილებს „დამყაყებულ ადგილებს“ ეძახდნენ. იშვიათად მოიძებნებოდა ისეთი ადგილები, სადაც ორმოცი, ორმოცდა ათი ამომრჩეველი ყოფილიყოს, მაგრამ აქედგანაც იგინი იგზავნიდნენ პარლამენტში, ვინც მებატონეებისათვის იყვნენ სასურველნი; ასეთ ადგილებს ეძახდნენ „ჯიზის ადგილებს“. ლენდ-ლორდებმა „დამყაყებულ“ და „ჯიზის“ ადგილებს ისე უყურებდნენ, როგორც თავიანთ საკუთრებას, რადგან ის მიწები, სადაც ეს ადგილები მდებარეობდნენ, მათ ეკუთვნოდათ. ერთი სიტყვით აქაური მცხოვრებლები სრულიად დამოკიდებულნი იყვნენ მებატონეებზე და მათი ბრძანებისამებრ იქცევოდნენ. ხშირად მებატონეები „დამყაყებული ადგილების“ დებუტატობის ადგილს წინდა-წინვე ყიდნენ.

გარდა ამისა იმ დროს ინგლისში ბევრი დიდი სავაჭრო და სამრეწველო ქალაქები იყო. ზოგიერთი ამ ქალაქთაგანი სრულიადაც არ გზავნიდა თავიანთ დებუტატებს პარლამენტში, რადგან ახლად გაშენებულნი იყვნენ. კარლო მეორის შემდეგ კი მეფეს არ შეეძლო ეს უფლებამიენიჭებია ქალაქებისათვის. თუმცა კანონით შეეფებს ამის უფლებამ არ წართმევიან, მაგრამ საქმით იგინი უკვე მოკლებულნი იყვნენ ამას. საქმე იმაშია, რომ ელისაბედის დროიდან არჩევნების შემოწმება სათემო პალატის საქმე იყო, ესე იგი სათემო პალატა არკვევდა, რამდენათ სამართლიანად იყო არჩეული ესა თუ ის დებუტატი, რომელ დებუტატს ჰქონდა და რომელს არა უფლება, სათემო პალატაში წევრათ ყოფილიყო. თუ დებუტატი გამოგზავნილი იყო ისეთი ქალაქიდან, რომელიც წინეთ არ გზავნიდა თვის წარმომადგენლებს პარლამენტში, პალატა იმ წამსვე გამოირიცხავდა დებუტატს პალატის წევრობისაგან, თუნდ თვით მეფეს მიეცა ამ ქალაქისათვის დებუტატის არჩევის უფლება.

თითონ სათემო პალიატასაც ნება არ ჰქონდა ქალაქებისათვის პარლამენტში დეპუტატების გაგზავნის უფლება მიეცა, ამ საქმის ასეთ მდგომარეობას ის უსამართლოვება მოჰყვა შედეგად, რომ ვაკერანებული სოფლები გზავნიდნენ დეპუტატებს პარლამენტში და დიდი ქალაქები კი მოკლებულნი იყვნენ ამის უფლებას. როგორც სოფლებში, ისე ქალაქებშიაც, დეპუტატის არჩევის უფლება ძლიერ ცოტას ჰქონდა. მაგალითად ზოგ ქალაქში სულ ორმოცდა თექვსმეტი ამომრჩეველი იყო, ზოგან — ოცდაათი, თორმეტი და კიდევ ნაკლები. ზოგიერთ ქალაქებში არჩეულები სრულიადაც არ იყო: დეპუტატს აგზავნიდა პარლამენტში „ქალაქის საბჭო“. არჩევა შეიძლებოდა მხოლოდ იმ პირების, რომლებსაც ჰქონდათ უძრავი ქონება ქალაქში: სახლი, მიწა და სხვა; თანაც ჰქონდა ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ წელიწადში სამი ათასი მანეთი შემოსავალი ეძლია პატრონისათვის, რადგან ამომრჩეველები ცოტა იყვნენ და თანაც კენჭის ყრა დათარული არ იყო, ამომრჩეულების მოსყიდვა ადვილი საქმე იყო.

მოსყიდვას არ თაკილობდნენ არც მეფე და არც მისი მინისტრები, ოღონდ კი მათთვის სასურველი დეპუტატები ყოფილრყვნენ პარლამენტში. ასევე იქცეოდნენ გამდიდრებული ვაჭრები და მრეწველები, რომ პარლამენტში მოჰყოლოდნენ. ზოგიერთი პატარა ქალაქები საჯარო ვაჭრობას ნიშნავდნენ იმ ადგილების გასასყიდათ, რომელნიც მათ წარმოამდგენლებს უნდა დაეჭირათ პარლამენტში; ხშირათ გაზეთებში აცხადებდნენ: „ესა და ეს ქალაქი ამდენ დეპუტატის ადგილს ყიდისო“; ამან ისე გააძვირა არჩევნები, რომ ძლიერ მდიდარს თუ შეეძლო არჩევის ღირსი გამხდარიყო. გარდა ამისა დეპუტატებს ჯამბირი არ ეძლეოდათ; ვაუხსენოთ, რომ წინეთ ქალაქები და სოფლები თითონვე ინახავდნენ თავიანთ დეპუტატებს, მაგრამ დროთა განმავლობაში სრულიად დაივიწყეს ეს ჩვეულება, რადგან ჩვეულებრივათ მდიდარი დეპუტატები ქალაქებისაგან არ ლებულობდნენ შემწეობას, ასე რომ დეპუტატობა იმ დროს



მხოლოდ მდიდრებს შეეძლოთ და მათთვის იყო ხელ-საყრელი. ერთი სიტყვით ყველაფერი ისეთ ნაირათ მოეწყო, რომ არლამენტში ყოფნა შესაძლებელი მართო მდიდრებისათვის შეიქნა და თელი ინგლისის ხალხის ბედი მდიდარ მებატონეებს ჩაუვარდა ხელში, სათემო პალატაში ახლა მხოლოდ მებატონეები და მათი მომხრეები-ღა იყვნენ. ლორდთა პალატაში ხომ ლორდები იყვნენ, ასე რომ თელი პარლამენტის ანუ ორივე პალატის წევრნი თითქმის ყველანი ლენდ-ლორდები იყვნენ; სამაგიეროდ მდიდარ მოქალაქეთარიცხვი ძლიერ კოტა იყო. ახლა მებატონეების ხელში იყო კანონმდებლობა, მებატონეები შემოიღებდნენ ხოლმე ახალ გადასახადებს, მებატონეების სურვილზედ იყო დამოკიდებული ომის დაწყება. ერთი სიტყვით მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისს მებატონეები განაგებდნენ, ანუ როგორც იტყვიან ხოლმე, მებატონეები გახდნენ „მმართველ კლასადო“. მებატონეები ისე მართავდნენ ინგლისს, რომ ყველაფერზედ უფრო თავიანთ სარგებლობაზედ ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ; ხალხის ავ-კარგს კი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. მებატონეებისაგან შემოღებული კანონები მხოლოდ მათ ინტერესებს იცავდნენ, მხოლოდ მათთვის იყვნენ სასარგებლონი, ხალხისათვის კი ენებისა და შევიწროების მეტი არა მოჰქონდათ რა. აი ამის მაგალითები.

ესთქვით მებატონეებს დიდ-ძალი პურის ხორბალი მოჰყავთ; საჭიროა ეს ხორბალი, რაც შეიძლება, კარგ ფასად გასაღდეს. ამ მიზნის მისაღწევად მებატონეებისაგან შემდგარ პარლამენტს შემოაქვს ბაგი საზღვარ გარეთიდგან შემოსატან პურზედ, რის გამოც, ცხადია, პური უნდა გაძვირდეს. ღარიბი ხალხი, რომლისათვისაც კაპეიცი ძვირფასია, ახლა გაცილებით უფრო ძვირად ყიდულობს პურს, ვინემ ბაგის შემოღებამდე. ამ გზით ღარიბის ჯიბიდგან უკანასკნელი გროში მებატონეების ჯიბეში გადადის. ტყუება მებატონეებს ეკუთვნის; მათ სურთ, რაც შეიძლება, მეტი შეშა გაჰყიდონ. ამ მიზნით იგინი სასტიკად აღკრძავენ ინგლისის ახალ-შენებიდგან

ჩამოსხმული რკინის შემოტანას, რომ მით თუთ ინგლისში რკინის კეთება და მასთან შეშის ხმარება არ შემცირდეს. მებატონეებს ცხვრის უთვალავი ფარა ჰყავთ და საჭიროა მატყლს ბაზარი მოუპოვონ; მატყლს ყიდულობენ ადგილობრივი ფაბრიკების პატრონები; რაც უფრო მეტს შალეულობას აკეთებენ ესენი, მით უკეთესად სალდება მატყლი; ამიტომაც მებატონეები ბაეს ადებენ ირლანდიიდან შემოსატან მატყლს. მებატონეები ყველს, ერბოს, სახორცე საქონელს ჰყიდიან, ამიტომაც იგინი აკანონებენ, რომ ირლანდიიდან აღარ შემოიტანონ აღარც სახორცე საქონელი, არც ყველი, არც ერბო და სხვა. ინგლისის მებატონეებს ნადირობა უყვართ ძღვერ; ამისათვის საჭიროა ნადირი და გარეული ფრინველი ბლომათ იყოს; ამიტომაც მებატონეები კანონათ ადებენ, რომ ნადირობა მხოლოდ მათ შეუძლიათ და ფერმერებს სასტიკად აქვთ აღკრძალული საიჯარო ადგილებში არ ინადირონ. საბრალო ფერმერებს კურდღლის მოკვლის ნებაც არა აქვთ, თუნდ მათი ნათესები თლად მოსპონ კურდღლებმა.

მიწის შესაკუთრებისაგან შემდგარი ბარლამენტი თავის მოძმებს, მებატონეებს, ყველაფერში ხელს უწყობდა. ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი იმაზედ, თუ რა მიზეზი იყო, რომ მებატონეებმა სათემო ადგილების მისაკუთრება დაიწყეს. სათემო მიწა რომ მებატონის საკუთრება გამხდარიყო, საჭირო იყო ბარლამენტს დაედგინა „ესა და ეს მიწა, რომელიც წინეთ სათემო იყო, ადგილობრივი მცხოვრებლების თანხმობით შემოიღობა და მიეცა ამა და ამ მებატონესო“. ადგილობრივი მცხოვრებლები ხშირად სრულიადაც არ იყვნენ თანახმა სათემო მიწა მებატონეს შემოეღობა და მიეთვისებია, მაგრამ ბარლამენტი ამას ყურადღებას არ აქცევდა, ან და გლეხებს ძალაუნებურად ითანხმებდა. გარდა ამისა მებატონეებმა საქმე ისე შოაწყვეს, რომ საგრაფოებია თელი შართვა-გამგეობა ხელით იგდეს; ამისათვის მებატონეებმა გამოსცეს კანონი, რომლის ძალითაც ოღნავ თვალ საჩინო თანამდებობა მებატონეს ეძლე-



ქ

ოდა. შერიფებთან საგრაფოებში მარტო მებატონეები უნდა
 ყოფილიყვნენ; მსაჯულის თანამდებობა ეძლეოდათ მხოლოდ
 ისეთ მებატონეებს, რომლებსაც წლიური შემოსავალი ათასი
 მანეთი ჰქონდათ. ლორდებს მსაჯულებათ ყოფნის უფლება
 ჰქონდათ, თუნდ არაფრის მესაკუთრეც არ ყოფილიყვნენ; საჭირო
 იყო მხოლოდ წელიწადში ექვსი ათასი მანეთი ან ჯამაგირათ
 ან სხვა გვარათ შემოსეულობათ. საგრაფოებში, როგორც ვიცით,
 მილიციები იყო. ამ მილიციებში უფროს აფიცრებათ მებატო-
 ნეები იყვნენ. პოლკოვნიკობა შეეძლო მხოლოდ იმას მიეღო,
 ვისაც ათი ათასი მანეთი ჰქონდა შემოსავალი.

ასე და ამ ნაირად თელი ინგლისის ხალხი მებატონეების
 ზღვში ჩაყარდა. როგორც თელ ინგლისის ისე თითოეულ საგ-
 რაფოს ახლა მებატონეები განაგებდნენ.

[Faint, mostly illegible handwritten text in Georgian script, likely bleed-through from the reverse side of the page.]



თ ა ვ ი IX.

ინგლისი მეფე გიორგი მესამის, მეფე გიორგი მეოთხის და მეფე
ვილჰელმ მეოთხის დროს.

§ 1.

მეფე გიორგი მესამე.—ტორიების ბატონობა.—მეფის მეგობრების პარ-
ტია.—გიორგი მესამის მინისტრები.—პარლამენტი გიორგის დროს.—ლო-
რთა პალატა.—ახალი პერები.—სათემო პალატა.—დამყაყებულის ადგი-
ლების ყიდვა.—ომი ინგლისსა და ჩრდილოაშერიკის ახალშენებს შორის.—
ახალშენების დაკარგვა ინგლისის მიერ.—უკმაყოფილება ინგლისში.

გიორგი მეორე გარდაიცვალა ათას შვიდას სამოც წელს და ტახტზედ ავიდა მისი შვილის-შვილი გიორგი მესამე. გიორგი მესამე ინგლისში იყო აღრზდილი, ასე რომ მისი სამშობლო—ინგლისი იყო და მისი სამშობლო ენა—ინგლისური ენა; „ნე ინგლისელი ვარო“, ამბობდა ხოლმე გიორგი მესამე. მას ინგლისი თავისს სამეკვიდრო სამეფოთ მიაჩნდა; ეს სამეფო, მისის აზრით, ეკუთვნოდა მას კანონიერი უფლების ძალით და არა შემთხვევით, როგორც მის წინაპარს გიორგი პირველს. გიორგის სურდა ინგლისის ნამდვილი მეფე ყოფილიყო და არა მარტო მეფის სახელის მატარებელი. მას უნდოდა ქვეყნის მართვა-გამგეობა დამოუკიდებლათ, თვის საუფთარი სურვილისანებრ და არა ისე, როგორც პარლამენტს და მინისტრებს ჰსურდათ. ამისთვის კი საჭირო იყო მორჩილი მინისტრების ყოლა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მეფეს უმინისტრობოთ არაფრის გაკეთება არ შეეძლო; თითუული მისი ბრძანე-

ბა მხოლოდ მაშინ შედიოდა ძალაში, როცა მინისტრებისაგან იყო ხელმოწერილი; დანიშნით კი მინისტრებს მეფე ნიშნავდა. ეს უფლება მეფეს შერჩია ათას ექვსას ოთხმოცდა ოთხ წლიდან. მეფე იმას ნიშნავდა მინისტრათ, ვინც მისთვის უფრო სასურველი იყო. გიორგი მესამეს ჭირივით ეჯავრებოდა ვიგები, რომელნიც მისი წინაპრებებს დროს სრულიად თავის ნებაზედ განაგებდნენ ინგლისს; ამიტომაც მას ტორიების დაახლოება სურდა. ამ დროს ტორიებს სტიუარტების ინგლისში დაბრუნების იმედი დაკარგული ჰქონდათ, რადგან ერთხელ და სამუდამოთ დაარწმუნდნენ, რომ ინგლისის ხალხს სტიუარტების დაბრუნება არაფრისთვის არ სურდა. ტორიები ახალგაზდა მეფის მოწოდებას და სურვილს აღტაცებით მიეგებნენ. ორმოცდა ათი წლის განმავლობაში ივანი ყოველ გავლენას და პატივს მოკლებულნი აყვნენ და ვიგების უნებურს მორჩილებაში იმყოფებოდნენ. ახლა ივანი შემოკრებენ მეფის გარშემო, შეერთდნენ და შეადგინეს „მეფის მეგობრების“ პარტია. ეს პარტია ყოველ საქმეში მეფეს მხარს უჭერდა და შესარჩილებოდა მას ისე, როგორც წინეთ სტიუარტებს. ათის წლის გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, მეფემ და ტორიებმა ვიგები სრულებით ჩამოაკალეს სახელმწიფო საქმეებს. დადგა ტორიების პატონობის დრო. ამ პატონობამ ოცდა ათს წლამდინ გასტანა. ტორიებთან ერთად მღვდლებმაც დაანებეს თავი განზოგერელი მეფეების მტრობას, ახლა ივანი გულმოდგინეთ აჭებდნენ მეფეს მისი კეთილმსახურებისა და ანგლიკანური ეკლესიის სიყვარულისათვის.

გიორგი მესამე მთელი სამოცი წელი მეფობდა. ამ ხნის განმავლობაში მინისტრებათ თითქმის სულ ტორიები იყვნენ, თითონ გიორგი უნიკო, უგონო, გაუნათლებელი და მასთან მეტად თავმოყვარე და წერილმანი კაცი იყო. ის, ვინც კი იმაზედ მალდა იდგა, მისთვის აუტანელი იყო; ამიტომაც მის მინისტრებათ არასოდეს არ ყოფილან გამოჩენილნი პირები. მინისტრებისაგან გიორგი მხოლოდ მორჩილებას თხოულობდა:

მეფის აზრით მათი მოვალეობა იმაში მდგომარეობდა, რომ მეფის ბრძანება უცილობლად, ყოველის უარის უთქმელათ აღესრულებიათ. თუ მინისტრი ამის თანხმა არ იყო, თავისს თანამდებობის უნდა დასთხოვებოდა და მეფესაც გამოთხოვებოდა. გარდა მინისტრების მორჩილებისა, მეფეს რომ თვის ქეიფზედ ემოქმედნა, საჭირო იყო პარლამენტის მორჩილებაც. ჩვენ ვიცით, რომ ათას ექვსას ოთხმოცდა რვა წლის შემდეგ სახელმწიფოს მართვა პარლამენტის დაუხმარებლად მინისტრებისათვის შეუძლებელი შეიქნა. ამიტომაც გიორგიმ ყოველი ღონე და ხერხი იხმარა, პარლამენტი მისი გამგონე და მორჩილი გამხდარიყო. ამ მიზნის მისაღწევათ გიორგი არაერთარ ზომებს არ ზოგავდა.

არც ერთი მეფე ისე უხვად არ ასაჩუქრებდა სხვა და სხვა პირებს პერობის სახელწოდებით, როგორც გიორგი მესამე. მაშინდელ ახალ პერების სიაში ვერც ერთ შესანიშნავ და ცნობილ სახელს ვერ იპოვიან. ახალი პერები არც კვიით, არც გამოცდილებით, არც სხვა რამ სიკეთით შესანიშნავი არ იყვნენ. ივინი პერობის წოდებას ითვისებდნენ მხოლოდ მისთვის, რომ მეფეს მონება იყვნენ. ზოგი პარლამენტში ეხმარებოდა მეფეს, ზოგი მდიდარი პირები ხელს უწყობდნენ მას ამომრჩევლთა მოსყიდვის საქმეში. ახალი პერებთა შორის ბევრი კანონის მკოდნე პირება იყვნენ და მსაჯულების ადგილები ეჭირათ, ამიტომაც კანონის ისეატრიალებდნენ ივინი, როგორც მეფეს სურდა. ამ ახალ პერებს ზოგნი თვით პარლამენტში ჰყი-ცხადდნენ ხოლმე. აი მავალითად ერთმა ლორდმა რა სთქვა მათზედ: „ახლანდელ დროში პერობას აძლევენ ისეთ კაცებს, რომლებსაც მე მეჯინობასაც არ მივცემო“. ამ ახალმა პერებმა დიდა ვნება მოუტანეს ლორდთა პალატას. მას შემდეგ, რაც ლორდთა პალატა უვიცი და უღირსი კაცებით აღივსო, ხალხის თვალში მეტად დაეცა იგი. მეფეს ეს სრულიადაც არ აწუხებდა: ეს პალატა თავისს ახალი პერებით მისა მორჩილი და მსიამოვნებელი იყო და მეფესაც მხოლოდ ეს უნდოდა. სა-



თემო პალატის დასამორჩილებლად კი მეფე მძვინვარებულ და იმედო საშუალებას ხმარობდა. ეს საშუალება მდგომარეობდა დეპუტატების, ამომრჩევლების და მთელი სოფლების მოსყიდვაში. ამ მხრივ გიორგი მესამემ და მისმა მინისტრებმა თვით ვალპოლსაც გადააქარბეს. რა კი „მეფის მეგობრები“ ფულს არ ზოგავდნენ, დეპუტატის ადგილის ფასს და ასიც მხოლოდ ერთი წლის ვადით ათი ათას მანეთამდე ავიდა.

ვისაც დეპუტატობა სურდა, ის ჯერ ამომრჩევლებს არაკითუნდა გამასპინძლებოდა: ჩხუბი, აყალო-მაყალი, საყოველთაო ღოთობა, კაცის კვლა, ჩვეულებრივი მოვლენა იყო არჩევნების დროს. მაგრამ მარტო ამით არ თავდებოდა საქმე; გარდა არაკითისა საჭირო იყო ფული. ფულიც უხვად და დაუფარავად ემღებოდათ ამომრჩევლებს. ახლა ხმაზედ გადაჭრილი ფასი დაადევს: ერთი ხმა ოცი მანეთი ღირდა. პარლამენტის წევრნი დეპუტატობის ადგილის მოსაპოებლად ხშირად ათას და ხანისხან ათი ათას მანეთს ხარჯავდნენ. რა თქმა უნდა, ასეთი დეპუტატები იძულებულნი იყვნენ, თითონაც აეღოთ ქრთამი მითუმეტეს, რომ მეფე და მინისტრებიც დიდის სიხარულით ჰყიდიდებოდნენ მათ ხმებს. მეფე ყოველ დღე გადაათვალიერებდა ხოლმე ფურცელს, სადაც აღნიშნული იყო, რომელმა დეპუტატმა ვის ან რის სასარგებლოთ იმოქმედა და ილაპარაკა. მომხრეებს მეფე უხვად ასაჩუქრებდა, მოწინააღმდეგეები კი მოკლებულნი იყვნენ მის მოწყალებას. საუკეთესო თანამდებობანი მეფის მეგობრების ხელში იყო. ერთი სიტყვით გიორგის მართვა-გამგეობა მოსყიდვაზედ, საჩუქრებზედ, მინისტრების მონობა-მორჩილებაზედ და მთელი პარლამენტის შექრთამეობაზედ იყო დამყარებული. ასეთი იყო მეფე გიორგი და ამგვარად მეფობდა იგი მთელი სამოცა წლის განმავლობაში. რა ძვირად დაუჯდა ინგლისს გიორგის მეფობა, ამას ქვევით დავინახავთ.

მეთვრამეტე საუკუნეში ჩრდილო-ამერიკის შტატები ინგლისის ახალშენებს წარმოადგენდნენ. აქ სულ თერთმეტი

ახალშენი იყო. ეს ახალ-შენები ინგლისის პარლამენტს ექვემდებარებოდნენ. ამ ახალშენების მკხოვრებნი ინგლისელების ქვეშევრდომნი იყვნენ. მეფე გიორგიმ მოინდომა, ამერიკელებისათვის გადასახადი დაედო. მას უნდოდა ამით დაეფარა როგორმე ის ხარჯი, რომელიც გიორგი მეორეს ომის დროს დასჭირდა. „ასეთი გადასახადი სრულიად სამართლიანი იქნება, რადგან წარსული ომის მიზანი უმთავრესათ ამერიკის ახალშენების დაცვა იყო“-ო, ამბობდა გიორგი მესამე.

ამერიკელებმა ამ გადასახადზედ უარი განაცხადეს: ჩვენ არ ვართ თანხმა იმ გადასახადისა, რომელიც ჩვენდა უკითხვად დაგვადევს; ინგლისის პარლამენტს ნება არა აქვს, ამერიკელებს გადასახადი დაადევს, რადგან ამ პარლამენტში ამერიკას თავისი წარმომადგენელი არა ჰყავსო, ამბობდნენ ამერიკელები. ცხადია, სიმართლე ამერიკელებისკენ იყო, მაგრამ გიორგი მესამე მანც თავისას არ იშლიდა. მან გადასწყვიტა ამერიკელების დამშვიდება და დამორჩილება. შეურაცყოფილმა ამერიკელებმა ამბოხება მოახდინეს. მეფემ გადასწყვიტა იარაღით ჩაეჭრო ეს ამბოხება და ამერიკელებს ომი გამოუცხადო. ინგლისის საუკეთესო კაცები სთხოვდნენ და არწმუნებდნენ მეფეს, რომ ეს ომი დიდათ შეენებელი და უსამართლოაო, მაგრამ ამაოთ: მეფეს ბევრი აღარ უყოყმანია: მინ უბრძანა თავის პირველ მინისტრს, ნორტს, საჩქაროდ ომი დაეწყო. ამ ომს ინგლისში „მეფის საყვარელ ომს“ უწოდებდნენ, რადგან მეფეს მეტად სურდა იგი. ვინც ომის მომხრე იყო, იმას მეფის მეგობარს უწოდებდნენ. სანამ სრულიათ არ დამარცხდა, გიორგიმ თავი არ დაანება ამ ომს. ჩრდილო ამერიკის ახალშენებმა ინგლისის პარლამენტისაგან დამოუკიდებლობის სურვილი განაცხადეს. იგინი დაუკავშირდნენ საფრანგეთს და ფრანგების დახმარებით სასიქადულოთ დაიცვეს თავიანთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. დამარცხებულმა გიორგიმ სამარცხვინო ზავი დასდვა ჩრდილო-ამერიკის ახალშენებთან და ძალიან ბურათ დასთანხმდა იგი მათ დამოუკიდებლობაზედ. ამ უსამართლო

ომმა აღურაცხელი ზარალი მოუტანა ინგლისს; რამდენიმე მილიონი მანეთი სისხლის ღვრაში დაიხარჯა, ვაჭრობა საშინლად დაეცა, მრეწველობა თითქმის შეჩერდა, ურიცხვი ხალხი უსამუშაოაო, მშვიერ-მწყურვალი და შიშველი დარჩა. ათ კაცში ერთი ძლივს შოულობდა სამუშაოს. აი სანამდის მიიყვანეს გიორგი მესამემ და მისმა მეგობრებმა ინგლისი.

§ 2.

გიორგი მესამის და გენრიხ მერვე ტიუდორის დროთა შედარება.—პარლამენტის ძალა გიორგი მესამეს დროს.—ინგლისელები შეთვრამეტე საუკუნეში.—განათლების გაჯერელება.—საკვირაო შკოლები.—საკვირაო ღონაღვახეთები.—ბიბლიოთეკები.—პარლამენტის მოქმედება ამ საქმეში.—დჯონ ვილკანის საქმე.—ვილკანისა და ამოძრჩეულების ბრძოლა პარლამენტთან.—პირველი მიტინგი ანუ ყროლობა.—პეტეიკია მეფისადმი.—ვილიამ პიტი პირველი და მისი სიტყვა.—როგორ მოექცა პარლამენტი პეტეიკიას ვილკანის საქმის ბოლო.

ჩვენ დაეინახეთ, რომ გიორგი მესამე თავის ნებაზედ განაგებდა ინგლისს. მისი ყურმოქრილი მონა და მორჩილი მინისტრები მხოლოდ იმაზედ ფიქრობდნენ და ზრუნავდნენ, რომ რაიმე-გვარათ თავიანთი აღვილები შეენარჩუნებინათ. მოსყიდული პარლამენტი მეფის მინისტრებს ეხმარებოდა, და ყველაფერში მხარს უჭერდა მათ. სამღვდელეობა მუდამ მეფის ქებაში იყო და ჰქადაგებდა, მეფის მორჩილება უპირველესი მოვალეობააო. ყოველივე ეს კაცს პირველ ტიუდორების დროს მოაგონებდა. ამ დროსაც მეფე თავის სურვილის და ქეიფისამებრ განაგებდა სამეფოს; მხდალი პარლამენტი ვერაფერში მას უარს ვერ უბედავდა; მინისტრები მის ბრძანებას ვერ გადადიოდნენ.

ერთის შეხედვით კაცს ეგონებოდა, რომ ყველაფერი, რაც ინგლისელებმა სტიუარტების მეორე ჯერ განდევნით და ათას ექვსას ოთხმოცდა რვა წელს მომხდარ რევოლიუციის დროს შეიძინეს, სამუდამოთ დაიღუპა და მოისპოვო. მაგრამ ნამდვილათ კი აი საქმე რაში იყო. მართალია, გიორგი, როგორც

სურდა, ისე განაგებდა სამეფოს, იმას ნიშნავდა მინისტრათ, ვინც მას ჰსურდა, მაგრამ მაინც პარლამენტის თანხმობა და ნებართვა აუცილებელი საჭირო იყო ყველაფერში როგორც მისთვის ისე მისი მინისტრებისათვის.

პარლამენტის დაუნმარებლათ არც ერთ მინისტრს არ შეეძლო დიდხანს დარჩენილიყო ადგილზედ. ასე რომ ის უფლებები, რომელნიც ათას რვაას ოთხმოცდა რვა წლიდგან მეფისაგან პარლამენტის ხელში გადავიდა, პარლამენტსვე შერჩა გიორგი მესამის დროსაც. გიორგი მესამე ტიუდორებსავეთ ვერ ბედავდა პარლამენტის და დეპუტატების უფლებების დარღვევას. გიორგი მესამის დროს წარმოუდგენელი იყო მეფეს მსგავსად ტიუდორებისა მხოლოთ თავისს ნებით ხალხისათვის გადასახადი დაედო; ამაზედ ახლა ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ტიუდორების დროს დეპუტატის დაპატიმრება მაინცა და მაინც დიდს არას წარმოადგენდა. ახლა კი ეს ყოველათ შეუძლებელი იყო. ასე რომ გიორგი მესამის დროს პარლამენტი ისეთივე ყოველის შემსწრებელი და ძლიერი იყო, როგორც სტიუარტების განდევნის დროს. მართალია, პარლამენტი გიორგის ემორჩილებოდა, მაგრამ იმეტომ კი არა, რომ მისი შინებოდეს, არამედ იმიტომ, რომ მოსყიდული იყო. მოსყიდვა კი ადვილი მხოლოთ იმიტომ იყო, რომ საპარლამენტო არჩევნები ყოველგვარ სამართლიანობას და წესრიგს მოკლებულნი იყვნენ. ერთი რომ ამომრჩეველთა რიცხვი შეტად მცირე იყო; მეორე—პარლამენტი თითქმის მთლად მიწის მესაკუთრებისაგან შესდგებოდა. საკმაო იყო პარლამენტში მთელი ხალხის და არა მარტო მებატონეების წარმომადგენელი მოპყროლოდნენ და მოსყიდვაც თან-და-თან იკლებდა და მინისტრებს ხელიდგან გამოეცლებოდა ის საშუალება, რომლის წყალობითაც მათ პარლამენტი მორჩილებაში ჰყავდათ.

ინგლისის ხალხი მეთვრამეტე საუკუნეში სულ სხვა იყო, ვინემ ტიუდორების დროს. მეთექვსმეტე საუკუნეში ეს ხალხი



მეტად გაუნათლებელი იყო, მთავრამეტე საუკუნეში კი მასზე უკვე გაღვიძებული იყო ცნობის მოყვარეობა და სწავლა-განათლების ძლიერი სურვილი. ხალხის უმდაბლესი წოდება, რომელსაც წინეთ ვერც კი წარმოედგინა, თუ რა იყო სწავლა, დღეს გატაცებული იყო ცოდნის სურვილით. საკვირაო შკოლები ინგლისში ბირველად გიორგის დროს დააარსეს. ამ შკოლებში სწავლულობდა ის, ვისაც საქმის დღეს არ ეცალა. წერა-კითხვის მცოდნე ხალხისათვის — საკვირაო ეკლერალ-გაზეთების გამოკემა იწყეს, დააარსეს ბიბლიოთეკები და სამკითხველოები. ბიბლიოთეკების რიცხვმა სწრაფათ იმატა. სამკითხველოები მუდამ საესე იყო მკითხველებით. საჭირო შეიქნა წიგნები; ამან ბეჭდვის საქმის გაუმჯობესება გამოიწვია. მთავრამეტე საუკუნეში წიგნები მარტო ლონდონში იბეჭდებოდა; გიორგი მესამის დროს სხვა ქალაქებშიაც გახსნეს სტამბები; წიგნებს ახლა გაცილებით უფრო მდაბიო, გასაგები, მარტივი ენით სწერდნენ, ვინემ წინეთ; მწერლები ცდილობდნენ, რაც შეიძლება, გასაგებათ ეწერათ. ამავე დროს დაიწყეს ისეთი წიგნების გამოკემა, რომლებშიაც სამეცნიერო კითხვები მდაბიურად იყენენ ახსნილი, ასე რომ მათი წაკითხვა მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნესაც შეეძლო. რამდენსაც მეტს კითხულობდა ხალხი, იმდენათ მეტს მსჯელობდა, მეტად აკვირდებოდა თავის მდგომარეობას, მეტად აფასებდა უფლებებს, რომელნიც მას მთელი საუკუნის განმავლობაში დიდის ბრძოლით და ვაიავგლობით შეეძინა; ახლა იგი თან-და-თან სცნობდა, თუ რა ძვირფასი იყო ეს უფლებები მისთვის და რა ძნელი იყო უამუფლებოთ ცხოვრება.

ახლა ინგლისელები ყოველ ხერხიან შემთხვევაში ხმა მალა იკადენენ თავიანთ უფლებებს. მთელ ინგლისში განთქმული იყო, მაგალითად, ნაფიცთა სამსჯავრო თავისს მიუდგომლობით, სამართლიანობით და მოუსყიდველობით. ნაფიცები მეფის ან სხვა ძლიერი და გავლენიანი პირების გულის მოსაგებათ სამართალს წაღმა-უკუღმა არ ატრიალებდნენ. იგი-

ნი სინიღისისამებრ არჩევდნენ საქმეს და მზათ იყვნენ მეფის უსამართლოებისაგან დაეფართ მისი ქვეშევრდომნი. დაარღვედნენ თუ არა მეფე და მინისტრები ხალხის უფლებებს, მთელ ინგლისში იმ წაშვეე ერთ აურ-ზაურს ასტეხდნენ და პარლამენტში ათი ათასი ინგლისელისაგან ხელ-მოწერილი პეტციები იგზავნებოდა. პეტციებში ხალხი მეფისაგან თხოულობდა, რომ მისი უფლებებისათვის ხელი არ ეხლოთ და ინგლისის ძირითადი კანონები სასტიკად დაეცვათ.

ახლა იშვიათი არ იყვნენ ისეთი გამგედავი პირებიც, რომელნიც მეფეს და მის მინისტრებს ხმა მალლა ჰკიცხავდნენ ცუდი მმართველობისათვის და თამამათ ელაპარაკებოდნენ ხალხს: პარლამენტმა თავისი მოვალეობანი და არსებობის მიზანი დაივიწყა; წინეთ პარლამენტი ხალხს იცავდა მეფის უსამართლოებისაგან, ახლა კი მუდამ მზათაა იგი, დაარღვიოს ხალხის უფლებები და ხალხის სარგებლობა მეფის სარგებლობას და კეთილ-დღეობას ანაცვალოს, ან და მებატონეებს შესწირას მსხვერპლადაო.

გიორგი მესამის მეფობის დასაწყისშივე შემდეგი ამბავი მოხდა: პარლამენტის გახსნის დროს მეფემ სიტყვა წარმოთქვა; იმ დროს დებუტატთა შორის იმყოფებოდა ვინმე ვილკაზი; ვილკაზი მეთაურობდა ერთ გაზეთს, რომელსაც სახელიად „ბრდილო ბრიტანიელი“ ეწოდებოდა. ამ გაზეთში ვილკაზმა აუგით მოიხსენია მეფის სიტყვა. მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისში ცენზურა აღარ არსებობდა. იქ ცენზურა უკან შეჭვიდმეტე საუკუნეში გააუქმეს. გიორგის დროს, ვისაც რა უნდოდა, იმას დაბეჭდავდა; ამისათვის არავის ნებართვა არ იყო საჭირო. სამაგიეროთ არსებობდა, ესრედ წოდებული „კანონი პასკვილების შესახებ“. პასკვილს უწოდებდნენ ისეთ წერილს, რომელშიაც უსამართლოთ ჰკიცხავდნენ მეფეს, მინისტრებს ან რომელსამე კერძო პირს. ამ კანონში გარკვევით არ იყო ახსნილი და განსაზღვრული, თუ რომელი წერილი უნდა ზათელილიყო პასკვილათ და რომელი არა; ამიტომაც შესაძლე-



ბელი იყო, თვითეული წერილი პასკვილათ მიგზნისათ, სასწრაფო-
 როს უნდა გადაეწვიტა, აღნიშნული წერტილი პასკვილი იყო
 თუ არა. საქმე პასკვილების შესახებ ნათიკთა დაუსწრებლად
 სწყდებოდა. წაიკითხა თუ არა მეფემ აღნიშნული წერილი,
 ბრძანება გასცა, ვილკაზი პასუხის გებაში მიეციოთო. მინისტრე-
 ბმა მეფის ბრძანება საჩქაროდ მოიყვანეს სისრულეში; ამით
 მინისტრებმა დიდი უკანონობა ჩაიდინეს; ვილკაზი დებუტატი
 იყო და მისი დაპატიმრება პარლამენტის დაუთანხმებელივ არ
 შეიძლებოდა. მეფის ვულის მოსაგებათ სათემო პალატამ ბრძა-
 ნება გასცა ვილკაზი, გაზეთის გამომცემელიც და სტამბის პა-
 ტრონიც დაეპატიმრებინათ, მაგრამ დაპატიმრებულების საბე-
 დნიეროთ, ინგლისში, როგორც ვიციოთ, არსებობდა კანონი,
 სახელწოდებით, „ჰაბეას კორპუსი“ (იქონიე სხეული); დაპა-
 ტიმრებულებმა მოითხოვეს, რომ იგინი სამსჯავროსათვის წა-
 რედგინათ; აქ მათ განაცხადეს, რომ იგინი უკანონოთ დაპა-
 ტიმრებულნი არიან, რადგან ბრძანებაში, რომლის ძალითაც
 იგინი დაიჭირეს, მათი სახელები მოხსენებული არ ყოფილა.
 სასამართლომ დაადგინა: ეს განცხადება სრულიად სამართლიან-
 ნია და სათემო პალატამ უკანონობა ჩაიდინაო და თანაც
 ბრძანება გასცა, დაპატიმრებულნი გაენთავისუფლებინათ; შემ-
 დეგ ლორდმა, მთავარ-მსაჯულმა, განიხილა ვილკაზის წერილი
 და პასკვილათ ვერ სცნო იგი. ამით უნდა გათავებულყო სა-
 ქმე, მაგრამ სათემო პალატამ, წინააღმდეგ მთავარ-მსაჯულის
 გადაწყვეტილებისა, ვილკაზის წერილი პასკვილათ სცნო და
 დებუტატობისაგან გამოარიტა. პალატამ ესეც არ იკმარა და
 განაცხადა: ვილკაზი „კანონის მუარველობის გარეშეაო“;
 ვილკაზი საფრანგეთში გაიქცა. ათას შვიდას სამოცდა რვა
 წელს პარლამენტს ვადა გაუთავდა. პარლამენტი დაითხოვეს
 და ახალი არჩევნები დანიშნეს. ვილკაზი ინგლისში დაბრუნდა
 და მილდსეკსის საგრაფომ იგი თავისს დებუტატათ აირჩია.
 მილდსეკსი ერთი უდიდესი საგრაფოთაგანი იყო. ამ საგრა-
 ფოს ეკუთვნოდა ლონდონი.

როდესაც გიორგი მესამემ გაიგო, ვილკაზი ხელახლა დებუტატათ აურჩევიათო, ერთ ლორდს მისწერა:

—უნდა ვსთქვა, რომ ვილკაზის პარლამენტიდგან გაძევება აუცილებლათ საჭიროაო.

სათემო პალატამ საჩქაროთ აღასრულა მეფის სურვილი; მან დაადგინა, ვილკაზის დებუტატათ არჩევა უკანონოა, რადგან იგი „კანონის მფარველობის გარეშე იყო“.

—პარლამენტს თუ ნება მიეცა, ამომრჩევლებს უბრძანოს, თუ ვინ არ უნდა იქნეს არჩეული, მალე იმასაც უბრძანებს მათ, ვინ უნდა იქნეს არჩეულიო, სთქვა ვილკაზმა.

ვილკაზი მესამეთ აირჩიეს პარლამენტის დებუტატათ. სათემო პალატამ ხელახლა გამოარიცხა იგი და მის მაგიერ დებუტატათ პოლკოვნიკი ლუპსტრელი სცნო, თუმცა არჩევნების დროს მან ძლიერ ცოტა ხმა მიიღო.

პარლამენტის ასეთმა მოქმედებამ მთელი ხალხი ააღელვა. ყველა მიხვდა, რომ პარლამენტი ხალხის უფლებებს დაცვის მაგიერ თვითონვე არღვევდა და სთელავდა ფეხ ქვეშ.

შემდეგ ვილკაზი ქ. ლონდონის საბჭოს წევრათ აირჩიეს. ათას შეიდას სამოცდა ექვს წელს სათემო პალატამ ლუპსტრელი „კანონიერათ არჩეულ“ დებუტატათ სცნო; იმავე წელს თვრამეტ აპრილს მილდსეკსის რვაას ოთხმოცდა ამომრჩეველმა მიტინგი იმუ ყრილობა მოახდინა; ამომრჩევლებს უნდოდათ ერთათ გადაეწყვიტათ, თუ რა ზომები მიეღოთ, რომ თავიანთი უფლებები დაეცვათ და არჩევნების დროს თავისუფლად მოქმედება შესძლებოდათ.

ამ გვარი ყრილობა ინგლისში ჯერ არ მომხდარიყო. ამის შემდეგ ყრილობები ინგლისელებს ჩვეულებათ გადაექცათ; დღეს რომ უთხრათ ინგლისელს, იყო დრო, როცა ინგლისელებს ყრილობები არ ჰქონდათ ჩვეულებადო, არ დაგვიგერებს, რადგან ახლა ყრილობა ჩვეულებრივი მოვლენაა ინგლისში.

ყრილობებს ინგლისში „მიტინგებს“ უწოდებენ. დიდი ხანი არ ვასულა პირველი მიტინგის შემდეგ, რომ მეორე მი-

ბის აზრის გამოხატველ საშუალებათ გახდნენ განსვთები, მუქ ნები და ჟურნალები, ანუ სხვაფერი რომ ვსთქვათ, „ბეჭდვითი სიტყვა“ ანუ „პრესა“. მეთვრამეტე საუკუნის დანღვს, ვილჰელმის დროს, ინგლისში მხოლოდ სასოფელთაო საკვირაო გაზეთები იყო; ამ გაზეთებში მხოლოდ ახალი ამბავი იბეჭდებოდა. დედოფალ ანას დროს პირველად შემოიღეს დღიური გაზეთები. აქ, გარდა ახალი ამბებისა, იბეჭდებოდა აგრეთვე წერილები სხვა და სხვა კითხვების შესახებ. შემდეგ ჟურნალ-გაზეთების რიცხვმა თან და თან იმატა. ამდროის განმავლობაში ინგლისელები ძლიერ შეეჭვივნენ კითხვას და გულმოდგინებით ადევნებდნენ თვალ-ყურს, რაც გაზეთებში და ჟურნალებში იბეჭდებოდა. გიორგი მესამის დროს პირველად დაიწყეს ინგლისში საპარლამენტო სხდომების ანგარიშის ბეჭდვა. ასეთ ანგარიშში მოყვანილი იყო დეპუტატების სიტყვები, მათი დავა-კამათი და სხვ.

კანონით პარლამენტის სხდომა საიდუმლო ანუ ფარული უნდა ყოფილიყო. სათემო პალატას ეს ძლიერ საჭირო რამეთ მიაჩნდა. თანაც პალატა ასეთ წესს უცქეროდა, როგორც თავის საკუთარ შეღავათს; ამიტომაც იყო, რომ ამ შეღავათს იგი ძლიერ მაგრად ჩასჭიდებოდა.

მეფეც ძლიერ უკმაყოფილო იყო მით, რომ საპარლამენტო სხდომების ანგარიშის ბეჭდვა ზვეულებათ გარდაიქცა. აუცილებლად საჭიროა, მოისპოს ეს სულელური და კანონის წინააღმდეგი ზვეულებათა, სწერდა იგი თავისს პირველ მინისტრს. ათას შეიდას საშოცდა თერთმეტ წელს სათემო პალატამ გამოსცა კანონი, რომლის ძალითაც აღიკრძალა პარლამენტში ნალაპარაკების და ნაშოქმედარის გამომქლავება. რანდენიმე ხნის განმავლობაში ეს კანონი ლონდონის ექვსმა მესტამბემ დაარღვია: მათ თავიანთ სტამბებში დაბეჭდეს გაზეთები, რომელშიაც მოყვანილი იყო პარლამენტის სხდომის ანგარიშები. პარლამენტმა ამ მესტამბეების დაპატიმრება გადასწყვიტა, აუშკა მის ამის ნება ირ ჰქონდა. პალატა სამსჯავრო არ არის;

მას შეუძლიან დებუტატის დაპატიმრების ბრძანება გასცეს, მესტამბეები კი დებუტატები არ იყენენ. სათემო პალატამ მესტამბეების დასაჭერათ კაცები გაგზავნა. მესტამბეებს ქ. ლონდონის საბჭო გამოესარჩლა; საბჭომ ბრძანება გასცა, მესტამბეები გაენთავისუფლებიათ და პარლამენტის პოლიციელი დაეჭირათ. ამის ნაცვლით სათემო პალატამ ქ. ლონდონის თავი დააჭერინა. როცა ქალიქის თავი ლონდონის ქუჩებზედ გაატარეს, ხალხმა დიდი თანაგრძნობა გამოუყენა მას. ცხადი იყო, ლონდონის მცხოვრებლები მესტამბეებისკენ იყვნენ. როდესაც პარლამენტის სხდომა შესწყდა, ქალიქის თავი ჯაანთავისუფლეს. ხალხი უფრო მეტის აღტაცებით მიეგება განთავისუფლებულს. ამის შემდგომ პალატას აღარ აუკრძალავს პარლამენტის სხდომის ანგარიშის ბეჭდვა. ამით ხალხს საშუალება მიეცა, თვალყური ედევნებია, რას დაპარაკობდნენ და რას აკეთებდნენ პარლამენტში. რაც წინეთ საიდუმლო იყო, ის ახლა თვალსაჩინო შეიქნა ყველასათვის. ამომრჩევლებს საშუალება მიეცათ, გაეგოთ და დროზედ აეწონ-დაეწონათ, თუ რას აკეთებდნენ, რას დაპარაკობდნენ, ვისკენ იყვნენ მათი ამორჩეული კაცები— პარლამენტის დებუტატები. პარლამენტის საქმეებზედ ახლა ისე მსჯელობდნენ და კამათობდნენ ხალხშიაც, როგორც თვით პარლამენტში. ამ ბრძოლამ და საზოგადოების და პარლამენტის შორის არსებულმა განხეთქილებამ ცხადათ დაჩაბვა ხალხს, რომ პარლამენტის სრულიათ შეცვლა აუცილებელ საქროებას შეადგენდა. ბევრი დარწმუნდა, რომ უამისოთ ქვეყნის უნსგავსო მართვა-გამგეობას პოლია არ შოელებოდა. პარლამენტი მართლაც ძლიერ ცუდათ იყო შედგენილი. ჩვენ ვიცით, რომ იქ იმ დროს დებუტატებათ მხოლოთ მებატონეები იყვნენ, მხოლოთ იგინი ბატონობდნენ და იგინი განაგებდნენ ქვეყნის ავ-კარგს, ხალხის ბედ-იღბალს, რა თქმა უნდა; ხალხს იმითი ხეირი არ დაეკრებოდა და, რა მარტო ხალხს, სხვა წოდებებსაც არ აღვა კარგი დღე.

სწორედ ამ დროს ვილიამ პიტმა, ლორდ ჩატამმა, პარ-



ლაშქარში შეიტანა ბილლი პარლამენტის რეფორმის შესახებ პიტმა კარგად იცოდა, რომ ამისათვის მას მთელი პარლამენტი გადაემტერებოდა, მაგრამ პიტტი ამას არ შეუშინდა. პიტტის წინადადება იმაში მდგომარეობდა, რომ მოესპოთ დამყაყუბული ადგილები და მათ მაგიერ საგრაფოების წარმომადგენელთა რიცხვი წინანდელზედ მეტი ყოფილიყო პარლამენტში. თუმცა ისეთი ცვლილება ბევრს არას წარმოადგენდა, მაგრამ პარლამენტმა ბილლი მაინც უარ-ჰყო.

ექვსი წლის შემდეგ ბილლი რეფორმის შესახებ შეიტანა პარლამენტში ვილკინგმა. პარლამენტმა ეს ბილლიც უარ-ჰყო.

იმ დროს ინგლისი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იყო. ეს იყო გაცხარებული ომის დრო; ინგლისი ემრძოდა ჩრდილო-ამერიკას შეერთებულ შტატებს და მასთან ერთად საფრანგეთს. გადასახადებმა საშინლათ იმატა; ყოველ გვარი სანოვაგის ფასმა მეტად აიწია. ომით ყველა უკმაყოფილო იყო, ყველას ზავი სურდა; მხოლოდ პარლამენტი და მეფე არ ანებებდნენ ომს თავს.

ათას შვიდას სანოცდა ცხრამეტ წელს იორკის საგრაფოში მიტინგი შესდგა; ამ მიტინგზედ ადგილობრივი მებატონეები და მღვდლები შეიკრიბნენ. დიდი ხნის დავა-კამათის შემდეგ მიტინგმა პეტრიკის შედგენა გადასწყვიტა. პეტრიკაში ჯერ ხანგრძლივ და საზარალო ომზედ, გადასახადის მატებაზედ, ვაჭრობის დაკემაზედ და მრეწველობის შემცირებაზედ იყო ლაპარაკი, შემდეგ აი რა იყო ნათქვამი:

ჩვენდა სავალალოთ ჩვენ უყურებთ, რომ ურიცხვი ფული სულ ფუჭათ იფლანგება. სწორედ ამ დროს, როცა ხალხი უკიდურეს სიღარიბეში და ვაჭიერებაშია, ბევრი დიდს პენსიებს და ჯამაგირს ღებულობს; მეფე კი თან და თან იკრებს ისეთ ძალას, რომლისაგანაც ქვეყნას დაღუპვა მოელოს. ჩვენ ვსთხოვთ პალატას, მიიღოს ზომები და შესწვევიტოს უსასღერო ბოროტმოქმედებანი და უანგარიშოთ ფულის ფლანგვა. ჩვენ ვთხოვლობთ, ეს ფული საჭირო საქმეებს მოხმარდეს.

იქვე აირჩიეს სამოცი კაცი, რომლებსაც დაუწოდეს ისეთი ზომებისთვის მიემართნათ, რომ სათემო პალატას მიტინგის თხოვნა აღესრულებინა.

გარდა იორკისა სხვა საგრაფოებშიაც მოახდინეს მიტინგები. ამ მიტინგებში გარდა უბრალო ხალხისა, მონაწილეობას საშუალო და უმაღლესი პირნიც ღებულობდნენ. ერთ მიტინგზედ ორი მინისტრათ ნამყოფი პირიც კი დაესწრო. ერთი მათგანი ფოკსი იყო. «ყველაჟერს აჯობებს, თუ ხალხი თავის უფლებების დაცვას თვითონვე იკისრებს და მოითხოვს ბოროტმოქმედების მოსპობას; საუკეთესო მინისტრიც ვერას გახდება და ვერ ჰყოფს ხალხს ბედნიერს, თუ თვითონ ხალხი არ არი მონდომილი და მსურველი თვის კეთილ-დღეობისაო», სთქვა ფოკსმა მიტინგზედ.

პეტრიკებზედ ასი ათასმა კაცმა მოაწერა ხელი. იორკელებმა სხვებზედ აღრე წარადგინეს პეტრია: პეტრიკის წარმდგენმა სიტყვა სთქვა. იგი ამტკიცებდა, რომ პეტრია სამართლიანია და თხოველობდა, პალატას ხალხის თხოვნისათვის ყურადღება მიექცია.

—თხოვნელები თავისას არ დაიშლიან. სხვა და სხვა საგრაფოებში კაცები არიან არჩეულნი, რომელნიც მოსძებნიან კანონიერ საშუალებებს და სათემო პალატას ძალია უნებურათ დააკმაყოფილებინებენ ხალხის სამარლიან თხოვნებსო, დასძინა მან ნათქვამს.

დადგა დღე, როცა პარლამენტი პეტრიკების განხილვას უნდა შესდგამოდა. «ძალა, რომელიც მეფეს აქვს, დღითი-დღე მატულობს; ეს სრულიათ უკანონო და მეტათ საშიშარი მოვლენაა; სათემო პალატამ დაუყონებლივ ზომები უნდა მიიღოს იმ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, რომელთა შესახებ საჩივარი შემოაქვთ საგრაფოებს, ქალაქებს და დაბებსაო». ხალა კი წინადადება უმეტესობის ხმით აქნა მიღებული. ამ რიგად საზოგადოებამ ერთჯერ კიდევ აღასრულებინა მართებლობას კანონიერი საშუალებებით ის, რასაც თხოულობდა, თუმცა ჯერ უსამართ-



რეფორმის ბილლი. პარლამენტის წევრთა უმრავლესობისათვის ეს ბილლი საზარალო იყო, რადგან ტორიებზე და ვიგებზე ლენდ-ლორდები იყვნენ. ერთი სიტყვით ასეთი რეფორმა მონასწავებელი იქნებოდა პარლამენტის სიკვდილისა. მაგრამ განა პარლამენტი თითონვე მოისპობდა თვის არსებობას!

როდესაც ხალხმა დაინახა, რომ საქმეს ამ გზით არა ეშველებოდა, თვითონ შეუდგა რეფორმის განხორციელებას. მაგრამ სანამდის ხალხი რეფორმას ელირსებოდა, მან შედგარი და ცხარე ბრძოლა გასწია, როგორც მეფის ისე თვით პარლამენტის წინააღმდეგ.

§ 4

ბრძოლა საარჩევანო რეფორმისათვის. — ბრძოლის საშუალებანი. — რეფორმის აუცილებლობა. — საფრანგეთის რევოლუცია. — რეფორმის მომხრე პარტია. — როგორ ექცეოდნენ რეფორმის საქმეს მეფე და პარლამენტი. — ბექტვითი სიტყვის დევნა. — „ჭაბუკს“-ის მოსპობა. — ბილლი. — კანონები მიტინგების წინააღმდეგ. — ბრძოლა საფრანგეთთან. — ირლანდიის შემოერთება.

ათას შვიდას ოთხმოც წელს ინგლისში ახალი საზოგადოება შესდგა: ამ საზოგადოებას მიზნათ ჰქონდა, გაეერთინებინა ხალხში ცნობები სახელმწიფო მართვა-გამგეობის და ინგლისის ძირითადი კანონების შესახებ. საზოგადოებამ გამოსცა მრავალი წიგნაკები, სადაც ახსანილი იყო პარლამენტის რეფორმის საჭიროება, ხმის საყოველთაო უფლება, წლიური პარლამენტის მნიშვნელობა და სხვა. საზოგადოება ხშირად მართავდა მიტინგებს, სადაც ათი ათასობით იყრიდა თავს ხალხი და იდგენდა პეტიციებს პარლამენტში მისაცემათ; ზოგიერთი პეტიცია ასი ათასი კაცისაგან იყო ხელ მოწერილი. მალე ასეთი საზოგადოებები სხვა ქალაქებშიაც დააარსეს. ყველა ამ საზოგადოებებს მიზნათ ჰქონდათ პარლამენტის რეფორმა.

რამდენადაც დრო გადიოდა, ინდენად აუცილებელი ხდებოდა პარლამენტის რეფორმა. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს,

საქმე იქამდის მივიდა, რომ ას ორმოც და თოთხმეტი უწმიდარესი ლენდ-ლორდი ამომრჩეველი სათემო პალატაში სამას შვიდ წევრს გზავნიდა; ამათ შორის ას ორმოცდა ათი დანიშნულნი იყვნენ და არა არჩეულნი ოთხმოცდა ოთხი კაცისაგან, დანარჩენი ას ორმოცდა ათი არჩეულნი იყვნენ სულ სამოცდა ათი პირის ძალ-დატანებით. ხოლო სათემო პალატაში სულ ხუთას ორმოც და ათ კაცამდე იყო. ათას შვიდას ოთხმოც და ათ წელს ინგლისში სულ ოცდა ათი „დამყაყებული ადგილი“ ირიცხებოდა; აქედგან პარლამენტში სამოცი დეპუტატი იგზავნებოდა; ამომრჩეველთა რიცხვი კი აქ სულ ორას სამოც და თექვსმეტი იყო, ასე რომ საშუალო რიცხვით თორმეტი ამომრჩეველი პარლამენტში ორ დეპუტატს გზავნიდა.

ქალაქი ლონდონი, რომელშიაც ნახევარი მილიონი მცხოვრები იყო, პარლამენტში გზავნიდა სულ ოთხ დეპუტატს. საგრაფო კორნვალისში ას სამოც და შვიდი ათასი მცხოვრები ითვლებოდა, მაგრამ მხოლოდ ორმოც დეპუტატს ირჩევდა. ოთხმოც და შვიდი ინგლისელი პერი სათემო პალატაში ორას თვრამეტ დეპუტატს გზავნიდა; მათ შორის ეინ სამს გზავნიდა, ვინ ოთხს, ვინ ხუთს და ვინ კიდევ მეტს; ერთი ლორდი ცხრა დეპუტატსაც კი აგზავნიდა პარლამენტში. თუ ისეთი ორიოდე კეთილშობილი პერი მოიძებნებოდა, რომლებსაც საზოგადო საქმის სამსახური ჰსურდა, იგინიც იძულებულნი იყვნენ დეპუტატის ადგილი ეყიდათ, რადგან უამისოთ შეუძლებელი იყო დეპუტატათ გამზდარიყო კაცი; ერთი მაშინდელი კანონის მკოდნე ინგლისელთა სწავლული აი რას სწერდა ამის შესახებ: „დეპუტატის ადგილის ყიდვა საზიზღარი რამ არის, მაგრამ ეს ერთად ერთი საშუალებაა დამოუკიდებელი კაცისათვის, რომ პალატაში ადგილი დაიპიროს. რაც შეეხება იმას, რომ დეპუტატებს ვითომც ხალხი ირჩევდეს, ამაზედ ზომ ლაპარაკიც მეტია. როცა ვინმე რომელიმე დეპუტატის ადგილს ლორდისაგან დებულობს, ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთმა დეპუტატმა ხმა უნდა მისცეს მას, ვისთვისაც ლორდის



აზრით საჭიროა ეს ხმა. სანამ არსებული მოსყიდვის წესი სტანს, სხვა გზა არ არის, სადეპუტატო ადგილი უნდა იყიდეთო“.

მიუხედავად თავისი კეთილშობილებისა და პატიოსანებისა, სწორედ ასე მოიქცა ეს მსწავლეულიც, როდესაც უელსის პრინცმა შესთავაზა მას ადგილი, მან მიუგო: „გმადლობთ, მე სხვა ადგილს ვიყიდიო“, და იყიდა კიდევც.

სწორედ იმ დროს, როცა რეფორმა ასე აუცილებელი იყო, როცა მთელ ხალხს და მთელ საზოგადოებას მსურდა იგი, მეფე, პარლამენტი და მთელი უმაღლესი წოდება რეფორმის წინააღმდეგ იყო. ამის მიზეზი აი რა იყო: ათას ვშიდას ოთხმოც და ცხრა წელს საფრანგეთში რევოლიუციამ იფეთქა. საფრანგეთმა მეთვრამეტე საუკუნის დამლევეს სწორედ ის მოიქმედა, რაც ის ორმოც და ათის წლის წინეთ ინგლისში მოხდა: ფრანგებმა ჯერ თავიანთი მეფე ტახტიდგან ჩამოაგდეს, შემდეგ თავი მოჰკვეთეს მას და რესპუბლიკიანური წეს-წყობილება შემოიღეს. ამ ამბავმა შიშის ზარი დასცა ინგლისის უმაღლეს წოდებას. მეფემ, პარლამენტმა და უმაღლესმა წოდებამ იფიქრეს, რომ საფრანგეთის რევოლიუცია გადამდებათ იმოქმედებს ინგლისის ხალხზედ და ძალით წაგვართმევს იმას, რასაც ჩვენ ჩვენის ნებით არ ვაძლევთო.

საფრანგეთის რევოლიუციას აძაგებდნენ, როგორც ტორიები ისე ვიგებიც. მხოლოდ ჩამოდენივე ვიგებთაგანი სინარულით მიეგებნენ რევოლიუციას. ესენი ამტკიცებდნენ, რომ ინგლისშიაც საჭიროა რეფორმის მოხდენაო. ეს ვიგები შეადგენდნენ „რეფორმის მომხრეთა“ პარტიას. ამ პარტიის მეთაური იყო ფოქსი. მეფეს და პარლამენტს რეფორმაზედ ლიპარაკიც კი არ სურდათ; ასე იქცეოდა ინგლისის საზოგადოების შეძლებული ნაწილი; იყვნენ ისეთი პირებიც, რომელნიც საფრანგეთის რევოლიუციამდე რეფორმებს თანაურგრძნობდნენ და ახლა კი რეფორმის წინააღმდეგ მოქმედებდნენ. ვილიამ პიტტი, რომელიც წინეთ გაიძახა: „რეფორმა აუცილებლად საჭიროაო“, ეხლა ამბობდა: „ინგლისის პარლა-

მენტის ოდნავი რეფორმაც კი მომცდინებელ უნდა ჩაითვალოსა“.

მთავრობას მსურდა ყოველგვარ რეფორმაზედ ლაპარაკი მოესპო. ამისთვის მან მიმართა ჩვეულებრივ ზომებს: რეფორმის მომხრეების დევნას, რეფორმის შესახებ წერის და ლაპარაკის აღკრძალვას და სხვა. რადგან რეფორმის შესახებ ყველა განუთებში, ჟურნალებში და ყველა წიგნაკებში სწერდნენ, მთავრობა ცდილობდა საქმე ისე მოეწყო, რომ არსად ამ კითხვაზედ აღარა დაწერილიყო რა; სხვათა შორის ამ მიზნით გამოსცეს კანონი „მაგნებელი“ თხზულებების შესახებ.

ამ კანონში ნათქვამი იყო: „ვინც სიტყვიერად ანუ წერით იმოქმედებს იმ მიზნით, რომ ამბოხება მოახდინოს, ის დამნაშავეა, როგორც ამბოხების მსურველი ზ მეფის, პარლამენტის, კანონის და სასამართლოს მტერიო. ასეთი დამნაშავე პასუხის გებაში მიეცემა და სათანადოთ დაისჯებაო“.

გამოიცა თუ არა ეს კანონი, მიჰყვეს ხელი ყველა მესტამბეების, გამომცემლების და მწერლების დევნას: ზოგს მათგანს ჯარიმას ახდევინებდნენ, ზოგს აპატიმრებდნენ და ზოგს ასახლებდნენ. ასე ექცეოდნენ იპასაც, ვინც ჰბედავდა თავისუფლათ ლაპარაკს იმდროინდელ ინგლისის მდგომარეობაზედ და საქმეებზედ.

საბედნიეროთ ათას შვიდას ოთხმოც და ორ წელს პარლამენტმა ახალი კანონი გამოსცა, რომლის ძალით უფლება პასკვილის საქმეების და ისეთი ნაწერების გარჩევისა, რომლებშიაც რეფორმის საჭიროებაზედ იყო ლაპარაკი, სამეფო სამსჯავროს ჩამოერთვა და გადაეცა სხვა ჩვეულებრივ სამსჯავროებს, სადაც საქმეება სწარმოებდნენ ნაფიცთა თანადანსწრებით. ნაფიცები ხშირათ დამნაშავეთ სცნობდნენ ხოლომე ბრალდებულებს, მაგრამ ხშირადაც ამართლებდნენ და ანთავისუფლებდნენ.

მთავრობა ძლიერ უკმაყოფილო იყო, როცა ნაფიცნი ამართლებდნენ ასეთ ბრალდებულს. ამიტომაც ახლა მან უფრო საიმედო ზომებს მიმართა თავისი მიზნის მისახვეათ. ჩვენ



უკვე ვიცით, რომ ინგლისში არსებობდა კანონი „შაბეას კორპუსი“; ვიცით აგრეთვე, რამდენად საჭირო და სასარგებლოა ეს კანონი. ინგლისის კანონების ძალით, არცულობის და ამბოხების დროს პარლამენტს შეუძლიან ერთის წლით გააუქმოს ეს კანონი. ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რომ გაუქმება ამ შემთხვევაში იმას ნიშნავს, რომ ამ კანონით ველარ ისარგებლებს მხოლოდ ის, ვინც სახელმწიფოს ლაღატის გამოა პასუხის გებაში მიცემული. მთავრობის ახრით თათს შეიძლება ოთხმოც და ოთხ წელს ინგლისი მეტათ საშიშარ მდგომარეობაში იყო, ამიტომაც პიტტმა უმცროსმა პარლამენტში შეიტანა ბილლი, რომელშიაც აგი პარლამენტს წინადადებას აძლევდა, დროებით გაეუქმებინათ „შაბეას კორპუსი“. „მე დანამდვილებით ვიცი, რომ საილუმოლო შეთქმულება არსებობს და ბოროტმოქმედ პირთ კსურთ, კანონები უარპყონ და ქვეყანა დილუპონა“, ამბობდა იგი პარლამენტში.

გაისმა თუ არა ხმა, მთავრობას განძრახვა აქვს „შაბეას კორპუსი“ გააუქმოსო, ხალხი მეტად აღელდა. ქვეყნის ყველა კუთხეში მიტინგების მართვა იწყეს. ამ მიტინგებზედ თითქმის ყველა წოდების პირნი ესწრობოდნენ და ერთხმათ შკიცხადდნენ მთავრობის განზრახვას. აქვე აღგენდნენ პეტრიციებს, რომლებშიაც თხოულობდნენ, რომ მცფეს რ პარლამენტს არამც და არამც „შაბეას კორპუსი“ არ გაეუქმებინა. თვით პარლამენტში უშიშარი და მხნე ფოქსი გატაცებით აღპარაკობდა „შაბეას კორპუსის“ გაუქმების წინააღმდეგ.

—მე იმედი მაქვს, რომ ეს ახალი ბილლი, რომელიც ჩვენ ძირითად უფლებას არღვევს, არ იქნება პარლამენტისაგან მიღებული; იმედი მაქვს, რომ მინისტრები თვითონ ჰყოფენ უარს თავიანთ ბილლს, რადგან მთელი ხალხი მისი წინააღმდეგიაო, ამბობდა იგი.

ფოქსის ასეთი იმედი არ გამართლდა, პარლამენტმა ბილლი მიიღო და ამ რიგათ კანონათ აქცია იგი.

ახლა გავითვალისწინოთ, თუ რას ნიშნავდა „შაბეას კორ-

პუსის* გაუქმება. მთავრობას შეეძლო თითოეულ ინგლისელზედ იჭვი შეეტანა და დაეპატონებინა იგი; დაპატონებულს ახლი ნება აღარ ჰქონდა, მოეთხოვა, რომ დაუყონებლივ წარედგინათ იგი მსახულისათვის. მას ამის უფლება ეძლეოდა მხოლოდ მაშინ, როცა „ჰაბეას კორპუსს“ ხელმეორეთ განახლებდნენ, ანუ როცა გათავდებოდა ვადა, რომლის განმელოებაში იგი გაუქმებული იყო. წინეთ, თუ მსახული დაადგენდა, რომ ბრალდებული უსაფუძვლოდ იყო დაპატონებული, მას შეეძლო პასუხის გებაში მიეტყუებოდა ისინი, ვინც უბრალოდ მიაყენა ბრალდებულის სასჯელი და ხარალი გადაეხდევინებია მათთვის. ხოლო საქმის არის, რომ ახლა „ჰაბეას კორპუსი“ მთელი შვიდი წლით იყო გაუქმებული. შვიდი წლის შემდეგ კი პარლამენტში შეიტანეს ახალი ბილლი „დაუსჯელობის შესახებ“; ეს ბილლიც მიიღო პარლამენტმა. მთავრობას აქ ის ჰქონდა მიზნათ, რომ ის სახელმწიფო მოხელენი, რომელნიც უმიზეზოდ სდევნიდნენ და აპატონებდნენ მთავრობისათვის არა სასიამოვნო პირთ, დაეფარათ პასუხის გების და სასჯელისაგან.

განვლო ერთმა წელმა „ჰაბეას კორპუსის“ გაუქმების შემდეგ და მისწვდნენ მიტინგებსაც. საჭიროდ დაინახეს მიტინგების წინააღმდეგ უსასტიკესი კანონები გამოცემა.

უახლოესი მიზეზი ამ კანონების გამოცემისა აი რაში მდგომარეობდა. ლონდონელი „რეფორმის მომხრე საზოგადოებაში“ დიდი მიტინგი მოახდინა. ამ მიტინგზედ ერთხმად მიიღეს ხალხის მოწოდება, რომელიც შეფისათვის უნდა წარედგინათ. ხალხის მოწოდება შემდეგი სიტყვებით ბოლოვდებოდა:

— არამც და არამც არ მოსტყუვდეთ და არ შესცდეთ; არ მოსტყუვდეთ ისე, როგორც არა ერთხელ მოტყუვდნენ ჩვენნი წინაპრები: ნურას გამოელით მინისტრების გამოცვლისაგან; ახლანდელი პარლამენტის ანაბარა, რა გინდ მინისტრები გყავდეს, მაინც ვერ აღასრულებენ ივანი თავიანთ მოვალეობას ხალხისადმი. თქვენ მხოლოდ თქვენი თავის იმედი უნდა გქონდესთ. გაფიცებთ თავისუფლებას, რომელსაც ჩვენ ყველანი ვაღმერ-

თებთ, გაფიცებთ ინგლისის კანონებს, რომლებსაც ჩვენ პატივს ვცემთ, შეუერთეთ თქვენი სურვილი ჩვენსას, თქვენი ძალ-ღონე ჩვენს ძალ-ღონეს და შეერთებულის ძალით ყოველი კანონიერი ღონე და საშუალება ვიხმაროთ, რომ შევანარჩუნოთ ინგლისის ხალხს მისი ბუნებრივი და აუცილებელი უფლებები: ყოველ წლიური პარლამენტი და არჩევის „საყოველთაო უფლება“.

არჩევის „საყოველთაო უფლება“ ნიშნავს იმას, რომ თითოეულს ინგლისელს, რომელიც იხდის გადასახადს, პარლამენტის დეპუტატის არჩევის უფლება ჰქონდეს; ყოველ წლიური პარლამენტი კი იმას, — რომ დეპუტატები ერთი წლით იყვნენ არჩეულნი და არა ექვსი წლით.

იმ პეტიციაში, რომელიც მეფისათვის უნდა მიეცათ, აი რა იყო ნათქვამი:

„თქვენო დიდებულებაჲ, საჭიროთ მიგვიჩნია გამოვიყვანოთ იმ შეცდომისაგან, რომელშიაც იმყოფებით; თუ მეფეს არა ჰყავს პატიოსანი და მართლის მთქმელი მინისტრი, ხალხია ვალდებული, მიაწვდინოს მას ნამდვილი ცნობები, აცნობოს საჭმის ქეშმარიტი მდგომარეობა და დაიცვას იგი მატყუართაგან. გემუდარებით, მოისმინეთ ტანჯული ხალხის ხმა და გოდება, მიეცით მას უფლება თვისი ნამდვილი წარმომადგენლები ჰყავდეს პარლამენტში. მხოლოდ ამას შეუძლიან ხალხი მომავალ უბედურებას ააცილოს და ახლანდელისაგან დაიხსნას. მოიცილეთ თავიდან ბოროტი მინისტრები, რომელნიც ისე უსამართლოდ გამცილებენ თქვენ; იქმარეთ დამღუპველი და გამანადგურებელი ბრძოლა*) და მიეცით ხალხს საშუალება დამშვიდებით იცხოვროს; ეს აუცილებლად საჭიროა ხალხის ბედნიერებისათვისა“.

ორი თვის შემდეგ ახალი მიტინგი მოხდა. ამ მიტინგზედ

*) აქ ლაპარაკია იმ ომზედ, რომელიც იმ დროს ინგლისს და საფრანგეთს შორის იყო.

ას ორმოც და ათი ათასი კაცი დაესწრო. აქაც მთავრად ითქვა, რაც პირველ მიტინგზედ სთქვეს. მაგრამ საუბედუროთ აქ შემდეგი არა სასიამოვნო ამბავი მოხდა: სწორეთ ამ დროს მეფე პარლამენტისაკენ მიემგზავრებოდა. მას დიდ ძალი ბრბო მოსდევდა. „ძირს პიტტი, არ გვინდა ომი; მშვიდობიანობა, მშვიდობიანობა“, მოისმოდა აქ-იქ ხალხში. ვილაცამ მეფის ეტლს ქვა ესროლა. ასევე მოექცნენ მეფეს, როცა იგი პარლამენტისაკენ ბრუნდებოდა.

ამის შემდეგ მთავრობამ სათემო პალატაში შემდეგი ბილლი შეიტანა: „არც ერთი მიტინგი, რომელზედაც თავი უნდა მოიყაროს ორმოც და ათ კაცზედ მეტმა, ადგილობრივი მთავრობის ნება დაუბრუნებლად არ უნდა შესდგეს. მიტინგზედ უნდა დაესწროს ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენელი, რომ არა ითქვას რა ან მთავრობის, ან მინისტრების, ან მეფის წინააღმდეგო“. ვინც ამისთანაზედ ლაპარაკს დაიწყებდა, მას დააპატიმრებდნენ. თუ მიტინგი წესს დაარღვევდა, იგი ძალით უნდა დაეხურათ; თუ ვინცობაა, ამ დროს ხალხში მოიკლოდა ვინწე, პოლიცია პასუხს არ ავებდა. ეს ბილლი მთავრობის წინადადებით უნდა მიეღოთ სამი წლით, მაგრამ როგორც პარლამენტში, ისე ხალხშიაც მას ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა. ხალხი მიტინგებზედ თავს იყრიდა და პეტციებს ადგენდნენ. სულ ოთხმოც და თორმეტი პეტიცია შეადგინეს; ამ პეტციებზედ ას ოცდა ათი ათასმა კაცმა მოაწერა ხელი. აქ საყურადღებო იააა, რომ თვით მინისტრებიც მართავდნენ მიტინგებს. აქ მინისტრები ამტკიცებდნენ, რომ ასეთი კანონი დიდათ სჯობს, რათა ქვეყანა განსაცდელისაგან დავიცვათო. ექვსი კვირის ბრძოლის შემდეგ პარლამენტში ეს ბილლიც გავიდა.

ამის შემდეგ დროებით შესწყდა რეფორმებზედ ლაპარაკი. ათასი შეიღას ოთხმოც და ოთხ წელს ინგლისსა და საფრანგეთს შორის ასტყდა ომი. ეს ომი ოცა წელს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში ინგლისელების ყურადღება და მათი



ძალ-ლონე ამ ომში შეთანხვა. ეს ომი სწორედ სიკვდილს სთავაზობდა ომი იყო. ამ ომში ინგლისელი თავის არსებობას, თავის ახალშენებს, და მასთან თავის ვაჭრობას იცავდა. ეს ომი დაიწყო სწორედ იმ დროს, როცა საფრანგეთი უკვე რესპუბლიკა იყო; მეტად გამწვავდა ომი, როცა საფრანგეთი იმპერიით იქცა და ფრანგებმა იმპერატორათ ნაპოლეონ ბონაპარტი დასვეს.

ამ ომში გამარჯვება ინგლისს დარჩა. მან გააფართოვა თავისი სამფლობელო, შეაძინა ახალი ახალშენები, გააუმჯობესა თავისი ვაჭრობა. მაგრამ ამასთან ინგლისს ომის გამო დიდძალი ვალი დაედო; ასე რომ გადასახადებმა საშინლათ იმატეს, ხალხი დაღარიბდა და უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა, ომში ზევრათ შეუწყო ხელი იმას, რომ ინგლისმა მეცხრამეტე საუკუნეში შეუცვლელათ, ძველი წესწყობილებითურთ გადმოაბიჯა. მხოლოდ ათას რვაას ოც და თორმეტ წელს მოხდა ინგლისში პარლამენტის რეფორმა და ისიც არა ისე, როგორც ვიგები თხოულობდნენ.

მინამდის იმაზედ ვილაპარაკებდეთ, თუ როგორ მოხდა ეს რეფორმა, უნდა აღვნიშნათ ერთი დიდმნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც მოხდა ინგლისში მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს. ათას რვაას წელს ირლანდია სრულიად შეუერთეს ინგლისს,

ჩვენ ვიცბათ, რომ ვიღველმ შესაბის დროს ირლანდია ხანგრძლივი და მედვარი ომის შემდეგ იძულებული შეიქნა ინგლისს დამორჩილებოდა, მაგრამ თავისი საკუთარი პარლამენტი მაინც შეინარჩუნა დამორჩილებულმა ირლანდიამ. ეს უბედური ქვეყანა მეტად ცუდ მდგომარეობაში იყო, ყველა იქაური კათოლიკები, ესე იგი მთელი ოთხი მეზუსთედი ირლანდიის მცხოვრებლებისა ისე გრძობდნენ თავს, თითქო ივინი თავისს სამშობლოში კი არა, სადღაც სხვის ქვეყანაში სცხოვრობდნენ. მათ არ ჰქონდათ უფლება პარლამენტის წევრი ყოფილიყვნენ, არ შეეძლოთ რომელიმე თანამდებობა,

სამხედრო ან სამოქალაქო, მიეღოთ; ის კი არა, მათ იმის ნებაც არა ჰქონდათ, რომ თავიანთი წარმომადგენლები აერჩიათ პარლამენტში ვასაფხაუნათ; როგორც ინგლისის პარლამენტი, ისე ირლანდიის პარლამენტიც მსხვილ ნებატონეების, ლენდ-ლორდებისაგან, შესდგებოდა, ასე რომ მთელ ირლანდიას ლენდ-ლორდები განაგებდნენ. ირლანდიის მთელი მიწა-წყალი ლენდ-ლორდებს ეკუთვნოდა. ლენდ-ლორდი მიწას იჯარით ერთი წლის ვადით აძლევდა ფერმერს, რომელსაც იგი მაშინ გადაქვებდა საიჯარო მიწიდგან, როცა უნდოდა და ისიც სრულიად უმიზეზოთ. ამასთან მებატონე სრულიად ვალდებული არ იყო, დაებრუნებინა ფერმერისათვის ის ხარჯები, რომელნიც მის გაეწია მიწის გასაუნჯუაბესებლად და დასამუშავებლად.

იფეთქა თუ არა საფრანგეთში რევოლიუციამ, ირლანდიელებიც აღდგნენ მათ დამზავრელ ინგლისელების წინააღმდეგ; ინგლისელებმა წარმოუდგენელი სისასტიკით და ველური მოქცევით დაამშვიდეს ირლანდიელები. ამის შემდეგ პიტმა და მისმა მომხრეებმა გადასწყვიტეს, ირლანდია სრულიად ინგლისს შემოუერთოდა და ირლანდიის პარლამენტი ინგლისისაო. ირლანდიის პარლამენტი ჯერ უარზედ იდგა, მაგრამ შემდეგ მოისყიდეს იგი და ინგლისის პარლამენტთან შეერთებაზედ დაითანხმეს.

ამ გვართ ირლანდიას თვისი პარლამენტი წაერთვა. ასი ირლანდიელი ინგლისის სათემო პალატის წევრებათ გახდნენ. ლორდთა პალატაში კი ოც და რვა პერი და ოთხი სამღვდლო პირი მოჰყვა.

ამ რიგათ შეერდა ინგლისი, ირლანდია და შოტლანდია; მათ ჰყავდათ ახლა ერთი მცფე და ჰქონდათ ერთი პარლამენტი; ან რიგად სამი სამეფოსაგან წარმოდგა ერთი შეერთებული სამეფო — დიდი ბრიტანია და ირლანდია.

ინგლისი მეცხრამეტე საუკუნეში. — რა ცვლილებები მოხდა ინგლისის ცხოვრებაში. — როგორ გადაიქცა ინგლისი სამრეწველო ქვეყნათ. — რა იყო ამის მიზეზი. — ორთქლის მანქანა. — უაბრიკის მუშების მდგომარეობა. — მათი სიღარიბე. — კანონება ღარიბების შესახებ. — სპარლამენტო რეფორმის საჭაროება.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე ინგლისი სამიწოთ-მოქმედო ქვეყანა იყო. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში იგი სამრეწველო ქვეყნათ იქცა. ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ნახევარზედ მეტი ინგლისის მუშა ხალხისა იძულებული შეიქნა მიწის მუშაობა მიეტოვებინა და სხვა გვარი სამუშაოებისათვის მიეცო ხელი. ამანვე დროს ქალაქების მცხოვრებთა რიცხვმაც იმატა. ათას რვაას ოც და ერთ წელს სოფლის მცხოვრებთა რიცხვი შეადგენდა მთელი ინგლისის მცხოვრებთა ერთ მეცამედს; ქალაქებისა კი ნახევარს; ასე რომ ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი სისწრაფით მატულობდა. ქალაქ მანჩესტერში და გლასგოვში, მაგალითათ, ოც და ათი წლის განმავლობაში მცხოვრებთა რიცხვმა ორ-ნახევარჯერ იმატა. სოფლის ხალხი, ლენდ-ლორდებისაგან შევიწროებული, სტოვებდა სახლ-კარს და ქალაქისაკენ მირბოდა ლუკმა პურის მოსაპოვებლათ. ლენდ-ლორდები ძველებურათ იღობადნენ და ისაკუთრებდნენ სათემო მიწებს, მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, ოცი წლის განმავლობაში, ლენდ-ლორდებმა ოცი მილიონი დესეტინა მიწა შემოიღობეს და დაინაკუთრეს. ფერმერებს სოფელში ცხოვრება თან და თან უძნელდებოდათ. გათავდებოდა თუ არა საიჯარო ვადა, ლენდ-ლორდი ძველ მოიჯარადრეს და წვრილ ფერმერს ერეკებოდა თავას მამულიდგან, აერთებდა დაქუცმაცებულ მცირე მამულებს და ერთ შემლებულს ფერმერს აძლევდა საიჯაროთ. ხშირათ ლენდ-ლორდები სულაც აღარ იძლეოდნენ საიჯარადლოთ წვრილი ფერმერებისაგან განთავისუფლებულ ადგილებს. ამის მაგიერ იგინი ასეთ

ადგილებს სამოკრათ სტოკებდნენ, რადგან მატყლის მატყობა იმ დროს დიდი იყო, რის გამო ცხვარს დიდი სარგებლობა მოჰქონდა. მაგალითად ერთი ლორდის ადგილებში ათას რუაას თორმეტ წელს თუთხმეტი ათასი ცხვარი იღვა სამოკრად, ათას რუაას ოც და ხუთ წელს კი—ას ოც და თერთმეტი ათასი. ასე მოსპეს ყველა წვრილი ფერმერები და უზარმაზარ სამოკარ ადგილებათ აქციეს.

მეთვრამეტე საუკუნეში სოფლის ხალხს დიდათ უწყობდა ხელოს და შეგლოდა წვრილი ხელოსნობა. მეცხრამეტე საუკუნეში მათი ხელობა ძლიერ შემცირდა, რადგან ხელსაყრელი აღარ დარჩა იგი. ახლა პატარა სახელოსნოებია ადგილი დიდმა ფაბრიკებმა და ქარხნებმა დაიჭირეს; კაცის ხელის მაგიერ მანქანა შემოვიდა ხმარებაში და მუშის მაგიერ კაცმა მანქანა ამუშავა. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს ინგლისში რამოდენიმე საქსოვი მანქანა გამოიგონეს. ათას შვიდას სამოც და ათ წელს ერთმა ფეიქარმა გამოიგონა რამოდენიმე თითისტრიანი სასტავი. ცხადია, ამ ნაირი იარაღით გაცილებით მეტის დასტვა შეიძლებოდა, ვინემ წინანდებური თითისტრიო; ათის წლის შემდეგ კიდევ უკეთესი მანქანა გამოიგონეს. ამ მანქანას სახელათ მიულ-მანქანა უწოდეს. ამ მანქანის საშუალებით ერთ და იმევე დროს ტრიალებდა ათასი თითისტარი პულ ერთი ან ორი კაცი იყო საჭირო, რომ მუშაობის დროს თვალ-ყური ედევნებინა ამ მანქანებისათვის.

ათას რუაას თერთმეტ წელს ინგლისის სხვა და სხვა ფაბრიკებში უკვე ოთხ მილიონ ნახევარი თითისტარი ტრიალებდა მანქანის საშუალებით.

ათას შვიდას სამოც და ცხრა წელს გამოიგონეს ორთქლის მანქანა; ამის შემდეგ სასტავ და საქსოვ ფაბრიკებში ორთქლის მანქანები შემოიღეს. სანამ ორთქლის მანქანა არ იყო, ორთქლის მაგიერობას წყალი შვრებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ წინად ფაბრიკებს მდინარეების პირად, სადმე სრულად უდაბურ და მივარდნილ ადგილებში აკეთებდნენ. ორ-



თქლის მანქანას კი, სადაც ვის ნებაგდა იქ დასდგებოდა და ამჟამად შეეებდა. ახლა ხელით სტვა და ქსოვა ზარალის მეტს აღარ იძლეოდა, ახალი მანქანა სიძვირის გამო ხელმოუწყო მელი იყო უბრალო მუშისათვის. ფაბრიკის აშენება და მანქანის ყიდვა მხოლოდ ფულიან კაცებს შეეძლო. ახლა უმეღვერად, უსაქმოდ, დარჩენილ ხალხს ეს ფულიანი კაცები ქირაობდნენ. მუშები უკიდურეს მდგომარებაში ჩავარდნენ. მუშის ადგილი ახლა მანქანამ დაიჭირა. სადაც წინეთ ასი კაცი იყო საქირო, იქ საკმაო შვიქნა ათი კაცი; რა მცირე ქირაც უნდა შეეძლოათ მუშისათვის, ის ახლა ძალიანებურათ უნდა დათანხმებულიყო, რადგან მას უამისოდ სიშლით სიკვდილი მოელოდა. მგდებრივეც, ცხადია, ცდილობდა ნაკლებად დაექირავება მუშა და დაუზოგავათ ცყვლიფა იგი. ამიტომაც მუშები დღე და ღამეში თექვსმეტ საათს მუშაობდნენ, ქირას კი იმდენსაც ვერ ღებულობდნენ, რომ თავი და ოჯახი გამოეყვებათ.

მცხრამეტე საუკუნის დამდეგს მუშა ხუთ-ჯერ მეტს ღებულობდა, ვინემ მეთორამეტე საუკუნეში, მაგრამ სამაგიეროდ პური ახლა შეიდჯერ ძვირათ ფასობდა უწინდელზედ და სხვა სანოვადე თუთხმეტჯერ უფრო ძვირათ; ამიტომაც თუმცა, მუშის ქირამ იმატა, მაგრამ მას ახლა ამ ქირით შეეძლო გაცილებით უფრო ნაკლების ყიდვა სხვა და სხვა საგნების, ვინემ წინად, როცა ქირას ნაკლებს ღებულობდა, მაგრამ სამაგიეროთ იაფობა იყო. მეთექვსმეტე საუკუნეში მუშის ოც და ექვსი დღე უნდა ემუშავა, რომ ერთი მერია პური ყვიდნა, მეთორამეტე საუკუნეში ორმოც და ათი დღე და მცხრამეტე საუკუნის დამდეგს სამოც და ათი დღე. გარდა ამისა სულ ადვილი შესაძლო იყო, მუშის ის მცირე ქირაც მოსპობოდა, რომლითაც ის დიდის ვაი-ვაგლანით იცვებავდა თავს. მგდებრივე მას თელი წლით ხომ არ ქირაობდა; მუშა დაქირავებული იყო უვადოთ და დამქირავებელი მას მაშინ დაათხოვდა, როცა მისი სურვილი და ქეიფი იყო. ქაღებისა და ბავშვების ქირა ნაკლები იყო ვინემ მამაკაცების, ამიტომაც, სადაც კი შესაძლო

იყო, მეფობრიკეები შამაკალების მაგიერ ქალებსა და მღვდლებს ამუშავებდნენ. რამდენი დრო გადიოდა, იმდენათ უარესდებოდა ინგლისის მუშა ხალხის მდგომარეობა. აი რას სწერდა ამხელ ინგლისის გამოჩენილი პოეტი ბაირონი: „ნუ ვიყავი ისპანიაში ომის დროს, დავიარე სათათრეთის უღატაკესი მხარეები, მაგრამ არსად ისეთი საზოგადოარი სიტუაცე არ მინახავს, როგორც ინგლისში“.

სიმშლიისათვის რომ თავი დაეღწია, მუშა იძულებული იყო მრეწველისათვის მიემართნა მოწყალეებისათვის. ვინც მრეწველისაგან დახმარებას მიიღებდა, ის ღარიბთა შორის ჩათვლებოდა. ამიტომაც იგი უნდა დამორჩილებოდა კანონს, რომელსაც ეწოდებოდა „კანონი ღარიბთა შესახებ“. ამის შემდეგ იგი იმყოფებოდა ღარიბთა ზედამხედველის განკარგულების ქვეშ.

ზედამხედველს უფლება ჰქონდა, ღარიბი ემუშავებია; თუ ღარიბი უარს იტყობდა მუშაობაზედ, ზედამხედველს შეეძლო სამუშაო სახლში დაეხინაგებია იგი. სამუშაო სახლი კი ნამდვილ საპრობილეს წარმოადგენდა; განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ სამუშაო სახლში ხშირად სრულიად უდანაშაულო კაცს ამოაყობინებდნენ ხოლმე თავს. უბედური ღარიბების დანაშაული კი ის იყო, რომ იგინი ვერსად სამუშეარს ვერ მოულოდნენ. ზედამხედველები სხვათა შორის ვალოდებულნი იყვნენ, ღარიბის შვილებზედ ეზრუნათ, ესწავლებინათ მათთვის ხელობა და სხვა. ამ მიზნით ზედამხედველები ღარიბის შვილებს ბირდაბირ მიჰყიდდნენ ხოლმე ხელოსნებს, ვითომ და ხელობის შესასწავლოდ; ზედამხედველი ამ შემთხვევაში ბავშის მშობელს არც კი ჰკითხავდა, სურდა თუ არა მათთვის შვილი ასეთ მდგომარეობაში ჰყოლოდათ. ხშირად ამ უბედურ ბავშებს ურემში ჩაყრიდნენ ხოლმე და გზავნიდნენ სხვა და სხვა ქალაქებში ან საბრეწველო ოლქებში და სტოვებდნენ მეფობრიკეების ხელში. აუტანელ მუშაობის გამო ბავშები მალე სნეულებოდნენ და გამწარებულ წუთისოფელს ეთხოვებოდნენ.



ზოგიერთი ბავში სულ ხუთი ან ექვსი წლისა იყვნენ, ღარიბს კი შეეძლო ერთი მრევლიდგან მეორეში გადასულიყო, რადგან თითოეულ მრევლს თავისი ღარიბებიც საკმაოდ ჰყავდა.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ინგლისში ასეთი უბატრონო, ყოველ უფლებას მოკლებული ღარიბები, რამოდენიმე მილიონი იყო. ამავე დროს ინგლისის სიმდიდრე დღიდგანდღეზე მატულობდა, მრეწველობა და ვაჭრობა თან და თან იზრდებოდა, მცხოვრებთა რიცხვი დიდი სისწრაფით მრავლდებოდა. ათას შვიდას სამოც წელს ინგლისში რვა მილიონი მცხოვრები ითვლებოდა, ათას რვაას თვრამეტე წელს კი—თორმეტი მილიონი. მეთვრამეტე საუკუნეში ინგლისის ჩრდილო სავაჭრო გზებში ბევრი ისეთი ადგილები იყო, სადაც კაცის საბუნებელი არ იყო; ახლა კი აქ ცხოვრება სდულდა და ახლად აშენებული ფაბრიკები და ქარხნები ურიცხვ მუშა ხალხს იზიდავდა.

თუმცა ინგლისი ახლა სამრეწველო ქვეყანას წარმოადგენდა, მაგრამ ბარლამენტი წინანდებურად მაინც მიწის მესაკუთრეებისაგან შესდგებოდა და არჩევნებიც ძველებურის წესით ხდებოდა, ასე რომ ინგლისს ახლაც მიწის მფლობელები განაგებდნენ.

ახალმა ცხოვრების პირობებმა ორი ახალი კლასი შექმნა. ამ ორ კლასს წარმოადგენდნენ მეფაბრიკეები და ფაბრიკის მუშები. არც ერთ ამ კლასთაგანს ინგლისის მართვა-გამგეობაში ჯერ წილი არ ჰქონდათ. იშვიათად თუ მოჰყვებოდა რომელიმე მეფაბრიკე სათემო პალატის დეპუტატად; სამრეწველო ოლქებს ბარლამენტში წარმომადგენელი არ ყავდათ, რადგან ამ ოლქების მცხოვრებლებს დეპუტატის ამორჩევის უფლება არ ჰქონდათ. რა თქმა უნდა, როგორც მუშებისათვის, ისე მეფაბრიკეებისათვის მეტად მაკენებელი და საზარალო იყო, რომ ბარლამენტში მართო მიწის მფლობელები ბატონობდნენ; ცხადი იყო, რომ იდრე თუ გვიან მუშებიც და მეფაბრიკეებიც მოისურვებდნენ ბარლამენტში მონაწილეობის მიღებას და

მართლაც ასე მოხდა. ვათავდა თუ არა ომი ნაპოლეონსა და ინგლისს შორის, ინგლისის მუშა ხალხი ხელახლა შეუდგა პარლამენტის რეფორმისათვის ბრძოლას.

§ 6.

ინგლისი ათას რევას თხუთმეტ წლის შემდეგ.—ხალხის უკიდურესი მდგომარეობა.—ბრძოლა პარლამენტის რეფორმის სასარგებლოდ.—სახალხო ვახუთი.—კობზეტი.—კობზეტის ქადაგება კანონის პატივის დების და ბრძოლის კანონიერი საშუალებების შესახებ.—„პაბეს კორპუსის“ უკანასკნელად გაუქმება.—შიტინგი ქალაქ ბირმინგემში.—ხალხის ამოკლევთა ქალაქ მანჩესტერში.—ექვსი განსაკუთრებული კანონი.—მეფე გენრიის მკოთხე.—ახლანდელი კანონები შიტინგების შესახებ.

ათას რევას თუთხმეტი წლის შემდეგ, ესე იგი ნაპოლეონთან დიდი ომის შემდეგ, ინგლისი მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა: ვაჭრობამ იკლო, სავაჭროს ფასი საშინლათ დაეცა, სხვა და სხვა საქონლის მუშტარი შემცირდა. წარმოება შეჩერდა. სამუშევარმა იკლო და ურიცხვი ხალხი სამუშევარს მოკლებული ულუკმა პუროთ დარჩა. ამას უნდა დავსძინოთ, რომ ინგლისში ათას რევას თერთმეტ წელს უმოსაველობის გამა დიდი სიმშლილობა იყო. პურის ფასმა ძლიერ აიწია, გარედგან პურის ხორბლის შემოტანა კი აღკრძალული იყო. ეს საქირო იყო მიწის მესაკუთრებისათვის. ინგლისში ზოგიერთ კუთხეებში შვიდ კაცში ექვსი კაცი მათხოვრობდა; ზოგვან ხუთას სამოც და თუთხმეტში ოთხას ცხრაშეტს ღარიბთა კასიდგან შემწეობა ეძლეოდა. როგორც ქალაქის ისე სოფლის მცხოვრებლები საშინელ უაფთაში იყვნენ. ბევრგან ამბოხებამ იჩინა თავი. შეამბოხებებს აპატივრებდნენ, პასუხის გებაში აძლევენდნენ და სჯიდნენ, მაგრამ ამით საქმეს არა ეშველა რა. ყველა მოუთმენლად ელოდა პარლამენტის გახსნას; ყველას იმედი ჰქონდა, რომ მინისტრები და პარლამენტი დახმარებას გაუწევდა უბედურებაში მყოფ მცხოვრებლებს. ბოლოს პარლამენტიც გაიხსნა, მაგრამ ხალხის მოლოდინი არ

გამართლდა: მინისტრმა განაცხადა, ჩვენი მდგომარეობა შიდაო; ხალხის უბედურებაზედ კი ერთი სიტყვა არ თქმულა.

მებატონეები ძველებურად ძლიერ კარგად სცხოვრობდნენ; მათ ხალხის დარდი არ ჰქონდათ. პარლამენტი მებატონეებისაგან შესდგებოდა. ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ ერთი პარლამენტი ხალხს ხერხს არ დააყრიდა; ყველა დარწმუნდა, რომ პარლამენტის რეფორმა აუცილებელი იყო იმპირობით, რომ იქ ყოფილიყვნენ ყველა წოდების წარმომადგენელნი. სწორედ ამ დროს ლონდონის საბჭომ პარლამენტს პეტიცია წარუდგინა. აქ აღნიშნული იყო პარლამენტის შეცვლის საჭიროება. ლონდონთან ერთად რეფორმის საჭიროებაზედ თელმა ინგლისმა აღამაღლა ხმა. ამ დროს ერთი ჟურნერის შვილის ვილიამ კობბეტის მეთაურობით გამოდიოდა იაფი სახალხო გაზეთი. კობბეტმა ძლიერ კარგად იცოდა ხალხის გაქვიერებული მდგომარეობა. ის ქადაგებდა, რომ მხოლოდ პარლამენტის რეფორმა იხსნის ხალხს უბედურობისაგანო. კობბეტის გაზეთს ბევრი კითხულობდა, კობბეტი ურჩევდა ხალხს კანონიერ ზომებს არ გადასულიყო, რადგან ამ გზით უფრო ადვილ შესაძლოა მიიჩნა მას მიზნის მიღწევა. ამბოხების მომხრეებს კობბეტი საშინლად ჰკიცხავდა; არა ნაკლებ ჰკიცხავდა იგი იმ მუშებს, რომელნიც მანქანებს ამტვრევდნენ. თუ ხალხი გაქვიერებულ მდგომარეობაშია, მანქანები არაფერ შუაშია; ამის მიზეზი ის არი, რომ სახელმწიფოს ცუდად განაგებენო. საჭიროა პარლამენტის რეფორმა, მაგრამ ღმერთმა დავვისხსნას ძალადობისაგან და უკანონო ზომებისაგან: ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ კანონიერად, მიტინგების, პეტიციების და ქადაგების საშუალებითო, კობბეტის სიტყვამ დიდი გავლენა იქონია ხალხზედ. ამბოხებები შეწყდნენ, მანქანების ლეწვა-მტვრევას ხელი აღდეს; ამის მაგივრად ახლა პართავდნენ მიტინგებს და ხელის მოწერას, ადგენდნენ პეტიციებს და სხვა. პარლამენტი კი უარზედ იდგა.

აუცილებლათ საჭიროა რეფორმა, გაიძახოდა ხალხი. რეფორმა სრულიადაც არ არის საჭირო და ხალხისთვის მანებელიაო, იმეორებდა პარლამენტი. პარლამენტს ურიცხვი პეტრიციები მისდიოდა. ამ პეტრიციებზედ ათი-ათასობით აწერდნენ ხელს რეფორმის მომხრენი. პარლამენტმა არც ერთი პეტრია არ მიიღო; ახლა იგი იმაზედ-ღა ფიქრობდა, თუ როგორ დაეცვა ის წეს-რიგი, რომელიც უკვე არსებობდა და როგორ მოესპო რეფორმის მომხრეებისათვის ამ საგანზედ ლაპარაკის უფლება. ხელ-ახლად მიმართეს „ჰაბეას კორპუსის“ გაუქმებას; პარლამენტს წინადადება მისცეს, გაეუქმებია ეს კანონი და იმავე დროს შემოეღო სასტიკი კანონები მიტინგების და ბეჭდვითი სიტყვის წინააღმდეგ. გაიგეს თუ არა ეს, პეტრია პეტრიციებზედ მოჰყვა; ამ პეტრიციებში მტხოვრებლები პარლამენტის რეფორმის თხოულობდნენ. ამ პეტრიაზედ ერთ მილიონ კაცზედ მეთი აწერდა ხელს.

ამასობაში ხალხის გაქვირებამ უკიდურესობამდის მიაღწია, ხელ-ახლა იჩინა აქა იქ თავი ამბოხებამ. „პური, პურიო“ იძახდა ხალხი და მანქანების დაღეწვას ლამოდა. ყველა უბედურების მიზეზად ხალხს მანქანები მიაჩნდა. ეს „რკინის კაცები“ არიან ჩვენი უბედურების მიზეზიო, გაიძახოდა ხალხი.

ახლა კი შეშინდა პარლამენტი; მან გააუქმა „ჰაბეას კორპუსი“, მაგრამ ყველა ის ბილლი კი, რომელიც მინისტრებმა წარუდგინეს მას, მიღებულ იქმნენ.

„ჰაბეას კორპუსი“ ერთი წლით გააუქმეს. გავიდა თუ არა ეს ვადა, პარლამენტმა ისევ განახლოა იგი. ეს იყო და ეს; ამის შემდეგ „ჰაბეას კორპუსი“ აღარ გაუქმებულა.

გავიდა აგრეთვე იმ კანონის ვადა, რომლის ძალითაც აღკრძალეს მიტინგები. იმ ხანადვე ქალაქ ბირმინგამში მოხდა მიტინგი, რომელზედაც ოც და ხუთი ათასი კაცი დაესწრო. ამ მიტინგზედ შემდეგ გადაწყვეტილებას დაადგენენ:

—ჩვენ პეტრიციებით ვერაფერს ვერ მივაღწევთ; საჭიროა პარლამენტში გავგზავნოთ კაცი და ესთხოვოთ მას, ნება მო-



გვეს ჩვენი დემუტატები გავგზავნათ სათქმელსა ზალატაჲსა. იქვე აირჩიეს ერთი მემამულე და ფიცი ჩამოართვეს, რომ იგი გამოცხადდებოდა პარლამენტში და იმოქმედებდა როგორც ნამდვილი დემუტატი. ასევე მოქცევა დააპირეს ქალაქ მანჩესტერის მცხოვრებლებმაც. მოძრაობაში მოსული ხალხი მიტინგს მიტინგზედ მართავდა. საყურადღებო აქ ის არის, რომ ამ მიტინგებზედ მდიდარი მემამულეები და ადგილობრივი მდიდრები ესწრებოდნენ. ვიგების პარტიამ შეერთება იწყო. ეს ვიგები, რომელნიც საფრანგეთის რევოლუციის წინად, ტორიებივით რეფორმის წინააღმდეგი იყვნენ, ახლა რეფორმის მომხრე ვიგებს შეუერთდნენ, რომლებსაც რადიკალებს უწოდებდნენ. ასე უწოდებდნენ მათ, რადგან იგინი მომხრენი იყვნენ ძირითადი რეფორმისა. ბოლოს პარლამენტიც შეიკრიბა. სეფე სიტყვაში ლაპარაკი იყო არეულობათა და შეთქმულებათა შესახებ; აღნიშნული იყო აგრეთვე განსაცდელი, რომელიც მოელოდა ხალხს ბოროტ მომქმედი პირებისაგან. იმაზედ კი, რაც ინგლისის ხალხისთვის ყველაფერზედ სანატრელი, საქირო და სასურველი იყო, ესე იგი საპარლამენტო რეფორმაზედ, ერთი სიტყვაც არ იყო აქ ნათქვამი. ამის მაგივრად პარლამენტში შეიტანეს ექვსი ბილლი, რომელთა წყალობით ვითომ თელი ინგლისის ხალხი უნდა დაემშვიდებიათ. ერთ ბილლში ნათხოენი იყო, რომ ხელახლა შეემკირებიათ მიტინგების გამართვის უფლება. ამ ბილლის ძალით კანონიერად მხოლოდ ის მიტინგი ჩაითვლებოდა, რომელსაც მოუწოდებდა საგრაფოებში შერიფი და ქალაქში—ქალაქის თავი. დანარჩენი მიტინგები სასტიკად უნდა აღეკრძალათ. ნება დართული იყო აგრეთვე სამრევლო მიტინგები; ასეთ მიტინგებზედ ვარცშე პირებს არ შეეძლოთ დასწრება. ქალაქებსაც აღკრძალული ჰქონდათ მიტინგებზედ დასწრებოდნენ. თუ მიტინგზედ დამსწრეებს აღშფოთება და არეულობის მოხდენის სურვილი შეეჩნეოდათ, მაშინ შესაძლო იყო, მიტინგი ძალით დაეშალათ და იქ დამსწრენი გაეფანტათ; თუ ასეთ დროს მოიკვლოდა ვინმე, ამის-

თვის ადგილობრივი მთავრობა პასუხს არ აცემდა. მხოლოდ არც ბეჭდვითა სიტყვა იყო დავიწყებული; აქ აღნიშნული იყო ზომები ისეთი თხზულების ან ნაწერების წინააღმდეგ, რომლებშიაც არეულობის ტ აშოხების საჭიროებაზედ იყო ლაპარაკი. თუ რომელიმე წიგნების ვაჭარს აღმოუჩნდებოდა ასეთი წიგნი, გარდა იმისა, რომ წიგნს დაუყონებლივ ჩამოართმევდნენ მას, პასუხის გებაშიაც მისცემდნენ. წიგნი მხოლოდ იმ დროს უბრუნდებოდა პატრონს, თუ გამოძიება აღმოაჩენდა, რომ იგი არ იყო მავნებელი შინაარსის, არა და წიგნი სამუდამოთ ეკარგებოდა პატრონს. მვენებელ შინაარსიანი წიგნის გამოცემისათვის გამომცემლებს ახდევინებდნენ ჯარიმას, აპატიმრებდნენ და სხვა.

გარდა ამისა ყველა იაფ წიგნზედ და გაზეთზედ უნდოდათ განსაკუთრებული გადასახადი დაედოთ. ამით წიგნი და გაზეთი გაძვირდებოდა და მათი მკითხველების რიცხვი შემცირდებოდა. ყველა ამ ბილლებს გამო დიდი და ხანგრძლივი კამათი იყო პარლამენტში. ბოლოს გამარჯვება მაინც ტარიებს დარჩათ: პარლამენტმა ყველა ზემოაღნიშნული ბილლი მიიღო; ყველა ეს ბილლი ახლა კანონებათ იქცენ, ხოლო ის ბილლი კი, რომელიც შეეხებოდა აშოხების დროს მომხდარ მიტინგებს, მიღებულ იქნა მხოლოდ ხუთი წლით.

ამ დროს მეფე გიორგი გარდაიცვალა და ტახტზედ ავიდა მისი შვილი გიორგი მეოთხე. ეს მეფე ინგლისელებს არ უყვარდათ და შართლაც რომ მასში სასურველი და საყვარელი არა იყო რა: გიორგი იყო გარყენილი, უზნეო, ნოქიფე, ლოთი და მტლანგავი კაცი; როგორც მამა მისს, მისაც ტორიების მხარი ეჭირა, ასე რომ იმის დროსაც ინგლისში ტორიები ბატონობდნენ.

ათას რეაას ოც და ხუთ წელს გათავდა იმ კანონების ვადა, რომელნიც მიტინგებს შეეხებოდნენ: ამის შემდეგ ერთჯერაც აღარ ცდილან მიტინგების განართვის უფლება შეეზღუდათ. დღეს ინგლისში მიტინგის გამართვისათვის არავითარ



ნებაართვას არ თხოულობენ; ამ შხრით იქ სოფლისათვის უკანონოა. მიტინგი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება უკანონო, როცა დამსწრეებს მიზნათ აქვთ, სრულიად უკანონო რამ მოიქმედონ. ამ გვარი მიტინგი, როგორც უკანონო, შეიძლება ძალით გაფანტოს და დაშალოს მთავრობამ. უკანონოთ ითვლება აგრეთვე ისეთი მიტინგი, სადაც შუქარა გაისმის და ხალხი აღელვებულია.

დანარჩენ შემთხვევებში მიტინგი კანონიერია, თუნდა უკანონოთ სცნოს იგი თვით მინისტრებმა, ან მსაჯულმა, ან რომელიმე მოხელემ.

ასე გათავდა ინგლისში მიტინგებისათვის ბრძოლა. ინგლისის ხალხმა სრული უფლება მოიპოვა თავისუფლად მიტინგების გამართვისა.

§ 7.

ტორიების პარტიის დასუსტება. — ამის მიზეზი. — როგორ უმსგავსოთ ექვეოდნენ „დამყაებულ ადგილებს“. — როგორ მოექცა ნიუკასტლის გერკოგი ერთ დემუტატს. — მეფე ვილჰელმ მეოთხე. — ახალი პარლამენტი. — ვიგებს გამარჯვება. — ბილლი რეფორმის შესახებ. — ბილლი უარყოფა პარლამენტისაგან. — პარლამენტის დათხოვნა. — ახალი პარლამენტი. — ბილლის მიღება სათემო პალატისაგან. — ბილლის უარის ყოფა ლორდთა პალატისაგან. — ხალხის უკმაყოფილება. — მეფის მუქარა. — ლორდთა პალატის თანხმობა. — ბილლის მიღება. — საყოველთაო სიხარული. — გაუქმება იმ კანონისა, რომელიც დიეს შეუებოდა.

პარლამენტს იმედი ჰქონდა, რომ მისგან გამოცემული ექვსი სასტიკი კანონის საშუალებით მიზანს მალე მიაღწევდა, ხალხს ხმას გააკმენდინებდა და რეფორმაზედ ლაპარაკის საშუალებას მოუსპობდა, მაგრამ ამაოდ: ინგლისის ხალხი თავისას არ იშლიდა. ბოლოს მან კიდევაც მიაღწია საწადელს.

ათას რუას ოც და მეორე წლის განმავლობაში პარლამენტს ურიცხვი პეტციციები მოსდიოდა სხვა და სხვა ქალაქებიდან და ცხრა საგრაფოდგან. პირველი მინისტრი კი ყველა პეტციციების პასუხად დაჟინებით გაიძახოდა: „სანამ მე პირვე-

ლი მინისტრი ვარ, რეფორმის წინააღმდეგი ვიქნებომა მემ ჩემ ზნეობრივ მოვალეობათა ვაღლია“.

გიორგი მეფის მეფობის დროს ტორიების პარტია დასუსტდა; მან დაჰკარგა უწინდელი ძალა და გავლენა; აი რა იყო ამის მიზეზი. ჩვენ ვიცით, რომ ტორიების პარტიის უმთავრესად შემამულეები შეადგენდნენ. მაგრამ მათ რიცხვში უკანასკნელ დროს მოჰყვა ბევრი გამდიდრებული მრეწველი და ვაჭარი, რომლებსაც დიდძალი მამულები შეიძინეს. ეს ახალი შემამულეები ანუ ლენდ-ლორდები ვიგები იყვნენ. გარდა ამისა ძველი ლენდ-ლორდების შვილები საქმეს ისე აღარ უყურებდნენ, როგორც მათი მამები; ბევრ მათგანს ახლა რეფორმა აუცილებლად მიაჩნდა. ამავე დროს ტორიები საყოველთაო უკმაყოფილებას იწვევდნენ ხალხში თავიანთი კანონებით, რომელნიც ასე საშინლად ავიწროებდა ხალხის თავისუფლებას. პირველ მინისტრის სიტყვებმა, რეფორმის წინააღმდეგი ვიქნებომა, დიდათ აწეო ტორიებს და ხალხის უკმაყოფილებამ კიდევ უფრო იმატა. ყოველივე ამას ზედ დაერთო ისიც, რომ „დამყაყებულ ადგილების“ მცხოვრებლებს ყოველად უმსგავსოდ და უსამართლოდ ექცეოდნენ. ათას რვაას ოც და ცხრა წელს შემდეგი ამბავი მოხდა.

ნიუკესტელის გერცოგმა ერთ დებუტატს უბრძანა, ამა და ამ კაცს მიეცი შენი ხმაო. ეს დებუტატი არჩეული იყო იმ მცხოვრებთა შორის, რომელნიც გერცოგის მამულზედ ცხოვრობდნენ. წინააღმდეგ გერცოგის ბრძანებისა, დებუტატმა ხმა სხვას მისცა. გაგულისებულმა გერცოგმა დებუტატი გამოსცვალა და მის მაგიერ სხვა დანიშნა. ამ სადებუტატიო კაცს არჩევნების დროს მოპირდაპირე აღმოუჩნდა. გაბრაზებულმა გერცოგმა ფიქლავ ჩამოართვა მიწები იმათ, ვინც მისგან დასახლებული კაცის მოპირდაპირეს მისცა თავისი ხმა.

გაიგეს თუ არა ეს ვიგებმა, ბრალი დასდევს გერცოგს უსამართლოდ მოქმედებაში.

—ნუ თუ მე ნება არა მაქვს ისე მოვიხმარო ჩემი საკუ-



თრება, როგორც მსურსო, სთქვა გერცოგმა, როგორც გვეფო, რაჟი
მას ბრალსა სდებდნენ.

ასე თუ ისე ტორიების ბატონობის დღე დათვლილი იყო. ათას რვაას ოც და ათ წელს გარდაიკვალა გიორგი მეოთხე და ტახტზედ ავიდა ვილჰელმ მეოთხე. ამ შემთხვევის გამო პარლამენტი დაითხოვეს და ახალი არჩევნები დანიშნეს. ამ არჩევნებზედ გამარჯვება ვიგებს დარჩათ. ახალ პარლამენტში ტორიებს ვიგები აღემატებოდნენ. ტორიების მინისტრებმა თანამდებობას თავი დაანებეს, რადგან სათემო პალატა მათი წინააღმდეგი იყო. მათი ადგილები ვიგების მინისტრებმა დაიჭირეს. ვიგების პირველი მინისტრობა გრაფ გრეის ხედა. ათას რვაას ოც და თვრამეტ წელს, პირველ მარტს, გრემ პალატაში შეიტანა ბილლი რეფორმის შესახებ. ამ ბილლში ნათქვამი იყო: „დამყაყებულ ადგილებს“, რომელშიც ორი ათასზედ ნაკლები მცხოვრებია, პარლამენტში დეპუტატის გაგზავნის უფლება წაერთვას; დანარჩენთ შერჩეს უფლება რამოდენიმე დეპუტატის მაგიერ ერთი დეპუტატის გაგზავნისა: პარლამენტში არსებული თავისუფალი ადგილები დიდ ქალაქებს გადაეცესო. ამ რიგით დიდმა ქალაქებმა, ბოლოსაც იყო, პარლამენტში დეპუტატების გაგზავნის უფლება მიიღეს. თანახმად ახალი ბილლისა უნდა დადგენილიყო სამუდამო წესი საგრაფო და საქალაქო არჩევნებისა. ინგლისის და ირლანდიის ქალაქებში ამრჩევლად შეეძლო ყოფილიყო ის, ვისაც ეკუთვნოდა ან და ნაქირავები ჰქონდა ან სახლი, ან მალაზია, ან საწყობი ადგილი და იხდიდა ქირას ას მანეთს. საგრაფოებში ასეთი უფლება უნდა მისცემოდა ყველა შემამულეს და ფერმერს, რომელსაც გრძელ ვადიანი იჯარით ჰქონდა აღებული მიწა და მასთან წლიურად ასი მანეთი შემოსდიოდა. ვისაც მოკლე ვადიანი იჯარით ჰქონდა მიწა, მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო ამრჩევი ყოფილიყო, თუ წლიურად ხუთასი მანეთი შემოსდიოდა.

ამ ბილლში ერთი სიტყვაც არ იყო ხმის საყოველთაო

უფლებახედ და ყოველწლიურ პარლამენტზედ, ესე იგი არა იყო
რა ნათქვამი სწორედ იმაზედ, რაც ყველაფერზედ უფრო სუ-
რდა რადიკალურ პარტიას და მასთან ერთად ინგლისის ხალხს.

მიუხედავად ამისა ბილლი იმდენათ ებლაშათ შემამულე-
ებს, რომ საშინელი ბრძოლა ასტეხეს პარლამენტში და საქმე
იქამდის მიიწვანეს, რომ პარლამენტმა ეს ბილლი უარჰყო.
გრეი სულით არ დაეცა. მან გადასწყვიტა, საქმე განეგრძო
სანამდისაც შესაძლო იყო; მას კიდევ იმედი ჰქონდა, რომ სა-
ქმეს შემოაბრუნებდა. ინგლისში შემდეგი წესი არსებობს.
ვთქვათ, მინისტრმა პარლამენტში თავისი ვერ გაიტანა; მას
შეუძლია მეფეს სთხოვოს პარლამენტის დათხოვა და ახალი
არჩევნების დანიშვნა. ახალი არჩევნები ცხადათ დაანახვებენ
მინისტრს, თუვისკენ არიან ამომრჩეველები. თუ მას თანაუგრძნო-
ბენ ამომრჩეველები, მაშინ დეპუტატებათ ისეთი პირები იქნე-
ბიან არჩეულნი, რომელნიც მინისტრს დაუჭერენ მხარს და
მას მისცემენ თავიანთ ხმებს, როცა საჭიროება მოითხოვს; წი-
ნააღმდეგ შენთხვევაში მინისტრის საქმე წასულია: პარლამენ-
ტში მისი მოწინააღმდეგე დეპუტატები გაიგზავნებიან და მა-
შინ მის ბილლს ველარა უშველის რა.

გრაფი გრეიც სწორედ აგრე მოიქცა; მან მიმართა მეფეს
და სთხოვა პარლამენტის დათხოვა და ახალი არჩევნების და-
ნიშვნა. მეფე დასთანხმდა. დაინიშნა ახალი არჩევნები. რა
თქმა უნდა, ვიგების პარტია აქ არ სთვლემდა. მან გარკვევით
განაცხადა ამრჩეველების წინაშე, თუ რა სურდა მას. „ბილლი
უკლიანად, მხოლოდ ბილლი და ახვა არაფერიო“ იმეორებ-
დნენ ამ პარტიის მეთაურები.

ვიგების შედგარმა ბრძოლაში, დამბოლოსაც იყო, ნაყოფი მოი-
ტანა. ახალ პარლამენტში ვიგები ტორიებზედ მეტი მოჰყვეს და
ბილლიც გავიდა. სათემო პალატიდგან ბილლი ლორდთა პალა-
ტაში გადაიტანეს. ლორდთა პალატამ ბილლი უარჰყო.

სულ რამოდენიმე საათი არ გასულა, რომ ლონდონის
მცხოვრებლებმა გაზეთის საშუალებით გაიგეს, თუ რა ბედი




ეწია ბილლის. მათ უკმაყოფილებას სამხლევარ-ბილლის კონკრეტულად აღვლევებულ ხალხს ვერ მოენდობია ლორდების ასეთი მოყმედება; ზოგს ლორდთაგანს, ის იყო, კინალამ სცემეს; მათი სახლის ფანჯრები და კარები ქვევით ჩაამტვრია მოთმინებიდგან გამოსულმა ხალხმა. აქა-იქ იმაზედაც კი დაიწყეს ლაპარაკი, რომ ლორდთა პალატა სრულიადაც საჭირო არ არის და ამიტომაც მოვსპოთ იგიო. ქალაქ ბირმინგემში ას არმოც და ათი ათასმა კაცმა მიტინგი გამართა. ერთი ფარა რა არის, ნუ ვაღვიხნით, სანამ ბილლის მიიღებდნენო, დაადგინეს ამ მიტინგზედ. როგორც ბირმინგემში ისე სხვა ქალაქებშიაც გაიმართა მიტინგები; ხალხი ყველგან ერთსა და იმავეს გაიძახოდა: „თუ ბილლი არ აქნება მიღებული, გადასახადის გადამხდელი არ ვართო“. ბევრგან ამბოხებამ იფეთქა. ყველა საყოველთაო ამბოხებას მოელოდა; ამომრავებული და აღვლევებული ხალხის ბრბოები ბაიარლათ ხელში, მიდი-მოდიოდა და თავისას გაიძახოდა. ბაიარლზედ წარწერილი იყო: „ძირს ლორდები, უარი გადასახადებზედ, ხელი იკარ იარაღსაო“;

ახლა გრემ სთხოვა მეფეს, ნება მომეცი, ისეთ პირებს მივსცე პერობა, რომელნიც რეფორმის მომხრენი იქნებიანო. რადგან მეფეს სრული უფლება ჰქონდა, თითოეულისათვის ებოძა პერის წოდება, ვიღძველმ მეოთხემ ნება დართო გრემს. ამით შეშინებული ლორდები ბილლის თანხმანი გახდნენ. ამ რეფორმის შემდეგ ინგლისში ამომრჩეველთა რიცხვს ერთი მილიონი ახალი ამომრჩეველი მოემატა.

სანამდის ეს საპარლამენტო რეფორმა მოხდებოდა, კიდევ ერთი მეტათ მნიშვნელოვანი ბილლი დაკანონდა ინგლისში. როგორც ვიცით, ინგლისში არსებობდა კანონი „ფიცის შესახებ“. თანხმად ამ კანონისა, ვისაც სურდა, რომელიმე სამხედრო ან სამოქალაქო თანამდებობა მიეღო, ან პარლამენტის წევრათ გამხდარიყო, ფიცი უნდა მიეღო, რომ იგი ანგლიკანურ სარწმუნოების მადიარებელი იყო. გარდა ამისა ასეთი პირი ანგლიკანური ეკლესიის წესის თანახმად უნდა ზიარე-

ბულიყო. სანამ ასეთი კანონი არსებობდა, არც ბუღიტიანებს და არც ბურტიანებს არ შეეძლოთ, ან პარლამენტის წევრი გამხდარიყვნენ, ან რომელიმე თანამდებობა მიეღოთ. აი ეს კანონი გაუქმდა ათას რვაას ოც და ცხრა წელს; ამ კანონის გაუქმებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ირლანდიისათვის, სადაც მცხოვრებლების ოთხი მეხუთედი კათოლიკეები იყვნენ.

საქართველოს საეკლესიო კანონები



საქართველოს საეკლესიო კანონები

ათას რეაას ოც და თორმეტი წლის რეფორმის შედეგი. — ბარლამენტარული მმართველობა. — რაში მდგომარეობს იგი. — დედოფალი ვიკტორია. — ვიგების მმართველობა. — პარტიების ახალი სახელ-წოდება: კანსტრუქტორები და ლიბერალები. — ლიბერალების მმართველობა. — ახალი რეფორმები.

თ ა ზ ი X.

ინგლისი ათას რეაას ოცდა თორმეტი წელს მომხდარ ბარლამენტარულ რეფორმის შექმნეგ—ვიკტორიას დედოფლობის დროს.

§ 1.

ათას რეაას ოც და თორმეტი წლის რეფორმის შედეგი. — ბარლამენტარული მმართველობა. — რაში მდგომარეობს იგი. — დედოფალი ვიკტორია. — ვიგების მმართველობა. — პარტიების ახალი სახელ-წოდება: კანსტრუქტორები და ლიბერალები. — ლიბერალების მმართველობა. — ახალი რეფორმები.

ათას რეაას ოც და თორმეტი წლის რეფორმამ გაცილებით ნაკლები სარგებლობა მოუტანა ხალხს, ვინემ მოელოდნენ. მას არ მიუცია ხალხისათვის არც საყოველთაო არჩევის უფლება, არც ყოველწლიური ბარლამენტები და არც დახურული კენჭის ყრა; მან მიანიჭა მხოლოდ დეპუტატების არჩევის უფლება საშუალო წოდებას, ე. ი. ვაჭრებს, მწარმოებლებს, მეფაბრიკეებს, დიდრონ ხელოსნებს და წვრილ ვაჭრებს. ვისაც არ შეეძლო სადგომში წლიურათ ასი მანეთი გადაეხადა, ან და იჯარით აეღო ისეთი ნაკვეთი მიწისა, რომელსაც წლიურათ ხუთასი მანეთი შემოაქონდა, მას არჩევანში მონაწილეობის შილება არ შეეძლო. მაგრამ ამ რეფორმას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა; მან ინგლისის ცხოვრებაში დიდი ცვლილება მოახდინა. შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ათას რეაას ოც და თორმეტი წლიდგან, როცა ბილლი იქნა წიღებული, ინგლისის ძველი წეს-წყობილება დაეცა და მის მაგიერ ახალია წეს-წყობილებამ მოიკიდა ფეხი. ეს მოხდა იმიტომ, რომ ძვე-

ლი პარლამენტი შეიცვალა. მოისპო დამყაყებელი ადგილები და მასთან ერთად თითქმის განჭრენ ის დეპუტატები, რომლებსაც შემამულები ნიშნავდნენ და მათი ადგილები დაიჭირეს იმ დეპუტატებმა, რომლებსაც ირჩევდნენ ვაჭრები და მრეწველნი. ამ დეპუტატებს სავაჭრო და სამრეწველო ქალაქები გზავნიდნენ. ახალი ამომრჩევლნი, წერილი ვაჭრები და მრეწველები, დამოუკიდებელა ხალხი იყო; ამის გამო ვინმეს მოსყიდვა წინანდელზედ უფრო იშვიათ მოვლენათ განდა, თუმცა მართალია, სრულიად კი ვერ მოისპო ეს სამარცხვინო ღონის ძიება. ახლა მეფეს არ შეეძლო გიორგი მესამესავით ისეთ სათემო პალატა შეედგინა, როგორც მას უნდოდა; მას ახლა ძალაუნებურათ პარლამენტის სურვილისამებრ უნდა ემართა სახელმწიფო. მეფე ვილჰელმ მეოთხემ სცადა კიდევ თავისს ნებისათ მინისტრების დანიშვნა, მაგრამ ამ ცდამ ფუჭათ ჩაუარა. ათას რვათს იც და თორმეტი წლის რეფორმის შემდეგ დეპუტატთა არჩევა მოხდა და ვიგები უფრო მეტი იქნენ არჩეულნი, ვინემ ტორიები; ამიტომაც მინისტრებათ ვიგები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ვილჰელმ მეოთხეს ვიგები არ უყვარდა და პირველ მინისტრს, ვიგს, მისწერა, ვიგების ნდობა არ მაქვს და მსურს სახელმწიფო ტორიების შემწეობით ვმართო, რის გამო პირველ მინისტრათ ტორიების პარტიიდგან რობერტ პილს ვნიშნა. პილი კარგად ხედავდა, რომ ისეთი პალატის შემწეობით მართვა, რომლის უმრავლესობა მისი მოწინააღმდეგე ვიგებისაგან შესდგებოდა, საქმელო იყო. ამისათვის მან პარლამენტი დაითხოვა და ახალი არჩევნები დანიშნა, მაგრამ ამ ახალმა არჩევნებმა წინანდელზედ უფრო მეტი ვიგები შესძინა პარლამენტს. პილმა მაინც სცადა ბედი, მაგრამ სათემო პალატამ ოთხჯერ უარპყო მისი წინადადება. მაშინ პილმა თავი დაანება მართვას და თვითონვე განაცხადა:

—როცა სათემო პალატა წინააღმდეგია მინისტრებისა, მაშინ მინისტრებმა მართვას თავი უნდა დაანებონ, თუნდ მეფე და ლორდთა პალატა მათი მომხრე იყოსო.



ამის შემდეგ ინგლისში ამ გვარი უკიდურესად ცუდად მოკლდა; როცა სათემო პალატა უარჰყოფს მინისტრების რომელიმე დიდმნიშვნელოვან წინადადებას, მაშინ მინისტრებმა თავიანთ თანამდებობაზედ ხელი უნდა აიღონ.

ათას რვაას ოც და ზვიდშეტ წელს ვილჰელმ მეოთხე გარდაიცვალა და ტახტზედ ავიდა მისი ძმისწული ვიკტორია.

თავის ხანგრძლივ მმართველობის დროს ვიკტორიას ერთხელაც არ დაურღვევია აღნიშნული ჩვეულება, ერთხელაც არ ცდილა იგი, რომ თავისი სურვილისამებრ დაენიშნა მინისტრები. ის მოიწვევდა ხოლმე იმ პარტიის მეთაურს, რა პარტიაც უმეტესობდა პარლამენტში და დაეაღებდა მას, თანამშრომლათ აერჩინა მინისტრები, ე. ი. შეედგინა სამინისტრო. თვით მეთაური აქ უნდა გახდეს პირველ მინისტრათ ლ აირჩიოს ამხანაგებათ იმ პარტიის წევრნი, რომელსაც თვითონ ეკუთვნის იგი. თუ პირველი მინისტრი ლორდია, მაშინ ის ხელმძღვანელობას უწევს თავისს პარტიას ლორდთა პალატაში. ასეთ შემთხვევაში სათემო პალატა ირჩევს თავისს მხრივ თვისს მეთაურს, ანუ ლიდერს. თუ პირველი მინისტრი ლორდი არ არის, მაშინ ის სათემო პალატაში ითვლება თავის პარტიის ლიდერთათ ანუ მეთაურად, ლორდთა პალატაში კი მაშინ სხვა ვინმეა ლიდერი. პირველი მინისტრი და მისი ამხანაგები განაგებენ ინგლისს მხოლოდ მანამდის, სანამ სათემო პალატა მათვენაა. თუ კი სათემო პალატა რაიმე მიზეზის გამო უკმაყოფილოა, მაშინ ან პირდაპირ უცხადებს იგი მინისტრებს უკმაყოფილებას, ან და უარჰყოფს ისეთ წინადადებას ან ბილლს, რომლებიც მინისტრებს დიდმნიშვნელოვანათ და აუცილებლათ შიარჩნიათ. მაშინ პირველმა მინისტრმა ამხანაგებითურთ თანამდებობაზედ ხელი უნდა აიღონ. მაგრამ სანამ ამის იხამდნენ, მათ შეუძლიანთ სკადონ კადევ თავიანთ ადგილზედ დარჩენა, შეუძლიან მეფეს სთხოვონ, პალატა დაითხოვე და ახალი არჩევნები დანიშნეო. თუ ახალ პალატაში უმრავლესობა მინისტრების მომხრე იქნება, მაშინ მინისტრებს შეუძლიანთ დარჩნენ თავიანთ ადგილებზედ, წინააღმდეგ შემ-

თხვევაში თანამდებობიდან უნდა გადადგენ. მათ არ აქვთ უფლება ხელოვნურად პალატის დათხოვნისა, ასეთ შემთხვევაში მეფე მოუწოდებს იმ პარტიის მეთაურს, რომელსაც გამარჯვება დარჩა, ნიშნავს მას პირველ მინისტრად და მასვე ავალებს ახალი სამინისტროს შედგენას. ახლა ამ სამინისტროს ხელში გადადის ინგლისის მართვა-გამგეობა. ის მინისტრები კი, რომლებმაც თანხმად პარლამენტის უმეტესობის სურვილისა მართებლობას თავი დაანებეს, ხდებიან ახალ სამინისტროს მოწინააღმდეგეები; იგინი თავის პარტიასთან ერთად იბრძვიან იმ წინადადებათა წინააღმდეგ, რომელნიც მათ არ მოსწონთ, წუნსა სდებენ ახალ მთავრობის იმ ზომებს, რომლებსაც არ თანაუგრძნობენ, უთითებენ საზოგადოებას, თუ რაშია სამინისტროს მოქმედების და მოღვაწეობის ნაკლი.

ამ ნაირათ თუმცა მეფეს შერჩა მინისტრების დანიშნის ძველი უფლება, მერა მას შეუძლია დანიშნოს მთავარ-მინისტრად მხოლოდ იმ პარტიის მეთაური, რომელიც პარლამენტში წევრთა უმეტესობას შეადგენს; ასე რომ ნამდვილად მინისტრებს მხოლოდ პარლამენტი ნიშნავს მეფის სახელით ზე არა მეფე. ამიტომაც თუ პარლამენტი კმაყოფილი არ არის მინისტრებისა, მაშინ მინისტრებმა თანამდებობას თავი უნდა დაანებონ. ასე რომ ათას რვაას ოც და თორმეტ წლის რეფორმის შემდეგ მინისტრებს ნიშნავს და ინგლისს მართავს პარლამენტი და არა მეფე.

ეს პარლამენტარული მმართველობა სამუდამოდ დამკვიდრდა ინგლისში ვიკტორიას მეფობის დროს.

რადგან ვაჰართა და მრეწველთა კლასი უფრო ვიგებისა-კენ იყო, ვინემ ტორიზისაკენ, ამისათვის ათას რვაას ოც და თორმეტი წლის შემდეგ პარლამენტში ვიგების უმეტესობა მოჰყვა, რის გამოც მინისტრებათ ვიგები ინიშნებოდნენ. ოც და თორმეტი წლის განმავლობაში, მცირე გამოჩაყლით, ინგლისს ვიგები მართავდნენ. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ვიგების და



ტორიების ძველმა პარტიებმა ამ დროიდგან ახალი სახელწოდება მიიღეს. ტორიებს ახლა უწოდებდნენ კონსერვატორებს და ვიგებს—ლიბერალებს; კონსერვატორები ჩვეულებრივად ძველ წეს-წყობილებას იცავენ და ეწინააღმდეგებოდნენ რეფორმებს და თუ ხანის ხან ეთანხმებოდნენ ამ რეფორმებს შოლოთ იმიტომ, რომ სხვა გზა არ იყო. რადგან დიდი უმეტესობა ამ რეფორმის მომხრენი იყვნენ. ლიბერალები კი ცდილობდნენ, შემოეღოთ რეფორმები და ინგლისის კანონები გაეუქმებინათ.

ლიბერალების მართვა-გამგეობას ინგლისისათვის ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ლიბერალები იცავენ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებას; გამოამკემლებს და მწერლებს ისე არ უყურებდნენ, როგორც მტრებს და არ სდევნიდნენ მათ. მათ დროს გაზეთებზედ დადებული გადასახადი შემცირდა და ბოლოს სულ მოიშალა. გაზეთი გაიფუტა, რის გამოც მკითხველთა რიცხვმა ფრიად იმატა. გაზეთებზედ გადასახადის შემცირებამდის ინგლისში ოც და თექვსმეტი მილიონი გაზეთი სალდებოდა. როცა გადასახადმა დაიწია, გაზეთების რიცხვი ორმოც და ცამეტ მილიონამდინ ავიდა. ამ გადასახადის სრულიად მოსპობის შემდეგ კი ყოველ დღე ას მილიონი სალდებოდა. ინგლისში მაშინ თორმეტი მილიონი მცხოვრები იყო.

ათას რვაას ოც და თექვსმეტ წელს პალატამ დაადგინა პარლამენტის გადაწყვეტილებათა სია ესტანბათ. ათას რვაას ოც და თორმეტ წელს კი ასეთი გადაწყვეტილების გამოქვეყნება დანაშაულობათ ითვლებოდა. ხალხს ნება მიეცა სათემო პალატის სხდომებზედ დასწრებისა. ათას რვაას ოც და თორმეტ წელს სხდომების ძველი დარბაზი დაიწვა; მის მაგიერ ახალი ააშენეს, სადაც ხალხისათვისაც იყო ადგილი, კაცებისათვის ცალკე—და ქალებისათვის—ცალკე.

ათას რვაას ოც და თორმეტი წლის რეფორმის გამო ლენდ-ლორდების ბატონობას ბოლო მოეღო. რეფორმის შემ-

დღე მარტო იგინი აღარ მართავდნენ ინგლისს. ახლაცაა თან ერ-
თად მართვა-გამგეობის საქმეში წილი დაიდვა ვაჭართა და მრე-
წველთა კლასმა. ეს კლასი, რასაკვირველია, თავის ინტერე-
სებს იკავდა და პარლამენტში გაჰყავდა ისეთი კანონები, რომ-
მელნიც მათთვის სასარგებლო იყო.

რა თქმა უნდა, რაც ვაჭრებისათვის და მრეწველთათვის
სასარგებლო იყო, ის ხშირად მემამულეებისათვის საზარლო
იყო.

ამიტომაც ამ ორ კლასს შორის საშინელი ბრძოლა ასტყდა.
ვაჭარ-მრეწველთა კლასი ისე გამდიდრდა, ვალონიერდა
და გამრავლდა, რომ ამ ბრძოლაში ხშირათ ამარცხებდა მემამ-
ულეებს და თავისი გაჰყავდა.

შეტათ გამძვინვარებული და მედგარი ბრძოლა მოხდა ვა-
ჭარ-მრეწველთა კლასსა და მებატონეებს შორის ჰურის კან-
ონების შესახებ.

§ 2.

ბრძოლა ჰურის კანონების წინააღმდეგ. — ჰურის კანონები. — რა ენება მო-
უტანა მცხოვრებლებს და ვაჭარ-მრეწველთა კლასს ამ კანონებმა. — ჰურის
კანონების საწინააღმდეგო ღოჯა. — რიხადრ კობდენი. — თავისუფალი ვაჭრო-
ბის პარტია პარლამენტში. — სერ რობერტ პილი. — სიმშლი ირლანდიაში.
— ბილი ჰურის კანონების გაუქმების შესახებ. — პილიტები. — ჰურის კან-
ონების გაუქმება. — პილის თანამდებობიდან გადადგომა და ამის მიზეზი.

ჰურის კანონების შესახებ ჩვენ წინეთაც ვილაპარაკეთ.
ათას რვაას თუთხმეტ წელს ჰურის შემოტანა ინგლისში თი-
თქმის სრულიად აღკრძალული იყო. შემოსატან ჰურს ისეთი
ღიდი ბაყი ედო, რომ მისი შემოტანა ინგლისში საზარლო
იყო. ბაყის დაკლება მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როცა ერთი
კვარტერი*) ჰურის ფასი ორმოც მანეთამდინ იწევდა. ეს
ფასი ისეთი აუტინელი იყო, რომ მას „სიმშლის ფასი“ უწო-
დეს. ჰურის კანონი გამოცემული იყო მემამულეების სასარ-
გებლოთ შიათი მომხრე პარლამენტისაგან.

*) კვარტერი საწყაია.



ბაჟი ხელსაყრელი იყო მხოლოდ მემამულეებისათვის პურს მებატონეები აწარმოებდნენ და, რასაკვირველია, რა უფრო ძვირათ გაჰყიდდნენ ივინი პურს, მით უფრო ხელსაყრელი იყო შათთვის. ამას გარდა პურის სიძვირის გამო მებატონეებს შეეძლოთ ფერმერებისაგან დიდი საიჯარო გადასახადი აეღოთ. პურის ბაჟი მძიმე უღლათ აწვა ინგლისის ხალხს კისერზედ; ეს იყო ყველაზედ უსამართლო და უმძიმესი ბაჟია ე. ი. ბაჟი საქმელზედ, ურომლისოდაც ცხოვრება შეუძლებელია. ინგლისის ხალხი თავისს გამოსაკვებათ მემამულეების სასარგებლოთ ზედ-მეტს იხდიდა ყოველწლიურათ სამას მილიონ მანეთს.

პურის ბაჟი არც ვაჭარ-მრეწველთა კლასისათვის იყო სასარგებლო. მრეწველთ და ვაჭრებს ძალიან კარგათ ესმოდათ, თუ როგორ აბრკოლებდა მათ ვაჭრობა-მრეწველობას ინგლისში პურის შემოტანის აღკრძალვა. პურზედ რომ ესოდენი ბაჟი არ ყოფილიყო დაწესებული, უცხოელებს შეეძლოთ მეტი პური შემოეტანათ ინგლისში და ნაცულათ ინგლისელ მრეწველთაგან საქონელი ეყიდათ. ამით მათ შეძლება მიეცემოდათ, წარმოება გაეფართოებიათ

აი რისთვის იყო, რომ მრეწველებმა, ვაჭრებმა და მეჭარხნებმა გადასწყვიტეს, მთელი თავისი ძალღონით ებრძოლათ პურის კანონების გაუქმებისათვის. ათას რვაას ოცდა ცხრაშეტ წელს ქ. მანჩესტერში, რომელიც ინგლისის მანუფაქტურის შუაგულ ადგილათ ითვლებოდა, კავშირი შედგა. ამ კავშირის მიზანი იყო--ბრძოლა პურის კანონების წინააღმდეგ; მას ეწოდა „პურის საწინააღმდეგო ლიგა“, ამ ლიგას ბევრი ნიჭიერი და მხნე კაცი მიემხრო და თვის მიზნის მისაღწევად სასტიკი ბრძოლა იწყა. ეს ბრძოლა იყო ბრძოლა საზოგადო სარგებლობისათვის და არა პირადი ინტერესებისათვის. ლიგა კარგათ ხედავდა, თუ რა მძიმე ტვირთი იყო ხალხისათვის პურის კანონები. ამ ლიგას რიჩარდ კობდენი მეთაურობდა.

რიჩარდ კობდენი ერთი ღარიბი ფერმერის შვილი იყო.

ის პატარაობიდანვე კარგათ ხედავდა, რომ პურის სიძველემ ხალხისათვის — იგივე სიმშლია. კობდენმა მთელი თვისი არსებით შეიძულა პურის კანონები და მთელი თვისი ძალა ამ კანონების წინააღმდეგ ბრძოლის შესწირა.

ლიგა დიდის მხნეობით შეუდგა ამ საქმეს. ის მოქმედებდა მხოლოდ კანონიერი საშუალებით: მართავდა მიტინგებს სხვა და სხვა ქალაქებში, სადაც ათი ათასობით გროვდებოდა ხალხი და სხვა. მიტინგებს მართავდნენ მინდერათ, ფარდულებს ქვეშ და დიდ დარბაზებში. ხშირათ ერთი და იგივე მოლაპარაკე ანუ ორატორი დილით სტეჟდა თავის სიტყვით ერთ ქალაქში, საღამოთი კი — მეორეში. განსაკუთრებით დაულაღავი იყო რაჩარდ კობდენი. ერთი თვის განმავლობაში მან ორმოცი მიტინგი გამართა. ლიგა მარტო მიტინგებს არ სჯერდებოდა, ის მოქმედებდა აგრეთვე ბეჭდვითი სიტყვის საშუალებითაც. ლიგის წევრები ბეჭდავდნენ წერილებს ეურნალ-გაზეთებში, ან და — ცალკე წიგნებათ და ავრცელებდნენ ხალხში. ამ წერილებში და წიგნებში განმარტებული იყო, თუ რამდენათ მავნებელი იყო პურის კანონები და რამდენათ საჭირო იყო მათი მოსპობა. ყოველივე ეს ბევრის გულს იპყრობდა; ბევრი მიემხრო ლიგას როგორც პარლამენტში, ისე პარლამენტს გარეთაც. როცა ლიგამ მოქმედება დააწყო, პარლამენტში მხოლოდ რამდენიმე წევრი იყო პურის კანონის გაუქმების მომხრე.

ამ დროს ერთმა წევრთაგანმა, ვილლიერსმა, პალატაში პურის კანონების გაუქმების წინადადება შეიტანა; ამ წინადადებაზე ერთი აღიარებითი ააყენა პარლამენტში. მთელი ხუთი დღე და ღამე მსჯელობდნენ ამ ბილლის შესახებ. ბოლოს პარლამენტის დიდმა უმრავლესობამ ბილლი უარ ჰყო, რამდენადაც საზოგადოებაში მატულობდნენ ლიგის მომხრენი, იმდენადვე პარლამენტშიაც იზრდებოდა ლიგის მომხრეთა რიცხვი. თანაც პარლამენტში ლიგის ბევრი მომხრე აირჩიეს. თითონ რჩარდ კობდენიც არჩეულ იქნა დეპუტატათ. ესენი დიდის



მხნეობით იბრძოდნენ პარლამენტში პურის კანონების გასაქმებლათ და ბევრი მომხრენიც მოიპოვეს იქ. იმავე დროს სათქმო პალატაში შესდგა პარტია, რომელიც ყოველგვარ ბაგის გაუქმებას თხოულობდა და განსაკუთრებით კი პურზედ დაღებული ბაგისას. ამ პარტიის წევრები ამბობდნენ:

— ბაგები მეტად მაგნებელია; მათ გამო შეიწროებულია ვაჭრობა: ვაჭარს არ შეუძლია თავისი საქონელი იქ გაყიდოს, სადაც მას ჰსურს, მყიდველმა იქ იყიდოს, სადაც უფრო იაფი და ზელსაყრელია. მყიდველნი იძულებულნი არიან, ზედ-მეტი გადაიხადონ; ეს ზედ-მეტი კი ვაჭრის ჯიბეს ემატება. ყოველ ბაგებზედ უფრო უსამართლო ბაგა — პურის ბაგია; ამიტომაც ეს ბაგა უსათუოთ გაუქმებულ უნდა იქნესო.

ერთი სიტყვით ახალი პარტიის წევრები თხოულობდნენ, რომ ვაჭრობა ბაგებით არ შევიწროებულიყო, ანუ — ვაჭრობა თავისუფალი ყოფილიყო.

თავისუფალ ვაჭრობის ეს ახალი პარტია თავს არც ტორიების მომხრედ სთვლიდა და არც ვიგებისათ. ამ პარტიის წევრები აცხადებდნენ: ჩვენ მზათა ვართ, შევეუერთდეთ იმ პარტიას, რომლის წევრები თანხმანი იქნებიან ბაგის გაუქმებასო; ისინი ამბობდნენ: ჩვენ სიხარულით მივიღებთ ბაგების გაუქმების რეფორმას როგორც ტორიებისაგან ისე ვიგებისაგანო. ტორიებს მეტად სძაგდათ ლიგის წევრები; ტორიები სრულიადაც არ ჰვარავდნენ, რისთვისაც იცავდნენ იგინი პურის კანონს. ერთხელ პარლამენტის ერთმა ახალმა დეპუტატმა სთქვა: „თუ რომ პურის კანონები გაუქმდებიან, მაშინ ლენდლორდები იძულებულნი გახდებიან, მიწის იჯარა დაუკლონ, მაგრამ ამის გამო ხომ მათ მოაკლდებათ ისეთი წყარო ცხოვრების, რომელიც შეჰყვრის მათო“. ამის მოქმელს კობდენმა ასე უპასუხა:

— „ისინი, ვინც ამ გვართ ლაპარაკობენ, თვით არიან მემბოხენი და რევოციულონიერები. მე ჩემს თავს ვაღიბებუ-

ლათ ვსთვლი, გავაფრთხილო ამ გვარ პირებისაგან ზალთოსანდ-ლენდ-ლორდები. ამ ლენდ-ლორდებმა საქმე იქამდის არ უნდა მიიყვანონ, რომ ხალხმა იფიქროს: ლენდ-ლორდებს სწორეთ იმისთვის ეშინიათ ჰურის კანონის გაუქმებისა, რომ იგინი ამით დაღარობდებიანო. ლენდ-ლორდებმა კარგათ უნდა იცოდნენ, რომ მათ არა აქვთ არავითარი უფლება ფლანგონ ის სიძლიდრე, რომელიც ქვრივ-ობოლთა და გლეხთა ძარცვა-გლეჯით მოუპოვებიანო.

ათას რეაას ორმოც და ერთ წელს ტორიების მეთაური, რობერტ-პილი, პირველ მინისტრათ დაინიშნა; ამ დროს ის ჰურის კანონების მომხრე იყო. ამ კანონების გაუქმებას წინეთ იგი ყოველათ შეუძლებლათ და უდროვოთ სთვლიდა, მაგრამ შემდეგ მიზედა, რომ ჰურის ბაჟის დაცვა შეუძლებელი იყო. რადგან მის წინააღმდეგ მკობრებთა უმრავლესობა იბრძოდა. პილი დარწმუნდა, რომ ამ ბაჟის გაუქმება აუცილებელი იყო, მაგრამ მაინც ყოყმანობდა და ვერ გადაეწყვიტა საქმის დაწყება. მან კარგათ იცოდა, რომ ტორიების პარტია, რომელსაც თვითონ მეთაურობდა, მოლალიატედ ჩასთვლიდა და უარ-ჰყოფდა მას.

თი სწორედ ამ დროს ერთმა სამწუხარო მოვლენამ პილი აიძულა ყოყმანისათვის თავი დაენებებინა და საქმეს შესდგომოდა.

საქმე იმაშია, რომ იმ ხანად ირლანდიას საშინელი უბედურება ეწია, ეს უბედურობა დიდი სიმშოლობა იყო. ირლანდიელი მუშა მეტად ღარიბია. ირლანდიაში მიწა მსხვილ მემამულეებს ეკუთვნის; ეს მემამულენი ხშირათ არც კი სცხოვრობენ თავიანთ მამულეებში და თავიანთ შემოსავალს ან ინგლისში ან სადმე საშზღვარ-გარეთ ფლანგავენ. ამ გლეხებს, რომელნიც მათ მამულეებში მუშაობდნენ, ან სრულებით არ ეძლევათ ლენდ-ლორდებისაგან სასყიდელი ან ძალიან მცირე. ამის ნაცულოდ მათ მებატონეებისაგან ეძლევათ მიწის პატარ-პატარა ნაკვეთები, რომლებზედაც მათ კართოფილი ნოკ-

ყავთ. ერთათ ერთი საზრდო ირლანდიელი ფილია.

ათას რვაას ორმოც და ხუთ წელს კართოფლის დიდი მოუსავლობა იყო. ხალხს საზრდო აღარ ჰქონდა. სიმშინლისაგან ბევრი დაავათყუათდა და წუთის სოფელს გამოეხალმა. ყოველ მხრიდგან ხმა გაისმა, ირლანდიის მცხოვრებთ აუცილებლად იაფი პური უნდა მივაწოდოთო. ან დროს პურის კანონების საწინააღმდეგო ლიგამ წინანდელზედ უფრო ხმა მალლა იწყო ლაბარაკი პურზედ არსებულ ბაჟის გაუქმების შესახებ. ახლა კი გადასწყვიტა პილმა საქმეს შესდგომოდა. პილი კარგათ ხედავდა, რომ ბაჟის გაუქმება დროებით მაინც, სანამ სიმშინლობა მოისპობოდა, აუცილებელი იყო. მაგრამ პილმა ისიც კარგათ იცოდა, რომ, რა კი ეს ბაჟი ერთხელ მოისპობოდა, მისი ხელმეორედ შემოდება შეუძლებელი გახდებოდა, რადგან მცხოვრებლებს თავის სრულიად აუტანელი იყო იგი. ცხადი იყო აგრეთვე ისიც, რომ თუ თითონ სამინისტრო არ შეიტანდა ბილლს პურის ბაჟის გაუქმების შესახებ, ამას ვიგეზი იქმოდნენ: ვიგეზი შეუერთდებოდნენ თავისუფალ ვაჭრობის პარტიას, მათის შემწევობით გაიყვანდნენ ბილლს და ამით ტორიების პარტიას დაამარცხებდნენ. მალე გაისმა ხმა ინგლისში, რომ რობერტ პილს სურს, პურის ბაჟის გაუქმების ბილლი შეიტანოს პარლამენტშიო. როცა პილის ასეთი განმარხვა გაიგეს, ტორიების პარტიაში დიდი აღიარებით ასტყდა. ზოგი ტორიებთაგანი თავის მეთაურს, პირველ მინისტრს, მიემხრო, ზოგნი კი საშინლად ჰკიცხავდნენ და აძაგებდნენ პილს: იგინი ბრალს სდებდნენ პირველ მინისტრს იმაში, რომ მან თავის პარტიას უღალატა, ის გახდა მეთაურად მხოლოდ მის გამო, რომ ჩვენ პარტიას დაჰპირდა ყოველ ძალ-ღონეს ვიზნარ და პურის ბაჟს დავიცავო; ახლა კი სრულიად მოულოდნელად თვითონვე გამოდის ბაჟის გაუქმებაზედ მჭიდვებლად და თავის ხელით თავისავე პარტიას დანას უღლესავსო, გაიძახოდნენ უკმაყოფილო ტორიები, ტორიების პარტია ორად გაიყო.



ერთი მიემხრო პილს; პილის მომხრეებს ეწოდათ „პილიტები“ და მათ მოწინააღმდეგეებს— „ქეშმარიტი ტორიები“. როცა რობერტ პილი სრულიად დაჩქმუნდა, რომ ბაჟის გაუქმება აუცილებელი იყო, პარლამენტში ბილლი შეიტანა. ამ ბილლში პილი წინადადებას იძლეოდა, რომ სამი წლით პურის ბაჟი შეემცირობინათ და შემდეგ სამი წლისა სრულიად მოეხპოთ იგი. ამ ბილლის შესახებ მთელი თორმეტი დღე შესვლობდნენ პარლამენტში. ბოლოს ბილლი მიღებულ იქნა ოთხმოცდა რვა ხმის უმეტესობათ. ლორდთა პალატაშიაც მიიღეს ეს ბილლი. ამის მიზეზი ია რა იყო. ლორდებს რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ბილლისათვის, ადვილი შესაძლოა, ქვეყნის მართვა-გამგეობა ხელიდგან გამოსცლოდათ; ამიტომაც მათ არსიეს ბაჟი გაუქმებულიყო, ოღონდ კი მეთაურობა მათ პერჩენოდათ.

ამ ნაირად გაუქმდა პურის კანონები ამ დღეს რიზარდ კობდენი ია რას სწერდა თავის ცოლს:

„ვაშა, ვაშა! ძვირფასო კატო, პურის ბაჟის გაუქმების ბილლი, როგორც იქნა, დაკანონდა და მეც ჩემ მიზანს მივახწიეო“.

პურის კანონის გაუქმება პირველი სასტიკი დამარცხება იყო მენამულეებისათვის მას შემდეგ, რაც სათემო პალატაში პრეზიდენთა და ვაჭართა წარმომადგენლები მოჰყვენ. ეს კი, როგორც უკვე ვიცით, მოხდა ათას რვაას ოც და თორმეტ წელს.

ტორიები მეტად უკმაყოფილონი იყვნენ რობერტ პილის მოქმედებით. ჩვენ არ შეგვაძლია, მას ლალატი ვაპატიოთო, ამბობდნენ იგინი და შემთხვევას ეძებდნენ, მაგიერი მიეგოთ მისთვის. ასეთი შემთხვევა მალე მიეცათ მათ. რობერტ პილმა პალატაში ერთი ბილლი შეიტანა. ამ ბილლის წინააღმდეგნა იყვნენ ვიგებიც და ირლანდიელებიც. უკმაყოფილო ტორიებმა თავიანთი ხმები მინისტრის მოწინააღმდეგეებისას შეუერთეს. პილისკენ უმცირესობა-ლა დარჩა და ამიტომაც იგი იძულებულნი გახდა, თანამდებობიდან გადამდგარიყო. პილის სამინის-



ტრო დაეცა თვისი გამარჯვების შესაძენად დღესაც უსუსველი იმეტი შემდეგ, რაც პურის ბაჟის გაუქმების ბილლი მიიღო პარლამენტმა. ამ ბაჟის გაუქმებამ დაიღუპა იგი.

§ 3.

ვაგრაჟილება.—ინგლისს ვიკტორიას დროს.

პარლამენტის რეფორმა მოხდა ათას რვაას ოც და თორმეტ წელს. ამ ამბავმა საყოველთაო სიხარული გამოიწვია ინგლისის საზოგადოებაში, მაგრამ დიდ ხანს არ ვაგრძელებულა ეს სიხარული. მალე აღმოჩნდა, რომ ბევრ ინგლისელს არაფერი მოუგია, არავითარი ახალი უფლება არ შეუძენია, რადგან სადგომის ქირად ასი მანეთის გადახდა ბევრისათვის შეუძლებელი იყო. ამ დროს პარლამენტის ორმა წევრმა შეიტანა პარლამენტში შემდეგი წინადადება: ა) ყველას, ვინც ღარიბთა სასარგებლოთ გადასახადს იხდის, მიეცეს ამომრჩეველთ ყოფნას უფლება, ბ) შემოღებულ იქნას დაფარული კენჭის ყრა არჩევნების დროს და გ) შემოკლდეს პარლამენტის ვადა.

—არავითარი რეფორმა აღარ მოხდება, —ახლა დროა, დავისვენოთ; უკანასკნელი წლების მოუსვენრობამ და შფოთმა ისეც შეაფერხა და ხელი შეუშალა ვაჭრობასა, გადაჭრით განაცხადა პირველმა მინისტრმა, როსსელმა.

აღნიშნულ წინადადებას სულ ორი ხმა მოუვიდა ექვსას ორმოც და რვა ხმის წინააღმდეგ.

მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს ვერც ძველი და ვერც ახალი პარლამენტი ვერ აკმაყოფილებდა. ინგლისელებს ახალი პარლამენტისაგან გამოცემული კანონები არ მოსწონდა. განსაკუთრებით მეტად გაამწარა ხალხი იმ კანონებმა, რომელნიც პარლამენტმა ღარიბების შესახებ გამოსცა. ჩვენ ვიცით, რომ მრევლი ინგლისში ვალდებულია, თვის ავთამყაფთ, უძლურთ, და ღარიბთ დაეხმაროს. ათას რვაას ოც და თორმეტ წელს ინგლისში ღარიბებზედ ოცი მილიონი მანეთი და-

იხარჯა. წერილი მესაკუთრეები და მრეწველები შუღამ სწიოდნენ, ბევრი გადასახადი გვხდება ღარიბთა სასარგებლოთაო.

მაშინ პარლამენტმა ახალი კანონი გამოსცა. ღარიბებს ახლა სახლში აღარ აწვდიდნენ სხვა და სხვა საჭირო საგნებს და არც სხვებრ ეხმარებოდნენ მათ. ამის მაგიურად აი რა მოაგვიარეს: ააშენეს სამუშაო სახლები; ვისაც დახმარება ეჭირებოდა, იმას უნდა მიემართინა მრეველისათვის. მრეველი მას გზავნიდა სამუშაო სახლში. სამუშაო სახლები უსაშინლესს ციხეებს მოგავიწყებდა. აი როგორ აგვიწერს ერთი მუშა სამუშაო სახლს. „ერთი ჩემი ამხანაგი დიდ ხანს აყო უსამუშევროდ და უღატუკმაპუროდ; ბოლოს იქანდის მივიდა იგი, რომ გრძნობა დაკარგული ქუჩაზედ დაეცა. აქედგან აიყვანეს იგი და სანუშოო სახლში წაიყვანეს. მას თან უნდა ვაპყლოოდა ცოლი და შვილები, სანუშოო სახლი სავსე იყო ხალხით; მეტი რომ არ ეთქვა, ათას ხუთასი კაცი მაინც იქნებოდა იმ ხანად იქ; ერთ ტახტზედ ცბრა-ათ კაცს ეძინა. გაფუჭებული ჰაერისაგან ბევრს ესპობოდა სიცოცხლე უღროვოთ. ჩემი მეგობარი, მისი ცოლი და შვილები ერთი მეორეს დააცილეს და კალკ-კალკე დააბინავენ. ორი ჩენა მეგობრის ბავშვი ციხისაგან მოკვდა. თითონ იგი საოფლით ავათმყოფთან დააწვინეს; ის იყო, იმ ქვეშევრებიდგან, რომელზედაც ჩემი მეგობარი მოათავსეს, საოფლით მკვდარი აიღეს. ჩემი მეგობარი კინადამ ჰკუიოდგან შეიცვალა“.

ასეთი სამუშაო სახლები ინგლისის ყველა კუთხეებში იყო. ამ სახლების მომგონე ღარიბმა კარგათ იცოდა, რაც მოელოდა მას მოხატულებულთაში ან ავათმყოფობის დროს. ხშირათ ამ სამუშაო სახლებიდან ბავშვებს გზავნიდნენ შორეულ ახალშენებში და ისიც მშობლების დაუკითხავად. ათას რეასს ოც და თერამეტ წელს ინგლისში რამოდენიმე მიტინგი მოხდა, სადაც უკმაყოფილო ხალხი ზიზლით იხსენიებდა და საშინლად ჰკიცხავდა მთავრობის ასეთს მოქმედებას.

დედოჟალ ვიქტორიას ტახტზედ ასელის დროს ხალხში

დიდი უკმაყოფილება იყო. ათას რვაას ოცდაათეუკვსმეტ წევრებში ლონდონში შესდგა ახალი საზოგადოება; ამ საზოგადოებას სახელათ ეწოდა „ლონდონის მუშათა კავშირი“. ეს კავშირი მუშა ხალხისათვის შესდგებოდა. სხვებსაც შეეძლოთ მონაწილეობა მიეღოთ კავშირში, მაგრამ ასეთები ითვლებოდნენ საპატიო წევრებათ. ათას რვაას ოც და თექვსმეტ წელს, თებერვალში, ქ. ლონდონში კავშირმა საჯარო მიტინგი გამართა. ამ მიტინგზედ პარლამენტში წარსადგენი პეტიცია უნდა განეხილათ. პეტიციაში აღნიშნული იყო შემდეგი ექვსი მუხლი:

- ა) ხმის საყოველთაო უფლება;
- ბ) ყოველწლიური პარლამენტი;
- გ) დახურული კენჭის ყრა არჩევნების დროს;
- დ) ცენზის*) კანონის გაუქმება;
- ე) პარლამენტის წევრებისათვის ჯამაგირების დანიშვნა;
- ვ) თანაბარი საარჩევნო ოლქები.

ამ პეტიციას თავისი ექვსი მუხლით ეწოდა „სახალხო ხარტია“ და მათ, ვინც ამ ხარტიისათვის იბრძოდნენ, ეწოდათ ხარტისტები ანუ ხარტისტები.

ხარტისტებს უნდოდათ, რომ ყოველ ინგლისელს პარლამენტის დეპუტატის არჩევა შესძლებოდა, თუ იგი ცნობილი არ იყო დამნაშავედ ან შეშლილად. ხარტისტების აზრით ესეთი უფლება თითვეულს უნდა ჰქონოდა, თითველი ინგლისელისათვის აუცილებლათ საჭირო იყო იგი. პარლამენტი უნდა ზრუნავდეს თელი ხალხის სარგებლობაზედ, თითველის კეთილდღეობაზედ და არა ერთი რომელიმე წოდების ან კლასის ბედნიერებაზედ. ამისთვის კი საჭიროა პარლამენტში ყველა კლასის წარმომადგენელი იყვნენ. ის კლასი, რომელსაც პარლამენტში არ ჰყავს თავისი წარმომადგენელი, ესე იგი თავისი ინტერესების დამცველი, ყოველთვის და ყველაფერში ტანჯული და დაჯაბნებულია. ჩვენ ხომ ვიცით, რომ სანამ პარლამენტში მარტო მუშა მუხლები იყვნენ, იგინი იმას აკანონებდნენ, რაც მათთვის სასარგებლო და სხვა კლასებისათვის

*) ცენზი ეწოდება ქონებას ან წლიურ შემოსავალს, რომელიც უნდა ჰქონდეს კაცს, რომ პარლამენტის წევრად იქნეს არჩეული.

მავნებელი და მახარალბელი იყო. ჰურის კანონები მაგალითად რამდენადაც სასარგებლო იყო მებატონეებისათვის, იმდენათ მავნებელი და საზარალო იყო სხვებისათვის. შემდეგ პარლამენტში ვაჭარ-მრეწველების კლასის წარმომადგენლებიც მოჰყვნენ და თავის რიგზედ შეუდგნენ თავისი კლასის ინტერესების დაცვას; ასტყდა უსასტიკესი ბრძოლა პარლამენტში მათ და მემამულეების წარმომადგენელთა შორის. ეს ბრძოლა, როგორც ვიცით, მით ვათავდა, რომ ჰურის კანონები მოისპო და გამარჯვება ვაჭრებს და მრეწველებს დარჩათ: მათთვის ხომ ეს კანონი მეტად მავნებელი იყო. პარლამენტში ახლა უშალოესი და საშუალო კლასების წარმომადგენელნი იყვნენ; დაბალ კლასს კი იქ თავის წარმომადგენელნი არ ჰყავდა; ამიტომაც დაბალი კლასი მეტად შეიწროებული და დაჩაგრული იყო როგორც უმაღლესი, ისე საშუალო კლასებისაგან. უმაღლესმა კლასმა ძლიერ კარგათ შეიგნო, რომ, სანამ სხვებსავეთ მასაც არ ეყოლებოდა პარლამენტში თავისი წარმომადგენლები, თავისი ინტერესების დამცველნი და გულის შემატკივარნი, მანამდის იგინი სიღარიბეს, შეიწროებას და სხვა ათასგვარ უბედურებას და უსამართლოებას თავს ვერ დააბწევდნენ; ამიტომაც სურდათ ქალაქის მცხოვრებლებს საყოველთაო ხმის უფლება.

მეორე რეფორმა, რომელსაც ჩარტიტები თხოულობდნენ—იყო დეპუტატების არჩევის დროს დაფარული კენჭის ყრა. ეს რეფორმაც დიდათ საჭირო და აუცილებელი იყო. ინგლისში არჩევნები ხდებოდა საარჩევნო კრებებზედ; ასეთ კრებებს მართავდნენ ან დიდ მოედანზედ ან ფართო ქუჩაზედ. ხალხი ერთი აღრ-ზაურით და კიჟინით იკრიბებოდა ამ კრებებზედ; ბევრი მთვრალეც მოდიოდა აქ. ეს ხალხის ბრბო ტორიებისაგან და ვიგებისაგან შესდგებოდა. ორატორები ანუ კრებებზედ მოლაპარაკენი, რამდენადაც კი შეეძლოთ, ჰყვიროდნენ, მაგრამ ამოდ: მათი მოპირდაპირეები თუ ბარაბანის ბრახა-ბრუბი, თუ სპილენძისინ სტრუმენტების საშუალებით, ჰფარავდნენ



მათ ხმას. თავმოყრილი ბრბო ყოვლად უმსგავსელ იქცეოდა. ყრილობა იშვიათად გათავდებოდა ისე, რომ მუშტ-კრივი ან გამართულად იყო. კენჭის ყრა დაფარული არ იყო, ამიტომაც ამომრჩეველების მოსყიდვა ან დაშინება ჩვეულებრივი ზომა იყო. ფერმერს ეშინოდა თვისი ღენდ-ლორდის, ხელოსანს—მეფაბრიკის; ერთი სიტყვით ამომრჩეველი იძულებული იყო, ხმა იმისთვის მიეცა, ვინც მოსწონდა ღენდ-ლორდს ან მეფაბრიკეს და არა თითონ მას; ის ამ შემთხვევაში სხვისი სინიღის და სარგებლობისამებრ იქცეოდა და არა ისე, როგორც მას უჯობდა. დეპუტატთა არჩევის ასეთ წეს-რიგს დიდი ხნიდან ჰკიცხავდნენ და დასკინოდნენ ინგლისში; დიდი ხნიდან ლაპარაკობდნენ საუკეთესო კაცები: საჭიროა, არჩევნები ისე მოეწყოს, რომ თითველს შეეძლოს თავისუფლად და უშიშრად მისცეს ხმა იმას, ვინც მისთვის საუმჯობესო და სასურველია; ამისათვის კი აუცილებელია, შემოვიღოთ დაფარული კენჭის ყრა და მით მივსცეთ ამომრჩეველს საშუალება, რომ მხოლოდ მან იცოდეს, ვის მისცა მან შავი კენჭი და ვის თეთრიო. გარდა ამისა დაფარული კენჭის ყრა მით იყო კარგი, რომ, რა კი შეუძლებელი ხდებოდა იმის გაგება, თუ ვინ აირჩია ამა თუ იმ ამომრჩეველმა, ყველას ხალისი დაეკარგებოდა, ვინც მოესყიდა. ამომრჩეველს თამამად შეეძლო ერთისათვის ქრთამი გამოერთმია და ხმას შეპირებოდა, ნამდვილათ კი ხმა სხვისთვის მიეცა. ერთი სიტყვით, რასაც სახალხო ხარტია თხოულობდა, ესე იგი დაფარული კენჭის ყრა, აუცილებლად საჭირო იყო, მით უმეტეს, რომ აქ სახიფათო და საშიშო არა იყო რა. დღეს დაფარული კენჭის ყრა უკვე შემოღებულია ინგლისში, მაგრამ სიკეთის მეტი არა მოაქვს რა.

მესამე რეფორმა, რომელსაც ჩარტისტები თხოულობდნენ იყო ყოველწლიური პარლამენტი. ყოველწლიური პარლამენტი იმას ნიშნავს, რომ დეპუტატები ყოველწლივ ხელობი უნდა იქნენ არჩეულნი. ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის კანონების ძალით პარლამენტის ვადა შვიდი წელი იყო, ესე იგი

დებუტატებს შვიდი წლით ირჩნდნენ. ეს ვადა მეტად გრძელი ვადაა. შვიდი წლის განმავლობაში ბევრი წყალი ჩაივლის, ბევრი ცვლილებები მოხდება ხალხის ცხოვრებაში; ადვილ შესაძლოა ის, რაც დღით საჭირო იყო ექვსი ან შვიდი წლის წინედ, დღეს აღარაფერს სჭიროდეს და რაც დღევანდელი ცხოვრებისათვის აუცილებელია, მაზედ ფიქრიც კი ძნელი იყო შვიდი წლის წინეთ. შესაძლებელია, დებუტატმა კარგათ იცოდა იმ მცხოვრებლების ავ-კარგი და საჭიროებანი, რომლებმაც ამოირჩიეს იგი დებუტატად და გაგზავნეს პარლამენტში, მაგრამ იმის ამორჩევის შემდეგ ხუთმა-ექვსმა წელმა განვლო; ანტიკომაც შესაძლოა, მან დღეს აღარც კი იცოდეს, რა უფრო საჭიროა მისი ამომრჩევლებისათვის და რა არა; მიუხედავად ამისა, მაინც დებუტატათ უნდა დარჩეს იგი, სანამ შვიდი წელი არ გათავდება. გარდა ამისა, რამდენათაც უფრო ხშირია არჩევნები, მით უფრო მეტს ზრუნავენ დებუტატები თავიანთ ამომრჩევლებზედ. იგინი ცდილობენ, არ დაჰკარგონ ამომრჩევლების ნდობა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მაგიერ სხვანი იქნებიან არჩეულნი მომავალ არჩევნებზედ. ხშირი არჩევნები საზოგადოთ ამომრჩევლებისათვის სასარგებლოა. შეგიძლიათ სთქვათ: ერთი წელი მეტის-მეტე მოკლე ვადაა პარლამენტის დებუტატისათვის; ერთი წელი ჯერ იმისთვისაა საჭირო, რომ ახლად არჩეული დებუტატი პარლამენტის წესრიგს და საქმეებს საკმაოდ შეეჩვიოს და გაეცნოს. ერთი წლის განმავლობაში, შეიძლება, არც კი მიეცეს შემთხვევა დებუტატს, რითივე თავი იჩინოს ისეთ პარლამენტში, სადაც ექვსას ორნოც და თვრამეტი წევრია; ზოგი ამ წევრთაგანი უკვე სახელნობეჭილი, დღით გაველენიანი და გამოჩენილი კაცია; ადვილი საქმე არ არის, კაცმა აქ თავი იჩინოს და ყურადღება მიიქციოს, ამიტომაც საჭიროა დრო, რომ დებუტატმა რამის გაკეთება მოასწროს თავისი ამომრჩევლების სასარგებლოთ. დიად, თქვენ შეგიძლიათ სთქვათ, რომ ერთი წელი მეტად მოკლე



ხანია, მაგრამ ისიც ცხადზედ უცხადესია, რომ შვიდი მეტად გრძელი ვადაა.

პირველად პარლამენტის ვადა სამი წელი იყო; შვიდი წლის ვადა მხოლოდ შემდეგ შემოიღეს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ იმის მიზეზი, თუ რად მოხდა ასეთი ცვლილება ან როდის მოხდა იგი. ახლა ინგლისში პარლამენტს შვიდი წლის ვადა აქვს, მაგრამ პარლამენტი ჩვეულებრივად ამ ვადის გათავებამდე დაიშლება ხოლმე. ბევრი იმ აზრისაა, რომ ეს მეტად გრძელი ვადაა პარლამენტისათვის და თუ ეს ვადა დღემდის არ შეუმოკლებიათ ინგლისში, ამის მიზეზი ისაა, რომ გრძელი ვადა თვით დეპუტატებისათვისაა სასარგებლო. თითოეული დეპუტატისთვის უფრო სასიამოვნო და სასარგებლოა შვიდი წლით არჩევა, ვინც უფრო მოკლე ვადით, ნით უმეტეს, რომ ახალ არჩევნებზედ შეიძლება, აღარც კი აირჩიონ იგი. დეპუტატობა ბევრისათვის მეტად სასურველია, ერთი იწისთვის, რომ დეპუტატის ადგილი დიდათ საპატიო ადგილია; მეორე, ის კაცი, რომელიც თავს იჩენს სათემო პალატაში, თელ სახელმწიფოშიაც ცნობილ კაცათ ათვლება და ასეთ კაცს ადვილათ შეუძლია თავისი საქმე კარგათ მოაწყოს მომავალში. შესაძლოა ისიც, რომ დეპუტატი თავისი ნიჭის მოხერხების და გამოკვდილების წყალობით პირველი მინისტრი გახდეს და მთელი სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ხელში ჩაიგდოს.

მეოთხე რეფორმა, რომელსაც თხოულობდნენ ჩარტისტები და სახალხო ხარტია, იმაში მდგომარეობდა, რომ თითოეულ ინგლისელს ჰქონოდა უფლება დეპუტატათ არჩეულიყო. აქ სახეში არ უნდა მივღოთ ის, თუ ვის რამდენი შემოსავალი ჰქონდა: სამი ათასი, თუ ექვსი ათასი მანეთი, ჩვენ ხომ ვიცით უკვე, რომ საგრაფოებში დეპუტატად ირჩევდნენ მხოლოდ მათ, ვისაც ექვსი ათასი მანეთი ჰქონდა შემოსავალი და ქალაქებში კი სამი ათასი. ამიტომაც თხოულობდნენ ჩარტისტები, რომ, რა კი რომელიმე პირი წევრად იქნებოდა არჩეული, მას სრული უფლება ჰქონოდა დეპუტატათ ყოფილი-

ყო, იმისდა მიუხედავად, ღარიბი იყო იგი თუ მდიდარი. მაგრამ, რა კი ეს ასე იქნებოდა, მაშინ აუცილებელი იყო დეპუტატებს ჯამაგირი დანიშნოდათ.

მეექვსე და უკანასკნელი რეფორმა გამოიხატებოდა იმაში, რომ მთელი სახელმწიფო დეპუტატების ასარჩევად დაეყოთ ოლქებათ ისე, რომ ამ ოლქებში, რამდენათაც შესაძლო იყო, თანაბარა რიცხვი ყოფილიყო მცხოვრებლებისა, ესე იგი სარჩევნო ოლქები თანააწორი ყოფილიყვნენ.

სამართლიანობა თხოულობდა, რომ ასეთი რეფორმაც აუცილებლად მოესდინათ. ათას რეაას ოც და თორმეტი წლის რეფორმის შემდეგ ცამეტ თებერვალს ახალი პარლამენტი შეიკრიბა. საკმაოა გავითვალისწინოთ ამ პარლამენტის შედგენილობა, რომ დავრწმუნდეთ, თუ რამდენათ სამართლიანი და საქირო იყო ის, რასაც თხოულობდნენ ჩარტისტები. ახალ პარლამენტში სულ ექვსას ორმოც და ათი დეპუტატი იყო. ეს დეპუტატები შვიდასი ათასი კაცისაგან იყვნენ ამომრჩეული, ესე იგი მთელ ინგლისში ექვს მილიონ მამა-კაცთა შორის სულ შვიდას ათასი ამომრჩეველი იყო; დანარჩენები კი მოკლებულნი იყვნენ არჩევის უფლებას. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: შვიდასი ათას ამომრჩეველთა შორის ას ორმოც და თერთმეტი ათასი კაცი, ესე იგი ინგლისის მამა-კაცთა ერთი მეორმოცედი, სამას ოც და თერთმეტ დეპუტატს ირჩევდა. ეს დეპუტატები პარლამენტში უმრავლესობას შეადგენდნენ; ასე რომ, თუ კი იგინი პირს შეკრავდნენ იმ მიზნით, რომ პარლამენტში რომელიმე კანონი გადაყვანათ, უეჭველია, თავისას გაიყვანდნენ. ამ გვარად ას ორმოც და თერთმეტი კაცის წარმომადგენელს შეეძლო გამოეცა კანონი, რომელიც სავალდებულო იქნებოდა ინგლისის თითოეული მცხოვრებისათვის. სულ მცხოვრებთა რიცხვი კი იმ დროს ინგლისში ოცი მილიონი იყო. ნუ თუ ცხადი არ არის, რომ ასეთი წესი აუცილებლად უნდა შეცვლილიყო! ამისთვის კი საქირო იყო, რომ სახელმწიფო თანაბარ სარჩევნო ოლქებათ დაეყოთ, ესე იგი სწორედ ის, რასაც ჩარტისტები თხოულობდნენ.

§ 4.

ინგლისი დედოფალ ვიკტორიას დროს. — გაგრძელება.

ჩარტისტები მართო სიტყვას არ სჯერდებოდნენ. იგინი დადიოდნენ და ხელს აწერინებდნენ ხალხს სახალხო ხარტიაზედ. პირველ მიტინგზედ ხარტიაზედ სამი ათასმა კაცმა მოაწერა ხელი. სხვათა შორის კავშირმა გადასწყვიტა ინგლისის სხვა და სხვა კლუბებში თავის კაცების დაგზავნა. დაგზავნილებს ხარტია უნდა გაეცრკელებინათ ხალხში და ხელის მონაწერელები ეშოვათ. ესენი გულმოდგინეთ შეუდგნენ თავიანთ საქმეს: სოფლებში, პატარა ქალაქებში, საფაბრიკო ოლქებში, ერთი სიტყვით, სადაც კი შეიძლებოდა, ყველგან მისწოდნენ იგინი; მართავდნენ მიტინგებს, არწმუნებდნენ ხალხს, რომ ხარტიის განხორციელება აუცილებლად საჭირო იყო, აწერინებდნენ ხელს ხარტიაზედ და სხვა. მიტინგებზედ ხშირად ოცდაათი ათას კაცამდე იკრიბებოდა და ყველგან აღტაცებით ეგებებოდა ხარტიას; ყველა დარწმუნებული იყო, რომ პარლამენტი ამ ხარტიას სიამოვნებით მიიღებდა, რა კი ვაიგებდა, რომ უმეტესობას სურდა იგი.

სამწუხაროდ ხალხი სცდებოდა, როცა ასე ფიქრობდა. არამც თუ ტორიები, ვიგებიც კი თხოულობდნენ, რომ დაუწყონებლივ მიეღოთ ზომები „მყვირალეების და ყრილობების“ წინააღმდეგ. ეს ყვირილი მტკად გააღიერდა, როცა შემოდგომა და ბნელი ღამეები დადგა. ასეთ ღამეებში ჩარტისტებმა ჩირაღდნებით იწყეს თავის მოყრა. თითქმის ყოველ სალამოს, ყოველ კუთხეში, სამხედრო რიგით, ჩირაღდნებით ხელში, ათა ათასობით იყრიდნენ იგინი თავს და ლაპარაკობდნენ სახალხო ხარტიაზედ.

მოწინააღმდეგეები ჩარტისტებს ბრალსა სდებდნენ, ვითომც იგინი ძარცვას და ძალმომრეობას ქადაგებდნენ. ბო-

ლოს საჭმე იქამდე მივიდა, რომ ჩირალდენდებანი ცრებებზე სრულიად აღკრძალეს. ამასობაში პარლამენტს პეტრია წარუდგინეს. ეს პეტრია დახვეული იყო და გარდი-გარდმო სიყვართით ორ არშინს უდრიდა; იგი ხელმოწერილი იყო ინგლისის და მოტლანდიის მამა-კაცების ერთი მეოთხედისაგან, ესე იგი ერთ მილიონ ორას ოთხმოცი ათასი კაცის მიერ; პეტრია თორმეტ კაცს მიჰქონდა. პარლამენტის ერთ წევრს ამ პეტრიის დაცვის ნება მისცეს. მან სთქვა.

—ხალხმა სამჯერ მისკა პარლამენტს პეტრია და სამჯერვე უარი მიიღო. ამ პეტრიაზედ ხელი აქვს მოწერილი ერთ მილიონ ორას ოთხმოც და ათ კაცს. ვისაც არსებული კანონების შეცვლა უნდა, იმას უციცს ეძახიან, მაგრამ ამ პეტრიაზედ ხელის მოწერელნი ასეთები არ გახლავან; პირიქით იგინი წერა-კითხვის მკოდნე და შეგნებულნი არიან. მილიონი ასეთი ხალხი გვეუბნება, რომ კანონებში რაღაც უსამართლობაა. მილიონი ხალხი სიცრუეზედ ხელს არ მოაწერდა. ახლანდელ სათემო პალიატას არ შეუძლია, მთელი ინგლისის ხალხის საქროებათა გამომხატველა იქნეს, თუ არ შეიცვალა იგი, თუ მისი შედგენილობა სხვა საფუძველზედ არ დამყარდო.

ამის პასუხად პირველმა მინისტრმა სთქვა:

ახლანდელი შეიდასი ათასი ანომრწველნი უკეთესი წარმომადგენელნი არიან ჩვენი ქვეყნისა, ვანემ ის ერთი მილიონი და ორას ოთხმოცი კაცი, რომლებმაც პეტრიკიას ხელი მოაწერეს; ამას გარდა, ინგლისნი ხუთი-ექვსი მილიონი სრულწლოვანი მამაკაცია, ასე რომ პეტრიაზედ ხელის მოწერელნი შეადგენენ მხოლოდ ერთ მეოთხედს ინგლისის მამაკაცებისას, ამიტომაც სრულიად საქირო არ არის აქ ბუკ-ნალარის ცემაო.

ერთი სიტყვით პარლამენტმა ეს პეტრია უარ ჰყო და ხარტისტებმა უკანვე წაიღეს იგი. ამიერიდგან პეტრია დაიმარხა და მასთან ერთად განქრენ ხარტისტების ყველა იმედ-

ბი. ახლა მათ უნდა გადაეწყვიტათ, თუ რა უნდა ღვთისმშობელს დაელოდონ, რა უნდა ექნათ ამის შემდეგ. მათ შეეძლოთ სრულიათ თავი დაენებებიათ ბრძოლისათვის დროებით და მოეცადათ უკეთეს შემთხვევამდე—ახალ არჩევნებამდე და ახალ პარლამენტამდე ან და, თუ ეს სასურველი და მოსახერხებელი არ იქნებოდა, ებრძოლათ წინააღმდეგედ უფრო მედგრათ და ძალით მიეღწიათ რეფორმისათვის. აქ ჩარტისტების პარტია ორად გაიყო. უმეტესობა კანონიერი და ზომიერი საშუალებით ბრძოლას ამჯობინებდა; უმცირესობა კი იმ აზრისა იყო, რომ ამ გზით იგინი ვერას გახდებოდნენ, რადგან პარლამენტი არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდა მათ და მათ პეტრიციას; ინგლისელებს თავიანთი უფლებები ძალით უნდა მოეპოვებიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერასოდეს იგინი საწადელს ვერ მიაღწევდნენ. ამ აზრის იყო უმცირესობა, მაგრამ ძალმომრეობის მომხრენი ცოტანი იყვნენ.

განხეთქილებამ ძლიერ დაასუსტა ჩარტისტები. ამასთან კიდევ ოთხას ორმოც და ათი საუკეთესო, გამოჩენილი და უნიკიერესი ჩარტისტები დაპატიმრებული იყვნენ.

ათას რვაას ოც და ცხრამეტი წლის დამღვეს ჩარტისტები სრულიად მიჩუმდნენ; ბევრის აზრით ეს სიჩუმე იმის მომსწავებელი იყო, რომ ვითომ ჩარტისტების მოძრაობას სამყდამოთ მოედო ბოლო; მაგრამ ეს შემცდარი აზრი იყო. დადგა ათას რვაას ორმოცი წელი. საპრობილეების კარები გააღეს და იწყეს ჩარტისტების განთავისუფლება. ჩარტისტები ციხიდან განთავისუფლებისთანავე შეუდგნენ თავისი მომხრეების გაფანტულ რაზმების შემოკრებას და შეერთებას, თუმცა ეს მეტად საძნელო საქმე იყო, რადგან ჩარტისტებს შორის ახლა ერთობა აღარ იყო; იგინი ახლა დაყოფილნი იყვნენ რამოდენიმე პარტიად; თათველ მათგანს პარლამენტში თავისი წინადადება შეჰქონდა, რომ სახალხო ხარტია მიეღებინებია. როგორც იქნა, ბოლოს შეთანხმდნენ იმაზედ, რომ პარ-

ლამენტში მეორე პეტრია მიეცათ. ამ პეტრიაში ვგვიყვარება იყო
ნათქვამი, რაც პირველ პეტრიაში.

ხელის მოწერა პეტრიაზედ დიდის წარმატებით მიდიო-
და. სულ სამმა მილიონმა კაცმა მოაწერა მანებდ ხელი.

ჩარტისტებმა პეტრიის წარსადგენათ ოც და ხუთი კაცი
აირჩიეს. მათ შორის მხოლოდ ექვსი-და იყო ძველი ჩარტის-
ტებიდგან: დანარჩენები ყველანი ახლები იყვნენ; ორ მაისს
სადღესასწაულოთ მორთულმა პროცესიამ პარლამენტში პე-
ტრია წარადგინა. ეს პროცესია მიმართებოდა პარლამენტი-
საკენ ლონდონის უმთავრესი ქუჩებით; პოლიცია გზას უცლი-
და მათ და ეტლებს აჩერებდა, რომ არეულობა არ მომხდა-
რიყო. პეტრია თექვსმეტ კაცს მიჰქონდა პარლამენტში. ერ-
თმა დეპუტატთაგანმა, დენკობმა, წინადადება მისცა სათემო
პალატას, ნება დაერთოთ, მიხივებულეს რომ თავიანთი თხოვნა
დაეცვათ. ამ წინადადებას მხოლოდ ორმოც და თექვსმეტი კა-
ცი მიემხრო, დანარჩენები კი წინააღმდეგნი გახდნენ.

მგავსად პირველი პეტრიისა, ეს პეტრიაც უარყო
პარლამენტმა, თუმცა მანებდ სამ მილიონ კაცს ქონდა ხელი
მოწერილი.

ჩარტისტები ხელახლა დაიუმდნენ და დაწყნარდნენ, მაგ-
რამ ათას რვაას ორმოც და რვა წელს ერთხელ და უკანას-
კნელათ აღდგნენ კიდევ იგინი.

ათას რვაას ორმოც და რვა წელს მოხდა სათემო პალა-
ტის დეპუტატების არჩევნები. ამ არჩევნებზედ ჩარტისტებმა
მრავალი ხმა მიიღეს და ზოგიერთ ოლქებში კიდევ აირჩიეს
იგინი. ამით გამხნეებულნი ჩარტისტები ხელახლის აღფრთო-
ვანებით შეუდგნენ საქმეს; ხელახლა გაიმართა მიტინგები და
გაისმა საჯარო სიტყვები. სწორედ ამ დროს საფრანგეთში რევოლი-
უციამ იფეთქა: ფრანგებმა თავიანთ ქვეყანაში რესპუბლიკა
დაამყარეს. ევროპის ბევრ სხვა სახელმწიფოებშიაც მოხდა იმ
ხანად რევოლიუცია. ამ რევოლიუციებმა დიდი გავლენა იქო-
ნიეს ინგლისის ხალხზედ. ჩარტისტებმა მოუბშირეს სათათბირო



კრებებს. მათ გადასწყვეტეს ერთხელ კიდევ ^{წარედგინათ} პარლამენტისათვის პეტიცია, თუმცა თითონ არ სჯეროდათ, რომ ამით რამენაირად დაეხმარებოდათ. ჩარტისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პარლამენტი არც ახლა მიიღებდა მათ პეტიციას; ამიტომაც მათ დაადგინეს, რომ, თუ, პარლამენტი პეტიციას უარს ჰყოფდა, მეფისათვის ეთხოვნათ, ეს პარლამენტი დაეთხოვნა და მინისტრები გამოეცვალა. კრება დანიშნული იყო ათი აპრილისათვის. ამ დღეს უნდა შეკრებილიყვნენ ჩარტისტები და მრავალი ხალხის თანდასწრებით პარლამენტისათვის პეტიცია წარედგინათ. დადგა ათი აპრილიც. დილა-ადრიან იწყეს ჩარტისტებმა დანიშნულ ადგილას თავის მოყრა, რადგანაც მწყობრათ უნდა წასულიყვნენ პარლამენტში. ათ საათზედ დაიძრა პროცესია. წინ მიდიოდა ორი ურემი; პირველზედ პეტიცია იდგა, მეორეზედ, რომელიც უფრო გრძელი იყო, ის ორმოც და ცხრა ჩარტისტი ისხდა, რომლებსაც პეტიცია უნდა წარედგინათ პარლამენტისათვის. ურემების გვერდებზედ წარწერიანი ბაიარალები ფრიალობდნენ. ურემებს უკან მიყვებოდა სამხედრო რიგზედ ჩამწყრივებული ხალხი. ეს ბრბო გზა-გზა იზრდებოდა და პარლამენტამდის მისვლამდე, როგორც ამბობენ, ორმოც ათასამდე ავიდა. მიმავალ პროცესიას წინ დაუხვდა პოლიცია და განუცხადა პარლამენტამდე მისვლის ნებას ვერ მოგცემთ, რადგან ეს აღკრძალულიაო. პროცესია შეჩერდა. პეტიცია გაჰყვეს სამს ნაწილად, ჩასდვეს სამს ეტლში, ჩარტისტების ერთი მეთაურთაგანი, ოკონორი, თავის ამხანაგებთურთ ჩაჯდა მეოთხე ეტლში და გასწიეს პარლამენტისაკენ. ოკონორი ამტკიცებდა, პეტიციაზედ ხუთ მილიონ კაცს უწერია ხელიო.

პეტიცია მიიღეს განსახილველად. რამოდენიმე დღის შემდეგ პარლამენტს მოახსენეს, რომ ხუთ მილიონს კი არა, ორ მილიონს უწერია ხელი პეტიციაზედო. ოკონორს ზოგი დასცინოდა, ზოგი ესაყვედურებოდა, ზოგი ჰკიცხავდა და ზოგი შეურაცყოფით ეტყეოდა. ომის შემდეგ ჩარტისტების ერთმანა-

წილმა, რომელიც წინააღმდეგი იყო ძალმომრეობის, სრულიად დაანება თავი სახალხო ხარტიას, ნეორე ნაწილმა კი გადასწყვიტა შეესრულებინა თვისი დადგენილება და მიზნისთვის მიეღწია. ამ გადაწყვეტილების მომხრეები შეუდგნენ აჯანყებისათვის მზადებას, მაგრამ ამოდ: პოლიციასა და ხალხს შორის რამოდენიმე შეტაკება მოხდა. ბევრ ქალაქებში თოფებით, შუბებით და შვი ბაირალებით შეიარაღებულნი მრავალრიცხოვან პროცესიებს მართავდნენ. ზოგიერთ ადგილებში შეკრებილ ხალხს ჯარი ერეებოდა; შეტაკების დროს ბევრი დასჭრეს და ბევრი მოკლეს კიდევ; მრავალი ჩარტისტი დაიჭირეს და დაპატიმრეს.

ბოლოს ხალხი მოქანცა ამ უწყალო ბრძოლამ; მან დაკარგა ხარტიის მოპოების იმედი; ხარტიისათვის ბრძოლა მეტად სამძიმო გახდა. ჩარტისტების რაზმებს ბევრი მებრძოლი გამოაკლდა და მათი მოძრაობა ერთხელ და სამუდამოთ ჩაქრა.

უნივერსალური ბიბლიოთეკისათვის § 5.

ათას რეაას სამოც და მეშვიდე წლის საარჩევნო რეფორმა.

ათას რეაას ორმოც და ცხრა წლის შემდეგ ჩარტისტები დაიქსაქსენ და ჩაჩუმდნენ. ახლა აღარვის ჰქონდა იმედი, რომ პარლამენტისაგან ხარტიას მიიღებდა. მხოლოდ ქაღალქის მცხოვრებლები, რომელნიც მოკლებულნი იყვნენ დემუტატის არჩევის უფლებას, სკდილობდნენ, ეს უფლება მოეპოვებინათ. მათ ახლა ძლიერ კარგათ ესმოდათ, რომ თუ არ ეს უფლება, სხვა ვერა უშველიდა რა. მათ შეიგნეს, რომ თავიანთი წარმომადგენლების ყოლა პარლამენტში აუცილებლად საჭირო იყო. იგინი ხედავდნენ, რომ მხოლოდ ასეთ კაცებს შეეძლოთ პარლამენტში მათი ინტერესების დაცვა და ისეთი კანონების გაყვანა, რომელნიც სასარგებლონი იქნებოდნენ ყველა მცხოვრებლებისათვის და არა მარტო მდიდრებისათვის, ლენდ-ლორდებისა, ვაჭრებისა და ფაბრიკანტებისათვის.

თითონ პარლამენტშიაც იყო ისეთი პარტია, რომელსაც სურდა, რომ დემუტატების არჩევის უფლება ყველა მოქალაქეებს მისცემოდა; მაგრამ ეს პარტია, რომელსაც „რადიკალურ პარტიას“ უწოდებდნენ, მცირე იყო და მარტოდ-მარტო ვერას გამხდარიყო. პარლამენტის ორი უმთავრესი პარტია კი, რომელნიც შესდგებოდა კონსერვატორებისაგან და ლიბერალებისაგან, ანუ ვიგებისაგან და ტორიებისაგან, წინააღმდეგი იყო რადიკალური პარტიისა. ინგლისის ხალხს არავითარი საარჩევნო რეფორმა არა სურს; ის იმიტაც კმაყოფილია, რაც არის. ეს ლალადი რეფორმებზედ და მითქმა-მოთქმა სულ მოუსვენარი რადიკალების ბრალია; მათ სურთ სახელი გაითქვან და ხალხს თავი მეგობრებათ მოაჩვენონო, ამბობდა პარლამენტში ლიბერალური პარტიის მეთაური ლორდი პალმერსტონი.

ასე განვლო თუთხმეტმა წელმა მას შემდეგ, რაც ჩარტისტებმა უკანასკნელად სცადეს ხარტიის მოპოება.

დადგა ათას რეაას სამოც და ხუთი წელი. ამ წელში უნ-
და მომხდარიყო პარლამენტის დეპუტატების არჩევნები. ამ
არჩევნებზედ ლიბერალებმა გაიმარჯვეს, ლიბერალები გაცილე-
ბით ბევრი მოჰყვენ პარლამენტში, ვინემ კონსერვატორები.
გარდა ამისა, ამ არჩევნების შედეგი მით იყო ფრიალ მნიშვნე-
ლოვანი, რომ დეპუტატებათ ბევრი ისეთი ლიბერალები იქ-
ნენ არჩეულნი, რომელნიც ვრცელი საარჩევნო რეფორმის
მომხრენი იყვნენ. ბევრი მათგანი უკვე სახელგანთქმული იყ-
ვნენ მთელს ინგლისში თვისი ნიჭით და მოღვაწეობით. ყველა
დაიმედებული იყო, რომ ეს პარლამენტი უმნიშვნელო არ იქ-
ნებოდა ინგლისის ცხოვრებისათვის და სახელს გაითქვამდა
ახალი რეფორმებით; ყველა რეფორმათა შორის კი უსაკირო-
ესი და უმნიშვნელოვანესი საარჩევნო რეფორმა იყო. რადგან
პარლამენტში უმეტესობას ლიბერალები შეადგენდნენ, ამიტომ
სამინისტროც ლიბერალებისაგან უნდა შემდგარიყო. სწორედ
ამ დროს გარდაიცვალა ძველი მეთაური ლიბერალების პარ-
ტიისა, ლორდი პალმერსტონი, რომელიც საარჩევნო რეფორ-
მების წინააღმდეგი იყო. დედოფალმა სამინისტროს შედგენა
ლორდ ჟონ როსსელს მიანდა, ლორდი როსსელი უკვე მო-
ხუცებული კაცი იყო. თვისი ახალგაზრდობის დროს მან გაი-
ყვანა პარლამენტში ათას რეაას ოც და თორმეტი წლის
რეფორმა.

დღონ როსსელი გახდა პირველ მინისტრად და ლიბერალ-
თა მეთაურად ლორდთა პალატაში, რადგან თითონ ლორდი
იყო. სათემო პალატაში ლიბერალთა მეთაურობა ხედა დიდათ
შესანიშნავ და გამოჩენილ კაცს, ვილიამ გლასტონს. გლასტონ-
ნი ღრმა მოხუცებულებში გარდაიცვალა, ათას რეაას ოთხმოც
და თვრამეტ წელს.

ლიბერალური სამინისტრო მაშინვე შეუდგა რეფორმის
საქმეს, მაგრამ ამ სამინისტროს მდგომარეობა გაჭირვებული
იყო, რადგან თითონ ლიბერალებში არ არსებობდა თა-
ნხმობა. ზოგი მათგანი იმის მომხრე იყო, რომ არჩევნის უფ-

ლება ყველა მოქალაქეს მისცემოდა, ზოგი კი ძლიერ შიშობდა, ყველა მოქალაქეებს არ მინიჭებოდა ასეთი უფლება. რეფორმის მოწინააღმდეგეებთან აზრით საკმაო იყო, შეემცირებიათ იმ შემოსავლის რაოდენობა, რომელზედაც დამოკიდებულია არჩევნის უფლება. იყვნენ ისეთი ლიბერალებიც, რომელნიც სრულიად წინააღმდეგნი იყვნენ რეფორმისა. მიუხედავად ამისა, სამინისტრომ გადასწყვიტა პარლამენტში ბილლის შეტანა. სათემო პალატაში ეს ბილლი გლასტონმა შეიტანა და დიდის მჭერმეტყველებით დაიცვა იგი, თანხმად ამ ბილლისა, ქალაქებში არჩევნის უფლება უნდა მისცემოდათ მათ, ვინც სადგურში იხდიდა სამოც და ათ მანეთს და არა ას მანეთს; საგრაფოებში კი ეს უფლება მათ ეძლეოდათ, ვისაც წლიური შემოსავალი ოთხასი მანეთი ჰქონდა და არა ხუთასი. ამ ბილლმა ვერვინ ვერ დააკმაყოფილა ვისაც სურდა, რომ საარჩევნო უფლებები შეუცვლელად დარჩენილიყვნენ, მისთვის ეს ბილილიც დიდათ სახიფათო და საშიშარი რამ იყო; ხოლო იგინი, ვინც საჭიროდ სთვლიდნენ, რომ არჩევნის უფლება ქალაქის ყველა მცხოვრებს მინიჭებოდა, ისე უცქეროდნენ ამ ბილლს, როგორც ერთ ფუქს და უმნიშვნელო რასმე, რადგან ქალაქის მცხოვრებთა შორის ბევრს არ შეეძლო სამოცდა ათი მანეთის გადახდა სადგურში. ბევრი ეცადა, გლადსტონი პარლამენტი დაეჯერებია, რომ ამ ბილლის მიღება აუცილებლათ საჭირო იყო, მაგრამ ამით: უკმაყოფილო ლიბერალები შეუერთდნენ ტორიებს და ბილლი უარყოფილ იქნა. მაშინ დეონ როსსელმა, დანარჩენმა მინისტრებმა და მათ შორის გლასტონმაც თანამდებობას თავი დაანებეს.

ლიბერალების სამინისტრო დაეცა და, მისი ადგილი დაიჭირა კონსერვატორების სამინისტრომ. ხაზინის კანცლერად და სათემო პალატის ლიდერთ ანუ მეთაურად დიზრაელი გახდა.

დიზრაელი ეროვნებით და უბრალო შთამომავლობის ურია იყო. პირველათ იგი ლიბერალ-რადიკალთა პარტიას ეკუთვნოდა,

მაგრამ ამ პარტიაში მან ვერ დაიჭირა პირველი ალბაგო, თუმცა ამისი დიდი სურვილი ჰქონდა; ამიტომაც მან ლიბერალიზმის კონსერვატორობა არჩია. კონსერვატორების პარტიაში მას ბედმა გაუღიმა: იგი გახდა მინისტრი და კონსერვატიული პარტიის ლიდერი.

ახლა, როცა მართვა-გამგეობა კონსერვატორებს ჩაუფარდათ ხელში, მოსალოდნელი იყო, რომ რეფორმის საქმე დიდი ხნით გადაიდებოდა სამეომისოდ, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა.

დაიკავეს თუ არა ახალმა მინისტრებმა თავიანთი ადგილები, ხალხში შეფათი და მღელვარება ასტყდა. კონსერვატორები და ზოგიერთი ლიბერალები ამტკიცებდნენ, ვითომც ქალაქის მცხოვრებლებს ფიქრადაც არ მოსდიოდათ, საარჩევნო რეფორმა მოეხდინათ. ამის საწინააღმდეგოდ შესდგა რამოდენიმე ახალი საზოგადოება, რომელნიც ცდილობდნენ დემოკრიციებით პარლამენტისათვის, რომ მოქალაქეებს ძლიერ სურდათ, საარჩევნო უფლება მიეღოთ. ესრედ წოდებული „საარჩევნო ლიგა“ მართავდა მრავალრიცხოვან მიტინგებს, რომლებზედაც საარჩევნო რეფორმების შესახებ მსჯელობდნენ. ერთხელ ამ ლიგამ განიზრახა ლონდონში, გაიდპარკში, დიდი მიტინგის გამართვა, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრმა აღკრძალა ეს მიტინგი. ლიგის თავმჯდომარეთ ისეთი კაცი იყო, რომელმაც ძლიერ კარგათ იცოდა ინგლისის კანონები. ის დარწმუნებული იყო, რომ მინისტრს არ ჰქონდა მიტინგის აღკრძალვის უფლება, ამიტომაც ლიგის წევრებმა გადასწყვიტეს, თავისი უფლება დაეცვათ.

ოც და სამ ივლისს ლონდონის სხვა და სხვა კლუბებში დგან გამოვიდა ბაირალებით რამოდენიმე პროცესია და გაიდპარკისაკენ გაემართა; როცა პარკთან მივიდნენ, დაინახეს, რომ ამ პარკის კარები დაკეტილია და თვით პარკი გარს შემოტყმული პოლიციელებით. ლიგის თავმჯდომარე ეტლით მოვიდა და მოითხოვა, პარკში შეეშვათ იგი; როცა უარი უთხრეს, მცველებს შეეკითხა იგი „ვისი ბრძანებითაა კარები



დაკეტილი, ან რა უფლებით არ უშვებენ ხალხს პარკშია»¹ არც თავმჯდომარეს და არც ლიგის წევრებს უწესეობის მოხდენა. არ სურდათ, მათ სურდათ, დაემტკიცებიათ, რომ სრული უფლება ჰქონდათ, გაიდ-პარკში მიტინგი მოეხდინათ. რადგან ნაძალადევაძე პარკში შესულა საქაროდ არ მიაჩნდათ, ლიგის წევრებმა ტლათარგარ-სკვერისკენ გასწიეს მიტინგის გასამართავად; მათ თან გაყვა ურიცხვი ბრბო. აქ მიტინგზედ დაადგინეს მიეტათ პარლამენტისათვის პეტაცია საარჩევნო უფლებების გაფართოების შესახებ.

ამავე დროს გაიდ-პარკში კი აირა მოხდა: როცა ტრაფალგარისკენ გასწიეს ლიგის წევრებმა, მათ დიდ-ძალი ხალხი მოსწყდა და გაიდ პარკთან დარჩა. ნახევრად ეს ბრბო უბრალო მაყურებლებისგან შესდგებოდა; დანარჩენი კი მიტინგზედ დასასწრებლად იყო მოსული.

ეს ბრბო უკმაყოფილო იყო, რომ მიტინგი არ შესდგა. მოძრაობაში მოსული ხალხი პარკის მოაჯირს მიაწვა და შეღეწა, შევიდა პარკში და მიტინგი გამართა.

ეს ამბავი სწრაფად მოედო მთელ ლონდონს. ზოგი ამბოდა, ეს ამბოხებაა, ზოგი—რევოლუცია დაიწყოო. შუალამედის ბოძოქრობდა ხალხი პარკში. ხალხსა და პოლიციას შორის რამოდენიმე შეტაკება მოხდა.

ყველა დიდ ქალაქებში იმ წელიწადს მთელი წემოდგომისა და ზამთრის განმავლობაში მიტინგები იმართებოდა.

დადგა ათას რუაას სამოც და ზვიდმეტი წელი. საზაფხულო კანიკულების შემდეგ პარლამენტი შეიკრიბა. ტორიების მინისტრებმა დაინახეს, რომ პარლამენტში მათი საქმე ვერ იყო კარგათ, რადგან იგინი იქ უმცირესობას შეადგენდნენ თავიანთი პარტიით; მარტო ამ პარტიის დახმარებით მათ არ შეეძლოთ, თავიანთი ალაგები შეენარჩუნებიათ.

ტორიები იმის გამო გახდნენ მინისტრებათ, რომ ლიბერალებთან შორის განხეთქილება იყო. საკმაო იყო, ლიბერალები შეერთებულნიყვნენ და კონსერვატორიული სამინისტროც

მალე დაეცემოდა. სათემო პალატის კონსერვატიორებთან ლიბერალური პარტია ხელახლა აღძრავდა პარლამენტში კითხვას საარჩევნო რეფორმების შესახებ. მცხოვრებლებს რომ რეფორმა სურდათ, ეს ცხაღზედ უცხადესი იყო. ლიბერალიმ გადასწყვიტა, მიეცა ხალხისათვის რეფორმა, ოღონდ კი ბირველი მინისტრის ადგილი არ დაეკარგა.

ამიტომაც კონსერვატიულმა სამინისტრომ გადასწყვიტა პარლამენტში საარჩევნო რეფორმის ბილლის შეტანა და შეიტანა კიდევ. ბილლის გასინჯვას პალატამ დიდი დრო მოანდომა, ბილლი ზოგან შეასწორეს, ზოგან შეაესეს და ზოგან შესცვალეს.

დაბოლოს ბილლი მიღებულ აქნა სათემო და ღორღთა პალატის მიერ და კანონად იქცა. ამ კანონის ძალით თითოეულ მდგმურს, მამაკაცს, მიუხედავად იმისა, თუ რამდენს იხდიდა იგი საღვამში, დეპუტატის არჩევის უფლება ეძლეოდა, თუ კი ის ღარიბთა სასარგებლოდ გადასახადს იხდიდა.

მაგრამ ეს კანონი მხოლოდ ქალაქებს ეხებოდა. საგრაფოებისთვის კი ათას რვაას ოც და თორმეტი წლის კანონივე დარჩა ძალაში. ასე რომ დეპუტატების არჩევის უფლება მხოლოდ მოქალაქეებმა მოიპოვეს, სოფლელები კი წინანდებურად მოკლებულნი დარჩნენ ამ უფლებას.

იმ დროს, როცა ათას რვაას ორმოც და მეჩვიდმეტე წლის ბილლი ირჩეოდა, ერთმა დეპუტატმა, გამოჩენილმა მეცნიერმა, ჟონ სტიუარტ მილმა, წინადადება მისცა პარლამენტს, ქალაქის მდგმურ ქალებსაც მინიჭებოდათ არჩევის უფლება. ამ წინადადებას სათემო პალატაში სიცილი დააყარეს. სულ სამოც და თუთხმეტმა კაცმა მისცა ხმა მილლის წინადადებას.

წინედ ამომრჩეველთა რიცხვი ერთი მილიონი იყო, ახლა კი სამ მილიონამდე ავიდა ეს რიცხვი.

ათას რვაას სამოც და მეჩვიდმეტე წლის კანონით ყველა



ამომრჩეველს უფლება ჰქონდა, დებუტატად არჩეულიყო, ასე რომ ამ კანონის ძალით თითოეულ ქალაქის მცხოვრებს, გარდა არჩევის უფლებისა, პარლამენტის წევრად ყოფნის უფლებაც მიეცა. ამას ძლიერ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამის შემდეგ მოქალაქეებს შეეძლოთ პარლამენტში თავს წარიდგან ამომრჩეული დებუტატი ყოლოდათ.

აქ საჭიროა აღინიშნოთ შემდეგი: ჩვენ ვიცით, რომ, თანხმად კანონისა, საგრაფოებში მხოლოდ იმას ირჩევდნენ სათემო პალატის დებუტატად, ვისაც წლიური მიწის შემოსავალი ჰქონდა ექვსი ათასი მანეთი, ქალაქებში კი — მას, ვისაც შემოსავლია სამი ათასი მან. ამ სწორედ ეს კანონი გააუქმეს ჯერ კიდევ ათი წლის წინედ ათას რუას სამოც და მეშვიდე წლის რეფორმისა.

ამ წლის რეფორმის შემდეგ აუცილებელი შეიქნა დაფარული კენჭის ყრა. ათას რუას სამოც და თერთმეტ წელს სათემო პალატაში ბილლი შეიტანეს; ამ ბილლის თანხმად არჩევნებზე დაფარული კენჭის ყრა უნდა შემოღებულ იყო.

ეს ბილლიც გავიდა პარლამენტში. ამის შემდეგ ინგლისში შემოღებულია არჩევნების შემდეგი წესი: თითოეული ამომრჩევლოთაგანი არჩევნების დროს მიდის საარჩევნო დარბაზში, აქ მან უნდა მიმართოს არჩევნების მოთადარიგეს, ან მის თანაშემწეს და უთხრას თვისი სახელი. მოთადარიგე შეამოწმებს, ჩაწერილია ის ამომრჩევლთა სიაში და მისცა მან ვისმე უკვე ხმა არვისთვის მიუცია, მას ეძლევა ფურცელი, რომელზედაც დაბეჭდილია იმათი სახელები, რომელთაც სურთ, რომ არჩეულნი იქნენ; ამ ფურცელზედვე აღინიშნება თითონ ამომრჩევლის ნომერი. ამომრჩევლი დასვაშს ჯვარს იმის სახელის პირდაპირ, ვისი არჩევაც სურს მას, შემდეგ დაახვეს ამ ფურცელს და ჩაადებს განსაკუთრებულ ყუთში; მერე დასთვლიან ხნებს, ღებულობენ განცხადებებს უკანონოდ მიცემული ხმების შესახებ და მოლოდინს აცხადებენ, ვინ იქნა ამომრჩეული.

ამ რიგად დამყარდა ინგლისში დახურული კენჭის ყრა, რის შემოღებაც ასე სწადათ ჩარტისტებს.

ათას რუპას სამოც და მეშვიდე წლის რეფორმის შემდეგ ბევრი საუბაროკო კანონები გამოიცა. ამ კანონების წყალობით საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშათა მდგომარეობა. მაგალითად, ათას რუპას ოთხმოც წელს გამოიცა კანონი მრეწველთა პასუხისგების შესახებ. ამ კანონში ნათქვამი იყო: „როცა მუშა მფლობელების ანუ მრეწველის (დამქირავებლის) მიზნით დაშავდება, დაშავებულ მუშას უფლება ეძლევა, მას საზღაური მოსთხოვოს: და თუ უბედურ შემთხვევას შედეგათ სიკვდილი მოჰყვა, მაშინ ეს უფლება გადადის მუშის მემკვიდრეებზე“.

ათას რუპას სამოც და თოთხმეტ წელს გაუქმებულ იქნა კანონი „ბატონთა და მოსამსახურეთა შესახებ.“ ამ კანონის ძალით, ის მუშა, რომელიც დაარღვევდა მის და მის დამქირავებელ შორის არსებულ პირობას, ისჯებოდა ციხეში დაპატიმრებით. ამ კანონის ნაცვლად შემოიღეს კანონი „დამქირავებელთა და მუშათა შესახებ“, რომლის ძალითაც მუშის დაპატიმრება ერთხელ და სამუდამოთ მოისპო.

ათას რუპას სამოც და მეშვიდე წლის რეფორმის ქალაქის ყველა მცხოვრებლებისათვის არ მიუტია საარჩევნო უფლება; ამიტომაც ასეთ უფლებას მოკლებული მოქალაქეები დატყუებით თხოულობდნენ საარჩევნო უფლებას და დიდს გულმოდგინებით ცდილობდნენ მის მოპოებას და ბოლოსკიდევ მოიპოვეს იგი. სოფლის მცხოვრებლები კი, როცა ეს ბილლი შექონდათ პარლამენტში, არვის გახსენებია, რადგან მათ თითონ არ უთხოვიათ თავიანთთვის საარჩევნო უფლება.

შოლოდ ათას რუპას ოთხმოც და ოთხ წელს მოიპოვეს სოფლის მცხოვრებლებმა ეს უფლება. იმ დროს პირველ მინისტრათ ვილიამ გლადსტონი იყო. მან შეიტანა სათემო პალატაში ბილლი ამ რეფორმის შესახებ, დაიცო იგი და გაიყვანა კიდევ.

—ორმოც და ათი წლის წინეთ დეონ როსსელმა, რო-

შელიც ათას რეაას ოც და მეთორმეტე წლის რეფორმას გე-
წვდიდა, ძლიეს გაბედა ეთქვა: ეს რეფორმა ამომრჩეველთ ნა-
ხევარ მილიონ ხმას შემატებსო. ახლა საქმე იმაში აღარ არის,
რამდენ ხმას შემატებს ამომრჩეველთ ახალი რეფორმა, რამდენ-
ნი ხმაც უნდა შემატოს ამომრჩევლებს, სულ ერთია: ვისაც
თვისი უფლების დაცვა და მოხმარა შეუძლია, მას არჩევის
უფლებაც უნდა მიეცეს. თუ ასეთები ბევრი აღმოჩნდებიან,
მით უკეთესი—იგინი ძალას შემატებენ სახელმწიფოს. ჩემის
აზრით, სწორედ ასეთები არიან სასაფლო ოლქების გლეხებიც:
მათ შეუძლია, დაიცვან და მოიხმარონ თავიანთი უფლება;
იგინი მოახერხებენ სასარგებლო და გამოყვანილი პირების არ-
ჩევასო, სთქვა გლასტონმა სათემო პალატაში.

თუმცა სათემო პალატამ მიიღო ეს ბილლი, მაგრამ ლო-
რდთა პალატამ შეაჩერა იგი. გაიგეს თუ არა ეს, მიტინგების
გამართვა იწყეს. ამ მიტინგებზედ საშინლად ჰკიცხავდნენ ლო-
რდებს და თხოულობდნენ, ლორდთა პალატა სრულიად გაე-
უქმებიათ.

ლორდთა პალატის მოწინააღმდეგეები ამბობდნენ, რომ
ეს პალატა არამც თუ საჭირო არ არი, დიდად მუწებელიც
არაო. „ლორდებს ხალხი არ ირჩევს; იგინი შექციდრეობით
ფლობენ პარლიამენტში თავიანთ ადგილებს; იმათ არ იციან
ხალხის არც ვაჭიერება, არც სურვილი და არც ის, რა-
საც ხალხი თხოულობს. აუცილებელ და უსაჭიროეს რეფორ-
მებს კი მუდამ აბრკოლებენო, იმეორებდნენ ლორდების მო-
წინააღმდეგენი.

აი კიდევ იმის მაგალითი, თუ როგორ და რას დაპარაკობ-
დნენ რადიკალები ლორდთა პალატაზედ:

—მე სწორედ ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ უდიდესი
სისულელეა, იბრძოლო, ითავცემო და დიდის ვაივაღლიანით
მიადწიო სათემო პალატის დადგენილებას, რომელიც ოც და
ათი მილიონი ხალხის წარმომადგენელია, მხოლოდ მისთვისა
რომ ბოლოს ლორდთა პალატამ უარყოს იგი! ბატონი ლორ-

დები ნამდვილი ნაყოფი არიან მათი წინაპრების კულდვა-მად-
ლისა, რომელნიც, დიდი ხანია, წიაღსა შინა აბრაამისა განი-
სვენებენ. საუბედუროთ ახლანდელ ლორდებს არ გადმოსცე-
მათ ის ღირსებები, რომელთა გამოც მათი წინაპრები ელირ-
სნენ ლორდთა პალატაში ყოფნის უფლებას. რა შეილებიც
ბრძანდებიან ეს ვაჭბატონები, იქიდგან სჩანს, თუ რა თქვა
მათზედ ინგლისის უდიდესმა ლორდმა ბეკონმა: „ლორდები
ჰვეანან კართოფილს, რადგან საუკეთესო მათგანი სამარეებში
არიანო. რაა იმაზედ უარესი, როცა ხედავთ, რომ ლორდს
რომელსაც ქვეყანაზედ არა გაუკეთებია რა და არვისგან ცნო-
ბილი არ არი, შეუძლიან შეაჩეროს ან აღკრძალოს მთელი
ხალხის წარმომადგენლების დადგენილებაო!“ ლორდთა პალა-
ტა ხელს უწყობდა ყოველგვარ ბოროტ-მოქმედებას; იგი იცა-
ვდა ყოვლიად უსამართლო კანონებს; იგი წინააღმდეგი იყო
ყოველი რეფორმისა; ლორდთა პალატა ჯიუტია და თანაც
მხდალი, თავზედი და თანაც უფიცო, ამბობდნენ რადიკალები
ლორდებზედ.

დაბოლოს, როგორც იყო, ლორდები დათანხმდნენ და
ბილლი დააკანონეს. უნდა ვიცოდეთ, რომ საზოგადოთ ინ-
გლისში ასეთი წესი არსებობს: ლორდებს არ შეუძლიათ დიდ
ხანს ეწინააღმდეგონ იმ რეფორმას, რომელიც სათემო პალა-
ტამ უკვე მიიღო. ლორდები ხალხის წარმომადგენელი არც
არიან და არც იციან, რა უნდა ან რა სჭირდება ხალხს და
რა არა, თუ კი სათემო პალატა თავის გადაწყვეტილებას მე-
დგრად იცავს და შეურყვევლად ადგია მას, ლორდებმა ძალა-
უნებურად უნდა დაუთმონ მას და ბილლის წინააღმდეგობას
თავი დაანებონ.

ათას რვაას ოთხმოც და ხუთ წელს, შემოდგომაზედ, ლო-
რდთა პალატამ ბილლი მიიღო და ბოლოს სოფლის მცხოვ-
რებლებსაც მიეცათ ხმის უფლება.

პირველ სასოფლო არჩევნებზედვე დეპუტატად აირჩიეს
გლენი იოსებ არჩი. არჩი პარლამენტში თავის გლენური ტან-



საკმელოთ გამოცხადდა, ამ ტანისამოსს იმისთვის ვერ ვატყობ, რომ ვისიმე ყურადღება მივიქციო, არამედ მისთვის, რომ თვალსაჩინო იყოს კავშირი ჩემსა და სოფლის შორისა, ამბობდა არჩი.

პირველი სიტყვა, რომელიც არჩმა პარლამენტში წარმოასთქვა, იმაზედ იყო მიმართული, რომ სოფელელ მიწის მუშეებისათვის მიწები მიეცათ.

— ინგლისში რამოდენიმე ათასი დღიური სრულიად დაუმუშავებელი მიწაა; ამავე დროს ჩვენში ურიცხვია ისეთი კაცები, რომლებმაც არ იციან უმუშევრობის გამო რა ქნან, სად და როგორ იზოვონ სამუშევარი; ასეთი კაცები მზად არიან, შეისყიდონ თავისუფალი მიწები. თუ რომ ვლგები შრომის მოყვარეა, თუ მას შეუძლია იმდენი ყუელი შეაგროვოს, რომ ერთი დესეტინა მიწა იყიდოს, რატომ არ უნდა ჰქონდეს მას ამის ნება? ან რომელი კანონი უღკრძაღავს მას, ასე მოიქცეს: ზეციერი თუ მიწიერიო, ლაპარაკობდა არჩი.

ათას რვაას ოთხმოც და შვიდ წელს შემოიღეს კანონი „მიწის პატარა ნაკვეთების შესახებ“. ამ კანონის ძალით ადგილობრივ მთავრობას უფლება მიეცა, შეესყიდა შეუმუშავებელი ადგილები, დაენაწილებია მცირე ნაქრებათ და მიეცა იჯარით ერთი წლის ვადით ხელოსნების და მიწის მუშებისათვის. მიწის ასეთი ნაქრები, სივრცით, თითო დესეტანა, ეძლეოდათ მუშებს იმ მიზნით, რომ თავისუფალ დროს აქ ემუშავნათ.

ათას რვაას ოთხმოც და თორმეტ წელს ეს კანონი შეიცვალა იმ ნაირად, რომ შესაძლო შეიქნა, მოიჯარადრეს მიწა სამ დესეტინამდე მიეცეოდა; ერთი სიტყვით, მიწის ნაკვეთი, იმხელა შნდა ყოფილიყო, რომ მოიჯარადრეს მარტო ის ჰყოფნოდა სამუშაოდ, თუ მას სხვა სამუშაო არ ჰქონდა.

ათას რვაას ოთხმოც და მეხუთე წლის კანონის გამო, გარდა იმისა რომ სოფლის მცხოვრებლებს საარჩევნო უფლება მიეცა, პარლამენტის დეპუტატების რიცხვი ექვსას ორმოც და თრამეტედგან ექვსას სამოც და ათამდე ავიდა და მასთან

ინგლისი დაიყო ახალ საარჩევნო ოლქებათ. ქალაქის მთავარმა
 საარჩევნო ოლქში ორმოც და ერთი ათას სულამდე ითვლე-
 ბოდა, საგრაფოებში კი—სამოც ჭ თერამეტი ათასამდე. ას ხუთ
 დაბას, რომლებშიაც მცხოვრებთა რიცხვი ას სამოცი ათასზედ
 ეოტა იყო, პარლამენტში საკუთარი დეპუტატის გაგზავნის
 უფლება წაერთვა; ოც და ჩვიდმეტ დაბას, სადაც სამოცი
 ათასზედ ნაკლები იყო მცხოვრებთა რიცხვი, ახლა ორი დე-
 პუტატის მაგიერ ერთი დეპუტატის გაგზავნა შეეძლო. საგრა-
 ფოებში დეპუტატს ირჩევდა ისეთი ოლქი, რომელშიაც სამოც
 და რვა ათასი მცხოვრები იყო.

ათას რვაას ოთხმოც და მეოთხე წლის რეფორმის შემ-
 დგე ამომრჩეველთა რიცხვს კიდევ ორი მილიონი მიემატა, მა-
 გრამ საყოველთაო უფლება ანუ საყოველთაო არჩევის უფლე-
 ბა ამ რეფორმამ მაინც ვერ მისცა. ხალხი ამ უფლებას მოკლებულნი
 დარჩნენ: ღარიბები, რომელნიც ვერას იხდიან გაჭირვებულთა
 სისარგებლოთ; დაჭირავებულნი ანუ ქირაზედ მომუშავენი,
 სასტუმროებში მცხოვრებნი და სრული წლოვანი ვაჟები, რომ-
 ელნიც დედ-მამასთან სცხოვრობდნენ.

მაინც, რაც უნდა იყოს, ამ რეფორმის გამო ქალაქებისა
 და სოფლების მცხოვრებთა უმეტეს ნაწილს ხმის უფლება მიე-
 ცა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისის მცხოვრებთა-
 თვის.





ქართული
წიგნობის ეროვნული



საქართველო
საქართველო



